83/4

ISSN 0132—599X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

12

1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

წელიწადი 59-ე — № 12 — დეკემბერი, 1983 წ.

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები . . . 3
ნელი ბატიაშვილი — დინება. რომანი. დასასრული . . . 8
ნიკო სამადაშვილი — ლექსები . . . 67
აკაკი გეწაძე — ორი ბორცვი. მოთხრობა . . . 71
ბაადურ ბალარჯიშვილი — ლექსები . . . 99
კარლო არსენაშვილი — ნადირობის წინ. მოთხრობა . . . 103
ჯანო ჯანელიძე — ლექსები . . . 106
ვაჟა ჩორდელი — ნალბანდი. მოთხრობა . . . 108
რენე კალანდია — ლექსები . . . 118
ალენ რობ-გრიე — სცენა. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა . 120

### მეცნიერება

ედიშერ ჭელიძე — გნოსტიკური ხასიათის ძეგლი . . . 125

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გიორგი ნატროშვილი — წლები და წიგნები . . . 141
იან პეტერი — ჩემი ქართველი მეგობარი. თარგმნა უშანგ სახლთუხუცესმა . . 152
აკაკი ბრეგაძე — თანამედროვე ომები — კაცობრიობის უბოროტესი მტერი . 155
თამაზ წივწივაძე — შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... . . . 161

### წიგნების მიმოხილვა

ბეჟან ბარდაველიძე — წიგნი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაზე . . 170

ჟურნალ „მნათობის“ 1983 წლის ნომრების შინაარსი . . . 173

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, თ. პაჭკორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, თ. ჭილაძე, ზ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი

## მიუწვდომელო

არც სურმუშიდან, არც ვერედან,
არცა ქართლიდან.
არც ურარტუდან, არც ხორასნით,
არცა ხეთიდან.
ვარ ქრისტიანი, ჩამოქნილი
ღმერთის სანთლიდან,
მოვედინები
სიყვარულის ჯოჯოხეთიდან.

. . .
ჩვენი მიწისა,
თუ ნაყოფი ვარ უმეცრების,
რაც მე მომარჩენს
იმ ბალახის შენ ხარ მცნობელი,
მიუწვდომელო,
შენ დაგეძებ, ხელისცეცებით,
სხივი ხარ მზისა,
თუ წამი ხარ წამწამთ მსწრობელი?!

## პატარა ბიჭი „მართვედან"

პატარა ბიჭი „მართვედან",
ყელს იღერებს და თვალს მიკრავს,
მღერის სიმღერას ქართველთა —
„ქართველო, ხელი ხმალს იკარ".

„მართვედან" ბიჭი პატარა,
მღერის მუქთად და უფასოდ,
აბუნტებულა, ამტყდარა —
მუმლი ედება მუხასო.

გახედე, ბიჭო, დიდგორით
კვლავაც ჩახჩახებს შენი მზე,
ჩქარა, მომდევნო სტრიქონი —
იმღერე გადარჩენილზე.

იმღერე, ორბის მართვეო,
მღერით გადახვალ ჯებირსა,
ქართველი კვლავაც ქართველობს,
„დღე დადგა გამარჯვებისა".

და მთელი „მართვე" არ ცხრება,
ცას ხევს სიმღერა „მართვეთა",
უმალ მტერს დაუმარცხდება,
ვინა სთქვა მარცხი ქართველთა.

მშვიდობითა და ზავითა
უმრავლოს აკვნის გამთლელი,
რასაცა სხვა ჰფლობს ძალითა,
ჰკუთა ჰფლობდეს ქართველი.

საქ. სსრ ... რესპუბლიკ. ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვახტანგ გორგასალი

ჩვენ გადავყევით
თავგანწირულ ზეიმს და მეჯლისს,
დაფართიფურთობს მტერი გარშემო.
რომ კვლავ ეშველოს
ქვეყნიურ ჯეჯილს,
უმანკოების სავანენი
უნდა ვაშენოთ.

უმანკოების სავანეში
რაც ისწავლება —
ეს გახლავთ ძმობა,
ერთგულება, ზნეკეთილობა,
საოცარია, ვით ისწავლა
ძმამ ძმის წამება,
წილ მალამოსი ვით ადებენ
შხამებს ჭრილობას.

საოცარია,
ვით იმშვიდებს ქართველი გულსა,
უმემკვიდრეო და უსაზღვროდ
მწუხარე ბერწი.
ჩვენს სიმღერაზე
გამოდის გურზა,
მზეზე ცეკვავს და
დამშეული სხეული ეწვის.
ჩვენ გადავყევით
თავგანწირულ ზეიმს და მეჯლისს,
დაფართიფურთობს მტერი გარშემო,
რომ კვლავ ეშველოს
ქვეყნიურ ჯეჯილს
უმანკოების სავანენი
უნდა ვაშენოთ.

## ნატირალი

გმინვამ გული გამილეწა,
ბნელს ნათელი ჩამიხუთა,
სიკვდილს კიდე, თავი მოსწონს,
შენ რომ გულში ჩაგიხუტა.

სიკვდილს მწარე სიტყვა ვუთხარ,
შევახსენე სევდა მოძმის,
დავუწყევლე ოთხივკუთხა
გამჩენი და დედაბოძი.

განგებამ არ შამარჩინა,
იაფ მითხრა ძვირიანი:
ვინც სიცოცხლე გააჩინა,
სიკვდიმც მისი შვილი არი.

## მახვშის სიკვდილი

გრ. მარგიანს

აჰა, შენთან ვართ,
დასათრობად და მოსალხენად,
რეზო ცაშია, მარგიანი, —
ღმერთებთან არის,

მოუწევს ალბათ,
ერთხელ აქეთ გადმოსახლება,
ისე, ვით ოჯახს უბრუნდება
ნაჯაფი ხარი.

მულახის რცხილას
ბულბულივით სცოდნია სტვენა,
ბუხარი გახლავთ
მარგიანთა კოშკების ღირსი,
ბუხრის პატარა ალქაჯები
მიყოფენ ენას —
პატარ-პატარა გვარის ტოტებს
მინთებენ სისხლში.

იგივ გალობა და ღუღუნი
უხდება ბუხარს,
რაიც უხდება შაშვსა და ქედანს,
მეც ჩემთვის ვფიქრობ,
მარგიანო,
რალაცას სწუხხარ,
გულჩათხრობილხარ
ბუხარივით, არ ამხელ სევდას.

ხორცი აქვს ჯალაბს,
რძეა, პური, თივა აქვს ხარებს,
ოჯახს სხვა რამე თუ აკლია
მივდგებ-მოვდგებით...
შვილი უბედავს —
რაზე ფიქრობ ამ ზამთრის ღამეს,
მამა პასუხობს —
კი არ ვფიქრობ, მე ველოდები.

ჩვენთან სვა, მაგრამ
ჩვენთან ერთად არ მოილხინა,
კუნძი ბუხარში ჩახჩახებდა
ვით ოქროს ზოდი,
ღამემ ბუხართან
მოხუცივით ამოიხვრინა,
ის იჯდა ფხიზლად
და საზღვარი არ ჰქონდა ლოდინს.

რადგან ყველაფერს
წუთისოფლად მოუდის რიგი,
სვანეთში ახლა, როგორც წესი,
დიდი თოვლია...
ვისაც ელოდა მარგიანი —
მოსულა იგი,
ისიც ამდგარა, ვალმოხდილი
და გაჰყოლია.

## ნადირობა

თითომ ვისროლეთ ქაკანი შვიდი,
ლეხერას შვიდი ჩამოწვა ბინდი,
— ვინც მამაცია გული აქვს ჩიტის,
მამაცის ტყვიაც გულამდე მიდის,
კაცს უნდა ჰქონდეს თვალი ორბისა,
თავისუფლება ციან-მიწიან,
ასე ამბობდა ნადირობისას,
ოცდაათი წლის ბექო ბიძია.

## მაზერი

უდარებელი,
მართლა მზიური,
რა დრო გასულა —
ფანტასტიური.

გიმზერ, ო, გიმზერ
ყელმოღერებით,
მივარღვევთ სივრცეს
თეთრი ცხენებით.

ცაა საშიში
და ამაზრზენი,
მაგრამ გამოჩნდა
ლურჯი მაზერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომლით და კვამლით
კვიციანების,
მე ამეჩემა ერთი ვარსკვლავი
შენი სახელის ინიციალი.

მაჩუბთან ძველი
იდგა საბძელი,
ძალლი უყეფდა
მთვარის დასავალს
და პაწაწინა
ლელე მაზერის
ყვებოდა
სოფლის თავგადასავალს.

## საყვედური

შენ მსაყვედურობ:
— ნაკლებ იწვი მიჯნურთა ცეცხლით,
ნაკლებად გშვენის
სიყვარულის ლურჯი არშია,
ნაკლებად ისმის შენს ლექსებში
ქდურტული მერცხლის,
— ჩემო ძვირფასო,
მოგახსენებ, საქმე რაშია:

ეს ჩემი „გორდა“
„ლეკურსა“ და „სპარსულს“ შეაცვთა,
კაცს არ უწვნია იმოდენა,
მე რომ ვიწვალე,
მამულის გამო
არ ვყოფილვარ მონა დიაცთა,
მინდოდა, მაგრამ ვერ მოვიცალე.

## ნოსირი

გიგლა ფირცხალავას ხსოვნას

აყვავებულ ატამივით
მოსჩანს ნოსირი,
მშვენიერია,
როგორც ქალი ძაძით მოსილი.

საეჭვოდ გიმზერ
მშვენიერო და სევდიანო
და შენს ჩრდილებში,
როგორც ბაღში, დავხეტიალობ.

ვინ მოგიქსოვა ჭრელაჭრულად
თუშის წინდები,
მითხარ ვის ეტრფი,
მითხარ ვიზე დაქორწინდები.

ვინ გეყოლება მეჯვარედ და
ხელისმომკიდეთ,
მაგ ოქროს ყანას
რანაირი მკელი მომკიდეს.

სიმღერა მესმის წვიმასავით
სევდაგაბმული,
ნისლის ფარჩაში გახვეულა
დღე გაბადრული.

აყვავებული ატამივით
მოსჩანს ნოსირი,
მშვენიერია,
როგორც ქალი ძაძით მოსილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქუჩა

გაბედულად ზეიმობს
ცარიელი ქუჩა,
მთელი ღამის სიჩუმე
ერთად მოაქუჩა.

ერთ ადგილზე, კუთხეში,
ფოთლებივით ერთად,
მთელი ღამის სიჩუმე
ერთად შეაერთა.

გაბედულად ზეიმობს
ცარიელი ქუჩა.
ყველა ეზოს სიჩუმე
მოაქვს ბლუჯა-ბლუჯა.

ერთ ადგილზე ალაგებს,
ერთ ადგილზე აწყობს,
თონეებში ქართული
პურებივით აცხობს.

როგორც ლამაზ აფიშებს
ფილაქანზე აკრავს,
ყველა შემოსასვლელში
ჩამოჰკიდებს ცხრა კარს.

სინათლეებს ჩააქრობს,
მთლად შიშველი ქუჩა
და ქათქათა ლოგინში
შიშის თვალებს ხუჭავს.

## უშენობა

თუთის ხეზე შაშვი დაჯდა,
შაშვმა თუთა შეარხია,
უშენობას ჰქვია ტანჯვა,
უშენობას სევდა ჰქვია.

შენი მზერა ალმაცერი
არ იქნება არ მახსოვდეს,
არასოდეს არ გეცალა,
არ გიყვარდი არასოდეს.

როგორ ტყვიასავით ამცდი,
ცრემლზე ცრემლი დამიგროვდა,
მე თავს ბედნიერად ვრაცხდი —
გულში შენი დარდი მქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ბატიაშვილი

# დინება

## რომანი

5.

კარგად ახსოვდა შემოდგომის გრილი, ნათელი, ზანტი სვლა, მისი გამაოგნებელი სიმშვიდე, დაუნანებლად რომ მოედინებოდა ყველაფრიდან, რასაც მიწვდებოდა თვალი და ყოველი ცოცხალი არსების სასრულ ყოფას, რაც ასე ცხადად სწორედ შემოდგომისას ჩანს, უსასრულობის უცნაური განცდით ავსებდა.

შემოდგომის ამ გამაბრუებელ უძრაობაში ნელა იმარცვლებოდა ერთნაირად მშვენიერი დღეები.

სანამ წვიმები დაიწყებოდა, მარიკას ჩანჩქერი უნდა „დაელაშქრა“ დონატთან, არტემთან და ვალერისთან, როზასა, იანინასა და რაისასთან, მუსიკალური სკოლის კიდევ ერთ დამლაგებელთან ერთად, რომელსაც საზღვაო სასწავლებლის კურსანტი ახლდა თან.

მათთან ერთად არ იყვნენ ბაიანისტები. ისინი შაბათ-კვირას ყოველთვის ერთად გადაიკარგებოდნენ ხოლმე სადღაც. არც ვალენტინა და იგორი გაჰყვნენ. ღამის თევით მიდიოდნენ და მათ, პატარა ბავშვის პატრონებს, ჩანჩქერთან ღამის გასათევად სად ეცალათ.

არც მარიკას უნდოდა წასვლა. იმდენად იყო სავსე შემოდგომის უცნაური უშფოთველობით, განძრევაც კი ეზარებოდა.

ქალაქში დარჩენა ერჩივნა.

სიამოვნებით წამოწვებოდა ხმელ ტახტზე ის ორი დღე, თვალდახუჭული და ოქტომბერს მინებებული. სრულიადაც არ იყო აუცილებელი დადგომოდა მტვრიანსა და მომქანცველ გზას, რათა როდისმე მისულიყო ჩანჩქერთან და ტყესთან, რადგან როგორადაც არ უნდა მიუახლოო მათ შენი სხეული, ისინი მაინც შორს იქნებიან შენგან, ისევე შორს, როგორც უწინ, ოთხ კედელში გამოკეტილი რომ იყავი, უფრო მეტიც, ამ სიშორეს ცხადად და მტკივნეულად იგრძნობ, რადგან შენს გარშემო ისეთი მხიარული თუ მოლაყბე ადამიანები იქნებიან თავმოყრილნი, როგორიც დონატია...

მარტოობა და სიმშვიდე იზიდავდა მარიკას, მაგრამ უარი მაინც ვერა თქვა, თუმცა შეყოყმანდა, უარის სათქმელად მოემზადა.

— რა იყო, ხუთი მანეთი გენანება? — გაიცინა არტემმა.

— ზოგჯერ მაინც უნდა დაუფიქრდე რას ამბობ, — არ სწყენია მარიკას. ის

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 11.

გაიფიქრა მხოლოდ, ამ კაცს არაფერი ეშველებაო.

ასე აღმოჩნდა მართლაც მტვრიანსა და მომქანცველ გზაზე.

ზურგჩანთა ეკიდა მხრებზე. ვიღაცას ჯერ კიდევ წინა საღამოს დაეჭირა თადარიგი, ტვირთი ზურგჩანთებში გაენაწილებინა და სისხამზე მოეტანა მუსიკალურ სკოლასთან. აქ უნდა შეკრებილიყო ყველა.

ადრიანად დაადგნენ გზას. ჯერ ისევ ბინდი იდგა. ქალაქი სიგანეზე გადაჭრეს და ერთხანს ზღვის ნაპირს მიუყვებოდნენ. დილის სუსხი სიამოვნებდათ, მსუბუქად და სწრაფად მიდიოდნენ. მერე მარჯვნივ ჰქნეს პირი და ალმართს შეუყვნენ. ალმართი არ იყო ციცაბო, მაგრამ მაინც მალე მოქანცა. ამასობაში მზე ამოვიდა და თუმცა ჰაერი ისევ გრილი და ხალისიანი იყო, სიარულში შეხურებულ მარიკას დასცხა.

ვალერი წამოეწია და ზურგჩანთა ჩამოართვა. ახლა ორი ზურგჩანთით მიდიოდა კაცი, თავისი ზურგზე ეკიდა, მარიკასას ხელით მიაქანებდა. ტვირთის სიმძიმეს ვერა გრძნობდა, მსუბუქი და მხიარული იყო. ცდილობდა მარიკას უკან ევლო და გოგო თითქოს ზურგით ხედავდა მის ღიმილიან სახეს. მერე იანინა მიუახლოვდა და უშველებელი ჩაიდანი მიაჩეჩა ხელში, ეს წამოიღეო. რაღაცით იყო უკმაყოფილო დონატი, სულ აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და არავინ არ დაუტოვებია, შემჩნევა რომ არ მიეცა.

— ძალიან ნუ გაიწელებით, — ყვიროდა წამდაუწუმ.

იანინა მისდევდა გვერდით და ამშვიდებდა.

— არა, თქვენთან ერთად არსად არა ღირს წასვლა, — თითქოს თავისთვის ბუტბუტებდა, მაგრამ ყველას ესმოდა.

არტემი ჯერ როზას ედგა მხარში, მერე ვალერი მოძებნა და ახლა ორივე ერთად მისდევდა უკან მარიკას.

გზა ლორღიანი იყო და სიარული ჭირდა. ერთი ხეც კი ვერსად დაინახა, ჩრდილისათვის რომ შეეფარებინა თავი, სული მოეთქვა.

გორაკს მოექცნენ თავზე [illegible]ლა თავდალმა დაეშვა. მარიკამ ქვევით ჩაიხედა და ჭრიოკ ბორცვებს შორის მდინარე დაინახა, მწვანე და ლაპლაპა, ისეთი მშვიდი დინება ჰქონდა, აქ საიდ უნდა იყოს ჩანჩქერიო, გაუკვირდა.

დალმართის ჩავლა გაუჭირდა, ერთი ჩაიდანი ებარა და ისიც გამოართვა ვალერიმ.

— არ მეგონა, ასეთი სუსტი თუ იყავი.

— ჩემს დღეში ამდენი არ მივლია.

დალმართი ჩაიარეს და ჭალაში შევიდნენ. ახლაღა იგრძნო მარიკამ, როგორ ეწვოდა თვალები, მარტო თვალები კი არა, მთელი სახე.

მდინარემდე მივიდნენ და ჩაიმუხლა.

— თქვენ თუ ათრიეთ ზურგჩანთები, მარიკას რა, არ ეკადრებოდა? — ისევ დონატის ჭირვეული ხმა გაისმა.

— იქნებ მარიკა ყველა ჩვენგანზე მეტად დაიღალა, — წყნარად უპასუხა იანინამ.

— ჩაიდანიც რომ ჩამოართვა... საქმე ის კი არ არის რომ მიეხმარა, დანარჩენებს ხომ დაწყდათ გული. მარტო ეგ არის ქალი?

— სხვებიც ამდგარიყვნენ და მოგვხმარებოდნენ, — შეეპასუხა რაისა, — მარტო ვალერია კაცი?

— ყველამ თვითონ უნდა ატაროს თავის ტვირთი, ასეთია წესი.

— რა გინდათ, — ხმამაღლა იკითხა მარიკამ და პირდაპირ თვალებში შეაჩერდა დონატს, — პირდაპირ მითხარით.

— ვალერი სადაა, — მოიკითხა დონატმა, — ჯერ კარვები დავდგათ.

— ეხლა, შენი შიშით... — გაეცინა არტემს.

— აირჩიეთ, ზოგი კარავში დაიძინებს, ზოგი საძილე ტომარაში. ასეა გაანგარიშებული.

— მე მცივანა ვარ და ორივე მინდა, — თქვა მარიკამ, —გასაგებია? ორივე.

— გასაგებია, — თქვა კურსანტმა. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ერთი რამ გამოგრჩათ, ვალერის მარტო თქვენი ზურგჩანთის თრევა კი არ შეუძლია...

— აბა, აბა... — ეს რაისა იყო.

— სად არის ჩანჩქერი, — იყვირა მარიკამ.

— ეეე...

— ესაა? შეუიარაღებელი თვალით ვერ დაინახავ.

— „ნიაგარას" ხომ არ ელოდით აქ? — არ ჩერდებოდა კურსანტი.

— ეს, რა თქმა უნდა, ნიაგარას არა ჰგავს, ეს, საერთოდ, არაფერს არა ჰგავს. ვიღაცას ლოდი ჩაუგდია შუა მდინარეში, ეს არის და ეს.

— მაგას ვალერი იზამდა. მეტი არავინაა ამხელა ლოდის დამძვრელი.

— ვალერი უარესსაც იზამს, თუ არ მოასვენეთ, — ეს უკვე ვალერი იყო.

— მადლობა ღმერთს, გამოჩნდი, — შეეგება როზა, — აქ ისეთი ამბავი დაატრიალეს...

— ცივ წყალს დალევენ და გადაუვლით, — ვალერიმ წყლით სავსე ვედრო დადგა. არ უკითხავს, რა მოხდაო.

— მდინარის წყალს ვერ დავლევდით? —— დონატმა ისევ დაიწყო ჭირვეულობა.

— ეს უფრო სუფთაა.

— საიდან? — იკითხა იანინამ.

— მთელი კუნძული ზეპირად ვიცი, — ამაყად განაცხადა ვალერიმ.

— ვედრო?

— წყაროსთან მაქვს ხოლმე დამალული.

— ხშირადა ხარ ამ ადგილებში?

— მარტოდ-მარტო დაიარება, — განმარტა არტემმა.

— სათევზაოდ დავდივარ აქ.

— დღეს დაიჭერ? — დაინტერესდა რაისა.

მამაკაცები კარვების დასაჭიმად წავიდნენ. კანტი-კუნტად, უხმაუროდ ცვიოდა ფოთოლი. ტყეში ყვითელი შუქი იდგა.

— მოვრჩით, — მერე ვალერის ხმა მოესმა.

— ცოტა მოშორებით დავდგით. ვინცობაა მდინარე ადიდდეს, წყალმა არ წაგვიღოს, — ხუმრობდა კურსანტი.

— თქვენ მაინც წაგიღებთ წყალი. ამაღამ თუ არა, მერე, სხვა დროს, — შეაგება მარიკამ.

— როდისმე, ჩვენ, ყველას, წაგვიღებს წყალი, — ვალერიმ მარიკას გვერდით ჩაიმუხლა, — გიყვართ თევზი?

— არ ვიცი.

— თუ არ უყვარს, არ დაიჭერ? — დაინტერესდა არტემი.

— მაინც დავიჭერ, ხომ უნდა შევაყვარო...

ვალერი და არტემი ზევით შეუყვნენ მდინარეს. სხვებს წასთვლემით.

კარგახანს იყვნენ ასე.

მერე იანინას ძახილმა დააფრთხო თვლემა.

— მობრძანდით.

არავინ წამოწეულა.

არტემი გამოჩნდა.

— მარიკას ეპატიჟებიან.

— ვინ, — მარიკას წამოდგომა გაუჭირდა, არტემი მიეხმარა.

— დაისვენე?

— ვერა.

მდინარეს აყვნენ.

ვალერი დაინახა, ფოთლებზე მიწოლილიყო და ღიმილით უყურებდა როგორ უახლოვდებოდნენ მას. წინ თევზი ეყარა, პატარა, ნაცრისფერი. ოცამდე იქნებოდა. რამდენიმე ისევ სხმარტალებდა.

მარიკამ ერთი მათგანი აიღო, მუჭში მოიქცია მისი სრიალა ტანი და მდინარესთან ჩაიმუხლა. თევზს წყალში ჩააყოფინა თავი, ისე, უბრალოდ, არ უფიქრია მისი გაშვება. თევზმა ღონივრად მოიქნია კუდი და ხელიდან დაუსხლტა. გაუკვირდა მარიკას, არ ეგონა თევზს ამის გაკეთება თუ შეეძლო. ცოცხალი ყოფილაო, — შეუქანდა გული.

— აბა, რა გეგონა, — თქვა არტემმა.

მარიკამ იფიქრა, შემომწყრებიანო, მაგრამ რადგან არავინ არაფერი უთხრა, გათამამდა, მეორესაც წაავლო ხელი და ისიც წყალს მისცა.

ვალერიმ გაიცინა.

ახსოვდა, როგორ ისადილეს, მერე იანინამ როგორ შეაგროვა ნახმარი ჭურჭელი, ალუმინის თეფშები და ტოლჩები, მდინარესთან მიიტანა და მიწით დაუწყო ხეხვა.

დღე საღამოსაკენ გადაიხარა. ჩაქრა მზე და თუმცა დღის ნათელი ისევ იდგა შემოდგომის ტყეში, იგი აღარ იყო სიყვითლის მრავალფეროვანი ელვარებით სავსე. სიყვითლის ელვარება მზესთან ერთად ჩაქრა, ტყეს იასამნისფერი და ნაცრისფერი მოეძალა, ფერმა სიმსუბუქე დაკარგა, დამძიმდა, დასევდიანდა. მდინარეც შეიცვალა თითქოს. მთელი დღე ამღვრეული და მდორე იყო, ახლა კი, რატომღაც, ინათა, ქაფი მოიგდო ზურგზე.

ფოთოლცვენამ იმატა და უცნაური შრიალით აივსო ტყე, თუმცა ჰაერი არ იძროდა.

ყველაფერს თავისი გზა აქვს, ხესა და ფოთოლს, მიწასა და ქვას, მდინარესა და იმ ლოდს, მდინარეში რომ გდია, ცასა და ღრუბელს, თავისი, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი გზა, თავისი, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი კავშირი უსასრულობასთან, თავისი, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი მელოდია და მელოდიათა ამ სოიცარ სიმრავლეში არაფერია დისონანსური. მხოლოდ მარიკაა უცხო სხეული, ხიწვივით გარჭობილი ჰაერში, მხოლოდ მარიკამ არ იცის, საიდან მოდის და საით უნდა წავიდეს, რატომაა ჩათრეული ბუნების ამ იდუმალ მორევში...

მაყურებლად ხომ არ გააჩინა განგებამ იგი...

ნუთუ ბუნება პატივმოყვარეა...

იქნებ სევდისათვის გააჩინა იგი, უმიზეზო სევდისათვის...

იქნებ იგი არც ამჩნევს მას...

რადგან გააჩინა, ამჩნევს კიდეც, იცის ბუნებამ...

ტყის სიღრმისაკენ გაიწია, ნელა და მოკრძალებით მიაბიჯებდა, გუმანი კარნახობდა რაღაც მშვენიერი, რაღაც დიდებული რომ ხდებოდა ირგვლივ. ეს არ შეიძლება მხოლოდ ფოთოლცვენა, მხოლოდ კვდომის მშვენიერება ყოფილიყო, მის ახალგაზრდა სულს რომანტიკული განწყობით რომ ავსებდა. იგი უფრო ღმა, უფრო მაღალი, უფრო მოუხელთებელი და ამავე დროს, უფრო ცოცხალი, უფრო ნამდვილი იყო, ვიდრე მარიკა, რადგან ეჩვენებოდა, ბუნების ყოველი წერტილი ცხადად და მღელვარედ რომ გრძნობდა სიცოცხლეს, ხოლო მარიკას უგრძვნია კი ოდესმე იგი?

...მოშორებით დონატი იდგა, იდგა და ტიროდა. უღონოდ ჩამოყრილი ხელები უცახცახებდა. იანინა ჩამუხლულიყო მის ფერხთით და ხელზე ეფერებოდა, ამშვიდებდა.

გადატეხილ ხეს ამოეფარა, არ დამინახონო, შეეშინდა.

ვერ მოახერხა უკან დაბრუნება, ვერც თვალის მოცილება შეძლო.

დონატს თავი გადაეწია უკან, იქნებ იმიტომ, ცრემლი რომ არ ჩამოგორებოდა ყვრიმალზე, მაგრამ ცრემლი მაინც მოცურავდა, ცის დანახვა თუ უნდოდა კაცს, ცაც მოჩანდა შეთხელებული ფოთლების იქით, ჩამქრალი, მაგრამ ჯერ ისევ ნათელი, იქნებ ჰაერი არა ყოფნიდა და ასე, თავგადაგდებულს უადვილდებოდა სუნთქვა...

მარიკამ იგრძნო, რაღაც დასწოლოდა კაცს, რაღაც კუმშავდა, რაღაც აწამებდა და ძალაგამოლეულსა და უსუსურს, დამორჩილების გარდა აღარაფერი შეეძლო.

თვალთვალისა შერცხვა, შეტრიალდა, გაიპარა.

— რა ტანჯავს ასე, — გაიფიქრა.

და სანამ კარვებამდე მივიდოდა, თავში ერთი რამ უტრიალებდა მხოლოდ, რომ ყველაფერი, რაც ნახა, ხე და ფოთოლი, მიწა და ქვა, ცა და ღრუბელი, მდინარე და ის ლოდი, მდინარეში რომ ეგდო, მშვენიერი იყო და არა მარტო იმიტომ, ლამაზი ფორმა და ფერი რომ ჰქონდა, არც იმიტომ, ყოველი ახალი განათება ახლიდან რომ ბადებდა მათ სილამაზეს ან რაღაც დიდებულსა და ძნელად ჩასაღწევს რომ ფარავდა იგი,

იმიტომაც, არასოდეს რომ არ მიგიშვებდა ახლოს, არასოდეს გადაგიშლიდა გულს, არასოდეს გაგიზიარებდა თავის საფიქრალს და არასოდეს, არასოდეს დაგანახებდა თავის გზას.

ზოგჯერ ხდება, გგონია ბოლომდე იგრძენი, ბოლომდე გაიგე, ბოლომდე გაიყიდინთე მშვენიერებით, მაგრამ ასეც რომ იყოს, ვის შეუკავებია წყალი, ჰაერი ან სხივი მზისა, სულმა შენმა რომ შეაკოს, თუ იგი თავად არ იქცა წყლად, ჰაერად ან შუქად მზისა.

გეგონა, შენი იყო სამუდამოდ, ის კი წასულა, უკვალოდ დაკარგულა, იგონებ და ვერც მოგიგონებია...

უფალს შეწირე მადლობა უსაზღვრო ლვთიური წამის მონიჭებისათვის და დამორჩილდი უსუსურებას შენსას, უძლურებას შენსას...

„მშვენიერება აწამებს ადამიანს", — გაიფიქრა მაშინ.

ახსოვდა, როგორ ისხდნენ კოცონთან, როგორ ტკაცუნობდა ღონიერი ცეცხლი, როგორ ელავდა იგი გარშემო მსხდომთა დაღლილ სხეულებზე, როგორ დაესერა ჩაბნელებული სივრცე არყის ხეთა თეთრ, ვიწრო ზოლებს.

— ზამთარიც მოგვადგა, პალტოს შოვნა კი ვერ მოვასწარი, — წუხს როზა.

— შარშანდელი?

— ლინასი იყო, თვითონ კერავდა, არ გამოუვიდა და მაჩუქა. ვერა და ვერ მოვირგე.

— არ შეიძლება გასწორდეს?

— თუ დავარღვევთ...

— დარღვეულს შეკერა აღარ უნდა?

— ვცადოთ. პირდაპირ შენს ტანზე ავკეცავ.

— იანინა, რა გვეშველებოდა უშენოდ.

— რატომ არ დადიხართ ცეკვებზე? ერთმა მკითხა, რატომ არ დადიანო.

— ვინა გკითხა, — ცნობისმოყვარეა ვალერი.

— დაიმახსოვრეთ, ოთხშაბათი, შაბათი, კვირა.

— აბა დღეს რაღა გამოვა და ხვალ აუცილებლად...

— ამაღამ რომ ვილაცა კოცონთან გაათევს ღამეს? მარიკა მცივანაა, საძილე ტომარაც უნდა და კარავიც.

— ჩემსას დავუთმობ.

— ოღონდაც...

— არაფერი არ მინდა, თავი დამანებეთ.

— როგორ არ გინდა, გინდა.

— არ მინდა.

— გინდა. საიდან სად ჩამოხვედი და აქ გაგაციოთ?

— მარიკას ერთი საიდუმლო ვიცი.

— ჩემი?

— ჩინელს დაძმაკაცებია.

— მერე?

— მერე ისა, რომ არსებობს ვინმე გრეგორი, ლის ძმა და მეგობარი, აქედან კარგა ხნის წინ გადახვეწილი. ზოგჯერ ჩუმად შემოიპარება ხოლმე ქალაქში, ვისი ჯინიც ჭირს, ერთი-ორს წაუთაქებს და ისევ მიდის. ისეთი მოუხელთებელია, თვალიც ვერ მოკრა ვერავინ. ვისაც ცემს, იმანაც არ იცის ხეირიანად ვინაა. იქნებ ლის დააცდევინო რამე.

— თუ იცი რომ ისაა, დაცდევინება რაღად გინდა.

—ზუსტად არავინ იცის, ეჭვობენ.

— მსტოვრობა რომ არ მეხერხება...

— კარავი და საძილე ტომარა, ორივე ერთად, ხომ გინდა.

— რა დღეში ხარ, შენ ხომ არ უთმობ.

— მაცალე ორი სიტყვის თქმა.

— არც საძილე ტომარა მინდა და არც კარავი.

— უყურე შენ...

მაშინ შეიტყო მარიკამ პირველად იმ მეორის ამბავი.

მეზღვაურობდა თურმე, თევზსაჭერ ტრაულერს დაჰყვებოდა ზღვაში. დროსტარება უყვარდა და სასმელს ეტანებოდა. ბევრს სვამდა და იტანდა კიდეც. არავის ახსოვდა ფეხი რომ არეოდა მთვრალს. ბავშვივით მომნდობი იყო და ერთ ქალს მიუჩვევია. ქალს სევდი-

ანი სახე და შემპარავი, თბილი ხმა ჰქონდა. ცოლად მოუყვანია. მშვიდი ღიმილით დაასეირნებდა თურმე ქალაქში ცოლს. დროსტარებას უკლო და ფულის შეგროვება დაიწყო. ქალმა თუ ურჩია ეს.

მერე ზღვაში წავიდა და ექვსი თვის შემდეგ დაბრუნდა უკან. ვიღაცამ მიუტანა ამბავი, შენს ცოლს ერთი დღეც არ გაუტარებია მარტოს, იმავე საღამოს მიათრია სახლში ვიღაც და შენი მონაგარიც მასთან ერთად დაამღერა, ოღონდ, ეს იყო, დარაბებს ხურავდა საგულდაგულოდ, ცნობისმოყვარე თვალს რომ არაფერი შეენიშნა საექვო. სინათლეც კი არ აღწევდაო გარეთ.

და თუმცა კაცს არსად დასცდენია ამბის მომტანის სახელი, ლის უთქვამს მაშინვე:

— მაგას ლევ ლვოვიჩი იზამდა, არაყზე ეგზავნებოდა ქალს.

ცოლი ცემა, თვითონ ქალაქიდან გადაიხვეწა და მას შემდეგ არავის უნახავს. არავინ იცოდა, მართლმსაჯულებისა შეეშინდა თუ აქაურ ცხოვრებაზე აიცრუა გული, ყველაფერს მიაფურთხა და ბედის საძიებლად გასწია.

მერე დაირხა ხმა, ტაიგაში წასულა და ნადირობით ირჩენსო თავს.

გადახვეწილმა კაცმა მხოლოდ მაშინ დააჩნია დაღი ქალაქის მახსოვრობას, როცა დაირხა ხმა, ამას წინ ლი მოუნახულებია მეგობარს, სწორედ იმას უცემია ის სალახანა, დედას, მარტოხელა ქალს, ტირილით რომ მისდევდა უკან, — ჩემი დასამარხი ფული სად მიგაქვსო, კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ორმოცდაათი თუმანი რომ წაგლიჯა და პორტში შეაჭამა კახპებს. ისეთ დღეში ჩაუგდია, ერთ თვეს ვერ გამოვაო სახლიდან.

საიდან მოიტანეს ეს ამბავი, არავინ იცოდა. ეს კია, არც ლის და არც ნაცემ ახალგაზრდა კაცს არაფერი ამგვარი არ დასცდენია.

შარშანწინ კი, დღისით, მზისით, კინოთეატრის უკან ერთი ლოთი გაეშიშვლებინა ვიღაცას და ასე, დედიშობილა, მთავარ ქუჩაზე გამოეგდო. მთვრალი იყო, თავს ძლივს იმაგრებდა, რომ არ დაცემულიყო, მაგრამ [illegible]ფერს აშველებდა, სასირცხვო [illegible] იფარავდა თავგამეტებით. ტიროდა და იგინებოდა.

ტანსაცმელი მოუნახეს, კინოთეატრის კუთხესთან მიგროვილ ნაგავზე ეყარა. დაუფერთხეს და ჩააცვეს.

მერე მოიკითხა, ჩემი გოგოს პალტო სადაა, იმ ოხერმა, ვიღაცა იყო, ხომ არ მომპარაო. პატარა წითელი პალტო იქვე ეკიდა, ფიჭვზე.

გონების დაძაბვა როდი დაჭირვებია ხალხს იმის მისახვედრად, რად გამოეტანა ქუჩაში თავისი ქალიშვილის პალტო ამ არყით აქოთებულ კაცს.

— მამა ვაცხონე იმისი, ვინ იყო, — იკითხეს, მაგრამ მთვრალისაგან აბა რას გაიგებდნენ. ის თვითონ ეხვეწებოდა ყველას:

— დამეხმარეთ, გამაგებინეთ, მომაძებნინეთ..., — თითქოს სამაგიეროს გადახდის ძალა შეწევდა.

იხვეწებოდა და იგინებოდა.

ლის შეუთვალეს, შენი მეგობარი ხომ არ გამოჩენილა ამ დღეებში, ქალაქს რად ემალება, ქალაქს ყოველთვის უყვარდაო ეგ კაცი.

— აფერუმ თქვენს მიხვედრილობას, — დიდხანს უცინია ლის, მერე თავისი ვიწრო თვალებიდან გადმოულვრია გესლი, — დასამალი იმ კაცს არაფერი ჭირს, მაგრამ არც თქვენსავით გამოეფინება საქვეყნოდ. მერე რა რომ შარვლები გაცვიათ, მაინც უნიფხოები ხართ.

ასე იყო თუ ისე, გადახვეწილი კაცი სიკეთის ნათლით შემოსეს, ხოლო ერთხელ, შემთხვევით როზას ყურსაც მიწვდა ვიღაც ქალის ხმა.

— მოიცა, ჩამოვიდეს...

ახსოვდა, ბევრი იწვალა იმ ღამეს, ძლივს ჩაეძინა. გამთენიისას გაეღვიძა და მოაგონდა კარავში მარტო რომ იყო. გრილი, ნესტიანი და დახუთული ჰაერი მძიმედ აწვა გულზე. გაუჭირდა საძილე ტომრიდან ამოსვლა. მაინც ამოვიდა,

სვიტრში გაუყარა თავი და ოთხით გამოძვრა კარავიდან.

შეცისკრებული ცა ძუნწად სცრიდა ნათელს. ტყეში თხელი, რძისფერი ნისლი იდგა. არყის ხეთა სითეთრე ათქვეფილიყო მასში. ჰაერი აქაც მძიმე იყო და ნესტიანი.

ჩამქრალ კოცონთან ორნი ისხდნენ და თუმცა მხოლოდ კონტურები მოჩანდა მათი, იცოდა მარიკამ, ისინი არტემი და ვალერი იყვნენ. ვალერიმ ხომ თავისი ადგილი დაუთმო კარავში, არტემმა კი კომპანიონობა გაუწია ამხანაგს, მასთან ერთად კოცონთან გაათია ღამე.

მათკენ წავიდა. ბოდიშის მოხდა თუ უნდოდა, რადგან, მართალია, წუხელ ძალდატანებით შეიყვანეს კარავში, მაინც სათაკილო საქმედ მიიჩნია ეს. რატომ დავთანხმდიო, ინანა მაშინვე.

ალბათ ბოდიშის მოხდა უნდოდა, ბოდიშის მოსახდელად კი უკეთეს დროს ვერ შეარჩევდა, მალე მთელი ბანაკი აიშლებოდა და ამ ორი ადამიანის ცალკე მოხელთება იქნებ შეუძლებელიც გამხდარიყო.

ორიოდ ნაბიჯით წაიწია წინ და შედგა.

მამაკაცები საუბრობდნენ და მათი წყნარი ხმა ცხადად, გარკვევით გაიგონა. პირველივე სიტყვებიდან აშკარა იყო, მარიკას შესახებ ლაპარაკობდნენ და ცნობისმოყვარეობამ თუ დაძლია, თორემ ქურდულ თვალთვალსა და ყურისგდებას როგორ იკადრებდა. შუბლით მიეყრდნო ხეს და გაირინდა. ახლაც ახსოვს, ნამიანი იყო არყის ხის ტანი.

— უთევზოდ კი დაგვტოვა და...

— როზასთან იმიტომ მივედი, მინდოდა ერთი ნაცნობის გოგო მიეღო. ნიჭიერია, ერთხელ თუ მოისმინა სიმღერა, მორჩა... შევბულებიდან გვიან დაბრუნდნენ, მისაღები გამოცდები დამთავრებულიყო. იქნებ უგამოცდოდ ჩაერიცხა. საღამო ხანს შევიარე. ბევრი მახვეწნა.

— მიიღო?

— მუსიკის ხმა შემომესმა. ვიღაც უკრავდა დარბაზში, ბეთჰოვენს უკრავდა, მერვე სონატას. რამდენჯერ მომისმენია, ვინ მოთვლის. მუსიკალური სასწავლებლისა და კონსერვატორიის რამდენ სტუდენტს ვიცნობდი ინსტიტუტში სწავლის დროს და ყველა ამ სონატას უკრავდა. იმას ვფიქრობდი, მეტი არაფერია დასაკრავი, ყველა ამას რომ ურახუნებს მეთქი? ის კი ისე უკრავდა, მეგონა პირველად ვისმენდი. მუსიკისა არაფერი გამეგება და მაინც მომეჩვენა, მთელი ჩემი სული ხელისგულზე რომ ესვენა. სანამ არ დაამთავრა დაკვრა, ხმა ვერ ამოვიღე. მერე ვკითხე, რომელი უკრავდა, ინანინა თუ მეორე მეთქი. იანინას ვიცნობდი. დონატმა გამაცნო. ჯერ იანინა მამეცადინებსო, — მითხრა როზამ — მერე იქნებ მაგანაც გამოიმეტოსო ჩემთვის დრო. მერე კი რაც მოხდა, იცი. არ ვიყავი გუნებაზე და დავლიე. სასმელმა კიდევ უფრო გამაფუჰა და მთვრალმა ის გავიფიქრე, თუ გამიგებს, ისევ ის გამიგებს, სხვა ვერავინ-მეთქი, მაინც, რა სწრაფად ვრცელდება ჭორი...

— ჭირვეულია, ვერ გაუგებ ვერაფერს, ვერც ვერაფერს გააგებინებ, ჯიუტი უნდა იყოს. არ მიყვარს ჯიუტი ხალხი. არც შეხედულებითვარგა, ლამაზი მაინც იყოს. ისეთი სახე აქვს, ვერ დაიმახსოვრებ. რამდენი ნიჭიერი ხალხი დადის ქვეყანაზე, მარტო ნიჭი რომ ბადებდეს ვნებას... იქნებ არც ისე ნიჭიერია და გეჩვენება. შენ თვითონ არ ამბობ, მუსიკისა არაფერი გამეგებაო?

— სწორედ რომ ნიჭი ბადებს ლტოლვას, რადგან ნიჭს თან ახლავს მარტოობა, შეუპოვრობა და სასოწარკვეთა ერთსა და იმავე დროს. გინდა ახლოს იყო, დაამშვიდო, დააწყნარო.

— ნიჭიერ კაცს აქ რა უნდა, ამ მიყრუებულ კუნძულზე. აქ ხომ ჩაკვდა. ან ვინ გამოუშვებდა, ჩააფრინდებოდნენ კბილებით. სასაცილო ხარ. ერთი ჩემი თვალით დაგანახა...

— ულამაზოა, არ მოგწონს, — გაიცინა ვალერიმ, — მართალია, ულამაზოა, ჭირვეული. ჯიუტი.

— სულ შუბლშეკრული როგორ უნდა იყოს, ერთხელ არ უნდა გაიღიმოს? სულ რომ არაფერი, ახალგაზრდაა.

— არ შეიძლება სხვანაირი იყოს. ის ჯერ ჰაერს ეძებს, საკუთარი თავის პოვნისათვის იბრძვის. შენ კი მოითხოვ დახვეწილ მანერებს, მაცდურ თვალებს, ღიმილს, ქალობას, გინდა მამაკაცი ცხრა მთას იქითაც იგრძნოს. ის კი ჯერ იმდენ რამეში ვერ გარკვეულა...

— რომანტიკოსი ყოფილხარ, უფრო სწორად, ფილოსოფოსი.

— შენთან ძნელია ლაპარაკი. არ იცი, რა გულწრფელად მშფოთვარეა იგი, როცა უკრავს.

— გულწრფელი იყო მაშინაც, თევზებს რომ ისროდა წყალში. გაგვამწარა ვითომ.

— ჩვენი გამწარება აზრადაც არ მოსვლია. მას შეეძლო და სიცოცხლეს დაუბრუნა თევზი. ეს იყო მშვენიერი წუთი.

— არ ვიცი, რა იყო მშვენიერი. პირადად ჩემთვის სავალალო აღმოჩნდა ის გულწრფელობა. უთევზოდ დავრჩი.

— ნუთუ ასე ძნელია ამის გაგება. იგი თავის თავს ეძებს, თავის სახეს, თავის ხმას, თავის სიმშვიდეს, ერთი სიტყვით, თავის კავშირს უსასრულობასთან.

— თვითონ გადაგიხსნა გული?

— საკმარისია დაინახო მისი სახე, სახე, რომელსაც ვერ დაიმახსოვრებ. იმიტომ, რომ იგი ჯერ ვერ მიუგნია მას.

— ყოჩაღ, ძმაო...

თავიდანვე იცოდნენ ეს საუბარი არც ერთს რომ არ შეუცვლიდა აზრს, ამიტომ არც ხმა აუწევიათ, არც გაცხარებულან, ოდნავადაც არ აუჩქარებიათ საუბრის მოდუნებული მაჯისცემა და მოეჩვენა მარიკას, მასზე საუბრით იქცევდნენ თავს მამაკაცები, რაღაცით ხომ უნდა მოეკლათ დრო.

მარიკას ახსოვდა, კარგად ახსოვდა თითოეული სიტყვა, ხმადაბალი და გულგრილი, გამეტებულად მოქნეული მათრახივით რომ წვიოდა დილის ბინდში და სახეში სცემდა.

ვინ იცის, რა ბნელი, რა ყრუ ენერგიის შემცველია ყოველი, თუნდაც უმნიშვნელო სიტყვა, შესაფერ ნიადაგში მოხვედრილი რა უცებ იყრის ტანს, რა უცებ მსხვილდება და ძლიერდება, რა მწვავედ აწუხებს იგი ნერვებს და როგორი გამძაგებით ითხოვს სივრცეს.

ტყიდან რომ გავიდა და ზეგანს შეუყვა, მაშინღა იგრძნო, როგორ უკანკალებდა კიდურები, ტანის სიმძიმეს სრულიად ველარა გრძნობდა. ნაშალზე ორიოდ ნაბიჯის გადადგმაც კი გაუჭირდა, მაშინვე დაბლა ჩამოცურდა. მერე ფრჩხილებით ჩააფრინდა ღორღს და ნელა აიწია მაღლა. ბრაზობდა, ძლივ რომ ახერხებდა ღოღვას და ტიროდა, სხვა არაფერი რომ არ შეეძლო.

დიდხანს მიდიოდა ოთხით. გაოფლიანდა. შუბლიდან ღვარად წამოსული მლაშე სითხე ცრემლში აერია და მთლად მოუთხვარა სახე. როცა ზეგანს თავზე მოექცა, წელში გამართვა ვერ შეძლო, პირქვე გაწვა, მერე ზურგზე გადატრიალდა და ვაი-ვაგლახით წამოჯდა.

გათენებულიყო. დილის შუქზე აბდღვრიალებული შემოდგომა მსუბუქად იწვა ხეობაში. არყის ხეთა თეთრი ზოლები რბილად ჭრიდა მის დაწმენდილ, ყვითელ ნათებას. მდინარე კი, ისევ მღორე და ბუნდოვანი, მორჩილად ეგდო კალაპოტის ირტახებში.

ფერდზე ბობღვისას გადავიწყებოდა რას დაეყენებინა გზაზე. ახლა გაახსენდა. ძნელი სათქმელია, ვინ აწყენინა ასე, არტემმა თუ ვალერიმ. ალბათ ორივემ, რადგან არტემის მიმართ ყოველთვის გულწრფელი აღფრთოვანებით იყო სავსე და თუ ასეთივე აღფრთოვანებას არა, ადამიანურ, კეთილ დამოკიდებულებას მაინც ელოდა მისგან, ვალერის დასაცავი კი მე რა მჭირს, არ მოეწონებარ და ნუ მოეწონები, ვინ აძალებს თავს, მაინც როგორი ხაზგასმით იმეორებდაო, — ულამაზოა, ულამაზოა, ულამაზოა...

ისევ ღორღზე გადაწვა და ჩათვლიმა. მზემ გამოაღვიძა. თვალებზე ედგა მისი სიკაშკაშე. გაიღვიძა და არ განძრე-

ულა. დაღლილობას არ გაევლო და არაქათგამოცლილს თვალების გახელაც დაეზარა. ის გაიფიქრა, უკან დაბრუნება რომ აღარ შეეძლო, წინ წასვლისა კი შეეშინდა. მარტო როგორ გაივლიდა ამხელა მანძილს, იქნებ გზაც არეოდა. აღშფოთების პირველ ტალღას უკვე გადაევლო და ახლა ნანობდა გამოქცევას.

იგრძნო, როგორ დაეცა ჩრდილი მის სახეს. მზე თუ ჩავიდაო, გაიფიქრა. ეცადა გონება დაეძაბა, გადაწყვეტილება მიეღო.

წამოდგომას ეცადა, თვალები გაახილა და მაშინღა დაინახა ვალერი. თავთით ეჯდა და უღიმოდა.

ჯერ შეეშინდა, მერე გაუკვირდა და ბოლოს გაეხარდა. ისეთი ძლიერი იყო სიხარული, ყველაფერი გადაავიწყდა, ყველაფერი გადაუყარა გულიდან, გააღიმა.

— დავიღალე, —თქვა.

— ასე ვერ დაისვენებ, — ვალერიმ ხელები გაუწოდა გოგოს, წამოაყენა. მერე ხელები დაუკოცნა და როცა იგრძნო როგორი მორჩილი, როგორი სუსტი და უბრალო იდგა მარიკა მის წინ, მხრებზე მოხვია ხელი და მიიზიდა.

— არ შეიძლება .ასეთი კატეგორიული იყო, — უთხრა დაწმენდილი ხმით.

მარიკას მოაგონდა რაღაც ამგვარი არტემმაც რომ უთხრა და ისევ გაიღიმა, რადგან ისიც მოაგონდა, უკვე რომ ეპატიებინა ორივესათვის ყველაფერი, ბოლმისაგან განთავისუფლებულიყო, ამოესუნთქა.

რა მშვენიერი იყო ის წუთი, რა გულწრფელი, რა ნამდვილი. რა საოცარი ქრომატიზმით ადიოდა მაღლა მათი ერთმანეთისადმი ნდობა და სინაზე, როგორი სიხარულითა და სიმშვიდით იყო სავსე ყოველი გამოხედვა, ყოველი სიტყვა...

და მიხვდა ვალერი, უნდა შეჩერებულიყო. უნდა შეჩერებულიყო, სანამ დაირღვეოდა ეს ნათელი ჰარმონია, ეს საზეიმო შეხმატკბილება ორი სხვადასხვა სიღრმისა და პოტენციის ხმისა, რადგან თუ ასე გაგრძელდებოდა, მას უთუოდ დაშლა ეწერა. მაშინ კი შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ამ დაშლას სასოწარკვეთა და თავზეხელაღება მოჰყვებოდა უთუოდ, ახალი, უფრო მაღალი, უფრო სრული შერწყმის მღელვარე გზაზე. მარიკა კი ისეთი მშვიდი, ისეთი გამჭვირვალე ნათებით იყო სავსე...

ვალერი ღონიერი იყო, ღონიერი და კეთილი. ფიქრობდა, ასეთი წუთი კიდევ მრავლად ელოდა წინ. ეგონა ყველაფერს დაძლევდა, ყველაფერს დაიმსახურებდა.

ცდებოდა ვალერი.

ამ წუთებს გამეორება აღარ ეწერა.

დაიწყო წვიმები.

იწვიმა, მერე წუთით გადაიღო, თითქოს კიდევ ერთხელ ახადესო ფარდა სცენას, მაყურებელს უკანასკნელად რომ შეევლო თვალი შემოდგომისათვის, უკანასკნელად მოეხარა ქედი მისი დიდებულების წინაშე. მაგრამ მათ წინ აღარ იდგა ის მიწა და ცა, ის მზე და ჰაერი, ის სიყვითლე და სიმშვიდე. სხივჩამქრალი, განწყობილებაშეცვლილი იდგა სცენაზე ოქტომბერი, ნაცრისფერ წამოსასხამში გახვეული, წასასვლელად გამზადებული.

6.

ქარი დასავლეთიდან დაიძრა და თან დამპალი თევზის სუნი მოიტანა. ქალაქის სამხრეთით, ზეგანზე შეფენილ ფიჭვნარს ლამაზი სამოსი, თხელი, ნათელი და მშვიდი ნისლი შემოაგლიჯა, დაუფლითა, დაუნაკუწა, გახევებულ ტოტებში ალაგ-ალაგ ჭუჭყიანი ძონძებივით დაუხლართა და ტყის მეჩხერი, პატივაყრილი სხეული გამოაჩინა.

სილურჯე, რომლითაც ფიჭვნარი მშვენივრად ეხმიანებოდა ზღვასა და ცას, ჩაამუქა, ჩააშავა. თუმცა, ახლა, აღარც ზღვა იყო ლურჯი და აღარც ცა.

ქარი დაჟინებით მიერეკებოდა უკვე ღონემიხდილი ოქტომბრის უკანასკნელ დღეებს, არღვევდა და აცამტვერებდა ცისა და მიწის შემოდგომისეულ კავშირს, შემოდგომისეულ ფერთა ჰარმო-

ნიას, თავისი უხილავი, ძლიერი ფრთებით აღრჩობდა შემოდგომისეულ განწყობილებას და აცარიელებდა ჰაერს ახალი, ჯერ უცნობი, ჯერ განუცდელი ფერისა და განწყობილების ჩასახვისათვის.

ქარს წვიმა მოჰყვა. გაგულისებული მოადგა ქალაქს. მთელი ენერგიით შეასკდა ფანჩატურების ლაყლაყა, სიფრიფანა კედლებს, რადგან მხოლოდ ქარი არ იყო საკმარისი, ახლა მას უნდა ჩაერეცხა, ჩაეტანა, ჩაემარხა შემოდგომის უკანასკნელი ნაფლეთები, აღეგავა პირისაგან მიწისა, მერე დაეტირა კიდეც, დაეტირა მწარედ. გულსაკლავად და წასულიყო, გადაკარგულიყო, აღარ გამოჩენილიყო მანამ, სანამ ახლად დასამკვიდრებელ ფერებსაც არ დაჭირდებოდა ჩარეცხვა, ჩამარხვა და დატირება.

როცა წვიმამ გადაიღო, მარიკამ დაინახა, დამდგარიყო ზამთარი.

არა, თოვას არ აპირებდა, არც ცა იყო მძიმე, დაბალი, ნისლიანი. არცა ყინავდა. ტალახიანი ორიოდ ქუჩა სველ, ჩაშავებულ ხის სახლებს შორის უხერხულად მიგდებულიყო და აეპრიალებინა უკვე პირმოკრული ტალახი.

ჰაერი, გამოფიტული. მშრალი და გამჭვირვალე, ქალაქს თითქოს უფრო ავიწროებდა, აპატარავებდა, ისე მიეახლოებინა ერთმანეთისათვის ზღვა და ქედი, ორივე ერთად.

მიწა, გულგრილი და მთვლემარე, უკვე აღარაფერს ელოდა. მოლოდინსმოკლებული სიჩუმე უმტკივნეულოდ იმტვრეოდა ათასში ერთხელ ახრიალებული სატვირთო ავტომანქანის სუნთქვით.

მარიკას მოეჩვენა პირველად რომ ხედავდა ამ ქალს, ვალენტინა მის გვერდით დაბალ, ოთხკუთხა მაგიდას რომ მიუჯდა და ფეხი ფეხზე შემოდო.

ყოველდღე ხვდებოდა სკოლაში. პატივისმცემელი სალამი იცოდა, თავს ღრმად დაგიხრიდათ და თვინიერი ღიმილი ეკვროდა სახეზე. არც ლაპარაკი უყვარდა ხმამაღალი და ყველას ყველაფერში ეთანხმებოდა. ყურადღებით იცოდა ადამიანის მოსმენა, თან საფეთქლებსა და თვალის უპეებზე უყვარდა თავისი დიდრონი, ღონიერი და კარგად მოვლილი თითების ჩამოსმა, კანს ისწორებდა თითქოს.

კარგად აღზრდილი გოგონააო, — დაზეპირებულივით იმეორებდა ყველა, მარიკას კი ყოველივე ეს მაინცა და მაინც დიდ ღირსებად არ მიაჩნდა, რადგან, ამასთანავე, ამპარტავანი, ქედმაღალი, უკადრისი სიარული იცოდა.

ფეხი ფეხზე შემოდო და მთასავით დაახვავა ცოცხალი ხორცი, მჭიდროდ შემოტმასნილი კაბის ნაკერები დაწყვეტამდე დაჭიმა.

ადრეც ხედავდა, ხედავდა და ახსოვდა ტანმაღალი და ტანმსხვილი რომ იყო დონატის ასული, მაგრამ თუ ამდენი ხორცი ჰქონდა, როგორ წარმოიდგენდა. გაკვირვებულმაააყოლა თვალი ბარძაყებს და მკერდს წააწყდა. ვერც ის ეტეოდა ტანსაცმელში და დაჭიმული კაბის ქვეშ ულაზათოდ გაბრტყელებულიყო. მაღალ, მსხვილ კისერზე მრგვალი თავი ამაყად მოჯდომოდა და თმის აფუებული ვარცხნილობა კიდევ უფრო უდიდებდა და უმრგვალებდა მას. სახის ნაკვთებიც მსხვილი ჰქონდა, ლამაზი მოყვანილობისა, მაგრამ იმდენად მსხვილი, ძნელი იყო სიმპათია გამოეწვია.

ის მოაგონდა, ერთხელ სკოლაში ვიღაცამ რომ ჰკითხა ვალენტინას, რამდენი წლისა ხარო. ოცდაორისა გახლავართ, მაგრამ ჩვიდმეტ წელზე მეტს არავინ მაძლევსო, — უპასუხა დარცხვენილად.

მაშინ არ მიუქცევია ყურადღება, ახლა კი ჩაეცინა. ასეთი უშველებელი სხეულის მქონე ქალს ოცდაორს კი არა, რატომ ორმოცდაორს არ მიცემდნენ, სახის კანი რომ არა ჰქონოდა ნორჩი და ფერსავსე.

ცოლისაგან განსხვავებით ქმარი მოზარდსა ჰგავდა, თუმცა სამი თუ ოთხი წლით უფროსი იყო. მაღალი,

მაგრამ თხელი, სუსტი ტანი ჰქონდა. ფერმკრთალ, ნამუწუკარ სახეზე მხოლოდ თვალები ეტყობოდა, წვრილი, ცისფერი, ღრმად ჩახრახნილი და მოძრავი, მოუსვენარი. თუმცა უყურადღებო და ზარმაცი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მისი მოქნილი მზერა ყველაფერს ამჩნევდა და მოუთოკავ ცნობისმოყვარეობას უაშკარავებდა.

იშვიათად იტყოდა რამეს, ლაპარაკი არც ეხერხებოდა და არც უყვარდა, მაგრამ ხმას თუ ამოიღებდა, სახტად ტოვებდა ყველას. იცოდნენ, განა არ იცოდნენ დაბალი, მსუყე ბანი რომ ჰქონდა, მაგრამ იმდენად შეუთავსებელი იყო მის სუსტ, ავადმყოფურ სახესთან და სხეულთან ასეთი ენერგიული და ძლიერი ხმა, მაინც უკვირდათ.

როგორ წარმოიდგენდა, დონატი თუ გადაწყვეტდა თავისი დაბადების დღის აღნიშვნას. ჯერ კიდევ გუშინ ისეთი ალიაქოთი ატეხა მხატვარმა, ქალიშვილმა რომ გაიხსენა ხვალ ჩვენი დაბადების დღე გახლავთო, ყველას მოაბეზრა თავი.

გაკვეთილების შემდეგ დარბაზში შეკრებილიყვნენ და საახალწლოდ დაგეგმილ კონცერტზე ლაპარაკობდნენ.

— კონცერტის პირველ განყოფილებას მოსწავლეები შეავსებენ, მეორეს— პედაგოგები — ლაპარაკობდა როზა,— დარბაზი საზეიმოდ მოვრთოთ, ფერადი ბურთები დავკიდოთ, კედლებზე ყვავილები მივამაგროთ. ქაღალდის ყვავილებზე ვამბობ, მაგის მეტი რა მიკეთებია. კლუბი სულ ჩემი ხელით იყო მორთული.

— სკარლატის სონატას შევასრულებ. კონცერტზე მაინც მომისმინოს მარიკამ. შენ?—ღიმილით შეაცქერდა მარიკას.

— არა ვარ მზად.

— რა მომზადება უნდა მშობლების წინ სამ წუთიან ბრახუნს. შენ გგონია ბევრი გაეგებათ?

— რადგან ბევრი არაფერი გაეგებათ, მოვატყუო?

— ესე იგი, მე მოვატყუებ?

— შენ არ მოატყუებ, — ეროდა იანინა, — რაც შეგიძლია იმას დაუკრავ და იმიტომ. მარიკას კი მეტი რომ შეუძლია და რაც შეუძლია, იმდენს ვერ შეძლებს, იმიტომ წუხს. საწყენი აქ არაფერია. მეცა და შენც მუსიკასთან მოწაფის დამოკიდებულება გვაქვს, მარიკა კი სხვაა...

დონატმა სწორედ მაშინ შემოაღო კარი.

პირველად ხეირიანად ისიც ვერ გაიგეს, ხვალ ოჯახის რომელი წევრი ზეიმობდა ამ ქვეყნად მოვლინებას, ვალენტინა თუ იგორი, რადგან კარგად ახსოვდათ, ბავშვი ივლისში რომ დაიბადა. დონატზე არც უფიქრიათ. მერე კი, კაცი თავგამოდებულ ქოთქოთს რომ მოჰყვა, როზამ განაცხადა.

— კარგი, ბატონო, არ მოვდივართ.

— მობრძანდით, მაგან არ შემაშინოს მე, მაგრამ ვერ ვიტან დაბადების დღეს რომ ზეიმობს კაცი. დიდი ამბავი, თუ დაიბადე. შენც ქრისტე დაიბადე ვითომ. სისულელეა და სხვა არაფერი. ყველას რაღაცა ჰგონია თავი. გინდა დავბადებულიყავი და გინდა არა, რა მნიშვნელობა აქვს. ნეტა სულაც არ გავეჩინე ღმერთს. ტანჯვის მეტი არაფერი მინახავს.

— არა ხარ მართალი, — გააწყვეტინა იანინამ, — შენ შენი დაცემა და შენი ამაღლება გაქვს, შენი გზა გაქვს, ყველა დანარჩენისაგან განსხვავებული და აუცილებლად გასავლელი, შენი გამოცდილება და გემოვნება.

ნუთუ ძნელი იყო იმის მიხვედრა, ცხოვრებაზე გულგატეხილი, საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვებული, წონასწორობადაკარგული და ქაოსის წინ აღმოჩენილი კაცი საყრდენს რომ ეძებდა. იანინამ კი იგრძნო ეს, ხელი გაუწოდა. მარიკამ კი ის გაიფიქრა, აი, თურმე, როგორ მოახერხა ამ კაცის მიჩვევა, ქათინაურებით დაუხვევია თავბრუ, კვებავს მის პატივმოყვარეობასო.

დონატის შვილიშვილმა, როგორც კი გახადეს პალტო, სირბილი დაიწყო. თავისი ასაკისათვის შეუფერებლ-

ად დიდიც იყო და ენერგიულიც. სწრაფად და უშიშრად დარბოდა მაგიდის გარშემო და მსუქან ფეხებზე მჭიდროდ ამოსხმულ ფეხსაცმელებს აბრახუნებდა.

— ააა,—ამ ერთადერთ ბგერას ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ხმამაღლა უშვებდა ფართოდ გაღებული პირიდან, თან გაუთავებლად იქნევდა ხელებს და საითაც არ უნდა გაქცეულიყო, მაინც ბაბუასაკენ იყურებოდა. რაღაც სურვილი თუ გასჩენოდა და რადგან ენას ფეხებივით მარჯვედ ვერა ხმარობდა, თავის მოუთმენლობას ასე ამჟღავნებდა.

— წაიქცევი, — უკან მოჰყვებოდა იგორი.

— მამა, წამოიძახა ვალენტინამ და კიდევ ერთხელ მოაგონა მარიკას, ყალბი, გადაპრანჭული ხმა რომ ჰქონდა ამ ხორცით ყელამდე სავსე სხეულს, — რატომ აწვალებ ბავშვს?

დონატი უსიტყვოდ აჰყვა ვალენტინას და პატარა ბავშვის ნებას და ერთხანს ბაბუა და შვილიშვილი ერთად დარბოდნენ მაგიდის გარშემო.

— დაჭერობანას თამაშობენ, — კმაყოფილი იყო ვალენტინა, — იქნებ დაიღალოს. მერე, სადმე, კუთხეში დავსვამ და ხიოს გაზეთი.

— გაზეთის ხევა უყვარს? — აჰყვა მარიკა.

— მშვენივრად ერთობა.

— როზა სად არის, — ძლივს ახერხებდა ლაპარაკს აძუნძულებული დონატი.

— სახლში არ დაგვიხვდა, კლუბშიაო, გვითხრა მეზობელმა. კლუბში მივედით და ჯერ არ მოსულაო. გზაში დავკარგეთ ქალი. გუშინ ის ამბავი არ უნდა დაგეტრიალებინა...

— რა ამბავი. სიტყვის თქმაც აღარ შემიძლია? რაცა გვაქვს მოიტანეთ. გაშალეთ სუფრა. არტემი რაღას უცდის...

ზლაზნით წამოიმართა ვალენტინა.

მარიკას ახლაღა მოაგონდა იანინა, ოთახის კუთხეს თავშეფარებული, სახელურებგადაცვეთილ სავარძელში იჯდა. ელექტრონის ნათურა ძალიან დაბლა, პირდაპირ მაგიდის თავზე ეკიდა და მის ისედაც სუსტ ნათებას უკვე გაყვითლებული გაზეთის ქაღალდი ზღუდავდა. თუმცა სიბნელეში იჯდა იანინა, მარიკამ მაინც დაინახა როგორი მორცხვი და გაუბედავი იერი ჰქონდა მთელ მის სხეულს, უხერხულობის დასაფარავად სახეზე მოკრძალებული ღიმილი რომ აეკრა და ისე უთვალთვალებდა ბაბუასა და შვილიშვილის ანცობას.

ჯერ გაიკვირვა, დონატის თხოვნამ სავარძლიდან რომ არ წამოაგდო იანინა, მერე მიხვდა, ალბათ, არ უნდოდა ზედმეტად გაეღიზიანებინა ვალენტინა, იქნებ გრძნობდა, მაინცა და მაინც რომ არ სიამოვნებდა დონატის ასულს მამამისთან გადამეტებული სიახლოვე.

როცა ბავშვს სირბილი მობეზრდა და იგორს შეაბობღდა მუხლებზე, დონატმა მაგიდის ქვემოდან სკამი გამოაცურა და ჩამოჯდა.

— სახელოსნოს კედლებზე ტილო მინდა გადავჭიმო, ჩვეულებრივი, ნაცრისფერი.

— როგორ.

— უნდა დაიჭრას და გადაეკეროს ერთმანეთზე. კედლებზე მე გადავჭიმავ. მეხერხება. იანინა თუ არ დამხარდება... მოაცურე ეგ სავარძელი მაგიდასთან, რას მიყუჟულხარ კუთხეში. ძნელია გადაკერება?

— არა.

— კარგი იქნებოდა საკერავი მანქანა გვქონოდა, მაგრამ...

— ატელიეში რომ მიგეტანათ? — თქვა მარიკამ.

— ხელს არ მოჰკიდებენ. რა ჯდება ეგ, კაპიკები. კაპიკებისათვის დროს არ დაკარგავენ.

— თქვენც ადექით და ზედმეტი მიეცითო, — უნდოდა ეთქვა და თავი შეიკავა.

— მარიკამ კერვა იცის, — ჩაერია ვალენტინა, — როზას მშვენივრად გაუკეთა პალტო.

— პირველად მოვკიდე ნემსს ხელი. ტანზე დავუზღანდე.

— ვისი საკერავი მანქანა იხმარე მაშინ...

— ხელით შევკერე, გვირისტით.

არტემიც მოვიდა.

— რას გვეტყვის ახალს არტემი? — იკითხა მასპინძელმა.

— თოვს.

— უყურე, შენ, — პირველად ამოიღო ხმა იგორმა, დაავორა ბანი.

არტემს ღიმილი გაუქრა სახიდან.

ერთხანს სუფრასთან ისხდნენ, მერე იგორიცა და არტემიც, ორივე ერთად ფირსაკრავისაკენ წავიდნენ, კედელთან, პირდაპირ იატაკზე რომ იდგა. ზედ ფირფიტები დაეხვავებინა სახლის პატრონს.

იქ თუ წალაპარაკდნენ. ისე ხმადაბლა, ისე ჩუმად წალაპარაკდნენ, ერთი სიტყვაც კი არ მოსულა მაგიდამდე.

არტემი არავის გამოთხოვებია, ისე გავიდა ოთახიდან.

— დონატ, პალტო სადაა, — მოისმა მისი ხმა დერეფნიდან.

— მიდის? — შეცბა იანინა.

— ფხუკიანია, ყველა წვრილმანი სწყინს, — თქვა ვალენტინამ.

— ვერ ეწყობიან ერთმანეთს, — ძლივს მოახერხა დონატმა.

— პალტო!

მr ჩიგი ჰქა აღარ აწეულა. გოგონები ერთად წამოდგნენ.

— მალე თუ დავიშლებოდით, არ მეგონა, — თქვა ვალენტინამ, — შენ სადღა გეჩქარება, მარიკა, შორს ხომ არა ხარ წასასვლელი.

— ხვალ ადრიანად უნდა ავდგე, — მიიღო მშრალი, მოკლე პასუხი.

— იანინაც გვტოვებს? — ეწყინა დონატს.

მხრები აიჩეჩა იანინამ.

ახსოვს მარიკას, რა უცებ მოკეტა კარი ვალენტინამ, თითქოს მთელი საღამო იმას ნატრობდა, რაც შეიძლება ჩქარა მოეცილებინა სტუმარი თავიდან. არა სწყენია, გეწყინება იმ ადამიანისაგან, რომელიც გიყვარს, ან თუ არ გიყვარს, პატივისცემა მაინც გაქვს მისი. არც დონატი, არც მისი ქალიშვილი და მით უმეტეს, იგორი, რომელსაც მარიკა სკოლაშიც კი ძალიან იშვიათად ხვდებოდა, ალბათ, მხოლოდ საორგანიზაციო დღეებსა და კრებებზე, არ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც წყენა ან სიხარული შეეძლოთ მოეტანათ მისთვის. გაეცინა და ის გაიფიქრა, ნეტავი რად ირჯებოდნენ, რად მეპატიჟებოდნენო. უსიტყვოდ წავიდა თავისი ბინისაკენ და მხოლოდ მაშინ მოაგონდა იანინა, როცა ხმა შემოესმა მისი.

— ჯერ ცხრაც არ არის. იქნებ გაგვევლო...

დეკემბერი იდგა და დეკემბერი გაგრძელდებოდა კიდევ ოცდაცხრა დღე, ჯერ მხოლოდ ორი კვირისა იყო თოვლი, ახალშობილივით ნაზი, სათუთი, უცოდველი, ხან ვარდისფერი, ხან ცისფერი, ხან იისფერი, მაგრამ ყოველთვის ერთნაირად ანკარა და ანცი შუქით სავსე, ლბილი და მორჩილი. დაფარფატებდა ახალშობილივით გულადი და უმიზნო, თავისი სხეულის აქურით აწონებდა ყველას თავს.

ჯერ კიდევ ახარებდა მარიკას სიუხვე მისი.

— მიყვარს ასეთი საღამოები, — თქვა იანინამ, როცა მთავარ ქუჩაზე გავიდნენ. — რაღაცნაირად, თავს გავიწყებს....

— ...

იცოდა მარიკამ, ასეთ საღამოს რომ შეეძლო თავდავიწყების მინიჭება, მაგრამ მხოლოდ იმათთვის, რომელთაც ნამდვილად შეეძლოთ მისცემოდნენ თავდავიწყებას თავიანთი შინაგანი სიმშვიდის წყალობით, უკვე მიგნებული მყარი და საიმედო სულიერი თავშესაფარის წყალობით. იცოდა მარიკამ, ასეთ საღამოს რომ შეეძლო თავდავიწყების მინიჭება მხოლოდ ბედნიერთათვის და არა იანინასათვის, რომლის აფორიაქებული ბუნება მისსავე წყნარ ხმას სევდის ექოში ხვევდა.

შეიძლება მცირე, ღარიბი, მაგრამ საკუთარი ცხოვრების გამოცდილება კარნახობდა ამას. რამდენჯერ მომხდარა, გამოსულა გარეთ, გამოსუ-

ლა და უხეტიალია დიდხანს. თითქოს არაფერი აწუხებდა, თითქოს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა მოყვანილი და სიმშვიდეს მისას საფრთხე არსაიდან ელოდა, მაინც ვერა გრძნობდა თავს მშვიდად, მაინც არ შეეძლო მთლიანად მისცემოდა ბუნებას. ყველაზე ძლიერ სწორედ ასეთ საღამოს გრძნობდა შინაგან მოუწესრიგებლობას, იმას, რომ რაღაც აკლდა, აკლდა ყველაზე აუცილებელი, ყველაზე საჭირო, თუმცა არ იცოდა რა და ხშირად ისიც მომხდარა, რაც უფრო მშვიდი, რაც უფრო მშვენიერი იყო საღამო, მით უფრო სევდიანი, მით უფრო მარტოსული ბრუნდებოდა შინ.

— მახსოვს შენი მეექვსე რაფსოდია. „ანდანტე" და ის პასაჟი, მერე „ალეგრო", ოქტავები, რა სისწრაფე გქონდა, რა სიმსუბუქე, როგორი მარცხენა... დერეფანში ვიდექი, დარბაზის კარი მოხურული იყო, მეგონა მამაკაცი უკრავდა ვინმე. ეხლა კი თითსაც არ აკარებ კლავიატურას.

— შენ ხომ თავს იკლავ.

— ჩემგან პიანისტი მაინც არ გამოვა. ყველაფერს დანარჩენს რომ თავი გავანებოთ, შიშს ვერაფერს ვუხერხებ. კლავიატურის ახდილ სახურავში ვიყურები.

— რატომ.

— კლავიატურა ირეკლება იქ, ჩემი თითებიც. იმას ვუთვალთვალებ. სკოლაში არ ვიცოდი ეს, სასწავლებელში დამჩემდა.

ხის სახლების ამღვრეული მზერა ნელა და ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდა. ჩალურჯებულ თოვლსაც წათვლიმა თითქოს, რადგან თოვა შეწყვეტილიყო და აღარაფერი ტოკავდა ჰაერში. მხოლოდ მათ ფეხქვეშ ჭრიალებდა ახლად დადებული თოვლი, რბილი და მშრალი, თოვლიან სილურჯეში იგი ღამის სუნთქვასავით ისმოდა და მათ მარტოობას მკრთალი პუნქტირივით მიჰყვებოდა თან.

ერთი სურვილით იყო სავსე მარიკა, რაც შეიძლება სრულად შეეწოვა იმ ღამის სილურჯე, იმ ღამის ყინვანარევი ჰაერი, მშრალი, რბილი თოვლის მკრქალი, ვერცხლნარევი ნათება და თუ გნებავთ, მისი წყნარი, რიტმული სუნთქვაც კი, რადგან ზამთარი, თავისკენ ეწეოდა. მარიკას დამძიმებულ სხეულს კი არ შეეძლო ამ აღმაფრენას აყოლოდა, სიმსუბუქე აკლდა, თავდავიწყების უუნარობა აწვალებდა, იმ სიმსუბუქესა და თავდავიწყებას ამ სილურჯისა და ყინვანარევი ჰაერისაგან, თოვლის მკრქალი, ვერცხლნარევი ნათებისაგან, ღამის წყნარი, რიტმული სუნთქვისაგან ელოდა საჩუქრად, ფასდაუდებელ, ძნელადგასამეტებელ, ოცნებადქცეულ საჩუქრად...

— უკვე გვიანაა, — ფრთხილად შეახსენა თავი იანინამ.

თანამგზავრს შეხედა, თითქოს გაუკვირდა, აქ საიდან გაჩნდაო.

— თვალებზე რა მოგივიდა.

სახეზე იტაცა ხელი იანინამ.

— წამწამები მქონდა შეღებილი და თოვლმა თუ ჩამომირეცხა.

გაიღიმა, გაიღიმა წყნარი, ფიქრიანი ღიმილით, ღიმილით, რომელშიც არაფერი იყო დამალული, გულახდილი, ადამიანური ღიმილით გაიღიმა და თითქოს ფარდა ახადაო საკუთარ სახეს, გულისტკივილით სავსე, ნათელი სივრცე გამოაჩინა.

—მინდოდა ლამაზი ვყოფილიყავი.

მარიკას ახლაღა მოაგონდა დონატთან რომ იყვნენ იმ საღამოს და ბრაზი მოერია.

„სულელია შენი დონატი" — გაიფიქრა.

ამრეზით შეხედა გოგოს, რადგან იმ სიკეთეს, რომლითაც იანინა ეკიდებოდა იმ ვიღაც მამაკაცს, უზნეოდ თვლიდა.

„რაში ჭირდება, რომ ეპრანჭება კიდეც... რატომ ღმერთი არ გაიცინებს".

სამაგიეროდ ეს თქვა:

— ძალიან კი გვაშინებდნენ ზამთრით.

იანინამ ისევ გაიღიმა.

ამ ღიმილში ახლა მოლოდინის თავშეუკავებლად აციმციმებული სხივი გაჩენილიყო. დონატზე თუ სურდა სა-

უბრის გაგრძელება გოგოს და იმას ელოდა, მისი სიტყვების საპასუხოდ მარიკასაც ეთქვა რაიმე. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რას იტყოდა, ავსა თუ კარგს, ოღონდ ეთქვა, საშუალება მიეცა მისთვის გულში დაგროვილი დარდისათვის პირი მოერღვია და ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ქვიშადქცეული გუნება.

მარიკა დუმდა.

მერე ტუჩები მოკუმა იანინამ, სახე დაძაბა, თითქოს ეშინოდა არ დაცდენოდა იმ კაცის სახელი, ვისდამი მორჩილებაც ცხოვრების მიზნად ესახებოდა მაშინ.

ორი იანვარი...

მაშინ გამოთიშეს მუსიკალური სკოლის გათბობა და იანინაც იმ დღეს გადაბარგდა მარიკასთან, გადაიტანა თავისი ლოგინი და ტანსაცმელი.

...

ერთი კვირა იცხოვრა მარიკასთან იანინამ.

ერთი კვირა ეძინა ფანჯარასთან, იატაკზე მიგდებულ ქვეშაგებზე.

ერთი კვირა თვალს ადევნებდა იანინას და დაინახა ის, რასაც, შესაძლოა. სხვები ვერ ხედავდნენ.

დაინახა, როგორი სიამოვნებით, როგორი სიხარულით ეძლეოდა საქმეს, როგორი ენერგიული, დაუღალავი იყო, როგორი მხიარული, კაცთმოყვრული ღიმილი ეფინა სახეზე, როგორი წკრიალა, გადამდები სიცილი იცოდა. სხვისი სამსახური თითქოს მის პირად ბედნიერებას ავსებდა და ამშვენებდა.

თუ მოუწონებდნენ ნახელავს, ხოლო დონატი ყოველთვის უწონებდა, ეშმაკური ციმციმი ჩაუდგებოდა თვალებში.

— დიახ, — იტყოდა, თითქოს იმას ამბობდა, აი, რა კარგი ვარო, იტყოდა სერიოზულად და ხუმრობით ერთსა და იმავე დროს, თან ისეთი სიკეკლუცით შეარხევდა სახესა და მხრებს, თითქოს საშუალებას გაძლევდათ ყველა მხრიდან შეგეთვალიერებინათ იგი.

მარიკა ყოველთვის იმას ფიქრობდა, სამსახური, იანინა რომ უწევდა სხვას, მის სისუსტეში, მარტოობასა და უმწეობაში პოულობდა სათავეს, უნდოდა მადლიერი ჰყოლოდა ყველა, ავისმთქმელი, ან ღმერთმა ნუ ქნას, მტერი რომ არ გაეჩინა უნებლიედ ამ უცხო მხარეში გადმოვარდნილს, რადგან უუნარო, უხერხემლო, უქომაგო იყო. უძლური კაცის ეშმაკობად უთვლიდა ამას. ასეთმა ადამიანმა ოდნავი ძალაც რომ იგრძნოს, აუცილებლად საწინააღმდეგოს ჩაიდენს. იცის რატომაცაა კეთილი. იქნებ მიზნად მარტო მადლიერი ხალხის შეძენა კი არ დაუსახავს, ცოტა შორსაც მიდის, დონატის ქონებაზე უჭირავსო თვალი.

არ ავიწყდებოდა, რა წყნარად გაისტუმრეს არტემი დონატის დაბადების დღიდან. როგორც ჩანდა მხატვრის ქონებას იანინას გარდა სხვაც ჩასაფრებოდა და რადგან ის სხვა თავის თავს ამ ქონების კანონიერ მემკვიდრედ თვლიდა, უფრო აშკარად, გაბედულად და თავხედურად მოქმედებდა.

არტემს რაღას ემართლებოდნენ?

* * *

რამდენიმე დღის შემდეგ, დილით დონატის აღშფოთებულმა, განწირულმა ყვირილმა ჯერ ისევ ბურანში მყოფი მარიკა საწოლიდან წამოაგდო და დონატთან შეაგდო.

იანინა გაჯით ახლად შელესილ კედელთან ატუზულიყო, ბავშვივით შემკრთალი და დაბნეული, ხეირიანად ვერ გაეგო რატომ აგინებდნენ და საჩოთირო მდგომარეობაში ჩავარდნილს მხოლოდ ისღა შეეძლო, დამფრთხალი მზერა ხან დონატზე შეეჩერებინა, ხან როზაზე, ხან ანაზე.

დონატს, შუა ოთახში ფეხებგაჩაჩხულს, პირიდან შეუჩერებლად ამოსდიოდა გამანადგურებელი სიტყვების ნიაღვარი და მაინც არ იყო კმაყოფილი, ცდილობდა უფრო მომაკვდინებელი რამ ეთქვა, ვიდრე ამბობდა და საგინებელ სიტყვათა ეს გამომგონებლობა ენას უხლართავდა, მაშინ საკუთარ თავზე გაბრაზებული, ისეთი გამეტებით აისროდა ხელებს, თითქოს მათი მოგლეჯა

და გადაგდება სურდა. როზაც აქ იყო. მას ისეთი მჭახე, ისეთი დაუნდობელი სახე ჰქონდა, დანა რომ მიგეცათ, ალბათ შემოაკვდებოდა ვინმე.

მერე როზამ ამოიღო ხმა.

— შუაღამისას რა უნდოდა ალეკოს შენთან.

იანინა დუმდა.

— ხმა ამოიღე, — ქალს ხმა უკანკალებდა.

— აკი ვთქვი.

— აჰა...

იანინამ ჩუმად დატოვა დონატის ბინა და მარიკას ოთახს შეაფარა თავი.

— რა მოხდა.

არავინ იცოდა, ალეკო სხვა მრავალ ქალთა შორის იანინასაც რომ დასდევდა. სადმე თუ მოკრავდა თვალს, აუცილებლად აეტორღიალებოდა, სასიყვარულო სიტყვებად დაიღვრებოდა და გულისამრევად იღიმებოდა. იანინას ბოლო ხანებში ველარ შეუკავებია თავი და რამდენჯერმე უკმეხად მოუცილებია იგი.

ამის შესახებ ვერასოდეს შეიტყობდა ვერავინ, იმ ღამეს მთვრალ „კროცას“ მუსიკალურ სკოლასთან რომ არ ჩაევლო, იანინას უკმეხობა არ მოჰგონებოდა და კარზე არ აეტეხა ბრახუნი.

„იანინა, გაიღვიძე, რა ძილქუში დაგეცაო“ — ყვიროდა თურმე.

— მერე, დონატმა როგორ გაიგო.

— შურას, ჩინელის ცოლს, გაუგონია და როზასთვის უთქვამს...

— რა ხალხში ვცხოვრობთ, — გაეცინა მარიკას, — მთვრალები შუაღამისას რომ არ მოგადგნენ, ის უნდა გაგიკვირდეს. — ვალერი გაახსენდა, როგორ ჰგვანდნენ ერთმანეთს კაცები, მაშინაც კი, სრულიად განსხვავებული ხასიათი, სურვილები და მიზნები რომ აქვთო, — ის გაიფიქრა.

— ისე, დონატმა რომ იეჭვიანა, თუ მიხვდი ამას.

— ჩემზეც თუ ეჭვიანობა შეიძლება...

დონატისაგან იქნებ ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ იმას ვინ იფიქრებდა, როზაც თუ ეჭვს ჩაიდებდა გულში. მარიკასაც კი არ მოუვიდოდა ეს აზრად.

მარიკასაც-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მას, ისევე, როგორც მისი ასაკის ბევრ სხვას, ახალგაზრდობის გამო ცხოვრების უცოდნელობა რომ არ დაეწამა ვინმეს, გამოცდილების უქონლობა და თავქარიანობა, ადამიანთა მცოდნედ ეჭირა თავი და იქითკენ იყო მიმართული მისი გონი, სხვაში ცუდი უფრო მეტი დაენახა, ვიდრე კარგი, ეჭვი შეეტანა იქ, სადაც, თითქოს, არაფერი იყო ეჭვმისატანი და ძნელად მოსატყუებელი, გამჭრიახი ადამიანის როლი ეთამაშა სხვასთანაცა და საკუთარ თავთანაც.

და რა უმოწყალოდ, ულმობლად მიჰყვებოდა იგი ამ, მის მიერვე გამოგონილი ზნის ისედაც მკაცრ გზას.

სატრაბახოდ თუ მიაჩნდა ეს, თავს თუ იწონებდა ამით.

რა იცოდა მაშინ, რომ სჯობს ასჯერ მოგატყუონ და ასმეერთედ ისევ ენდო, ვიდრე არავისი გწამდეს, გულგრილობა მოიხვიო თავს, ადამიანთა ცხოვრების ბევრი მშვენიერი წუთი არარაობად მიიჩნიო და დაკარგო.

არა და, რამდენი რამაა კარგი...

იმას ვამბობდი, მარიკასაც კი არ მოუვიდოდა აზრად მეთქი...

მაგრამ მარიკას არავინ ეკითხებოდა და დონატმა სკოლის დირექტორთან ერთად მთელი მომდევნო კვირა იანინასაკენ არც კი გაიხედა. როზამ მეცადინეობაც შეწყვიტა პროტესტის ნიშნად.

მერე დონატმა ისევ მიაკითხა იანინას. სკოლაში მიუთრია უხეში, რუხი ტილო, იქნებოდა ასი მეტრი, სამ თუ ოთხ ნაჭრად შეკრული, ცალ-ცალკე მიუთრია, მძიმე იყო და ერთიანად ვერ დაძრა, მიუთრია და ბოლო ხანებში დასევდიანებული თუ დაბნეული გოგოს სახე პირველად გაალიმა.

— სიგრძე ორი მეტრი და ორმოცდათხუთმეტი სანტიმეტრი უნდა იყოს, — დაუბარა.

გახარებული იანინა მაკრატელისათვის მარიკასთან ავარდა.

ეროვნული

— ახ, დაჰირდი?

— არაფერი შენ არ გესმის, — მხიარულად ლაპარაკობდა გოგო, — ტილო აქ არაფერშუაშია.

— შერიგება უნდა და ტილოს მიზეზობს?

— არც მთლად მასეა საქმე...

— აბა...

— დონატისათვის აუცილებელია დარწმუნებული იყოს რომ არსებობს ვიღაც, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებს მის ყოველ სურვილს, აუცილებელია ჰაერივით, წყალივით.

— ესე იგი, მას ჰირდება ვიღაც და არა პირადად შენ.

— მერე რა, ვიყო ის ვიღაც მე. არა ვარ პატივმოყვარე.

იანინამ ტილოს გადაკერება დაიწყო. სათითის ხმარება არ შეეძლო და თითები დაეჩხვლიტა, დაუსივდა. მაინც აგრძელებდა კერვას, სანამ ბოლომდე არ ჩავიდა. როცა დასრულდა საქმე, დონატმა დაკეცა ტილო, ბაიანისტებს, დამეხმარეთო, — სთხოვა და სამმა კაცმა წვალებით აათრია იგი მხატვრის სახლში.

დიდხანს იწვალა იანინამ, თითებში ჩირქი ჩაუდგა და ისე ატკივდა, ხელებს ველარ აჩერებდა, სულ ზევით ჰქონდა აწეული და გამუდმებით ატოკებდა. გაკვეთილების ჩატარება წამებად გადაექცა.

— მგონი მოშუშული ხახვის ფურცელს იფენენ ხოლმე, — გაახსენდა მარიკას.

— ჩვენში კომბოსტოს ფურცელი იციან, — დაუმატა როზამ.

7

შემოდგომა მორზე ჩამომჯდარმა გაატარა ლიმ. წვიმების დროსაც გამოდიოდა გარეთ, შავ, დაცხავებულ ქოლგას ორივე ხელით ჩაფრენოდა და ისე ჩაჰყურებდა ფეხებში ჩამდგარ ჭყაპს. თუმცა უწინდებურად მთელ დღეს ვეღარ ძლებდა გარეთ, ფანჩატურის სველი კედლების იქით ჩაკარგვას მაინც არა ჩქარობდა.

ეროვნული

მარიკას ვერც კი წარმოედგინა როგორი უნდა ყოფილიყო ჩინელი იქ, ქოხში, მოცილებული მიწასა და ცას, გამომშრალ, გამოფიტულ, ჩაყამულ ფიცრებში გამომწყვდეული, და ეჩვენებოდა ამ კედლებს ამოფარებული კაცი რომ წყვეტდა არსებობას, რადგან იქ გამეფებული სივიწროვე ყოველთვის მუდმივსამყოფელივით ბნელი, ცივი, ნესტიანი ესახებოდა დარბაზის ფანჯრებიდან.

სანამ ზამთარი ურყევად მოიკიდებდა ფეხს, სანამ ფიფქი თბილი და მხიარული იყო, არც მაშინ უფრთხოდა მოხუცი მორს. რამდენჯერ დაუნახავს მარიკას, თოვლისაგან როგორი გულმოდგინებით წმენდდა, ასუფთავებდა ლი თავის ადგილს მიწაზე. თოვლი ჯერ კიდევ რბილი იყო და მორჩილად მიჰყვებოდა მისი ღონემიხდილი ხელების ნებას. დიდ, გრძელფოჩებიან შალში იყო გახვეული და თითქოს იმ შალის სიმძიმეს მოეხარა მხრებში. შალი იმხელა იყო, თოვლზე დათრევდა. მორის წინ თოვლის დასატკეპნად ააცაცუნებდა ხოლმე ფეხებს და მთელი ტანი ერხეოდა. ირხეოდა შალიც, ირხეოდა ფოჩებიც.

მაშინ ჯერ კიდევ ლივლივებდა თოვლი, ჯერ კიდევ ცურავდა მისი ზედაპირი ციდან მომდინარე ნათების ანარეკლში. სხივი საზეიმო მედიდურობით დაამბიჯებდა, სიცოცხლესა და სიხალისეს სძენდა გარემოს და მორზე მოკალათებული მოხუცის სხეულსაც უდარდელი, დალხენილი კაცის იერს აძლევდა.

მაგრამ ზამთარი დიდხანს არ დარჩენილა რბილი და მოალერსე. იგი თვალსა და ხელს შუა დაკაცდა, მკაცრი და დაუნდობელი, ჟინიანი ხასიათი გამოაჩინა და თავის სასტიკ ზნეს დაუმორჩილა ყველაფერი.

ახლა, როცა იმ ზამთარს იხსენებდა, ის ყინული კი არ აგონდებოდა, მიწას და ყველაფერს, რაც მიწაზე იდგა, არტახებად რომ ჰქონდა შემოჰერილი და

დღითი დღე უფრო სქელდებოდა, მიიწევდა მაღლა, არც თოვლს, თუმცა ფიფქის ნაცვლად ყინულის ნასხლეტები ცვიოდა და კი არ იჩხვლიტებოდა, ჩხვლეტას კიდევ აიტანდა კაცი, კანზე გეწებებოდა და გწვავდა. ტანსაცმელზე დადებული თოვლის ჩამობერტყვაც კი ჭირდა. ხალხი გარეთ სახეშეხვეული გამოდიოდა, მოჭუტული თვალების ვიწრო ზოლი მოუჩანდათ მხოლოდ. ცხვირზე მაინც იფარებდნენ დაბამბულხელთათმანიან ხელებს, ცდილობდნენ გათოშილი ჰაერისაგან ფილტვების დაცვას.

არც ის აგონდებოდა, როგორ უჭირდა სიარული. ძნელი იყო მუხლისთავებს აცდენილ თექებში ფეხის მოხრა, კი არ მიდიოდა, მიცურავდა, მისრიალებდა, თან შეჩერებას ცდილობდა მალიმალ, თორემ უეჭველად დაეცემოდა, დაცემით აუცილებლად დაეცემოდა, მაგრამ წამოდგომით, წამოდგებოდა?

ამას ყველაფერს აიტანდა კაცი, აკი იტანდა კიდეც, და რადგან იტანდა, ახლა, ამდენი წლის შემდეგ, აღარ ეჩვენებოდა ძნელად გადასატანად. ეს ყველაფერი მიწაზე ხდებოდა, მხოლოდ მის სხეულს ემუქრებოდა და ბევრი საშუალება არსებობდა იმისათვის, დაეცვა იგი, გადაერჩინა. მაგრამ რას მოუხერხებდი ცას? ცას კი არა, ცის დაკარგვას, ცის გადაგვარებას.

აი, რა აგონდებოდა მარიკას.

წავიდა ცა, ჩაქრა ნათელი, დაიკარგა ფერი.

ქალაქს თავზე ღრუბელი დააწვა, ტყვიასავით ბნელი და მძიმე, დააწვა ფეხმოუცვლელად, უძრავად. რამდენიც არ უნდა ეთოვა, არ თხელდებოდა, არ უბაცდებოდა სიბნელე. გაბატონდა მხოლოდ ნაცრისფერი, მკვდარი, უსიცოცხლო.

დეკემბრის ბოლოდან მოყოლებული აპრილამდე არ შეტოკებულა ღრუბლის თუჯი, არ დაძრულა ჰაერი. პირიქით, ნელ-ნელა დაბლა ეშვებოდა იგი, ნელნელა მაღლა მიიწევდა ყინული და ეჩვენებოდა მარიკას — ქალაქი ერთ ვიწრო და გრძელ ყუთში მოეთავსებინათ, შიგ ჰაერი ჩაეტუმბათ და გაძლება ებრძანებინათ.

ველარსად ჩერდებოდა მარიკა, მოუსვენრობა დაეტყო, თითქოს სადღაც აგვიანდებოდა, თითქოს რაღაც საშიშროება ელოდა, რაღაცისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, რაღაც აწვა მის სულს და გადაგვარებას უქადდა.

უძილობა დასჩემდა. როდის-როდის წაილებდა ბურანი, მაგრამ ღრმა ძილი არ მოსდევდა ამ ბურანს. კურდღლური ძილით თვლემდა და შიშისაგან გათავისუფლება არ შეეძლო.

ნერვების უდიდესი დაჭიმვის ფასად უჯდებოდა თუნდაც ერთი გაკვეთილის ჩატარება, ყველაფერი აღიზიანებდა და განწირული ადამიანის სასოწარკვეთით კიოდა სრულიად უმნიშვნელო მიზეზის გამოც კი.

ზამთრის არდადეგების მერე დარბაზის ფანჯრებს აღარ გაკარებია მარიკა. არ ვიცი, დაავიწყდა ლი, არ ვიცი, დარწმუნებული იყო მოხუცი აღარ გამოვიდოდა გარეთ. ერთხელ შემთხვევით გადასწია ფარდა და ჩინელი დაინახა. ძველებურად გამოსულიყო და ღობესთან იდგა. ღობეს ვამბობ, თორემ ღობე უკვე აღარსად იყო, აღარც მორი და აღარც ღობე. თოვლს დაეფარა ყოველი. სახლიც სანახევროდ თოვლში იჯდა. სახურავი ვიღაცას გადაეთოვლა.

ლი ისევ შალში იყო გახვეული, მაგრამ ახლა ბეჭებში მოხრილ სხეულთან ერთად თავ-პირიც გაეხვია შიგ.

იგრძნო როგორ მონატრებოდა ლი.

აღარ დაუმთავრებია გაკვეთილი, იმეცადინეთ, — შეუყვირა მოსწავლეს და ჩინელისაკენ გაქანდა.

ყოველთვის მორზე ჩამომჯდარი ხვდებოდა მოხუცი და მორზე ჩამომჯდარსავე ტოვებდა. ფეხზე მდგარი ჯერ არ ენახა და მაინც იცოდა, ტანდაბალი რომ იყო. ახლა, როცა ფეხზე მდგარს მიუახლოვდა, გაუკვირდა, გაუკვირდა და ცრემლიანი სინაზე იგრძნო მის მი-

მართ. ტანდაბალი კი არა, ძალზე პატარა იყო ის, მკერდამდე ძლივს წვდებოდა ტანმორჩილ გოგოს.

თვალებით გაიღიმა კაცმა. თვალების მეტი არც არაფერი მოუჩანდა. მერე მისი გაგუდული ხმა შემოესმა.

— უძლებ? — სახეზე შემოხვეულ შალს ძლივს დააღწია თავი ამ ერთმა სიტყვამ.

— ჯერ-ჯერობით, — არც მარიკა იყო სახეშეუხვეველი და რადგან ხმადაბლა ჩაილაპარაკა, ის გაიფიქრა, ვერ გაიგონებდაო ჩემს ნათქვამს, — ჯერ-ჯერობით, — აუწია ხმას.

— მესმის, ნუ გეშინია, გაუძლებ. მარტო ჩემს გასაცნობად კი არა, ამ ზამთრის გასაძალებადაცა ხარ აქ ჩამოსული, — და ისევ გაიღიმა.

გაჩუმდა მოხუცი. აღარც მარიკას ამოუღია ხმა.

— ახლა წადი.

მერე შეტრიალდა და მარიკამ დაინახა როგორ შთანთქა იგი სახლის სიბნელემ.

მას შემდეგ აღარ გაუღიმია მარიკასათვის და აღარც უკითხავს რამე. მეოთხედი საათით თუ გამოვიდოდა გარეთ. მისი ბავშვურად გულახდილი, უმწეობით სავსე თვალები უყოყმანო მზადყოფნას ამჟღავნებდნენ — ეთქვა ყველაზე მთავარი, ყველაზე მართალი, ყველაზე აუცილებელი რამ,

მიუახლოვდებოდა თუ არა მარიკა, მაშინვე იწყებდა დინებას მისი პირისახეზე მოხვეული შალით გაგუდული ხმა. თითქოს შორიდან მოდიოდა იგი, ხანგრძლივი და მძიმე გზით დაღლილი, შორეული ხეობების ექოთი მონისლული, მშვიდი თვითგანწირვით სავსე.

— რამდენი წლისა ვიყავი მაშინ, ექვსის, შვიდის... სიზმარში შეშინებულს მეძახდნენ. ძილში წამოჯდომა დამჩემდა თურმე, წამოვჯდებოდი და ვტიროდი, ხელებს ვასავსავებდი საცოდავად. გამომაღვიძებდნენ, დამამშვიდებდნენ... ჯერ ის უფიქრიათ მშობლებს, თავისით გაუვლისო, პირიქით კი მომხდარა, რაც დრო გადიოდა უფრო უჭირდათ ჩემი გაღვიძება. საქმე იქამდე მისულა, ყოველ ღამე ახსენებდა ფავს ჩემ[illegible]სენი. მაშინ კი შეშინებიათ და ჩემი დაოსთან წაყვანა განუზრახავთ. ერთი ნაცნობი დაოსი ეგულებოდათ სადღაც.

აღარ მახსოვს რამდენი ვიარეთ. მახსოვს მხოლოდ ის, წყაროს რომ მივადექით, ისე კარგად მახსოვს, თითქოს გუშინ მომხდარიყოს ეს. ჯერ მამაჩემმა დალია, დაეცა ორივე მუხლზე, ხელები მიწას დააყრდნო. მერე წამოიწია, ორივე პეშვით ფრთხილად ამოიღო წყალი. წამოდგა, ზურგი შემაქცია და სახეზე ჩამოიღვარა — თითქოს ლოცულობსო, ახლა მე მივედი. მამაჩემივით ორივე მუხლზე დავეცი მეც და დაგუბებულ წყალს ჩავხედე. ვერ დავინახე საიდან მოჟონავდა იგი, მაგრამ მოჟონავდა კი, რადგან ზედაპირი ერხეოდა ოდნავ. ფსკერზე შვინდი ეგდო, მსხვილი და მწიფე. გულმა ვერ გამიძლო, ხელი ჩავყავი ამოსაღებად და წყალი კი ავამღვრიე. შლამი ისეთი გამეტებით წამოვიდა ზევით, თითქოს იმით ცოცხლობდა მხოლოდ, ვინმეს წყაროს ამღვრევის საშუალება მიეცა. არ მიგიტყუოს რამემ...

ხიფათის აკვიატებულმა მოლოდინმა მალე მოქანცა. მის მობოშებულ გონს უკვე აღარ შეეძლო არაფერი, არც რაიმეს შესახებ დიდხანს ფიქრი, არც ვინმეს ბოლომდე მოსმენა. მოსწავლესთანაც კი ვერ იმორჩილებდა თავს. პირველი თხუთმეტი წუთის განმავლობაში შეიძლება ყური ეგდო, კიდეც, რას უკრავდა ბავშვი, მერე თვალსა და ხელს შუა ეპარებოდა სმენაცა და მხედველობაც, საიდანღაც, შორიდან ჩაესმოდა მოსწავლის შეცდომებით სავსე დაკვრა. იგი უაზროდ ილექებოდა მისი შეგრძნებების ხრამში და მაშინვე იფარებოდა გაბუჟებული უყურადღებობის ნისლით.

ერთადერთი, რისი სურვილიც ჯერ კიდევ შერჩენოდა, სიარული იყო. შესვენების ის ორი საათი, ადრე ჩინელთან საუბარს და სადილობას რომ ხმარდე-

ბოდა, ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე სიარულს მიჰქონდა.

ჩაუვლიდა სამეურნეო საქონლის, გალანტერიის, სურსათის პატარ-პატარა მაღაზიებს, კინოთეატრსა და უნივერმაღს. კინოთეატრის გარდა ყველგან შეიხედავდა, დაუთვალიერებდა დახლებსა და თაროებს. ერთი შეხედვით ყურადღებიანი სახე ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს იმახსოვრებდა.

მაღაზიებისაკენ ცნობისმოყვარეობა არ ერეკებოდა. ორი საათი ქუჩაში ყოფნა, უბრალოდ, არ შეიძლებოდა.

თებერვალის ერთ დღეს უნივერმაღის მზა ტანსაცმლის განყოფილებაში მისი ყურადღება დაბალი ტანის ქალმა მიიქცია.

თავშალი მარტო პირისახიდან კი არა, თავიდანაც გადაეძრო და ზევით ამოეყარა გრძელი, წითლად შეღებილი, კიბე-კიბედ აჭრილი და დახვეული თმა. დაინტერესებული კი არა, გატაცებული ათვალიერებდა დახლზე გადმოფენილ ჭრელ ხალათებს. სათვალე ეკეთა, შიგა და შიგ იხსნიდა მას, სახესთან ახლოს მიჰქონდა ხან ერთი, ხან მეორე ხალათი, თითქოს ყნოსავდა.

ბოლოს სამი თუ ოთხი აირჩია და მოშორებით, კედელზე მიმაგრებული გრძელი სარკისაკენ წავიდა. გადადგა თუ არა ნაბიჯი, რალაცნაირად აყირავდა, თითქოს წონასწორობა დაკარგა და მარიკამ იფიქრა, დაეცემაო ქალი. ის კი მაშინვე გასწორდა, მეორე ფეხი შეაშველა შავ, გრძელბეწვიან ქურქში გახვეულ სქელ ტანს. მანამ სარკემდე მივიდოდა, რამდენჯერმე კიდევ გადაქანდა და მხოლოდ მერე მიხვდა მარიკა, ქალი კოჭლობდა.

სარკესთან მისულმა თავსაფარი კისრიდანაც მოიძრო, მკლავზე გადაიკიდა და რიგ-რიგობით ყველა ხალათი აიფარა მკერდზე. ის თუ აინტერესებდა, რომელი შეფერილობისა მიუდგებოდა მის სახეს. მერე ისევ დახლისაკენ შეტრიალდა და მარიკამ კარგად დაინახა მისი სახე, ღაჟღაჟა, აციმციმებული.

— ახალი ჩამოსულია კუნძულზე, — გაიფიქრა, რადგან ასაკისაგან უკვე შელახული, მაგრამ ასეთი ფერსავსე სახე არ შეიძლება ჰქონოდა ქალაქში მცხოვრებ ქალს თებერვალში, როგორადაც არ უნდა შეეღება იგი. სახეშეღებილი ქალის მეტი რა ენახა მარიკას, მაგრამ როგორადაც არ უნდა ცდილიყვნენ, ნაცრისფერის ნაფიფქი მაინც ედოთ ზედ.

— მოუნახავს დრო...

მერეღა მოაგონდა, დონატის ცოლყოფილი კოჭლი რომ იყო. — ეს ნამდვილად ვიოლეტა იქნებაო,—გაიფიქრა და მაშინვე აღმოაჩინა ვალენტინასთან მისი მსგავსება. ქალსაც მსხვილი, ამობურცული თვალები ჰქონდა.

მერე იმით დაინტერესდა, რომელ ხალათს ამოირჩევდა ბოლოს და ბოლოს. მან კი არც ერთი არ იყიდა, თავაზიანად ითხოვა პატიება და როცა გამყიდველის დამცინავად თავდაკრული — „არაფრისო“ — მიიღო პასუხად, ისევ სარკისაკენ წავიდა. დიდხანს იხვევდა თავსა და სახეს ჭრელი ფოჩიანი თავშლით. გასასვლელისაკენ დაიძრა, მაგრამ მალევე შედგა, მიტრიალდა, საგალანტერიო განყოფილებისაკენ ქნა პირი და ისევ გამოაჩინა წითლად შეღებილი, კიბე-კიბედ აჭრილი და დახვეული თმა.

მიდიოდა ზანტი, ირიბი, გადაქანებული და თან მხიარული ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ხალხს.

„ვიოლეტა გრაციოლე“ — ჩაიცინა მარიკამ, — მართლა რომ ვიოლეტა აღმოჩნდეს...

ოდესმე იმას გაიფიქრებს მარიკა, ბოროტებას და სიკეთეს დაკლაკნილი, მიხვეულ-მოხვეული გზებით რომ უვლია ქვეყნად, უამრავი, იდუმალი აზრი ჩაუწნავს თავის ხვეულებში... როგორ გადადის მათი მოქნილი, დრეკადი სული ერთიდან მეორეში და რაც უფრო ძლიერია ბოროტება, მით უფრო მეტი ლმობიერებით, შენდობისა და სხვათათვის დახმარების დაუოკებელი წყურვილით აღავსებს მისივე ძლიერების მოწმეს, ისევე, როგორც სიკეთის ქმნას შეწირული კაცი უმადურსა და

სიკეთისავე დამწიხლავს ამრავლებს ქვეყნად.

და იგი, ერთხელ და სამუდამოდ, მოწიწებით მოიხრის ქედს ბუნების იმ უსაზღვრო წყალობის წინაშე, რომელმაც არ იცის გარჩევა კარგისა და ავის, ერთნაირი გულუხვობით აღავსებს კაცის სავალ გზას ერთითაცა და მეორითაც, ენდობა მის სულს და აძლევს საშუალებას მიუახლოვდეს სამყაროს ყოვლისმომცველ ჭეშმარიტებას.

ჭეშმარიტად ღვთიურად სავსე, ჭეშმარიტად ღვთიურად სრულყოფილია ადამიანის ბედი...

ქალიშვილის მოწოდებით თუ იყო ფრთაშესხმული ვიოლეტა...

აკი დედასა და შვილს შორის არ არსებობდა კავშირი, აკი წერილს არა წერდა ვალენტინა ქალს, ამას არ ამბობდა ყველა?

იქნებ არცა წერდა, მაგრამ ვის შეუძლია ჰქონდეს იმედი იმისა, რომ ის, რაც არ არსებობდა მთელი ორი წლის განმავლობაში და არ არსებობდა ჯერ კიდევ გუშინ, ხვალ არ შეიცვლება, არ შეტრიალდება, არ დაიწყებს არსებობას, იმისა, რასაც ეწინააღმდეგება მთელი შენი არსით, რაც ყოვლად მიუღებელია შენი სურვილებისა და მიზნებისათვის, ხვალ სწორედ ის არ დაგპირდება, სწორედ უიმისობა არ აღნიშნავს შენს საშვილიშვილო დაქცევას, საბოლოო გაცამტვერებას და სწორედ იმისაკენ არ გადადგამ დამარცხების შიშით ნამშობიარევ ნაბიჯს, — ჩამოდი!

იცნობდა ვიოლეტა შვილს, მისი სისხლი სისხლთაგანი იყო და ხორცი ხორცთაგანი. თუმცა გაზრდაში მაინცა და მაინც დიდი წვლილი არ გაუღია, ხეიბარ ქალს ბევრი არც არაფერი შეეძლო, მშვენივრად ერკვეოდა მის სურვილთა ლაბირინთში. ის ერთი, ყოველგვარ ახსნა-განმარტებას მოკლებული სიტყვა, რომელიც დეპეშის ხაოიანი ფურცლიდან ისეთივე სასოწარკვეთით კიოდა, როგორც ვალენტინას დაჭიმული ყელიდან, ბევრ რამეზე მიანიშნებდა ქალს.

და, რაკი იბარებდა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, და რაკი ისიც იცოდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო იქ, რამდენიმე ათასი კილომეტრით დაცილებულ მატერიკს მოწყვეტილ პატარა მიწაზე, როგორ შეეძლო მაშინვე არ დაძრულიყო ადგილიდან და ღვარძლიანი ნიშნისმოგებით არ ექირქილა მთელი გზა.

მარიკას აღარ მიუდევნებია თვალი იმ ქალისათვის, საგალანტერიო განყოფილებისაკენ რომ დაიძრა. შესვენების ორი საათი საცაა ჩათავდებოდა და უნივერმაღიდან გამოვიდა.

ახსოვდა, როგორ აათავა კიბე და ის იყო დარბაზის კარი უნდა შეეღო, მოსწავლე უკვე მოსულიყო და მოხურულ კარს გარეთაც აღწევდა კლავიატურაზე მისი თითების აცა-ბაცა კვალი, ხმაური შემოესმა. ვიღაცამ ღონივრად ჰკრა წიხლი შემოსასვლელ კარს.

დონატი იყო. კიბე ამოირბინა, მარიკასათვის არ მიუქცევია ყურადღება, მაშინვე ხელმარცხნივ შეტრიალდა და ვალენტინას საკლასო ოთახში შევარდა.

— ვინ ჩამოათრია აქ, — იღრიალა.

— კარი მიხურე, — იყვირა შვილმაც.

როზა გამოვარდა კაბინეტიდან. პირველი სართულიდან ბაიანისტები ამოცვივდნენ.

— ასეც ვიცოდი, — წაიჩურჩულა როზამ.

— რა იცოდი, — ჰკითხა ვადიმმა.

— ვიოლეტა ჩამოვიდა.

„ესე იგი, ვიოლეტა..." — გაიფიქრა მარიკამ.

— ვინ ჩამოათრია, მითხარი, — ღრიალებდა დონატი.

აკივლდა ვალენტინა.

— ჩემზე თუ ფიქრობ, ჩემზე... ყველამ მიმატოვეთ, შენც, იგორმაც. ღამის ოთხ საათამდე რადიომიმღებს აწვალებს, რა სიკვდილად გვაჩუქე, ეგეც ჩემზე ზრუნვაში უნდა ჩაგეთვალოს. ოღონდ ჩემს გვერდით არ დაწვეს და მთელი ღამე იდგება ფეხზე. აი, რა დღეში ვარ. ვინ ფიქრობს ჩემზე. ყველამ ვიღაცა გაიჩინა. იმის უფლებაც არა მაქვს დედა ვიყოლიო გვერდით,

დარდი შევჩივლო. იმის მაგივრად, რომ იგორს ელაპარაკო, მე მიყვირი. მამა არა ხარ?

— გაგიჟდნენ? — გადაულაპარაკა მიშომ როზას, — შედი, გააჩუმე.

— ეხლა იქ შესვლა შეიძლება?

— ირინა მაინც შესულიყო. სადაა იანინა, — თავისას არ იშლიდა მიშო.

— ვერა ხედავ, იანინა საკლასო ოთახიდანაც არ გამოდის.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა და დერეფანში მყოფმა, ყველამ, სათითაოდ, ის გაიფიქრა, რომელიმე მოჩხუბართაგანი, ან ორივე ერთად გარეთ რომ გამოსულიყო, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ქურდულად ყურის მგდებელი. სწრაფად მიტრიალდა კაბინეტისაკენ როზა, ბაიანისტებიც ჩაუყვნენ კიბეს.

დონატის ხმამ ახლა იანინას საკლასო ოთახში გადაინაცვლა.

დღის ბოლოს კი, როცა მარიკა დირექტორის კაბინეტში შევიდა, დონატი იქ დაუხვდა.

დონატის იქ ყოფნა არ გაჰკვირვებია მარიკას. კარგა ხანია დღის მეორე ნახევარს სკოლაში ატარებდა კაცი. ალბათ მასაც უჭირდა ზამთრის ამ ნაცრისფერ კიდობანში ცხოვრება, მიეტოვებინა ბინის შეკეთებაცა და ხატვაც, გვიანობამდე იანინას ოთახში იჯდა გაცრეცილი, შეწუხებული, დაბნეული, დამამშვიდებლად თუ მოქმედებდა იანინას წყნარი ხმა და მორჩილი ღიმილი.

— არ იცით, რა ჯიშისაა. მოხუცი დედა თავშესაფარში გააძევა, დეიდა სად მოუკვდა, არ იცის. ისე, არც დეიდა იკლავდა, მაინცა და მაინც, თავს ოჯახის წევრების სიყვარულით... საყვარელი გავიჩინეო, გამომიცხადა ერთხელ. ვინ მიეკარებოდა მაგ არაქალს. ეგონა გადავირეოდი. ვეკარებოდი, საერთოდ? — ლაპარაკობდა კაცი.

— აბა, შვილი ისე არა ჩნდება, და... — ეღიმებოდა როზას.

— ერთხელ მოხდა როგორღაც. მერე შემეცოდა. ვინ წაიყვანდა ეგეთს, თანაც ჩემი შვილის დედა უნდა გამხდარიყო, უნდა გავაჩინოო, ამბობდა. ასეა, არ უნდა შეიცოდო არავინ. მერე ბირი დაალო და როცა ეგ დაალებს ბირს, იქიდან არაფერი კარგი არ ამოვა. თორემ ნახავთ... ეშინია, არავინ შემიყვაროს.

— ლაპარაკობს რაღაცას, — ისევ იანინამ გააწყვეტინა, — შენთვის სცალია სწორედ. თავისი თავი გაჭირვებია.

— მე დამანებეთ თავი და...

მოლოდინი გაუმტყუნდა კაცს.

დონატთან შეხვედრა არ უცდია ვიოლეტას. თუმცა იცოდა, დღის მეორე ნახევარში სულ მცირე დროითაც რომ შემოევლო სკოლაში შვილთან, აუცილებლად წააწყდებოდა თავის ყოფილ ქმარს, ერთხელაც არ შემოუვლია.

იგი ისე იყო დაკავებული შვილიშვილზე ზრუნვით, ისეთ ცნობისმოყვარეობას იჩენდა ნებისმიერი წვრილმანის მიმართ, ისეთი ბავშვური გატაცებით, ეძლეოდა ყოველ მეათეხარისხოვან ამბავს, ისეთი თავდავიწყებით ერთობოდა საოჯახო საქმით და ამასთან, საკუთარი ბედით კმაყოფილი, კეთილ ღიმილს არ იცილებდა ჯერ ისევ ლაჟღაჟა სახიდან — აშკარად ჩანდა, კარგა ხანია ქარისათვის გაეტანებინა ქმართან დაცილებით გამოწვეული ამბოხებაც და სევდაც.

დედის ჩამოსვლის შემდეგ, მეორე თუ მესამე დღეს, ვალენტინამ განაცხადა, ბებიამ უამრავი მურაბით სავსე ქილა ჩამოუტანა შვილიშვილს, ათასგვარი სურნელოვანი ესენციებიც ჩამოაყოლა და ისეთი ნამცხვრებით გაგიმასპინძლდებით, ჯერ რომ არ გიგემიათო.

ჩაიზე იწვევდა კოლეგებს.

ყველა, მარიკასა და იანინას გარდა, რომელთაც ქალაქის ცენტრში ერგოთ ცხოვრება, ახალი რაიონის, მდინარის მიდამოებში გაშენებული მასივის მობინადრე გახლდათ. ცენტრიდან გარეუბნამდე ორმოცი წუთის სასიარულო არც კი იყო და წლის სხვა დროს სასიამოვნო იქნებოდა გასეირნება ამ გზაზე, ზამთარში კი, მით უმეტეს საღამოს, ეს არც ისე იოლი იყო. ვალენტინასთან წასვლა სამუშაო დღის ბოლოს დაგეგ-

მეს და ალბათ, გვიან ღამემდე დარჩებოდნენ ნამცხვარსა და მურაბას დანატრებული პედაგოგები, მარიკას გვიან ღამით მოუხდებოდა შინ დაბრუნება. ავტობუსი ცხრა საათის შემდეგ იმდენად იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე, მისი იმედი არ უნდა ჰქონოდა კაცს, ტაქსისათვის კი, ისეთ პატარა ქალაქში, რომლის სიგრძეზე ფეხით გადასერას ორი საათი ჰყოფნიდა, ათასში ერთხელ თუ მოეკრა თვალი. თუ ესტუმრებოდა ვალენტინას, ღამე როზასთან უნდა გაეთია. მასთან ღამის გათევას კი ისევ სახლში ფეხით დაბრუნება ერჩივნა. ამიტომ, თავი კი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მაგრამ იცოდა, არ წავიდოდა.

სახლში შესვლა არ აცალა იანინამ, დონატი გეძახისო, — უთხრა.

— განა ჩვენ არა გვაქვს ჩაი, — აფორიაქებული შეეგება კაცი, — არტემიც კი დაპატიჟეს, — რა ვქნათ, მკითხა. წადი-მეთქი, ვუთხარი. არ იფიქროს, დონატმა არ გამოუშვაო.

— იანინაც უნდა წასულიყო.

— ვითომ რატომაო?

— რა ვიცი, არ იფიქროს რამე.

— რაც უნდა, ის იფიქროს. ყველაფერი უკვე ჩაჰიკჰიკებული იქნება.

— ვინ ეტყოდა...

— ცოტაა...

— დარწმუნებული ვარ, ვიოლეტას ეგ ამბავი სრულიადაც არ აწუხებს, — ჩაერია იანინა, — რამდენი წელი გავიდა... აღარც ახსოვხარ ალბათ.

— ოცნებად მქონდა ქცეული, დილით მე თვითონ კი არ მომეხლაფორთებინა საუზმე და მერე ფეხზე მდგარს ინდაურივით მეყლაპა...

— შენც დამჯდარიყავი.

— მეჩქარებოდა. სხვათა შორის, ვმუშაობდი.

— სად.

— ნუ მაწყვეტინებ სიტყვას. ვნატრობდი, ავდგებოდი თუ არა, სუფრა გაშლილი დამხვედროდა. ერთხელ ვუთხარი კიდეც, რა მოხდება მეთქი...

— არაო?

— მერე, რომ წარმოვიდგინე, როგორ უნდა ეფუსფუსა თავისი კოჭლი ფეხით... თვალებს ხომ არ დავითხრიდი, გული შემიღონდა. ოღონდ ვიოლეტას ღორო-ჩოღორო სხეულისათვის არ მეცქირა და... დილით რომ წავიდოდა ბაზარში, საღამოს ბრუნდებოდა შინ.

— უპირდა სიარული, რა ექნა.

— უპირდა? — გადაიხარხარა დონატმა, — სანამ ბაზრამდე მივიდოდა, მთელი ქალაქი უნდა დაევლო, ყველა ნაცნობი მოენახულებინა, ლაქლაქით დაღლილიყო. მე შენ გეტყვი. რაიმე ხეირიანს მოიტანდა. ყველაფერი გადასაყრელი მოჰქონდა. ოღონდ იაფად ეყიდა და...

— თავისი ჩამოსვლით კი გამოგაცოცხლა, — იღიმებოდა იანინა და თლილ ჭიქებში ჩაის ასხამდა.

— ეჭვიანობს, — გადაულაპარაკა დონატმა მარიკას, — ყველა ქალი ერთნაირია. ვიოლეტამაც ასე იცოდა. საკმარისი იყო ვინმეზე რაიმე მეთქვა, ან ცუდი, ან კარგი, მაშინვე აკივლდებოდა.

— მე ვკივი?

— ეხლა არა, მაგრამ მერე?

— როდის, მერე.

— მერე, — თვალები აუქუქუნდა დონატს.

თავისი და იანინას ქორწინება თუ ჰქონდა მხედველობაში.

— ოღონდ შენ იყავი მშვიდად...

— ქალები, ქალები... ხელფასს რომ მივიტანდი, დაიწყებოდა ვაჭრობა, საკუთრივ, მე რამდენს მაძლევო. ღმერთო, რაები მაქვს გადატანილი.

— რატომ იხსენებ მერე.

— მეტი არაფერი მაქვს გასახსენებელი.

— ის გაიხსენე, როგორ გითხრა ერთმა ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ შენი ნამუშევრების დათვალიერების მერე, მხატვრობას არ უწერია გადაშენებაო.

— ის გავიხსენო, როგორ მოვრეცხე საგამოფენო დარბაზის იატაკი და მერე მეთვალყურეც არ დამინიშნეს, სანახევროდ იყო დაკეტილი გამოფენა?

სულ იქ ხომ არ ვიჯდებოდი. ვიოლეტას კი იმისი ეშინოდა, ვინმეს არ შევყვარებოდი. სულ ჩემს გინებაში იყო. რაღა არ მოიგონა. ყველამ ეჭვის თვალით დამიწყო ყურება. გარეთ გასვლა აღარ მინდოდა. არ იფიქროთ, რაიმეს ვაზვიადებდე. ვალენტინაამოჩრილი დავდიოდი პლენერზე, შაბათ-კვირას ბავშვს არ იტოვებდა, მეც მინდა დასვენებაო... თქვენ გგონიათ ჩვენ არა გვაქვს მურაბა?

დონატმა ოთახიდან სამზარეულოში მსხლის მურაბის დაბეჭდილი ქილა ცეკვა-ცეკვით გამოიტანა.

— ნამცხვარი? — ახლა ნამცხვარი გამოიტანა კაცმა, მთლად შაქრის ფხვნილში ამოვლებული.

— ნეტა ცოტა ადრე ჩამოსულიყო, — გაეცინა იანინას.

— შენ რატომ არ წახვედი, — დაინტერესდა დონატი.

— შუაღამისას არ გინდოდა შინ დაბრუნება?

— როზასთან დარჩებოდი.

— ნამცხვრისა და მურაბისათვის, სწორედ გითხრათ, ვერ ავიყრები.

— არაფერია, არტემი მოგვიყვება ყველაფერს წვრილად.

8.

გაზაფხულისაკენ მიმავალი, ზამთრის ნაცრისფერ კიდობანში გამომწყვდეული და მიჩქმალული, ძნელად საპოვნი ვიწრო ბილიკი, ბუნებას რომ ვერა და ვერ მიეგნო, სრულიად არა ჰგავდა იქ, შორს, სამხრეთით, სიცოცხლის განახლებისაკენ მიმართულ შარას, მარიკას გამოუცდელ თვალს მხიარული, ზეიმური უდარდელობითა და დაუდევრობით სავსე რომ ეჩვენებოდა. უკვე თებერვალში აცელქდებოდა სხივი, უკვე თებერვალში იწყება საგაზაფხულო ქრიამულის კოკისპირული დენა ციდან.

და თუ ზამთრის გაჩერებულ, გაყინულ თვეებში, როცა, თითქოს, დროის მდინარებაც შეჩერებულიყო, მარიკას სხეულთან ერთად მახსოვრობაც ისე მოემჩვარა, ერთხელაც არ მოჰგონებია სამხრეთში დარჩენილი ზამთრის სირბილე და მრავალფეროვნება, ახლა ზღვიდან მოხეთქილმა ქარიშხალმა, ყინულის დნობის სუნი რომ შემოიტანა მიწაზე, მახსოვრობაც შეუძრა, შეურყია, მოგლიჯა ზამთრის გახევებულ, სისხლისმდინარებაშეჩერებულ ძარღვებს და ლღვობაშეპარულ სხეულს მისას ტკივილი აგრძნობინა, ის ახალშობილი გაზაფხული დაუდგა თვალწინ, არაერთხელ რომ შესწრებია სამშობლოში, მუდამ მზის ხმაურიანი სიკაშკაშის ლაღი დინების აკომპანიმენტით რომ მიიწევდა გამეფებისაკენ.

არა, ეს არ იყო ქარიშხალი.

ეს თვით სამყარო აღმდგარიყო საკუთარი თავის წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რაც მისი გუშინდელი ერთობის, გუშინდელი მთლიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

იგი, გუშინდელი ჰარმონიიდან ამოზრდილი, გუშინდელი ჰარმონიით დამაკებული, მომწიფებული ნაყოფისაგან განთავისუფლების, ტკივილისაგან გამძინვარებული, პირველად მშობიარე ქალივით გამოუცდელი და დაბნეული, ეხეთქებოდა, ამტვრევდა, აცამტვერებდა საკუთარ სხეულს.

ქვეყანა თვალისმომჭრელმა ლაპლაპმა წალეკა.

ლაპლაპებდა ყველაფერი, ხის სახლების ჩაჟამული, გაყინული კედლები, რომელთაც, რატომღაც, იისფერი სიმქრქალე შეეძინეს, ფიჭვის ჯერ ისევ ყინულში ამოვლებული და გლუვი, მაგრამ უკვე ლღვობაშეპარული წიწვი, გამჭვირვალე საფარს ქვემოდან ლურჯად რომ დაიწყო ხასხასი, მშრალი ქუჩის გასწვრივ ჩარიგებული, მიწას ორიოდ მტკაველით აცილებული არყები, რომელთაც ზამთრის ბორკილი ყველაზე ადრე მოიცილეს.

რამდენიმე დღით შეწყდა ქარი, თითქოს ბუნებას სურდა საკუთარი თვალით დაენახა ზამთრის სიტუსაღოსაგან განთავისუფლებული სამყარო თვისი, მერე ისევ აფორიაქდა, აიშალა, აიწყვიტა თავი, ხეცას აქა-იქ ჯერ ისევ შე-

რჩენილი, ნაფლეთებად ქცეული ღრუბელი კვლავ შეადედა და დაიწყო წვიმები.

ახლა დნობას ველარაფერი შეუშლიდა ხელს, ვერც გაზაფხულის სითბოს ჯერ ისევ მოკლებული ჰაერი, რომელსაც უფრო აციებდა ყინულის დნობა, ვერც ქარი, დრო და დრო რომ ახსენებდა თავს ადამიანებს და ტყლაშუნით უმათრახებდა ქალაქს.

ქუჩა ნიაღვართა სამფლობელოდ იქცა. მოედინებოდა და მოედინებოდა წყლადნაქცევი ყინული და მოჰქონდა ყინულს შექვავებული ტალახის ნაგლეჯები.

ისიც კარგად ახსოვდა მარიკას, პირველ მაისს როგორ მოვიდა თოვლი. უკანასკნელად გაიბრძოლა ზამთარმა, გაზაფხულის შუქში აბრჭყვიალა ვარდისფერი ფიფქის ფილიგრანი. დადო კიდეც, დაფარა ნიაღვრებისაგან დატბორილი ქალაქი.

ეს იყო მერე, როცა ყველაფერი დასრულდა, არა, კი არ დასრულდა, დაიწყო, დასრულებას მრავალი წელი დაჰირდებოდა. მაშინ ამდენი არ იცოდა მარიკამ, იმას ფიქრობდა მხოლოდ, აი, თურმე როგორი ბოლო უნდა ჰქონოდაო ჩემს თერთმეტთვიან მოგზაურობას ამ ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით გადაკარგულ კუნძულზე, როგორ უნდა დამთავრებულიყოო ის იძულებითი დაახლოება ადამიანთან, რომელიც გზამ დაუკავშირა და სხვა არაფერმა, გზაზე შემდგარი კაცი კი ვილას არ დაუკავშირდება.

მარიკა უკვე სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობდა და კუნძულზე გატარებულ თვეებს მხოლოდ მეთვალყურის თვალით აღიქვამდა, ხოლო თუ ერთხელ ან ორჯერ აღელდა ან გაბრაზდა კიდეც, არაფრად თვლიდა ამას. რომელი მოგზაური არ აფორიაქებულა ასეთი, თუ ხანგრძლივი არა, არც თუ ისე ხანმოკლე მოგზაურობის დროს.

მაგრამ, როგორ დაიწყო ყველაფერი, რამ დაძრა, რამ მისცა ბიძგი, აღარ ახსოვდა მარიკას. აღარ ახსოვდაო? არც თავის დროზე იცოდა, იმიტომ კი არა, უყურადღებობა რომ გამოიჩინა, არ დაინტერესდა, არ ჩასდია ბოლომდე, ასეც რომ ექნა, მაინც ვერ მიაგნებდა საწყისს, მიზეზს, ისეთი მდორე და გულდინჯი, ლეჩეჩი იყო პირველი სიტყვა, პირველი მარცვალი, ჩაგდებული მსმენელის გონებაში, ისეთი ფრთხილი, თითქოს იყო კიდეც და არც იყო, თითქოს ვიღაცას კი არ ეკრა ხელი, ვიღაცას კი არ აემოძრავებინა, თავისით ჩავარდნილიყო იქ, არც ავი და არც კარგი, არანაირი, უსახური, ღიმილს რომ იწვევს მხოლოდ, ღიმილს, არც თბილსა და არც ცივს, უბრალოდ ღიმილს; ასეთია ცხოვრებაო, ამ ორი, ხშირად უაზროდ წარმოთქმული სიტყვის მაგიერ რომ ხმარობს კაცი.

მას შემდეგ, რაც პირველად დაედო საფუძვლად ადამიანთა ურთიერთობის დასასრულსა თუ დასაწყისს აგრერიგად დაძრული სიტყვა, იმდენმა დრომ ჩაიარა, იმდენჯერ გამეორდა იგი თავისი პირველყოფილი სახით, არც ჟესტი და არც მიმიკა რომ არ შეუცვლია, დროც იყო ადამიანს იმუნიტეტად გარდაესახა იგი, გადაეკეტა მისთვის კალაპოტი, არარად ჩაეგდო, მაგრამ იგი, მემილიარდედ წამომართული, მაინც პირველად იმართებოდა, მაინც პირველად ეძებდა გაღვივებისათვის ნიადაგს, მაინც პირველად გამოჰქონდა თავისი სუსტი, უფერული ღერო.

რა სასაცილო იქნებოდა ის წვრილმანი ავკაცობა, ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ვიოლეტამ რომ უბიძგა ხელი, ისეთი სევდიანი შენაჯერი რომ არ მოჰყოლოდა, მაგრამ ავი იმიტომაც ყოფილა ძლიერი, ადამიანებში ღვარძლის აღმოჩენა და მათი შეგროვება, ერთ მუშტად შეკვრა რომ შეძლებია, კარგი კი, თავისი გულწრფელობითა და სიკეთით მხარგრძელი, ყურადღების ღირსად არ მიიჩნევს ავის ამგვარ ჩვევას, არაფრად მიაჩნია იგი და ალბათ, აქ მდებარეობს მისი აქილევსის ქუსლი.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ...

დროის დინებას მოესწრო მარიკას

მახსოვრობიდან შტრიხთა ფრთხილად ნაფენი, გარდამავალი ნახევარტონების გადარეცხა. მაგრამ მთავარი, არსებითი, პირიქით, უფრო გაელრმავებინა, გაემუქებინა. როგორც მაგარ ნიადაგზე წყლის მდინარებას ნაფხაჭნის გადაშალაშინება, გადაპრიალება კი შეუძლია, მაგრამ ნაბზარს უფრო გააფართოებს, გაალრმავებს და თუ დრო მიეცი, რა იცი, რა გზებით არ ატაროს ერთხელ დაჩნეული ჭრილობის ხაზი, როგორი იდუმალება არ შესძინოს მას.

და მაინც, საიდან დაიწყო ყველაფერი; სად დაიბადა პირველი სიტყვა. ვალენტინას პატარა, ერთოთახიან ბინაში ხომ არა, რომელსაც კიდევ უფრო ავიწროებდა კედლებზე აკრული პრიალა ფოტოები, ნაცნობ და უცნობ მსახიობთა მკერდგადალელილი სხეულები უსირცხვილოდ რომ ალბეჭდილიყვნენ ზედ.

იქნებ იქაც დაიბადა, რადგან როზას მიჩვევა ამ ოჯახის ჩაისა და ნამცხვარზე მაინცა და მაინც არ გაძნელებია ვიოლეტას. სკოლის დირექტორიც ხომ, თავის მხრივ, საშუალებას ეძებდა ქალაქში ახლად ჩამოსახლებული ადამიანისათვის ჩამოეფშვნა თავისი ცხოვრება, საკუთარი დედისა და პირველი სიყვარულის შესახებ მოეთხრო. „კროცასთან" დაკავშირებული ის ხუთი წელიც რომ მიმატებოდა ზედ. მთელმა ქალაქმა როზას კომენტარების გარეშეც რომ მშვენივრად იცოდა და იმ ამბის გახსენების შესაძლებლობა იშვიათად ეძლეოდა ქალს.

და თუ სხვანი და სხვანი ერთი ჭიქა ჩაის თანხლებით როზასთან ეძებდნენ დამშვიდებას, ახლა თვითონაც ეძლეოდა სხვისი ყურადღებითა და მასპინძლობით სარგებლობის საშუალება, ხოლო კოჭლი ქალი, თანაგრძნობით სავსე ლიმილიანი სახე რომ ჰქონდა და ისეთი ჩუმი იყო, ისეთი წყნარი, ალბათ დონატსაც კი დაავიწყდა მისი ქალაქში ყოფნა, მშვენივრად რომ იცოდა როზას ასავალ-დასავალი, მუსიკალური სკოლის ცხოვრების ცოცხალი მემატიანე გვერდითა ჰყავდა, ექვს გარეშეა, ისეთი ყურადღებით მოუსმენდა მას, თითქოს პირველად ისმენდა ყოველივეს და ისეთი გულწრფელობით შეიცხადებდა. ხალის-მიერ წვრილმანს, თითქოს თავისთვის არ ანგარიშობდა, რა გამოადგებოდა და რა არა.

როზაც დამშვიდებას ელოდა სხვისგან?

იქნებ ელოდა კიდეც, იქნებ ის ექვი, რამდენიმე თვის წინ რომ ჩაისახა და „რა უნდოდა ალეკოს შენთანო" — ათქმევინა ქალს, ისევ ცოცხლობდა.

იქნებ ყოველივე სწორედ მაშინ დაიძრა, ზამთრის იმ ღამეს, „იანინა, გაილვიძე, რა ძილქუში დაგეცაო" — მისი ხეშეში სიჩუმე მთვრალი ღრიანცელით რომ დადალა ალეკომ.

იქნებ მას შემდეგ ჩაუსაფრდა იანინას როზას ყურადღება, იქნებ მას შემდეგ ელოდა დირექტორი ვინმეს, ვინც შეძლებდა და გამოიყვანდა იმ ამბის მონაწილე ადამიანთა სურვილების ჯამს და ლიმილნარევი სევდით იტყოდა:

— რას იზამ, როცა ქალს გათხოვება უნდა...

ისე იტყოდა, თითქოს ესმოდა, ძალიან კარგად ესმოდა როზასიცა და იანინასიც, არც ერთის მიმართ არა ჰქონდა გულში ჩამარხულიავი, ორივე უყვარდა, საერთოდ ქალი უყვარდა, უყვარდა და ეცოდებოდა, თვითონაც ხომ ქალი იყო.

რას იზამ, როცა ქალს გათხოვება უნდაო...

გაზაფხულის ამღვრეულ დღეებში როზა ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს. ისინი უთუოდ ვალენტინას გამჭრიახი გონების ნაყოფი იყო, თორემ როზა ამას ადრეც იტყოდა, თუნდაც მაშინ, მკაცრმა და დაუნდობელმა, ძლივს რომ ამობოლქა ორიოდ სიტყვა, — „რა უნდოდაო ალეკოს შენთან...", ან მაშინ, ან მერე, მთელი კვირის განმავლობაში ზურგი რომ შეაქცია იანინას.

ის თუ ერჩივნა, დანებებოდა იანინა კაცს ისე, როგორც ლინამ გააკეთა ეს. ამის პატიება კიდევ შეეძლო როზას. ალბათ იმასვე იტყოდა, რაც ერთხელ

თქვა, — „იმდენად თბილი და ენაწყლიანია ალექო, ძნელია მედგრად დაუდგე მის შემოტევას, ხოლო ადამიანებს გაგებისა და პატივების ნიჭი უნდა გვქონდესო“.

უყვარდა დიდსულოვანი ადამიანის როლის თამაში.

სიამოვნებით შეიცოდებდა იანინასაც, ჩაით გაუმასპინძლდებოდა, დაამშვიდებდა, კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა თავის კარგ ქალობას.

ყველაფერი კი სხვაგვარად მოხდა.

იანინას თავდაჭერილობა თუ აღიზიანებდა, რომელსაც თურმე გათხოვების სურვილი ედო საძირკვლად. როზას თვალის ასახვევად კი იმას ამბობდა, ალექოს დანახვა კი არა, მარტო სახელის გაგონებაც კი მიფუჭებსო გუნებას. ამით დირექტორის თვალის ახვევას თუ ლამობდა. ის კი არ იცოდა, მართლა ასეც რომ ყოფილიყო, ამგვარი დამოკიდებულება კაცთან, რომელთანაც როზა ხუთი წელი ცხოვრობდა, გაამწარებდა ქალს, იმას აფიქრებინებდა, მე თუ მომწონდა, ეს ვიგინდარა ვინ არისო ვითომ. და მიუხედავად იმისა, იანინას გამოჩენამდე კარგა ხნით ადრე რომ მიეტოვებინა ალექოს ქალი, მაინც მოტყუებულ ადამიანად აგრძნობინებდა თავს, სამაგიეროს გადახდისათვის მოუმზადებდა ნებას.

იქნებ ცოტა ადრეც ჩაედო ბოღმა გულში, თუნდაც მაშინ, მუსიკალური სკოლის პედაგოგები რომ დაპატიჟა სახლში, ძეხვისა და ყველის ბუტერბროდებით, კატლეტითა და შემწვარი მაკარონით, მოხარშული კარტოფილითა და კომბოსტოს მწნილით რომ გაუმასპინძლდა მათ. სასმელიც საკმაო აღმოაჩნდა იმისათვის, გვიან ღამემდე ეხმაურათ და ეცეკვათ სტუმრებს, რადგან სწორედ მაშინ მოეწონა დონატს იანინა და „ეგ გოგო მოიყვანეო ჩემთან“ — ყველას გასაგონად განაცხადა.

იმ საღამომდე როზა ითვლებოდა დონატის უახლოეს მეგობრად და ვინ იცის, მისი სამზარეულოს ფეხმორყეულ მაგიდასთან რამდენჯერ გაუხსნებია მხატვარს თავისი მარცხიანი, წარუმატებელი ცხოვრება, რამდენჯერ დაუწყნარებია აფორიაქებული, იმედგადაწყვეტილი სული მისი ჩაითა და დამამშვიდებელი სიტყვებით.

იმ საღამოს მერე კი როზა თითქოს აღარც არსებობდა. იანინამ გამოაძევა იგი მამაკაცის გულიდან, დააკარგვინა მასწავლებელი და მეგობარი. მარტო მასწავლებელი და მეგობარი? იქნებ სხვა, შორსმიმავალი იმედიც ჩასახვოდა ქალს გულში. დონატიც ხომ მარტოხელა იყო. არც ქალაქში დარხეული ქორი იყო ანგარიშმისათვლელი, რადგან კარგად იცოდა ქალმა საიდან და რატომ წამოსულიყო იგი, ამისი მთქმელიც ხომ მასთან დადიოდა დროდადრო. უყვედრელად ილებდა თავის წილ ჩაისა და ყურადღებას, არც მხატვრის ირონია მისი ზამთრის პეიზაჟების მიმართ, რადგან იმ ირონიას კეთილ იუმორად უთვლიდა კაცს.

რას იზამ, როცა ქალს გათხოვება უნდაო...

იმიტომ ხომ არ იყო კეთილი, იმიტომ ხომ არ ემსახურებოდა ყველას... ან ალექოსთან გამოუვიდოდა რამე, ან დონატთან. ბაიანისტებსაც რომ გამოეჩინათ მისადმი თუნდაც სულ უმცირესი ყურადღება, უთუოდ მათაც გადააწვდენდა თავის თავს.

აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე...

რას იზამ, როცა ქალს გათხოვება უნდაო...

ამ სიტყვებმა მარიკა თუ მოძებნა, რატომ დონატსაც არ მოძებნიდა და თუ მარიკამ ირწმუნა სისწორე მათი, რატომ დონატიც არ ირწმუნებდა, მით უმეტეს, რომ ორმოც წელს მიღწეულ კაცს ადამიანებისაგან ღალატის მეტი არა მიელო რა და მარიკასავით ადამიანის მიმართ უნდობლობა უმწიფარი გულისა და გონების ნაყოფს კი არ წარმოადგენდა, საკუთარი ცხოვრებიდან გამოტანილი დასკვნა გახლდათ, აფორიაქებული სულის თავშესაფრად რომ ექცია კაცს.

მის მიზეზიან ხასიათს იმ სიტყვების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი არც არაფერი უნდოდა, მთელი სიგრძე-სიგანით რომ წარმოეჩინა თავისი გონებამახვილობა. შურისძიების მძაფრე გემო რომ დაჰკრავდა; მერე ყველა გამვლელ-გამომვლელისათვის უცოდველი სახით მოეთხრო ჩადენილი, ოვაციებს ელოდა ალბათ.

— იმის დროც მოვიდა ხელი რომ მოვაწეროთ. ქორწინების სარეგისტრაციოდ რაღაც ბლანკების შევსებაა საჭირო. გამოიტანე. შევავსოთ. რამდენიმე ცალი წამოიღე. იქნებ შევსების დროს შეგვეშალოს. — აი, რა უთხრა იანინას.

— რა უნდა შეგვეშალოს, — გაეღიმა გოგოს და იმავე საღამოს აასრულა კაცის თხოვნა.

დონატმა ჰაერში ააფრიალა ბლანკი.

— მოდი. შევავსოთ და კედელზე გავაკრათ. დაე. ყველამ. ვინც წაიკითხავს, თავისი აზრი მიაწეროს ზედ.. — ჯერ ესა თქვა. მერე ხარხარი ატეხა.

როზა კმაყოფილი იყო.

რამდენიმე დღე ამ ამბით გაერთო კაცი. მერე ისევ იანინას მიაკითხა და შეირიგა.

— ეს კი აღარ მეგონა, — სიბრაზემ წამოანთო როზა. — თუმცა რა, შეაფურთხე. თუ გინდა, ვერ მოიწმენდს თუ... მოიწმენდს და ვითომ აქაც არაფერიაო...

— დონატმა თავისი თავიც გაიპამპულა.

— არის ვითომ იანინას ცოლად მომყვანი? — დაეჭვდა როზა. — რაები აქვს ნალაპარაკევი დონატზე. გაცოდინა ერთი... და მარტო დონატზე?

— თუ არ უნდა, რაღას ურიგდება.

— იანინას ამართლებ?

— არც ერთს არ ვამართლებ, ორთავენი კარგები არიან... ჭორაობაც რომ ერთნაირი იციან... ვიზე ჭორაობს მაინც...

— ყველაზე, გენაცვალე, ყველაზე.

— ჩემზე რაღა აქვს სათქმელი.

— გაფუჭებული ადამიანი სათქმელს ყოველთვის იპოვნის.

— მაინც?

— რას ჩამაცივდი.

— რადგან დაიწყე, უნდა დაამთავრო კიდეც.

— ვალერიო...

— რა!

— არ მინდა აყალ-მაყალი და ჩხუბი.

— ისე ჩაივლის ყველაფერი, ვითომ არცა მდოცნია. ხმის ამომღები არა ვარ. ხომ უნდა ვიცოდე, ვინ არის ჩემი მტერი და ვინ მოყვარე.

— თავი ისე უჭირავს, თითქოს თვითონ გააგდოო ვალერი. სინამდვილეში კი ვალერიმ მიატოვა, ვეღარ გაუძლოო...

— რატომ. ვითომ...

— რა ვიცი, საძაგელი ვილაცაარ.

— რაო?

— არ უნდა მეთქვა. ენის მიტანა გამოდის. — და საკუთარი თავით უკმაყოფილო, კაბინეტისაკენ დაიძრა. მალევე შედგა, ისევ მარიკასაკენ შეტრიალდა და არანაკლებ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა.

— ზამთარი ისე გავიდა, ერთი ეტიუდიც ვერ გავაკეთე, ვერც მე, ვერც დონატმა, გადაგვიყოლია იმ გომბიომ.

ერთადერთი, რისი სურვილიც დაებადათ იმ დილას სკოლის დერეფანში როზასთან აჩურჩულებულს, ის იყო, ჩინელი ენახა და მისთვის სიტყვა-სიტყვით ჩაემარცვლა ყოველივე.

შევიდა თუ არა დარბაზში, ფანჯარას ეცა. იცოდა, ჯერ ადრე იყო და ლი არ იქნებოდა გარეთ გამოსული, მაგრამ მოუთმენლობაატანილს მაინც დაწყდა გული, გაბრაზდა კიდეც, რას უკრავ შე უბედუროო, — შეუყვირა მოსწავლეს. ვერც მომდევნო გაკვეთილზე დამშვიდდა და ბოლოს, როცა შუადღისაკენ მიმავალ, დილიდან თითქოს საწვიმრად გამზადებულ დღეს მზის ელვარებასთან ერთად ჩინელის შავი ჩრდილიც დაეცა, მოსწავლე დაითხოვა და უკვე გაკაპასებული, მოხუცის დაღლილსა და დაფიქრებულ, მთლად გადათეთრებულ, უსისხლო სახეს აეტუზა წინ.

— ეხლაც დაიცავით იანინა, — წაისისინა მისალმების ნაცვლად.

ჩინელმა გაფანტული მზერა შეავლო მოსულს.

იგი ისევ მორზე იჯდა, ხელებიც ალბათ ძველებურად მუხლისთავებზე ეწყო, მაგრამ არ მოუჩანდა. შალს მთლად დაეფარა მისი შეშუპებული, უფორმო სხეული.

ღობის ძირში კანტი-კუნტად ამოღერილიყო ბალახი, ახალშობილი და სუფთა. მზის გრილი ციალი ედგა ზედ.

მარიკას რომ ცოდნოდა, უკანასკნელად ხედავდა კაცს, მისი მახსოვრობა, დამშეული კაცის სიხარბით შეისრუტავდა იმას, რას იტყოდა კაცი და არა მარტო იმას, რას იტყოდა, იმასაც, როგორ იტყოდა. დაიმახსოვრებდა მის თვალებს, ადრე გამქრალი გონება იუმორით რომ უვსებდა სიღრმეს, ახლა კი ჩამქრალიყო, ისე ჩამქრალიყო, ძნელი იყო იმის გარკვევა, მართლა ხედავდა მოხუცი მოსულს თუ არა, თუმცა მისი უყურადღებო თვალისშევლება მაშინვე დაკონკრეტდა და ყურადღებით აივსო. იქნებ ვერც ხედავდა, რადგან მარტო ერთისათვის, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო ის ერთი, უკვე აღარ ეცალა კაცს. იგი ყველაფერს ერთად ხომ არ ხედავდა, ან იქნებ აღარაფერს აღარ ხედავდა საკუთარი სულის გარდა, მისთვის განკუთვნილი გზის ბოლოს რომ გასულიყო და მშვიდი ძრწოლით ნებდებოდა გარდასახვას, სასურველსა და ელდიანს. საუკუნოდ აღიბეჭდავდა იგი ჩინელის ხმას, უკანასკნელად რომ ამოდიოდა დაუძლურებული, წყალჩამდგარი სხეულიდან, ჩვეული წრიპინი თუ ჭრიალი აღარ მოსდევდა თან და რაღაცნაირი, დაგუბებული იყო. დაიმახსოვრებდა ღობის ძირში კანტი-კუნტად ამოღერილ ბალახს, ახალშობილსა და სუფთას, დაიმახსოვრებდა იმ გრილ ციალს, რომელიც არა მარტო ბალახს, მოხუცის შავად მოსილ ტანსაც რომ ედგა ზედ და ხელით ნაქსოვ, დაძველებულ შალს გამოხუნებულ, დაკემსილ ადგილებს მხიარული კისკისით უაშკარავებდა. დაიმახსოვრებდა მრავალ სხვასაც, რომლის დანახვა და დამახსოვრება მხოლოდ მოყვარულ ადამიანს შეუძლია და სხვას არავის, იმას, რაც შემდეგ მონატრებას უფრო მძიმესა და გლოვიანს ხდის.

მაგრამ მარიკამ არ იცოდა უკანასკნელად რომ ხედავდა ჩინელს და მას არაფრისათვის არ ეცალა, სკოლის დირექტორისაგან იმ დილით გაგონილის გარდა.

ის იყო ალაპარაკდა მარიკა, ალაპარაკდა ყოყოჩური თავდაჯერებით, მოხუცმა რომ შეარხია წვერი და მარიკასათვის უცხო, დაგუბებული ხმით რაღაც ისეთი თქვა, აშკარა იყო, არ აინტერესებდა რას იტყოდა ქალი, არ უსმენდა მას და მხოლოდ საკუთარ ფიქრებს ეხმიანებოდა ოდნავ გასაგონად.

რადგან სიტყვა გააწყვეტინეს და არ მოუსმინეს, მხარში არ ამოუდგნენ და არ გალანძღეს იანინა, არ შეეცადნენ მისი აწეწილი ნერვების დამშვიდებას, ერთი სიტყვით, არაფრად ჩააგდეს და დასცინეს, სწორედ დაცინვად ჩათვალა მარიკამ ეს, არც თვითონ გაისარჯა იმისათვის, თუნდაც ერთი სიტყვა გაეგონა და დაემახსოვრებინა, ერთი-ორჯერ უგულოდ დაიქნია თავი, შეტრიალდა და წავიდა.

სწორედ იმ საღამოს შეიტყო, ბებერი საავადმყოფოში წვებაო. აღარ ახსოვდა ვინა თქვა ეს, შეიძლება შურამაც, ჩინელის ცოლმა. ის კი კარგად დაამახსოვრდა, სიცილითა თუ დაცინვით, მხიარულად რომ იყო ნათქვამი.

მაშინ მისცა თავს ნება განთავისუფლებულიყო იმ ბოღმისაგან, მთელი დღე რომ აწვალებდა და ჩაექირქილა.

არც ეგ ყოფილა სხვაზე მეტი.

მაშინაც და მერეც, როცა ჩინელი მონატრებად იქცა, ტკივილად ქცეულ მონატრებად, სხვა ყველაფერთან ერთად იმ სიტყვებით გამოწვეული სინდისის ქენჯნაც რომ სდევდა თან, გრძნობდა, რა შეურაცხმყოფლად ჟღერდა ის ფრაზა, თუმცა ვერც მაშინ და ვერც მერე ვერ გაეგო სახელდობრ რატომ, რატომ არ იყო ის კაცი სხვაზე მეტი, ან რატომ იყო შეურაცხმყოფელი სხვის

ტოლად ყოფნა, ან როდის აყენებდა მოხუცი სხვაზე მაღლა თავს.

იმიტომ, შიშის გრძნობამ რომ სძლია და ექიმისაკენ გადადგა ნაბიჯი, თუ იმიტომ, ისევე რომ დააპირა ამ სოფლიდან წასვლა, როგორც მრავალი სხვა მიდის. საავადმყოფოს გრილ საწოლს მინდობილი, იქნებ, იქ, მორზე ჩამომჯდარს უნდა დაელია სული მაინცა და მაინც. მარიკას სხვაზე აღმატებულ კაცად რომ ეცნო იგი.

თუმცა, მაშინ ის როდი გაიფიქრა, სიკვდილისათვის გადაბარგდაო მოხუცი საავადმყოფოში, ჯანმრთელობისათვის ზრუნვად ჩაუთვალა ეს. ლირსეულად კი საკუთარი სიცოცხლისადმი აგდებულ დამოკიდებულებას თუ თვლიდა გოგო და ამიტომ დასცინა.

რატომ...

საკუთარი თავის დარწმუნება ხომ არ უნდოდა იმაში, ჩინელიც, სხვებივით მხოლოდ საკუთარი თავითაა დაკავებული და, იმდღევანდელი უყურადღებობა სათვალავში არაათ ჩასაგდები. სხვას აბრალებდა და თავად ხომ არ იყო მდაბიურ პატივმოყვარეობას ატანილი...

მერე, როცა მონატრება მოვიდა, მარიკამ უკვე იცოდა, მაშინ კი არ მიხვდა, უკვე იცოდა, დიდი ხანია იცოდა თურმე, რატომ გასცილდა ლი ქოხს, როცა სიკვდილის დრო დადგა, და იმ ცოდნამ, სინდისის ულრმეს შრეებში ჩაძირულმა, თავი იჩინა, მომაკვდინებლად მძაფრ სიტყვებად დაკონკრეტდა და გუგუნით დაიძრა სიბნელიდან:

— ის სიკვდილისათვის წავიდა იქ და მოკვდა ისე, როგორც შეეფერებოდა უსახლკაროსა და უოჯახოს, რადგან მას არასოდეს ჰქონია თავისი ოჯახი.

აზრადაც არ მოსვლია ჩინელის სანახავად საავადმყოფოში მისვლა. იმიტომ კი არა, უყურადღებობის უყურადღებობით გადახდა რომ განეზრახა, არა, სულ სხვა ანგარიშსწორების სურვილი გაღვივებოდა გულში და აფორიაქებული და გატრუნული, ყურს უგდებდა მის ფესვგადგმასა და მოლონიერებას.

ახსოვს, როგორ აჩურჩულდა მთელი მუსიკალური სკოლა. პედაგოგებს და რამდენიმე მშობელიც შეუერთდებოდა შვილებთან ერთად გაკვეთილებზე [illegible] ისხდნენ და ცდილობდნენ შეუმჩნევლად ეთვალთვალათ საათისათვის, გაკვეთილის ორმოცდახუთ წუთს წვეთიც რომ არ დაკლებოდა.

აპრილი იწურებოდა და ოვა თვის მუშაობამ წუთების აღრიცხვაში მარიკა ისე გაწვრთნა, უკვე სხეული კარნახობდა გაკვეთილის დამთავრებას. ზოგჯერ, ათასში ერთხელ, თუ ასეთი ხუმრობის გუნებაზე იყო, ლიმილით გადახედავდა მშობელს და საათს ჰკითხავდა. საერთოდ კი, მშობელთა იმ პირველი და უკანასკნელი შემოტევის შემდეგ ერიდებოდა მათ გაღიზიანებას.

მერე აჩურჩულდა ყველა, ვინც ასე, თუ ისე დაკავშირებული იყო სკოლასთან და სულ ორიოდ დღეში ეს ჩურჩული ხმამაღალ ლაპარაკად გადაიქცა. თურმე გალანძღული იყო ყველა, პიანისტებიც, არტემიც, დონატიცა და დონატის ქალიშვილიც ქმრითა და ბავშვით, სკოლის დირექტორიცა და მოლარეც ქალი, პედაგოგებს შორის არავინ რომ არ იცნობდა ხეირიანად, იგი კულტურის განყოფილებაში მუშაობდა და თვეში ორჯერ მეოთხედი საათით თუ შემოირბენდა, ხელფასს ჩამოარიგებდა და დაუმშვიდობებლად მიდიოდა. გალანძღული იყო რამდენიმე მშობელი. ყველაზე ყურადღებიანი და პატივსაცემი არა მარტო პედაგოგებისათვის, არამედ ქალაქისათვისაც.

ძნელი სათქმელია, იგრძნო თუ არა რაიმე იანინამ, სახეში მისთვის არავის არაფერი მიუხლია, ერთი კია, ყველა არიდებდა თავს და ის ორი თუ სამი დღე არც ხმა გაუცია ვინმეს. იანინა კი, ისევ ძველებური, ჩვეულებრივად მშვიდი და ლიმილიანი, შედიოდა დირექტორთან, ესალმებოდა და ემშვიდობებოდა კაბინეტში დამხვდურებს, იღებდა და დღის ბოლოს თავის ადგილს უბრუნებდა საკლასო ჟურნალს და რაც მთავარია, არავის არაფერს ეკითხებოდა.

ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა მარიკა, ასე ერთბაშად რატომ დაიძრა ყოველივე, სად იყო სათავე მისი. მხოლოდ ის გაიფიქრა, წინათგრძნობა გამიმართლდაო და რადგან ბევრი სხვაც იყო აუგად ნახსენები, ამან ცოტა დაამშვიდა.

— საცემია, — სწორედ წინა დღეს თქვა ვალენტინამ, თქვა ფრთხილად და ბოროტად.

როზამაც ასეთივე ფრთხილი და ბოროტი ხმით გასცა პასუხი:

— ყველა გარიყავს და ეგეც ეყოფა. ნუ ეცოდინება, რა გავიგეთ და ვისგან გავიგეთ. იყოს მარტო და ვნახოთ საღამდე გაძლებს.

— რად გინდა რომ გვაფრთხილებ, — გაეცინა მარიკას, — მთავარია ის, რომ ვიცით.

— ეგლა გვაკლია, — ჩაილაპარაკეს ბაიანისტებმა, — რომელთაც მართლა არაფერი აინტერესებდათ ფულის გარდა, დანარჩენი, ყველაფერი, ამაოებად ჩაეთვალათ.

— არტემმა, რაო, — იკითხა მარიკამ.

— მოკვდა სიცილით. ეხლა იმას არც იანინასთვისა სცალია და არც დონატისათვის. წინათ თავშესაფარი არა ჰქონდათ და ხან სად მოკრავდნენ ხოლმე თვალს, ხან სად, იყო კივილი და ლანძღვა. ახლა ჩვენთან დაჰყავს სტუმრად და მთლად სიყვარულშია ჩაფლული. მშვენიერი გოგოა, დედაჩემს დაუმეგობრდა. მხიარულად ატარებენ დროს, — თქვა ვალენტინამ.

— დონატი იქნება გადარეული.

— რაღაც ამგვარს ველოდიო, მითხრა, როდის იყო ვინმეს დავუნდივარ, მაგას რომ დავენდე. შემეცოდა, — ეს როზა იყო, — დავამშვიდე. არაფერია, გჯვალთ პლენერზე, მუშაობას დავიწყებთ. გამოცდების მერე დრო მეტი მექნება და ერთ წუთსაც არ დავტოვებ მარტო.

— რა ვიცი, ამას წინ ისევ დონატთან მიდიოდა... — დაინტერესდა მარიკა.

— არაფერს ეუბნება, მაგრამ არც სახლში უშვებს, — ჩაიცინა როზამ, — გუშინ აღარ ასულა.

— ისე, ყველაზე მეტად დონატია გასვრილი, — თქვა რომელიღაც ბაიანისტმა.

— ყველანი გასვრილები ვართ. ჩემი ქმრისაგან რაღა უნდოდა, როდის იყო ჩვენს გვერდით რომ ეძინა, — გააწყვეტინა ვალენტინამ.

— მორჩა, — კატეგორიულად განაცხადა როზამ, — აღარ იყოს მაგ გოგოს ხსენება. ისიც ეყოფა ორი თუ სამი დღე რომ ამოგვაგდო რეჟიმიდან. მთავარია, რომ ჩვენ ისევ ერთად ვართ.

იმ დღეს კი, იმ საბედისწერო დღეს, აპრილი უკანასკნელად რომ ბინდდებოდა, დონატთან ერთად მოუხდა მარიკას სახლში დაბრუნება.

უხმოდ აიარეს კიბე და როცა მეხუთე სართულს მიადგნენ, იანინა დაინახეს. კიბის საფეხურზე ჩამომჯდარიყო, ხელის მტევნები პალტოს სახელოებში შეემალა და კედელს მიკვროდა. მაშინვე წამოხტა, დაიბნა, ძლივს გაინთავისუფლა ხელები, პალტოს სახელოები ვიწრო თუ ჰქონდა, გაიღიმა და წაილუღლუღა:

— შემცივდა.

ფეხზე წამომხტარი ისევ კედელს აეკრა, ვიწრო იყო კიბე და ავლაში ხელი რომ არ შეეშალა მათთვის.

დონატმა ზიზღით თქვა:

— რატომ მოხვედი, — თან გასაღები მოიძია და აკანკალებული ხელით კარის გაღებას შეეცადა.

ნუთუ ის არის პატიოსნება, მხოლოდ ერთს მოუსმინო, მხოლოდ ერთს ერწმუნო, მხოლოდ ერთს შეუნახო სინდისი, მეორეს კი არაფერი ჰკითხო, არაფერი ათქმევინო, ყველაფერი კარგი, რაც გააჩნია, პირმოთნეობად ჩაუთვალო. ნუთუ ის არის პატიოსნება, დასმენა სიკეთედ ჩათვალო, დამსმენი კეთილმოსურნედ, მის სახელს გაუფრთხილდე, ზედმეტად არ ახსენო, უსიამოვნებას აარიდო და მხოლოდ იმიტომ, ცნობისმოყვარეობა რომ დაგიკმაყოფილა უაზროდ მიცემული სიტყვის ფასად.

შენ რა შუაში ხარ. ხომ უნდა ვიცოდე. ვინ არის ჩემი მტერი და ვინ მოყვარეო. ნუთუ ის არის პატიოსნება, აპყვე ანგარიშსწორების ყრუ ძალას, იყო განუკითხავი და დაუნდობელი.

მერე, ერთადერთი, რითაც შეეძლო თავის დამშვიდება მარიკას, თუ იმასაც თავის დამშვიდება ერქვა, ის იყო, თვრამეტი წლისა ვიყავი და .ბევრი არაფერი გამეგებოდაო. მაგრამ დონატი? დონატი ხომ იყო ორმოცს მიტანებული... მაგრამ, როგორცა ჩანდა, ისიც გვარიანად დაბნეულიყო კარგისა და ავის ამ უთავბოლო ორომტრიალში.

მაშინ კი, ანგარიშსწორებას აყოლილნი, ორივე ნელ-ნელა რომ კარგავდა თავშეკავებასა და ზომიერებას, თავი გმირებად წარმოედგინათ. მკაცრად რომ უსწორდებოდნენ ბოროტებას.

დონატმა როგორც იქნა გააღო კარი და ჯერ მარიკას დაუთმო გზა. მარიკა არ აპირებდა დონატთან შესვლას და მაინც შევიდა. მარიკას დონატი მიჰყვა და ის იყო კარის მიკეტვას აპირებდა კაცი, იანინამ რომ ამოიღო ხმა:

— სახლშიც აღარ მიშვებ?

ხმა ჰქონდა სუსტი, საცოდავი. მაინც ილიმებოდა.

— ახ, — იყვირა კაცმა და ფართოდ გააღო იანინას წინ კარი.

დერეფანში კი აანთო შუქი. მაგრამ ოთახში შუქის ანთება დაავიწყდა. დერეფნიდან შემოსულ სინათლეზე ჩანდა, როგორ გაუბედაობითა და შიშით აიტუზა გაჯით გალესილ კედელთან იანინა, სწორედ იქ, ადრე, იანვრის იმ დილას, მილიციაგამოვლილი რომ ააკრეს.

და მარიკას ის დღე მოაგონდა, როცა ბავშვივით შემკრთალი და დაბნეული ქალი, ხეირიანად რომ ვერ გაეგო რატომ ხმარობდნენ მის მიმართ ამდენ საგინებელ სიტყვას, ხან დონატს შეჰყურებდა, ხან როზას.

დონატს, შუა ოთახში ფეხებგაჩაჩხულს, პირიდან შეუჩერებლად ამოსდიოდა გამანადგურებელი ლანძღვის ნიაღვარი და მაინც არ იყო კმაყოფილი, ცდილობდა უფრო მომაკვდინებელი რამ ეთქვა, ვიდრე ამბობდა და საგინებელ სიტყვათა ეს გამომგონებლობა ენას უხლართავდა, აბორძიკებდა, მაშინ, საკუთარ თავზე გაბრაზებული, ისეთი გამეტებით ისროდა ხელებს, თითქოს მისი მოგლეჯა და გადაგდება სურდა...
ნებაზე.

ახლა აქ არ იყო როზა, სამაგიეროდ მარიკა იდგა დონატის ზურგს ამოფარებული და იმას ფიქრობდა, მაშინაც იანინა იქნებოდაო დამნაშავე.

— რა მოხდა, — თქვა იანინამ, — ხომ უნდა მითხრა რაღაც...

— უნდა ვთქვა კიდეც? — იღრიალა კაცმა, ერთი ჩაისუნთქა, ღრმად და გამწარებით, ორივე ხელი მუშტად შემართა და ყვირილი გააგრძელა:

— ვინ დამინდო, შენ რომ დაგინდე, ვინ შემიცოდა, შენ რომ შეგცოდებოდი... ჩემი სინაზე ვერ დაინახე, ჩემი სითბო... როგორ მოგენდე, შენ, ერთი, მეგონა მყავდი, შენ, ერთი, მეგონა, გიპოვე... შენ კი, თურმე, ისეთივე ყოფილხარ, როგორიც სხვა, ვიოლეტა ყოფილხარ, კახპობა გდომებია. გეთქვა, რა იცი, როგორი ღამეები მეჩვენებინა შენთვის... ჩემგან რომ მიდიოდი, თავი გტკიოდა? გეთქვა და დაგიამებდი. იმიტომ მირეცხავდი იატაკს და მიდუღებდი ჩაის, იმიტომ აგვიანებდი წასვლას, იმის გაგება გინდოდა, როგორი ვიყავი ღამე? ჩემი შემოწმება გინდოდა? მართალია, მაგრამ მაინც გავყვებიო ცოლად, ამას ამბობდი? რად გინდოდა ეგეთი ქმარი, მითხარი, რად გინდოდა... იმიტომ მემსახურებოდი, ჩემი შეჩვევა გინდოდა, ჩემი დაბრმავება?

თან მუშტებს უშენდა ჰაერს და თუმცა კაცი იანინასაგან მოშორებით იდგა, დერეფნიდან შემოსულ შუქზე ჩანდა, როგორი შიშით ხუჭავდა თვალებს ქალი ამ მუშტების ყოველ შექანებაზე.

იანინამ ახლაც ვერაფერი გაიგო და მარიკას სთხოვა შველა.

— შენ მაინც მითხარი, შენ მაინც გამაგებინე...

მაგრამ მარიკა არაფერს ამბობდა.

— დონატ, დაწყნარდი...

— კარგი, იმისი იმედი არა გქონდა, ცოლად რომ გითხოვდი და იმიტომ ლაპარაკობდი ჩემზე ამდენ სიბინძურეს, სხვის წინაშე არ გინდოდა თავი დამცირებულად გეგრძნო. მაგრამ სხვები? სხვებმა რაღა დაგიშავეს, რა დაგიშავა ჩემმა შვილმა და შვილიშვილმა, მარიკამ... საიდანა გაქვს ამდენი ღვარძლი გულში...

ახლა კი მიხვდა იანინა.

— მე მილაპარაკია? — გაეცინა და დამშვიდდა, — ვინ გითხრათ.

— ვინ მითხრა? მთელი ქალაქი ლაპარაკობს, მთელი ქალაქი.

მარიკა, ამოიღე ხმა, თქვი რამე. რა მილაპარაკია.

— ეს შენ ჩემზე კარგად იცი.

— მაინც...

— კიდევ კარგი, ჩემთვის არ გაგიკეთებია რომელიმე შენი „სიკეთეთაგანი“, თორემ თავს მოვიკლავდი.

მერე ამაყად გადახედა დონატს, რომელიც ამასობაში სავარძელში ჩამჯდარიყო და სახე ხელებში ჩაერგო.

იანინას, ალბათ, თავის გამართლების ყოველგვარი იმედი დაეკარგა, რადგან არაფერი უთქვამს. მხოლოდ თვალებში შეჰყურებდა მარიკას. იდგა კედელთან სიკვდილისათვის გამზადებული და ისეთი თვალები ჰქონდა, ისეთი სახე, თითქოს საკუთარ თავს კი არა, ისევ მათ იცოდებდა.

— რას აკეთებთ, ხალხნო, დღეს ხომ არ აპირებთ სიცოცხლის დამთავრებას. როგორ უნდა იცხოვროთ ხვალ.

— გაეთრიე და აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, — თქვა დონატმა.

იანინა ნელა მოშორდა კედელს და ჩუმად, უსიტყვოდ წავიდა. კარის ჭრიალიც კი არ გაუგონია არცერთს.

— ჩაი გინდა? — იკითხა დონატმა.

ღმერთო, მაღალო, მათ ჩაის ერთად დალევაც შესძლეს, იმ საშინელი მკვლელობის შემდეგ.

მეორე დღეს, პირველ მაისს, ზამთარმა უკანასკნელად რომ გაიბრძოლა და გაზაფხულის შუქში აბრჭყვიალა მსხვილი, ვარდისფერი ფიფქის ფილიგრანი, დემონსტრაციისათვის გამზადებული ქალაქი ერთხმად ახარხარდა.

— როგორ იყო, ჭიტლაყის კვრით რომ დაუშვა დონატმა იანინა კიბეზე? — ხან ერთი ეკითხებოდა მარიკას და ხან მეორე.

მარიკაც იცინოდა. „ჭიტლაყისკვრით არ დაუგორებია, მაგრამ არც არაფერი აკლდა. ახ, დონატ, დონატ... არ ღალატობ საკუთარ თავს, ეგ რაღამ გათქმევინა“, — ფიქრობდა თავისთვის და იცინოდა.

არ იცინოდა მხოლოდ იანინა, ჩუმათ მიჰყვებოდა დემონსტრანტებს და ბოლომდე სვამდა მისთვის განკუთვნილ შხამს.

იმ დღის შემდეგ აღარავის უნახავს გოგო.

მის ოთახში როცა შევიდნენ, სკოლის პირველი სართულის განაპირა ოთახში, დაწმენდილ-დასუფთავებული დახვდათ ყველაფერი. სისუფთავეღა მეტყველებდა იმაზე, ოთახში გუშინდლამდე ადამიანს რომ ეცხოვრა, თორემ თმის სარჭი რა არის, თმის სარჭიც არ დაეტოვებინა იანინას.

იმ დღეს გაიგო ქალაქმა ისიც, გამთენიისას საავადმყოფოში სული რომ დაელია ჩინელს.

მიცვალებულს არ უპატრონა ცოლმა, შვილსაც არ შეატყობინა მამის სიკვდილი. საავადმყოფომ დაასაფლავა საცოდავი.

ქალმა ქმრის დამარხვასაც არ მოუცადა, სახლის კარ-ფანჯრებს ფიცრები ააკრა, ერთ ჭრელ თავსაფარში გამოკრა მთელი თავისი ავლადიდება და სადღაც წავიდა.

ქალაქმა თითქოს იცოდა, ასე რომ დამთავრდებოდა ყველაფერი.

— სანამ ცოლად მოიყვანდა მაგ დედაკაცს, მანამდე უნდა ეფიქრა. მთელი ცხოვრება წივილ-კივილში რომ გაატარებინა, აბა რა ეგონა, შურა ის ქალი იყო, სამაგიეროს რომ არ გადაეხადა? — ქალაქს მაინც შეეცოდა ლი. მაინცა და მაინც, გულზე არ ეხატებოდა ჩინელი, რადგან მწარე ენა ჰქონდა და გაუკენ-

წლავი არავინ დაუტოვებია, თუმცა ასე, უპატრონოდ მიწაში ჩასადებად ვერ გაიმეტა, შეწუხდა და თავის დამშვიდებას შეეცადა.

— მეგობარი ჩამოუვა უთუოდ, რომ არ იგრძნოს, არ შეიძლებაო...

მერე კი, როცა მეგობარი არა და არ გამოჩნდა, ქალაქმა დაივიწყა ყველა ის სიკეთე, იმ მეგობრის სახელს რომ არ აწერდა და გაბრაზდა.

— ძარტო მუშტი-კრივი კი არაა ცხოვრებაო... — შეწყვიტა ლოდინი.

თორმეტი მაისი...

ადრე სწორედ იმ დღის, გამო არ უმარტოვდებოდა წარსულს მარიკა, საიდანაც არ უნდა დაეწყო ჩხვევა მოგონებათა მორევს, ერთისაკენ მიიწევდა მუდამ, ერთს ეტრიალებდა, ერთით ივსებოდა. ის ერთი კი მამაკაცი იყო, მამაკაცი, რომელსაც ჩინელს ეძახდა მთელი ქალაქი. მარიკასაც მართლა ჩინელი ეგონა, სანამ იმ დღეს, კვირტის შობის დღე რომ შეარქვა მერე, მოულოდნელად არ გადაეყარა ბაზრისაკენ მიმავალ გზაზე.

ბაზარში არაფერი საინტერესო არ ეგულებოდა. მთელი წელი კომბოსტოს მწნილით ვაჭრობდნენ მხოლოდ. ზოგჯერ ძველმანებს თუ გამლიდა დახლზე რომელიმე თავშალში გამოკრული დედაკაცი. დღესასწაულებზე ქათამი ან კვერცხი შეიძლება გამოჩენილიყო. ეს იყო და ეს.

უბრალოდ, ის დილა ძალზე უხასიათო ჰქონდა და ქალაქში მოისურვა გავლა.

ცა მოწმენდილი იყო და არაფერს ცუდს არ უქადდა დედამიწას. მზე ყინულის ნატეხივით ელავდა და ის გაიფიქრა, დღეს დათბებაო.

მერე შეამჩნია, პატარა, სუსტ ხეებს ტოტებზე ნემსის ყუნწივით წვრილი კვირტი აესხა და დილის სუსხში გატრუნულიყო. ჯერ კიდევ გუშინ საამისო არაფერი ეტყობოდა საიდანღაც ჩამოსახლებულ და ქუჩის გაყოლებით დაცალკავებულ არყებს. გაუკვირდა და ისეთი ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალიერება, თითქოს კვირტი პირველად ენახა.

ხანგრძლივი და მკაცრი ზამთარი, აპრილი კი, ყინულის დნობის ჟამი, ისეთი ნიაღვრებითა და ზღვიდან მოხეთქილი ქარებით აივსო, ვილას ახსოვდა ფოთოლი.

ქუჩა ცარიელი იყო. ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა ვინმე. ზოგჯერ სატვირთო ავტომანქანა თუ ააჭყაპუნებდა ტალახიან გუბეებს.

კინოთეატრს გასცდა და აი ისიც...

შორიდანვე დაინახა.

ტყაპუჭი ეცვა, თავზე არაფერი ეხურა. ცალ მხარზე მოეგდო ზურგჩანთა და ორლულიანი მოკლე თოფი. მძიმე, სალდათურ ჩექმებს მოაბრახუნებდა ხის ტროტუარზე. მაღალი იყო. ღონიერ წვივებზე შემოტმასწოდა ჩექმებში ჩატანებული შარვალი.

ნელა უახლოვდებოდა მარიკას.

ჭაღარა, შეთხელებული და მოშვებული თმა ტყაპუჭის ბეწვიან საყელოს სცემდა. გრძელი, კუნთიანი სახე ოთხკუთხედი, ორად გაპობილი ნიკაპით უმთავრდებოდა. დიდი, ხორციანი პირი განსაკუთრებულად იგრძნობოდა სწორი, თხელი ცხვირის გამო, რომლის სიფრიფანა ნესტოები სუნთქვის დროს ცხენივით ებურცებოდა. თვითონაც, რაღაცნაირად, ცხენივით მოაბიჯებდა, ლაღად და დაძაბულად ერთსა და იმავე დროს.

რაღაც უცხო, შორეული იმზირებოდა მისი მოჭუტული თვალებიდან, გაცრეცილ, დაღარულ სახეს სხვა მიწის ქარი და დაუმორჩილებლობა მოჰქონდა.

მარიკა არ შეუმჩნევია, ისე ჩაუარა. შეიძლება შეამჩნია კიდეც და ყურადღების ღირსად არ ჩათვალა. შედგა და მხრიდან გადმოცურებული ტვირთი მოხერხებულად მოიგდო ზურგზე.

მარიკა იდგა და მიმავალს გასცქეროდა. ხედავდა, როგორ მიჰქონდა ტანი, მსხვილი და ძლიერი, ესმოდა, როგორ ილეოდა მისი ნაბიჯების ხმა.

უცნაური მარტოობა იგრძნო, უსაშველო სევდით აევსო გული. თითქოს

არც თავშესაფარი ჰქონდა, არც ჰყავდა ვინმე. ხელი რომ შეეშველებია და იდგა ასე, უსავანო და უძლური, ამ ცასა და მიწას შორის, არც არსაიდან მოსული და არც არსაითკენ მიმავალი, იდგა და უსმენდა სიჩუმეს, დაუსრულებელს, დაურღვეველს...

მერე მუსიკალური სკოლისაკენ წავიდა. სკოლაში არავინ ეგულებოდა, არც არავინ დახვედრია. მაისის საზეიმო დღეების შემდეგ მოსწავლეებმა მალევე ჩააბარეს გამოცდები, მაშინვე ჩატარდა პედსაბჭოცა და მშობელთა კრებებიც. ახლა პედაგოგები ერთმანეთის სანახავად თუ შემოივლიდნენ დღის მეორე ნახევარში.

მისაღები გამოცდები თვის ბოლოს დანიშნა დირექტორმა და დარჩენილი დღეები საკუთარ თავებს მოახმარეთო, — გაახარა ყველა.

მარიკა უკვე სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობდა.

სკოლას შემოუარა და ლის პატარა სახლის წინ აღმოჩნდა.

ლითქოს იცოდა, კარ-ფანჯრები ფიცრით აჭედილი რომ აღარ დახვდებოდა. თითქოს მაშინვე მიხვდა, ის მამაკაცი, მოულოდნელად რომ შეეფეთა ბაზრისაკენ მიმავალ გზაზე და გზას ააცდინა, ბაზრის მაგივრად აქ, ამ პატარა სახლთან მოიყვანა, მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო, ის, ვისაც ელოდა მთელი ქალაქი და „მარტო მუშტი-კრივი კი არაა ცხოვრებაო“ — შეწყვიტა ლოდინი.

— იგრძნო, — გაიფიქრა და ცრემლი მოადგა. შეეცოდა კაცი.

იდგა სკოლის შენობის კუთხეს ამოფარებული და სველი თვალებით შეჰყურებდა სახლს, რომელსაც ძალიან მალე დატყობოდა უპატრონობა. გადაწოლილიყო მესერი, ალაგ-ალაგ ფიცარი აეგლიჯა ვილაცას, ხის პატარა მორი გამქრალიყო, ის ვილას დაჭირვებოდა ნეტავ. დამტვრეული ფანჯარა ამღვრევდა მოხვედრილ სხივს; ხოლო კარი, სანახევროდ ღიად დარჩენილი, აყირავებულიყო. სიბნელე გამოდიოდა შიგნიდან.

— ალბათ ტირის, — ფიქრობდა, თუმცა ძნელი დასაჯერებელი იყო იმ კაცის ტირილი.

მარიკას უკვე უყვარდა.

და თუმცა უამრავი დრო აცილებდა იმ წუთებს, საცოდავად რომ მიყუჟულიყო შენობის კუთხესთან და უკვე უყვარდა, მისი გახსენება ყოველთვის უცნაურ მარტოობას გვრიდა. უსაშველო სევდით ევსებოდა გული. თითქოს არც თავშესაფარი ჰქონდა, არც ჰყავდა ვინმე, დახმარების ხელი რომ გაეწოდა და იდგა ასე, უსავანო და უძლური ამ ცასა და მიწას შორის, არც არსაიდან მოსული და არც არსაითკენ მიმავალი, იდგა და უსმენდა სიჩუმეს, დაუსრულებელს, დაურღვეველს...

დღის მეორე ნახევარში სკოლაში შეკრებილი პედაგოგები დაშლას არა ჩქარობდნენ, ღიმილით იხსენებდნენ ჩინელის მეგობართან დაკავშირებულ ზოგიერთ წვრილმანს, ხალხის იუმორითა თუ ირონიით აღსავსე მახსოვრობას მათ ყურამდეც რომ მიეტანა და იმას გაიძახოდნენ, ნახეთ, თუ ვინმე კიდევ არ გალახოსო.

— შურას ეტირება დედა, — ამბობდა დონატი.

— კი, შურას გალახავს. მოძებნის და გალახავს, — ეთანხმებოდა როზა.

...ლაპარაკობდნენ კოლეგები, იქცევდნენ თავს, მარიკა კი იმას ნატრობდა, რაც შეიძლება გვიან დაშლილიყვნენ, რაც თავი ახსოვდა, პირველად აშინებდა მარტოობა.

მაგრამ როგორადაც არ უნდა გაგრძელებულიყო პედაგოგთა ის თავშეყრა, დასასრული მაინც ეწერა და თავის გრილ საწოლში გარიყულს გარიჟრაჟამდე თვალწინ ედგა მამაკაცის ჰაღარა, შეთხელებული და მოშვებული თმა, ტყაპუჭის ბეწვიან საყელოს რომ სცემდა, მისი გრძელი, კუნთიანი სახე და ორად გაპობილი ნიკაპი, დიდი, ხორციანი პირი და სწორი, თხელი ცხვირის სიფრიფანა ნესტოები, სუნთქვის დროს ცხენივით რომ ებურცებოდა, მისი სიარული, ცხენივით ლაღი და დაძაბული ერთსა

და იმავე დროს, ხედავდა, როგორ მიაქრონდა ტანი, მსხვილი და ძლიერი, ესმოდა, როგორ ილეოდა მისი ნაბიჯების ხმა...

გამთენიისას, თვლემა რომ წამოეპარა მის გათოთხარებულ გონს, ძილღვიძილის ბინდიან სიოცნებებში ის იგრძნო, კაცი თავად რომ მივიდოდა მასთან. სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო, ისეთი ძლიერი იყო ნდომა მისი კიდევ ერთხელ ხილვისა და ალბათ, არა მარტო ხილვისა.

ამ მოლოდინით ალსავსემ მისცა თავი ძილს, ამ მოლოდინით ალსავსემ გაატარა მეორე დღე.

რა უაზროდაც არ უნდა მოჩვენებოდა მარიკას იმედი სხვას, ის მოლოდინი ოცნებას ხომ უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ მოცდას, მოცდას იმისას, რაც დღეს თუ ხვალ აუცილებლად უნდა მომხდარიყო, გოგონსათვის იგი მაინც ჩვეულებრივ მოცდას ნიშნავდა და არა ოცნებას, ისე შეურყევლად სჯეროდა მისი ახდენა.

შუაღლემდე ელოდა წყნარად და მოთმინებით, მერე სკოლაში წავიდა, დარბაზის ფანჯარასთან აიტუზა და ისევ ჩინელის ქოხს დაუწყო თვალთვალი.

კაცი არა ჩანდა. სამაგიეროდ, ლობის ძირში იმ მორს მოკრა თვალი, ჩინელის სიკვდილის შემდეგ რომ გაქრა. წუხელ თუ მოეტანათ და ისევ თავის ადგილზე დაედოთ.

— შეეშინდათ, — გაეღიმა მარიკას და ის გაიფიქრა, მთელ ქალაქს რომ ეშინოდა კაცის, მთელ ქალაქს, მარიკას გარდა, რადგან მარიკას უყვარდა იგი და მასაც უყვარდა მარიკა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ იცოდა, ან, იქნებ, იცოდა კიდეც, რადგან არ შეიძლება არაფერი ეგრძნო, არ მოდებოდა ხიბლი მის გულს, არ შეეკრა გრძნებით იმ ღვთაებრივსა და გრძნეულ ვნებას, არა მარტო მარიკას სხეულს, არამედ ყველაფერს, რასაც მიწვდებოდა თვალი და გონი, რომ აცოცხლებდა და საკუთარი გრძნეულებით ავსებდა.

— ქოხიდან ჯერ არ გამოსულა? — მოსაღამოებულზე სკოლაში შეკრებილი ხალხი ამას კითხულობდა, მხოლოდ...

— რას აკეთებს ამდენ ხანს ქოხში, ან ჭამა არ უნდა, ან სმა...

— ნეტა, რას იზამს ქოხიდან რომ გამოვა...

მარიკა კი დუმდა, დუმდა და ილიმებოდა. არავინ იცოდა რას იზამდა კაცი, როცა ქოხიდან გამოვიდოდა, არავინ, მარიკასა და იმ კაცის გარდა და ეს საიდუმლო მშვიდი ძლევამოსილებით უვსებდა გულს, სხვაზე, ყველაზე ალმატებულ კაცად აგრძნობინებდა თავს.

იცოდა მარიკამ, პირველი, რასაც გააკეთებდა ქოხიდან გამოსული კაცი, ის იყო, მასთან რომ მივიდოდა.

კაცმა კი უფრო მეტი იცოდა, იგი ამას გააკეთებდა მეორე დღეს, დილით.

...და მან მორიდებით და რაღაცნაირად, მოურიდებლადაც შეაბიჯა მარიკას სახლში.

ტყაპუჭი არ ეცვა. რუხი, უხეში ძაფისაგან უხეშად ნაქსოვი, გრძელი და სახელოებგადაკეცილი, ხმარებისაგან გაფართოებული სვიტრი კიდევ უფრო უდიდებდა ისედაც ფართო მხარბეჭს.

ერთადერთი, რაც შეეძლო გაეკეთებინა მარიკას, ის იყო, კაცის წინ ჩაეჩოქა და მისი უშველებელი, მამაკაცურად დაძარღვული ხელები დაეკოცნა, მაგრამ კაცი ამისათვის არ იყო მისული და იმდენი კი შეძლო მარიკას დაბნეულმა გონმა ამას მიხვედრილიყო.

იგი ილიმებოდა, მაგრამ არა ისე, საყვარელ ქალს რომ ულიმიან. ამ ღიმილში ყრუდ ელერდა ცნობისწადილის დაკმაყოფილება, — აი, თურმე როგორი ყოფილხარო შენ. საერთოდ კი იგი ჩვეულებრივი, უბრალო, ბუნებრივი იყო.

მერე მისმა მამაკაცურმა, დაღლილმა თვალებმა შეწყვიტა ღიმილი და ისევ ის გაფანტული ან იქნებ ოდნავ სევდიანი გამომეტყველება დაიბრუნა, როგორიც პირველად შეყრის შემდეგ ახსოვდა მარიკას.

ერთხანს იდგა ასე, თითქოს უნდოდა საშუალება მიეცა გოგონსათვის, ეცნო იგი, შეეღწია იმ სამყაროში, რომელიც

ასე გათავისებული ჰქონდა მოსულს, ხოლო მარიკას იგი იქნებ უცხო, ან უფრო მეტიც, მტრულად განწყობილი ჩვენებოდა, სამყარო, რომელშიც მათი დიდი ხნის ნაცნობობა, ან იქნებ მეგობრობაც კი, ასე ნათლად, ასე ბუნებრივად ესახებოდა კაცს.

მერე შინაურულად თქვა.

— წამოდი, მაჩვენე საფლავი.

მიხვდა მარიკა, ახლა. სწორედ ახლა ხდებოდა შეჯამება კუნძულზე გატარებული მისი თვეებისა, ან იქნებ მეტიც, მთელი მისი თვრამეტი წლისა; ახლა, ამ წუთებს სურდა მიელო ის ნაყოფი, რომელიც მის ადამიანობას უნდა მოემწიფებინა ასეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე და იგრძნო, როგორი უმწიფარი, როგორი უსახური გამოსვლოდა იგი.

აკანკალებული, ცრემლიანი ხმით გასცა პასუხი.

— არ ვიცი.

საწოლზე ჩამოჯდა.

— მცემს, — ვიღაც აწრიალდა მასში, — მცემს, — და დამშვიდდა, რადგან იცოდა, თუ ვინმე იყო საცემი მთელ ქალაქში და მთელ კუნძულზე, მხოლოდ მარიკა, ადამიანი, რომელმაც არ იცოდა სად დაიმარხა მეგობარი მისი. დამშვიდდა, რადგან სიხარულით მიიღებდა დამსახურებულ სასჯელს.

მამაკაცი კი არა ჩქარობდა სასჯელის მიზღვას. ერთხანს დუმდა. მერე მიუახლოვდა მარიკას, წამოაყენა, ერთი ლონივრად შეარყია, ალბათ სურდა თავი აეწია გოგოს, სახეში შეეხედა მისთვის და მშვიდად თქვა:

— მოვძებნოთ.

და მათ გადასერეს ქალაქი სიგრძეზე.

წინ ზომიერი, სპორტული ნაბიჯით გრეგორი მიდიოდა, უკან კი ქალი მისდევდა, სწორედ რომ მისდევდა, რადგან მამაკაცის ზომიერ ნაბიჯს თავისი აჩქარებული, სასაცილოდ მოხტუნავე სიარული რომ არ აედევნებინა, საგრძნობლად ჩამორჩებოდა.

იგი მხოლოდ მამაკაცს მიჩერებოდა და აღარ ახსოვდა ქალაქი, მათ სწრაფ სიარულს რომ ადევნებდა გაკვირვებულ თვალს, გაკვირვებულს არა იმიტომ, რაღაც არაჩვეულებრივს რომ ელოდა ჩამოსულისაგან და ასეთი ჩვეულებრივი ამბის მოწმე კი გახდა, არამედ იმიტომ, სწორედ არაჩვეულებრივს რომ ელოდა და თავიდანვე ვერ მიხვდა, ასე რომ უნდა მომხდარიყო ყველაფერი და არა სხვაგვარად.

ქალაქი დამთავრდა და მარიკამ ხელმარჯვნივ, სერზე შეფენილი სასაფლაო დაინახა. საფლავთა თეთრად შეღებილი რკინის ღობეები. მშვიდად იდგნენ ბალახგადავლილ მიწაზე.

მამაკაცი არ შეჩერებულა. ისევ პირდაპირ მიდიოდა. მერე, როცა სასაფლაოს ბოლოს გაუსწორდა, აღმართზე შედგა ფეხი.

სიარული არ შეუნელებია. სამაგიეროდ მარიკა ყოვნდებოდა. სველ ბალახზე უსხლტებოდა ფეხი, სველ ბალახზე კი არა სველ მიწაზე, რომელშიც შეუბრალებლად იზილებოდა ჯერ ისევ სუსტი ბალახი.

ბოლოს კაცი შედგა.

შედგა მარიკაც. ტალახიანი ხელისგულები შეახოცა ერთმანეთს.

კაცი გვერდზე გადადგა და მარიკამ დაინახა ახალი საფლავი. უგულოდ მიყრილი მიწა წვიმას დაელარა და საფლავის საზღვარი გადაეთელა.

იდგნენ მდუმარედ.

მერე მარიკამ ფერი დაკარგა და ხელები აიფარა სახეზე.

კაცს ეგონა ტირისო და ხელი არ შეუშალა, მაგრამ, როცა მარიკამ მოიცილა სახიდან ხელები და აიძულა თავის გაფართოებული, შიშჩამდგარი თვალებით კიდევ ერთხელ დაკვირვებოდა საფლავს, კაცმა ჰკითხა:

— რა მოხდა.

— საფლავი სუნთქავს, — ამოიგმინა.

— სუნთქავს, — დაეთანხმა კაცი, — ამიტომ არაა საჭირო ქვა დავადოთ მკერდზე. ჩანჩქერთან არყის ჰალაა. ჯერ კიდევ არაა გვიან. წამოვიღებ არყის ხეს და თავთით დავურგავ.

მიუახლოვდა კაცი, მკლავებში მოი-

ქცია მისი სუსტი მხრები.

— მეც წამიყვანე, — სთხოვა კაცს.

— რაა? — გაეცინა.

— წამიყვანე!

— ნამყოფი იქნები.

— ვარ.

— ვინ წაგიყვანია?

— ვალერიმ.

— ვალერი, ვალერი... — ისევ გაეცინა კაცს. — ყოფილხარ ნამყოფი და რაღა გინდა.

და იგრძნო მარიკამ რა საოცრად მთლიანი იყო მის გარშემო ყველაფერი. როგორ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან ეს მამაკაცი და ჩინელის ქოხი, ეს აფულავი და ჩანჩქერი, ვასილი და არყის ჰალა, ტალახში აზელილი ბალახის ქვალი და ოდესღაც, სადღაც, ნაპირზე ამოყრილი თევზი, გადატეხილი არყის ხე და შეძრწუნებული, თავზარდაცემული დონატი, მის ფეხთით ჩაჩოქილი იანინა და ის მორი, ჩინელი რომ ვერასოდეს ველარ ჩამოასვენებდა ზედ თავის დაღლილ, შემუპებულ სხეულს... მხოლოდ მარიკა იყო გარეთ გამდგარი, მხოლოდ მარიკას არ უშვებდნენ ახლოს, რადგან ეს კაცი, კაცი, რომელსაც უნდა შეეყვანა იგი ამ ჯადოსნურ წრეში, იცინოდა. — ყოფილხარ ნამყოფი და რაღა გინდაო...

— როდის აპირებ გამგზავრებას, — იკითხა კაცმა.

— ჯერ მისაღები გამოცდებია წინ.

— რა გინდა მისაღებ გამოცდებზე. მომავალ წელს აქ მაინც აღარ იქნები.

„აქ აღარ ვიქნები? რატომ..."

მარიკა არ აპირებდა მამაკაცის მკლავებიდან თავის დახსნას. ისევ მან შეუშვა ხელი.

— წავედით, — თქვა მან და შეტრიალდა, დაღმართის მისცა თავი. აღარ მიუხედია გოგოსაკენ.

და კიდევ ერთხელ გადასერეს ქალაქი.

ქალაქი აღარ ეთვალთვალებდა მათ. ქალაქმა უკვე იცოდა, ეს კაცი ის გრეგორი აღარ იყო, რომელიც ახსოვდა.

იმ დღის შემდეგ ერთი კვირა კიდევ დაჰყო კუნძულზე მარიკამ.

იდგა დარბაზის ფანჯარას აკრული და იმ ქოხს გაჰყურებდა, ადრე ლის სახლად რომ იწოდებოდა და ახლა გრეგორის საკუთრებად ქცეულიყო.

აქ დასახლებულიყო კაცი, შეეკეთებინა ღობე, დაებარა ქოხის წინ ყვითელი ყვავილებისათვის განკუთვნილი მიწა, ჩამოერეცხა ფანჯრები და ხელახლა ჩამოეკიდა ანჯამებიდან ამოვარდნილი, აყირავებული კარი.

იდგა და ელოდა, როდის გამოვიდოდა კაცი გარეთ.

იგი არ ჩანდა.

გადაწყვიტა, შევალ ქოხში, რა უნდა მოხდესო.

კისრისტეხით დაეშვა სკოლის კიბეზე, მაგრამ ღობის კუტიკართან შედგა, კი არ შედგა, გაშეშდა.

ქოხში შესვლისა ეშინოდა თუ ეკრძალებოდა, ვერ გაეგო.

იქნებ ახლა იგივე გრძნობა ადებდა ბორკილს, ადრე რომ ბოჭავდა, როცა ვერ წარმოედგინა როგორი უნდა ყოფილიყო ჩინელი იქ, მოცილებული მიწასა და ცას, გამომშრალ, გამოფიტულ, ჩაყამულ ფიცრებში გამომწყვდეული და ეჩვენებოდა, რომ ამ კედლებს ამოფარებული კაცი არსებობას წყვეტდა, შიგ გამეფებული სივიწროვე ხომ ყოველთვის მუდმივსამყოფელივით ბნელი, ცივი, ნესტიანი ესახებოდა დარბაზის ფანჯრებიდან.

იქნებ სულაც არ იყო ასე, იქნებ, პირიქით, რაღაც იდუმალი, არამიწიერი, ღვთაებრივ შუქად ჩამდგარიყო შიგ და მარიკას — მიწიერს, შეპყრობილს სიყვარულის ხორციელი ზეიმისაკენ დაუოკებელი ლტოლვით, არ ეპატიებოდა მისი ხილვა.

— როგორ გამოვიტყუო გარეთ, — როგორც იქნა მიაგნო ამ ერთი შეხედვით შეურაცხმყოფელ სიტყვებს.

წამიც არ დაჭირვებია; დარბაზის ესტრადაზე ავარდა.

პიანინოს მიუჯდა.

იცოდა, რაც არ უნდა დაეკრა და

როგორც არ უნდა დაეკრა, გრეგორი გარეთ მაინც არ გამოვიდოდა, მაგრამ ძნელი იყო დათანხმებოდა გონებას, დამორჩილებოდა ბედს. მაინც უკრავდა, თვითონაც არ იცოდა რას, მაგრამ უკრავდა კი, არ უსმენდა საკუთარ თავს, თითები თვითონ მიიწევდნენ თეთრი თუ შავი კლავიშებისაკენ და იპყრობდნენ მთელ კლავიატურას. თითქოს ქარი ჰქონდა ჩამდგარი ხელებსა და ტანში, ვერავითარ სიმძიმეს ვერა გრძნობდა, კლავიატურის ვერავითარ წინააღმდეგობას. უკრავდა და მუსიკა თანდათან ბრახუნში გადადიოდა. სასოწარკვეთი ისადგურებდა ერთმანეთზე შეხორვილი სკამებით სავსე დარბაზში. რიგებს შუა დაფენილი გრძელი ხალიჩაც აეკეცათ, გადაეხვიათ და კუთხეში მიეყუდებინათ, ფარდებიც ჩამოეხსნათ. დარბაზის ხელახლა შეღებვა თუ განეზრახათ და წინასწარ მოემზადებინათ ყველაფერი.

— არ გამოვა, — ბრახუნით ითვლიდა კუნძულისათვის განკუთვნილ უკანასკნელ წამებს დრო, — არ გამოვა. შენთვის გამოდიოდა ლი, ეს კი არ გამოვა. იგი გამოვა სხვისთვის; იქნებ მორზეც ჩამოჯდეს და ბოლომდე მოუსმინოს, შენთვის კი არა, არა, არა...

ის ახსოვს, სადგურში რომ გავიდა გასამგზავრებლად გამზადებული.

გაზაფხული იღეოდა.

ის უკანასკნელად ხედავდა ქალაქს, ასე დაღვრემილი და პირქუში რომ ეჩვენა პირველ ღამეს, დაუნდობელი სიმკაცრე რომ ამოიცნო მისი საპყარი, კუტი სახლების მზერაში, მერე კი, ცოტათი თუ ბევრად, შეეჩვია ხის ფანჩატურებსა და ღია საკანალიზაციო გაყვანილობას, ფიცრით გადახურულსა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ფიცარნაგს, შეეჩვია ზღვის კომბოსტოს სუნს, რომლითაც უხვად იჟღინთებოდა ქალაქი, როცა ქარი ზღვიდან უბერავდა, ხოლო ქარი ხშირად უბერავდა ზღვიდან; შეეჩვია ქალაქის ორიოდ ქუჩას, ასფალტდახეთქილსა და ტალახიანს. გემო გაუსინჯა კუნძულის პურსა და წყალს; გაეცნო სკოლის ორიოდ მასწავლებელს და დაიჯერა ქალაქში მცხოვრები ადამიან[illegible]ობა, განწყობილება შეურ[illegible]ლად იგრძნო თავი.

ყველანი აქ იყვნენ, მზიან ბაქანზე... როზაცა და დონატიც, ვალენტინაცა და იგორიც, ბაიანისტები, არტემი და ვალერი, არტემის საცოლე და ვიოლეტა, შვილიშვილისათვის რომ ჩაევლო ხელი.

—ვალერი, ვალერი...—ამბობს მარიკა და თითქოს მარიკა კი არ ამბობს, ვიღაც სხვა ლაპარაკობს მარიკას ხმით.

— როგორი დაუნდობელი ყოფილხარ.

— მეე? რათა... დაუნდობლობა რა შუაშია...

უღიმოდნენ და კოცნიდნენ, კოცნიდნენ და უღიმოდნენ. არაფერს კი არეუბნებოდნენ, რადგან ყველამ იცოდა, სამუდამოდ რომ შორდებოდნენ მარიკას და ნებისმიერი, ყველაზე თბილი სიტყვაც კი ზედმეტი იყო და ყალბი, ყალბი იყო და ზედმეტი.

მერე დაიძრა მატარებელი და თითქოს ვაგონის მორეცხილი იატაკის გრილმა, სასიამოვნო სურნელმა აგრძნობინა ყველაზე ცხადად, რომ მიდიოდა. აწრიალდა მარიკა, ფანჯარას ეცა, ვიღაცას დაუწყო გამწარებით ძებნა გარეთ დარჩენილ სივრცეში, ეხეთქებოდა მაღლა აწეულ ხელებს, მომღიმარსა და თითქოს გულგრილობაშეპარულ სახეებს, ვაგონს რომ მოუყვებოდნენ რწევით და მარიკასთან ალარაფერი ჰქონდათ საერთო.

— დამთავრდა, — ვიღაც კიოდა მასში და ყველაფერს, რასაც ეხეთქებოდა მზერა მისი, წარსულად თვლიდა.

9.

აზრად რომ მოსვლოდა ვინმეს იმით დაინტერესებულიყო, იყო თუ არა მარიკა თავისი ცხოვრებით კმაყოფილი, აზრად რომ მოსვლოდა ეკითხა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, არავინ, თუნდაც წამით, არასოდეს დაეჭვებულა იმაში, კმაყოფილი რომ იქნებოდა. კმაყოფილი

კი არა, ბედნიერების გამაოგნებელი სისრულით რომ იქნებოდა სავსე, რადგან მისი პოპულარობის ალმა სვლა არსად შეფერხებულა. შურით დაძრული სიტყვაც კი არსად დახვედრია წინ. არასასიამოვნო შემთხვევითობასაც კი არა ჰქონია ადგილი, და მაინც, თუ ვინმეს დაებადებოდა სურვილი ასეთი, ცხადზე უცხადესი რამ ეკითხა მისთვის, მარიკა სერიოზულად დაფიქრდებოდა, რომელი ცხოვრება აინტერესებდა ცნობისმოყვარეს, რადგან ჰქონდა თუ არა საკუთარი ცხოვრება, მისთვის ეს ჯერაც გაურკვეველი იყო.

გარეშეთათვის იგი ძველებურად მშვიდი და გულგრილი ჩანდა, ამიტომ ფიქრობდა ყველა, იმ ერთად ერთს, რაც აკლდა მარიკას — ოცდაათ წელს მიღწეული ისევ გაუთხოვარი იყო — არც არასოდეს მოისურვებდა, არც არასოდეს მოეკიდებოდა ოჯახს.

მარიკას შემხედვარენი, მასში მშვიდ თვითკმაყოფილებას რომ ხედავდნენ მხოლოდ, უოჯახობასაც შენაძენად უთვლიდნენ და ორმაგი კმაყოფილებით ალსავსედ ალიქვამდნენ ქალს.

და მაინც, თუ კი დაებადებოდათ სურვილი ეკითხათ მისთვის, კმაყოფილი იყო თუ არა ბედის, — ისე რათ, — იტყოდა ალბათ დუმილის შემდეგ, თითქოს დუმილის ის რამდენიმე წამი თავისი ცხოვრებისათვის თვალის გადასავლებად ჭირდებოდა, რათა ყურადღებიანსა და უხალისოს, უნდილად ეთქვა ის ორი სიტყვა.

ვის მოუვიდოდა აზრად ასეთი ვნებადაცლილი პასუხის იქით მართლა დაბნეული, საკუთარ ცხოვრებაში ჯერაც გაურკვეველი ადამიანი დაენახა.

არა და, მართალი იყო მარიკა. დრო მიდიოდა, ბევრი რამ მიჰქონდა დროის დინებას და ბევრიც მოჰქონდა, იცვლებოდა მისი ყოველდღიური საქმიანობის ფორმა, მაგრამ მხოლოდ ფორმა და ისიც მექანიკურად ემორჩილებოდა ყოველი ახალი დღის მიერ მოტანილ საზრუნავს, რომელიც წინა დღისას ჰგავდა კიდეც და არცა ჰგავდა. დრო კარნახობდა ტექსტს და ისიც მოსწავლესავით ცდილობდა შეძლებისდაგვარად ზუსტად, ერთგულად გადაეტანა იგი თავისი [illegible] ხლის მომდევნო, დაუწერელ ფურცელზე, ცხოვრებად ექცია იგი და ვერ გაეგო, რატომ კარნახობდნენ მაინცა და მაინც იმ ტექსტს და არა სხვას, ვერ გაეთავისებინა ბუნებისაგან შემოთავაზებული, შემოთავაზებული კი არა, ნაბრძანები როლი, ვერ დაემყარებინა მის ჯერაც დაბნეულ, გაოგნებულ სულს კონტაქტი გარე სამყაროსთან, ვერ ამოეცნო იმ ადგილის არსი, სადაც დააყენეს, იმ საქმის აუცილებლობა, რასაც აკეთებინებდნენ.

ან, იქნებ, ბუნებას სრულიადაც არ მიუღია მონაწილეობა მისი ცხოვრების აგრერიგად ჩამოყალიბებაში, იქნებ ყოველივე ბავშვობისდროინდელი შეცდომის ბრალი იყო, როცა მას ბუნებრივ მიდრეკილებად ჩაუთვალეს ის ერთი ციცქნა ნიჭი, რომელსაც მომავალში შემოქმედად უნდა ექცია მარიკა. უკან მოუხედავად გადაუშვეს კლდიდან, არწივის ბახალა ეგონათ და უშიშრად ადევნებდნენ თვალს, როდის გაშლიდა ფრთებს, ის კი მხოლოდ ქვევით ეშვებოდა და აი, დაეცა კიდეც. დიდი ხნის წინ დაშვებულმა შეცდომამ, თავის დროზე რომ არ გასცა თავი, წლების მერე ისეთი ბზარი გააჩინა მასსა და მისთვის განკუთვნილ ცხოვრებას შორის, შემოქმედებაზე ვილა ლაპარაკობდა, სიცოცხლისა თუ ცხოვრების ბუნებრივი განცდა სწორედ მარიკას დაუსვა ძვირად.

საკუთარ უნიჭობას აბრალებდა ყველაფერს, პატივმოყვარეობას აბრალებდა. სწორედ პატივმოყვარეობას აჰყვნენ მშობლებიცა და თვითონაც, როცა ერთი ციცქნა ნიჭის მეშვეობით შემოქმედის როლის დასაკუთრება დაისახეს მიზნად. შემოქმედებას კი ერთი ციცქნა ნიჭი კი არა, უზარმაზარი ტალანტიც არ ეყოფა, თუ შიგ პატივმოყვარეობის ნამცეცი ურევია უმძიმესი ტვირთის მხრებზე მოგდება მოინდომა

და ისიც დაკარგა, რისი ტარებაც შეეძლო.

რა თქმა უნდა, ახსოვდა ალმაფრენის წუთები, ახსოვდა ოვაციები, ახსოვდა აღფრთოვანებული სიტყვები, გაბრწყინებული თვალები... ყველაფერი ეს ახსოვდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ მაშინაც, ალმაფრენის იმ წუთებში, მხოლოდ მოსწავლე იყო, მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლე, რომ იქიდან, იმ წუთებიდან უნდა დაწყებულიყო ჭეშმარიტი აღმასვლა, ჭეშმარიტი შემოქმედება, ჭეშმარიტი კონტაქტი ადამიანებთან, ბუნებასთან, საკუთარ მისწრაფებებთან, ყოფიერების იდუმალ ძალასთან, ყველაფერ იმასთან, ურომლისოდაც არ არსებობს არაფერი ღირებული.

მაგრამ, დაიწყო?

ნუთუ ამდენი ხნის მანძილზე არაფერი ახსოვდა ისეთი, მისი პულსი მარადიულის მაჯისცემას რომ დამთხვეოდა და მარიკას სისხლსაც ეგრძნო სიცოცხლის ღელვარება?

არავის უკითხავს მისთვის ასეთი რამ.

არავინ ეკითხებოდა, თორემ იტყოდა, იტყოდა, რომ ერთხელ...

აგარაკიდან მოშორებით ძველი ციხე იდგა, კედლებჩაქცეული, ქვეწარმავალთა ბუდედ ქცეული, ყვავების სამფლობელო. იმ ციხის იქით, თუ დაღმართს ჩაირბენდი და ტყეში ჩაკარგულ ბილიკს დაადგებოდი, ერთ სოფელში ამოყოფდი თავს. ბიჭებს იქიდან ამოჰქონდათ ხილი, მწვანილი და კარაქი გასაყიდად. კარაქი ხელისგულისოდენა იყო, ლელვის ფოთოლში გახვეული. მომჟავო სუნი ჰქონდა იმ კარაქს, მომჟავო გემო.

ატყდა ნინიკო, იქ უნდა წავიდეთო, აიყოლია ძმა და რამდენიმე კიდევ სხვა. მარიკა ძალით წაათრია, შენი ბრალია დედა რომ გვეჩხუბება, სახლში რასა ზიხარ, ჩვენთან ერთად იარე და ნახე თუ რამე გვითხრასო.

ახსოვდა, გზად გლეხს გადაეყარნენ. სახედარს მიერეკებოდა კაცი. სახედარზე ცარიელი ხურჯინი ეკიდა. ალბათ მაწონი გაყიდაო, — გაიფიქრა რატომღაც.

უკან რომ გამობრუნდებოდა, მაშინღა იგრძნო დაღლა. ციხისაკენ შეუყვნენ აღმართს და მოწყურდა, ისე მოწყურდა, მარტო ყელით კი არა, სხეულის ყველა ნაწილით დაეწაფებოდა წყალს, ვინმეს რომ მიეწოდებინა იგი. ან მიწოდებული რას ეყოფოდა, მთელი მდინარეც ვერ მოუკლავდა წყურვილს ალბათ.

ხელში ჯოხი ეჭირა, სადღაც ეპოვა, სწორი იყო, თავში გადაღუნული. სიარულის დროს მოხერხებულად ეყრდნობოდა, იმიტომ წამოიღო. ხორცმა უკარნახა, სისხლმა უკარნახა. დაჰკა ეგ ჯოხი კლდეს და სადაც დასცემ იქიდან ამოსკდებაო წყალი. არ დაუკრავს კლდისათვის ჯოხი. მიუყვებოდა აღმართს და სავსე იყო საკუთარი ძლევამოსილებით. მას ხომ ხელში ეჭირა ჯოხი, მის ფეხქვეშ ხომ იწვა კლდე...

აი, როდის იყო მისი სიცოცხლე სრულფასოვანი.

ყველაფერი ასეც უნდა მომხდარიყო.

სწორედ სიცოცხლის გარიჟრაჟზე, როცა ჯერ კიდევ თვლემდნენ მისი ადამიანური ვნებები და იგი შეუგნებლად, გაუცნობიერებლად ემორჩილებოდა ბუნებას, როცა მიწა ჯერ კიდევ მცენარესავით კვებავდა მის სურვილებს, სწორედ მაშინ უნდა ეგრძნობინებინა მისთვის სამყაროს სიცოცხლის უძლეველობა და აგრძნობინა კიდეც.

ისეთი სრული, ისეთი სისხლსავსე იყო ხარება მისი, შემდეგში უკმარისობის ძნელად ასატანი განცდა ველარ მოიცილა, ველარ განთავისუფლდა მისი, ამებასავით სრიალა და უფორმო, კვამლისფერი სხეულისაგან, ნებისმიერ წარმატებას რომ აბინდებდა და ფასს უკარგავდა.

ბავშვობის წლებიდან ისიც ახსოვდა, როგორ ამოიგმინა, თავით როგორ დაითრია კნუტი, უკანა თათებში ჩაავლო ხელი და ხის ხორკლიან ტანს შემოჰკრა გამეტებით. მერე როგორ მოიქან-

ცა, თითქოს გადმოაპირქვავეს და გადმობერტყესო საგულდაგულოდ. ისეთი სიცარიელე იგრძნო.

ესეც მისი ცხოვრება იყო, ისეთივე სიმძაფრით განცდილი, როგორც ის ძლევამოსილება, როცა ხელში ჯოხი ეჭირა და ფერხთქვეშ კლდესა გრძნობდა. მაგრამ თუ იმ ძლევამოსილებიდან არჩვითარი გაკვეთილის მიღება არ შეიძლებოდა, მისი მხოლოდ ბუნებისაგან ფასდაუდებელ საჩუქრად მიღება იყო შესაძლებელი და სხვა არაფერი, კუნძულთან დაკავშირებული ამბიდან, რომელმაც სინდისის ქენჯნის მწარე გაკვეთილი ჩაუტარა გოგოს, ჭკუის სწავლება შეიძლებოდა...

ბავშვობისდროინდელ შეცდომათა რღცხვი ამგვარად იქცა ორად. პირველმა იგი საკუთარი ცხოვრების დაკარგვამდე მიიყვანა, მეორემ კი იანინამდე, კუნძულზე ჩადენილ ცოდვამდე, სწორედ რომ ცოდვამდე, თავისი საქციელისათვის უფრო შესაფერი სიტყვა ვერ მოენახა მარიკას და ის ურთიერთობანი, რომელიც თითქოს მაშინვე დამთავრდა, როგორც კი გაწყდა ფიზიკური კავშირი იმ შორეულ მიწასთან, რაც დრო გადიოდა, უფრო მკვეთრი, უფრო თვალნათელი ხდებოდა.

აი, თურმე, როგორი ყოფილა მისი ნაბიჯების ექო...

ადამიანის მცოდნედ მოჰქონდა თავი და იქითკენ იყო მიმართული მისი გონი, სხვაში ცუდი უფრო მეტი დაენახა, ვიდრე კარგი. ეჭვი შეეტანა იქ, სადაც, თითქოს, არაფერი იყო ეჭვმისატანი, და ძნელად მოსატყუებელი, გამჭრიახი ადამიანის როლი ეთამაშა სხვასთანაც და საკუთარ თავთანაც. სხვაში შეჰქონდა ეჭვი და თვითონ კი ყოფილა სანდო?

მას შემდეგ ათზე მეტი წელი გავიდა და ის ათზე მეტი წელი თითოეული თავისი საათითა და წუთით ისე სქლად წაეყარა კუნძულზე დარჩენილ თერთმეტ თვეს, მარიკას ზოგჯერ იმაშიც კი ეპარებოდა ეჭვი, მართლა არსებობდა იგი თუ თვითონ, მის შინაგან სამყაროს, მის ადამიანურ ვნებებს გამოეგონებინა.

როდის დაიბადა ის აზრი, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, დონატის ბრალი იყო, მისი ამღვრეული გონების ნაყოფი, მისი მერყევი ფსიქიკის ბუნებრივი ამოსავალი...

ასე ფიქრობდა ყოველთვის, ალბათ, მაშინაც, იმ საბედისწერო დღეს, როდესაც დონატის სახელოსნოს გაჯით შელესილ კედელთან აკრულ იანინას ხანჯლებივით ალესილ სიტყვებს უშენდა გამეტებით, თავი საქვეყნო საქმის აღმსრულებლად მიაჩნდა და გმირობას იჩემებდა, მერეც, როცა ჩადენილი გმირობა ცოდვის ბნელ სიმძიმით დააწვა მის სულს და სხვათა მიმართ იჭვნეული, ურწმუნო დამოკიდებულება ბედის გამანადგურებელ დაცინვად საკუთარი თავისაკენ შემოუტრიალდა. — არც მე ვყოფილვარო სანდო...

დიახ, ყველაფერში დონატს მიუძღვოდა ბრალი, მაგრამ ამას ალარავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგან სწორედ მარიკასათვის იყო ნათქვამი, — შენ მაინც მითხარი, შენ მაინც გამაგებინეო, — იანინა მარიკასაგან მოელოდა მხარდაჭერას, დახმარებას, გადარჩენას და იგი ცამდე მტყუანიც რომ ყოფილიყო, მაინც უნდა გადაერჩინა. საქმე კი იქამდე მივიდა, ისევ იანინამ შეიცოდა, — რას აკეთებთ ხალხნო, დღეს ხომ არ ამთავრებთ სიცოცხლეს, როგორ აპირებთო ცხოვრებას ხვალ.

...და იგრძნო მარიკამ, როგორადაც არ უნდა დაეტვირთა თავი, მაინც რა ხშირად რჩებოდა მარტო.

წინათ მისი მარტოობა ზეიმსა ჰგავდა და რა თქმა უნდა, ალიზიანებდა, როცა იმ მარტოობას ურღვევდნენ. წინათ უხაროდა თავის თავთან განმარტოება, მშვენიერების აღმოჩენის იმედიანი მოლოდინით იყო სავსე და იქნებ, ვინ იცის, უახლოვდებოდა კიდეც მას, მაგრამ ახლა იმაშიც ეპარებოდა ეჭვი, მშვენიერება უნდა რქმეოდა მას, რასაც ელოდა თუ სხვა რომელიმე სახე-

ლი უფრო მიესადაგებოდა, რადგან იქითკენ მიმავალმა გზამ დეპრესიამდე მიიყვანა მხოლოდ.

ახლა მარტოობისა ეშინოდა.

ეშინოდა?

იქნებ მთლად ასე არც იყო, რადგან ის უნდობლობა, თავისი წარსულისა თუ მომავლის მიმართ რომ გასჩენოდა, საკუთარი თავის უარყოფამდე გაღრმავებულიყო და მარტო დარჩენილს, საკუთარ არსებაშიც კი ეპარებოდა ეჭვი. სხვა, მის მსგავს არსებებთან ის მყიფე, ყოველდღიური აუცილებლობით ნაშობი კავშირი ბევრით არაფრით ავსებდა მარიკას სულს, რადგან ისინიც მარიკას მსგავსნი იყვნენ და რა თქმა უნდა, არაფრით არ იმსახურებდნენ ნდობას, მაგრამ დროს მაინც ხომ იკავებდნენ, დროს ხომ ავსებდნენ, მის გონს ხომ ტაცებდნენ წარსულს.

წარსულს?

არც ეს იყო მთლად მართალი.

წარსული წარსული კი არა, აწმყო იყო, აწმყო იყო და მარადიულიც, რადგან წარსულში გამჟღავნებული სული მისი იყო სული მისი მისსავე ხორცში ჩამდგარი. წარსულმა მხოლოდ გაამჟღავნა იგი, ახადა ფარდა, დაანახა, მეტი არაფერი. დრო თუ თამაშობდა აქ რაიმე როლს, ძალიან მცირეს, უმცირესს, იქნებ არავითარსაც.

რა შუაში იყო დრო, როცა სული მისი ასეთი გაეჩინა დამბადებელს, რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, როდის წარმოაჩენდა იგი თავის სახეს, ან წარმოაჩენდა თუ არა და რა ტრაგიკულად სასაცილო ეჩვენებოდა მარიკას ამ სულის ფხაკუნი, მარადიულობისაკენ სწრაფვად რომ მოენათლა მის უნაყოფო გონს, სწორედ რომ უნაყოფოს, ამ უნაყოფობის სიმწარესაც შეიცავდა ის მარტოობის შიში, თუ მას მაინც მარტოობის შიშს დავარქმევთ.

განსაკუთრებით მძიმე მარტოობის ღამეები იყო.

მთელი დღის ნაშრომ-ნაჯაფი დიდხანს ვერ ახერხებდა ძილის არყოფნისათვის მიეცა თავი, თუმცა მთელი დღე როიალთან, სტუდენტის გვერდით უხდებოდა ჯდომა და ს[illegible]ილებული ჰქონდა ფიზიკურ[illegible], ლოგინში ჩაწოლილს მაინც უკვნესოდა თითოეული კუნთი და სანამ ცოტას არ დაისვენებდა, არ გაუყუჩდებოდა სხეული, ხოლო გონი მისი არ მოიქანცებოდა ძილის მოლოდინით, საშველი არ მოდიოდა და არა.

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო...

იმ ბნელ წუთებში, როცა მარიკა თავის თავთან რჩებოდა მარტო, კიდევ ერთხელ და პირველად აღმოაჩენდა, ყველაფერში დონატი რომ იყო დამნაშავე, კიდევ ერთხელ და პირველად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, მიუხედავად იმისა, მარიკას მრავალი ღამე უცვლელად რომ იმეორებდა თავის თავს, ყოველთვის დონატის დანაშაულის შეცნობის პირველყოფილი აღშფოთებით იწყებოდა.

შენი ბრალია...

იმისათვის გჭირდებოდა იანინა, შენზე აჭორავებული ხალხი დაგერწმუნებინა, სრულფასოვანი რომ იყავი, ის სკანდალიც მშვენივრად მოირგე ტანზე, რაღაცით ხომ უნდა დაგემთავრებინა ყოველივე, უფრო შორს არ იყავი წამსვლელი, მართლა ცოლად ხომ არ მოიყვანდი...

რატომ არ მოიყვანდი?

არ მოიყვანდი და იმიტომ, უკეთესი წუთი კი შეიძლება ვერ გეპოვნა, იმ ტუტუც დედაკაცებს რომ არ დაეგრძელებინათ ენა, შენ თვითონ შეთითხნიდი რამეს, ჯერ არ შეგითითხნია, თუ...

რა შეგითითხნია?

არ ვიცი, ვერ მოაღწია ჩემს ყურამდე, მაგრამ განა ეს ცვლის რამეს? შენ ყველაზე კარგად იცი რისი ჩამდენიცა ხარ, სკანდალი შენი სტიქიაა, ასეთია შენი დამოკიდებულება სამყაროსთან, ამით ფარავ შენს უუნარობას, ამით პასუხობ ყველას, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებულია შენთან, ყველას არა, ყველა არც გაპატიებს, მიგინაყავს ცხვირს, შენ იმას, გაიმეტებ, ვისთანაც გაგივა, იმას, ვისაც უყვარხარ, ვინც

 

უსიტყვოდ და ერთგულად გემსახურება, ვინც სიცოცხლეს გწირავს, ვინც, იცის, რომ შეგიცოდებს, მაგ ბინძურ სახეში არ შემოგახლის შენსავე ტალახს.

ყოჩაღ!

გალანძღე და გააგდე, გალანძღე და გააგდე კი არა, მოკალი, მოკალი ის, ვისაც შენთვის სიკვდილი შეეძლო. მერე ამაყად მოსდე ქალაქს საკუთარი მამაკაცობის დამამტკიცებელი საბუთი. ახლა კაცი ხარ, რაღა გიჭირს, იარე წამოყელყელავებული თავით...

ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო...

მიკვირს, რატომ გაექეცი ვიოლეტას. შენ რა იანინას შესაფერი იყავი, მხოლოდ იანინა იყო ისეთი სულელი, შენ რომ შეეყვარებინე, მეორეს ისეთს ვეღარ ნახავ, მეორე არ არსებობს. ისიც სრულიად დაუმსახურებლად გამოგიგზავნა საჩუქრად ღმერთმა. შენ კი ვერ შეიმჩნიე, არაკაცი ხარ და იმიტომ. სხვა ქალს იმდენი ჭკუა ეყოფოდა, სათოფეზე არ გაეკარებინე.

ვიოლეტას კოჭლ ფეხებქვეშ ამოგხდება სული. ვიოლეტა არ იქნება, ვალენტინა ხომ იქ გყავს. რა განსხვავებაა იმ ორ დედაკაცს შორის, ორივე ავხორცია, ორივეს საკუთარ თავზე მეტად უყვარს ფული. შენ ვინა ხარ, სიხარულით რომ არ დაგიხუჭონ თვალები. იქნებ არც დაგიხუჭონ, ნამდვილად არ დაგიხუჭავენ, ამისათვის სად ეცლებათ, მაშინვე იმ კიდობანისაკენ გაიქცევიან, სადაც ფული გაქვს შენახული. დონატის თვალების დარდი ვის ექნება, ერთმანეთი არ შემოაკვდეთ შენი ქონების გაყოფისას.

იცოდე, სიკვდილის წინ თავად მოგიხდება თვალების დახუჭვა და აბა შენ იცი, არ დაიბნე...

დრო მიდიოდა და გზა და გზა დონატის დანაშაულს ბევრი სხვა ისეთიც ემატებოდა, მარიკას რომ უბორკავდა ცხოვრებას, მაგრამ კაცთან არანაირი კავშირი არა ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა. ივსებოდა, ძლიერდებოდა დანაშაული იგი და რაღაც გარდუვალ, ფატალურ წინააღმდეგობად იმართებოდა მარიკას გაცოდვილებულ ყოფასა და ჭეშმარიტ სიცოცხლეს შორის.

რაც უფრო ივსებოდა, ძლიერდებოდა და დანაშაული, მით უფრო მეტი გაკაპასებით ეომებოდა ქალი საკუთარსავე არსში ჩასახულ, ბედისწერად ქცეულ კაცს.

ყველაფერ ამას მაინცა და მაინც ხელშესახები სიმშვიდე არ მოჰქონდა მარიკასათვის, არც შეეძლო მოეტანა, მაგრამ სამაგიეროს მიზღვით გამოწვეულ კმაყოფილების გრძნობას შვების მოგვრა მაინც შეეძლო მარტოობის იმ ყველაზე მძიმე წუთებში. სამაგიეროს მიზღვით გამოწვეული კმაყოფილება კი, გარდა იმისა რომ ულირსია, ხანმოკლეც არის. იგი ძლივს ყოფნიდა იმისათვის, დაძინებამდე რომ მიეთრია თავისი თავი.

დრო კი მიდიოდა და თუმცა მარიკა არ აძლევდა მას რაიმე გადამწყვეტ მნიშვნელობას, თავისას აკეთებდა მაინც.

გარდაიცვალა დედა.

ტკივილს არ გაუწვალებია, იშვიათად ახსენებდა თავს. ლავიწის ძვლები თუ წამოტკივდებოდა და ანალგინის ორიაბი ყოფნიდა გასაყუჩებლად. ძნელი ის იყო, რამდენიმე თვის განმავლობაში წამოდგომა კი არა, შეტოკებაც რომ არ შეეძლო. ხერხემლის რამდენიმე მალა ჰქონდა ჩაშლილი და წელს ქვევით მოწყვეტილს მხოლოდ ფეხის თითების ამოძრავება შეეძლო.

იმ წელს ადრე დაცხა. თუმცა თხელი საბანი ეხურა, მკერდს მაინც უხუთავდა და მხოლოდ წელამდე იფარებდა. გულამოჭრილი ბლუზების ჩაცმას თხოულობდა, მაგრამ მეტასტაზებით დაჩეხილ ლავიწის ძვლებზე მაინც იფარებდა თავსაფარს.

თეთრეულის ყოველდღე გამოცვლა ჰქირდებოდა და ნინიკო აკეთებდა ამას. მარიკას ახლოსაც არ უშვებდა დედასთან. ისე მოხერხებულად უცვლიდა ზეწარს, ოდნავადაც არ აწუხებდა ავადმყოფს.

ნუ გეშინია, ყველაფერი აღდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ამოძრავებ ფეხის თითებს, — თან იმედიან სიტყვებს ეუბნებოდა მხიარულად.

თუმცა ყველა საგულდაგულოდ ცდილობდა მხიარული ჩვენებოდა ავადმყოფს და რაც ძალი ჰქონდათ, იტყუებოდნენ, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად წამოდგები, ისეთი არაფერი გჭირს, ნერვებმა გიმტყუნაო მხოლოდ. ქალმა ყველაფერი მშვენივრად იცოდა. არაფერს კი არ ამბობდა.

— უთუოდ ასეა, — ამას იტყოდა მხოლოდ, ისე ამოიოხრებდა, თითქოს ყელში ჰქონდა რაღაც წაჭერილი, — ეს არის, ბავშვებს ვაწვალებ.

ნელა, ძალიან ნელა ეუფლებოდა მის დაქუცმაცებულ, გაძვალტყავებულ სხეულს სიკვდილი, ისე ნელა, თითქოს ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი დრო დაეთმო სიცოცხლისათვის, რაღაც რომ ეღონა თავის გადასარჩენად, ეჩვენებინა რისი უნარი ჰქონდა, ვერაგობა რომ არ დაებრალებინათ მისთვის. სიცოცხლე კი მხოლოდ ჩამწვარი სანთლის ალივით ცახცახებდა, ოდნავ გასაგონად ფეთქავდა და ისღა შეეძლო, დაეთვალა დარჩენილი წამები.

ბოლო დღეებში გონი აერია და ერთი ამოიჩემა.

— თუ მომარჩენს, მამათქვენის მოხარშული ქათამი მომარჩენს, სხვა არაფერიო.

მაშინ აკიაფდა მამაკაცის თვალებში ცრემლი, სინანულმა ჩაუქრო ღაღაჟა სახე. გვიანღა იყო თითზე კბენანი.

— რატომ ხდება ასე, — გაიფიქრა მაშინ მარიკამ. — სანამ ცოცხალია, ასე ჰგონია სამარადჟამოდ აქვს სიცოცხლე მიცემული, ომი აქვს გამოცხადებული მეუღლესთან, თავისუფლებას იცავს. თითქოს თავისუფლება ღალატი იყოს და სხვა არაფერი. აჰა, ვნახოთ, რას უზამ ამ თავისუფლებას.

დედის გარდაცვალების შემდეგ ძალიან გამოიცვალა კაცი.

აღარ იგვიანებდა. სამსახურიდან ბაზარში თუ გამოივლიდა, ეს იყო და ეს. სულ სამზარეულოში ტრიალებდა, რამდენიმე თავ საჭმელს ამზადებდა ერთდროულად. სახლში მარტო დარჩებოდა და მიალაგებდა შვილების უთავბოლოდ მიყრილ ტანსაცმელს. არც ცოცხს უფრთხოდა ალბათ, რამდენჯერ მომხდარა, შინ გვიან დაბრუნებულ მარიკას დასუფთავებული დახვედრია ბინა.

შაბათ-კვირა ხომ სახლიდან ვერ გაიყვანდი.

ცდილობდა შვილებთან კონტაქტის დამყარებას და არაფერი გამოსდიოდა. სამივე ერიდებოდა მამას. მარიკასაგან სხვას არც არაფერს ელოდა, ის ყოველთვის უყურადღებო იყო მარტო მამასთან კი არა, ოჯახის სხვა წევრებთანაც, მაგრამ ვახტანგი? ნინიკო?

მამასთან ყველაზე ახლოს ნინიკო იყო. რამდენჯერ შესწრებია მარიკა იმ გულისამაჩუყებელ წუთს, როცა ტელევიზორის წინ ჩამომჯდარ კაცს ეფერებოდა გოგო, სიყვარულით უსწორებდა თმას, ლოყაზე კოცნიდა.

— ჩემი საყვარელი მამიკო... ჩემი ლამაზი მამიკო... ჩემი ღონიერი მამიკო... ჩემი ჭკვიანი მამიკო... მეფე ხარ მამიკო, მეფე...

თვითონ არასოდეს მოფერებია მშობელს, ყალბ სინაზედ მიაჩნდა ეს. ნინიკო კი ამ დროს ისეთი გულწრფელი იყო, ყველას სიამოვნებდა მისი ცქერა.

ახლა ყველაზე მეტად ნინიკო განუდგა მამას. დიდხანს არასოდეს ჩერდებოდა იქ, სადაც მამა იყო.

ვახტანგის დაგვიანებებს მიჩვეული კაცი ნინიკოს დაგვიანებებმა შეაშფოთა. სანამ სახლში არ დაიგულებდა ქალიშვილს, ვერ მოისვენებდა. აივანზე იყო გადამდგარი და ქუჩას ზვერავდა. არაფერს კი არ ეუბნებოდა, ვერ ახერხებდა ალბათ.

ადრე, სანამ ცოლი ცოცხალი ჰყავდა, შვილებისა ყველაფერი იცოდა. მათთვის საჭირო, აუცილებელი კაცი იყო. მას უნდა გადაეწყვიტა ყველა საჭირბოროტო საკითხი, ის უნდა დახმარებოდა ყველას.

ახლა არაფერს აღარ ეკითხებოდნენ. ცოლის სიკვდილის მეორე დღიდანვე

შვილებმა იუცხოეს მამა. ერთმანეთთანაც კი ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ. თითქოს ერთმანეთის ცხოვრება აღარ აინტერესებდათ. მხიარული, ზოგჯერ დამცინავი ურთიერთობა, ადრე რომ ჰქონდათ, გაწყდა. ჭამითაც კი იშვიათად ჭამდნენ სახლში, ისიც ნაჩქარევად და უგულოდ. ერთადერთი, რაც შეეძლოთ ამოეღერღათ, ის იყო, — უყურე შენ, რა გემრიელი ხელი ჰქონიაო მამას.

ათასში ერთხელ თუ მოჰკრავდა ყურს შვილების უგულოდ წამოსროლილ სიტყვებს.

— მარტო დიდი ბინა შველის საქმეს? — ხმაც რომ ვერ ეცნო, ისეც შშვენივრად მიხვდებოდა ვახტანგი რომ ამბობდა ამას.

— მოგცლია, ერთი, — ეს აუცილებლად ნინიკო იქნებოდა.

— სულელები, — ეს მარიკაა.

გრძნობდა კაცი, სამივე სხვადასხვა მხარეს რომ იწევდა.

ვახტანგს ისევ უფულობა აწუხებდა, დამამცირებლად აღიქვამდა ამას. რა ექნა, ფული მიეცა? რამდენს მიცემდა... ბევრი არც კაცსა ჰქონდა, ვაჟიშვილის გული რომ მოეგო... ნინიკო ისევ უდარდელი, უმიზნო ცხოვრების მოტრფიალე დარჩენილიყო, მარიკა მარტოსული, ვერ გაიგებდი რას ფიქრობდა, რა აწუხებდა.

როგორ დაახლოებოდა მათ?

მამის წვალება არ შეიძლება არ უგრძნო შვილებს, არ შეიძლება არ ეგრძნოთ რა დიდხანს ეძებდა სიტყვებს კაცი, მათ საუბარში რომ ჩაბმულიყო, როგორ ფრთხილობდა, მაგრამ არც ერთი არ უბამდა მხარს.

— ხშირად სვამ, რაღაც გაწუხებს ალბათ, — ბოლოს მოახერხა და უთხრა ვახტანგს, — არც ნინიკო იქცევა მთლად კარგად, სახლში შემოსვლა აღარ უნდა.

— მერე? — გაეცინა ვაჟიშვილს.

— ის, რომ, დედათქვენის სიკვდილის შემდეგ მე ვარ თქვენი დედაცა და მამაც. მე თუ არ გამიმხელთ რა გაწუხებთ, სხვას ვის უნდა გაუმხილოთ.

— სანამ ცოცხალი იყო, ნუ გეშინია, კარგად დასეირნობდი... ფუ, [illegible] იცოდე, ყველაფერი შენი ბრალი[illegible]სოვს რამდენი წლისა იყო დედა, როცა... გახსოვს?

— რამდენის, — დაიბნა კაცი.

— ისიც აღარ ახსოვს, რამდენისა იყო. არ ახსოვს კი არა, არ იცის. — ცრემლი მოადგა ნინიკოს თვალზე. — ეხლა იჯექი სახლში, არ მოგვცე გასაქანი...

და მიხვდა მამა, შვილები არ ენდობოდნენ.

რას ფიქრობდა იმ ღამეს კაცი...

რამ მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, შვილები და სახლი რომ უნდა დაეტოვებინა და სხვაგან ეძია თავშესაფარი.

მხოლოდ შეურაცხყოფას, როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო, არ შეეძლო აქამდე მიეყვანა. ამის პატიება შეეძლო.

იქნებ იმაზე ფიქრობდა, რისი მიცემაც შეეძლო, უკვე მიეცა შვილებისათვის და მეტის ვერაფრის გაცემას ვერ მოახერხებდა.

შვილებს საკუთარი ცხოვრებით უნდა ეცხოვრათ, თავის გულისტკივილისა და სურვილების, თავისი შეცდომების კვალდაკვალ უნდა ევლოთ და როგორი მწარე დანარცხებაც არ უნდა მოჰყოლოდა ამას, იგი მაინც ისეთი მაცდური და მიმზიდველი იყო, ვერ გაიცვლებოდა მამის სიბრძნეში.

მხოლოდ უნდობლობა უნდა მოეკლა კაცს, მხოლოდ და მხოლოდ უნდობლობა, რადგან ჭეშმარიტება ერთია, მაგრამ ყველა თავისი კუთხიდან ზვერავს მას, ყველა თავისი ცხოვრებით მიდის მისკენ...

მამა წავიდა.

ეს არ იყო გაქცევა და მაინც გაქცევას ჰგავდა.

მამის წასვლას ძმის ქორწინება მოჰყვა.

— როგორც იქნა გააკეთა არჩევანი იმ სათვალიანმა საფრთხობელამ, — ბრაზობდა ნინიკო, — აი, რას ნიშნავს სიმ-

დიდრე. მე, მაგალითად, ასეთ რამეს არავინ მაპატიებდა...

საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნებული ვახტანგი სიმამრთან გადასახლდა და თან, რაც კი ძვირფასი მოიძიებოდა ოჯახში, საყვავილეებით დაწყებული და ხალიჩითა თუ ჩაისა და სადილის სერვიზებით დამთავრებული, გაიყოლა.

— ეს ბინა არც ისე იაფი ღირს, — როცა სახლიდან გადიოდა, ეს ჩაილაპარაკა მხოლოდ.

— მადლობის მეტი რა გვეთქმის, — დაადევნა სიცილი ნინიკომ.

იმ წელს ამთავრებდა ასპირანტურას მარიკა.

მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა რა ხშირად იმეორებს ცხოვრება თავის თავს, უფრო სწორედ, რა ხშირად ცდილობს ადამიანი, საკუთარი თავის ნაკლად რომ მიაჩნია, ქონებით დაფაროს იგი, ფულით გაუწიოს კომპენსაცია. მიუხედავად იმისა, ცხოვრება ერთსა და იმავეს რომ პასუხობს ყველას და ეს პასუხი არავითარ შემთხვევაში არაა დამაკმაყოფილებელი, თავისი პატივმოყვარეობისა თუ დაბნეულობის გამო მაინც ამ გზას ირჩევს.

ეს იქნება მერე, როცა ნინიკო გათხოვდება.

სწორედ მაშინ წამოიშალა იმ სიტყვების კორიანტელი, რომელსაც ნინიკოსთან მიტანამდე, თავისი დამლით დაედაღა გოგოს პატიოსნება. რაღას არ ლაპარაკობდნენ თურმე.

ვის შეუძლია ამის იოლად გადატანა, ნინიკოს რომ გადაეტანა, მით უმეტეს ნინიკოს, რომელიც იმდენად იყო შეჩვეული ოვაციებს, განსაკუთრებული თაყვანისცემა თუ აალელვებდა მხოლოდ.

— ახ, მასეო, — ჩაილაპარაკა ჯიბრით და ახლა სამსახურის გაცდენა დაიწყო, სამაგიეროს თუ უხდიდა ასე, მაგრამ თანამშრომლებს არც შეუცხადებიათ, მათ, უბრალოდ, ყურადღება არ მიაქციეს ნინიკოს ბუნტს.

შუბლშეკრული, დაძმარებული გაუხდა მხიარული სახე, შეწყვიტა შინ გვიან დაბრუნდა, გვიან [illegible] კი არა, გარეთ გასვლა აღარ [illegible] ოთახში გამოიკეტა და დიუმას რომანების კითხვას მიჰყო ხელი.

იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას.

— გახსოვს მანანა?

მარიკას, რა თქმა უნდა, არ ახსოვდა.

— თმას ჩალისფრად იღებავდა, რას გავდა ის უპატრონო, სასაცილო სიარული იცოდა, დახტუნავდა რაღაცნაირად.

მარიკას მაინც არ ახსოვდა.

— გათხოვილა, ითხოვდა ვინმე...

— ...

— გახსოვს ნათელა?

მარიკას არც ნათელა ახსოვდა.

— როგორ არ გახსოვს, სულ ჩვენთან იჯდა, ოცდაათი მანეთი რომ წაუმატა კაბას.

მარიკას გაახსენდა.

— ეგეც რომ ჩემზე ილაპარაკებს...

— დაგითხოვენ იცოდე და არც ისე ადვილია სამსახურის შოვნა.

— დამითხოონ კი არა... ფეხებზე არა ვკიდივარ ყველას... ერთი მაგათთვის ამაკეტინა ყბები...

მარიკა გრძნობდა, ნინიკო გათხოვებაზე ფიქრობდა.

— ნუთუ არავინ არის ისეთი... — ჩაილაპარაკებდა.

— ისეთი? — იკივლებდა ნინიკო, იცოდა, რა ჰქონდა მხედველობაში დას, — რა გინდათ ჩემგან, ეე, ვახტანგი, კარგადაა? ვახტანგ, დეპეშაა გასაგზავნი, ვახტანგ, სტუმარია წასაყვანი, ვახტანგ, ამა და ამ მიცვალებულს ჩვენი სახელით კალათი უნდა შეუკვეთო, მერე მიტანა არ დაგავიწყდეს, ვახტანგ, ბაზარში წახვალ, ხომ იცი, ყველაფერი საუკეთესო უნდა მოიტანო, ღმერთი არ გაგიწყრეს, ფული არ დაინანო, ჩვენ ვიხდით, შენ ხომ არა, ვახტანგ, მერე სიმამრს უნდა გაუარო, შეახსენე ოპერაში რომ ვართ წასასვლელი, არ დააგვიანოს, ტელეფონით ვერ დავიჭირე, ვიცი, ყოველთვის გასულია კაბინეტიდან. თუ ადგილზე არ დაგხვდა. შოშებ-

ნე. არ დაიზარო... ვახტანგ, ეს რა ღვინო ამოგიტანია, ჩვენ მხოლოდ „რქაწითელს“ ვსვამთ, „ახმეტას“ მხოლოდ შენი ცოლი უყურებს ლმობიერად, მესმის, რომ გიყვარს ცოლი, მაგრამ... ვახტანგ, წვიმას აპირებს და ამა და ამ კაცს, ამ საღამოს რომ უნდა გვესტუმროს, წვიმამ არ გადააფიქრებინოს მოსვლა, უკვე დავურეკე და აბა, შენ იცი, თავი არ მომჭრა, შვიდ საათზე პირდაპირ შესასვლელთან მიაყენე მანქანა, თუ პატივისცემაა, პატივისცემა იყოს. მისამართი, დღეს რომ გევალება, იმ სიის ბოლოს წერია... აი, რა მოიგო ვახტანგმა.

დიდხანს არ გაგრძელებულა ნინიკოს თვითგვემა, ისევ დაიწყო შინ გვიან მოსვლა და ერთხელაც შეზარხოშებულიც მოვიდა.

— ვთხოვდები — ასე განაცხადა.

— ...

— მკითხე ეხლა ვის მიყვები, ვინ იპოვე ასეთი, ბოლო ხანებში სულელებმაც კი ისწავლეს ჭკუაო და მე გიპასუხებ, რომ ის სულაც არ არის სულელი, პირიქით, ჭკვიანია, ძალიან ჭკვიანიც და როგორც აღმოჩნდა ვუყვარვარ, დიდი ხანია ვუყვარვარ. ჩემზე უკან იყო ორი წლით და მაინც ჩემზე ადრე დაამთავრა. რას იზამ, ბედი არა მწყალობდა... რითი დავლიოთ ახლა ჩვენ ჩაი? ამ წუთებს ჩაის ძვირფასი სერვიზი მოუხდება, მაგრამ არა გვაქვს, წაიღეს. არა უშავს, ამაყი არა ვარ, შენ?

— კაცია და გუნება, იქნებ არც მოგეწონოს. ადრე ალპინისტობდა, სპორტი უყვარს. რა უყვარს, იცი? სიმაღლეზე ხტომა, მაგრამ ჩვეულებრივი კი არა, გრძელი ჯოხებით რომ ხტებიან, რაღაც ჰქვია, ვერ დავიმახსოვრე. ყველაფერს ხომ ვერ დაიმახსოვრებს კაცი.

— ჰოკით ხტომა.

— თავისი საქმეც უყვარს, გეოლოგია. წელიწადში ექვსი თვე ველზეა, დღეის ამას იქით მეც მატარებს. ეხლა რა თვეა?

— ჯერ ზამთარია.

— რა თქმა უნდა ზამთარია, რადგან ველზე არაა, ესე, იგი, ზამთარია. მრგვალი სახე აქვს და სულ იცინის. რას იზამ, უნაკლო არავინ[illegible]ნად. სულ შენს გვერდით მინდოდა ყოფნა, მაგრამ ისეთი ბიჭები გეხვივნენ თავს, ვერ ვბედავდი, იმას ვიფიქრებდი, როდესმე თუ მომაქცევდი ყურადღებასო?... ბინა არა აქვს და ნაქირავებში ცხოვრობს, შენ თუ ჩემთან იქნები, ყველაფერს დავაყენებ საშველსო, — სახელი მაინც მკითხე, მკითხე რა გვარის კაციაო...

— ...

— ნახე, რა ამბავი ატყდეს. სამმართველოში ყველას უყვარს და დაიწყებენ ეხლა, დალუპავს მაგ საცოდავს ეგ კაშალოტიო... არ ვიცი? ვიცი. მალე იმასაც დაინახავენ, როგორ დავლუპავ. ისეთ ჩაცმულ-დახურულს გამოვიყვან, ვერ იცნონ. ერთი კი წამოვიწყე, ჩემთან გადავიდეთ საცხოვრებლად, მარიკა კეთილი ადამიანია და მივცეთ საშუალება გაგვიკეთოს სიკეთე-მეთქი, — თან გამომცდელი თვალით მიაჩერდა დას, — მაგრამ არ შვება. ისლა მაკლია ქვეყანა ავალაპარაკო ბინის გულისათვის მოუყვანიაო. აი, როგორი ბიჭია ბონდო.

— ...!

— მაინც წამომცდა სახელი, გვარი კი, ნურას უკაცრავად, არ წამომცდება. უნდა მკითხო...

მშვენიერი იყო ნინიკო.

სასმელს წარმოეჩინა მისი ქალური სინაზე. ქალური გულწრფელობა და თუმცა გადაეფითრებინა მისი ლამაზი სახე, სამაგიეროდ უფრო შესამჩნევი გაეხადა თაფლისფერი თვალების სხივი.

ბოლოს რაღაცნაირი, სევდიანი ღიმილი გადაეფინა სახეზე, თვალები ფიქრის ჩრდილმა დაუბინდა. ორივე ხელი შემოხვია უკვე შეგრილებულ ჩაის ჭიქას და რატომღაც გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა.

— თქვი რამე...

რა უნდა ეთქვა მარიკას...

ის, რაც იქნებოდა ხვალ, იქნებოდა აუცილებელი და კარგი, იქნებოდა ის,

რაც პაერივით ესაჭიროებოდა ნინიკოს, რაც წერტილს დაუსვამდა მის გუშინდელ საფიქრალს, აუტანლად მძიმეს, აუტანლად შეურაცხმყოფელს, მის სხეულს სულ სხვა ნიადაგში გადარგავდა, გაზრდიდა, ააყვავებდა, მოუმწიფებდა ნაყოფს, მაგრამ ის, რაც უკან რჩებოდა, რაც აღარასოდეს გამეორდებოდა, ახლა იმდენად მშვენიერი ეჩვენებოდა მარიკას, ენანებოდა წარსულისათვის გადაბარება მისი.

როგორ იფიქრებდა მარიკა მაშინ, დაც დაახლოებით ისეთივე დაინტერესებას რომ გამოამჟღავნებდა ფულის მიმართ, როგორიც ძმამ გამოამჟღავნა.

რამდენიმე დღის მერე ნინიკომ თქვა::

— ეს ბინა მარტო შენი ხომ არ არის.

— იცხოვრეთ აქ, ვინ გეუბნება უარს.

— არ მომყვება.

— მაშ, რა ვქნათ.

— რასაც სხვები აკეთებენ.

— რას აკეთებენ სხვები.

— სულ ნუ გაისულელებ თავს.

— გავყოთ?

— არა. დაუჩემებია, სახლიც მე თვითონ უნდა ვიშოვნო და კარიცო. ორ ოთახიანში გავცვალოთ, დაგვიმატებენ რაღაცას.

— ეს არასოდეს არ მოხდება.

— რატომ!

— იმიტომ!

— ან როგორ აპირებ ამ ბინის მოვლას, შენს სიცოცხლეში ცოცხი არა გჭერია ხელში.

— კარგი. მე მოგცემ ფულს. ბავშვებს ავიყვან. იმდენი კი ვიცი, მოსწავლეებს წავეხმარო ცოტა. ყოველ თვე მოხვალ და წაიღებ იმას, რასაც ავიღებ. არ უნდა მოგროვდეს ცოტა.

— არ გეწყინოს, არაფერი ჩვენ არა გვაქვს.

— არა, — და ის გაიფიქრა, ფულით რომ სურდა ნინიკოს იმ ნაკლის დაფარვა, ჭორმა რომ შეუთითხნა.

მარიკასთან მეცადინეობის მსურველი იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. განსაკუთრებით მეზობლად თუ მისსავე ქუჩაზე მცხოვრებლებმა გამოიჩინეს ასეთი მისწრაფება. მარიკა მათ შორის კანტი-კუნტად იცნობდა ვინმეს, სამაგიეროდ ისინი იცნობდნენ მარიკას და იმიტომ თუ მიდიოდნენ მასთან, ნიჭიერ მუსიკოსად რომ თვლიდნენ, იქნებ იმიტომ, იცოდნენ დიდი შრომისმოყვარეობით იყო დაჯილდოებული და მათ შვილებს არა მარტო კეთილსინდისიერად ჩაუტარებდა გაკვეთილს, იმ შრომისმოყვარეობასა და მუსიკის სიყვარულსაც გაუღვივებდა, რომელიც ასე აკლდათ მათ. უმრავლესობა ხომ ზარმაცი და უგულისყურო იყო.

მარიკამ სხვებთან შედარებით მაღალი ფასი დაადო გაკვეთილს.

— ფული ყვარებიაო, — ეს გაიფიქრეს მხოლოდ. უკან კი არავის დაუხევია.

წარმოუდგენლად გადაეტვირთა დრო, თავისუფალი წუთიც არა რჩებოდა, არაბუნებრივად იღლებოდა, უკანასკნელ მოსწავლეს რომ გაისტუმრებდა, საწოლამდე მისვლაც კი უჭირდა. უკვნესოდა თითოეული კუნთი, საფეთქლები და კეფა ტკიოდა, წელში გაშლა აღარ შეეძლო.

როგორღაც საწოლამდე მიაღწევდა და ლოგინის სიგრილეში ჩაფლული საკუთარ თავთან აღმოჩნდებოდა მარტო.

საკუთარ თავთან?

ეს თვითონ იყო?

მარიკა?

ადამიანი, რომელსაც იმ ბინის გადარჩენა გადაეწყვიტა, ყველა სხვა ბინადარმა რომ მიატოვა?..

ის კი სიცოცხლეს ასე უაზროდ ცვლის იმ ოთახებში, სხვის ოთახებში, მიტოვებულ ოთახებში...

ვინ მიუსაჯა ამ ბინის დაცვა?

ჭირდება კი იგი? სხეული კარნახობს — ამ ბინიდან გასვლა სიკვდილიაო შენი... რატომ...

ნუთუ ეს ის ქალია, კუნძულიდან მოსული ქალი...

კუნძულზეც ასე იღლებოდა? არა. ახლა გაცილებით მძიმე ტვირთი უტვირთავს, გაცილებით მძიმე...

გაუძლებს?

ერთი ან ორი თვის შრომა ეყოფა იმ ვალს? წლები პირდება.

ვერ გაუძლებს.

დაეცემა.

არ იცის, საკუთარ სიკვდილს რომ ყიდულობს და სხვას არაფერს.

სულელი...

მარიკას არაფერი ესმის იმ ადამიანისა, რომელიც მის მაგიერ მისსავე საწოლში წევს, რომლის კიდურების დაბუჟებას ასეთი სიცხადით გრძნობს, რომლის თავის ტკივილი ასე აწუხებს მას.

ყველაფერი დონატისბრალია...

ვინ არის დონატი?

იმ კაცს დონატი ჰქვია?

სად არიან სხვები?

რატომ შეჯგუფულან ამ ქალის დაუძლურებულ სულში, რატომ ფლეთენ მას?

ყველას თავისი წილის წაღება უნდა? მარტო თავისი წილის? ცხოვრებას რასაც წაგლეჯ, ის შეგრჩებაო?

რა ესაქმებათ ამ ქალის სულში?

ამ ქალის სული ხომ არაა ცხოვრება?

ყველა თავისი გამარჯვებისათვის იბრძვის?

მხოლოდ იანინაა გაჩერებული, დგას კედელთან და იღიმება, არაფერს ითხოვს, დგას და იღიმება, მრგვალი, ჭორფლიანი სახე სავსე მთვარესავით უნათებს, თვალებში წყნარი შუქი უდგას...

იანინა, მიშველე...

ყველაფერში დონატია დამნაშავე, შენც ხომ ხედავ ამას...

რა ხდება?

არსებობდა კი კუნძული?

იქნებ არ არსებობდა, იქნებ ყველაფერი ეს სულელური შრომით ქანცგაწყვეტილი ქალის ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი...

ვინ არის იგი? საიდან მოდის და საით უპირავს გეზი? ამხელა სახლის პატრონს აქვს კი თავშესაფარი? ჰყავს კი ვინმე, დახმარების ხელი რომ გაუწოდოს? თუ დგას ასე, უსავანო და უძლური, არც არსაიდან მოსული და არც არსაითკენ მიმავალი, დგას და უსმენს სიჩუმეს, დაუსრულებელს, დაუღლეველს...

ლი...

სადა ხარ, ლი...

რატომ არაფერს მეტყვი. მეუბნებოდი და არ მოგისმინე? არ მოგისმინე, მართალია. შენი საფლავიც არ მეცოდინებოდა სად იყო, იმ კეთილ კაცს რომ არ მივეყვანე. აი, ის იყო სიკეთე. რა მიშველიდა ახლა მე, სხვა ცოდვებს შენი საფლავის უნახაობაც რომ დამატებოდა ზედ. იცოდა იმ კაცმა ეს, იცოდა...

ახლა კი მიშველის რამე?

არც შენა გქონდა სახლი და ოჯახი. სიკვდილისათვის საავადმყოფოში წახვედი. მეც შენ მოგბაძავ, როცა ჩემი დრო დადგება. როდის მოვა ის დღე...

ლი...

სადა ხარ, ლი...

შენ ხომ იცი, ლი...

ერთნაირად გადატვირთულ დღეებს ერთნაირად მძაფრი ღამეები ცვლიდა. თვეები აუჩქარებლად იფურცლებოდნენ, გავიდა ზამთარი და აი, დროის დინებამ ახლა ბონდო მოაყენა მარიკას კარს.

ნიკას ელოდა მასწავლებელი.

სასწავლებელში სწავლობდა ვაჟი. ზედმეტად წყნარი და დაბნეული სახე ჰქონდა. იმდენად ზარმაცი იყო, შინ რაც უნდა ესწავლა, როცა მარიკასთანაც სულ საათს მიჩერებოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის გავიდოდა გაკვეთილისათვის განკუთვნილი დრო.

სანამ როიალს მიუჯდებოდა და ნოტებს გადაშლიდა, რატომ ათი წუთი არ იხარჯებოდა. ზოგჯერ აცდენდა კიდეც და მომდევნო გაკვეთილზე მოსული იმას იხვეწებოდა, დედაჩემს არაფერი უთხრათო.

ამის დაფარვა არ შეეძლო მასწავლებელს, თითოეულ გაკვეთილში იგი ფულს იღებდა. იმ ფულს თვის ბოლოს კი არა, თვის დასაწყისში მოიტანდა ხოლმე დედამისი, რას აკეთებს ჩემი ბიჭიო, — მორიდებით იკითხავდა და უხე

რხულად დებდა მაგიდაზე კონვერტს.

სხვათა მშობლები იშვიათად კითხულობდნენ შვილების ამბავს და ფულსაც ბავშვებს ატანდნენ. მოსწავლისაგან ფულის აღება კი ყველაზე მეტად ეუხერხულებოდა მარიკას.

იძულებული იყო ნიკასათვის გაცდენილი გაკვეთილის ასანაზღაურებლად სხვა დრო შეერჩია. ამდენის ატანა კი წინასწარ დაგეგმილ დღეებს აღარ შეეძლო. აწვალებდა ნიკა მარიკას, დავითხოვ, თავიდან მოვიცილებო, — ფიქრობდა.

ნიკას ელოდა და ბონდოს კი წააწყდა.

— მალე ველზე გავალთ და აი, მოგინახულე, — მოგინახულეო, ისეთი ხაზგასმით წარმოთქვა, მარიკამ იგრძნო თავი რომ აიძულა ბონდომ შენობით მიემართა მისთვის.

იმ რამდენიმე თვეს, ბონდო რომ დაენათესავებინა ამ ქალისათვის, ვერ გადალახა ბარიერი, ვერ გაეშინაურებინა ერთმანეთთან ისინი.

კაცი ცდილობდა თავისუფლად ეგრძნო თავი. ხმაურით გამოწია სკამი და ჩამოჯდომისას მძიმედ ამოისუნთქა. მაგიდაზე დაყარა ხელები. ძლიერი, ფართო ბეჭები ჰქონდა და როცა მაგიდას დაეყრდნო, მჭიდროდ ნაქსოვმა სვიტრმა მისი მკლავების მკვრივი, ნავარჯიშევი კუნთებიც გამოაჩინა. მაგრამ როგორი თავისუფლებითაც არ უნდა აღეჭურვა სხეული ბონდოს, სახეზე მაინც უხერხული ღიმილი ედგა.

— რა თქმა უნდა, გამოსამშვიდობებლად მოვედი, — თქვა მან, — მაგრამ ერთი პატარა საქმეცა მაქვს.

ნელა და მკაფიოდ გამოთქვამდა თითოეულ ბგერას, თითქოს ბავშვს ელაპარაკებოდა ვინმეს.

— ნინიკოსთვისაც შემეძლო მეთქვა, მაგრამ ისეა გალიზიანებული, ზედმეტი სიტყვის თქმასაც ვერიდები.

— რამ გაალიზიანა ასე.

— შეიძლება ჯერ კიდევ ვერ შემოჩვია, შეიძლება სხვა მიზეზი აქვს რამე.

— გისმენთ.

— მამათქვენთანაც შემეძლო მისვლა, მაგრამ ბოლოს ისევ შენ აგირჩიე. [illegible]ამი თვეა ერთად ვართ მე და [illegible] ამ რამდენიმე დღის წინ [illegible] ფული, მამაჩემი მაძლევსო.

— ეჭვი გეპარებათ რამეში?

— ღმერთმა დამიფაროს. რა თქმა უნდა მამა აძლევს, მაგრამ რატომ.

— როგორ თუ რატომ. — გაიკვირვა მარიკამ.

— არ ვიცი რამდენად გასაგები იქნება ეს შენთვის, მაგრამ მე შეურაცხყოფილი ვარ.

— მზითვით?

— ჯერ ერთი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ის კაცი თვლის რომ ვალი აქვს ჩემი და ყოველთვე ფარავს ამ ვალს. მე რომ ცნობისმოყვარე ვიყო, მოვიცდიდი, გავიგებდი რამდენს გამოჰიგზავნიდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ცნობისმოყვარე არა ვარ.

— რითი შემიძლია დაგეხმარო.

— უთხარი იმ კაცს, შეწყვიტოს ფულის მოცემა. გულახდილად გეტყვი, მეშინია. ფულის გამკეთებელი რომ იყოს, ის თანხა, რასაც გვაძლევს ყოველ თვე, საკმაოდ მცირეა, ან ფულის გამკეთებელს რაში ჭირდება ნაწილ-ნაწილ გზავნოს, ერთბაშად მოგვცემდა და მორჩებოდა საქმეს. არაფულისგამკეთებლისათვის კი ძალიან ბევრია. შეიძლება ზედმეტ სამუშაოს იღებს, შეიძლება რაღაც არაკანონიერს ჩადის... თქვენი მამა ჩემი მამაცაა, მით უმეტეს, რომ მამა არა მყავს.

— ნინიკო მოვიდეს ჩემთან.

— მოვა, ოღონდ ფრთხილად ელაპარაკე. ყველაფერზე კივის... ჩაიგდებს თუ არა ხელში ფულს, ერთს კი დამანახებს, მერე სადღაც გარბის და ჩემთვის ტანისამოსი მოაქვს, მჭირდება ეხლა მე ეს? ის კაცი, კაცმა არ იცის, როგორ შოულობს ამ ფულს, ჩვენ კი, მიდი... ზაფხულში ერთი „შტურმოვკა“ მჭირდება, ზამთარში ერთი სვიტრი. ბათინკებს ველარ ვიყიდი ჩემთვის? ქალი ხომ არა ვარ. ნინიკოსაც მოვუვლი როგორმე. კაცი რომ ოჯახს მოეკიდება, შენახვის თავიც უნდა ჰქონდეს.

ბონდო ღიმილით გავიდა ბინიდან, მსუბუქად ჩაირბინა ნახევარი სართული და მოაჯირზე გადმოდმგარ მარიკას ახედა.

არა, არაფრით არა ჰგავდა ვალერის ბონდო, ვალერი უფრო მაღალი იყო, ქერა, გრძელი სახე ჰქონდა. მოუსვენარმა არ იცოდა სად წაელო ხელები, ხან თმას ისწორებდა, ხან ყურის ბიბილოს ისრესდა, თუ ახლოს რაიმე საგანი იდგა, მაგიდა იქნებოდა ეს, კარადა თუ ხე, აუცილებლად აათამაშებდა ზედ თავის დიდრონ, ძლიერ თითებს. ერთი ათჯერ მაინც უნდა წამომხტარიყო სკამიდან.

ბონდო არ ჰგავდა მოუსვენარ კაცს, სახეც შავგვრემანი და მრგვალი ჰქონდა, წყნარი და ხორცსავსე.

მაინც ვალერი მოაგონა, მოაგონა ის შორეული დღე, კაცი მუსიკალური სკოლიდან რომ გავიდა და არტემისაკენ გაიქცა. ბავშვსა ჰგავდა, გახარებულს იმით, რომ შეძლო თავისი არეული საქმეების მოწესრიგება...

ყველაფერი დონატის ბრალია...

შენ ხომ იცი, ვალერი, რომ დონატის ბრალია...

დონატი უნდა დაისაჯოს, დაისაჯოს მკაცრად, სიკვდილით უნდა დაისაჯოს, არაადამიანური წამებით უნდა ამოხდეს სული. ღმერთო, მომეცი ძალა განაჩენი სისრულეში მოვიყვანო...

იანინა, მიშველე...

ესლა მაკლდა...

* * *

ზაფხული ისე დაიწყო, ნინიკოს ბლარ შემოუღია თავისი ძველი ბინის კარი.

აღარ იცოდა რა ეფიქრა, საერთოდ უარს ამბობდა ფულზე, თუ ერთ მშვენიერ დღეს ერთბაშად მოითხოვდა ყველაფერს.

— ალბათ ველზე გავიდნენ უკვე... გამოსამშვიდობებლად მაინც მოსულიყო...

10.

მაისი წვიმიანი და გრილი გამოდგა.

...და თუმცა მაისის ბოლო კვირამ წვიმებსა და სიგრილეს მკვიდრად დაუდო ზღვარი, ზაფხულის მეფური სიდიადით აღვსებას მაინც დასჭირდა მთელი ივნისი.

მერელა გადაწყდა ტონიკაში, მერელა მიაგნო თავის აკორდს და მიაგნო თუ არა, სამეფო კვერთხივით ჩაეჭიდა მას, აღარაფერი შეცვალა, აღარაფერი შეასუსტა და მეფური უფლებამოსილებით დააწვა მიწას.

დაიწყო სიცხეები.

ოფლით დაცვარული ციდან ღვარად წამოვიდა ერთნაირად ძლევამოსილი ბანგი და ბუნება, თრიაქნასვამი, გაბრუებული, მთვრალი, უკანმოუხედავად გადაეშვა ორგიაში, მარადჟამულ დაწყვილებასა და შეუღლებაში, ჩასახვისა და განახლების მომაჯადოებელ იდუმალებაში.

ახლა, სწორედ ახლა, უნდა წარმოეჩინა თითოეულს საკუთარი თავი, ეჩვენებინა რისი შემძლე იყო, რისი მიღწევა შეეძლო, სადამდე ეყოფოდა ძალა, მიყოლოდა სურვილის ყივილს. მან ისიც იცოდა, რაც უფრო მეტ სწრაფვას გამოიჩენდა, მეტ ენერგიას, მით უფრო სრულად დაიცლებოდა, დამშვიდდებოდა, მით უფრო თავისუფლად ამოისუნთქავდა და უფრო სრულყოფილი ჩაბარდებოდა შემოდგომის მსუყე სიყვითლეს.

ხვატის ზუზუნით გარემოცული, გარინდებული, მთლიანად საკუთარ სხეულში ჩაძირული, თავით-ფეხამდე სიყვარულს მიცემული ბუნება ისე შორეული არასოდეს ჩვენებია მარიკას, როგორც იმ ზაფხულს, სხვა დროს არასდროს ისეთი ძალით არ მონდომებია ქალაქის ახლოს, ბავშვობისდროინდელ, ნაცნობსა და შეჩვეულ აგარაკზე ყოფნა, სიგრილის ძიებაში სადმე, ჩრდილდაცემულ ბალახზე რომ მიგდებულიყო და ყური დაეგდო, ყური მაინც დაეგდო ბუნების ალმასვლის იდუმალი ფშვინვისათვის, მონაწილე თუ არა, მოწმე მაინც ყოფილიყო მისი, მაგრამ ახლა, ისე როგორც არასდროს, დაცლილიყო ენერგიისაგან. მხოლოდ მოჭრილ ხესავით შეეძლო გდება და აკი ეგდო

ბიბლიოთეკა

კიდეც ფანჯრებმიხურულსა და ჩაბნელებულ ოთახში.

მის მარტოობას აღარავინ არღვევდა. უკანასკნელი მოსწავლე ივნისის ბოლოს გამოეთხოვა.

თუმცა, ეს უკვე აღარ იყო მარტოობა.

აღარ იყო მარტოობა, რადგან მასში აღარ იდგა არც ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული ტკივილი, არც საკუთარი ცოდვის სხვისთვის გადაბრალების ცდა, არც დამნაშავის დასჯით, საკუთარი ხელით დასჯით გამოწვეული შვება, უილაჯობის, უუნარობის ელფერი რომ დაკრავდა.

მარტოობა სიცარიელედ იქცა.

სიცარიელედ იქცა, რადგან რაც უფრო მეტად ივსებოდა სახელი „დონატი“ ბოროტების შემცველ ჰურჰლად, მით უფრო ძლიერდებოდა საკუთარი თავის არადჩაგდების სურვილი, საკუთარი თავის არარაობად აღქმა, არარაობად, რომლის სინდისის ქენჯნას მხოლოდ ზიზღი შეეძლო გამოეწვია და სხვა არაფერი.

მას ახლა აღარაფერი აწუხებდა. იდო ძილ-ღვიძილის ბინდიან სიმყუდროვეში და აღარაფერზე ფიქრობდა. გადაქანცული სხეული მისი, ადრე ზიზღიანი, წუნია, დრო და დრო თუ მოსთხოვდა საზრდოს და აიძულებდა წამოეყენებინა იგი, სამზარეულოში გაეთრია, მდორე სანოვაგით დაეპურებინა. ეს იყო და ეს.

...და მხოლოდ მიწამ იცოდა, საიდან წამოვიდა თვითგადარჩენის კიდევ ერთი იმპულსი, მძლავრად რომ შეარყია მარიკას სხეულის ბინდით მოცული ხრამი და მისი ულრმესი ფენებიდან სხივის ის ვიწრო ზოლი დაძრა, მერე ქალის მშვენიერ, მშვიდი სინაზით სავსე ხმად რომ გარდაისახა.

— მე ვიცი, მე გხედავ...

ეს არ იყო დედის ხმა, არც ხმა იანინასი, მათ ხმებს იცნობდა, იმ ხმათა ტემბრი იმდენად ნაცნობი იყო, ნაცნობიაო, მათზე, ველარ იტყოდა უკვე.

— მე ვიცი, მე გხედავ...

ხმა თითქოს შორიდან მოდიოდა, გზადაგზა რაღაც უცნაურ სი[illegible] იძენდა, გაზადაგზა თითქოს [illegible] შუქი, მაგრამ იმდენი მაინც შეეძლო, გაეფერმკრთალებინა და შეემსუბუქებინა მისი ბნელი და მძიმე ძილი.

— ვინა ხარ, — ჰკითხა, როცა მომდევნო ღამეს კვლავ გამეორდა ის ხმა.

— მე შენი და ვარ...

და მარიკას არ დაჭირვებია გამოცნობა, იმისათვის, რომ ეცნო იგი. მარიკამ ძილშივე მოიგონა მათი ოჯახის კიდევ ერთი წევრი, წასული დაბადებიდან ერთი წლისა და ორი თვის თავზე.

არც მარიკა, არც ვახტანგი, არც ნინიკო არ იცნობდნენ მას. იგი მათ დაბადებამდე გამოთხოვებოდა სიცოცხლეს.

მასზე არ ლაპარაკობდნენ მშობლები. ოდესღაც ამ ოჯახში ერთი პატარა, დღენიადაგ მოცინარსახიანი ადამიანი რომ ცხოვრობდა. თვითონაც არ იცოდა — საიდან გაეგო, მაგრამ გაეგო კი და გაეგო იმდენად ადრე, უკვე აღარც კი ახსოვდა. იცოდა თუ არა.

— შენ ხომ ძალიან პატარა იყავი...

სად ისწავლა ლაპარაკი, სად გაიზარდაო, — ის გაიფიქრა მეყვსეულად.

— რა მნიშვნელობა აქვს ამას...

ხმა კი არ ლაპარაკობდა, მღეროდა, ან იქნებ არცა მღეროდა, შორიდან მოსულს გზადაგზა მარტო შუქი კი არ ეხორჯებოდა, ხმაც ეკონებოდა სივრცეთა ნისლოვანებაში.

— მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს ამას, — გაიფიქრა, რადგან მიხვდა, ისიც იცოდა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

მარიკა წვალობდა, უნდოდა რაღაც ეთქვა და ვერაფერს ახერხებდა. ან რა უნდა ეთქვა. ხმა იგი ყველაფერს ხედავდა და გრძნობდა. მან მარიკას სიტყვების გარეშეც მშვენივრად იცოდა ცოცხლად დარჩენილი დის სატკივარი.

მაინც მოახერხა.

— ძნელია...

— მშვენიერია... — მღეროდა ხმა.

მთელი მეორე დღე საოჯახო ალბომის ძებნას შეწირა და როგორც იქნა, მოიძია. იგი გარდერობში, დედის ლამაზად დაკეცილი ტანსაცმლის ქვეშ იდო, წითელხავერდგადაკრული, ოქროსფერი ასოებით ნიშანდებული, არყოფნის მსუბუქი სამოსის კალთებში ჩამთბარი და გარინდებული.

როგორც კი გადაწია დედის ტანსაცმლის მოშრიალე აბრეშუმი, მაშინვე გამოანათა მისმა სიწითლემ, თითქოს ამ წუთს ელოდა, ამ წუთისთვის ინახავდა მთელ თავის სიხასხასეს.

რას ეძებდა იქ...

რა თქმა უნდა, თავისი დის ფოტოს, წლისა და ორი თვის ბავშვის სახეს, რომელსაც დედამიწაზე არ დასცლოდა გაზრდა და დასრულება, მაგრამ სადღაც, შორს, სივრცეში, რაღაც უცნაური სისრულე შეეძინა, უცნაური სრულყოფილება. იგი თურმე მარიკას იცნობდა, მარიკას ხედავდა, თვალს თუ ადევნებდა...

რა ამღერებდა მას?

სიხარული იდგა იმ სიმღერაში თუ მწუხარება?

იქნებ დასცინოდა თავის ცოცხალ დას, რომელსაც ბუნების იმპროვიზაციულმა სულმა მიწაზე ცხოვრება არგუნა წილად, მან კი ეს ფასდაუდებელი საჩუქარი უუნარობით დადალა, არარად აქცია, დამ იცოდა ცხოვრება მშვენიერი რომ იყო და დასცინოდა მარიკას ბნელ გონს.

იქნებ ეცოდებოდა...

იქნებ არც დასცინოდა და არც ეცოდებოდა...

იქნებ მან ყველაფერთან ერთად ისიც იცოდა, ასე რომ უნდა წარმართულიყო მისი ბედი. რა იცი, როგორ აფასებენ ადამიანის გზას იქ, არყოფნის ბნელ შრეებში, რას უწოდებენ ისინი მშვენიერს...

— ნინიკო... ყოველთვის ლამაზად იცვამდა, ბავშვობაშიც... რა ლამაზად აქვს დავარცხნილი თმა. რამ გადაალებინა სურათი მარტოს. ახსოვს, ახსოვს მარიკას, როგორ ითხოვდა ხოლმე მანეთიანს. ფოტოატელიეში უხდა წაგე[illegible] დეო... აქ კი ბალახზე მიწოლი[illegible] მელიღაც გოგონასთან ერთ[illegible] გარეთ თუ იყვნენ მაშინ. თვალები დაუხუჭავთ, ვითომ სძინავთ. ბალახის ჩრდილი ადგათ სახეზე. სტუდენტობისდროინდელია უთუოდ. ეს რაღაა. ჰო... რასა სვამდნენ ნეტა, სითხე მუქია, ალბათ ლუდს. აქ კი სიგარეტი უჭირავს, თითქოს არ ეწეოდა და... იხუმრა ალბათ. აი, პატარა ბავშვი... ფოტოსურათი ახალია, ეს არ იქნება. — მაინც გადადო გვერდით.

— ეს ჩვენა ვართ, სუყველა ერთად. მამა ჰამაკში ზის, დედა უდგას გვერდით, თითქოს არწევს ჰამაკს. ჩვენ, ყველანი, მამის ფეხებთანა ვართ ჩაცუცქულები, ვიღრიჭებით. რა პატარები ვიყავით. რა მაცვია მე? შარვალი. დედას სულ იმისი შიში ჰქონდა, არ გავციებულიყავი. მართლა ასეთი სუსტი ვიყავი? გამხდარი კი ვარ, ჩხირი . რას აკეთებს ნინიკო? ვახტანგს ყურში ბალახს უყოფს... კვირაობით ჩამოდიოდა ხოლმე აგარაკზე მამა, ხილს ჩამოგვიტანდა. ყველაზე მეტად საზამთრო გვახარებდა. ნუთუ ეს ყველაფერი იყო... დედა გვეტყოდა, აბა თქვენ იცითო და ჩვენც გავვარდებოდით წყალზე. ხელპირს დავიბანდით, კბილებს გამოვიხეხავდით... იმ წყლის სიცივე ახლაც მახსოვს... მაგრამ რა უნდა გვექნა, დაუბანელ-დაუვარცხნელები ხომ არ შევხვდებოდით მამას... აი კიდევ ერთი, არც ეს უნდა იყოს, ესეც ახალია. — მაინც გადადო გვერდით.

— ვახტანგი, ვახტანგი ზღვაზე... ზოლიანი ტრუსები აცვია. რა ლამაზი ტანი ჰქონია... შეწუხებული სახე აქვს, რატომ ნეტა... ზურგს უკან ვიღაც გოგოები აჭყაპუნებენ წყალს, ეს თუ აწუხებს... არც ვახტანგს ყვარებია ფოტოობიექტივში ყურება, სადღაც გვერდით იყურება... ოოო, ეს კი თინაა. რა სერიოზულია, თითქოს საცაა ჰკუის დარიგებას დაიწყებს. „სახსოვრად მარიკას...", რა საზიზღარი ჩვევაა სურათის ჩუქება. როდის აჩუქა ნეტა... ალარ ახ-

სოვს. ალბათ მუსიკალურ სასწავლებელში გადასვლამდე, მერე ხომ კარგა ხანს აღარ უნახავს. რამდენი წლისა იყო მაშინ...

— ეს კი მე ვარ, ვიქნები აქ ერთი წლის. ვის ვყავარ ნეტავ ხელებში აყვანილი. ხედავთ, როგორი ჩაცმულ-დახურული დავყავდი მშობლებს? კაბა არც კი მოჩანს, არშიებში ვზივარ მთლიანად. მხოლოდ ხელი ჩანს, მამაკაცის ხელი. ალბათ მამაჩემის ხელია; აქ კი სკამზე შევუყენებივარ, თეთრი კაბა მაცვია, დიდი, თეთრი ბაფთა მადევს თავზე, ვიქნები ალბათ სამი წლის... ნუთუ მართლა მე ვარ...

— შეიძლება ესაა... ძველი, დაცხავებული ფოტოსურათიდან ნამტირალევი ბავშვი იყურება, არც მას სიამოვნებს ფოტოობიექტივი... ნუთუ ესაა. აი, კიდევ, ესეც ძველია. აქ ბეწვგადაფარებულ სავარძელში ჩაუსვამთ, ხელები წინ გაუწევია, მოუთმენლად ელის, როდის აიტაცებენ ხელში...

— ისევ ნინიკო... როგორ ჰყვარებია სურათის გადაღება. იცინის, სიცილიც ჰყვარებია, ყველგან იცინის... ვახტანგი არა, ვახტანგი ყველგან მოღუშულია...

— აი მე, როიალთან ვზივარ, არ ვუკრავ, არც ობიექტივისაკენ ვიყურები. მრცხვენია... მახსოვს, მეზობელმა გადამიღო, დედამ სთხოვა. რატომ გამლახა მაშინ? მეცადინეობა არასოდეს მეზარებოდა, პირიქით... ცუდად ვიყავი, თვალები მეწვოდა, ყელი მიშრებოდა, მაჟრჟოლებდა. მატყუებო... არა და, მართლა ავად გავხდი. მაშინ მოვიხადე ყბაყურა. ისევ მე... ეს კონცერტის დროს გადამიღეს. ლისტის მეექვსე რაფსოდიას ვუკრავდი. მეექვსე რაფსოდია... მაშინ მეც ნამდვილი მუსიკოსი მეგონა თავი... ნუთუ ეს ყველაფერი იყო... რამდენი უცნობი პატარა ბავშვის სურათი მოგროვდა, ძველიც, ახალიც. ვინ არიან... ახლები არ მინდა. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი... რომელია ნეტა. ყველა სხვადასხვაა. არც ერთი არა ჰგავს მეორეს... ნუთუ თავის დროზე არ უნდა გამერკვია რომელი იყო ჩემი და... ის კი მიცნობს, მიცნობს, მიცნობს...

წავიდნენ.

— წავიდა მამაჩემი, ვახტანგი, ნინიკო. ვინც რა მოიხელთა, ის წაიღო, ფოტოსურათები კი დატოვეს. რად დატოვეს, რა უნდათ ჩემგან, რატომ უნდა ვინახო მე მათი ცხოვრება... სხვაგან გადასახლებულებმა უარი თქვეს საკუთარ წარსულზე? წაიღეთ, წაიღეთ აქედან ყველაფერი. ნუთუ ერთხელ მაინც არ გიფიქრიათ, შემიძლია თუ არა ამდენის ტარება, ნუთუ ერთხელ მაინც არ შეგცოდებივართ... ყველაფერი დონატის ბრალია. შენ ხომ იცი, იანინა, ყველაფერი რომ დონატის ბრალია... ლი, როგორ მენატრები ლი... ერთხელ მაინც დამანახე შენი შავი ხილაბანდით წაკრული თავი, მორზე ჩამოსვენებული შენი სხეული, მუხლისთავებზე გადმოფენილი დალლილი, დამჭკნარი ხელები... სიზმარში მაინც მოდი ჩემთან. რა მითხარი მაშინ... გამიმეორე, ახლა მოგისმენ, მოგისმენ, ოღონდ მითხარი... მითხარი, რომ მე არა ვარ დამნაშავე... არაფერს ამბობ. ვერ მომატყუებ და იმიტომ. ლი... სიმართლეს ვერსად გაექცევიო? სიმართლის ნაწილები ვართ ყველანიო? ხედავ? ვერც მე გავექეცი სიმართლეს, ხედავ? რა ყოფილა სიმართლე. იანინა, მიშველე...

— სად არის კუნძული, სად... ამდენ ფოტოსურათებში რატომ ერთი მაინც არ არის კუნძულისდროინდელი... იმიტომ, რომ არ არსებობდა იგი, არ არსებობდა! ყველაფერი ჩემი მოგონილია, ჩემი შეთხზული, მეტი არაფერი.

მთელი კვირა ელაგა ის ათი ფოტოსურათი მაგიდაზე, მთელი კვირა დაჰყურებდა მარიკა მათ. ბოლოს სურათები ერთმანეთს დაემგვანნენ და ეგონა ათივე მისი და იყო.

— შენ იცი ყველაფერი... შენ ისიც იცი, მე რომ არაფერში არა ვარ დამნაშავე... საიდან მოდის ეს ღიმილი, სად არის შენი სახე, იანინა, რატომ მიგზავნი მხოლოდ ღიმილს... ამაცალე ეს ღიმილი, შემიცოდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მშვენიერია, — მღერის ხმა.

— რა არის მშვენიერი, სად არის მშვენიერება... რამდენი ცდილობს იყოს მშვენიერი, ცალკე დგომას ამჯობინებს, ცდილობს ყოველი მხრიდან დაგანახოს თავის განუმეორებელი თავი, რაღაცას მიედ-მოედება, იპრანჭება, თავს გაწონებს, თითქოს ადამიანის ცხოვრება მოდების დემონსტრირებაა და სხვა არაფერი..,. აი, ვინ იყო მშვენიერი... იანინა, იცოდი შენი ადგილი და შენი საქმე, შენ, ჩვენზე, ყველაზე მეტი იცოდი, წყალივით მოედინებოდი, ვისაც რამდენი სურდა, იმდენს ასმევდი, ასმევდი წყნარი გულუხვობით სავსე, არც ტრაბახობდი, არც ორიგინალობდი, ჩვეულებრივი, უბრალო, ჭორფლიანი გოგო იყავი... არც ერთი არ ვიყავით ამის ღირსი. იცოდი ეს შენ? მითხარი, იცოდი? იქნებ იცოდი კიდეც და მაინც გვასმევდი... სადა ხარ ეხლა, რატომ არ მიჩვენებ შენს სახეს, რატომ მიგზავნი მხოლოდ ღიმილს...

— მშვენიერია, — ისევ მღერის ხმა.

— მე მოვკლავ დონატს. მოვკლავ, ენას ამოვგლეჯ. საკუთარი ხელით ამოვგლეჯ, აი, ამ ხელებით... ხედავ, როგორ მიცახცახებს, როგორ მეძარღვება... იანინა, მიშველე...

— მე ვიცი, მე გხედავ...

— მეძინა? ვინ აკაკუნებს კარზე, ვის მოვაგონდი, რომელი საათია, შუაღამეს გადასცილებია დრო... არ მინდა არავის ნახვა, თავი დამანებეთ, დამტოვეთ მარტო...

მარიკამ აღარ აცალა კარზე მომდგარ სტუმარს კიდევ ერთხელ შეეხსენებინა მასპინძლისათვის თავისი მოსვლა.

კარი გაალო.

მამაკაცი მოშორებით იდგა, ტყავის პატარა საკვოიაჟი ეპყრა ხელთ. თითქოს არც სახლში აპირებდა შესვლას, არც რაიმეს თქმა სურდა, ისე მძიმედ დაყრდნობოდა თავისუფალი ხელის იდაყვით კიბის მოაჯირს და დუმდა.

სადარბაზოს მბჟუტავ ნათურას ძლივს ედგა სული, მაგრამ დერეფნის სიბნელიდან მაინც მოჩანდა მისი დაღლილი, გასავათებული სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, მარიკას არ უცვნია [illegible] კამ იცოდა, ვინ უნდა ყოფილიყო ის. თითქოს ადრეც იცოდა, მაშინაც იცოდა, კაკუნი რომ შემოესმა და მეორედ აღარ გაამეორებინა იგი. იცოდა კიდეც და არც იცოდა, რადგან მისი გამოჩენა იმდენად შეუძლებლად მიაჩნდა, ამაზე არასოდეს უფიქრია.

არც აღელვებულა და არც დაბნეულა. სიზმრის გაგრძელება ხომ არ ეგონა...

იდგა და დაკვირვებით შეჰყურებდა მოსულს.

რამ მოიყვანა ასეთ დროს...

და მან იგრძნო, კაცი მის კარზე მოუთმენლობას მოეყვანა.

არა, მოუთმენლობა არ ეწერა სახეზე, პირიქით, იმედგადაწყვეტილი, დაცარიელებული თვალებით შეჰყურებდა ქალს და უკვე აღარაფერი აინტერესებდა. თითქოს არც თავშესაფარი ჰქონდა და არც ჰყავდა ვინმე, დახმარების ხელი რომ გაეწოდა და იდგა ასე, უსავანო და უძლური, არც არსაიდან მოსული და არც არსაითკენ მიმავალი, იდგა და უსმენდა სიჩუმეს, დაუსრულებელს, დაურღვეველს...

და მაინც, ეს მოუთმენლობა იყო...

ის მოუთმენლობა, ზოგჯერ, იშვიათად, განსაკუთრებული უიმედობის ჟამს რომ იფეთქებს, გათიშავს გონს და ქვეშეცნეულის კარნახით გასაოცარ ნაბიჯს გადაადგმევინებს სხეულს.

გვერდზე გადაიწია მარიკამ, მამაკაცისთვის გზა რომ დაეთმო და სახლში შეეყვანა და როცა მოსულიც დაიძრა, მძიმედ დაითრია ფეხი, რომელიც უკვე აღარ ემორჩილებოდა და შიშით გააკეთა ნაბიჯი, თითქოს აღარ სჯეროდა გადმოდგმული ფეხი თუ შეძლებდა მისი ტანდაბალი, ქარშემდგარი სხეულის შეკავებას, მაშინღა იგრძნო მთელი სისავსით, რაც მოხდა.

როცა კარი მიიხურა და სადარბაზოს ის სუსტი შუქიც შეწყდა, დერეფნის

სიბნელეს რომ აფერმკრთალებდა, დაიძრა კუნძული...

დაიძრა კუნძული, თევზივით წაგრძელებული, თევზივით კუდგაპობილი, წიწვით დაფარული გორაკებითა და გრილი, უჰაერო გვირაბებით, დაიძრა ის მეჩხერტოტებიანი ფიჭვი. მაშინ, სულ ერთი წუთით, ნისლისათვის რომ დაეღწია თავი და საღამოს რბილ შუქში ლივლივდა, ახლა, დერეფნის სიბნელეში მის კონტურებსღა ხედავდა, საიდანღაც შემოპარულ სხივს რომ აელესა; დაიძრნენ ხის ფანჩატურები, გაუბედავი, მერყევი შტრიხებით სავსე; დაიძრა დროის უსასრულო დინების ვიწრო სარკმლიდან დანახული ადამიანთა მიწა, დამორჩილებული დაბადებასა და სიკვდილს, დამორჩილებული დალუპვისა და განახლების სევდიან ენერგიას, დამორჩილებული ერთხელ მიგნებული ჰარმონიის მსხვრევითა და დაქუცმაცებით ალსავსე სულიერ ტრაგიზმს, დამორჩილებული თვითგადარჩენის ინსტინქტს; გამწარებით რომ დააქანებდა ახალ, სხვა საყრდენთა ძიებების ტანჯვით ალსავსე უგზოობაზე...

ყველაფერ ამას ხედავდა, ვერ ხედავდა მხოლოდ კაცს, დერეფნის რომელიღაც კუნჭულისათვის რომ შეეფარებინა თავი. სამაგიეროდ მისი სუნთქვა ესმოდა, ზერელე და სწრაფი. ზოგჯერ სუნთქვის რიტმი ნელდებოდა, ზოგჯერ, თითქოს, წყდებოდა კიდეც, ალბათ ცდილობდა ჰაერით აევსო ფილტვები და გული, მაგრამ ბევრს ვერაფერს ალწევდა, რადგან ამგვარი ცდა მშრალი, ყრუ ხველით თავდებოდა მხოლოდ.

იცოდა ქალმა, რას მოეყვანა მასთან კაცი. იმას ეძებდა, რომლის სახელი აგერ, უკვე რამდენი წელია არ მოცილებია მარიკას ფიქრს. მაგრამ ახლა, როცა დერეფნის სიბნელეში ერთმანეთის წინ იდგნენ, ორივე დამარცხებული, განიარაღებული, პატივაყრილი, საკუთარ თავთან ომით გამოფიტული, იმ სახელის წარმოთქმა უჭირდათ...

ეძებდა და ვერ პოულობდა...

— ერთი ქალაქიდან იყავით ორივენი. შენ უნდა იცოდე სადღაა იგი, — ამას იტყოდა ალბათ, სიტყვის თქმა რომ შეძლებოდა კაცს, იქნებ ამიტომაც ცდილობდა ღრმად ჩასუნთქვას, სული რომ მოეთქვა და ხმა ამოეღო, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, სიტყვის მაგიერ ხველა ამოდიოდა ხორხიდან.

— რადგან ერთი ქალაქიდან ვიყავით? მერე რა, რომ ერთი ქალაქიდან ვიყავით. იგი აქ აღარ დაბრუნებულა...

მაგრამ არც ერთს არ უთქვამს არაფერი.

და იგრძნო ქალმა, ის წლები, საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალებასა და სხვის სასტიკად დასჯის ყოვლისდამმორჩილებელ სურვილს რომ შეწირვოდა, მარტო მისი წლები როდი იყო...

იმ წლებით ეცხოვრა ამ კაცსაც. საკუთარი სულით ეტარებინა მისი სიმძიმე და სიბნელე, სიწმინდე და სიბინძურე.

...და რადგან იცოდა იმ წლების მთელი დაუნდობლობა, შეეცოდა კაცი, დაუჯერა.

— დამთავრდა...

ვინ იცის, კაცი მიჰყვა მორჩილად ქალის ნებას, თუ პირიქით, ქალი დაემორჩილა მამაკაცის სურვილს — შემოევლო მარტოობითა და სიცარიელით ჩაბნელებული ბინა, თითქოს იმის თქმა გადაეწყვიტათ, აი, როგორ ვიყავითო გუშინ...

ღმერთო, მაღალო, ისინი, ორნი, ჯერ კიდევ გუშინ ერთმანეთის მოსისხლე მტერი, ახლა შენდობას ელოდნენ ერთმანეთისაგან.

ორივე ერთს ფიქრობდა მაშინ.

— როგორ ჰგვანებია დიდი და ცარიელი ბინა კუბოს.

მერე ლოჯიაში გავიდნენ.

ლოჯიაში მთვარის შუქი იდგა.

მათ ახსოვდათ ერთმანეთის სახე, გაკაპასებული, შურისძიებისაგან დამახინჯებული. ეხლა ეშინოდათ თუ ერცხვინებოდათ ერთმანეთისათვის სახეში შეხედვისა, ვერ გაეგოთ.

უხმაუროდ შემოუსხდნენ მაგიდას და სკამებს მიაყრდნეს დაღლილი ზურგები. ქუთუთოები მერელა აწიეს.

— არაფერია ისეთი მშვენიერი, როგორიც ადამიანის ღიმილი, — აი, რა გაიფიქრა თითოეულმა ცალ-ცალკე, — რადგან ადამიანმა ბევრი რამ იცის. მან იცის შიშიცა და სიძულვილიც, უნდობლობაცა და დაუნდობლობაც. თავდაცვის მყრალი გზებითაც უვლია, ცუდი უნახავს და ცუდი გაუკეთებია. მაგრამ მან ისიც იცის, როგორ გადადის უნდობლობა ნდობაში, მტრობა მოყვარეობაში, დაუნდობლობა შეცოდებაში, თავდაცვის ჟინი დამარცხების დიდებულებაში, დაცემა აღორძინებაში, გაცამტვერება აღზევებაში, სიძულვილი სიყვარულში... მან ბევრი რამ იცის...

მერე ის მოაგონდა მარიკას, კაცს გრძელი გზა რომ ჰქონდა გამოვლილი და დასვენება ჰირდებოდა.

ძმის ოთახში გავიდა და ლოგინი გაუშალა.

— სულ ესაა შენი ავლა-დიდება? — გაეცინა, როცა კაცმა სკამის ფეხებთან მიგდებულ საკვორიაჟს წამოავლო ხელი.

— ადამიანს ბევრი არაფერი ჰირდება... — გაეცინა მასაც.

ამდენი ხნის დუმილის შემდეგ ვერც კი იცნეს საკუთარი ხმა.

ჰრიჰინას გაბმულ სიმღერაში მშვიდად ეძინა ქალაქს.

ფოთოლთა აპრიალებული ზურგები მკრქალად ელავდნენ მთვარის შუქზე. მთვარე იყო სავსე და ყვითელი, ხის ტოტებიდან გამომზირალს თავისი სიმრგვალე დაექუცმაცებინა და ნატეხ-ნატეხ ელავდა. ვარსკვლავები სამკაულებივით დაბნეოდნენ სივრცეთა სილურჯეს. შორს, ქედის ჩამუქებულ და მაინც ცის სილურჯეში შეტივტივებულ სხეულს ელნათურების ზიგზაგი მიუყვებოდა. მხრებში გაშლილი, აღორძინებული ხეები ამაყად წასულიყვნენ ცისკენ და თითქმის დაეფარათ მრავალსართულიანი სახლების რიგი, პარკსა და ქედს შორის რომ ჩამდგარიყო. მხოლოდ ზემო სართულებიღა მოუჩანდათ სახლებს. ყველა ფანჯარა ჩამქრალი იყო. მათი ჩაბნელებული კონტურები სიმწუხარის არავითარ გრძნობას არ იწვევდნენ, პირიქით, სიმყუდროვეს მატებდნენ ქალაქს.

ის მოაგონდა ქალს, როგორ ეცოდებოდა ხე, დღის ხმაურსა და მტვერში გახვეული, ეჩვენებოდა, რომ წვალობდა იგი, თავის დაღწევა, გაქცევა სურდა ქალაქის ღრიანცელისა და გაწამაწიისაგან. ახლა კი, ღამის ამ საოცარ მდუმარებაში, თითქოს რევანში აეღო, დაეპყრო ქალაქი, გამეფებულიყო.

მარტო ქალაქში? მთელს დედამიწაზე, მთელს სამყაროში...

მერე ზევით აცურდა მთვარე და ხის ტოტებიდან თავდაღწეულმა, სიმრგვალემ მისმა, თავისი სრულყოფილება აჩვენა ქვეყანას.

არაჩვეულებრივი სიყვითლე და სინათლე ჩამდგარიყო ამ სიმრგვალეში. თითქოს შეუძლებელი იყო მისი ასეთი ელვარება გაეთავისებინა ღამეს, ჩაეწნა თავის იდუმალებაში, მაგრამ მთვარე ასეთი ყვითელი და ნათელი, არც ტრაბახობდა, არც არავის აწონებდა თავს, წყნარი და დაფიქრებული მიუყვებოდა ნაბრძანებ გზას და გასაოცარი მორჩილებით იყო სავსე.

— ნუთუ აუცილებლად ათი წელი უნდა გავიდეს, ერთმანეთის მონახვა რომ გვაიძულოს სისხლმა... მე თვითონ მივადგები ყველას და ერთ მშვენიერ დღეს ისევ ავახმაურებ ამ ჩამკვდარ სახლს. დაე, მოვიდეს ყველა, მოვიდეს ყველა და შემოუჯდეს ამ მაგიდას, რა-

დგან ეს სახლიცა და ეს მაგიდაც ყველასია. მოვიდეს მამაჩემი იმ ქალითურთ, ვახტანგი ცოლთან ერთად, ნინიკო და ბონდო, მე და დონატი... ყველა საკუთარ ცოდვასთან ერთად.:.

— ჩვენ შევიკრიბებით და ისე ვიზეიმებთ ამას, მთელი ქალაქი, მთელი დედამიწა, მთელი სამყარო შემოგვცქეროდეს გაკვირვებული. იცოდეთ, იმ სიხარულს არ ექნება საზღვარი, იმიტომ რომ ადამიანი სიხარულისთვისაა გაჩენილი...

...გვიან გაიღვიძა მარიკამ.

ლოჯიაში, მაგიდაზე გადაწოლილს ჩასძინებოდა.

წყურვილმა გააღვიძა.

ნახევრად მძინარი გალასლასდა სამზარეულოში და იქ წითელი ფლომასტერით აჭრელებულ თაბახის ფურცელს წააწყდა.

„ის, რაც სახლში აღმოვაჩინე, საჭმელად აღარ ვარგა, მივდივარ სანოვაგის მოსატანად“.

გამოფხიზლდა.

— ძალიან კარგი, — გაიფიქრა, — ამ საქმეს ორი საათი მაინც დაჭირდება, წამეცადინებას მოვასწრებ.

წყალი დალია, სწრაფად დაიბანა ხელპირი და როიალისაკენ წავიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნიკო სამადაშვილი

* * *

მელოდებოდი ფოთლებთან ერთად,
თხელ სივრცეებში ხედავდი ბილიკს,
თან ყურს უგდებდი ქარის სიმღერას
და წუთისოფელს, სულ ხმაგაკმენდილს.

ის აღარ მოვა, რადგან სისხამზე,
ჩვენ ვნახეთ, ღამეს რომ გაეტირა,
შენ ასე გითხრეს ამხანაგებმა
და კულულებზე ყვაოდა კვირა.

* * *

შენ გიგროვებდი მთვარის ბულულებს,
ღამე ორთვილავდა გამოწვდილ ხელებს,
ნეტავ რად ვრგავდი შენს კულულებში
რუზე შუქშემკრთალ ციცინათელებს?!

რად გიყვებოდი მოქარგულ ზღაპარს,
სადაც სიმღერა ქრუანტელს ერთვის...
შენ ღვთისმშობელმა ხელით გატარა,
მე კი სიზმრები მომქონდა შენთვის.

თეთრკაბა იებს რად წასკდათ ცრემლი,
იქნებ მოსწყინდათ ჩვენი ფერება?
გარეთ ქარი დგას ფეხის ცერებზე,
უკან რად იხევს ბედნიერება?..

რატომღაც მინდა, კიდევ ვემთხვიო,
ოდესღაც ჩემსკენ გამოწვდილ ხელებს,
საფლავად მკერდი ამოვუთხარო,
შენს თმებში მოკლულ ციცინათელებს.

## ღია ბარათი

დალუპულ დღეებს ისევ ვიგონებ.
ხრჩოლავს სოფელი, ბნელა, თოვლია,
თვალი დაუდგეთ ცისფერ გოგონებს,
თუ კაცი ქვეყნად ვერ გიპოვნია.

შენ იბადები ბინდების რწევით,
კვდები, როდესაც რიჟრაჟი არი.
ლარწკაზედ გრჩება გული ნაწყენი,
გულზედ ხავსივით მწვანე სიზმარი.

შენი სხეულის უდაბურ ნანგრევს
ქუხილის შუქი ეცემა ღამე.

ქარი ნავიდან აგლეჯილ აფრებს
მოიტანს, ტანზედ ნელა გაფარებს.

როგორ არ ვიცი, რომ გებრალები,
იცი ახლობლებს როგორა ვძულვარ.
რო ამრევია უცბად თვალები
და ღამეებით ჩავბეირებულვარ.

დარდის ხვითქებში გაწურულ პერანგს
თონესთან მიშრობს შეშლილი დედა.
დაგხსომებია კაცი ვერაგი,
ვინც შეწყნარებაც ვერ გაგიბედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ამ ხრიოკებს ყნოსავდა მარად,
ვით ტყის ნადირი, ვით საყდრის გლახა;
ვინც მთებს ზევიდან მოსდევდა ბარად,
რომ გზებს შეყროდა და ევაგლახა.

რა გენაღვლება, შენს კარმიდამოს
რთვილივით ეცხოს პოეტის ნიჭი.

თუ უკვდავებამ სადმე მიკითხოს:
„ნეტა სად არის ეხლა ის ბიჭი?“

მოუყევ: ქარებს გადაჰყვა ღამე,
რაღაც საოცრად წაიმხედრულა,
ორჯერ იკივლა სამყაროს გაღმა,
და უკან აღარ დაბრუნებულა.

## ფერფლი

სიცოცხლე ტანზედ დაიკლაკნება,
ამოვა ქარი და დაბინდდება.
ღამე კაკლიდან ჭოტის კივილით
ჩემს მიწურ ბანზედ გადმოფრინდება.

და დასრულდება უცნაურობით
პოეტის ღელვა და სიყვარული,
ბალები, კალო, საძნე ურმები
ჩვილ მოგონებას მძიმედ ჩაუვლის.

ცაცხვების შრიალს, ჩვენ ხშირ სამყოფელს,
მივლენ ყვავები და დასცინებენ.
მე საქართველოს წყნარი სოფლები
ძალლების ყეფით გამაცილებენ.

შორს მგზავრს ტირილიც კი მობეზრდება,
ჩრდილს წაიხურავს, ჯირკთან მიწვება,
როცა მორთავენ ჰმუნვას ქარები,
იმღერებს კიდევ და დაიწვება...

* * *

სადღაც ბინდებთან შეაჩერებს იმას ნამქერი,
ვინც სამყაროდან სიმღერებით ჩამოირბინა,
ტაძრის ფრესკები ჟამთა სვლაში დაქვრივდებიან,
არმაზის კერპი კვლავ აღიდგენს დანგრეულ ბინას.

ამოგიძოვენ მდორე თვალებს მცხეთის ქარები,
დაგაბრმავებენ, ვინ გიკითხავს, ნეტავი ვინა?
სვეტიცხოველთან გაიხსნება მეფის კარები,
და ატირდება, ვინც სოფელი ამოირბინა.

* * *

მზე ჩადიოდა მაღალ მთებს იქით.
თან ცხელი მიწა ყრუდ ნელდებოდა.
ის ალავლენდა ლექსს დაჩოქილი.
და ვერც კი გრძნობდა. რომ
ბნელდებოდა.

ან რას იგრძნობდა. რომ ამორძალებს.
წისქვილის რუსთან აენთოთ კვარი.
ცხედარი შუქზედ ახელდა თვალებს,
მინდვრად. მუხის ქვეშ ტიროდა ქარი.

## ქურდი

ის ჩუმად წერდა, თითქმის მალულად.
უყვარდა ნისლით ნალექი გზები.
რომ მიიცვალა უცბად. ქურდულად.
თან გაიტაცა თავის ლექსები.
და მეგობრებმა გადააქოთეს
მთელი ოჯახი, წალო. კარადა.
ვერ მოისაზრეს. ვერ მოიფიქრეს
თუ მკვდარი ნაწერს მოიპარავდა.

## ალსარება

მე არავის არ ვუნდივარ,
არც არავის ვებრალები.
თან მომდევენ, რო დავდივარ
ჩემი ბალის ფრინველები.
დანარჩენი ყველა ტყუის
კაცია თუ ქალის დარი.

ვინ მიცქერის პირუტყვივით.
ან რას ღნავის საზანდარი.
დავიბადე ძალზედ გვიან,
აღარ მცნობენ ეს ველები,
დღედალამე დამტირიან
გეთსიმანის ფრინველები.

## ფილტვების სიყვითლე

დაისს ელოდნენ ქართლის სოფლები,
ელავდა სივრცე დაგვილი სუფთად,
ფილტვებს მირხევდა ტყის
ფოთლებივით,
შენი სხეულის მოღლილი სუნთქვა.

მიწას სინათლე ხავსივით ეკრა.
ტიროდნენ გზებზედ თალხი ქალები.
ჩვენ გვეშინოდა ღია კარებთან,
აქ წუთისოფლის, იქ გრიგალების.

მე დაკარგული მქონდა გონება,
როცა ქარებმა გვიან იყივლეს,
შენ უცქეროდი გაოგნებული
ჩემი ფილტვების ჩამქრალ სიყვითლეს.

ბედი წაელოთ სადღაც, ჯანდაბას...
მსურდა მომეკლა თავი უდანოდ.
ბინდების გალმით წყალივით ჩანდა —
მარადისობის ჩუმი უდაბნო.

სადღაც ილტვოდა სულგამწარებით,
ცისარტყელებში ისმოდა ცეკვა.
მე კი მოვრბოდი დედამიწისკენ,
რომ შემეწყვიტა ზარების რეკვა.

## ნაფოტები

გიცქერის ძველი სახლის კედელი.
გკოცნის სიზმარი, გერევა რული.
სავარძლის უკან გადაყრილ ხელებს
უჭირავთ ტანი შიშდარეული.

ფხიზლობ, დადიხარ, ძილში იწვევი,
ვკვირობ, ეგ ცეცხლი სად დაგეტია?!
რამდენი კაციც ცხოვრობს მიწაზედ,
ქვეყნად იმდენი საგიჟეთია.

ჰოტი დასცინის ბნელ არემარეს,
მწყრის ქვითქვითია, ბიბინი ყანის.
გაუსხეპავი ღამეა გარეთ
და პოეტების ნახირი ბღავის.

დაიტანს მგზავრებს ზვავი მეწყერი,
ფეხს ილრძობს კაცი, მერე ბუნება.
შთამომავლობა — ლექსების მტერი
ჩვენს ნაწერებზედ აბუზლუნდება.

დიდხანს ასდევდი ულრან ალმართებს,
გჭეროდა დედა და ბედისწერა.
არ მოგეწონა რო შეხვდი ღმერთებს
და გაუხვიე სივრცეებს ცერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მილულვა

ყოველ ღამე სიზმრებში ვარ,
გულს ლოცვებით ვატიალებ.
საყდარი სჩანს, ზარებია...
და მეც ლანდებს დავტრიალებ.

ზედაშესთან მზვარა ბღავის,
სარეცელზე ხვნეშის გვამი,
ქარის კვალზე დადის ბალი,
ასე ხდება ყოველ ღამით.

მაგიდაზე ძევს ლარნაკი,
ყვავილებით გაწეწილი.
ვილაც კვდება ლაპარაკით
სახე ოდნავ ალეწილი.

სადღაც მნათე ზეცის თალს რეკს
წუთისოფლის კარგა გაღმით...
ქაოსები გზებს კენკავენ,
ასე ხდება ყოველ ღამით.

* * *

ნაძვები კუბოს მიასვენებდნენ,
წინ ყვავილები მიჰქონდათ ქარებს,
მიწიდან მთები იმას უსტვენდნენ,
პირქვე რომ ეგდო მსოფლიოს გარეთ.

ის სივრცეს გაჰყვა ხელაპყრობილი,
თვალებს სინათლეც არ მიაკარა,
წადილი, გზნება — ტალღების ჩრდილი,
გულქვა ავდრების წინ გადაყარა.

თითქოს სიკვდილიც რჩებოდა ოხრად,
მარადისობაც დასწყევლა, დაჰგმო.
ღამე ტირილით გამოიხურა
და გათენებას ველარ მიაგნო.

ვერ შეუბრუნეს გზებმა ბუნება,
თუმცა ბავშვივით უჭერდნენ ხელებს,
ნაფეხურს ეთქვა: არ დაბრუნდება!..
ქარი ამაოდ ეძებდა მკვლელებს.

გვარი რა არის, არც კი ახსენა,
არც მიაჭედა ლურსმანი კარებს...
ნაძვები ცხედარს მიასვენებდნენ
და გვირგვინები მიჰქონდათ ქარებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**აკაკი გეწაძე**

ცნობილ მწერალს, აკაკი გეწაძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა, „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ამ შესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

# ორი გორცვი

## მოთხრობა

მგზავრო, თუ შარახევს ეწვევი, უეჭველად გაიგონებ ერთ სიმღერას:

> შარახევი სოფელია, განა დაბა—ქალაქია,
> აქ კი ორი დალაქია, ზალიკო და მალაქია.

ძველია ეს შაირი, რა ხანია შარახევში მღერიან, მაგრამ ერთობ ცოტას ახსოვს, პირველად როდის გაჩნდა.

რაც შეეხება თვითონ შარახევს, ეს დალოცვილი მიწა-წყალი ათას სხვა სოფელს ჰგავს. რაო, ბატონო, რითი ჰგავსო? ყველაფრით, ყველაფრით, ავითაც, კარგითაც. ადამიანები აქაც იბადებიან, იზრდებიან, ბერდებიან და კვდებიან, მართალია, მავანი და მავანი სიბერემდის ვერ აღწევს, მაგრამ, რას ვიზამთ, წუთისოფელს ზნე თუ ბუნება-ხასიათი აქამდე ვერავინ შეუცვალა და ჩვენ ისეთი რა ბაყბაყ დევები გამოვჩნდით, ცა და მიწა ყირამალა დავაყენოთ. შარახევშიც ჩვეულებრივ ტირიან და იცინიან, ზოგჯერ იმაზეც იცინიან, რაც სატირელია და იმაზეც ტირიან, რაც სასაცილოა მხოლოდ.

კიდევ ერთი: შარახევშიც ჩვეულებრივ ეზრდებათ მამაკაცებს წვერ-ულვაში და მათთვის უეჭველად საჭიროა დალაქი. სხვათა შორის, ისევე, როგორც ბევრგან, შარახევში ზოგ დიაცსაც ეზრდება წვერ-ულვაში, ოღონდ ქალებისთვის აქ დალაქი ან დალაქის შემცვლელი ჯერჯერობით არავინ გამოჩნდა. — წვერ-ულვაშიანი დიაცები თვითონ უვლიან თავს ნაირნაირი საპუტავი ხელსაწყოებით და ნელსაცხებლებით.

ამ ჩვეულებრივ სოფელში მოხდა ის ჩვეულებრივი პატარა ამბავი, დღეს რომ უნდა გიამბოთ.

მოგეხსენებათ, ყველა სოფელი, დიდი თუ პატარა, დაყოფილია უბნებად და აქვს ეგრეთ წოდებული ცენტრიც.

შარახევის ცენტრში, სადაც სამანქანო გზა ჩაუდის სოფელს, წამოჭიმული იყო ფართოეზოიანი სკოლა, რომლის პირველი სართული ქვიტკირისა იყო,

კირით თეთრად შეფეთქილი, მეორე კი ლურჯადშეღებილი ხისა, დიდფანჯრებიანი.

სკოლის პირველი სართულის განაპირა ოთახში შეყუჟული იყო სამკითხველო, სადაც იმდენად ჟურნალ-გაზეთებს არავინ კითხულობდა, რამდენადაც შაშის თამაშით ირთობდნენ თავს გოგო-ბიჭები.

სკოლის პირდაპირ, გზის გადაღმა იდგა ასევე ორსართულიანი, ოღონდ მთლიანად ხის შენობა, რომლის პირველი სართულიც ეკავა მაღაზიას, მეორე კი სოფლის საბჭოს აღმასკომს. მაღაზიიდან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით იდგა ბუდრუგანა, რომელშიც ხარაზი კოწია დამჯდარიც კი ძლივს ეტეოდა. სახარაზოს მეზობლად კი იდგა ოთხ შავ ლოდზე შეკოლიკებული, თხელი ფიცრებით ნაგები, ჭერდაბალი, იხვივით დაფეხვილი საპარიკმახერო, რომლის გზისკენ პირმოქცეულ კედელს მთლიანად ეჭირა ვიწრო კარსა და ფართო, სამჩარჩოიან ფანჯარას. სწორედ ამ ფანჯრის მინებს თეთრი საღებავით ეწერა — „საპარიკმახერო". ამ წარწერას თითქმის არავინ აქცევდა ყურადღებას, ყველა მაინც სადალაქოს ეძახდა ან მალაქიას დუქანს. დიახ, ეს გახლდათ მალაქია კავილაძის სადალაქო.

ხელებკოტიტა, ტანდაბალმა და ჩია მალაქიამ ისეთი ნელი სიარული იცოდა, თითქოს ჩიტს დასაჭერად ეპარებაო. ლაპარაკიც ისე ჩუმი უყვარდა, გეგონებათ ხმას იზოგავს მხოლოდ იმისათვის, რომ შეუჩერებლად ილაპარაკოსო. გვალვიანში წყალგალარიბებული წისქვილის ღრიტინი თუ მოგისმენიათ, ე, ისე ელაპარაკებოდა ყველას დალაქი.

მალაქიას, როგორც საერთოდ მისი ხელობის ყველა ადამიანს სჩვევია, ქოსა და მელოტი ხალხი სძულდა, ხოლო ვისაც წვერ-ულვაში მალე ეზრდებოდა, უყვარდა. ვინმე ქოსა ან ქაჩალი რომ დამესიზმრება, იმ თვეს დათარსული ვარ, ან მუშტარი სულ არ მეყოლება, ან ყველა ნისიად მოინდომებს გაპარსვა-გაკრეჭას და მერმე იმ ნისიის გასტუმრებაც დაავიწყდებაო. მალაქიას არც ის ხალხი უყვარდა, წვერს მღვდელივით რომ მოუშვებდა, პირს ხშირად რომ არ იპარსავდა. გულისნადებს არც მალავდა: ჩემთვის მთავარი ის კი არ არის, ვინ გაივლის ჩემს წინ, არამედ — გასაპარს-გასაკრეჭი არის თუ არაო.

ხარაზი თუ ადამიანს ფეხებზე აკვირდებოდა, დალაქი უმალვე პირისახეზე შეავლებდა თვალს და წამისწამ ამჩნევდა, ვის ჰქონდა პირი გასაპარსი და ვის კისერზე წამოზრდილი თმა. თმის ფერზე ლაპარაკიც ზედმეტია, ისიც ჩინებულად იცოდა, შარახევში მავანსა და მავანს რა ბუნების თმა აჩუქა ღმერთმა თუ ბუნებამ —ცოცხივით ხმელი და გაფშეკილი, ლანძილივით რბილი, ზღარბის ეკლებივით ჩხვლეტია, წაბლის ბუდესავით ბუძგა, ლორის ჯაგარივით ღენჯერო, ჯიუტი თუ დამყოლი. იცოდა, მავანს ფაქიზი პირის კანი რომ ჰქონდა, მავანსაც უხეში, ერთს პირის კანი უხეში, თმა კი რბილი, მეორეს — თმა მაგარი, პირის კანი კი რბილი. ყურებსაც ზუსტად აგიწერდათ: მეტყევე იაგორას კურდღელივით დაცქვეტილი ყურები აქვს, მეწისქვილე პორფილეს — კვახის ფოთოლივით ფართოდ გაშლილი, ხოლო დურგალ შერმადინას — მეძებარი ძაღლივით ფამფალაო. შუაღამისას რომ გაგეღვიძებიათ, დაუფიქრებლად გეტყოდათ, ვის ამოსდიოდა ყურებში ბალანი და ვის არა.

სადალაქოდან ასიოდე ნაბიჯის მოშორებით, ლიკლიკა ღელეზე გადალაჯული იყო სამღარიანი სამინდე წისქვილი. აქ ხშირად იყრიდნენ თავს მოხუცები და პენსიონერი ხეიბრები. ბერიკაცები ხამუშხამუშ თავიანთ ყმაწვილკაცობას იგონებდნენ და მერმე ახლად წამოჩიტულ ახალგაზრდა გოგობიჭებს კილავდნენ, სძრახავდნენ და აუგად იხსენებდნენ: გადაგვარების გზაზე დგანანო, ალარაფრის არ ერიდებათო, ცხოვრება მარტო ცეკვა-თამაში და სიმღერა ჰგონიათო, იქვე თავიანთი სიყრმე-სიჭაბუკის სიწმინდეს აქებდნენ და ადიდებდნენ.

სკოლას ბავშვთა ჟივილ-ხივილი ახმაურებდა. სახარაზოსთან თითქმის არავინ ჩერდებოდა, საბჭოში თუ არ უხმობდნენ, მის ხვეულ კიბეზე არავინ ადიოდა, მაღაზიას ხალხი მხოლოდ სავაჭროდ აკითხავდა, აი, მალაქიას სადალაქოს კი ხალხი არასდროს აკლდა. სოფლის მთავარი საკრებულო იყო ეს ადგილი. აქ იყრიდა თავს არა მარტო ის, ვისაც პირი უნდა გაეპარსა და თმა გაეკრიჭა, საერთოდ სოფლის ყველა ლაზღანდარა, ზარმაცი, უსაქმური ან მოცლილი ხალხი. აქვე ჩერდებოდა სხვა სოფლიდან შარახევში ჩამოსული მგზავრიც, დიდი გზისაკენ მიმავალ მანქანას რომ ელოდებოდა. წინათ, როცა ავტომანქანა იშვიათად დადიოდა, მალაქიას სადალაქო სასტუმროს მოვალეობასაც ასრულებდა ხოლმე, მგზავრები აქ ათევდნენ ღამეს უფასოდ. ზაფხულში აქ შეყრილი ხალხი სადალაქოს წინ სამ ბრტყელ ქვაზე სკამად დადებულ გაუსალაშინებელ სქელ ფიცარზე სხდებოდა, დარბაისლურად მასლაათობდა ან ვილაცას ამასხრებდა, ზამთარში კი შიგნით შეიყუჟებოდა და იყო ერთი რუზრუზი.

მალაქია საპნის ასაქაფავი წყლის გასაცხელებლად ანთებდა ხოლმე თუნუქის ძველ ღუმელს. როცა ღუმელი ენთო, მიუხედავად კედლების ფარღალალობისა, ოთახში თბილოდა და მაშინ აქ იმდენი ხალხი გროვდებოდა, ადამიანები ერთმანეთს პირიდან აცლიდნენ ჰაერს, გაპარსულები აქვე რჩებოდნენ, გასაპარსავები ერთმანეთს რიგს მოწიწებით უთმობდნენ, ისხდნენ გაჭირვებით ფიცრის სკამზე და ჰყვებოდნენ ცისას და ბრისას. ხშირად სიცილი აზანზარებდა ფართო ფანჯარასაც და დაბალ, გაჭვარტლულ ჭერსაც. ყველაზე მეტს კი, რა თქმა უნდა, დალაქი ლაპარაკობდა, ათასჯერ მოყოლილ ზოგ ამბავს მეათასერთედ ჰყვებოდა. ვინმე უგდებდა ყურს თუ არ უგდებდა, მაინც ლაპარაკობდა. სარკეში ელაპარაკებოდა ყველას, ვისაც პარსავდა და ვინც ოთახში იყო.

ერთხანობას სადალაქოში შავი თეფშივით რადიოც ეკიდა. აქ ხალხს ესეც იზიდავდა. მაშინ ზოგ-ზოგი ასე ლაპარაკობდა: მალაქიამ უნდა დაიკვეხნოს, ბედნიერ ვარსკვლავზე დავიბადე, თან საქმეს აკეთებს, თან ენაგალესილი ოქროპირულ ლაპარაკს სწავლობს, თანაც მთელ დღეს რადიოს უსმენს და ქვეყნიერების ამბებს შინიდან გაუსვლელად იგებსო.

ის ახალი რადიო მალე მოიშალა, სოფელში გამკეთებელი ველარ იშოვეს და დადუმებულ შავ თეფშზე ობობამ ბუზების დასაჭერი აბლაბუდა გადააქსოვა. ენაკვიმატმა ხალხმა ქილიკს ახლა გეზი უცვალა:

— დალაქს რადიო რა ჭირად უნდა, თვითონაა რადიო. ყველა მუშტარს ყურალესილი უსმენს, ქვეყნის ამბებს საკენკივით კრეფს და მერმე სხვებს უყვება და უყვებაო.

მალაქიას ორთვალიანი უაივნო სახლი ზედ მიწაზე ედგა სადალაქოს უკან; შინ კი დალაქს სოხანეზე ფეხშიშველად მოტანტალე, ნახევრად შიშველტიტველი და თითქმის მუდამ მშიერი წვრილ-შვილი ელოდა. ჩია და ბუნჩულა მალაქიას, კაფანდარა ცოლი ნატალია აკვანს არ უცდენდა, თითქმის ყოველ წელიწადს უჩენდა შვილს. მალაქიას მეტი შვილი აღარ უნდოდა, ყველას შესჩიოდა: რა ვილონო აღარ ვიცი, კარგა ხანია ცოლის მეშინია, ახლოსაც ვერ ვეკარები, ჩემი შარვალი რომ იმის კაბას მივაკიდო კედელზე, მაინც ორსულდებაო. მაგრამ ნატალია მორწმუნე ქალი გახლდათ, მუცლის მოშლა ცოდვად მიაჩნდა და ქმარს ძველი ანდაზით ანუგეშებდა: ნუ გეშინია, კაცო, ბევრი შვილისა პატრონსა ღმერთი ულეწავს კალოსაო. სხვა თუ არაფერი, აგერ, კარის მეზობლად უშვილო დეიდა გყავს, ორ-სამ ბღარს ის გაგვიზრდისო. ღმერთი ვისაც გააჩენს, კიდეც დაარჩენსო. როცა ნატალია ამას ამბობდა, ალბათ, ღმერთად თავის თავსაც გულისხმობდა, თავის ქმარსაც და იმ ერთ ძროხასაც. მალაქიას მრავალშვი-

ლიან ოჯახს რომ ჰყავდა, აგრეთვე იმ ერთ ბჟოლას, ერთ კახაბალს, ერთ თაფლა მსხალს და ერთ ლოყაწითელა ვაშლს, პატარა ეზოში რომ ედგათ.

დიახ, მალაქიას კარის მეზობლად, ოღონდ ზურგშექცევით ცხოვრობდა მისი ლვიძლი დეიდა, ორჯერ დაქვრივებული უშვილძირო კესარია, არცთუ ისე ხორცმდიდარი, მაგრამ თვალტანადობით მშვენიერი, სანდომიანი ქალი, რომელმაც ორი ჯანღონიანი ვაჟკაცის ხელში გამოიარა და მაინც მკერდი არ დაეჩუტა, წინანდებურად ყალყზე შემდგარი დარჩა. აი, ამ ქალის იმედითაც აჩენდა ნატალია შვილებს.

ჰოდა, ცხოვრობდა შარახევში ჩვეულებრივად დალაქი მალაქია, პარსავდა და კრეჭდა ხალხს, ზოგი ემდუროდა, ერთობ მძიმე ხელი აქვს, წესიერად სამართებლისთვის პირის აწყობაც არ ემარჯვებაო, მაგრამ სხვა დალაქი არ ჰყავდა სოფელს და მეტი რა ჩარა იყო, ეგუებოდნენ მალაქიას, ასე ვთქვათ, უძალლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენ.

ამ გაჭირვების ჟამს შარახევს მოევლინა ვინმე ზალიკო ხანჯალაძე. ეს კაცი მდგმურად შეიკედლა მალაქიას დეიდამ კესარიამ. მხარბეჭიან, ტანმაღალ, ყვრიალათვალებიან, ქვედა ტუჩ წინწამოგდებულ, ცხვირკეხიან ზალიკოს არც შარახევში და არც მეზობელ სოფლებში არავინ იცნობდა, მაგრამ ქვეყნად გაუგებარი რა არის, ცნობისმოყვარე ხალხმა გაიკითხ-გამოიკითხა და ავად თუ კარგად შეიტყო, რომ ზალიკო ნაციხარი კაცი გახლდათ, ოღონდ რაზე დააპატიმრეს, ეს ზუსტად ვერავინ დაადგინა. ჩურჩულებდნენ: ცოლზე ეჭვიანობდა, ამ ნიადაგზე კაცი შემოაკვდა და ამისთვის ჩააცვეს პატიმრის უქამრო ჯვალოს ხალათი, იქიდან გამოსულს ცოლი გაქცეული დახვდა, ხუთი წლის ბიჭუნას, კიაზოს, დედინაცვალი დაუსვა, იმ ქალმა კი გერი უმალვე აითვალწუნა, ლეიბზე ღამით განგებ უსხამდა წყალს, აქაოდა, შარდის შეუკავებლობა სჭირსო, და ქმარს პირობა წაუყენა: ამის პატრონობის თავი მე არა მაქვს, ან ბავშვი მოიშორე, ან მე გაგექცევიო. ზალიკომ შვილი გასწირა, შინიდან ლეკვივით გააგდო. ორიოდე თვეს დედმამისგან მოძულებულ ბიჭუნას სოფელი უვლიდა, მერმე კი ვიღაც გადამთიელმა იშვილაო. ის გადამთიელი უშვილძირო სულაც არ იყო, თავისიც ჰყავდა ოთხი, მაგრამ გულმოწყალე კაცმა უპატრონო ბავშვი შეიცოდა და მეხუთე შვილად აიყვანაო. თითქოს გერის ცოდვამ უწია, ზალიკომ ის მეორე ცოლი მალე დამარხა, ქალის ნათესავებმა ხმა დაუყარეს სიძეს: ეგ ისეთი გულშავი კაცია, გამორიცხული არ არის, რომ ცოლი რაღაც ფარული ხრიკებით თვითონ გამოასალმა სიცოცხლეს, რომ სხვა ეთხოვაო. ეს ცილისწამება ვეღარ აიტანა ზალიკომ და იქიდან გამოქცეული შარახევს შემოეხიზნაო.

მოგეხსენებათ, სიმართლესა და ჭორს შუა ოთხი თითის დადება მანძილია, მეტი კი არა, პირიდან ყურამდეო. რა იყო ამ ამბებში ჭორი და რა მართალი ღმერთმა იცოდა.

ასე იყო თუ ისე, შორეთიდან მოსული ზალიკო მალაქიას დეიდის მდგმური გახდა. პირველად დალაქს დიახაც ესიამოვნა ეს ამბავი: ქვრივი სამიოდე გროშს აიღებს და ესეც ღვთის წყალობაა, ზოგჯერ ჩემს ბარტყებს წვრილ-წვრილ საკენკს მაინც გადმოუყრის, პატარ-პატარა საჩუქრებსაც უყიდისო, მაგრამ როცა გაიგო, ზალიკო ხელობით დალაქი ყოფილა და შარახევში დუქნის გახსნას აპირებსო, ეს უკვე შხამიანი ლახვარივით დაერჭო გულზე და ბუნჩულა კაცმა, აქამდე სულ ხმადაბლა რომ ლაპარაკობდა, წამოიყვირა: ერთ პატარა სოფელს ორი დალაქი რა ჭირად უნდა, ერთიც ჰყოფნისო.

— თუ ერთი ჰყოფნის, ერთი დარჩეს, მაშინ შენ დაანებე დალაქობას თავიო! — მიუგო დინჯად ზალიკომ.

მალაქია აფეთქდა:

— ეს სადაური სამართალია, გარეულმა შინაური გააგდოს?! დამიხედეთ ამ უნამუსოს, ეს საიდანღაც მოთრეუ-

ლი თავხედი კაცი რას მიბედავს! აქ საჩხუბრად მოხვედი?

— მე არაფერსაც არ გიბედავ და არც გეჩხუბები, მე ჩემთვის ვიმუშავებ, შენ — შენთვის.

ორიოდე კვირაში ზალიკომ კესარიას სახლის გვერდით, მალაქიას დუქნის მეზობლად გახსნა ახალი ფიცრული სადალაქო, იმაზე საკმაოდ ჰერმაღალი, ფართო და ნათელიც, მალაქიას რომ ედგა. თუ მალაქიას სადალაქოს კართან ფეხის დასაბიჯებლად უბრალო შავი ქვა ეგდო, ზალიკომ სამსაფეხურიანი ხის კიბე გააკეთა.

თუ მალაქია ძველისძველ, მოწკლარეულ ტაბურეტზე აჯენდა კლიენტს, ზალიკომ ტყავგადაკრული სკამი დაუდგა, ასაწევ-დასაწევი. მომლოდინე მუშტრისათვის საიდანღაც რბილი სავარძელიც გააჩინა. სარკეც უკეთესი დაიკიდა, მაღალი და ჩარჩომოვარაყებული, ერთიანად მბზინავი. მეორე სარკე იმ სარკის მოპირდაპირე კედელზეც ჩამოჰკიდა, აქაოდა, კლიენტმა თავისი კისერიც დაინახოს ხოლმეო. ეს ორი სარკე ერთმანეთში სარკეთა უსასრულო მწკრივს აჩენდა, რაც უფრო შორს მიდიოდა სიღრმეში, თანდათან პატარავდებოდა. ამის წყალობით, თითქოს სადალაქოს კედლებიც უსასრულოდ ფართოვდებოდა.

ზალიკომ სადალაქოს ოთხივე შიდა კედელი ჟურნალებიდან ამოჭრილი ლამაზ-ლამაზი ქალებით ააჭრელა, ზოგი იმ სურათების ეშხითაც შედიოდა ხშირად ზალიკოსთან პირის გასაპარსად. კლიენტი იმ სურათებს თვალს სარკეშიც არ აშორებდა, როცა ლოყებზე საპნის ქაფწასმული იჯდა ასაწევ-დასაწევ რბილ და კოხტა სკამზე. მალაქიას სადალაქოს შიდა კედლებს კი გაყვითლებული გაზეთები და უფერული შპალერი ეკრა, ისე გაზინთული, ფაქიზ ადამიანს გული აერეოდა.

ზალიკო სოფელში ახლადგამოყვანილი ელექტრონით ათბობდა წყალს, მალაქია კი წინანდებურად — ახრჩოლებულ ნავთქურაზე ან ზამთრობით თუნუქის გამჭვარტლულ ღუმელზე, რომელიც წამდაუწუმ მწარე კვამლს აბოლებდა.

ბიბლიოთეკა

მალაქიას სადალაქოში გაცვეთილი შაში ჰქონდა, ზალიკომ შაშთან ერთად ნარდიც გაიჩინა და ამითაც მეტი მუშტარი მიიზიდა.

მალაქიას ჩუმი, ღრუჩუნა ლაპარაკი ზალიკოს როხროხა ხმამ გადაფარა. ჰოდა, ღრუჩუნობდა გაბოღმებული მალაქია და უდარდელად როხროხებდა ზალიკო.

მალაქიამ პირდაპირ რომ ვერაფერი გაუბედა მეტოქეს, ჩუმჩუმად დაუწყო კბენა. ვისაც კი სასაუბროდ მოიხელთებდა, საიდუმლოს განდობასავით ჩასჩურჩულებდა ყურში:

— გაიგე, კაცო, ეგ ოხერი ზალიკო კაცნაკლავი ყოფილა. ხელსისხლიანის ნდობა შეიძლება? პირის გასაპარსად რომ უჯდებით არხეინად, ვაითუ უცებ მოუფრიკინდეს თავში და ყოვლად უდანაშაულო ადამიანს ყელი გამოღადროს. მერმე უჩივლეთ მამაზეციერთან. მაგ სულძაღლმა ციხეში გდებისას ისწავლა ერთდროულად დალაქობა, თვალთმაქცობა და ჯამბაზობა. ის მატყუარა, კარგი სარკე იმიტომ დაიდგა, იმ სარკეში მაგის ცუდად გაპარსულ-გალიჯნილი კაციც ლამაზად გამოჩნდეს, აბა!

ზოგი ცალყბად უსმენდა, დამცინავად, ზოგიც სულ აღარ.

ერთ დღესაც დეიდა ცალკე გაიხმო და სთხოვა შინაურულად: ოღონდ ეგ შენი მდგმური მოიშორე და რასაც ეგ ქირას გიხდის, იმაზე მეტს მე მოგცემო. მალაქიას ეგონა, დეიდა მითანაგრძნობსო, კესარიამ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ჩემო კარგო დისწულო, შენი ძალიან დიდი ხათრი მაქვს, მარა, ეგ სათხოვარი ერთხელ გითქვამს და მეორედ აღარ წამოგცდესო. მარტოხელას ძლივს შინ ხმის გამცემი ადამიანი გამიჩნდა და ამას როგორ:ღა მოვიშორებ, თუ თვითონ არ ისურვა წასვლა. ქირა კიდეც რომ არ გადამიხადოს, უსიკვდილოდ მაინც ვერ შეველევიო.

ამ პასუხით განაწყენებულმა მალაქიამ ლვიძლი დეიდაც მოიძულა სამუდამოდ. მისთვის ჩვეულებრივ სალამსაც აღარ იმეტებდა, დაემდურა.

ზალიკოს რაღაც საქმეზე ერთი თვით ქალაქში მოუწია დარჩენა და კესარიას ყოველ კვირაში წერილს უგზავნიდა — ჩემო ძვირფასო და ჩემო საყვარელოო.

შარახევში დაბრუნებულმა ზალიკომ კესარია რომ დაინახა, გახევდა, მერე უცნაურად გააჟრჟოლა, იდუმალმა სითბომ დაუარა მთელ ტანში, მაგრამ... ახლა ნეტარი სითბოს მოგონებამ კვლავ აუჩქროლ-აუმღვრია სისხლი და „ძვირფასოს" ისე მაგრად გადაეხვია, თითქოს სწადია, თვითონ მის სხეულში შეძვრეს, მისი სხეული კი თავის სხეულში შეინივთოსო. კარგა ხანს იყვნენ ასე ჩახვეულები და ისე გაბრუვდნენ, შინ შესვლისთანავე ლოგინში ცოლ-ქმრად შეგორდნენ.

ამიერიდან ჩვეულებრივ გრძლად სათქმელი „კესარია" ალერსიანად სათქმელ „კესოდ" იქცა ზალიკოსთვის, ხოლო კესოსთვის ფურფუტელა ზალიკო — დარბაისლურ ზაალად. მტრედებივით მოღუღუნენი ერთმანეთს ისე ეფერებოდნენ, თითქოს აქამდე არცერთს ცოლქმრული სიყვარულისა არაფერი გაეგებოდა.

ამ უჩვეულოდ საჩოთირო ამბავმა სულ შეშალა ჭკუაზე მალაქია და გადარეულმა ზალიკოს მოკვლაც კი დააპირა, თავს ქათამივით წავაგდებინებო. მერმე დაუფიქრდა და გონს მოსულმა რისხვის კეხი შეაბრუნა: სხვას რას ვერჩი, როცა ლვიძლმა დეიდამ თავიც მომბალთა საქვეყნოდ და ჩემი შემჭმელი ურჩხულიც კარის მეზობლად დამისახლაო, თუ ვინმე მყავს მოსაკლავი, დეიდაჩემია, მარა, ჩემიანის სისხლში ხელი რაფრად გავისვაროო.

კაფანდარა ნატალია ცხრა შვილის პატრონობას ძლივს აუდიოდა და ქმრის მოსავლელად თითქმის ველარ იცლიდა, კესარიას კაკლად ერთი კაცი ებარა. მალაქიას ისე ჭუჭყიანი ხალათი ეცვა, ოდესმე თუ თეთრი იყო, აღარც ემჩნეოდა. ზალიკოს კი ცინცხალი თოვლივით ქათქათა გრძელი ხალათი თეთრი სარკესავით უბზინავდა. ამ ხალათის შიგნით ზალიკოს გვერდზე ჩახსნილი შავი შალის ბლუზა-ხალათი ეცვა და ზედ ორი დიდი გულისჯიბე ეკერა, თეთრად მოქარგულ-მოარშიებული. ამ ბლუზა-ხალათზე შემორტყმული ვიწრო თუ ფართო ქამარი არავის უნახავს, არც შარვალში იტანებდა, მუდამ ჩაშვებულად უფარფალებდა. თეთრწინდებიანი ფეხები მსუბუქ წუღებში ან ღია ფოსტლებში ჰქონდა წაყრილი. ეცვა წინდებში ჩატანებული შავი გალიფე. ქამარს არ ხმარობდა.

მალაქია, რომელიც ზალიკოსთან შედარებით მათხოვარს უფრო ჰგავდა, ვიდრე დალაქს, მეტოქის უქამროდ სიარულს თავისებურად ხსნიდა: ეგ მაწანწალა მთელი თავისი დღე და მოსწრება ციხეებში ეგდო, უქამროდ ყოფნას პატიმრობისას დაეჩვია, იქ შესძულდა ყოველგვარი ქამარი და ნაციხარი ვიგინდარა ციხის ჩვეულებებს ახლაც ველარ იშლისო.

მალაქიას ჩამობრენძილობა ბევრს ხვდებოდა თვალში. ზოგი კეთილისმყოფელი ნატალიას განგებ საყვედურიან სიტყვასაც გადაუკრავდა ხოლმე: შეხედე, კესარია ქმარს როგორ უვლის, შენ კი რა ღმერთი გაგიწყრაო. ნატალიას პასუხი მზად ჰქონდა: მაგ ბებერ ფაშატს, სხვა რა საქმე აწუხებს, თავის ერთ ულაყს უვლის, მე კი ქმრის გარდა ცხრა ბღარი მაბია კალთაზეო. ამ სიმართლეს ვერავინ უარყოფდა.

ზალიკოს ორი სამართებელი ჰქონდა — შავტარიანი და თეთრტარიანი. თეთრტარიანს მეტი ფხა მოსდევდა და იმ სამართებლით მხოლოდ იმ ხალხს პარსავდა, თავის მუდმივ მუშტრად რომ დაიგულა და შეიჩვია.

ზალიკო ხანჯალაძე სამართებელს პირის ასაწყობად ისე მარჯვედ და მოხდენილად აუსვ-ჩამოუსვამდა სარკის გვერდით დაკიდებულ ფართო მეშიან გლუვ ღვედს, კაცი იფიქრებდა, თავის ხელსაწყო-იარაღს ჩიტივით გალობას

ასწავლისო. მალაქია კი ტარმოყანყალებულ სამართებელს უშნოდ ატკაცუნებდა. ორი სადალაქოდან ერთობ სხვადასხვა ხმა გამოდიოდა.

ზალიკო კლიენტის სუფთად გაპარსულ ლოყებზე ნელსაცხებლიან ხელებს რომ აატყაპუნებდა, საწისქვილო ღელემდე ისმოდა, წყნარ ამინდში ზოგჯერ მის მიღმაც, მაგრამ ეს „გასილაქება" კაცს როდი სწყინდა, პირიქით, სიამოვნებდა და მადლობასაც ათქმევინებდა ხოლმე. მალაქიას კი პირისახის ასე საამოდ დაზელა არც ემარჯვებოდა და არც აგონდებოდა, ზედ იაფფასიან სუნამოს წაუსვამდა ხოლმე, ეგ იყო და ეგ. პირმოტეხილ ბოთლს საცობს მოაძრობდა, ზედ უხეში ტილოს ნაჭერს დაადებდა, ერთს შეანჯღრევდა, ტილო ოდნავ რომ დასველებულიყო და იმ უხეშ ტილოს უსვამდა ახლად გაპარსულ პირისახეს. ზალიკო კი კლიენტს ლამაზი პულვერიზატორით ასხურებდა ძვირფას, ჰაერის დამატკბობელ სუნამოს.

ერთხელ მალაქიამ წაილრუჩუნა: აფერისტია, ხალხს ატყუებს, ძვირფასი ოდეკალონის ბოთლიკაში იაფფასიანი რაღაც ჯანდაბა სითხე უსხიაო. ზალიკომ ეს წალრუჩუნებაც გაიგონა და ყველას გასაგონად გადაიხარხარა: საწყალი მალაქია, მაგ უბედურის ერთს რაიმე ოდეკალონი ვინ მიაშავა. ჭუჭყიან ბოთლში ძმარშერეული ჭაობის წყალი უსხიაო.

ზალიკოს წაბლისფერი ძვლის ორი სავარცხელი ჰქონდა, წვრილკბილება და მსხვილკბილება. მალაქიას ერთი სავარცხელი ებადა და ისიც ალუმინის, თეთრი. ქვეყანამ იცის, რკინის სავარცხელი თავისთავადაც უხეშია, თავის კანს ფხაჭნის, ჩხვლეტს და აღიზიანებს. ეს კიდევ უფრო უხეშობდა მალაქიას მოუქნელ, კოტიტა ხელში. ზალიკო ძვლის ისედაც რბილკბილა სავარცხელს ისე ფაქიზად უსვამდა თმას, თითქოს კლიენტის თავზე პეპელა დაფარფატებსო.

ზალიკოს სამართებელი პირისკანზე ისე მისრიალებდა, ვერც იგებდა კაცი. მისრიალებდა ყვრიმალიდან ნიკაპისაკენ, მიუყვებოდა ყბას და თან ნება-ნება მიჰქონდა საპნის თეთრ ქაფში არეული ბეწვი, ხან ჭაღარა, ხან შავი, ხან ქერა, ხანაც წითური. მალაქიას სამართებელი წვერს წიწკნიდა ხოლმე და აცრემლებდა ადამიანს. ერთი მარკის თმის საკრეჭი მანქანაც ამ ორი დალაქის ხელში სხვადასხვა ხმას გამოსცემდა. მათი ერთნაირი მაკრატლებიც სხვადასხვანაირად კრიჭინებდნენ.

ზალიკო კლიენტს მუდამ გაქათქათებულ ზეწარში ხვევდა. მალაქია თვეში ერთხელ ძლივს ცვლიდა გახუნებულგაცრეცილ, აქა-იქ დაცხრილულ ზეწარს. ამიტომ ზოგი სულაც ახლოს არ იკარებდა მის მუდამ გაზიგნილ, ჭუჭყიან და თებომოკიდებულ რაღაცას, ვითომ ზეწარი რომ ერქვა.

ზალიკო ზეწარს ისე მოხდენილად და ფაქიზად მოახვევდა კაცს, არც მკერდზე და არც ზურგზე ნაკრეჭი თმის ერთი პატარა ღერიც არ ჩავარდნოდა, მალაქია ჰაიჰარად, დაუდევრად ჩაუჩურთავდა საყელოში. ზალიკო გაკრეჭილ მუშტარს ფაქიზად შემოაცლიდა ზეწარს, გვერდზე გავიდოდა, ფრთხილად დაბერტყავდა, მერმე კაცს ხალათისა თუ პიჯაკის საყელოსა და ზურგზე ჯაგრისს მსუბუქად გადაუსვამდა, თუ სადმე დარჩენილ ბეწვს შენიშნავდა, სულის შებერვით მოაშორებდა. მალაქია ჩაცვენილ თმას ხელით გადაუფერთხავდა კაცს ზურგიდან და ხშირად მოშორების მაგივრად კისერში აყრიდა.

ზალიკო ოდნავ დასველებულ ბამბას სავარცხლის კბილებში ჩადებდა ფთილასავით და გაკრეჭილ თავს რამდენჯერმე ნება-ნება გადაუსვამდა, ისე დავარცხნიდა, ერთ მოჭრილ ბეწვს არ დაუტოვებდა, ყველას აკრეფინებდა ნოტიო ბამბას, მალაქიას კი ამგვარი რამ არც აგონდებოდა. მის კლიენტებს თავიდან თმის წვრილ-წვრილი ღერები წამდაუწუმ კისერში უცვიოდათ, კისრიდან კი — ზურგის ღარში. სადალაქოდან გამოსულნი იშმუშნებოდნენ და

იფხანდნენ ზურგს, ზოგჯერ კუდის რიკამდე. ზოგი კედელსაც ეფხანებოდა.

ზალიკო კლიენტის მომსახურებას რომ მორჩებოდა, გემრიელად ეტყოდა, გაამოსო. მუშტარიც უმალვე დააძვრენდა ჯიბიდან ტკიცინა ფულს და სარკისწინა ბაქანზე მოწიწებით დადებდა, თან ლოცვით ჩაილაპარაკებდა: ღმერთმა სიამოვნება და ხეირი ნუ მოგიშალოსო. ორივე კმაყოფილი რჩებოდა, გამპარსავიც და გაპარსულიც. მალაქია კი მუშტარს ბოლოს ასე ეუბნებოდა: ერთხელაც ჩაიხედე, კაცო, სარკეში, ნახე, რანაირად გაგალამაზეო. მუშტარი კი მიუგებდა ხოლმე: გმადლობ, ნისიად ჩამიწერეო.

ზალიკო ზამთარ-ზაფხულ დილაადრიან დგებოდა და რა ყინვა-ყიამეთიც არ უნდა მდგარიყო, წელზევით გაშიშვლებული მხარზე ხაოიან პირსახოცს გადაიკიდებდა, საწისქვილო ღელისკენ გაიქცეოდა და პირს ფრთქვინვა-ფრთქვინვით იბანდა. მერმე იმ ხაოიანი პირსახოცით იზელდა გულმკერდსა და ზურგს მანამდე, სანამ ვარდივით არ გაუწითლდებოდა.

მავანი და მავანი მალაქიას განგებ დაანახვებდა ხოლმე ზალიკოს ტანის ზელას: შეხედე, კაცო, რას სჩადის, მაგას ეშმაკიც ვერ მოერევა და შენ გინდა რამეში აჯობოო?

შარახევის მთიდან მომავალმა იასონა გრძელიძემ მალაქიას დუქანში შეუხვია, აბგა კუთხეში მიაგდო და დაკეცილი ცელიც იქვე მიაყუდა:

— გაგპარსო და გაგკრიჭო, თუ მარტო გაგპარსო? — ჰკითხა დალაქმა.

— ჯერ არა ვარ გასაკრეჭი, მეჩქარება კიდეც. მთაში შემომითვალეს, რაღაც სასწრაფო საქმეზე ცოლისძმა გეწვია, თიბვა მიატოვე და დაოთხდიო. რაც შეიძლება, მალე ჩამომთიბე ეს წვერი. — მთიბავი ტაბურეტზე დაჯდა.

— მართლაც ჩამოსათიბი გაგზრდია, შე ბალანძაღლო. ასე რატომ იზრდი?

— მთას არ უყვარს პირგაპარსული ხალხი. მოუჩქარე, ოღონდ ფრთხილად, დაკვირვებით. არ დაგავიწყდეს. ხალი რომ მაქვს, არ მომჭრა და არ გამილიზიანო, თვარა!..

მალაქიამ ალუმინის პატარა თასში თბილი წყალი ჩაასხა და დინჯად დაიწყო საპნის აქაფვა. მერმე ის ქაფი ფუნჯით კარგა ხანს უსვა იასონას პირისახეს.

— მეყოფა ამდენი ქაფვა, მომპარსე ბარემ, თვარა, გამექცევა ცოლისძმა.

— პირის პარსვას აჩქარება არ უყვარს, ჩემო იასონ. ეს ბალახის თიბვა კი არ არის.

— შენ, მგონი, თიბვა დალაქობაზე ადვილი გგონია.

— კი. ადვილიც მგონია და... აბა, სად თიბვა და სად დალაქობა! ყველაფერს რომ თავი დაანებო, დალაქობა ხელობაა და სახელის საქმეცაა, თიბვა კი რა არის? მხოლოდ ცელის ქნევა.

— ეჰ, ყველას რო მარტო თავისი საქმე ჰგონია საქმე. შე კაცო, მე უშველებელ მთას ვპარსავ, შენ კი კვახისხელა თავს. შენი ნაპარსი იყრება, ალარავის არგია, ჩემს ნაპარსს კი პირუტყვი შეექცევა გემრიელად. შენ სისხლს ადენ ადამიანს, ჩემი ნაპარსი კი ჯერ რძედ მოჩხრიალებს, მერე ყველად იქცევა.

— შენ თუ რძეს ასმევ და ყველს აჭმევ ხალხს, მე ვალამაზებ, ბიძია, აბა!

— ვაი! — წამოიძახა ამ დროს იასონამ, — ეს რა მიქენი, შე ლაჩაკვა, ეს რა მიქენი? ხომ გაგაფრთხილე? უხ, მე შენი!...

— უჰ, ხალის მეჭეჭი შეგაჭერი?! ეს არაფერი! უცებ ქაფში ველარ დავინახე და... ერთი ხალი შემომებალთა, თავი ხომ არ მომიჭრია, შე კაცო! ერთი პატარა ხალისთვის რამდენს ყვირი?

— ვყვირი კი არა, შენივე სამართებლით ყელი უნდა გამოგჭრას კაცმა, შენც შეგარცხვინე და შენი დალაქობაც! —

წამოხტა ცალლოყაგაუპარსავი კაცი და უმალვე ცელი აიტაცა.

მალაქიას შეეშინდა, ცელით ყელის გამოჭრას მიპირებსო და ერთიანად აკანკალებულმა უკანა კარით შინისკენ გაქცევა დააპირა.

გაგულისებულ იასონას კი მალაქიასკენ აღარც გამოუხედავს, შურდულის კენჭივით გავარდა გარეთ და იქვე, ზალიკოს სადალაქოს მიაშურა.

ზალიკომ მთიბავს კარგა ხანს უსვა გაჭრილ მეჭეჭზე თეთრი შაბი და ლოყაზე ორტოტად ჩამოდენილი სისხლი ძლივს შეუჩერა, მერე ისე ფაქიზად და რბილად გაპარსა, იასონას სამართებლის შეხება არც გაუგია, თითქოს მხოლოდ ნიავი ეხებოდა, ზალიკოს სუნთქვის ნიავი.

იასონამ ფული რომ დაუდო ზალიკოს სარკის ბაკანზე, შეიცხადა დალაქმა:

— როგორ გეკადრება, ჩემო ძამა! მე მხოლოდ სხვისი გაფუჭებული საქმე გამოვასწორე, ამიზა გასამრჯელო რა საკადრისია!

ზალიკო ფულის ხარბი კაცი არ იყო, მით უმეტეს ახლა ამ კაცს ფულს გამოართმევდა!? დიახაც ხვდებოდა. იასონამ, პირიქით, აქეთ რომ დასდო დიდი პატივი, მალაქიას შუა პარსვისას რომ წამოუხტა და მისკენ გამოეშურა. ამით ხომ უხილავი დიდი მახვილი შიგ გულში ჩასცა მალაქიას, შეუგინებლად გათათხა, გაათახსირა და, ასე ვთქვათ, სამართებელზეც დაუფურთხა.

მესამე დღეს მალაქიას გაპარსულმა დურგალმა შერმადინამ კარგა ხანს ათვალიერა თავისი ულვაში სარკეში და დაბღვერილი მიუბრუნდა დალაქს:

— სწორი არ არის ულვაში, მარჯვენა გრძელი და წვრილია, მარცხენა სქელი და მოკლე.

— ყოველნაირად გასწორებული, ჩემო კარგო, საფლავში წევს! — ამრეზილად მიუგო ხელობადაწუნებულმა დალაქმა.

— შე მკვდარძაღლო, ულვაში და მკვდარი ერთია?! — გაცხარდა დურგალი. — მოიტა ეგ სამართებელი და მაკრატელი, თვითონ შევისწორებ. მოიტა-მეთქი!

— დაწყნარდი, რა მოგივიდა, შე კაი კაცო? აქ ყველამ თუ თავისით იპარსა პირი ჩემი სამართებლით, მე ვიღასი ტიკი-ტომარა ვგდივარ! მომითმინე, ამ წუთში შეგისწორებ!

— არ მინდა შენი შესწორებული, უერესად შემღიჯნი! არ მაძლევ, ხომ, კარგად იყავი! ვინც დღეიდან შენთან კიდევ ფეხი შემოდგას!.. — წამოხტა ტაბურეტიდან შერმადინა.

— დურგალმაც ზალიკოს შეასწორებია ულვაში.

მერმე მალაქიას დუქნიდან კაცი ვერ გამოდიოდა, რომ არ დაეცინათ:

— ეს რა მოგსვლია, ადამიანო?! ასე უშნოდ ვინ გაგპარს-გაგკრიჭა? გალინღლულ ბატსა ჰგავხარ.

ახლა ყველა მალაქიაზე ილესავდა ენას.

ერთი ამბობდა: ეგ რა დალაქია, თმას და სიცოცხლეს ერთად გიმოკლებსო. მეორე: სანამ მალაქია გაგპარსავს, დაბერდებიო. დალაქებს საერთოდ ბევრი ლაპარაკი სჩვევიათ, მალაქიას კი ათი დალაქის ენა ერთად აბიაო. დილის წახემსებისას რომ დაუჯდება ვინმე, სანამ ვახშმობა არ მოატანს, პარსავს. ჰოდა, კაცი სადალაქოში სადილ-ვახშამსაც ხომ არ წაიმძღვარებსო. ზალიკოს ლანძღვა-გინებით გართულს ხშირად ავიწყდება სამართებლის დასმა, არადა, სულ ტრაბახობს, მე დინჯად ვირჯები და იმიტომაც ვპარსავ კარგად, ზალიკოსავით კი არ ვჩქარობ და არ ვახალტურებო. თან როცა გპარსავს და გელაპარაკება, წამდაუწუმ მუცელი უჭუჭყუნ-უბუყბუყებსო. მესამე: მაგ უბადრუკ მალაქიას სამართებელზე მეტად ენა აქვს გალესილი, მისი ბლაგვი სამართებლით წვერის გაპარსვას და კბილებდაცვეთილი საკრეჭი მანქანით თმის გალიჯნას, ღმერთმანი, კატორღაში წასვლა მირჩევნია, ამაზე დიდი სასჯელი ქვეყანაზე არ არსებობსო.

მალე სოფელში ლექსიც გაჩნდა:

მალაქია, მალაქია, უხეირო დალაქია.
მალაქია, მალაქია, შენ დალაქი რადა გქვია.
შენი ცოლი ნატალია უკეთესი დალაქია.

ბავშვებმაც კი ენაზე გაიდეს მალაქია და ერთი ძველი შაირი ასე გადააკეთეს:

მალაქია დალაქო, დიდი დუმა დაგაქო,
ცოტა მაინც მოგვიჭერი თოფის საფერავათო.

ზოგი განგებაც აივლ-ჩაივლიდა მალაქიას დუქანთან ამ შაირის ძახილით, კაცი რომ გაეხელებია.

ჩია მალაქიას დუმა ვის უნახავს. დუმა კი არა, რაც აქამდე ცოტა ხორცი ეკრა ძვლებზე, ისიც დაყარა თანდათან და სულ ჩამოფხავდა. კაცმა რომ თქვას, ეს შაირი ხორცმდიდარ, სქელ ზალიკოს უფრო მიესადაგებოდა, მაგრამ ზალიკოს ამგვარ რამეს ვინ გაუბედავდა.

რაც დრო გადიოდა, მალაქიას კლიენტიც აკლდებოდა და ყურის დამგდებიც. მაშინ, როდესაც ხალხი ზალიკოსთან რიგში იყო ჩამდგარი, მალაქია მარტო იჯდა ხოლმე დანჯღრეულ ტაბურეტზე და თვალგაშტერებული თავის პირქუშ ორეულს გახუნებულ სარკეში ისე საწყლად უცქეროდა, ღმერთი თუ სადმე იყო, თვალები ჰქონდა და ამას ხედავდა, მისი ცოდვით ისიც უნდა ატირებულიყო. მაგრამ იყო სადმე მამაზეციერი? თუ იყო, ეტყობა, მალაქიასთვის არ ეცალა.

ღმერთს ვინლა ჩივის, მალაქიას სარეცელის მოზიარე ცოლიც არ თანაუგრძნობდა. ერთხელ პირდაპირ დუქანშიც დაადგა თავს:

— ეს რას ჰგავს, კაცო, ზიხარ აქ მარტოდმარტო და შენს თავს სარკეში ელლაბუც-ეკეკლუცები. ვერ ხედავ, მუშტარი კანტიკუნტადღა შემოგრჩა, აქ ტყუილად ყოფნას და სარკეში ყურებას, გირჩევნია ყანა-ვენახს მიხედო, თვარა, შიმშილით ამოვწყდებით. თოხს მაინც მოჰკიდე ხელი. ადე, ადე! ადე, თვარა, დაგავლებ ხელს და... კვახივით დაგახეთქებ ძირს!

ასე გააგდო ცოლმა დალაქი ქმარი ყანა-ვენახის მოსავლელად, მერე ხეტში ნაჯახიც დააჭერინა და შეშის საჭრელად გაისტუმრა.

როცა მალაქია ყანა-ვენახის მიწას თოხს უბლაყუნებდა ან ნაჯახს იქნევდა ტყეში, ზალიკო კლიენტს ან პარსავდა, ან ნარდს ეთამაშებოდა. თუ კლიენტი არ ჰყავდა, სადალაქოს წინ ღიღინით ბოლთას სცემდა, თან თვალს წყალს ალევინებდა.

მალაქიას მისი დანახვა სულს უშხამავდა, თუნდაც უხსენებელისთვის მოეკრას თვალი. მერე შინ ბუტბუტით შედიოდა: ჩემი ოჯახის ცოდვა მიეცეს ზალიკო ხანჯალაძეს, ამდენ წვრილშვილს პირიდან ლუკმას აცლის და არც რცხვენიაო. ღმერთო, დასაჯე ეს მგელკაცა თუნდაც ამ ცოდვისთვისო.

ცნობილი ამბავია: ხის ხელოსანს ქვის ხელოსნობა უჭირს. მსუბუქ საქმიანობას მიჩვეული დალაქი მიწის, შალაშინის, უროს ან ნაჯახის კაცად არ ვარგა, საამისო წელი აღარ მოსდევს, საქმეს ძალას და ბარაქას ვერ ატანს. არც მიწის მუშა, მჭედელი, ტყისმჭრელი თუ სხვა ამგვარი საქმის მკეთებელი ვარგა დალაქად, ერთობ მძიმე ხელი აქვს, რა სიფაქიზესაც არ უნდა ეცადოს, მაინც უხეშად პარსავს. სამართებლის ხელში დამჭერ კაცს კი ერთობ მსუბუქი ხელი სჭირდება, ფაქიზი, ზუსტი, პეპელასავით მოფარფატე, ისე, რომ კლიენტმა სამართებლის შეხებაც ვერ იგრძნოს. ყველა ხელობას თავისი არა მარტო სულიერი, ხორციელი ნიჭიც უნდა. თუ დალაქს მსუბუქი ხელი არა აქვს, გახვრეტილი გროშია მისი ფასი.

მალაქიამ ვერც ყანა-ვენახს მოუარა, როგორც რიგი და წესია, ვერც ტყეში გაიხარა, საბოლოოდ ისლა შერჩა, რომ ისედაც მძიმე და უხეში ხელი უფრო დაუმძიმდა, ზოგჯერ მკლავი ლოთივითაც უკანკალებდა კაცს, რომელიც ღვინოს ათასში ერთხელ თუ დალევდა და მაშინაც ერთობ ცოტას. აკი ამის გამო, კარგი მსმელი, მონადირე მიხეილა რეხვიაშვილი დასცინოდა კიდეც: მალაქიას სათითურით ან მამლის დეზის

ყანწით რომ დაალევინო ღვინო, მაინც ჰაჰანაჰამი ინდაურივით დათვრებაო.

კლიენტებით ისედაც გალარიბებული ხელოსანი მთლად გაღატაკდა და მიიშრიტა. შარახვევლთაგან ათიოდე კაცის გარდა, ყველამ უგანა, იმ ათიოდესაც კარგა ხანია ზალიკოს სადალაქოსკენ და სამართებლისკენ ეჭირა თვალი და გაქცევის საბაბს ეძებდა. ავტომანქანის მომლოდინე გარესოფლელი მგზავრი თუ დაუჯდებოდა გასაპარს-გასაკრეჭად და ისიც ბუზღუნით გამოდიოდა სადალაქოდან: ეს რა ფინაჩი ვიღაც ყოფილა, სამართებელი ვინ ჰკუათმყოფელმა ანდო და დალაქობაც ვინ დააბრალაო.

ერთხელ მალაქიას ღვიძლი ბიძაშვილი, მაღაზიის გამგე იოველი ეჯდა დანჯღრეულ ტაბურეტზე. ცალი ლოყა რომ ჩამოპარსა, იოველმა სიმწრით გაახრჭიალა კბილები და კრინტის დაუძრავად ისე შეხედა დალაქს, ცხრასართულიანი გინების ყორე რომ დაეხვავებია მის წინ, უკმაყოფილებას ამაზე მეტად ვერ აგრძნობინებდა.

— ხომ არ შემიწუხა სამართებელმა შენი თავი? — შეცბა მალაქია. — მომითმინე, შენი ჭირიმე, ახლავე გავლესავ. ცოტა შევისვენოთ ორივემ. რა უშავს.

— ჰო, შევისვენოთ, სახლიკაცო, თვარა, შენი სამართებლის გადამკიდე მართლა გამომიყვან მოთმინებიდან.

მალაქიამ ტარმორყეული სამართებელი მილეულ სალესის ქვას სამიოდეჯერ ზანტად გაუსვ-გამოუსვა, ცოტა ხანს ქამარზეც ატკაცუნა და შეუდგა მეორე ლოყის ჩამოპარსვას.

— ხომ აღარ გაწუხებს, ბიჯო?

— მაწუხებს და მეტი არა! — ბიძაშვილმა ბიძაშვილს ისე შეხედა, თითქოს შუაზე გასაჭრელად ელვის ხმალი მოუქნიაო და სიმწრის ოფლი გადმოსკდა შუბლზე. ეტყობა, ბრაზი თანდათან ეკიდებოდა, ეწვოდა და მაინც დუმილს ამჯობინებდა. ახლა კი აუფეთქდა ბრაზი. — სამართებელიც მაწუხებს და ბევრი სხვა რამეც. რაა, შე კაცო, ხელში თოხი გიჭირავს, ბარი, ნაჯახი თუ სამართებელი? არც ადრე იყავი დიდი ხვითო, მარა, ხელი მაინც არ გიკანკალებდა! მოეშვი დალაქობას, ჩემო ძმაო, ყანა-ვენახს მოუარე, თოხნე და ბარე! ხომ ხედავ, არ არის დალაქობა შენი საქმე! მიწას თოხი რანაირადაც არ უნდა დაარტყა, არ ეტკინება, აქ კი ადამიანთან გაქვს საქმე.

— ზალიკომ გაგაზრახა, ხომ? — კბილების კრაჭუნით ჩაჰკითხა მალაქიამ.

— მალაქია, ღმერთმანი, ზალიკოს არაფერი წამოსცდენია, ჩემით გეუბნები ამას. ბიძაშვილი ვარ და... მე თუ არ გეტყვი სიმართლეს ისევ შენს სასიკეთოდ, სხვას ფეხებზე არა ჰკიდიხარ!? დამიჯერე, დამიჯერე!

— რა დაგიჯერო, ბიჯო? მე მიწის მუშად სულ რომ აღარ ვვარგივარ, ვერ გაიგე? დალაქობასაც რომ თავი დავანებო, რითიღა ვარჩინო ლლაპები?

— ეგ არ ვიცი მე... ყოვლად შეუძლებელია, დალაქს ხელი უკანკალებდეს. მე ჩემი მითქვამს და შენ როგორც გინდა ისე მოიქეცი!.. — დაიხურა ქუდი იოველმა და წავიდა.

ის დღე იყო და ის, იოველს ბიძაშვილთან პირი აღარ გაუპარსავს, ისიც ზალიკოს კლიენტი გახდა.

მალაქიას გული დიდმა სევდამ შეუბოჭა. უხილავი კლანჭები მოუჭირა და დაუწურა. კაცს დიდი ცრემლი თვალიდან კი არა, გულიდან გადმოეღონა.

ბიძაშვილი რომ ასე მოგექცევა, სხვა ვილა შეგიბრალებს! მალაქია გზაზე ავლილ-ჩავლილი გარესოფლელი კლიენტების ამარაღა დარჩა. მათგან გაიგო, აქედან სამი საათის სავალ მთის სოფელ ორბეთს დალაქი არ ჰყავსო და თუმცა აღმართში სიარული უჭირდა, კვირაში ორ დღეს იქით მილასლასებდა. თუ სადმე

მიცვალებული იყო გასაპარს-გასაპატიოსნებელი, ამისთვისაც მალაქიას აკითხავდნენ, რადგან ზალიკომ ამ საქმეზე თავიდანვე ხელი დაიბანა: არ შემიძლია, მკვდარი ადამიანის დახედვაც კი მიჭირს და პირი როგორ გავპარსოო.

გაუჭირდა მალაქიას, ძალიან გაუჭირდა. აღარც დალაქად ვარგოდა, აღარც მიწის მუშად, არადა, შოშიასავით პირდაღებული ცხრა ბავშვი ყოველდღე ლუკმას სთხოვდა. გამწარებულმა კაცმა დაავლო ხელი ორ ნაბოლარას, ქალვაჟს და... გაუდგა ქუთაისის გზას. ერთ კვირაში კი შინ ხელცარიელი დაბრუნდა.

ალბათ შეგინიშნავთ ერთი ჭეშმარიტება: ქალაქში ხშირად მუშტარი ელოდება დალაქს, სოფელში — დალაქი მუშტარს. მიზეზი სულ უბრალოა: სოფელში ცოტა ხალხია და ვინც არის, ისიც, მოუცლელობის გამო, თუ სხვა მიზეზით, ქალაქელებთან შედარებით პირს იშვიათად იპარსავს, ზოგჯერ თვეობითაც კი დადის თმა-წვერ გაბურძგნულ-გაბანჯგვლული. ჰოდა, შარახევშიც დგებოდა ხოლმე დღეები, არც ზალიკოს ჰყავდა კლიენტი. მაშინ ის ქათქათა გრძელ ხალათს სარკის მეზობლად ჰკიდებდა ლურსმანზე და სადალაქოს წინ ბოლთის ცემით ღიღინებდა უსიტყვოდ, თან შარაგზას გაჰყურებდა. არა, ბატონო, მარტო იმისთვის არა, ვინმე წვერგაუპარსავი დავინახო და შემოვიპატიჟოო, როგორც ადრევე მოგახსენეთ, უფრო ქალებისთვის თვალების გაყოლებ-გამოყოლება სიამოვნებდა. განსაკუთრებით მიდარაჯებული იყო, როდის გამოჩნდებოდა ახალგაზრდა ქვრივი, გეოგრაფიის მასწავლებელი, ხორცმდიდარი, პირმშვენიერი, მსხვილთეძოებიანი ქეთევან სულაძე. ის დღე დღედ არ ულირდა, თუ ამ ქალის თეძოებს თვალს არ მოუფათურებდა.

სკოლის ჭიშკარში ხშირად შედიოდნენ ღორები და ბალახიან ეზოს დინგებით ღრმად ჩიჩქნიდნენ. დირექტორმა ჭიშკარს ურდული გაუკეთა. ამ ურდულის გაყრა ბევრს ავიწყდებოდა და ღორები სკოლის ეზოში წინანდებურად დაღრუჩუნობდნენ. ადგა დირექტორი და ჭიშკარი სულ ააჭედინა: დაე ყველამ, ბავშვმაც და დიდმაც, ღობეზე გადმოვლით იაროს, ვიდრე ეზო გაგვითხრდეს და წაგვებილწოსო. გვერგვლული ღობეს აქეთ-იქით, ჭიშკრის გვერდით, საგანგებოდ ოთხკუთხად გათლილი თეთრი ქვები დააწყობინა საბიჯობელად. ზალიკო სწორედ ამ გადასასვლელს უთვალთვალებდა ყველაზე ხარბად. ფეხის აუწევლად იქ ვერავინ ახერხებდა ღობეზე გადაბიჯებას და... ზალიკო ხშირად ტკბებოდა ქეთევან მასწავლებლის ქულა ღრუბლისფერი ბარძაყების ხილვით, რადგან ამ ღობეზე გადალაჯება ქეთევანს დღეში რამდენჯერმე უწევდა. დალაქი გულში ლოცავდა სკოლის დირექტორს, ჭეშკარი ასე ყრუდ რომ ააჭედინა, იმ ღორებსაც ლოცავდა, დირექტორი ასეთი საქციელის ჩასადენად რომ აამხედრეს.

ზალიკოს ახალგაზრდა ქვრივის ღობეზე გადასვლა-გადმოსვლა უფრო ახლოდან რომ დაენახა, იანგარიშა რა, როდის უწევდა იმ ქალს იქ სიარული, დროს შეურჩევდა ხოლმე და ხელში ბარდაჭერილი, ჭიშკრის ახლო-მახლო ფუსფუსებდა. ღობის გასწვრივ აკაციები დარგო და ვითომ იმ აკაციებს უვლიდა.

ბებერი ფაშატი თვალფხიზელი გახლდათ, დიახაც კარგად ამჩნევდა. მისი ულაყი ახალგაზრდა ქალებს ვნებიანი ალტკინებით რომ უცქერდა ხოლმე, შარახევულად რომ ვთქვათ, ამ ამბავში თვალწუწკი რომ იყო, მაგრამ საყვედური ერთხელაც არ წამოსცდენია. ალბათ ფიქრობდა: დაე, მიაშტეროს თვალები ვისაც უნდა, ღამით ხომ ჩემთან წევს და სხვებზე გახელებულ ვნებას ხომ მარტო ჩემთან ხარჯავსო. თუ თვალს წყალს სხვის სხეულზე დაალევინებს ხოლმე, მე ამით რა მაკლდება, პირიქით, ეგება ჩემთვის ასე უფროც სჯობდეს, სხვებისგან წაკიდებული ვნების

ცეცხლის ჩასაქრობად მე მეძალებათ.

ზალიკო მარტო თვალწუწკი კი არა, ხელწუწკიც გახლდათ. ერთ კვირადღეს მისი სადალაქოს წინ გრძელ სკამზე ჩვილბავშვიანი ქალი ჩამოჯდა. ეტყობა, დასასვენებლად. ეს ქალი ზალიკოს უმალვე მოუვიდა თვალში, თუნდაც ერთხელ რომ მოეკიდა ხელი, რას არ გაიმეტებდა, მაგრამ საამისოდ რაღაც საბაბი ხომ უნდა ეპოვა.

კარგა ხანს თვალებით ხარბად ჰამდა კაცი ქალს. ალბათ, იმასაც კი ნატრობდა, ნეტავ ცოტა ხნით ამ ჩვილად მაქციაო.

უცებ ჩვილი აღნავლდა. ეშმაკმა უწყის, კაცის ხარბად მიშტერებულმა თვალებმა შეაშინა თუ რაღაც სხვა მიზეზმა აატირა (ჩვილის ტირილს რას გაუგებს ადამიანი!), მთავარი ის იყო, რომ ატირ-აღნავლდა და ამას ზალიკომ უმალვე მიაქცია ყურადღება.

— ციცქა მოგინდა, გენაცვალე, ციცქა? ელანძე მოგართმევ! — უცებ ქალს მაღალ მკერდზე აჰკრა ფართო ხელი და კაბის გულისპირიდან შიშველი, გატიკნილი ძუძუ ზევით ამოუგდო, მარცხენა მუჭათი ის ძუძუ დაიჭირა, მარჯვენა ხელი ჩვილს წაავლო თხელთმიან თავზე და ძუძუ პირში ჩაადებინა. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, ქალმა ვერაფრის წამოძახება ვერ მოასწრო, მხოლოდ გაოცებული შეცბა და თითქოს იმისაც შეეშინდა, ამ მოურიდებელმა მამაკაცმა აქ ანაზდად უფრო საშინელი რამ არ ჩაიდინოსო. წამოხტა და წაძუნძულდა.

მალაქია ამ დროს თავის სადალაქოს ფანჯარასთან იდგა და თავისი თვალით დაინახა, რაც მოხდა, დაინახა და... უმალვე ადგილობრივი მთავრობისათვის მისართმევად ცხელ-ცხელი საჩივარი გააშანშალა.

სოფლის საბჭოს აღმასკომის თავკაცმა იროდიონ ყრუაშვილმა საჩივრის განსჯა ადგილობრივ სასამართლოს მიანდო, სამეულს — მაღალყვრიმალებიან მეფუტკრეს სოლომონ წამალაძეს, მუდამ მოხითხით-მოქირქილე მონადირე მიხეილა რეხვიაშვილს და ფოსტალიონ ნიკიფორე ბერიძეს, რომელსაც წინ გამოშვერილი საჩნისა ცხვირი და მუდამ პირში გაჩრილი ყალიონი უფარავდა მუჭის სიმსხო პატარა პირისახეს.

კვირას, სამხრობისას დაინიშნა სასამართლო აღმასკომის ღია აივანზე. სეირის მოყვარულ ხალხს სოფელ-ქვეყანაში რა გამოლევს, გაივსო აივანი. ზოგმა სკამი შინიდან მოიტანა.

სოლომონმა მაღალზურგიანი სკამი წითელმაუდგადაკრულ მაგიდასთან მიდგა, ზედ დარბაისლურად ჩამოჯდა, აქეთ-იქით, პატარა სკამებზე მსაჯულებად დაისვა მონადირე და ფოსტალიონი, მსუყე ამოხველებით ყელი ჩაიწმინდა და ხალხს მიმართა:

— სასამართლო იწყება, რუზრუზით ხელს ნუ შეგვიშლით. ფეხზე ადგომა არ არის საჭირო, ნურც თქვენი შენიშვნებით შეგვაწუხებთ. ახლა კი შევუდგეთ საქმის გარჩევას. ამხანაგო მალაქია, მოახსენეთ სასამართლოს, რას უჩივით თქვენს კარის მეზობელს ზალიკო ხანჯალაძეს.

მალაქია წამოიზლაზნა, ქუდი მოიხადა და დინჯად დაიწყო:

— ბევრს რამეს ვუჩივი, ბატონო მოსამართლევ. მთავარია ცხოვრებაში ადამიანთა ზნეობა. ჩვენს პატიოსან სოფელში საიდანღაც ჩამოეთესლა ეს ვიღაც თავხედი, ოხერი, ვიგინდარა და გულშავი, უპატრონო ძაღლივით მაწანწალა ორფეხა ნადირი და... არხეინად დაგვაჯდა თავზე.

— მალაქია, არ გინდა აგრე დაწყება, ნუ დაივიწყებ, რომ ეს კაცი, იგივე მოპასუხე, შენი ღვიძლი დეიდას კანონიერი ქმარია. — შენიშნა ფოსტალიონმა ნიკიფორე ბერიძემ და ყალიონი ააპლაკუნა.

— დეიდაჩემის ქალობაც შევარცხვინე და ამ გუდაფშუტას კაცობაც! — თავიდანვე ვერ დამალა ბოლომა მომჩივანმა. — თქვენ კი ასე გეტყვით, გული მოუკვდეს, ვინც გულმრუდად განსაჯოს საქმე!

— ვინც გულმართლად განსაჯოს? —

ჰკითხა სოლომონმა და რატომღაც ცხვირზე გაისვ-გამოისვა ხელი.

— ვარდად აუყვავდეს გული! — დაბეჭდა მალაქიამ.

— ლოთიანად მითხარი, რას მემართლები, რას გადამეკიდე სახადივით? მოგპარე რამე, წაგართვი რამე, შენი მმართებს რამე? რამდენჯერ ენა აგექავება სალაყბოდ, ჩემს ლანძღვას იწყებ, ცილსა მწამებ და მთათხავ უმიზეზოდ. ფართო ხელები გაკვირვებით გადაატრიალ-გადმოატრიალა ზალიკომ და მშვიდად დასძინა: — თუ ასეა, შენ თვითონა ხარ უპატრონო, ოხერი, ქარაფშუტა და გულნამცეცა, შხამით და სიგლახით გატენილი გუდა ხარ!..

სოლომონმა პატარა ზარი ააწკრიალა:

— აბა, აბა, რას ჰგავს ეს? სიტყვას დაუკვირდით ორივე! ლანძღვა-გინებით საქმე არ გაირჩევა. სასამართლოს აინტერესებს ჭეშმარიტი ბრალდების დადგენა და არა ურთიერთ ლანძღვა-გინების მოსმენა.

— აკი მოგახსენეთ, მე ამ გულბილწ კაცს ზნეობრივ ბრალდებას ვუყენებ. არ შეიძლება ასეთი კაცი ჩვენს სოფელში ცხოვრობდეს!

— საბუთი! რატომ?

— იმიტომ, რომ... მთელ პატიოსან სოფელს ბილწავს თავისი უპატიოსნობით და გარყვნილებით.

— საბუთი-მეთქი.

— კი, ბატონო, საბუთების მეტი რა გვაქვს. მაგის უსინდისობას ყველა აშკარად ხედავს. ჯერ იყო და თავის თავზე დიდად უფროსი დედაკაცი აცთუნა, რაღაც თვალთმაქცობით, ჯადოქრობით, ოინბაზობით თუ თაღლითობით.

— მალაქია, ეს საქმე აქლემივით ორკუზიანია, — სიტყვა გააწყვეტინა მიხეილა რეხვიაშვილმა. — თუ ასეთ რამეს დანაშაულად მივიჩნევთ, ორივე მხრიდან უნდა შევხედოთ. დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად კაცმა აცთუნა ქალი და არა პირიქით — ქალმა კაცი? იმას კი მთელი სოფელი ხედავს, კარგა ხანია ეს ცოლ-ქმარი სიამტკბილობით ცხოვრობს, ერთმანეთს პირში სულს უბერავს. ასე რომ, ეს ბრალდება ბრალდებად არ ჩაითვლება, მოხსნილია.

— ჩემთვის არ არის მოხსნილი. ღმერთმაც იცის და სოფელ-ქვეყანამაც, დეიდაჩემისთვის აქამდე ბილწი საქციელი არავის შეუმჩნევია. ეს მოთრეული ვაჟბატონი კი ახლაც არ იშლის მსუნაგობას. თუ მუშტარი არ ჰყავს, გაშტრინკულა თავისი დუქნის წინ და გზაზე ქალს ვერ გაუვლია, ვერც დედაბერს და ვერც გოგონას, ხარბად თვალი რომ არ გააყოლოს, ყველას უპრაწავს ბუღასავით აყვრიალებულ თვალებს...

— კაცის აბუჩად აგდება და გაქიაქება ადვილია, თუ ცილისწამების გზაზე გავუშვებთ მოლაქლაქე ენას. — ველარ მოითმინა ზალიკომ. — ზოგმა თუ არ იქაქანა, იტარტალა და ილაშლაშა, ისე ვერ სძლებს.

— სიტყვა ნუ ამომჰამე პირიდან, მაცალე! — გამარჯვებულის იერით შეხედა დალაქმა დალაქს და სასამართლოს მიუბრუნდა. — უსინდისოზე უსინდისო მუსუსია ეს ბუღისთვალება კაცი, მავნებელიცაა. მოგეხსენებათ, იქვე სკოლა გვიდგას, ბატონო, ბავშვები კი ყველაფერს ამჩნევენ და იმახსოვრებენ. ამ ბუღაკაცის დამნახავმა გოგო-ბიჭებმა რა უნდა ისწავლონ თავგზიანი? უზნეობის გაკვეთილები? ყველას რყვნის ამის საქციელი, ყველას, განსაკუთრებით კი ყმაწვილებს. ჩვენ ეს ამბავი თუ ახლავე არ ავლაგმეთ, მერმე გვიან იქნება სინანული.

— ბოდიშის მოხდით უნდა მოვახსენო სასამართლოს, რომ ზოგი დღისითმზისით სანთლით ეძებს საშარო საქმეს. მერე მსხვერპლს რომ მივარდეს და ორბივით დაასცხრეს. — ნება მიბოძეთ, ვკითხო მომჩივანს, გარეთ რომ გამოვდივარ, თვალები ყაბალახით ავიხვიო თუ ზედ ფაფახი ჩამოვიფხატო, რომ არაფერი დავინახო?! — ხელისგულები კვლავ გაკვირვებით გადააბრუნ-გადმოაბრუნა ზალიკომ.

— თვალების ახვევას არავინ გაძალებს, მარა... მარა ყველას სხეულზე არ უნდა აფათურო. კაი, თვალებს დავანებოთ თვალი. თვალები ხომ ბილწი გაქვს, არც ხელები გაბია წმინდა. აბა, ის პატიოსანი კაცის საქციელი იყო, რაც შენ ამასწინათ ჩაიდინე? ჩვილბავშვიანმა ქალმა შენი დუქნის წინ სკამზე ჩამოისვენა, შენ კი ძუძუებზე ებღღვენი და ჩაბღუჯე. ბედად ქალი ყოჩაღი გამოდგა, გაქცევით უშველა თავს, თვარა, ეშმაკმა უწყის, რა მოხდებოდა დღისით-მზისით ხალხის თვალწინ, მთელი სკოლის ბავშვების და მასწავლებლების დასანახავად. ა, ესა ხარ შენ! ატეხილი და ატროვილი! — მალაქია სასამართლოს მიუბრუნდა. — თქვენ კიდევ საეჭვოს ხდით ამის უნამუსობას. უზნეობის დასათესად მოგვევლინა სოფელში ეშმაკისთვის სულმიყიდული ეს გარეწარი კაცი.

ზალიკომ წინ წამოწეულ ქვედა ტუჩს კბილები დააჭირა და თავი გადააქნია. მომჩივანმა კვლავ გამარჯვებულის იერით გადახედა მოპასუხეს და სიტყვა გააგრძელა:

— ამ კაცის ერთი სიგლახე ხომ დაგიმტკიცეთ, მეორესაც მოგახსენებთ. ბოროტიცაა ეს სულხორციანად გარყვნილი კაცი. ადგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და გზის გაყოლებით სულ ეკლის ხეები ჩაამწკრივა — აკაცია დარგო. ახლა არ იკითხავთ, რატომ? იმ ხეებიდან ჩამოცვენილი წვეტიანი ეკლები ჩემს შვილებს რომ შეერჭოთ ფეხებში. მარტო ჩემს გოგო-ბიჭებს კი არა, ყველას, ვისაც ხელმოკლეობის გამო შვილები ფეხშიშველები დაგვირბიან. რაკი თვითონ შვილი არ მისცა ღმერთმა, ყველა ბავშვი ჭირივით სძულს.

— მყავს მე შვილი, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ზალიკომ.

— შენ რომ გყავს, მაგას შვილის ყოლა არ ჰქვია. ის შვილი ან თავიდანვე შენი არ იყო, ან უსინდისოდ გყავდა გაკეთებული და წამოჩიტვაც არ აცალე, ისე აითვალწუნე, მოიძულე, შინიდან სადღაც გააგდე უპატრონო ძაღლივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მყავს მე ნამდვილი შვილი, — უფრო ნაღვლიანად თქვა ზალიკომ.

— თუ გყავს ნამდვილი შვილი, რატომ არ გეკარება, რა ხანია აქ ცხოვრობ, ერთხელ მაინც რატომ არ ჩამოგაკითხა? იმიტომ რომ არაკაცი ხარ შენ, შხამით გატენილი გუდა, არც შენიანი გიყვარს ვინმე, არც სხვა.

— ვაი შენს პატრონს! შე მართლა არაკაცო, მე მეძახი არაკაცს? შენი კაცობა არ გაიშვა შენი ეზოს იქით ქვეყანაზე! ორი შვილი თივით გატენილი მუთაქებივით ამოიჩარე ერთი ერთ იღლიაში, მეორე — მეორეში და ჰერი, გაუყენე ქუთაისის გზას. გაგეყიდა გინდოდა. მარა, შენი შემხედვარი ვინ გაგისაღებდა — ამ ჭირიანს შვილები უფრო ჭირიანები ეყოლებაო. რაკი ვერ გაყიდე, „პრიუტში“ დაუპირე მიბარება. იქაც არ მიიღეს და სადგურის კიბეზე მიატოვე ნაგავივით. ამის მერე შენ კაცი გეთქმის, კაცი? ა, ხალხს ვკითხოთ თუ გინდა.

— მოკლე ჭკუის კაცი ხარ, ზალიკო. შენ ერთ შვილს ვერ მოუარე, მე ცხრა ღლაპის ერთი სამართებლით რჩენა გამიჭირდა და... და კი არ გადავაგდე, გავასაჩუქრე. ეს რა წამოსაძახებელია, შე შხამიანო უხსენებელო! თავკერძა რეგვენი ხარ, თავკერძა რეგვენი!

— რეგვენის ხმა მესმის!

სოლომონმა ზარი ააწკრიალა:

— მოუკრეფავში ნუ გადადიხართ ორივე! პატივი ეცით სასამართლოსაც და თქვენს თავსაც.

— მე, ძამა, დიახაც ყველას ვცემ პატივს, მარა, ჭიაყელას რომ ფეხს დაადგამენ, ისიც სხმარტალდება. კაცი უთაურად მეშარება და პასუხი არ გავცე?! მე თავს არავის ვესხმი, თავს ვიცავ. გამომიგონა აქ რაღაც სისულელე, აკაციებს ჩემი შვილების მოსასპობად რგავსო. ჯერ ერთი, ამის ბაღნებს ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველა სიარულით ფეხისგულები კამეჩის ტყავზე მეტად აქვთ გასქელებულ-გამაგრებული და

აკაციის ეკლები რას დააკლებს, გზაზე ცერად ხანჯლები რომ დაუყენო, ისე მსუბუქად გადაივლიან, თითქოს ხალიჩაზე მისეირნობენო.

— თუ გულში ბოროტი ზრახვა არ გედვა, რატომ კაკლის ხეები არ დარგე?

— კაკალი გვიან იზრდება. გარდა ამისა აკაციის ყვავილმა სურნელოვანი ჰაერი იცის, თაფლიც სურნელოვანი.

— თაფლი ცაცხვმაც იცის, კი.

— აკაციის თაფლი უკეთესია.

— ცაცხვს სამაგიეროდ ჩრდილი აქვს უკეთესი, გზის პირს ჩრდილი უყვარს. — არ დაუთმო მალაქიამ.

— ბატონო სოლომონ, მე კი გავჩუმდები, მარა, თქვენ ყურს არ გჭრით ამის ამდენი სისულელის მოსმენა? — იკითხა ზალიკომ.

— სულელის და ჭკუაათრაკის ხმა მესმის! — ისე წამოიძახა მალაქიამ კინაღამ ყელის ძარღვები გაუწყდა.

— დაყვირებაზე ნუ მიდგება საქმე, თვარა, ჩემი შეკივლება პიტალო კლდეებს ანგრევს! — გააფრთხილა ზალიკომ.

— აბა, რა ვთქვი მე სულელური რა, ახე რომ... — ხმას დაუწია მალაქიამ.

— თუ ცაცხვი და კაკალი გერჩიათ, რატომ ჩემამდე არ დარგეთ, ვინ გიშლიდათ?

— აკაციამ ისეთი ფესვების გადგმა იცის, ვერ ამოძირკვავ! — შანის მოგებასავით მიახალა მალაქიამ.

— ამოვძირკვავ, შარიანო კაცო, ამოვძირკვავ! ამუძირკვავი რა არის ქვეყანაზე! — დაიმედებით დაჰპირდა ზალიკო.

— შენისთანა კაცის ბოროტებაა ამოუძირკვავი! — ქვასავით ესროლა მალაქიამ.

— ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო. ბოროტიც შენ ხარ და ცოდვილიც, ჩემო კარის მეზობელო! — ისე მიუგო ზალიკომ, წარბიც არ შეუტოკებია ოდნავ.

— ცოდვილიც, არა? გეყურებათ, გამოლმაც მედავება. ცამ და მიწამ იცის, შენ რომ კაცი გყავს მოკლული. ციხეშიც ამიტომ იჯექი. იქნებ ისიც დაფიცო, არ ვიჯექიო?

— კი, ვიჯექი, ვიჯექი და ჩემი დანაშაულისთვის სასჯელიც პატიოსნად მოვიხადე. შენ კი შენი ჩადენილი დანაშაულისთვის დაუსჯელი დასეირნობ.

— მოუკოდავი წისქვილივით როშავ რაღაცას. ქვეყანამ იცის, მე ჩემ სიცოცხლეში არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია, ამდენად — არც ცოდვა.

— ორივე ჩაიდინე.

ზალიკომ ერთი შემთხვევა გაიხსენა.

იმ ზაფხულს მდინარე გიჟურა ადიდდა. მოჰქონდა და მოჰქონდა ხე-ტყე. მთელი სოფელი შეშის დასაჭერად მიადგა ადიდებულ მდინარეს. მალაქიამაც გაიდო მხარზე გრძელი კაკვი და გიჟურას მიაშურა.

დალაქმა ცურვა არ იცოდა, ისედაც ეშინოდა წყლის. მიხეილა რეხვიაშვილი ამის გამო დასცინოდა კიდეც: ერთხელ მალაქია მოყვრებს აემგზავრა. მიადგნენ პატარა მდინარეს, რიცეულას. სხვები წყალზე გადახტნენ, მალაქია კი წყალში ჩაწოლილ კამეჩს გადააჯდა ზურგზე, უთაქა სახრე, ააყენა და გაღმა იმ კამეჩით გავიდაო.

ჰოდა, ეს წყლის მოშიშარი კაცი ამღვრეული მდინარის ნაპირს ფრთხილად მიუყვებოდა, დაინახა, კაკვით მდგარ ქალს, წინაუბნელ ქვრივს, თეონა ქვათაძეს ფეხქვეშ მიწა გამოეცალა უცებ, წყალში ჩავარდა და გიჟურამ წამოატივტივა. მალაქიას ორად ორი ნაბიჯი რომ შეედგა მდინარეში და წყალწაღებულისთვის კაკვი გაეშვირა, უეჭველად გადაარჩენდა, მაგრამ შეეშინდა, ვერ შებედა წყალში ფეხის შედგმა და... სამი ობოლი დარჩა ქვრივს.

— თეონა ქვათაძის და მისი ობლების ცოდვაც შენ გაწევს კისერზე! — დაჯერებულლად უთხრა მოპასუხემ მომჩივანს.

— აი, შარი თუ გინდა! — უგემურად გაიღიმა მალაქიამ. — ამაზე დიდი უსამართლობა გაგიგონიათ? ყველამ იცის, მე წყლის კაცი არა ვარ, ცურვა არ ვი-

ცი. ჰოდა, წყალწაღებულს რანაირად მივეშველებოდი?

— ქალი ნაპირ-ნაპირ მოჰქონდა წყალს, მუხლამდეც თუ შეხვიდოდი, კაკვს გადააწოდებდი ან მოსდებდი და გამოიყვანდი, მარა, ტყავს გაუფრთხილდი, ვაითუ თეონამ ჩემი კაკვიანად შემითრიოს ტუმპელა წყალში და მეც დამახრჩოსო. ლაჩარი ხარ შენ, გულდედალი, კურდღელივით მშიშარა.

მალაქიას თვალები დაუელამდა, მერე ისე გადააყვრიალა, გეგონებოდათ, კვდებაო. გულშეწუხებულივით წაფორხილდა, ბუმბულივით გამჩატდა. ყელში გულმობჯენილმა ძლივს ამოღერღა:

— გესმით, რას მაბრალებს კაცის მკვლელი, კაცის მკვლელი!..

— მე თუ ვინმე მოვკალი, თვითონ იმ მოკლულმა გამხადა იძულებული, თავი შემომაკლა, შენ კი... შენ შეგეძლო ადამიანი გადაგერჩინა და გაწირე. ეს უარესი მკვლელობაა, ასე მითქვამს მე... მე მითქვამს და შენ გულზე დაიწერე! დიახ, ასეა! შემირცხვეს კაცობა და ეს ულვაში ძირში მომპარსე შენი ჩლუნგი სამართებლით, თუ ჭეშმარიტად ასე არ იყოს!..

— მოასვენე ღრანჭები, დააბი ეგ გველის ორკაპა ენა! ეგ წიხლი გულზე დამარტყი, თუ დღევანდელი თავხედობა და უთაური ცილისწამება შეგარჩინო!

— ვინც აქამდე შეგიშინებია, ისევ ის შეაშინე!.. მე შენსავით კურდღელი არა ვარ. ვიცი, რაც გიკლავს გულს, მარა, ღმერთი ხომ ხედავს, ჩემი ბრალი არაფერია. ჰო, რა ჩემი ბრალია, თუ შენ სამართებელსაც ვერ უწყობ პირს წესიერად, დალაქობას კი იჩემებ. იქნებ ისიც მე დამაბრალო, თოხლო კაცი რომ ხარ, ლობიო კაცი რომ ხარ, გვალვიან წელიწადში რომ ხარ დაბადებული!..

მიჰყვნენ და მიჰყვნენ ერთიმეორის ლანძღვა-გინებას. სიტყვის ტალახი სხეულზე რომ აკავდებოდეს ადამიანს, ორივე დალაქი იმ ტალახში ამოიხლართებოდა და ჩაიმარხებოდა თავიან-ფეხებიანად. ხშირად მოწკრიალე მეფუტკრე-მოსამართლის ზარის ხმა უკვალოდ იკარგებოდა ხალხის ხარხარში.

— ადამიანებო, ერთმანეთს ნუ უმწარებთ ისედაც ჯახველასავით მწარე წუთისოფელს! — წამდაუწუმ ყვიროდა ხარაზი კოწია.

— დაანებე, კაცო, თავი! — კალთაზე ჩამოქაჩვით აჩერებდა ხარაზს მეტყევე იაგორა. — ტყუილად რას იხლიჩავ ყელს, ვერ ხედავ, არავისი რჩევა-დარიგების გაგონება რომ არ უნდათ! ისემც უქნიათ, დაუჭამიათ ერთმანეთი მგლებივით. ეტყობა, ორივე უკვე მოძულებული ჰყავს ღმერთს.

ბოლოს, თითქოს ერთმანეთის თათხვით დაიღალნენო, ორივე გაჩუმდა — მომჩივანიც და მოპასუხეც. მათი უეცარი გაჩუმებით სახტად დარჩენილი ხალხიც დადუმდა. გეგონებოდათ, ამ ერთიანმა სიჩუმემ შეაშინაო, მალაქიამ ანაზდად ცრემლმორეული ხმით წამოიძახა:

— დამცინის, ყველაფრით დამცინის ეს საიდანღაც მოხეტებულ-მოთრეული ურჯულო კაცი! მე დამცინის, აქაურ მკვიდრ მოსახლეს, შინაურს.

— რაო, რას გეუბნება ხოლმე? — ჰკითხა მონადირე მიხეილამ და თვითონ შეხედა მომჩივანს დამცინავად.

— არაფერსაც არ მეუბნება, ყველა თავისი საქციელით დამცინის.

— მაგალითად? ერთი მაინც!

— მაგალითად... — აქ მალაქია შეყოვნდა. — მაგალითად, მოიცლის თუ არა, ჩემი დუქნის წინ განგებ დასეირნობს ამაყად და ღიღინებს არხეინად. დაცინვაა ეს, აბა, რა ჯანდაბაა!

— აკი გეუბნებით, სულ შარზეა-მეთქი. რატომ არ გჯერათ, ადამიანებო? მალაქია კი არა, შარი უნდა ერქვას, შავ-შავი შარების გამომგონებელი შარაგზის ყაჩაღი. გესმით, ჩემთვის ღიღინსაც მიშლის.

— ჩემი დუქნის წინ უფრო მეტს მიდი-მოდიხარ ღიღინით, თან ჩემკენ იყურები, აბა, თუ მისმენსო, მე მახელებ, მე! მშხამავ, მშხამავ! ადამიანის მოშხამის-

თვის ციმბირში ხარ გასაგდები, მერე იღიღინე იქ თეთრ დათვებთან!

— ცალი ულვაში ახლავე გავიპარსო, თუ იქ რომ ჩამიყვანენ ეტაპით? — ჩაიროხროხა ზალიკომ.

— მალაქია, შენ სოსიას ივანიკას თუ იცნობ? — ჰკითხა ხელში პატარა ზარჩაბლუჯულმა სოლომონმა მომჩივანს.

— შენც დამცინი, მოსამართლედ დამჯდარო კაცო? სოსიას ივანიკას ვინ არ იცნობს?

— მისი სიმღერა თუ გაგიგონია?

— მთელი თავისი დღე და მოსწრება სიმღერით არ დადის?

— ჰოდა, ჩემო მალაქია, ეგ ჩვენი ივანიკა ჩემს ჭიშკართან იმდენჯერ არის ღიღინით გავლილ-გამოვლილი, ამისთვის რომ ხალხი ვაპატიმროთ, ივანიკას ციმბირი ცხრაჯერ უნდა ჰქონდეს მოვლილი.

იფეთქა ხალხის ერთიანმა სიცილმა.

— თქვენ, ყველა, მაგ ლაფშგადმოგდებულთან იპარსავთ პირს უკვე, იმიტომაც ექომაგებით. თქვენი სამართალი კი შევარცხვინე! — მკვახედ ესროლა მალაქიამ სასამართლოს.

— ბატონო მოსამართლენო, — დარბაისლურად დაიწყო ზალიკომ და ულვაშზე ხელი თავმომწონედ გადაისვა, — ვატყობ, ჩვენი სადავიდარაბო ამბავი დღეს კიდეც რომ ჩაწყნარდეს, ჩემი კარის მეზობელი და მოყვარეც ხვალზეგ მაინც მომეშარება და ამედავება რამეზე. თქვენს მონა-მორჩილს ზაალ ხანჯალაძეს არ უყვარს ჩხუბი და აყალმაყალი. ორი სადალაქოს გვერდიგვერდ ყოფნა ერთ სოფელში, ეტყობა, ყოვლად შეუძლებელია. ერთ-ერთი ჩვენთაგანი უნდა გაეცალოს იმ ადგილს.

— უნდა გაეცალოს ის, ვინც ჩამოეხეტა! — კოტიტა თითები მუშტად შეკრა მალაქიამ.

— ვეყაბულები! ოღონდ ჩემი დუქანი შეისყიდოს ჩემმა მოყვარემ.

— შევისყიდი, რატომაც არ შევისყიდი! — გაეხარდა მალაქიას. — აი, ხალხმა შეაფასოს, რაც მაგის ქოხ-მახი ღირს და... ხვალვე შევისყიდი.

— იმ ქოხმახის ფასია ის, რაც მე მიღირს! — აქ ზალიკომ განგებ დაასახელა იმხელა თანხა, მალაქიას მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება რომ გაეყიდა, ზედ თავისი ყველა შვილიც მიეყოლებინა, ამდენ ფულს ვერ მოაგროვებდა.

— დამცინის! სულ დამცინის, ხომ გითხარით, სულ დამცინის! — მწარედ დაიღმიჭა მალაქია.

— თუ თვითონ ეძვირება ჩემი დუქანი, მაშინ მე შევისყიდი მაგის დამღილულ, მინჯღრეულ-მონჯღრეულ სადალაქოს! — თავდაჯერებით თქვა ზალიკომ. — აგერ, ხალხის თანდასწრებით მითხრას, რამდენად ემეტება.

ორნაირად შეეშინდა მალაქიას: ჯერ ერთი, დიდი თანხა რომ დავასახელო, ვაითუ ხალხმა სიცილით კისერი მოიტეხოსო, მეორეც, რა ძვირადაც არ უნდა დავუფასო, ეგება უკან არ დაიხიოსო. ესღა წამოიძახა პასუხად.

— არ ვყიდი მე დუქანს, არაფერს არ ვყიდი! მე დალაქი ვარ და არა ვაჭარი!

— გამტყუნდი, ჩემო მალაქია, სასტიკად გამტყუნდი! — ალერსიანი სინანულით უთხრა პირში ყალიონგაჩრილმა, სახნისისცხვირა მსაჯულმა მომჩივანს. — ჰოდა, გვეყოფა ჯაჯღანი. ნურც სხვას აწუხებ საჩივრებით, ნურც შენ იშლი ტყუილ-უბრალოდ ძარღვებს. მოკაკვე თითი და წადი შინ შენს ბავშვებთან!

მეფანდურე ლადიკოს ყველაფერზე ლექსური ლაპარაკი სჩვეოდა და არც ახლა დააყოვნა, უმალვე წაუშაირა:

მალაქია, რა გაბია, თავია თუ ბეღელი?
თუ არა გაქვს, გენაცვალე, თავი სამართლებელი,
შენ თვითონვე მოიჭერი თავი სამართებელით.

ისევ იფეთქა სეირისმოყვარულთა სიცილმა.

— თქვენს ჯინაზე არ დავხურავ დუქანს, ერთი მუშტარიც რომ არ დამრჩეს, არ დავხურავ! — წამოიწკავწკავა სიცილის და სიტყვის ჯოხით გალახულმა მალაქიამ. დაიხურა ქუდი და გახუშტურებული უკან მოუხედავად გაიქცა. მირბოდა გზაზე და ტუჩებს იჭამდა სიმ-

წრით: ეს რა დავიდარაბა ავიტეხე, თავი საპამპულოდ ხალხის ყბაში თვითონ ჩავიგდეო, არ უნდა მეჩივლაო.

სინანული გვიან იყო.

ის აბუჩადამგდები, დამცინავი სიცილი საკუთარი ჩრდილივით აედევნა და ოჯახშიც არ მოშორდა. ცოლის გვერდით მოკრუნჩხულად მწოლარეს მთელ ღამეს ის სიცილ-ხარხარი ესმოდა და არ აძინებდა. დილით დუქანში გამოსვლა დააპირა და... ვერ ადგა ლოგინიდან. აქამდე თუ თავისი სხეული ემჩატებოდა და ამბობდა ხოლმე: ფურფუტელასავით ვარო, ახლა ტყვიასავით დამძიმებული ეჩვენა. ავად გახდა მალაქია, ოღონდ რა სჭირდა, ვერც თვითონ თქვა და ვერც ცოლმა გაუგო რამე. ამ იდუმალმა ავადმყოფობამ კარგა ხანს ალესინა ლოგინი კაცს. წამდაუწუმ ცელიანი ჩონჩხი ელანდებოდა და ამით გაწამებულს ერთადერთი დარდი უჭამდა გულს. მე რომ ახლა მოვკვდე, ბურთი და მოედანი ზალიკოს დარჩება და მეცხრე ცაში აფრინდება სიხარულით, ჩემს დუქანს მაშინვე ხელში ჩაიგდებს და... გააუქმებსო. ეს სიყრმის შვილი, ყველაზე უფროსი ბიჭი ასტიონი იმხელა მაინც მყავდეს, ჩემი ხელობა ვასწავლო და გადავაბარო, მაშინ ზალიკოს ის შეეტოქებოდა და შავბნელი კაცის ყველა ზრახვას შავ წყალს გაატანდაო. მე რომ ახლა სული ამომძვრეს, ოჯახი ავად თუ კარგად გაათრევს წუთისოფელს, აი, დუქანი კი ნამდვილად დამელუპება, ამიტომ ზალიკოს ჯინაზე ჯერ არ უნდა მოვკვდე, ჯერ არ უნდა მოვკვდე, ჯერ არ უნდა მოვკვდეო, იმეორებდა წამისწამ. აი, ამ ჯიბრმა, დარდმა თუ ბოღმამ მალაქია როდი დააძაბუნა, პირიქით, გაახელა და... ავადმყოფი ფეხზე დადგა. მერმე, აქაოდა, მთელმა სოფელქვეყანამ დამინახოს, რომ არ წავქცეულვარო, დილიდან საღამომდე იჯდა თავის დუქანში და რაკი უცხო მგზავრის გარდა არავინ შედიოდა მასთან, ოთხ კედელს შუა დაბუნჩულობდა პატიმარივით. უმუშტრობა იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც იყო, რომ ვერარავის ელაპარაკებოდა, [illegible] უმხელდა, სულ რომ გამოყრუვდა კაცი. დარდის ნაოჭებმა მთლიანად დაულიანდაგა პატარა შუბლი.

კაცმა ჯიბრით თუ ბოღმით აჯობა სიკვდილს, მაგრამ იმ გამქირდავ სიცილს კი ვერა, სასამართლოზე თვითონ რომ დაიტეხა თავს. ზალიკოსთან გაპარსვის მომლოდინე ხალხი მალაქიას სადალაქოს წინ დადგმულ გრძელი ფიცრის სკამზეც იჯდა და დროის მოსაკლავად მალაქიას გაქირდვით ირთობდა თავს.

მონადირე მიხეილა რეხვიაშვილი, სასამართლოზე ერთ-ერთ მსაჯულად რომ იყო მიწვეული და იქ მაინცდამაინც არ აქტიურობდა, ახლა განგებ ჩამოჯდებოდა მალაქიას სადალაქოსთან და ჰერი, შეუსვენებლად ჰყვებოდა ვითომდა ამ კაცის ჩადენილ ფათერაკიან გმირულ ამბებს, იქვე იმ წუთას რომ თხზავდა ხოლმე. სხვები გულიანად იცინოდნენ.

მალაქიას მიხეილას ნაამბობიც ესმოდა და სხვების სიცილიც, მაგრამ ვითომ იმას არ ეხებოდა, სამარის ქვასავით სდუმდა, არავის უწყრებოდა: აქაოდა, ილაპარაკეთ და იცინეთ რამდენიც გნებავთ, თავში ქვა გიცხიათ და მუცელში სამართებელიო.

ერთ დღეს მოვიდოდა მიხეილა და ვითომ სხვათა შორის ჩაილაპარაკებდა:

— გაიგეთ, ხალხო, წუხელ ქალაქიდან მომავალ გზაზე, ტყეში, ერთ დიდ ყაჩაღს მოსაგებიდან მომავალი შვიდი კაცი გაუძარცვავს ერთად, შვიდი ხურჯინი წაურთმევია სულ ოქრო-ვერცხლით და ფარჩა-აბრეშუმით გატენილგაძიძგნებული.

— აჰ, ტყუილი იქნება ეგ ამბავი, კაცო?! კაკლად ერთი კაცი, თუნდაც დიდი ყაჩაღი, შვიდს რაფრად მოერეოდა?!

— ეს უბრალო ამბავი გიკვირთ? იმ ყაჩაღს, ასევე კაკლად მარტოს, შარშან ოცდაერთი თოფ-იარაღში ჩამჯდარი მგზავრი ისე გაუძარცვავს, კრინტი ვე-

რავის დაუძრავს. ყველასთვის იარაღიც წაურთმევია და დიდი განძიც. ყველამ იცის, ის თავზეხელაღებული „რაზბონიკი" ვინც არის. ჯარით დასდევენ დასაჭერად და აქამდე მაინც ვერ მოიხელთეს. თქვენც კარგად იცნობთ იმ აბრაგს, ყოველდღე ხედავთ და ვითომ აქ არაფერი, ზედაც არ უყურებთ.

— კაცო, ის მოუხელთებელი ყაჩაღი ეს ჩვენი დალაქი ხომ არაა, მალაქია?!

— ვაი შენს პატრონს, აქამდე არ იცოდი? აბა, ამხელა ოჯახს, ბღარები გოჭებივით რომ დაიხვია, რითი ინახავს ეს კაცი? დალაქობა ნიღბად სჭირდება. ყაჩაღობა რომ ვერ გაუგოს მთავრობამ. აბა!

მეორე დღეს სახნისისცხვირა, პირში ყალიონგაჩრილი ფოსტალიონი ნიკიფორე ბერიძე სერიოზულად იწყებს:

— გაიგეთ, კაცო, ჩვენი დალაქი მალაქია დამტვრეულა მთაში.

მავანი ჩაჰკითხავს, მთაში რა უნდოდაო.

— სანადიროდ წასულა. ვიწრო ბილიკზე ცხრა დათვი ერთად შემოხვედრია, მარჯვე და გულად მონადირეს უკან არ დაუხევია, სამი დაუთოფავს, სამი მუჯირის ჩარტყმით მოუკლავს, ერთიც უროსავით მუშტით გაუგორებია. მეცხრე დათვი რალაცნაირად ზურგიდან მიჰპარვია, უთაქებია თათი და ყირამალა გადაუშვია უშველებელ ხრამში.

ფოსტალიონს მონადირე მიხეილა ჩამოართმევს სიტყვას:

— რა ხანია სადათვეთი მოსპო და სხვა ნადირის სინსილაც გაწყვიტა ერთმა მარჯვე მონადირემ... იგივე ჩვენმა დალაქმა, მალაქიამ, შენ ხარ ჩემი ბატონი.

ხარხარებს ხალხი, რომელმაც კარგად იცის, მალაქია მისდღეში ერთხელაც რომ არ ყოფილა სანადიროდ, თოფი ხუმრობითაც რომ არ სჭერია ხელში.

მესამე დღე.

— ეს ჩვენი მალაქია დალაქი დუქნიდან გარეთ რომ აღარ გამოდის, რა ღმერთი გაუწყრა, რა მოეჩვენა?

— დალოცვილო, ამას კითხვა უნდა კიდევ? ერთობ მჩატეა, ბამბუკის წვერისავით და ეშინია ნიავ-ქარმა არ წაიღოსო.

მეოთხე დღე.

— კაცო, ხომ ხედავ ზალიკოსთან რამდენი ხალხი იცდის? არ მოგწყინდა ყურყუტი. აგერ, მალაქია სულ თავისუფალია, შედი.

— მალაქიასთან შენ შედი, თუ თავი არ მოგძულებია, მეყო, რაც წინათ მაჯახირა. სამ საათს მარჯვენა ლოყას მპარსავდა, მერე მარცხენაზე რომ გადავიდა, იმდენს მელაპარაკებოდა, მარჯვენა ლოყაზე ისევ გასაპარსი წვერი მიბიბინებდა. თუ ზალიკოს არა თათხავდა, თავის გაჭირვებას შემოგჩიოდა. სულ სხვისი წუწუნის მოსმენა კი ვის სიამოვნებს, ყველას თავისი გაჭირვება ჰყოფნის. არა, ძმაო, მაგის ჭუჭყუნის თავი ვილასა აქვს.

მეხუთე, დღე.

— გაიგეთ, მალაქია დალაქს კუჭის ოპერაცია გაუკეთებია! — ამას უკვე მონადირე მიხეილას ვაჟი ამბობს, სოზარა.

— რამ დააჭირვა კუჭის ოპერაცია?

— ეკითხება მამა შვილს.

— არაყს შტოფობით რომ სვამდა, აბა, რა მოუვიდოდა?

მალაქიას არაყი მამლის დეზის ყანწითაც კი არასდროს დაულევია.

მეექვსე დღე. ისევ მიხეილა:

— გაიგეთ, წუხელი გიჟურა ღვინოდ გადაქცეულა.

— ახლაც ღვინოდ მოდის?

— სულაც აღარ მოდის. ამ დილით დაუშვრია მალაქიას. ხომ იცით, რა მსმელიცაა. აი, ასეა, ჩემო ძმაო, თუ გაიგოთ, გიჟურა ღვინოდ გადაქცეულაო, უმალვე დაიჯერეთ, ოღონდ თუ ოციოდე წუთში არ ნახეთ, მერე საერთოდ ველარ ნახავთ, მალაქია დააშრობს ღვინოდქცეულ მდინარეს.

სიცილი გულზე მეხივით ხვდება მალაქიას, მაგრამ სდუმს.

თითქმის ყოველდღე იმართება ამგვარი მუსაიფი, ზოგი ახლებური, ზოგი

გამეორებული. რაკი მალაქია ერთხელაც ვერ გაახელეს და ვერ დააკარგვინეს მოთმინება, თანდათან უკლეს მის გაქილიკება-გაბითურებას, ბოლოს კი სულ მოეშვნენ. მოშვებით კი მოეშვნენ, მაგრამ ამან კიდევ უფრო გამოაყრუა მალაქიას სადალაქო.

ერთ წვიმიან დღესაც სადალაქოებთან ჩავლილი საბარგო მანქანის უკანა ბორბალმა რიყის მოზრდილი სიპი ქვა აისხლიტა და ჯახ! მაინც და მაინც მალაქიას სადალაქოს მოხვდა და ფანჯრის შუა შუშა ჩაულეწა.

შუშის ნამსხვრევებით მოიფინა იატაკი, თვითონ ქვა მალაქიას ფერხთით დაენარცხა. დალაქს მერმე უფროც შეეშინდა, როცა გაიცნობიერა — ბეწვზე გადავრჩიო. იმდენად სიკვდილის არ შეშინებია, რამდენიც დახეიბრების — ეს უბედურებაღა აკლია ჩემს ჭირ-ვარამსო.

კაცი, დიახაც, საღ-სალამათი გადარჩა, მაგრამ ასევე საღ-სალამათად ვერ გადარჩა ფანჯრის წარწერის შუა ნაწილი, ის შუშა ჩაუტყდა, სადაც ეწერა — „კმახ“ და დარჩა — „საპარი... ერო“.

მალაქიამ იმ შუშის ნაცვლად ფანერის ფიცარი ჩასვა. მერმე ვილაცამ წინა წარწერას ყარი ჩაუმატა. ფანერაზე „ხარ ოხ“ მიაწერა და ახლა ასე იკითხებოდა: „საპყარი ხარ ოხერო“. მალაქიას ამ წარწერისთვის ერთხელაც არ მიუქცევია ყურადღება. ან წინანდელ წარწერას რა მნიშვნელობა ჰქონდა, ან ეს რას ცვლიდა?!

მალაქიას აღარავინ ულებდა საპარიკმახეროს კარს. მის გარე სკამზეც კი აღარავინ ჯდებოდა. ჰოდა, მარტოდ მარტო დარჩენილს აღარც მუშტარი ჰყავდა, აღარც ვინმეს ხმა ესმოდა მახლობლად, ვილაც-ვილაცები რომ დასცინოდნენ, ხომ გული უწვრილდებოდა, ახლა ის ქირქილა ხმაც ენატრებოდა.

როცა შეატყო, სადალაქოში ჩაკეტვით სულ ვერაფერი ვიხეირეო, ჩაიცვა ის მოკლე, დაცხრილულ-დაფხავებული ხალათი, ოდესღაც თეთრი რომ იყო, და სადალაქოს ღია კართან ჩამოჯდა. ყველა უცნობ გამვლელ-გამომვლელს შორიდან ესალმებოდა თავის [illegible] აქაოდა, ყურადღება მომაქციეთ, მალაქი ვარო. ეს გარჯაც ამაო გამოდგა. თითქმის უცხოებმაც მოუწყვეს შეთქმულება, მისკენ ისინიც აღარ იყურებოდნენ. სულაც უფასოდ გაპარსავდა მავანს, ოღონდაც მასთან შესვლა ეკადრებია, მისი ხვაშიადისთვის ყური დაეგდო, ესეც აღარავის უნდოდა. მუდარით გატენილ მალაქიას თვალებს ვერავინ ამჩნევდა.

ხვაშიადის ამდენ უთქმელობას ვეღარ გაუძლო მარტოსულად დარჩენილმა კაცმა და მთის სოფელ ორბეთში სიარულს მოუხშირა. იქ ზოგჯერ მაინც ჰყავდა ხმის გამცემი და ყურის დამგდები მუშტარი, თანაც გრძელ გზაზე ყველაფერს ესაუბრებოდა — ხეს, ბალახს, ქვას, ყვავილს, ხოჭოს, ზოგჯერ ღრუბელსაც, ყველა თავისი ფიქრის მოზიარედ გაიხადა.

მერმე ორბეთიდანაც ხალხმა ზალიკოსთან დაიწყო სიარული, დამრეცილი და ქვა-ღორღიანი დიდი გზის ჩამოვლა-ავლასაც აღარ ერიდებოდნენ, ოღონდაც წესიერად გაეპარსათ წვერ-ულვაში და კოხტად გაეკრიჭათ თმა.

ეს უკვე მალაქიამ საბოლოო მარცხად მიიჩნია, სულ გავბითურდიო, ტყუილ-უბრალოდ მთის ღორღიან გზაზე ხეტიალს და ფეხების დაბეგვას ისევ თავის დუქანში უსაქმოდ ყოფნა ამჯობინა. მკვდრის გასაპარსავად და გასაპატიოსნებლადღა თუ დაუძახებდნენ ხოლმე, ეგ იყო და ეგ, სოფელში კი განა ყოველდღე ან თუნდაც ყოველ თვე კვდება ვინმე?

ხშირად მთელი დღე ფერგახუნებული სარკის წინ გარინდებული იჯდა და ფიქრობდა: ერთობ დამიბრიყვა, დამჩაგრა, დამიმორჩილა და მიწასთან გამასწორა ცხოვრებამ, აღარა ღირს ჩემი სიცოცხლეო. ჩემისთანა მამა შვილებს გინდა ჰყოლია და გინდა არა... ჯანდაბას ჩემი თავი და მისი თავიც, მივყიდი დუქანს იმ მოწოწებულ ვიგინდარას სარფიანად, იმ ფულს მთლიანად ოჯახს დავუტოვებ,

თვითონ კი ან თავს მოვიკლავ, ან გადავიკარგები აქედან... თუ დალაქად არავინ მამუშავებს, დარაჯად დავდგები, ღამით ძილი მაინც ხშირად მიტყდებაო.

ერთ კვირა საღამოს, ამ ორფერი ფიქრით თავდამძიმებული კაცი უფერული სარკის წინ რომ ყვინთავდა, უცნაური ყიჟინა მოესმა: არიქა, უშველეთ, იწვისო!

დამფრთხალმა დააჭყიტა თვალები, მგონი ჩემს დუქანს უკიდია ცეცხლი და თუ თავს მალე არ ვუშველე, შიგ ჩემი სართიანი ფიქრიანად ამოვიბუგებიო. ახლო-მახლო ცეცხლის სუნი რომ ვერ იგრძნო, თავში სიხარულმა გაუელვა, ალბათ ჩემი დამღუპველ-დამაქცევარი იწვისო. მაშინვე გაიხედა გარეთ. არა, ზალიკოს სადალაქოს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, კვამლი გამოდიოდა სკოლის ქვედა სართულის ღრიჭოებიდან და იმ კვამლისკენ გარბოდა ხალხი, ზოგი კოკით, ზოგი ვედროთი, ერთი ქვაბით, მეორე ტაშტით.

ცეცხლი ისე ჩააქრეს, აგურგურება ვერ მოასწრო. თანდათან დამშვიდდა ხალხი. მერმელა დაათვალიერეს და ნახეს: ქვემო სართულის ქვიტკირის კედლის თავზე, სადაც ზედა სართულის ხის საძირკველი ღრიჭოს აჩენს, შეჩურთული იყო ძველი ბამბა და რაღაც ძონძები. იმ ბამბასა და ძონძებს ეკიდა ცეცხლი, რომელსაც შეეძლო მთელი სკოლა გადაებუგა, ხალხს დროზე რომ არ ჩაექრო.

ეს ამბავი იმ ეჭვით თუ უსახელო ავადმყოფობით დასენიანებულ წელს მოხდა, ცხოვრებაში დატრიალებულ უბრალო ავ შემთხვევასაც კი ვიღაცის მავნებლობას რომ აბრალებდნენ.

იმავე ღამეს კესარიას მკლავზე გემრიელად მძინარე ზალიკოს სამი შეიარაღებული კაცი დაადგა თავს, ლოგინიდან ცივად წამოაგდეს და დაუწყეს უმოწყალოდ ცემა: გინდა თუ არა აღიარე, ცეცხლი სკოლას შენ რომ წაუკიდეო. ცემა-ტყეპით დაალილავეს კაცი. ის ბამბა, ცეცხლი რომ ეკიდა, სწორედ შენი ძველი ბამბაა, დალაქობისას ნახმარიო. ბამბა არ ვიცი ვისია, იქნებ ვინმემ მართლაც აკრიფა ჩემი გადაყრილი ნახმარი ბამბა, მარა, ცეცხლი კი ნამდვილად მე არ წამიკიდებიაო, — ჯიუტად იმეორებდა ზალიკო. რომ ვერ გამოტეხეს, დაავლეს ხელი და წესიერად ჩაცმა-დახურვაც არ აცალეს, წუღებში ფეხებწაყრილი, უქამრო გალიფესა და თეთრი პერანგისამარა წააჯიგლიგეს, შავ, ყრუკედლიან მანქანაში შეაგდეს, კარი გარედან მაგრად დაუკეტეს და გააქანეს სადღაც.

არა, ზალიკოს მოძულე მალაქია ამ ამბავში უცოდველი იყო, ღმერთმანი. იმ გამწარებულ და გაბოღმებულ კაცს არ შეუტანია სადმე დასმენა-საჩივრის ქაღალდი — სკოლას ბავშვებისა და ქვეყნის დაუძინებელმა მტერმა, მავნებელმა ზალიკო ხანჯალაძემ წაუკიდა თავისი ნახმარი ბამბით ცეცხლიო, სულ სხვა ხალხმა იზრუნა ამაზე, იდუმალმა, ფარულმა ხალხმა, სიფხიზლისა და კანონიერების მოდარაჯემ.

ოღონდ, აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ მხოლოდ დასმენის საკითხში იყო მალაქია უცოდველი, თორემ გულში სიხარულად რომ ჩაელვარა ეს ამბავი, ამას რაღა უნდა ფიცი-მტკიცება.

— ახლა მაინც აღარ დაიჯერებს ხალხი, იმ გათახსირებულს ბავშვები გულის კუნჭულში სიკვდილივით რომ სძულდა? ბოლოს და ბოლოს, ხომ ნახეთ თქვენი თვალით რაც ჩაიდინა? თურმე ბამბა მარტო ნაკრეჭი თმის თავიდან ასაკრეფად კი არ სდომებია, უფრო სხვა რამისთვის. გაება, გაება მგელი ხაფანგში, როგორც იქნა. ახლა იყმუვლოს იქ!.. იროხროხოს რამდენიც უნდა! ასეთია ყველა ბოროტი კაცის ბოლო!

დაიკეტა ზალიკოს სადალაქო და გული გაეხსნა მალაქიას, უცებ ათი-თხუთმეტი წლით გაახალგაზრდავდა. შუბლზე ნაოჭების ლიანდაგები შეუმცირდა. მართალია, დალაქობის ფხა არ მომატებია, წინანდებურად უნიათოდ ირჯებოდა, ზანტი მიხვრა-მოხვრით, კვლავ უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე საქმეს აკეთებდა, სანამ კაცს ერთ ლოყა-

ზე უსვამდა და უცაცუნებდა სამართებელს. მეორე ლოყაზე შემხმარი საპნის ქაფი ნახმარ ბამბას ემსგავსებოდა, თვითონ თავს მაინც კარგად გრძნობდა, რადგან მუშტარი აღარ აკლდა.

გახარებით კი გაიხარა მალაქიამ, მაგრამ ერთი შიში მაინც დარჩა: ვინმე ახლადგამოჩეკილ დალაქს არ ეყიდა ზალიკოს დუქანი თავისი მოწყობილობით, ავეჯით და ხელსაწყო-იარაღებით. ზალიკოს დაჭერის წლისთავზე მარტოდ დარჩენილ კესარიას კაცი მიუგზავნა, ქმრის ნაქონი იარაღი და დუქანი მომყიდეო. დეიდამ დისწულს ცივი უარი შემოუთვალა: სულ ხომ არ გაგიჟდი, ეს როგორ გამიბედე, ჩემი კაცი ტყუილ-უბრალოდ დაიჭირეს, ბოლოს და ბოლოს, გაიგებენ მის უდანაშაულობას და ბოდიშის მოხდით გამოუშვებენო.

— კი, კი, ელოდე, ელოდე! ხვალ თუ არა ზეგ უეჭველად დაგიბრუნდება ჩინ-მედლებით ჩარიყლინებული და ოქრო-ვერცხლით სავსე ხურჯინგადაკიდებული. — გადასძახა თავისი ეზოდან დეიდას აქამდე უბრად მყოფმა დისწულმა და ჩაიხითხითა.

თითქოს მალაქიას ენამ უყივლაო, სწორედ იმ დღეებში მოხდა ასეთი ამბავი. ორი ბიჭი, ლეო და სანდრო გიქურას ნაპირზე, ქვიშრობ მოედანზე სხვა ბიჭებთან ერთად ბურთს თამაშობდნენ. გოლის გატანაზე ვერ შეთანხმდნენ და დავა ჩხუბში გადაიზარდა. სანდრომ მუშტი რეხვა ლეოს და ცხვირპირი აღდგომის კვერცხივით გაუწითლა. ლეო სისხლმა შეაშინა და აუყვირდა მეტოქეს: შენ ზალიკოს გადაყრილი ბამბით და ძენძებით სკოლის დაწვა რომ გინდოდა და შეგრჩა, ამ ყაჩაღობასაც ისე კი არ გაპატიებო. მათი ჩხუბის ამბავი გაიგეს სადაც საჭიროა და დაადგინეს, რომ თურმე იმ დღეს სანდროს და ერთ მის ამხანაგს, ვასიკოს, მათემატიკის მასწავლებელზე განაწყენებულს, თურმე თავში მოუფრიკინდათ სკოლის დაწვა, შეტენეს სადალაქოსთან აკრეფილი ბამბა და ფალასფულასი სკოლის კედელში, მოუკიდეს ცეცხლი ჩუმად და გაიპარნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდა, ხანმოკლე გამოდგა მალაქიას აჭყლოპინება და მისი დუქნის გამოცოცხლება-გამხიარულებაც. ზალიკო რამდენიმე თვის შემდეგ თავის კესოს და სადალაქოს დაუბრუნდა.

მართალია, გამოტეხის დაძალებით ნაწამებ-ნაგვემი კაცი ახლა ერთობ მოტეხილი იყო, ძველებურად ვეღარ როხროხებდა, სკოლის ღობეზე გადასასვლელისკენაც იშვიათად გაურბოდა თვალი, დუქნის წინაც ბოლთის ცემისას არხეინად აღარ ღიღინებდა, მაგრამ მის სამართებელს ფხა ძველებურად უჭრიდა, დაჩლუნგება ოდნავადაც არ ემჩნეოდა და მალაქიას ყველა კლიენტმა კვლავ ზალიკოსკენ იბრუნა პირი, ისევ დადუმდა და დაყრუვდა მალაქიას დუქანი.

უქმროდ მოსიარულე ზალიკოს დაბრუნება ჟანგიანი ლურსმანივით დაესვა გულზე ფეხშიშვლად მოტანტალე შვილების მამას. თითქოს ყველაფერი მოეწამლა — სისხლი, გონება, სული, ხორცი. ხშირად ეჩვენებოდა რომ თვალსა და ხელს შუა სარეცხის საპონივით ილეოდა და პატარავდებოდა. ხელმოცარულ და თვალებამოლამებულ დალაქს სარკეში თავისი ორეულის დალანდვაც აშინებდა, კი არ დადიოდა მიწაზე, დალასლასებდა. რატომღაც ტუჩების წამდაუწუმ ჰამა დასჩემდა, თან ჩურჩულებდა:

— ღმერთო, ან მე მომკალი, ან — ის! რატომ მაწამებ ამდენს!

არ შეისმინა მამაზეციერმა მისი ვედრება. მიქელ-გაბრიელმა არც ერთს არ ახლო ხელი, თითიც კი არ დაუქნია შორიდან. აი, ერთადერთი ბიძა კი მოუკვდა მალაქიას, მალაზიის გამგის იოველის მამა, ლუკა.

მალაქია იქ მხოლოდ მეორე დღეს მივიდა. თმებგაშლილი ქალიშვილები მწარე მოთქმით დასტიროდნენ მამას, იოველიც ხშირად იცრემლებოდა გულამომჯდარი სლუკუნით. მალაქიას გა-

მოჩენისას ჭირისუფლებმა ერთხმად რომ მიაძახეს, აღარა გყავს შენი გამზრდელი კარგი ბიძაო, ძმისწულმა თავში წაიშინა ხელები და ისეთი ცხელი ცრემლები ჩამოუღვარღვარდა ლოყებზე, ქვას დაადნობდა. ბიძაშვილ იოველზე იყო ნაწყენი კაცი, თორემ მოამაგე ბიძის სიკვდილი რომ ნამდვილად ეწყინა, ეჭვიც არავის შეჰპარვია, ოღონდ თუ მის ცრემლს მავანი და მავანი იდუმალი თვალით გულში ჩახედავდა, ბიძის გლოვის გარდა მასში სხვა რამესაც აღმოაჩენდა.

საქმე ის იყო, რომ მალაქიამ წინა დღეს შესაწირავიც წამოიღო შინიდან, ოღონდ ბევრი არა, რამდენიმე გროში. განა არ ემეტებოდა, შვიდშვილიანი ოჯახის პატრონს მეტი არ ჰქონდა. შესაწირავის შემგროვებელთან ზალიკომ მიასწრო. ერთი ჩაფი ღვინო, ნახევარი ფოხალი ლობიო და ცოტა სიმინდის ფქვილი მიუტანა, მერმე ფულიც სამჯერ იმაზე მეტი დადო, მალაქიას რომ მოჰქონდა. წარმოიდგინეთ, რა ქარბორბალაც დატრიალდებოდა მის სულში, შარახევში საიდანღაც ჩამოხეტებული კაცი მალაქიას ბიძის ოჯახს იმაზე მეტ შესაწირავს რომ აძლევდა, ვიდრე ღვიძლი ადამიანი. გაბრაზდა თავის უბადრუკობაზე, მაშინვე უკან გაბრუნდა და სანამ ზალიკოზე მეტი შესაწირავი არ მოაგროვა (ზოგი სესხით, ზოგიც ისე), ბიძის სატირლად არც წავიდა. ჰოდა, ახლა ბიძასთან ერთად იმასაც ტიროდა ცხარედ, გადამთიელი მეტოქის ჯიბრით ასეთი დაფაცურება რომ დასჭირდა, ვილაც-ვილაცების ვალში რომ ჩავარდა.

ტირილით გულგაჯერებული შინ მარტო წამოლასლასდა და გზა ზალიკოს გინებით მოთესა. შვიდიოდეჯერ ხმამაღლაც კი შეუკურთხა. მერე რა, მისი გინება გზის გარდა რომ არავის გაუგონია, თვითონ ასელა მოიფხანა გული და რაღაცნაირად ეშელავათა. მაინც რა მადლი აქვს ზოგჯერ გინებას, როგორ ამშვიდებს ადამიანს! — ახლაღა მიაგნო ამ ჭეშმარიტებას.

მალაქია მთელი წელიწადი მოუნდა იმ შესაწირავის ვალების გასტუმრებას. ბავშვები ხშირად ხილზეღა გადადიოდნენ, სხვა ლუკმა რომ არ ჰქონდათ.

ლუკას საწლოს სუფრა რომ გაიშალა, მალაქიას და ზალიკოს პირისპირ მოუწია დასხდომა. სუფრა არც თუ ისე გრძელი იყო, თამადას მოადგილეც რომ დასჭირვებოდა. მაგრამ თამადად არჩეულმა მიხეილა რეხვიაშვილმა მოადგილეობა მალაქიას შესთავაზა. ყველა მიხვდა, რომ მიხეილა მონადირემ ეს ანგლობით უფრო ჩაიდინა, აქაოდა. რაკი ბერიკაცის საწლოა, გლოვის ახსნის დღეა, შიგადაშიგ სუფრაზე გახუმრება და სიცილი შეიძლებაო.

მალაქიამ, რომელსაც დასათრობად სამიოდე ღვინის ჭიქა ჰყოფნიდა და თავის დღეში არც თამადად ყოფილა, არც მოადგილედ, თამადის შემოთავაზებული თანამდებობა უყოყმანოდ შეიმშვენა მაშინვე: ამ ოჯახის ყველაზე ახლობელი უფროსი ნათესავი მე ვარ და თამადის მოადგილეობაც ჩემთვის სწორედ რომ უპრიანიაო.

ორი ჭიქა რომ დალიეს, მალაქია ჭაჭანაჭამი ინდაურივით გაბურბუსალდა, ღვინო იმაზე მალე მოეკიდა, ადრე რომ ათრობდა, და... მესამე სადღეგრძელო თამადაზე გრძლად გაჭიმა, თანაც აბნეულ დაბნეულად, ღობე-ყორეს მოედვა. ბიძაჩემი ლუკას ნათელი სული ახლა უზომოდ ხარობს და მზეობს, რადგან იქ თავისიანებთან ქეიფობსო. ჩვენ რომ მივუვალთ იქ, კიდევ უფრო გაფოფინდებაო. რასაც ჩვენ ახლა აქ ვჭამთ და ვსვამთ, ყველაფერი საიქიოში ჩვენს მიცვალებულებს მისდით, ამიტომ სუფრას ნუ დაზოგავთ, რაც შეიძლება ბევრი სვით და ჭამეთ, საიქიოში წასულებს ნუ ვაშიმშილებთო... მერმე ამოიჩემა რამდენიმე სიტყვა და წისქვილის დოლაბივით ატრიალა და ატრიალა: ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, სიკვდილის შვილები ვართ ყველანი, ყველას შეგვჭამს დედომიწაო, (ჰო, ასე ამბობდა, დედომიწაო), დედომიწა ყველას შეგვჭამსო, ყველას დედომიწა შეგვჭამსო, და ყველას დაუმიწდეს ენა, ენა ყველას

დაუმიწდეს, დაუმიწდეს ენა ყველას, ვინაც ეს სადღეგრძელო არ დალიოსო. ამ დროს ვილაცამ მოკლედ გაიცინა და მალაქიამ ყური მოჰკრა. ახლა იქით გადაისროლა სიტყვა: დავილუპებით, ორმოცსა და საწლოზე ღიმილი და სიცილიც რომ არ გამოვურიოთ. პატარა კიდეც უნდა წავილილინოთო, ოჯახს გლოვა უნდა ავხსნათო. ამ სუფრაზე ზოგი ჭირისუფალია, ზოგიც ჭირისუფლის თანამგრძნობელი, ასე რომ, ისიც ჭირისუფალია, ვინც ჭირისუფალს უთანაგრძნობსო. მეზობელი ჭირისა და ლხინის გამზიარებლად გვინდაო. გაუმარჯოს სასაფლაოს და ყველას საფლავს, ყველაზე დიდი წყევლაა — შენ დაგეკარგოს საფლავიო, საფლავიც თავისებური სიცოცხლეაო... ჭირში დახმარებისთვის ლხინი მოგეცეთ ყველას: მეზობელს, ნათესავ-მოყვარეს, მიროს, ჭირისუფლის ყველა თანამგრძნობელსო... ვისაც ჭამა-სმა არ უყვარს, მისთვის გემრიელ და ხვავრიელ სუფრაზე მიპატიჟება სულაც არაა პატივისცემაო. საიქიოში რა იქნება, ეშმაკმა უწყის, სააქაოში ვასიამოვნოთ ერთმანეთსო, სანამ მზეს ვუყურებთ, ვისიამოვნოთო. თავის თავს ვერავინ უშველის, თუ ღმერთმა არ უშველაო. ყველა მათხოვარი ღმერთად ასაღებს თავს იმის შემდეგ, რაც ქრისტე-ღმერთმა მათხოვრად ჩამოიარა და ერთი დედაბერის გარდა კარი არავინ გაუღო და ღამე არ გაათევინაო. ამიტომ ყველა მათხოვარსა და გლახაკს გაუმარჯოსო. ალბათ მალაქია კიდევ ბევრ რამეს გაიხსენებდა ამ თავმოუბმელ სადღეგრძელოში სათქმელად, უცებ ზალიკოსთვის რომ არ მოეკრა თვალი.

ზალიკოს საწვეულებო ახალუხი ეცვა. მალაქიას სადღეგრძელომ შეუხუთა სული თუ უიმისოდაც დასცხა, ღილ-კილოები დარდიმანდულად გაიხსნა. ეს რომ დაინახა მალაქიამ, სადღეგრძელო მიატოვა და გულგადაღეღილ კაცს საყვედური ესროლა:

— ეგ რა ზრდილობაა, ჭირის სუფრაზე ბანჯგვლიანი გულ-მკერდი გამოაჩინო, ასეთი რამ სად გაგიგონია? იმ შენს საგამზრდელოში თუ ასე იციან, აქ არაა მიღებული და... კეთილ ინებე, სადაც ხარ, იმ ხალხის წესით და რიგით მოიქეცი!

ზალიკოს საყვედური ვითომ არც გაუგონია, ხმა არ გასცა მალაქიას.

საწლოს სუფრაზე მეოთხე ჭიქას რომ დალევენ, ეს უკვე ოჯახისთვის გლოვის ახსნას ნიშნავს, ასე ვთქვათ, ტაბუს მოშორებას, ამ დროს უნდა წამოიმღეროს ვინმემ. გრძელი მრავალჟამიერი კი არ გაჭიმოს, ერთ მუხლად წამოიმღეროს რამე, ჭირის სუფრას შეპარვით ლხინი შეურიოს.

მოხდა ისე, რომ სიმღერის წამოწყება ყველას ზალიკომ დაასწრო, თანაც კი არ წამოიღიღინა, ხმამაღლა დასძახა: ო, ჰო, ჰოი, აბა, გვიხაროდესო.

ადუღდა მალაქია: ეს რას ჰგავს, ვილაც მოთრეული აქ ყველაფერს გვაცლის პირიდან, ამ გლოვის ახსნის სუფრაზე სიმღერა პირველად მე უნდა წამოვიწყოო.

— შენ რა ისეთი ჩიტი ხარ? — მოურიდებლად მიახალა ზალიკომ და ქვედა ტუჩი კიდევ უფრო წინ გამოსწია.

— ეს ბიძაჩემის გლოვის ახსნის სუფრაა, თავხედო! მე ამ ოჯახის ყველაზე ახლობელი უფროსი ნათესავი ვარ, სახლიკაცი, შენ კი ვინ მიგდიხარ აქ, მუდრეგო, შენი სინსილა კი მოისპოს!

ზალიკომ რაღაც ჩაიბურდღუნა და წამოდგა. მალაქიამ სუფრაზე სხვა რომ ვერაფერი მოიხელთა, ლავაში აიტაცა და ესროლა, ზალიკომ თავის დახრა მოასწრო, ლავაში თამადისკენ გაფრინდა, მაგრამ თვალსწრაფმა მიხეილამაც იმარჯვა, უცებ ჩაიკუზა, ლავაში ფანჯარას მოხვდა და რაფაზე გაიშოტა. მალაქიამ კვლავ დაავლო ხელი ლავაშს და ესროლა თავდახრილ ზალიკოს. ამჯერად მოარტყა შუბლში. რბილი ლავაში, თუნდაც მაგრად მირტყმული, ვის რას ატკენდა, მაგრამ ეს მუქარა ზალიკომ შეურაცხყოფად მიიჩნია, თვითონაც ლავაში აიტაცა და მალაქიას, რო-

მელმაც ჩაკუზვა ვერ მოასწრო, პირი-სახეზე სილასავით გააწნა.

ატყდა ლავაშების სროლა — გეგონებოდათ, სუფრის თავზე რაღაც უცხო ფრინველები დაფრინავენო.

მეტყევე იაგორამ და დურგალმა შერმადინამ გააკავეს მალაქია. აყვირდა კაცი:

— გამიშვით, გამიშვით! უნდა მოვკლა ეგ ქვეყნის წამბილწველი, მავნებელზე მავნებელი! გამიშვით, უნდა მოვკლა!

— მალაქია, დაშოშმინდი! ლავაშით მოკლული კაცი სად გინახავს? ან — შოთების არტილერიით ვის გაუნადგურებია ვინმე? — ჩაუქირქილა თამადამ მოადგილეს. — თუ ვინმეს მოკვლა გიდევს გულში, იშოვე თოფი, გატენე სადათვე ჟაკნით, დაუმიზნე და ფიშტ! შე კაი კაცო, სადათვეთი გაწყვიტე ჩვენს სოფელ-ქვეყანაში და ერთ კაცს ვერ მოუღებ ბოლოს? ანდა, უკეთესს გირჩევთ, გადით ორივე გარეთ, დაიჭირეთ ხელში სამართებლები და... დაკალით ერთმანეთი ქათმებივით.

იმ სუფრასთან მოჩხუბრები კი დააშოშმინეს, მაგრამ უკვალოდ არაფერი არ ქრება. ჩუმი ბოღმა უდუღდა გულში ორივე დალაქს. სოფელი ხშირად იგონებდა ლავაშებით ატეხილ ბრძოლას და იცინოდა.

ადრევე მოგახსენეთ, მალაქიას თოფი ხუმრობითაც არასდროს სჭერია-მეთქი, არც სამართებელი შეუმართავს ვინმესთვის ყელის გამოსაჭრელად. ლავაშებით ორთაბრძოლის გამო სიცილიც თანდათან მიწყდა.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ კესარიას კივილმა გააღვიძა სოფლის დილა. ზალიკომ მოულოდნელად დალია სული, ავად ერთ დღესაც არ ყოფილა.

შარახევმა ათასი პირი მოაღო.

ერთი ვარაუდობდა: კაჟივით კაცი კესარიას დააკვდა ყალყზე შემდგარ მკერდზე, მაგრამ ის ალქაჯი დედაკაცი ამას ხომ ვერ გაამხელს, ქმარი მე შევიკალიო.

მეორე სინანულით აქნევდა თავს: ვინ იფიქრებდა, თუ ეს ბებერი ფაშატი ასეთ ულაყს მოინელებდა, — ეს რა კერკეტა ქალი ყოფილა, უკვე მესამედ დაქვრივდა და აგერ ნახავთ, თუ ქმარი კიდევ არ იშოვოსო.

მავანიც ზალიკოს სიკვდილს ციხეს აბრალებდა, მაშინდელმა ტანჯვა-წამებამ და გვემამ ახლაღა უწია, ხომ იცით, უდანაშაულო როცა ხარ და მაინც ციხეს გალესინებენ, მერმე კიდეც რომ გაგამართლონ, გულში მაინც გრჩება შეურაცხყოფა და სიცოცხლეს მალე გისწრაფებსო.

სეირის მოყვარული ხალხი იმას ჩიოდა, ორი დალაქის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს რომ ველარ ვნახავთ, რა გვეშველება, რაღაზე ვიცინოთო.

ასე იყო თუ ისე, ზალიკო ხანჯალაძემ ორნაქვრივალი კესარია მესამედ დააქვრივა, უპატრონოდ მიატოვა ლამაზად მორთულ-მოკაზმული კოხტა სადალაქო და თვითონ შარახევის ძველი სასაფლაოს მიწას მიებარა. მის დაკრძალვაზე არც შვილი ჩამოვიდა, არც ვინმე ნათესავთაგანი. პირლია სამარემდე იმ ხალხმა მიაცილა, ხუთი-ექვსი დღის წინ რომ გაალამაზა თეთრტარიანი გემრიელად მპარსავი სამართებლით.

ერთი კვირის თავზე კი იმავე ხალხს წვერ-ულვაში წინანდებურად წამოეზარდა და გასაპარსად ქალაქში ხომ არ წავიდოდა, ისევ მალაქიას დაუჯდა ფერგაცრეცილი სარკის წინ.

მართალია ბუნჩულა დალაქს მუცელი წინანდებურად უბუყბუყებდა, ენასაც წინანდებურად შეუჩერებელი ლაპარაკით ლესავდა, ხოლო მის სამართებელს ფხა ოდნავადაც არ მომატებია, თუნდაც მცირე საყვედურს აღარავინ უბედავდა.

როგორც იქნა საბოლოოდ მოვერიე ზალიკოს, სიკვდილი მომეშველა და მოვერიეო, ფიქრობდა გახარებული მალაქია. ისე დამშვიდდა, როგორც კაცი, კბილი კარგა ხანს საშინლად რომ სტკიოდა და უწვალებლად ამოიძრო.

წისქვილის დოლაბივით შემოტრიალდა კიდევ ერთი წელიწადი. ზალიკოს მეტოქეობა მალაქიას აღარ აწუხებდა, მაგრამ, აი, მისი სადალაქო რომ კვლავ გვერდით ედგა! ეს კი ხშირად კბენდა გულზე.

პატრონმკვდარ, სამარესავით დადუმებულ სადალაქოს და იმ სადალაქოში უქმად დაყრილ დაობლებულ ხელსაწყო-იარაღს შორიდან ბევრი უტრიალა მალაქიამ, ეგება ხელში ჩავიგდო, სხვა რომ ვერავინ დაეპატრონოსო, მაგრამ დეიდამ ახლა უფრო დიდი ქვა ააგდო მაღლა და იმ ქვას ქვრივი თავი შეუშვირა, არ მიჰყიდა დისწულს არაფერი, ახლა უფრო მკვახედაც შემოუთვალა: კარგა ხანია ჩემი თვინიერი ქმრის სიძულვილის მეტი არაფერი გაგიკეთებია, შენი ღვარძლიანობით მოუშხამე უკეთილშობილეს ჩემს კაცს ოქროს გული, დღედაღამ იმის სიკვდილს ევედრებოდი მამაზეციერს, ნატვრა გაინაღდე, მოინელე ჩემი ერთადერთი სიცოცხლე და იმედი და ახლა ასეთ რამეს რა პირით მიბედავ, შე სინდისისაგან გარეცხილო, მის დანატოვარ დუქანსა თუ სხვა რამეს შენ როგორ ჩაგიგდებ ხელში, რაც არ უნდა შემომაძლიო, სულაც გადავწვავ, გადავბუგავ და შენ მაინც არ მოგყიდიო.

სწორედ იმ ხანად ჯარიდან დაბრუნდა მალაქიას მოგვარე, გალმაუბნელი ბახვა. თუ თქვენი თვალით არ გინახავთ, გაგონილი მაინც გექნებათ, ჯარისკაცებს პირს რა ხშირად აპარსვინებენ, მით უმეტეს, ქართველს, დილით რომ გაიპარსავს, საღამოზე ისევ გასაპარსი წვერი რომ უჩანს. ბახვა ჯარში თურმე სხვებსაც პარსავდა ხოლმე და აღმოაჩინა, რომ დალაქობის ნიჭი დაჰყოლია, ისე გაიწაფა ამ საქმეში, რომ დიდ-დიდი მეთაურებიც კი პოლკში სხვას აღარავის აპარსვინებდნენ პირს. ბახვაც კმაყოფილი იყო: ჯარში მთლად ფუჭადაც არ მოვცდი, ხელობა ვისწავლეო, თოფის ხელში დაჭერას ნამდვილად სამართებლის ხელში დაჭერა სჯობიაო. მართალია, თოფივით ზოგჯერ სამართებელიც აღვრევინებს ადამიანს სისხლს, მაგრამ სად თოფით დაღვრილი სისხლი და სად სამართებლითო.

ბიბლიოთეკა

კესარიამ გაიგო ჯარიდან დაბრუნებული ბახვას ამბავი და... არც აცივა, არც აცხელა, ზალიკოს დანატოვარი სადალაქოც და იარაღიც ბახვას აჩუქა. არა, ეს ლამაზი საცოლე ბიჭი შინ არ მიუწვევია — მეშვილეო, ყოველგვარი ქვენა გრძნობების გარეშე აჩუქა, ზალიკოს სულის საცხონებლად, სამახსოვროდ, და... და მალაქიას ჯიბრზე. ასე იძია შური დისწულზე, რომელსაც მისი მესამე ქმარი სიკვდილივით სძულდა.

მალაქიას კლიენტებმა ჯერ კანტიკუნტად გადაინაცვლეს ბახვას სადალაქოში, ასე ვთქვათ, სამართებლის ფხა შეუმოწმეს, მერმე კი ყველამ ზურგი შეაქცია მალაქიას.

ერთ დღესაც მალაქიამ გაიხედა და ელდა ეცა: მისი უფროსი ვაჟი, ასტიონი, ეს-ესაა წვერ-ულვაში რომ ამოუბიბინდა, ბახვას უზის სარკის წინ ლოყებგაქაფული.

— ტფუუ! ამ ოხერ წუთისოფელს კი რა ვუთხარი, ტფუუ! — მალაქიამ ბრაზიანად გააფურთხა და ეს მოზრდილი ფურთხი მისსავე სამართებელს დაეცა და ზედ დაეკრა დახატული აბაზიანივით.

— ბიჭო, ვისთან გაიპარსე შენ პირი? — ჰკითხა ბახვას სადალაქოდან გამოსულ შვილს მამამ .

— რა მოხდა მერე, ქვეყანა დაიქცა? — არხეინად მიუგო ასტიონმა.

— არ გრცხვენია, ბიჭო, მამაშენს აცლი ჯიბიდან ისედაც გალარიბებულ გროშებს და სხვას უჩხრიალებ ჯიბეში?

— არაფერსაც არ ვუჩხრიალებ, ისე გამპარსა, კაპიკიც არ გადამახდევინა...

— ვაი შენს პატრონს! ეგ კიდევ უარესი! შენი ფეხი აღარა ვნახო ჩემს სახლში! მოღალატე, მოღალატე!.. მამის მკვლელი მოღალატე!..

ასტიონმაც დაჰკრა ფეხი და სადღაც გადაიკარგა. ვიღაცამ თქვა, ქალაქისკენ გაუტიაო. თეთრად ღამეგატეხილმა მალაქიამ ძაღლის ალიონზე ერთი ღრმად

ამოიხვნეშა და იმ ამოხვნეშას ამოაყოლა შავ-თეთრი სული.

ატირდა თმაგაშლილი ნატალია, რა ოქროსგული და რა ოქროსხელა ქმარი დავკარგე, შურიანმა ხალხმა მომიკლა, თვარა რა დროს ამის სიკვდილი იყო, ჯერ ჯან-ღონეც მოსდევდა და არც ბებერი იყო, წვრილ-შვილის გამზრდელი ბედნიერებას აწი ელოდაო.

დედის მოთქმა-ტირილზე აღრიალდნენ შვილებიც. მათი საცოდაობით ქვასაც ცეცხლი წაეკიდებოდა. იმდენი ცრემლი დაღვარეს, ცხედრის გარშემო სოხანე აატალახეს. მაინც სად ჰქონდათ ამდენი ცრემლი შემორჩენილი, როცა წინათ ხან შიმშილი ატირებდათ და ხან სხვა რამე. ეტყობა, ისინი ახლა მამასთან ერთად თავის თავსაც ტიროდნენ. მათი შემყურე ხალხი კი მდუმარედ იდგა.

ცხედარს სასაფლაოსკენ რომ მიასვენებდნენ, კუბოსქვეშ მხარშედგმულმა მონადირე მიხეილამ წაუჩურჩულა ფოსტალიონ ნიკიფორეს:

— სულ მჩატე კაცი იყო ეს ჩვენი დალაქი, ჭურჭელში მწოლარე კი რა მძიმეა. თუ იცი, რამე დიდი ცოდვა ხომ არ მიჰყვება?

— არა, კაცო, მალაქიას რა ცოდვა უნდა მიჰყვებოდეს, ერთი ბუნჩულა ხელოსანი იყო.

— რაც მაგან ხალხს პარსვისას სისხლი ადინა, ეს ვითომ ცოდვად არ მოეკითხება?

— აჰ, ეგ რა ცოდვაა, ზოგჯერ სისხლის გამოშვება სასარგებლოცაა, სისხლის განახლებისთვის.

— აბა, რამ გაამძიმა, კაცო?

— თუ არ გამამხელ, გეტყვი. ეს ცხონებული ჩუმჩუმად ოქროს აგროვებდა, ალბათ, სიკვდილის წინ ის ოქრო გადაყლაპა და საიქიოში მიაქვს მუცლით. იქ გამოიბერტყავს და ერთიანად დახარჯავს. რაც აქ ლხინში და ქეიფში დააკლდა, იქ აინაზღაურებს.

მათი საუბარი არც მალაქიას გაუგონია, არც სხვა ვინმეს, ამიტომ არც არავის გასცინებია.

კუბოს თავი რომ დააჭედეს, ქვეშ თოკი ამოსდეს და ციმციმ საფლავში ჩაუშვეს მეტრნახევარზე, იმ დროს გიჟურას გალმა, მიგრეხილ-მოგრეხილ მაღალ ქედზე ორი ღრუბელი გადმოდგა ცალკე. თითქოს კუდაპრეხილი ორი თხა ერთმანეთს ეჰიდავებაო. მორქენალი თხები მალე გაითქვიფენ ერთმანეთში და ცაზე აქარავნებულ სხვა ღრუბლებს შეერივნენ.

მალაქია ზალიკოს მეზობლად დამარხეს. ორ ბორცვს თითქოს აქაც ზიარი საწვეთი ჩაუდისო.

მავან ხალხს ერთი ამბავიღა დარჩა გასარკვევი: კარის მეზობლები საიქიოშიც ხომ არ იჩხუბებენო. მართალია, ამბობენ, წვერ-ულვაში მკვდრებსაც ეზრდებათ, მაგრამ ვითომ სადალაქოები საიქიოშიც აქვთო? და თუ სადალაქოები აქვთ, სამართებელი არც ერთს თან რომ არ წაუღია, რითი გაპარსავენო?

ეგება ეს თავსატეხი ამბავი კიდეც გაერკვია ვინმეს, მაგრამ წუთისოფელი ისე ათამაშებს ადამიანთა ბედს, სწორედ მეორე დღეს დაიწყო ის ავბედითი დიდი ომი, ორმოცდაათი მილიონი ადამიანი რომ შეიწირა. ჰოდა, სოფლელი ორი დალაქის საიქიო ბედ-იღბლის გასარკვევად ვილას ეცალა. მიწადქცეული ორი დალაქის საფლავზე დავიწყების ბალახმა გადაიარა და იმ ბალახში ორი პატარა ბორცვი დღეს აღარ ჩანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაადურ ბალარჯიშვილი

## ციყვი ბორბალში

შენ არც ისეთი სულელი ხარ, ჭკვიანი იყო
და არც ისეთი ჭკვიანი ხარ, იყო სულელი...
მშურს ნიჭი შენი, კუდბათქუნა, პატარა ციყვო —
ბორბალში ჩაგსვეს და ჭენებას არ მოუკელი.

აბრუნებ ბორბალს — უფრო სწრაფად მიდი აბაო...
აგაჩქარებენ, თითქოს როსმე არის გვიანი
და თუმცა იცი აჩქარება არის ამაო,
მაინც არ გინდა გააწბილო ადამიანი.

მიდი პატარა, შენ აბრუნებ უდიდესს მგონი
და მგონი ხდება, რომ არ ველით ის საოცრება
და გინდაც გული წაგივიდეს, დაჰკარგო გონი
იცი: ბორბალშიც შეიძლება თურმე ოცნება.

საოცარია ნიჭი შენი პატარა ციყვო:
დატყვევებული, დაუღლელი, იმედიანი...
თუმც შენ არც ისე ჭკვიანი ხარ, სულელი იყო,
და არც ისეთი სულელი ხარ — იყო ჭკვიანი.

## ჩიტირეკია

ნაქურის ნესტით ელვარე ქანი
და ღრუბელივით მჩატე ფიქრები...
ბედნიერი ხარ: ამდენი ხანი
დასდევ ჩიტებს და აღარ იღლები.

შენ რაღაც ერთის ერთგული დარჩი
და მიემატე ზღაპარს ზღაპარი
და იყავ წამით, ვითარცა წყალში
მიზანს აცდენილ კენჭის ჩქაფანი.

დრო დუმდა, როგორც სულელი გოგო—
ჩხაოდა ყვავი, სტვენდა ბულბული...
მიტივტივებდა სიცოცხლე როგორც,
კუდს შეწყვეტილი ჩიტის ბუმბული.

ბედნიერი ხარ: ბავშვობას იცავ,
თუმც გულში მაინც დარდის ლექსია —
რამდენი ჩიტი დაასკდა მიწას
შენს გამო, ჩემო ჩიტირეკია...

## ლექი მკალავი

ერთ ლექს ვიცნობდი, თუნგებს
კალავდა —
ბრძენს, არ უნდოდა ფუჰი დიდება
და ერთხელ თავის ლეგა კარავთან
გამანდო მკაცრი ჭეშმარიტება:

„ხვატში ცხონდები, მოგართვეს თუკი,
ცივი წყლით სავსე სპილენძის თუნგი,
მაგრამ მოგწამლავს იგივე თუნგი,
მოუკალავი მოგართვეს თუკი...“

სალამი სიბრძნეს და ბრძენს დიდება!
ალზევდეს აზრის მაღალი რანგი...
ო, რა მკაცრია ჭეშმარიტება:
ჰკლავს ადამიანს სპილენძის ჟანგი.

## თუშეთის ნისლები

ნაყავიჩოზე თეთრი ნისლია.
— ეგ თუში მგონი ჩემი ქვისლია...
— ის გოგო მგონი ჩემი მულია...
და ყველაფერი უკვე თქმულია.
ნაყავიჩოზე ალბათ ნისლია...

ნაწვიმარია ალბათ გირევი —
ჰელოს ნახავ და გადაირევი...
მხარში უდგანან გორებს გორები.
არ დაილლები კოჰის გორებით:
— შენი ჰირიმე... შენ გენაცვალე...
ცოტაც დამინდე... ცოტაც მაცალე...
ჰანჰახოვანზეც ალბათ ნისლია...

## ძველებური

I

მე ლამაზი უკვე ვიყავ, ეხლა მშვენიერი ვარ,
დავთვრები და გავბრიყვდები, სიყვარულზე ვმღერივარ.
არც ალუბლის კუნწულა ვარ, არც ნარცისის ღერი ვარ,
უბედური არ ვარ, მაგრამ ველარც ბედნიერი ვარ..,
მე ლამაზი უკვე ვიყავ, ეხლა მშვენიერი ვარ...

II

რაღად მინდა ძვირფასო გობანი და საბანი —
თივთიკების ლუნლულა ვარდის წყალში დაბანილს —
უდაბნოში დავეგდო, ქვიშა იყოს სამარე,
ოლონდ მელანდებოდეს თეთრი იასამანი...

მეფის კარი რად მინდა ან ოქრონი ქოსისა —
გაცურება ცხადის და თვალთმაქცობის წამალი —
ოლონდ ჰანგი მესმოდეს, ჩემი ანგელოსისა,
ოლონდ მენატრებოდეს თეთრი იასამანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

იუმორესკა

— თქვენ არ გაგიგიათ?
ზურიკომ და გიამ,
სადღაც წაიყვანეს ხათუნა და ია...
თუმცა იას მამას მაღლე გაუგია —
დაუბრუნებია უკან წია-წია...
მერე ზურიკოზე გიამ გაიწია —
„ძუკით“ ჩაულეწა ცალი ლავიწია...
— მერე მილიცია?...
არა, მილიცია ჯერ არ ჩარეულა,
ალბათ არ იციან...

— თქვენ არ გაგიგიათ?
ზურიკომ და გიამ,
ცოლად მოიყვანეს ხათუნა და ია...
დატრიალებულა თურმე იას მამა...
თურმე დიდებული ლხინი გადუხდია...

## ᲒᲐᲪᲑᲣᲜᲔᲑᲐ

— კეისარო!
შეუძახა მოისარმა.
კეისარმა მოიცალა —
კეისრული ქედმაღლობა მოიცილა,
რათა რიგით მოისრისთვის მოესმინა.

— კეისარო... ვერ მიცანი?
შეეკითხა რიხიანად მოისარი.
კეისარმა ვერ იცნო და გაეცინა —
პირდაპირი პასუხი რომ აეცდინა.

უხერხული გახლდათ ქესტი მოისრისა—
როს შეცბა და ყვრიმალები მოისრისა.

## ᲣᲡᲐᲗᲐᲣᲠᲝ

თუ კი გინახავს ძაღლმა ლეკვი როგორ გაზარდა —
გეცოდინება რა მლაშეა ცრემლების ბურთი —
მათხოვარივით დილიდანვე იჯდა ბაზართან
და არც აქანდაზს არ აკლებდა ბებერი ქურთი.

და თუ ბაზართან გაგივლია კვირა დღის ბოლოს,
თუ ბაზრის დარაჯს დარჩენია კარები ღია —
დაინახავდი: ცარიელი დახლების შორის,
რომ გასრესილი ყვავილები წუმპეში ყრია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარცისი

„ნუთუ შენ ისევ სხვა ხარ ძვირფასო,
ნუთუ შენ ისევ ანარეკლი ხარ...
ნუთუ ვერ მხედავ და ვერ მაფასებ —
კვლავ სინანული შემომახვედრე —
ნუთუ შენ ისევ სხვა ხარ ძვირფასო..."

წვიმდა არც ისე, როგორც ელავდა —
როგორც ელავდა, ჩანდა არც ისე:
ნარცისი ბედს და იღბალს ტიროდა —
წყალთან... ნარცისი...

## დაღესტნელი

მიხარია: რა ხანია ახალია,
არ ძველდება უსაფუძვლო მანძილი.
შამხალია. ჩემი ძმა და მძახალია —
გაზაფხულზე მასაც უყვარს ლანძილი.

და ჩვენს შორის — უკაცრავად
სათქმელია —
უფალს ღვიძავს... რის თმენა და რა
ძილი...
დაღესტნელი ჰა და ჰა და—ქართველია,
ოღონდ ბრძენი — ჩვენი ბერიკაცივით.

კარლო არსენაშვილი

# ნადირობის წინ

## მოთხრობა

შემოდგომაა. წვიმა ფანჯრის მინებს უკაკუნებს. ასეთი მსხვილი, შხაპუნა წვიმა შემოდგომობით იშვიათად მოდის. მე ნიკაპი მაქვს მიყრდნობილი თოფის ცივ ლულაზე და უკუნეთს გავყურებ. თუნუქის ლუმელი გიზგიზებს. ოთახში დგას თოფის საწმენდი ზეთის, სველი ტანსაცმლის და გამოუწვავი თუნუქის სუნი.

ყველაფერი ისევ ისე უცვლელადაა, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ...

მხოლოდ ახლა არავინ მაფრთხილებს: „ლულაზე ნიკაპი ნუ გიდევს, ეშმაკის მოგონილია, არ გავარდეს“.

მაშინ ორნი ვიყავით ოთახში და, ეს შენი სიტყვები გავიგე თუ არა, შემოვბრუნდი, თოფი გადავხსენი. ლამპის შუქზე გავხედე ლულას: ისე პრიალებდა, გასროლაღა აკლდა. შემდეგ დავკიდე და კუთხეში მივაყუდე.

— ნეტავ დილისთვის გამოიდაროს.

— ისეთი თავსხმაა, უსათუოდ გამოიდარებს. თუ არ გამოიდარა, მაინც წავიდეთ... ქვეყანა არ დაიქცევა, თუ ხელცარიელნი დავბრუნდებით. ეგრე ივარაუდე, ცისკრის ამოსვლის დროს გამოვივლი; გათენებამდე ალაზნის ჭალაში უნდა ვიყოთ.

დიდი ხანია არ მენადირა და ნადირობის სამზადისმა კარგ გუნებაზე დამაყენა.

ვეება ჩრდილი პატარა ოთახის ნახევარს ჰფარავდა. იჯექ ლუმელთან და სველ მუხლისთავებს იშრობდი. მზით გარუჯული სახიდან ღიმილი არ გშორდებოდა. გეტყობოდა, რომ შენც კარგ გუნებაზე იყავი.

შუა შემოდგომა იდგა. ის-ის იყო მოსავლის აღება დამთავრდა. მე და შენ შვებულება ავიღეთ და ჩვენს სოფელში ავედით. გადავწყვიტეთ დრო ნადირობით მოგვეკლა.

ექვსი თვის გერმანული ნაგაზი მაჩუქე. — ვცადოთ, იქნებ ტახებზე სანადიროდ გამოგვადგესო.

ძაღლს „ცისმარა“ დავარქვით. წიგნიც მიყიდე, სადაც გაწვრთნის წესები იყო ჩამოთვლილი. სამ დღეს დავდევდი ნაგაზს და ჩემს ეზოში წარამარა ისმოდა: „იჯექ“, „ჩემთან“, „იწექ“, „იდ ექ“, „წინ“, „ფუ“...

იმ დღეს დილაადრიან ჩამომირბინე. მე სახურავზე ვიყავი ასული და კრამიტებს ვასწორებდი.

— ხვალ წავიდეთ სანადიროდ?

— ჰო, — ჩამოგძახე მაღლიდან.

შენ ეზოში დაიწყე ბორიალი.

— ჰა, აღარ ამთავრებ? ჩამო, კაცო, დაბლა, რაღაცა უნდა გითხრა.

ხმის ამოუღებლად ჩამოვედი.

დიდხანს ჩუმად მიყურებდი.

— მასრებს დამიტენ?

გამიკვირდა: სხვისი დასაქმება არ

გიყვარდა, არც სხვისი გაკეთებული საქმე.

— მერე ჩემ დატენილ მასრებს იკადრებ?

გაგეცინა.

— ეხლა ხო, სხვა დროს არა.

— სულ ეგ იყო შენი სათქმელი?

— ა!.. ჰო ეგ იყო, — კიდევ გაიცინე და ხელი კისერზე მომხვიე. — მასრებს ხო დასტენი?

— როგორ არ დავტენი, კაცო.

— მაშ კარგად იყავი.

— ცოტა ხანს მომიცადე. კრამიტების გასწორრებას დავამთავრებ და პური ერთად ვჭამოთ.

— არა, არა, გმადლობთ. კრამიტების გასწორრებაშიც დაგეხმარებოდი, მაგრამ... კარგად იყავი.

ორლობიდან შემომხედე, ჩაიცინე, მხრები შეათამაშე და მიიმალე.

შუადღისას გაწვიმდა. მე მასრები დავტენე, თოფი გავწმინდე. საღამოს შენც მოხვედი.

სველი ნაბადი სკამზე გადაჰფინე და ავარდნილმა ოხშივარმა უცბად დააყენა მატყლის სუნი.

რალაც უჩვეულოდ დუმდი, უცნაურად ილიმებოდი და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდი. გულმა მიგრძნო, უსიამოვნო რამ უნდა გამეგო და ხასიათი გამომეცვალა.

— ფეხზე რას ჩაიცმევ?

— რეზინის ჩექმებს. შენ?

— ქალამნებს და პაჭიჭებს. რეზინის ჩექმებს ვერ ვეგუები.

ისევ დუმილი ჩამოვარდა. წვიმა წისქვილის სარეკელასავით უკაკუნებდა კრამიტებს. ღუმელში შეყრილი ხმელი ფიჩხი ტკაცა-ტკუცით იწვოდა.

— ცისკრის ამოსვლამდე მოვალ... მაშ ხვალ სანადიროდ მივდივართ. — უკვე მერამდენედ გამიმეორე, თითქოს სხვა რამეზე არ შეგეძლო ლაპარაკი.

ჩვენ ძველთაძველი მეგობრები ვიყავით. ალბათ ფეხის ადგმიდანვე. ზემოუბანში ვცხოვრობდით და ჩვენ ტოლ ქვემოუბნელებს ყველაფერში ვეჭიბრებოდით: ლახტში, სალაობაში, ჭიდაობაში, ქვის სროლაშიც...

ათი წლისა ვიქნებოდით, [illegible]ში ვნახე: შენ ქვემოუბნელების მხარეზე იყავი; ჩვენსკენ გამოჰქანდით; კეტს დავავლე ხელი და ორჯერ დაგარტყი; თავი შუაზე გაგისკდა. ოო, ეს რა ვქენი?! ტირილში გამელვიძა. ამ საზარელ სიზმარს ხშირად ვნახულობდი და ლრიალით მელვიძებოდა. ბებიაჩემს შესალოცად დავყავდი...

რვა კლასი დავამთავრეთ და ენისელში წავედით, მექანიზატორთა სასწავლებელში. შემდეგ თელავის ემტეესში დავიწყეთ მუშაობა.

— ნოშრევან! ბიჭო, სიხარულისგან რეტიანივითა ვარ. ჰიჰიი... — მორცხვად ჩაიცინე და ჩაქინდრული თავი განიერ გულმკერდზე გადაიქნიე.

— რა სიხარულისგან?

— ვქორწინდები ბიჭო და ბალღივითა ვარ, რა ვიცი, აბა რა მარცხვენს? ნახუცრიაანთ ელოს ვირთავ...

— ნახუცრიაანთ ელოს?! — შენ მართლა რეტიანივით იყავი და იმიტომ ვერ შეამჩნიე, როგორ კვნესით გამოგეპასუხე.

— ქორწილს ზამთრის დადგომამდე გადავიხდით. გამომუშავება კარგი მაქვს. იმედიცა მაქვს, დამეხმარები. ობლობაში გაზრდილი ბიჭები ვართ, მაგრამა ისეთი ქორწილი უნდა გადავიხადოთ, მთელ სოფელს ეყოს სალაპარაკოდ. მერე ორსართულიან ქვითკირის სახლსაც ავაშენებთ. ვერა ხედავ, ერთსართულიანი და ისიც ფიცრული სახლი მარტო მე და შენ გვიდგა. ეს მერე იყოს...

გვიანობამდე იყავი ჩემთან და სიხარულისგან არ დაგინახავს, როგორ დავგრიხე ლითონის ზუმბა...

შენ პაპიროსი მომაწოდე, ორი ნაფაზის მერე გადავაგდე. სკივრიდან სამი წლის შენახული წეკო ამოვიღე, ვერც მისმა ნაფაზმა მიშველა, პაპიროსი ისევ გადავაგდე და დაფშვნილ თუთუნს დავუწყე ღეჭვა...

კარებში რომ გადიოდი, მომაძახე:

— ცისკრის ამოსვლამდე გამოგივ-

ლი; ხვალ ხომ სანადიროდ მივდივართ!

გახვედი თუ არა პირქვე დავემხე ტახტზე და ხელები შუბლზე შემოვიჭირე, ნახუცრიანთ ელო!... თითქოს ყოველთვის ერთად ვიყავით. ეგ იყო, შენ სანადიროდ ხშირად დადიოდი, მე — ათასში ერთხელ. მაშ რატომ ადრე არ მითხარი, ან მე რისთვის დავიგუბე პირი...

არ ვიცი რამდენ ხანს ვეგდე. მგონი იმიტომ წამოვხტი, რომ წვიმამ გადაიღო, ცეცხლიც აღარ გიზგიზებდა. სიჩუმე ვერ ავიტანე, თოფს დავავლე ხელი, გარეთ გამოვვარდი და ექვსჯერ დავაქუხე. ოთახში შევბრუნდი, ტახტზე დავემხე...

ცისკრის ამოსვლის დრო იქნებოდა. თითქოს შენი მეძებრების წკავწკავიც შემომესმა. წამოვვარდი, ოთხი საფეხური ჩავირბინე, ცისმარას ჩუმად მოვუხმე და ტყისკენ გავქანდი. ბარდები მკაწრავდნენ, გალუმპული ტოტები მცემდნენ სახეში და ვერ ვგრძნობდი, როგორ დამდიოდა სისხლი...

ნანადირევით სავსე შენს ქორწილში ყველაზე მეტს ვმხიარულობდი. თანამესუფრეებმა ეს შენიშნეს, მაგრამ ყველაზე დარდიანი რომ ვიყავი ეს არავის გაუგია.

თქვენთან ახლოს ყოფნა აღარ შემეძლო. ჯერ ნაფარეულში [illegible] სამუშაოდ, შემდეგ ხირსაში გადავიხვეწე...

არა, ერთი წამითაც არ უნდა გეფიქრა, რომ შენი ცოლის ძმები გამიხარდებოდა. ის დღე მწარეზე მწარე იყო... ტუჩებს ვიკვნეტდი და მაგონდებოდა, რომ მაშინ, როცა შენ უბედნიერეს კაცად მიგაჩნდა თავი, სულმდაბლად დაგემალე და სანადიროდ არ გამოგყევი.

ხშირად ავიღებ თოფს, გავწმენდ... მასრებს დავტენი, გამახსენდება, როგორ გავიქეცი სახლიდან ცისკრის ამოსვლის წინ, გააავებული გამოვვარდი გარეთ და ჩემი თოფი ჰექს და ჰექს, სანამ ყველა ვაზნას არ დავცლი:

. . .

დღეს ელომ მითხრა:

— ნოშრევან! ბიჭი ამიტყდა — სანადიროდ მინდა წასვლაო. როგორც გიორგის ძმობილს, გეხვეწები, წაიყვანე. უკვე ჩვიდმეტი წლისაა...

დიახ; ხვალ ცისკრის ამოსვლამდე მე და შენი ბიჭი სანადიროდ წავალთ.

ისიც შენსავით მარჯვე მონადირე გამოვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე

## ქვა საჯილდაო

სვანეთში, წმინდა კვირიკეს ეკლესიის ეზოში დღესაც აგდია საჯილდაო ქვა. წინათ, დავაჟკაცებული სვანი ვალდებული იყო, წამოეწია იგი მკერდამდე და მინიშნებულ ადგილზე მიეტანა. ამ რიტუალის შეუსრულებლად ახალგაზრდა სვანს საქვეყნო საქმეს არ მიანდობდნენ.

ყოველთვის ბედთან როგორ ვიდავო?!..
ვარ სევდიანი და ვარ მწუხარე...
ჰა, წამოვწიე ქვა საჯილდაო, —
მაგრამ... მუხლამდე...

გაცრეცილია ოცნების რიდე,
როგორ გადვურჩე წარღვნას
წლევანდელს?!..
ქვას საჯილდაოს კვლავ შევეჭიდე, —
მაგრამ... წელამდე...

იმედი — მცირე, გზა — უშორესი, —
იღბალს საკუთარს მაინც ვედავე,
„ჰა, კვლავაც სცადე! —“ ციდან
მომესმის, —
მაგრამ... მკერდამდე...

ნუთუ საქვეყნოდ სიტყვა არ მეთქმის,
ნეტავ ვიარო ასე სადამდის?!..
ქვა საჯილდაო დაცურდა მკერდით
და მეც... გავთავდი...

## უკანასკნელი ყვავილი

მზით ავსებული შენი მტევნები
კოცონებივით ქარში ელავდნენ,
შენც მტევნებივით გაითელები
და გაიხსენებ ჩვენს წვას დღევანდელს.

როგორც სიზმარი გამოხმობილი,
მე ძლიერ მჯერა, რომ იგი მოვა
და იყვავილებს ატმის ტოტივით
და მხრებს დაათოვს იისფერ თოვად.

და იისფერი სიზმრის პერანგიც
მკერდს შეასკდება, როგორც კოცონი,
და ერთი ღამის ვნება ვერაგი
საუკუნეებს უცბად მოწონის.

ჟამი კი ეძებს ახალ საღებავს,
ჰო, სწორედ ისეთს, შენ რომ შეგფერის,
საბედისწერო ვით ამაღლება,
ვარდივით ნელა მეც ვიფერფლები.

რა ჯვარი ზიდეს მაგ შენმა მხრებმა,
ჯვრად რად გადიქცნენ შენი ხელები?!..
უკანასკნელი ყვავილი ხმება
და ვკოცნი ყვავილს მე გახელებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

წინაპართა, წასულთა
აჩრდილები მოდენენ,
ის სიზმარი აღსრულდა,
მე რომ ვნახე ოდეს.

ვაი, როგორ დამწვა,
მაგ ბაგეთა ღიმილმა,
ერთგულების ნაცვლად,
ნანა, სქანი ჭირიმა,

ყველგან ღალატია,
ყველგან ავი თვალი,
ქარს მივყვები ტიალს,
ნანა, ჩქიმი ბრალი!..

ცა გაკაწრა კივილმა,
კარს სიკვდილი მოდგა,
ნანა, სქანი ჭირიმა,
ნანა, სქანი ცოდა!..

* * *

მე რა შეგთხოვე, აბა, ამდენი,
ღმერთო?!..
წუ მომკლავ გაზაფხულამდე,
გაზაფხულზე კი ია-ვარდები
ყველა სატკივარს განმიკურნავენ.

* * *

ჭეშმარიტების, ვიცი, ვარსკვლავი
მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ ანათებს,
ისმის სიმღერა რა გულსაკლავი
და ცეცხლში ვგზავნი ძვირფას
ბარათებს.

და ცეცხლში ვგზავნი წარსულის
ხსოვნას,
სისხლო, სად მიხვალ, სით ედინები?!..
გადამთიელთა ხორხოცებს ხროვა
და კვნესის სიმი მონანიებით.

დადაღული ვარ შენი ცრემლებით,
დადაღული ვარ და ვერ მოვრჩები,
ხვალ სხვა ზარით და სხვა სიმღერებით
დამიტირებენ ოჩო-კოჩები.

დამიტირებენ და ზედ საფლავზე
დარგავენ ძეწნას ოქროფოჩიანს,
ძეწნა ძოწისფერ თმებს გადმოაფენს
და დამიტირებს: „დოუ, დოუ, დოუ,
ნანა, კოჩია!..“

## შენ სად ხარ მაშინ!.

როს ქამია მეჯლისის
და დიდების მარში
და მგოსანთა შეჯიბრი, —
შენ რად დუმხარ მაშინ?!..

როცა ნუში ბრწყინვად
თმებს გაიშლის ქარში,
შენს ნატერფალს წვიმა
როცა კრძალვით წაშლის,

როცა აყვავილდება
ია სასაფლაოზე,
როცა შენი დიდება
ყველა მოკვდავს აოცებს,

როცა ღამის წალეკოს
ოვაციით, ტაშით
ცრუ მგოსნებმა სამეფო, —
შენ სადა ხარ მაშინ?!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა ჩორდელი

# ნალბანდი

## მოთხრობა

სოფელში ორად ორი კაცი იყო ნამდვილი ნალბანდი. როგორც ყველა სოფლის წესი, ნალბანდობას ბევრი იჩემებდა, რა გამოლევდა მატრაკვეცას, მაგრამ ნამდვილიო, სწორედ ისეთი, მთელი დუნია რომ ფეხიფეხზე შემოგევლოთ, ის ორი კაცი რომ იყო, მათ მიმგვანებულს, ვერსად ვერ იპოვნიდით...

ერთ ნალბანდს ერმალო ერქვა სახელად, მეორეს — ლულუნი.

ერმალო ზედა უბანში ცხოვრობდა, ლულუნი კი — ქვედაში.

ერმალო, მეექვსე ათეულის ბოლო წელი ყუაზე რომ ჰქონდა მიყვანილი, სამიოდე დღის უკან ნამიან ნაშურზე ჩამოსვლისას დაცემულა. დაცემულა და ეშმაკიც იქვე ყოფილა ჩასაფრებული, კაცი ყვირილ-ყვირილით გამოუსტუმრებია სახლისკენ — მარჯვენა ხელი ჩამოსხეპილი ტოტივით ეკიდა თურმე.

ერმალოს ყვირილზე უბანი დედაბუდიანად შეყრილა. მერე ბიჭი უფრენიათ კატოაანთ რძალთან, აი იმ ქალთან, თვითნასწავლი ექიმის მოწმობა ბუხრის თაროზე რომ ჰქონდა საგულდაგულოდ შემოდებული, ასე უთქვამს ბოლობოლოს, ატკეჩილი აქვსო. მერე თბილი წყლით დაუბანია, ყავრის ნაჭერი გამოუძებნია, ხელი ზედ მამჭინედ გაუკრავ-გაუკოჭავს და კისერზე ქულუჩა ბაწრით ჩამოუკიდია.

იმ დღეს ცამა და მიწამ ის-ის იყო გამოისამხრა, რომ მწყემსებმა საზაფხულო იალალებზე თვეობით გაშვებული სოფლის ხარ-მოზვერი ჩამორეკეს, ჩამორეკეს და სოფლის თავიდან ბოლოსაკენ ერთიანმა ხმამა და შეძახილმა დაირბინა:

— ტარასი, ჩაიბარე შენი ულელი ხარი და ერთი მოზვერი...

— შამშე, გამოხედე შენს ულელ ხარს...

ის იყო, კიდევ აპირებდა ერთი ტანმორჩილი მწყემსი დაძახებას, რომ ვაიუშველებელი ღრენა და ღნავილ-ჯღავილი ატყდა: მწყემსების ქოფაკ ძაღლებს სოფლის პატარ-პატარა, დამსოგვილი ძუღლა-ძაღლები გამოუცვივდნენ. ბარე შვიდიოდე კი იქნებოდნენ. გამოცვენა ეგრე არ უნდაო, სტაცეს ქოფაკებმა ერთ ყურებწამოცქვეტილ და კუდაპრეხილ ფინიას პირი, გაიდვეს ძირს და ორ გალეჭვაზე გატკვირეს. ახლა სხვა ძაღლებს მიუბრუნდნენ ბალანაშლილი მართლა ქოფაკები და რომელსაც სწვდნენ, ვაი იმისი დედის ბრალი, სულ ბურტყლად აქციეს. მწყემსები ხელჯოხებით თავიანთ ძაღლებს დაერივნენ. ფინიებმა იშოვეს დრო და ღობე-მესრის ძირებს მიელახნენ, შესაძრომსა და თავის გადასარჩენ ხვრელებს ეძებდნენ.

— თქვენ დაგჭამათ მგლებმა. თქვენ

გადაგაშენათ ჰირმა!.. — ქაქანებდა ბრტყელბეჭებიანი მწყემსი და თან უსაშველოდ იფურთხებოდა.

გატკვერილი ძაღლი სულს ლევდა და მარცხენა ფეხს ოდნავღა იქნევდა.

— ჩვენი ჰირი წაგიღიაო, — მიაძახა ტანმორჩილმა მწყემსმა ძაღლს და ხმამაღლა დაიყვირა:

— ბიკენტი, გამოიტა, ბიჰო, ჰიქა არაყი, შენი ოთხი მოზვერი დაგილოცოთ... ნუ გენანება, ნუ! არ დაგაქცევს, კაი გვარიანი ბელელი გაქვს, კაი...

აიშალა სოფელი. ვინც კი სახლში იყო, დიდი თუ პატარა, ყველა გარეთ გამოეფინა. ვის ბოთლით მოჰქონდა სასმელი და ვინ პირდაპირ „ჩეთვერით“ მოარბენინებდა დასალევს...

მწყემსები ჰიშკარ-ჰიშკარ ჩერდებოდნენ, არაყსა და ღვინოს ყლურწავდნენ, მერე კი ისევ ქაქან-ქაქანით მისდევდნენ შარასა და ნახირს.

— ერმალო, ოო, ერმალო, გამოდი გარეთ, ჩაიბარე შენი ხარ-მოზვერი, ოო, ერმალო, ერმალოო...

— ილია, ოო, ილია, ვის უნახავ მაგ სავსე ქვევრს, მოქუცე თავი და პირუტყვის უდანაკარგოდ დაბრუნება დაგვალოცინე, ილია, ოო, ილია, ილია...

ერმალო ტახტზე იყო მიწოლილი, ხმაური რომ შემოესმა, წამოდგა, მაგრამ სანამ მარცხენა ხელით ჩასაცმელ-დასახური მოირგო და გარეთ გაიხედა, მწყემსებმა კარგა ძალი გზა ჩაიარეს, კინაღამ სოფლის ქვედა უბნამდე ჩავიდნენ...

— ოო, აი, მესმის! აი, გაკეთებული საქმე! თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ბიჭებო, ყოჩაღ! ნამდვილად ყოჩაღ! ჩემზე იყოს პატივისცემა და პურ-მარილი, ყოჩაღ, ბიჭებო! — ჩაილაპარაკა ერმალომ, როცა ბოსლის წინ გაჩერებულ ხარებს თვალი გადაავლო.

თავაწეული იდგნენ ხარები. ისე ქედმაღლურად აბრიალებდნენ საცრისოდენა თვალებს, თითქოსდა მოკვანწულ-მოგრეხილი რქებით სოფელ-ქვეყნის სამხრობას ყევარში ჩაბმიანო.

ერმალო ხარებს მიუახლოვდა, გულგულ აათვალიერ-ჩაათვალიერა, იქიდან მოუარა, აქედან შეხედა, გუნებაში აწონა კიდეც, მერე ხელი ჯერ ნიშას გადაუსვა, რქებშუა ცერა თითით მიმოფხანა, მერე მერცხალას მიუბრუნდა და გაშლილი ხელის მტევანი თეძოზე დაუტყაპუნა.

თვალებდაპრაწულმა ხარებმა პატრონს შეზმუვლეს...

— შენ ცოტა მეტი ხორცი უნდა შეგება, მთლად ისე ვერ გამოიყურები, როგორც მე მეგონა. რავა, არ იყო ბალახი თუ?.. — გაესაუბრა ერმალო ნიშა ხარს და მარცხენა ხელი ზურგზე გადაუსვა.

ხარმა ჯერ კუდი გააქნ-გამოაქნია, თითქოსდა ბუზებს იგერიებსო და მერე კი ისევ შეიზმუვლა.

— შენ კი მართლა მერცხალივით ხარ! აი, დედასა, ჰიქეურის გვერდში რომ ურემს ამოიტან, მერე ვნახავ შენს ბიჭობას. ისე, დავაქკაცებულხარ კია, ახლა ნიშას ოდენი შეიძლება მართლაც გასწიო. კი, გასწევ, რა ღმერთი გაგიწყრება, ტყავში ველარ ეტევი, ისე ხარ დამრგვალებული. — თვალებში ჩახედა ერმალომ ხარს, მერე ბეჭებზე გადაუსვა ხელი, ქედი მოუსინჯა, შემოუარა, ფენთხზე ცერა თითით დააწვა, მერე კი მომუშტული ხელი ღდინზე შემოარტყა.

— მუუუ... — დაიზმუვლა მერცხალამ.

მერცხალა თავიდან ბოლომდე ჭიაფერასავით შავი იყო. მთლად უნიშნო არისო, ვერ იტყოდა კაცი, ღდინზე ერთი მტკაველი სიგრძისა და ხელისდადება სიბრტყის თეთრი ბალანი ჰქონდა.

— მოფერებას მოვრჩეთ, ახლა საქმე, აბა, წინ გამიძეხით, ფოლ-ნალი შეგიმოწმოთ — უთხრა ხარებს ერმალომ, მიბრუნდა, იქვე, ლობეზე ჩარჭობილ თხილის სახრეს ხელი წამოავლო და ნიშას თეძოზე მსუბუქად გადაუტკაცუნა.

ნიშა ხარმა ზარმაცულად მოინაცვლა მუხლი. მერცხალამ კი ორიოდ ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა.

— ოო, ცუდად არის შენი საქმე, ჩე-

მო მერცხალა, უკანა მარჯვენა ფეხი არ მომწონს, მოიცა, მოიცა, მანახე, ფოლი ხომ არ გაქვს მოტეხილი, ერთი კარგად მანახე. ხო, ერთი ეს მითხარი, დიდი ხანია კოჭლობ, თუ ახლა გარბენინეს ამ გახირხირაგებულ გზაზე მაგ უქნარებმა და გათახსირებულებმა?! — წელანდელი საქებრად მომართული ენა გრამფირფიტასავით შეაბრუნა ერმალომ, — ოი, მაგათი ყოფა ვატირე, მაგათი, იი კუკურაანთ ბიჭი მართლა ბექიტია და კაი გვარიანი ბექიტი, თუმცა არც ისაა ნაკლები, მეორე, საფრთხობელას რომ მიუგავს ლოშკრები, არ იციან, ამ შემოდგომაძალზე რა ღირს სოფელში ხარი? ერთი მაგათი!..

ხმამაღლა, მოურიდებლად ლაპარაკობდა საყვედურსა და გინებას ქულუჩა ძაფით ხელჩამოკიდებული ერმალო.

მეზობელი წამოესწრო ერმალოს საუბარზე.

— რა იყო, შე კაცო, შენი მოსაწონი არაფერი შეიქნა ამ სოფელ-ქვეყანაში! არ გეკადრება მაგ ხნის კაცს!..

— ერთი შენი ჭკუაც... გამიხდა ახლა ესეც ბრძენი...

— შენ ხელი კი არა, ენა უნდა გქონდეს ქულუჩა ძაფით გაკოჭილი, კი, მე და ჩემმა ღმერთმა. — მოაძახა ნაბიჯაჩქარებულმა მეზობელმა.

ერმალომ ხელი ჩაიქნია, მერე ხარებს მოუწრუპუნა, გააჩერა, ჯერ ნიშას მოუსინჯა ოთხივე ფოლი, მერე — მერცხალას.

— ბა-ბა-ბა-ბა, შენ ნამეტანი გაგფუჭებია მარჯვენა ფოლი, ეტყობა, ადრე აიყარე ნალ-ლურსმანი, შე ვერანო, შენა, სიარული არ იცი, არც ისე პატარა ხარ, შენ რომ გგონია, გზა და კვალი ვერ უნდა შეურჩიო შენს თავს, მაგხელა ხარმა? ვაი, შენ რა გითხრა, შენა!

მერცხალამ დაიზმუვლა...

— ნუ გეშინია, ახლავე ვაფრენ ელისოს ქვედა უბანში, ღუღუნის დავუძახებ, მე, ხომ ხედავ, გაკოჭილი მაქვს ხელი, ამოვა აუცილებლად, ისეთი ნალებით გაგიჭიკჭიკო ეგ ფოლები, მტერს თვალები დავუყენო, აპა, როგორ გგონია შენ... — გაელაპარაკა მერცხალას ერმალო და სახლისაკენ შეიძახა.

— ელისო, გოგო, ელისო!

წუთიც არ გასულა, რომ გოგომ გამოიხედა.

— ჩადი ახლავე ღუღუნისთან, სანამ სხვა დამასწრებს, მაგას, ხო იცი, ახლა მთელი სოფელი დაედება, ნაიალალარ ხარ-მოზვერს ნალი და ლურსმანი სჭირდება. მამამ შემოგითვალა, ხო იცი, ხელი მტკივა და შენს იმედზე ვარ, ხარები დამაჭედინე-თქო. კარგად გაიგონე, ძალიან კარგად! — უთხრა შვილს ერმალომ და ისევ მერცხალას დაუტყაპუნა ხელი ქედზე.

შარაზე გოროზაანთ პავლე გამოჩნდა.

ერმალომ მეზობელს წარბებქვეშიდან გახედა.

— გამარჯობა, მეზობელო! — მიესალმა პავლე.

— გაგიმარჯოს.

— ჩამორეკეს ხარები? ვაა, კარგია, რო ჩამორეკეს. აწი დრო კია. კია ნამდვილად დრო, აპა არ არი? ისე, შენები კარგად გამოიყურებიან, ეე მოზვერი მთლად დახარებულა, ვაა, ბა-ბა-ბა-ბა! ავ თვალს არ დაენახვება, მე და ჩემმა მზემ, აპა! მაგნაირი ხარი, — გააგრძელა ისევ პავლემ, — ახლა გაღმა-გამოღმა სოფლებში არც ეყოლება ვინმეს, მაგარი რამეა, ძმაო, მაგარი. თვალის სინათლე დაუშტეს, ვინც ამას ავად შემოხედოს. — ენამოუთქმელად ლაპარაკობდა პავლე და თან ხარს, კარგი მუშტრისა არ იყოს, გოჯიგოჯ ათვალიერებდა.

— კი, კაი ხარია... და კაი ბევრი საქმეც ელოდება წინ, მთელი შემოდგომა ამის კისერზეა გადასაგორებელი, აბა! — არ დაამადლა პასუხი ერმალომ მეზობელს.

— აბა კარგად იყავი, ჩემო ერმალო, ღმერთმა გაცადოთ ჯანი და ღონე შენცა და შენს ხარებსაც. — თქვა პავლემ მშვიდად, ხელი ასწია მაღლა, შებრუნდა და თავის გზას დაუყვა.

ელისო დაბრუნდა.

— რაო, მალე ამოვალო? — შეეკითხა მამა შვილს.

— მალეო კი არა, მისმა ცოლმა მითხრა, ერთი კვირით ქალაქშია წასული რაღაც საქმეზე შვილთანო. — ჩამოუჭიკჭიკა ელისომ მამას.

— ვაი, მაგას რა ვუთხრა, მაგას, სად დაეთრევა ამ გაგანია შემოდგომაზე, მართლა ღუღუნია მაგი და მეტი არაფერი! — ხელი ჩაიქნია ერმალომ და თავის ხელზე გაჯავრებულმა, ლობეს ძირში მიაფურთხა.

— კაი გამარჯობა, ერმალო! — მიესალმა შარად მიმავალი ფერმის გამგე მეზობელს.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!

— აი, ხარები! ხარები ასეთი მწამს! გლეხკაცს ნაკლები არც უნდა გყავდეს, ყოჩაღ ერმალო, ყოჩაღ! ეს მთლად სასწაული იქნება, შავი, ხო-ხო-ხო, რა ქედი აქვს! — ფერმის გამგე მერცხალას წაღმა-უკუღმა ათვალიერებდა.

— იალალი და გადაიალალება ხარს კი არა, კაცსაც კარგად უხდება. თუ ასე არ არის, აპა კარგად დააკვირდი სესიკას ბიჭს, არ ჰგავს ნამდვილ ბუღას? საჯიშოა პირდაპირ. — ალმაცერად შეხედა ფერმის გამგეს ერმალომ და ცალყბად გაიცინა.

— კი, კი, აგრეა, აბა, კარგად იყავი, კარგად! — ჩაილაპარაკა ფერმის გამგემ და წავიდა.

„რა ვქნა ახლა, კაცო ის აალუღუნა ეშმაკებმა, სად ჯანდაბაში წაშავდა და წაბნელდა, რა ექალაქება, ქალაქი კი არა, მაგისმა თავის ტრეტამ, ბაბუამისი პარიზის ქუჩებში სიარულმა მოკლა აი, მაგისმა სიცოცხლემ, რავარც, აი... არა და, — გააგრძელა ისევ ერმალომ, — ამ ხარის ასე სიარული არ იქნება, შეიძლება დაქექილ-დაბექილი აქვს, ან ლურსმანი შეუბრუნდა ქაჩაში და დავილუპე კაცი, ამ სიგრძე შემოდგომის გადათრევას რა ჭაპანი გაუძლებს... ღუღუნი, ღუღუნი. შენ რა გითხრა. შენ... არა, სხვას ვერ დავაჭედინებ. რამდენი თვითმარქვია ლენჩი დაყანყალებს ამ სოფელში, იმას თუ მივანდე, კარგად მქონია საქმე... მეტი გადაიხადე და პური ხაბაზს გამოაცხობინე, რომ უწუნებ, კარგად უთქვამთ ძველებს... არა და რა დროს მტკივა ეე პატრონძაღლი ხელი... ნეტა, მალე თუ მაინც მომირჩება... ორ კვირაში სოფელი თივობას დაიწყებს“...

ელისო მეორე სართულის აივნის დარაბას იდაყვებით ჩამოყრდნობოდა.

— ელისო!

— გისმენ, მამა.

— ჰო, აქა ხარ?! რაიო, როდის მოვაო ის ღმერთგამწყრალი ბებერი, რავა გითხრა თემბროლიამ, თუ ქალი ხარ, ერთი კარგად გამიმეორე.

— ერთი კვირით წავიდაო...

— ოო, მაგას გაუწყდა შაბათისა და კვირაძალის მადლი, მაგასა, სად დაბანდალ-დაჩიკორტულაობს, ეე გლახაკი ეგა, ჰა! ნალბანდი კი არა, ვირის ფეხება ვინმე-რამეა და მეტი არაფერი...

ნიავმა სოფელს შევარდენივით ჩამოუქროლა, ფოთოლ-ბალახი მიაშარმოაშარიშურა, ორღობეებს პაემანზე მიმავალი ბიჭივით ჩაუღიღინა და უბნის ბოლოში გაილალა...

გოგოსაც გაეთამაშა ნიავი — კულულები მხრებიდან ფრთხილად გადმოუღაგა დარაბის გასწვრივ. წამომტრედული მკერდი თმებში გაუჩინარდა...

„შენისთანა ხარები გაღმა-გამოღმა არავის ეყოლებაო, არ გამიჭირეს საქმე ამ მეზობლებმა, კაცო? არ გამითვალონ კია, თვარა... რა თვარა, კარგები არიან და ეგ არის. ჰოდა, დაუჭედავობა ნამდვილად არ ეკადრებათ“. — კაცი ერთხელ კიდევ გაელაპარაკა ხარებს.

ერთ ფიქრსა და განჩინებაში იყო ერმალო, რომ გოგომ მამას ჩამოსძახა, სიძე მოგიდისო.

ერმალომ იქით გახედა შარას, მერე გოგოს მიუბრუნდა და ღიმილით უთხრა:

— სიცრუე რომ გეთქვა, შენ დარჩებოდი მოტყუებული, თვარა მე რა მაგის მესუფრ-მეღვინება... — ცოტა შე-

ჩერდა ერმალო, — კაცი გულზე ვიფხრიწები, ხარი ძლივს ადგამს ფეხს და რავარი ხარი, რიონს ზევით მაგნაირი რომ არავის ეყოლება, ისეთი, აპა!.. თუმცა შენ რა იცი, ან რაში გაინტერესებს, რაც გაინტერესებს, აგერ მოგივიდა... — ბოლო სიტყვები თავისთვის ისე ჩაიბურტყუნა ერმალომ, რომ, მგონი, თვითონაც არ გაუგონია.

უქორწილოდ არ უნდოდა ერმალოს თავისი უმცროსი ქალიშვილის გათხოვება. ღვინო ბევრი ეშოვებოდა და პური. სულჩქარი და მოუსვენარი კაცი იყო, თორემ მისი სიძუნწე და კურკაწონიობა არავის უთქვამს მთელ ხეობაში. მაინცა და მაინც ქორწილი უნდა გადავუხადო, დაიჩემა. სასიძოს ნამეტანი კი ეჩქარებოდა, მაგრამ... ქვემოუბნელი კაცი ერთი წლის გარდაცვლილიც არ იყო და ლხინისა და ლრეობის ერიდებოდა. ის კი არა და ნიშნობაც არ გადაიხადა, ვილაცა სიმღერას წამოიწყებსო. სჯობდა კია, რომ გადაეხადა. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოსოფლელ კიკალაანთ ბიჭს, ნარიმანს, მშობლებიან დაძმებიანა ერმალოს ჭიშკართან რომ იყვნენ ატუზულნი, ხელსადები (ანუ ნიშანი) დაატოვებინა, გასაკვირი მაინც ის იყო, კვირაშვიდდღეში ცხრა პარასკევი ჰქონდა ზოგიერთ შუამავალსა და ძაღლი-მამაძაღლს, დღედალამ მაინც ერმალოს კარზე დადიოდნენ...

ნარიმანი მარტო არ იყო, ვილაც ბიჭი ახლდა.

— გამარჯობათ. — თქვა ნარიმანმა.

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ. — მიესალმა ერმალო სტუმრებს.

ელისომ აივნიდან დაუკრა თავი.

ნარიმანმა ერთი კიდევ იბრუნა თვალი გოგოსკენ. თითქოსდა რალაცის მოლოდინმა თუ გაურკვეველმა მოულოდნელობამ, თუ რალაც ქვემალულმა ცაურბინა ძარღვებში. ლოყებზე და ყვრიმალებთან ვარდისფრად მოეჩითა კანი...

— ხო მშვიდობაა თქვენკენ. — სიჩუმე დაარღვია ერმალომ.

— კი, მშვიდობაა, — მოექცა ბიჭი საქეთოდ, — ისე თქვენ როგორა ხართ, რატომღაც შეწუხებული სახე გაქვთ, ერმალო ბატონო, ცუდი ხომ არაფერი მომხდარა? — გაკვირვებით იკითხა ნარიმანმა.

— არა, ისეთი რა უნდა მომხდარიყო, ისე, ხარის დაჭედვა მინდოდა, კი ხედავ, ხელი მტკივა მე, ჩაქუჩსაც ვერ ვიჭერ, ალბათ ერთ კვირაში, ან ორში მაინც კი შემიხსნის კატოაანთ რძალი ამ ხილაბანდს, მერე რა მიჭირს მარა... ისე, ის კიდევ, იი ღმერთძაღლი ღუღუნი, ვერ დაემდურები, კარგზე კარგი ნალბანდია, მარა, რად გინდა, ქალაქში წასულა ერთი კვირით. ამაზე ვარ შეწუხებული, კოჭლობს ეე სამგლე და... ნახე, რა ლამაზი რამეა, მერცხალა, შავი, ბა-ბა-ბა-ბა, ისე ფიცხელია, სახრესაც არ იკარებს, დაჭედვაზე ხუთი კაცი სჭირდება მის წაქცევას, აპა, ისეთი რამეა, რო ვერ აგიწერ. ნიშა ხარი ხომ არის და არის! მოზვრობა კარგა ხანია გაიარა, დამდგარი ხარია უკვე, კაა გვარიანად დამდგარი, — გულით ლაპარაკობდა ერმალო, — ჰო, რა ამის პასუხია და შევიდეთ სახლში, იქ ვილაპარაკოთ, თითო-ორორი ჭიქაც...

— ერმალო ბატონო, — შეაწყვეტინა ნარიმანმა, — რა გვინდა სახლში, დავჭედოთ ე ხარები და მერე...

— როგორ თუ დავჭედოთ, — გაუკვირდა ერმალოს, — ვინ დაჭედავს, ღუღუნი სახლში არაა-თქვა, ხომ გითხარი, მე კიდევ ხელი მტკივა და...

— ხარს კი არა, მგელს ჭედავს ზოგი, აგერ, მე, შე კაცო, სოფლის პირობაზე, პირველი თუ არა, მეორე ნალბანდი მაინც ვარ. რა უნდა ხარის დაჭედვას, შე მამაცხონებულო, ხარს კი არა!.. — ნარიმანმა ხელები გაშალა, მხრები მისწი-მოსწია და ისეთი იერი მიილო, ეჭვიც არ შეგეპარებოდათ მის ნალბანდობაში.

ბიჭმა, ნარიმანს რომ ახლდა, კვერი დაუკრა, სწორს ამბობსო.

მერცხალამ წამოიზმუვლა.

— რა იყო შე ღდინძაღლო, არ მოგ-

ეროვნული

წონს ბარი, ხომ? ისევ მთაში გინდა ხომ? ნურას უკაცრავად, მომავალ წლამდე დამთავრებულია შენი იალაღებზე ბუღრაობა. — ხმამაღლა უთხრა ხარს ერმალომ და თეძოზე ხელი დაუტყაპუნა.

ელიზბარა შეჩერდა, მარცხენა თვალი მოჭუტა, მარჯვენა უფრო მეტად გაალო და ისე დაუწყო ახალგაზრდებს ყურება.

— ელიზბარა, გამარჯობა შენი! — იქით დაასწრო სალამი ერმალომ ბრიგადირს.

— შენი გამარჯვების იყოს, ჩემო ერმალო და თქვენი გამარჯვების იყოს ბიჭებო, — ხელი გაუწოდა ელიზბარამ ბიჭებს, — მარა, დედა, დედა, რავარი ხარები გყავს, ბა-ბა-ბა-ბა, ეაუჰ, ნწუ, ნწუ, ნწუ...

— არ გამიჭირიეს საქმე ამ წარაყუა მეზობლებმა, კაცო?! — უცბად აფეთქდა ერმალო, — ასეთი და ისეთი გყავსო, კაცო, არ გამითვალეს ხარ-მოზვერი, კაცო? არ გააჭირეთ საქმე ბოლოს და ბოლოს, კაცო?! სხვა გზა არ არის, რომ მაინცა და მაინც ამ შარაზე დაბოკინობთ, კაცო?! ბიჭოს! რაც არის, ეგ არის, ბიჭოს! ვაა!

— მოიცა, მოიცა, რა გაჯაჯლანებს, რას იფურთხები, რო იფურთხები! კარგზე კარგი ვერ უნდა ვთქვა, კაცო, შენი შიშით?! — ხმას აუწია ელიზბარამ. — რო კვინტილობ, რას კვინტილობ, სხვამ ვინ რა გითხრა, რა ვიცი მე, მე რასაც გეუბნები, ის ვიცი, უყურე შენ!

— ჰო, კაი, ბატონო, კაი, მაგდენიც არ მითქვამს მე. — სიფიცხემ გადაუარა ერმალოს.

— არა, რომ აკვინტილდი, რას აკვინტილდი! გკადრე რამე ცუდი, თუ?! ბიჭოს! — არ იშლიდა ელიზბარა, — ისე, — ცოტა ხმას დაუწია ბრიგადირმა, — ეს, აქითა ბიჭი, სიძე არაა? ჩვენი ელისოს...

— ჯერ რა სიძეა, — შეაჭამა სიტყვა ბაგეზე ერმალომ მეზობელს, — სიძე მაშინ იქნება, როცა ქალი თავისთან ეყოლება, ახლა... უბრალო ხელსადები დაავდო სახლში და ჯერ რა სიძეა, სიძე არა...

— მოიცა, მოიცა, შენსას ნუ ახურებ, ხელსადები თუ მოიტანა შენს ოჯახში, ქვეშსაგებიც ექნება მის ოჯახში, გაატანე ე ქალი და ნახავ მერე, იქნება თუ არა სიძე! ვერა ხედავ, რამოდენა თვალებს აბრიალებს? ელისო კი არა, ცხრა ელისო არ ეყოფა, აპა...

ელისოს შერცხვა, მოაჯირს მოცილდა და ოთახში შევიდა.

— ამ ხნის კაცი ვარ და ამან და ამან ამოავსოო, ჯერ არ გამიგონია... როდის იყო, ზვინქვეშ თაგვი ისრისებოდა... წამო, წამო ხელის მომთავრება გინდა და შევიდეთ სახლში, ისეთი ღვინო გამოგიტანო, შენი ცოლის მამა-პაპას სიზმარშიც კი არ ჰქონდეს ნანახი, წამო, წამო... — ხელი წაატანა მკლავში ერმალომ მეზობელს.

— სახლში რა გვინდა, კაცო, მაცალე, მათქმევინე, რას ვამბობდი, კაცო... ჰო, იმას ვამბობდი, რომაო... კაცო... — სათქმელი გადავარდა ბრიგადირს, — ჰო, კაცო... იმასა, ხო... ხო და სიძე ყოფილა და ეგ არის, კაცო, კინალამ ვერ ვიცანი... შენი სახელი ბიძია... ხო, ნარიმანი, ნარიმან ბატონო... იმას ვამბობდი, ჩემო ნარიმან, რო ვერ გიცანი კინალამ, ისე, რა ვქნა, არაა ჩემი ბრალი, გადამეკიდნენ და დავლიე, არ გამომიშვეს. ისე, ვინცა სვამს, ისა თვრება, რო არ სვამს და რო თვრება, ისეთი შენი სიმამრია, ერმალო ბატონი, ხელი რო აქვს ჩამოკიდებული...

— წამო, წამო, შევიდეთ სახლში. — ისევ წაატანა მკლავში ხელი ერმალომ მეზობელს.

— დავჭედოთ ხარი, აგერ ელიზბარიც მოგვეხმარება წაქცევაზე და მერე შევიდეთ სახლში. — ახლა ნარიმანმა ამოიღო ხმა.

— აა, თქვენ ხარის დაჭედვას აპირებდით? კი ბატონო, — მერე უცბად გაეცინა ბრიგადირს, — კაი ეშმაკი სული ხარ ერმალო, ვინც არ გიცნობს. გამოიგონე ახალი და ეგ არის... ადრე სასიძოს საშეშე კუნძს აპობინებდნენ,

რამდენად მოხერხებულია და გონიერი, გამოჩნდებაო. შენ ახალი გამოიგონე, სასიძოს ხარს აჭედვინებ...

— წამო, წამო, დავლიოთ. მაგ უკუღმართი ლაპარაკით ენა არ მოიკვნიტო, თუ კაცი ხარ. — მეზობლის ნაკბენი შეუხვეველი არ დატოვა ერმალომ.

— არა, არა, ნამდვილად არა! — ფეხი გაიდგა ბრიგადირმა, — თუ ჩემს შერიგებას აპირებ, აგერ გამოიტანე, ამ ჰაერზე ორი ჭიქის დალევა ბაბუის ცხონება იქნება...

— შემოდით, კაცო, სახლში, წყალში კი არ მიდგას ფეხი! — გულმოსული კილოთი შეაწყვეტინა ერმალომ მეზობელს.

— არა, არა, თუ რამე ისეთი გაქვს გულში, აქ ჯობია... ერთი დოქი ღვინო, ყველის ნაჭერი, პური და კეთილი გული, თუ მაინ და მაინ, წადი და ორი ცალი ხახვის ძირიც მოიტანე ნოშოიან-ფოჩიანად, ა, ეგ არის და ეგ, ამნაირი პურ-მარილია გემრიელი, თვარა, ხბო და გოჭ-ქათამში თუ გაქლიტე, სულიერი თუ უსულოდ აქციე, ოჯახი თუ დააქციე, რაღა ფასი აქვს მაგნაირ ქეიფს, შე კაცო, შენა! — ყორყალობდა ელიზბარა ბრიგადირი და იდეებს განუკითხავად არიგებდა.

— ელისო, წასახემსებელი მოამზადე, მე ღვინოს ამოვიღებ ქვევრიდან... — შეიძახა სახლში ერმალომ და თან ბაწარზე ჩამოკიდებულ ხელს დახედა.

— მოიცა, კაცო, მოიცა, ცალხელა კაცი რავა ამოიღებ ღვინოს... შენი სახელი ბიძიკო... — ისევ დააიწყდა ელიზბარას სიძის სახელი, — ჰო, ნარიმანი, აგერ ნარიმანი ამოიღებს, ელისო ასწავლის, რომელ ქვევრს ხარჯავ, — თვალი ჩაუკრა ნარიმანს ბრიგადირმა, — შენ აგერ მელაპარაკე მე, რა ხდება კოლმეურნეობაში, „ტოჩი-ტოჩ“ მოგიყვები.

— ნარიმანი არა, კიდე სხვა რა გინდა! — ჩაიჯუჯღუნა ერმალომ და სახლში შევიდა.

— ნამეტანი უჯიათო კაცია, — ვერ მოასვენა ენა ბრიგადირმა, — თუ დაიჩემა, გათავდა. არ უნდა გაატანინო თავისი. ისე, მშრალი [illegible] ქონდეს, აჯას არ გაიტეხ[illegible]ნაპურმარილებს გამოგიშვებს. შენ ჯერ არ იცნობ ერმალოს, მაგარი ვინმეა... მაგ გოგოს ამბებში და საქმეში ხარ გართული, იმითა გაქვს თვალები გადაბურული, აგრე იცის შენს ასაკში... ნამდვილად მაგარი ვინმეა... სიტყვის კაცი ხო არის და ხო, აბა-ბა-ბა, მტრისას, თუ კაცის ჯავრი ჩაიდო გულში... პირში მთქმელი კაცია, რას ერჩი, რას უწუნებ!..

შარაზე კაცს რა გამოლევს, ოთხიოდ გამვლელი კიდევ შეემატა სახელდახელო სუფრას... ერთ დოქს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე...

...— ახლა კი ცოტა ხნით შევისვენოთ, ხარები დავჭედოთ და სმა მერე გავაგრძელოთ. — მტკიცედ თქვა ღვინით გათამამებულმა ერმალომ და დოქის ტუჩს ხელისგული დააფარა.

„რა ხარის დაჭედვა აუტყდა ამას რა, არ გააჭირა საქმე? ვაი თუ კარგად არ გამომივიდა და მომეჭრა თავი ამდენ ხალხში! მართლა უჯიათო ვინმე ყოფილა, რა! არა და ორჯერ არა მკავებია ხელში საჭედი ჩაქუჩი... დავაკოჭლებ ხარს და... ე ქალი მაინ მყავდეს წაყვანილი და ხარს სულიც გაძრობია“. — გაიფიქრა ნარიმანმა და ხელები მოიფშვნიტა.

„ჭკვიანია ელიზბარა, მართლა გამოვცდი სასიძოს, აუცილებელია შეშის კუნძები ვაჩეხინო? აგერ ვნახოთ, რა მარჯვეც არის! თუ უმარჯვობა შევატყვე, ავუშვებ ხარს და მორჩა, ჩემი ნება არ არის თუ რა! აპა!“ — გაივლო გუნებაში ერმალომ და ნარიმანს შეხედა.

— კი ბატონო, სანამ აგერ ვართ, ბარემ საქმეს მივხედოთ, გვეყოფა სმა და ჭამა. — თქვა ერთ-ერთმა მეზობელთაგანმა და მკლავები დაიკარწახა.

— ასე ვქნათ, რა გვიშლის ხელს! — დაემოწმა მეზობელი მეზობელს და თან ცხვირი მისწი-მოსწია აქეთ-იქით.

— წადი, ერმალო ბატონო და მოიტანე ახლა რაცხა ხილაბანდი, პირდება

ამ საქმეს. — ამოილუღლუღა ბალახზე მიწოლილმა ელიზბარამ, მერე ნახევრად ჩამქრალი სიგარეტი ააპლაკუნა და ბოლი გულიანად რომ ვერ გამოადენინა, გინებით აიკლო თუთუნის მომგონი.

ერმალო საბძელში შევიდა, ორიოდე წუთის მერე უკან გამოვიდა, მარჯვენა ბეჭზე ხიხარიგი ჩამოედო, მარცხენა ხელით კი, საკმაოდ მოზრდილ სპილენძის ძირმომწვარ გობით, ნალ-ლურსმანი, გაზ-კვერი და ფოლსათალი მოჰქონდა.

ერმალომ კალოს პირას, ხასხასა ბალახზე დააწყო სანალბანდო მოწყობილობა. მერე ელისოს გასძახა, ჰაპანი გამომიტანე, ბელლის თავზე დევსო.

სტუმარ-მასპინძელს ღვინომ ერთიანად დარია ხელი. თითქმის ყველა თავისას ლაპარაკობდა. ელიზბარა ბრიგადირი ხომ სულ წავიდა ხელიდან, სააქაოს აღარ იყო...

— ძალიან ფიცხელი ხარია და ფრთხილად! ამ ნამთურზე ჰაპნით გაკოჭვას როგორ აიტანს, ღმერთმა უწყის! — უთხრა ნარიმანს ერმალომ.

— ნუ გეშინია, შე კაცო, ასეთი ფიცხელი ხარი კი არა, უარესები, გადარეულზე გადარეულები მყავს დაჭედილი, ნაღდი ნალბანდი ვარ, აბა, ის კი არა ვარ, ზოგ-ზოგები რომ არიან. — ნარიმანი მიხვდა, რომ უკან დასახევი გზა აღარ არსებობდა, ერმალო მართლა ცდიდა სასიძოს... მხოლოდ და მხოლოდ წინ, უკან ელისო! აბა შენ იცი ნარიმან და შენმა ბიჭობამ! — გაივლო გულში ნარიმანმა საბოლოოდ.

ნალბანდმა მარჯვედ ჩააბა რქებში მერცხალას ჰაპანი, ნესტოები და ქვედა ყბა საგულდაგულოდ გამოუნასკვა, მერე მარჯვენა ფეხში მოსდო თოკი, კისერი მოუღრიცა და ხარს დაწოლა უბრძანა.

ხარი გაჯიუტდა. აქედან შეუძახეს, იქედან შეუხორხოცეს ჰაი, ჰაი, ჰაიო და ბევრი წრიალისა თუ ტრიალის შემდეგ, რისვაივაგლახით, როგორც იქნა, წააქციეს. მერცხალამ თითქოსდა ამოიხრაო, საზარელი ხმით ამოიზმუვლა.

— ნუ გეშინია, უცბად გაგათავისუფლებთ. — დააყოლა ხარის ზმუილს ნარიმანმა და ფეხების შეკოჭვას შეუდგა.

ელიზბარას ჯერ ჩაცუცქულს წასთვლიმა, მერე კი მიწვა ბალახზე და გულიანი ხვრინვა ამოუშვა.

ერმალომ ბრიგადირის ხრიალზე მიიხედა, მარცხენა ხელი ჩაიქნია და დააყოლა: ერთი სიტყვით, ურემარე მსმელია, ნორმა არ იცის და საწყაო, მაგისგან არაფერი არ გამოვაო.

— გამოსვლით მეტი რაღა უნდა გამოვიდეს, ბრიგადირი კია ახლა და მინისტრი რო არ გამოვიდოდა, მაგი თავიდანვე იცოდა. — ამოაბრუნა ენა ერთ-ერთმა მეზობელმა.

ნარიმანს ბრიგადირისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ერთ ფიქრს ჰყავდა გაბაწრული — დასაწყისი რა კარგად გამომივიდა, ნამდვილ ნალბანდს არაფერში ჩამოვვარდნილვარო, ნეტა ბოლომდე ასე იქნებოდეს და მეტი არაფერი არ მინდაო...

ბიჭმა ხარი მოატრიალა, ხიხარიგი გამართა...

ისე სხარტად მოქმედებდა ნარიმანი, რომ ერმალოს მოწონების ნიშნად ულვაშებს ქვეშ ჩაეღიმა.

ნალბანდმა ფოლებს კვერი წაჰკრა-წამოჰკრა, შემხმარი ტალახი დააყრევინა, მერე ფოლსათალს მოჰკიდა ხელი და საქმეს შეუდგა.

ერმალო საგულდაგულოდ უყურებდა ნარიმანს და უფრო და უფრო მოსწონდა მისი ხელის სისწრაფე. მთლად ნალბანდი ყოფილაო, ერთი გავლება კიდეც გაივლო გულში.

ხარმა მეოთხე ლურსმნის ჩარჭობაზე ფეხები ისე აფხარკალა, კინაღამ ხიხარიგი დაშალა.

— ხიი, ხოო, ნელა შე ვერანო, შენა! — დაუყვირა ხარს პატრონმა.

— მოიცა, მერცხალა, მოიცა, ოო, წწუ, წწუ, წწუ! — ახლა ნარიმანმა ჩაუწრუპუნა ხარს ყურთან.

— ცოტა ქეშად გაუშვი, ქეშად! — შეაწია სიტყვა მეზობელმა ნალბანდს.

მერცხალა მძიმედ სუნთქავდა.

— ჭაპანმა მოიშვა, თავი არ ამოატრიალოს თვარა, გაიგუდება, ეს ნადირი ესა! — შეუძახა ნარიმანს ერმალომ. — მიდი, ბიჭო, მიდი, მაგრად გაუჭირე, ლაჯებიდან ამოქაჩე, აი, აგრე, ახლა კისერი წამოუწიე, ეგრე, ცოტა აქეთ, ბიჭო, რამ დაგაბნია, ჰო, ეგრე, მოქაჩე ახლა მაგრად, გამოუმცნიე, კიდევ ერთხელ ჩაუნაცვლე... ეეხ, ჩემი მტკივანი ხელი რა ვთქვა! — დააყოლა ერმალომ ბოლოს და გაკოჭილ ხელს უნდობლად დახედა.

ნარიმანი გაზსა და კვერს აკაკუნებდა.

ელისომ მოირბინა და მამას უთხრა: თავმჯდომარე მიტუაანთ კართან დგას და გეძახისო.

— აქ ვერ მოეთრა? სად მცალია მაგისთვის! მთავრობის კაცები თუ უნდა, აგერაა წამოზვინთული ელიზბარა ბრიგადირი და ამას დაუძახოს, ბიჭოს! რა უნდა მაინც, არ გითხრა?

— არაფერი არ უთქვამს, დაუძახეს მეტი.

— ერთი მაგისი ჭკუაც!.. — ამოილმურტყულა ერმალომ და გოგოს გაჰყვა.

— სანამ ერმალო მოვა, თითოც გადავკრათ. — თქვა მეზობელმა და დოქსა და ჰიქას ხელი ერთად მიატანა.

ჰიქა ჰიქას მიჰყვა...

ფეხებით გაკიდებული ხარი კინალამ ნალბანდსაც მიავიწყდა...

— ასეთი ფიცხია, ისეთი ფიცხიო, რო გაიძახოდა შენი სიმამრი, რა ეტყობა ახლა ამ ხარს სიფიცხისა და შოლოფორთისა, წევს არხეინად ფეხებაფშკვერილი და გაზ-კვერის კაკაკუკს მშვიდად უგდებს ყურს, არა, ძმაო, ყველაფერი კი არ დაეჯერებათ ხოლმე სიბერემოკიდებულ კაცებს... ფიცხიაო, რა ფიცხი, კაი, კაცო, ერთი... — ამოხიოდა ჩაზულუქებული მეზობელი.

— რა ვიცი, კაცო, თავიდანვე კი დაგვზაფრა და... — ახლა მეორე მეზობელმა ამოილუღლუღა.

— ისე, ძმაო, მაგარი ღვინო იცის, ამ ღმერთძაღლმა [illegible] არის, რა ადგილზეც ესვრი კუჰს, იქა ხვრეტს, მაგარია, ძმაო, ერმალო, მაგარი... რაც მართალია, მართალია, [illegible] გყავს, ჩემო ძამიკო, მაგარი! — საქებარი ენა გამოიგდო წინ მსუქანმა მეზობელმა. მერე რიგგარეშე ერთი ჰიქა ღვინო კიდევ მიაყუჩა...

ერმალოს ცოტაოდენი შეაგვიანდა.

— ამნაირი ჭკვიანი ხარი სულ არ მინახავს მე, რაებს ქარაფშუტობდა ერმალო ბატონი, ნამდვილად არ მესმის მე. — წამოიწყო ისევ მუცელზე ქონმოდებულმა მეზობელმა.

— შენ ეგა თქვი, აი, რას ერჩი ახლა ამ ხარს, თუ ღვთის პირიდან არა ხარ გადავარდნილი, ამ პირუტყვს სიფიცხეს ვერ დაწამებ! — კვერი დაუკრა მეზობელმა მეზობელს.

— ერმალო მოდის, მიაკარი ეგ ოხერი ბოლო ნალი მაგ დასაკლავს და მორჩი. — უთხრა თავისმა ამხანაგმა ნარიმანს.

ნარიმანმა ჰიქას ცივად გაუშვა ხელი, ნალსა და ლურსმანს მიეტანა და კვერი გაზზე მიუკაკუნ-მოუკაკუნა.

ერმალო დაბრუნდა. მერცხალას ირგვლივ შემოუარა, ფოლები შეუთვალიერა, ხელითაც კი შეეხო, მოეწონა ფოლს უკან დაკვერილი ლურსმნის წვერები.

— ყოჩაღ შენ, გცოდნია! — სიხარული ველარ დამალა ერმალომ მაშინ, როცა ნარიმანმა ბოლო ლურსმანი მიაგაზკვერა.

— ესეც ასე, მართლა ყოჩაღ მე! — ღიმილით თქვა ნარიმანმა, ხიხარიგი გადახსნა, შემოკოჭილი ფეხები გაუხსნა და რიხიანად შეუძახა: აბა, ჰე! წამოხტი შენებურად, მერცხალა, აბა, ჰე!

ხარს ფეხი არ გაუნძრევია...

— ადექი, ადე, წელან არ წვებოდი და ახლა ადგომა გეზარება?! — შეუყვირა მსუქანმა.

— ადე, შე მართლა ხარო! — ახლა მეორე მეზობელმა დაჰკრა ზურგზე ხელი, მერე კი მარჯვენა ხელის ცერა თითი ღდინზე ატაკა.

მერცხალა არ განძრეულა...

— დამხრჩვალა ხარი, გაგუდულა... — წყნარად თქვა მესამე მეზობელმა.

— დამხრჩვალა?!... — ვაიმე, ჩემო მერცხალა! — ერთი ისეთი შეჰყვირა ხარსა და ცას ერმალომ, თუ სადმე სამართალი იყო, კი უნდა ჩადგომოდა სული ფეხებგაჭიმულ ხარს, მაგრამ არც ღმერთი ჩანდა და არც ხატი...

ეცნენ ხარს, ხან იქით გადააბრუნეს, ხან — აქეთ... რის ვაივაგლახით ყბა გაუხსნეს... ხარი მაინც არ განძრეულა...

— შენი გამომსიძებელის თუ სასიძობლის დედა ვატირე, არ დამენახო თვალით, შე მამლაყინწა ლაწირაკო! — ერთი გაჯმაჯურდა ერმალო, მარჯვენა თეძოსთან ქამარზე ჩამოკიდებული დანა მარცხენა ხელით ჩამოიგლიჯა, მაღლა შემართა და ნარიმანს დაუტუტურაზა.

— რაებს მიქარავ, ბიჭს არაფერი მოსწია, თორემ მაგ ხელს მეორე ადგილზე გადაგიფშვნი! — წამოუვარდა ერმალოს ჩაზულუქებული მეზობელი, მკლავში მიეტანა, დანა აართვა და ძირს დაანარცხა.

შეშინებული ნარიმანი ღობეს გადაევლო და იქედან უცქეროდა ფეხებგაფშეკილ ხარს. ნალბანდს მისი ამხანაგიც ამოუდგა გვერდში.

აივნის ძელურზე ჩამოყრდნობილ ელისოს ფითრის ფერი დაედო, მერე თითქოს მტრედი აფრინდაო, ისე გამოიქცა კალოსკენ.

— არა, მაგის ბრალია, მაგ ოხრისა, მაგის დედა... — უსაშველოდ იგინებოდა ერმალო და იქით-იქით მიიწევდა.

— მამა, მამა, რა გემართება! — ახლა ელისო ჩამოეკიდა ყელზე მამას.

ერმალოს ჯაჯგურსა და ყვირილზე ელიზბარა ბრიგადირს გამოეღვიძა. აურზაურის მიზეზს, რა თქმა უნდა, იმ წუთში ვერ გაუხსნა კუდი, მაგრამ ფეხგაჭიმული ხარი რომ დაინახა, გონს მოეგო, მიხვდა, რაშიც იყო საქმე; ასეთები ბევრი მომხდარაო, — თავისთვის ჩაილაპარაკა, — მერე ჯიბე მოისინჯა, გამჭრელს ეძებდა, ვერ იპოვა და ეწყინა.

— მადერ გდია, აილე. — მიუხვდა მეზობელი ბრიგადირს.

ელიზბარამ დანა აიღო, ცერა თითით ფხა მოუსინჯა, ხართან მივიდა, მარცხენა ხელით თავი მოუწია და ის იყო, გამჭრელი ყელში უნდა გამოესვა, რომ ხარმა კარგახნის დაგუბებული ჰაერი საბერველივით გამოუშვა, მერე ისე მაგრად წამოიქნია თავი, და რქა ისე მაგრად მოხვდა მკერდში ელიზბარა ბრიგადირს, რომ აგერ იქ მოადენინა ბრაგვანი.

— მიშველეთ! — ერთი ამოიხვლა ელიზბარამ და სიმწრით ოთხად მოიკაკვა.

გოგოს ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი...

მერცხალამ წამოიმუხლა...

ერმალომ უსაშველო ბღავილი მიატოვა და ახლა ელიზბარას ეცა.

— ხარი გაცოცხლდა, ხარი! ნარიმანა, უუუ! — გაჰკიოდა ვილაცა.

— ბრიგადირი გვიკვდება! — ალრიალდა რომელიღაც მეზობელი...

ნარიმანი და მისი ამხანაგი დაღმართზე დაეშვნენ, მერე სოფლის შარას უყელეს და თვალს მიეფარნენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რენე კალანდია

* * *

მდინარის დამშრალ კალაპოტში დრო ედინება,
ხოლო მე ვდგავარ და ვიზეპირებ;
ჩემს წარსულს — ბინდში გვირილების აქვითინებას,
და აწმყოს — უცხო ხილვის ნაპირებს...

სივრცე — მომავლის ქამანდს ხელში აელვარებს,
და შემახსენებს: ჟამია წასვლის!
წამიც... უფალი მოეხვევა მაცდურ მწვერვალებს;
მრჩება ვულკანი — პირღია თასი...

— დასცალე, წადი! — ჯოჯოხეთის ცეცხლის ძმა არის
სამოთხის ალიც, ხოლო ლოდები —
შენი მშობლები — სიტყვებია გამჭოლი ქარის —
განმეორდება უკუნითი უკუნისამდე...

## მოღუშული მონოლოგი

„გლახაკი და უპოვარი ვიყავ..."
საბა

ვეწამე იმდენს, რამდენიც მწამდა;
ზუსტად იმდენი წუთი, საათი...
აჰა, აიღეთ! — გამოგადგებათ
ცხოვრება ჩემი — მასლაათისთვის...

ახ! — ეს თქვენ „ფიქრობთ" — მარკუსს მაგონებთ,
ოხ! — თქვენ „ა...რზებს" წერთ — პასკალის ძმა ხართ...
მე კი, საწუთროს რუხ შეგინებას
თავად მივიყვან — ჩემს ცთომილ დასთან —
პოეზიასთან; მხოლოდ მან იცის,
სად სახლობს წასვლა — გაფრენის განცდა,
რაა „დაცემა", რას ნიშნავს „ფიცი" —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდ-ხერხემალზე მოარულ კაცთა...
სად დამეწევა ღალატის შუბი —
ზურგში ნასროლი — მსახვრალი ხელით...
ან რომელ მიწას ემთხვევა შუბლი —
უფლის, სატანის და მენესტრელის...
რა უნდა გითხრათ — თქვენი ცოდვებით?..
რად უნდა ვსდუმდე? — არც მეცოდება;
თავი ამაყი — ხილვის ბლონდებით,
თავი შიშველი — ჟამის ლოდებთან...

## გულდაწყვეტილი სულის მუსიკა

სამი მიხაკის ამომშრალი თვალთა უპენი, —
სინამდვილეა...
ჰა, ეცემა ფურცლებზე ბინდი...
გარდაიცვალნენ რენესანსის საუკუნენი,
არ არსებობენ;
ძენიც,
ჩანიც,
ალდგომის ხიდიც...
მწირი სიცოცხლე,
ნისლის ფარდა...
სადღაც ქარია...
აქ დრო გაჩერდა...
რას გაარკვევ,
ბედი ცბიერი
რაღას გიქადის,
როცა მწუხრში,
წმინდა მარიამ,
ფლორენციიდან იდევნება ალეგიერიც...

## გზა... ჯვარედინი, გამოსალმება

ზაურს

ლექსებით — ნისლში თავდავიწყებით
თუ იწყებოდა ჩრდილი ხეების,
აწ საწყაულით დასასრულისა
აღესრულება დღესასწაული;
ლტოლვა — სანთელი ფრთამოტეხილი,
ოდეს გიხილავს, ის გაასრულებს —
სულის უფსკრულებს; ჟამი მწუხრისა
უმზერს წუხილით—გარდასულის მზეს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალენ როზ-გრიე

# ს ც ე ნ ა

## მოთხრობა

პირველი, ვისაც ფარდის გახსნისას ვხედავთ დარბაზიდან, — წითელი ხავერდის ფარდის კალთები რწევა-რწევით შორდება ერთმანეთს, — ჰო, პირველი, ვისაც დარბაზიდან ვხედავთ, პიესის მოქმედი გმირია. საწერ მაგიდას უზის, მაყურებლისაკენ ზურგშექცევით, გაჩირაღდნებული სცენის შუაგულში.

უძრავადაა, მკლავებით მაგიდას ეყრდნობა. თავი მარჯვნივ მიუბრუნებია, ასე, ორმოცდახუთი გრადუსით, — მაგრამ, ისერიგად კი, რომ სახის ნაკვთებს ვერ ვხედავთ, ბუნდოვნად თუ გაარჩევ პროფილს: ლოყა, საფეთქელი, ყვრიმალი, ყურის ბიბილო...

ვერც ხელებს ვხედავთ, თუმცა მოქმედი გმირის პოზა საშუალებას გვაძლევს მათი განლაგება წარმოვიდგინოთ: მარცხენა ხელის გაშლილი მტევანი მაგიდაზე გაბნეულ ფურცლებზე უდევს, მარჯვენა კი, კალმისტრიანი, ჰაერში გაშეშებია. ეტყობა, წამით შეყოვნდა და სადაცაა გაწყვეტილ წინადადებას მიუბრუნდება.

აქეთ-იქიდან უწესრიგოდ დახვავებული წიგნები შემოუწყვია — გარეგნობით და სიდიდით თუ ვიმსჯელებთ, უცხო ენათა ლექსიკონები უნდა იყოს, თანაც ერთობ ძველი.

მარჯვნივ მიბრუნებული თავი ზეაულერია: ეტყობა, ახლახან მოწყვიტა მზერა წიგნებსა და დაუმთავრებელ წინადადებას. ოთახის სიღრმეში იცქირება, იქით, სადაც, სქელი მეწამული ხავერდის ფარდა შემინულ კედელს ფარავს, ფარდა სწორხაზოვან, ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებულ ნაკეცებად ეშვება იატაკზე, ნაკეცების ღრმულებში ჩრდილები ჩაბუდებულა...

ძლიერ ხმაურს თქვენი ყურადღება ოთახის მეორე კუთხისკენ გადააქვს: ხის ტიხარზე აბრახუნებენ. ისე გამეტებით ურტყამენ, რომ ცხადი ხდება, არც ადრე დააკლებდნენ ცდას.

მოქმედი გმირი არ ინძრევა. ცოტაც და მკერდის შეურხევლად, ნელა აბრუნებს თავს მარცხნივ. ამას ისე აკეთებს, რომ მისი მზერა მთელ კედელს შემოუვლის. გრძელი, შიშველი კედელი ოთახის უკანა ფონია. ავეჯის ნასახიც არსად სჩანს. კედელს მთელ სიგრძეზე მუქი ხის პანელი მიუყვება, ფანჯრის წითელი ფარდიდან მოყოლებული საშუალო (თუ მომცროს არ ვიტყვით) სიმაღლის კარის ჩარაზულ ურდულამდე. მზერა კარებზე ჩერდება, ამასობაში კი დარტყმა ისევ მეორდება, თან ისეთი ძლიერი, რომ თითქოს ხედავ კიდეც, რარიგ ზანზარებს ტიხარი.

მიუხედავად იმისა, რომ სახე ჩვენკენაა მობრუნებული, ნაკვთებს ვერც

ახლა ვარჩევთ. მართლაც, მას შემდეგ, რაც სახე დაახლოებით ოთხმოცდაათი გრადუსით შემობრუნდა, თავი, ოთახის, მაგიდისა და სკამის საერთო ღერძთან მიმართებით, თავისივე ადრინდელი მდებარეობის სიმეტრიულად დადგა. ასე, რომ ახლა ბუნდოვანი პროფილის მეორე ლოყას, მეორე საფეთქელს, მეორე ყურს და ა. შ. ვხედავთ.

კიდევ ერთხელ აკაკუნებენ, ამჯერად უფრო სუსტად, თითქოს უკანასკნელი ვედრება იყოს, ან თითქოს იმედი გადაეწურათ, ან იქნებ დამშვიდდნენ, ან იქნებ გამბედაობა აღარ ჰყოფნით, ან იქნებ ვინ იცის კიდევ რა... რამდენიმე წუთიც და მძიმე ნაბიჯების ხმა დერეფნის სიღრმეში იკარგება.

მოქმედი გმირი ისევ მარჯვენა კედლის წითელი ფარდისკენ აბრუნებს თავს. ხალხური მოთქმის ან სხვა რამ მელოდიის ნაწყვეტი, თუმცა კი დამახინჯებული, წყვეტილი, ძნელად საცნობი.

მერე, წუთიერი მდუმარე უძრაობის შემდეგ, თვალებს ისევ თავის ნაშრომს მიაპყრობს.

თავს დაბლა ხრის... წელში სწორდება... სკამის საზურგე მართკუთხედის ფორმისაა. ორი ვერტიკალური კალონი საზურგეს ცენტრში მთლიანი ხის ოთხკუთხა ნაჭერს ამაგრებს. მისამღერის რამდენიმე ტაქტის ჩუმი სტვენა ისმის, უფრო სუსტი და უფრო წყვეტილი, ვინემ ადრე იყო.

უცებ მოქმედი გმირი კარებისკენ აბრუნებს თავს და ასე კისერწაგრძელებული გაყუჩდება. დიდხანს რჩება განაბული. დარბაზიდან ჩქამიც არ ისმის.

მოქმედი გმირი ფრთხილად დგება, სკამს უკან მისწევს, ისე, რომ იატაკს არ გაუხახუნოს და ჩუმი ნაბიჯით ხავერდის ფარდასთან მიდის. ფარდის კალთას ცოტაოდენ მარჯვნივ გადასწევს და კარებისკენ იცქირება (მარცხნივ). ლოყაზე აფარებული ფარდის კალთა რომ არა, გარკვევით დავინახავდით მარცხენა პროფილს. სამაგიეროდ, კარგად ვარჩევთ მაგიდაზე მიყრილ თეთრ ფურცლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ ბევრი ფურცელ[illegible] მოქცეული ფურცლების მხოლოდ კიდეები მოჩანს. უწესრიგოდ გამოჩრილი კიდეები ლამაზი ხელწერით გამოყვანილი წინადადებებითაა დასერილი. სულ ზემოთა ფურცელი, რომელიც მთლიანად მოჩანს, შუამდეა შევსებული. დაუმთავრებელი წინადადება აბზაცის შუაშია... უკანასკნელ სიტყვას სასვენი ნიშანი არ ახლავს. ფურცლის ქვემოთ მეორე ფურცლის კუთხე მოჩანს — წაგრძელებული სამკუთხედი, რომლის ფუძე ორი სანტიმეტრი თუ იქნება. მახვილი წვერი მაგიდის იმ კუთხისკენაა მიმართული, სადაც ლექსიკონებია დახორავებული.

კიდევ უფრო მარჯვნივ, სამკუთხედის წვერის გაყოლებაზე, ფურცლის მეორე კიდეს ვხედავთ. იგი მაგიდის გვერდისკენაა მიმართული და მტევნის ერთ დადებაზეა გამოჩრილი. ისიც სამკუთხაა, მაგრამ ფორმით დიაგონალზე გაჭრილ მართკუთხედს უფრო წაავავს. სამკუთხედის წვერსა და უახლოეს ლექსიკონს შორის მუშტისოდენა, მოთეთრო საგანი მოჩანს: ხმარებისგან გაპრიალებული რიყის ქვაა, მომრგვალებული და კიდემორღვეული. გულამოღებულ ქვას სქელი ფინჯნის ფორმა მიუღია. უმალ სისქე გეცემა თვალში, ვინემ ღრმული. ღრმულის ფსკერზე, ფერფლის გროვაში, სიგარეტის ნამწვი გდია. ნამწვს ნათლად ეტყობა პომადის კვალი.

სცენაზე მყოფი მოქმედი გმირი, ეჭვი არ არის, მამაკაცია: მოკლედ შეკრეჭილი თმა, პიჯაკი, შარვალი. თვალებს თუ ასწევთ, დაინახავთ, რომ ახლა კარებთან დგას, ესე იგი, დარბაზისკენ ზურგშექცეული. იფიქრებთ, რაღაცის გაგონება სურსო, შეიძლება იმისა, რაც ტიხარს იქით ხდება.

იქნებ ასეცაა, მაგრამ დარბაზამდე არავითარი ხმა არ აღწევს. მოქმედი გმირი უკან იხევს და რამპასთან მოდის, მაგრამ კარებს თვალს მაინც არ

აშორებს. მაგიდას უახლოვდება, ხელით ეყრდნობა და...

„უფრო ნელა“ — ისმის დარბაზიდან. რა თქმა უნდა, ვიღაც მიკროფონში ლაპარაკობს; ყოველი ბგერა არაჩვეულებრივი სიძლიერით ჟღერს.

მოქმედი გმირი ადგილზე ქვავდება. ხმა აგრძელებს:

„ეს მოძრაობა უფრო ნელა უნდა შესრულდეს! კარებიდან დაიწყეთ: ჯერ ნაბიჯი უკან — მხოლოდ ერთი ნაბიჯი — მერე, ათი-თხუთმეტი წამი ადგილზე იდექით. ამის შემდეგ მაგიდისკენ დაიხიეთ, ამჯერად კიდევ უფრო ნელი ნაბიჯით...“

მოქმედი გმირი კარების წინ დგას, ესე იგი, დარბაზისაკენ ზურგშექცევით. იფიქრებთ, რაღაცის გაგონება სურსო, შეიძლება იმისა, რაც ტიხარს იქით ხდება. დარბაზამდე არავითარი ხმა არ აღწევს. მოქმედი გმირი ნაბიჯს უკან დგამს და ადგილზე ქვავდება. რამდენიმე წამის შემდეგ, ისევ უკუსვლით, მაგიდას უახლოვდება, სადაც დაუმთავრებელი ნაშრომი ეგულება. ნელა, ძალიან ნელა დგამს ნაბიჯებს; კარებს თვალს არ აშორებს. მოძრაობს სწორხაზოვნად, თანაბარი რიტმით. იმასაც ვერ გაარჩევ, ხრის თუ არა მუხლებს. ტანს არ არხევს, განზე გაწეულ და ოდნავ მოხრილ ხელებსაც არ ამოძრავებს.

მაგიდას უახლოვდება, მარჯვენა ხელით მაგიდის კიდეს ეყრდნობა და მარცხენა კიდეს რომ გაუყვეს, მიმართულებას იცვლის. მაგიდის ზედაპირს ხელს აყოლებს და რამპის პერპენდიკულარულად მოძრაობს. მერე, ტრიალდება და ახლა უკვე რამპის პარალელურად იწყებს სვლას... სკამზე ჯდება და ფართე ზურგით მაგიდაზე მიყრილ ფურცლებს ფარავს.

თავდაპირველად ფურცლებს დააცქერდება, შემდეგ ფანჯრის მეწამულ ფარდას, დაბოლოს, ისევ კარებს გახედავს. ცოტა ხანი ასეა, მერე მთელი ტანით კარებისკენ მიბრუნდება და რამდენიმე გაუგებარ სიტყვას წარმოთქვამს.

„ხმამაღლა!“ — ისმის ისევ ის ხმა.

„ახლა, აქ, ჩემი ცხოვრება, კიდევ ერთხელ...“ — მოქმედი გმირის ხმა ბუნებრივად ჟღერს.

„უფრო ხმამაღლა!“ — ისმის მიკროფონში.

„ახლა, აქ, ჩემი ცხოვრება, კიდევ ერთხელ...“ — ხმას უწევს მოქმედი გმირი.

შემდეგ თავის თხზულებას მიუბრუნდება.

## მიახლოება ანტირომანთან

ახლა უკვე, 80-იანი წლების გადასახედიდან, თამამად და გულდინჯად შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ექსპერიმენტის ავკარგიანობაზე, რომელიც ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში „ანტირომანის“ ანუ „ახალი რომანის“ სახელითაა ცნობილი. ორმოცდაათიანი წლების ეს მეტად გახმაურებული ლიტერატურული მიმდინარეობა დღეს დაიწმინდა, ბევრი, იმ დროისთვის უახლესი და უცნობი მიგნებანი დავიწყებას მიეცა და არც თუ ისე ხანმოკლე ევოლუციის გზაზე, ბევრ ნოვაციას, რაც, „ანტირომანის“ ადეპტების აზრით, ახალი სიტყვა უნდა ყოფილიყო საერთოდ ლიტერატურაში, სახე უცვალა.

ალენ რობ-გრიე „ახალი რომანის“ ინიციატორი და მისი ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენელია. პირველი მანიფესტიც, რომელიც ამ სკოლის მიმდევართა პრაქტიკული ძიებების თეორიულ საფუძვლებს აყალიბებს, მის კალამს ეკუთვნის. „რომანის კოპერნიკი“ — ასე უწოდა მას ცნობილმა ფრანგმა კრიტიკოსმა პიერ დე ბუადეფრმა. მართლაც, ალენ რობ-გრიეს ნაწარმოებებში, ნოველებია თუ რომანები, მხატვრული ნაწარმოების სივრცე და დრო უცნაურ რაკურსში წარმოდგება. ისინი, მათთვის ესოდენ უცხო სიმკვრივეს და თითქოსდა ხელშესახებ სიმყარეს იძენენ. და არა მხოლოდ სივრცე და დრო; „თანამედროვე რომანის ეინშტეინი“ (ესეც ბუადეფრის განსაზღვრაა), თვით ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს ურთიერთობათა კვლევის დროსაც, ტრადიციული და ნაჩვევი გზის გაყოლას სრულიად განსხვავებული პოზიციის არჩევას ამჯობინებს.

ფრიდრიხ ნიცშეს მწარე ლოზუნგის „ღმერთი მოკვდა“ მსგავსად, ალე რობ-გრიეც ყველას გასაგონად აცხადებს: „რომანის პერსონაჟი მოკვდა“ — ეს არის ის დიდი ჭეშმარიტება, რომელსაც ემყარება ალენ რობ-გრიეს შემოქმედებითი სისტემა და რომელიც მერე, ბუნებრივად და სავსებით ლოგიკურად, ახალ-ახალი „სიცხადეების“ აღმოჩენასთან მიიყვანს მწერალს.

ადამიანის სიმარტოვეზე, მის ფუნდამენტურ უცხოობაზე, სამყაროს მტრობასა და დაუძლეველ ბოროტებაზე ადრეც წერდნენ. მაგრამ მწერლების ყურადღება მაინც თვით ადამიანზე იყო კონცენტრირებული და მათი ნაწარმოებების ღრმა „ინტერესიც“ ადამიანის შინაგანი სამყაროსა და გარეშე კავშირების ადექვატურ წარმოჩენას ეფუძნებოდა. რობ-გრიესთან აქცენტის მკვეთრი ცვლა ხდება — ახლა უკვე საგნების სამყარო გამოდის სამზეოზე (ამ თეზისს მერე აიტაცებს და კიდევ უფრო გააღრმავებს „აბსურდის თეატრი“). საგნები ავსებენ ადამიანის სამოქმედო არეს, იძენენ დამოუკიდებელ არსებობას და ამასთან ერთად მკარგავენ „ადამიანურ სითბოს“, რომელსაც ჩვენვე შევძენთ ჩვენს ირგვლივ არსებულ, „მოშინაურებულ“ ნივთებს. (გავიხსენოთ თუნდაც ვან-გოგის „ჩექმები“. მხატვრის ნებით ძველი ჩექმები იმდენად საკუთარ „არსზე“ არ გველაპარაკება, რამდენადაც მისი, ვინ იცის, ამჟამინდელი თუ ყოფილი მფლობელის პორტრეტს გვიხატავს. ანუ რომ ვან-გოგის ნივთი ადამიანური დოკუმენტის ჟღერადობას იძენს). რობ-გრიესთან კი ნივთების სკრუპულოზური აღწერა, მანიაკალურობამდე მისული სწრაფვა ნივთიერი თუ განივთებული სამყაროს შიშვლად წარმოჩენისა, მწერლის შემოქმედებითი ამოცანის გადაჭრას ემსახურება. ეს არის სურვილი სამყაროს ზედაპირის აღწერისა, ისე, როგორც იგი გვევლინება, ყოველგვარი შინაგანი მამოძრავებელი ზამბარისა და „სარჩულის“ ძიებისა და კვლევის გარეშე. ყოველივე ეს, რობ-გრიეს აზრით, ნათლად მიუთითებს მკითხველს იმ დისტანციაზე, რომელიც ადამიანის ცნობიერებას აშორებს სამყაროს. ეს დისტანცია კი შეშინებული და გზააბნეული მკითხველის თვალში ღრმა უფსკრულად გადაიშლება. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ირღვევა კავშირი ადამიანსა და მის გარემომცველ საგნებს შორის; უკიდურეს ზღვრამდე განივრცობა კანტის ცნობილი პოსტულატი საგანთა „შეუღწევადი ხასიათის“ თაობაზე. „რობ-გრიეს სისტემა და ტექნიკა ტრადიციული რომანის ფსიქოლოგიური დებულების უარყოფას ნიშნავს“ — ერთხმად აღიარებს თანამედროვე ფრანგული კრიტიკა.

რობ-გრიეს მხატვრულ სამყაროს მთავარი ზამბარა მოეშალა. იგი საყრდენ ცენტრს ჰკარგავს. ადამიანის, ყოველი მხატვრული ნაწარმოების ამ მთავარი გმირის „სცენიდან გაყვანა“ ან ფენომენოლოგიური ფილოსოფიის ტერმინი რომ ვიხმაროთ, მისი „ფრჩხილებში ჩასმა“, დიდ, შეუვსებელ სიცარიელეს სტოვებს.

ამ მეტაფიზიკურ ფონზე უფრო ნათელი და საჩინო ხდება რობ-გრიეს და ანტირომანის მეორე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ნატალი საროტის თხზულებათა ტექნიკური სიახლენი უპიროვნო თხრობა, მოკლე, თითქოსდა მოკვეთილი ფრაზები, სინამდვილის დანაწევრებული სახით წარმოჩენა და ავტორისეული პოზიციის გამჟღავნების შიში.

ნატალი საროტი თავის საპროგრამო ნაშრომში: „ეჭვის ეპოქა“ წერს: „ცხადი ხდება, რომ არა მხოლოდ რომანისტს აღარ სწამს თავისი პერსონაჟებისა, არამედ მკითხველიც, თავის მხრივ, ველარ აიძულებს თავს იწამოს რომანის გმირი. ამრიგად, რომანის პერსონაჟს ორმაგი საყრდენი მოაკლდა ერთბაშად: ავტორისა და მკითხველის რწმენა. ეს რწმენა ეხმარებოდა ლიტერატურული ნაწარმოების გმირს მყარად მდგარიყო მიწაზე და ფართო მხრებით ეზიდა ისტორიის მძიმე ტვირთი. ახლა კი გმირი ძლივს მიათრევს ფეხებს და სადაცაა ჩაიკეცება“.

საროტს იმ აზრის ინსინუაციაც სურს მკითხველისთვის, რომ თითქოს ანტირომანის ტექნიკა ბალზაკის გაკვეთილს ემყარებოდეს. რა თქმა უნდა, დიდი რეალისტი მწერალი არც თუ ისე მცირე ყურადღებას უთმობდა მისი გმირების ირგვლივ არსებული საგნების აღწერას, მაგრამ ბალზაკისთვის ეს კიდევ ერთი საშუალება იყო უფრო მკვეთრად წარმოეჩინა თავისი გმირის ფსიქოლოგიური თუ მორალური პორტრეტი. (საერთოდ, რეალისტური ხელოვნება აროდეს უგულვებელყოფდა ე. წ. „ადამიანის ნივთიერი ანტურაჟის“ აღწერას „რამეთუ მასაც სამართლიანად მიიჩნევდა სინამდვილის განუყოფელ ნაწილად). ბალზაკთან ყოველი ნივთი ადამიანთანაა დაკავშირებული და მისი ხასიათის რომელიმე ერთ წახნაგს გამოამზეურებს.

კრიტიკოსების შემოტევისაგან თავის დასაცავად, რომლებიც ახალ რომანს პერსონაჟის სრულ უარყოფას უკიჟინებენ, რობ-გრიე თავის მანიფესტში ხაზგასმით აცხადებს: „რამეთუ ჩვენს წიგნებში არ არის „პერსონაჟი“ ამ ცნების ტრადიციული გაგებით, კრიტიკა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თითქოს ჩვენ სრულიად უარვყავით ადამიანი. ამის მტკიცება იმის ნიშანია, რომ ჩვენს წიგნებს ცუდად კითხულობენ. ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყოველი გვერდი ჩვენი წიგნებისა ადამიანზე გვესაუბრება. ისიც მართალია, რომ ჩვენი ნაწარმოებების ფურცლებზე უამრავ, ამასთან დაწვრილებით აღწერილ საგნებს ვხვდებით, მაგრამ აქვეა ადამიანის მზერა, რომელიც ამ ნივთებს ხედავს, მისი აზრი, რომელიც ამ ნივთებს გაიაზრებს, მისი

გრძნობა, რომელიც ნივთებს სახეს უცვლის. ჩვენი ნივთები ადამიანის ცნობიერების გარეშე არ არსებობენ. ეს ის საგნებია, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურობას ავსებენ და რომელთაც ყოველ წამს ეხლება ჩვენი ცნობიერება და აღქმა“.

მაგრამ, რაც უნდა ამტკიცოს რობ-გრიემ აშკარა ერთია: ადამიანის ცნობიერებას და აღქმას არ ძალუძთ გაარღვიონ ის კედელი, რომელსაც ადამიანურ გონებასა და გარე სამყაროს შორის აგებს საკუთარი თავის ანაბარა მიტოვებული საგანი. რობ-გრიეს ნაწარმოებთა ფურცლებზე ნივთები უზარმაზარ და საშიშ განზომილებას იძენს; მათგან არაადამიანური სივრცის ემანაცია ხდება და ამ სივრცის დამთრგუნველ ძალას, ისევე, როგორც ნივთად ქცეული სამყაროს მტრულ იდუმალებას, მკითხველიც კარგად გრძნობს.

მსგავსად ევროპული ავანგარდიზმის სხვა მიმდინარეობებისა, ანტირომანიც, განსაკუთრებით მისი აღზევების ჟამს, თვალსაჩინო დასტური იყო მეოცე საუკუნის შუა წლების ევროპელი ინტელიგენტის გონებრივი ხნეულებისა, მისი დაუოკებელი შიშისა, მომხვეჭელობის ჟინს აყოლილი, ნივთების მომრავლების მანიით შეპყრობილი საზოგადოება რომ უნერგავდა თავის მეტ-ნაკლებად ფხიზლად მოაზროვნე წევრებს.

რობ-გრიეს ამ მომცრო ნოველაშიც, როგორც წვეთში, ისე ირეკლება ანტირომანის ქურუმთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელი უმთავრესი თვისებები. „ფოტოსურათის ფოტოგრაფირება“ — აი, ის მეთოდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ნოველას. თავისთავად ფოტოსურათი, შავ-თეთრი თუ ფერადი, მხოლოდ უტყვი და უსიცოცხლო ასლია სინამდვილისა. ხოლო ასლის ასლი კიდევ უფრო მეტად გააბაცებს ფერებს, ბუნდოვანს ხდის კონტურებსა და ხაზებს.

რობ-გრიეს „სცენა“ დრამატურგიული ნაწარმოების აგების ანტი-ხერხს მოიშველიებს. სცენური ნაწარმოები მონოლოგსა და დიალოგს ემყარება. აქ კი ერთ ვრცელ ავტორისეულ რემარკასთან გვაქვს საქმე. ავტორი პერსონაჟის გარშემო უთავბოლოდ დახვავებული და მიყრილ-მოყრილი საგნების აღწერით იფარგლება. მისი ობიექტური მზერა, რომელიც მხოლოდ დანახულს აღწერს, დეფორმირებულ, მთლიანობასა და ერთიანობას მოკლებული სამყაროს ბილვით იფარგლება. საგანთა ამ უფორმო მასის წიაღიდან მეუდაბნოეს ღაღადისად ამოიზიდება ის ერთადერთი ფრაზა, რომელსაც პერსონაჟი წარმოთქვამს. რა სურს? ვის მიმართავს? ვის უსვამს კითხვას? ვისგან ელის პასუხს? ნივთების სამყაროს ერთადერთი შესაძლებელი პასუხი დუმილია. რობ-გრიე ამ დუმილის მიღმა „გასვლას“ სთავაზობს მკითხველს, რამეთუ, მისი რწმენით, სწორედ ნივთების, მათი მტრული სივრცის, წინააღმდეგობისა და არაფრისმთქმელი დუმილის გავლით თუ შესძლებს ადამიანი სამყაროს იდუმალი აზრის ამოცნობას.

„პერსონაჟი მამაკაცია“ — გვამცნობს ავტორი. ეს არის და ეს. დამატებით ინფორმაციას „სცენის“ მოქმედ გმირზე, თუ კი ამ ცნების ხმარება ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, საგნები იძლევიან — წიგნები, ლექსიკონები, ხელნაწერი. მამაკაცი მწერალი ან მეცნიერი უნდა იყოს. მაყურებლის „ე. ი. მკითხველის თვალწინ „თამაშდება“ აბსურდული სცენა. შეიძლება რაღაც უკვე მოხდა, შეიძლება რაღაც კიდევ მოხდება, მაგრამ ახლა, ამ წუთს არაფერი არ ხდება. მკითხველი ამაოდ ცდილობს მოძებნოს „არიადნეს ძაფი“, რათა საგანთა ლაბირინთს დააღწიოს თავი. საგნების უძრაობა, მათი „ფართო პლანით“ წარმოდგენა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს და ამძაფრებს იმ გაუცნობიერებელ კაეშანს, რომელიც მკითხველს ეუფლება. (ეს რობ-გრიეს ტექნიკური არსენალის ერთი ხერხია — კი არ დაარწმუნოს, არამედ გააოგნოს მკითხველი). თითქოსდა ფიზიკურ ტკივილად შევიგრძნობთ აბსურდულ სამყაროს სიცარიელეს. საგნები სივრცისა და დროის საზღვრებს გადმოლაბავენ... დროც და სივრცეც გასაგნებულია... წამი უსაშველოდ იწელება...

პერსონაჟის არაბუნებრივი და უმიზნო მოძრაობებიც იმის მაჩვენებელია, რომ „ნივთების სამყაროს“ უაზრობა ადამიანსაც გადმოსწვდა „აზრი დაუკარგა მის მოქმედებას. პერსონაჟის ხმა, მისი საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზა ვერ არღვევს სცენაზე გამეფებულ ინერტულობას და ოთხ კედელს შორის მოქცეულ, თითქოსდა ერთბაშად გახევებულ სამყაროსაც ვერ შესძენს ადამიანურ განზომილებას. „სცენა“ მარტოდ შთენილი ადამიანის ცნობიერების დრამაა, ცნობიერებისა, რომელიც, ყოველ ნაბიჯზე, მისდამი მტრულად განწყობილი სამყაროს წინააღმდეგობას ეხლება.

ადამიანის ყოველი ცდა, რაიმე ახსნა მოუძებნოს გონების კითხვებს და როგორმე უწამლოს სულიერ ტკივილს, საგნების მიერ დამონებული, საგანთა წიაღში საგნად ქცეული უსუსური არსების ამათ გაბრძოლებაა — აი, ის „ცხოვრებისეული გაკვეთილი“, რომელსაც ალენ რობ-გრიე თავის მკითხველს სთავაზობს.

მოთხრობა ფრანგულიდან თარგმნა და
ბოლოსიტყვაობა დაურთო
გიორგი ეკიზაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედიშერ ჭელიძე

# გნოსტიკური ხასიათის ძეგლი

დამარხულ არს ენაჲ ქართული დღეჲმდე მეორედ მოსლვისა მისისა, საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარჱ არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან; ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ. და მეგობრობაჲ ამისთჳს თქუა, ვითარმედ „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“; და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს თქუა დავით წინაჲსწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღჱ“. და სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ბოლოსა მათჱსსა წერილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღჱ და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთჳს მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა. და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოცდაათოთხმეტი წელი, უმეტჱს სხუათა ენათა, ქრისტჱს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ.

ასი ესე წელი ანბანისაჲ.

* * *

ძეგლის ხელახალი გამოქვეყნებისას ჩვენი მიზანი მხოლოდ ისაა, რომ ხაზი გავუსვათ ხელნაწერებში დაცული ტექსტის სისწორეს და თავიდან ავიცილოთ ცალკეული მოსაზრებებით გამოწვეული ყველა ის „შესწორება“, რომელიც ამ თხზულების თითქმის ერთმანეთზე მიდევნებულ პუბლიკაციებს ახლდათ. ასე რომ, ჩვენ უცვლელად ვიმეორებთ ნ. მარისეულ ტექსტს[1].

ძეგლი უაღრესად მისტიკურ-ალეგორიული ხასიათისაა. ჩვენი აზრით, ამგვარად ბუნდოვანი და სიმბოლური მინიშნებებით სავსე თხზულება ერთადერთია არა მარტო ქართულ, არამედ, ზოგადად, ქრისტიანულ საეკლესიო მწერლობაში. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

ვფიქრობთ, „ქებაჲ“ (ეს წოდება პირობითია) ანარეკლია ქრისტიანული სამყაროს იმ განშტოებისა და იმ ეპოქისა, რომლის კვალიც ქართულ წყაროებში არ შემონახულა, რომლის შესახებაც ყველა ცნობა დავიწყებას მისცემია, ანდა განზრახ მიუჩქმალიათ და მოუსპიათ.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ორთოდოქსია ყოველთვის ეჭვის თვალით უცქერდა ზედმეტად სიმბოლურ-ალეგორიულ ნაწარმოებებს და არ თვლიდა მათ ჭეშმარიტად. ალექსანდრიული სკოლის ალეგორიზმი ეკლესიას მთლიანად არასოდეს გაუზიარებია. ასევე, მისტიკური ხასიათის „აპოკალიფსი“ მხოლოდ VI ს-ში მიიჩნიეს კანონიკურად.

ჩვენი ძეგლის ზედაპირული გაცნობაც კი გვარწმუნებს, რომ იგი ორთოდოქსიის წიაღში არ აღმოცენებულა. ვფიქრობთ, „ქებაჲ“-ს ცალკეული ფრაზების ბუნდოვანება, მათი გაუშიფრაობა იმითაა გამოწვეული, რომ თხზულება არ განიხილება იმ ისტორიულ მონაკვეთში და იმ მოძღვრების ფონზე, რომლის ნაშთიც იგი უნდა იყოს.

მკვლევართა უმეტესობა ძეგლის შექმნას IX-X სს.-ში ვარაუდობს (პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, თ. ჩხენკელი, ნ. პაპუაშვილი). გამოთქმულია ინტუიციური აზრი თხზულების IV ს.-ში, საერთოდ, ადრეულ პერიოდში შექმნის შესახებ (ა. ბაქრაძე, რ. პატარიძე). იყო ცდა „ქებაჲს“ I საუკუნეში გადატანისა (ზ. ჩოლოყაშვილი).

ძეგლის ავტორი ქართულ ენას ლაზარეს უწო-

დებს: მათეს სახარების დასაწყისი ასო „წ", მისი თქმით, აღნიშნავს ოთხ დღეს, ლაზარეს სიკვდილის დროს, ანუ სიმბოლურად — მთელ სააქაო ცხოვრებას. როგორც ლაზარე აღდგა მეოთხე დღეს, ასე აღდგება ქართული ენა მეორედ მოსვლისას.

აღნიშნულით უნდა დავიწყოთ თხზულების კვლევა, რადგანაც დღემდე საკამათოდაა ქცეული „ქებადს" ხასიათი. მკვლევართა (ზ. კიკნაძე, ა. ბაქრაძე) აზრით, მასში არაფერია ერეტიკული. ავტორის სიტყვები იმის შესახებ, რომ მეორედ მოსვლისას „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა", მიჩნეულია ქართული ენის სხვა ენებთან გათანაბრების მცდელობად.

ჩვენი აზრით, „ქებად" ორთოდოქსიამდელი განწყობილების ამსახველია. თავი რომ დავანებოთ ზემოციტირებულ წინადადებას, რომელიც აშკარად მიუთითებს სხვა ენათა ქართული ენით მხილებაზე და რომლის ნებისმიერი სხვა მნიშვნელობით გააზრება, თუ წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისს არ ვეყრდნობით, მიზანშეუწონელია, თვით ქართული ენის ლაზარესთან გაიგივებაც ამასვე ამტკიცებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქრისტიანულ აზროვნებაში დამკვიდრებული აზრის თანახმად ქრისტემ ყველაზე ადრე ნათელსცა ლაზარეს, ყველაზე ადრე მიანიჭა მას „ყოველი საიდუმლო", ყველაზე ადრე უწოდა მას მეგობრად, მეგობრობა კი, ორიგენეს თქმით, ღმერთის სულიერი ცნობაა. ლაზარე დამარხულია იმიტომ, რომ იგი ფლობს „ყოველ საიდუმლოს". ქრისტეს სხვა მოწაფეები მიიღებენ ამ „საიდუმლოს", ანუ ჭეშმარიტად ეზიარებიან ქრისტეს მხოლოდდამხოლოდ ლაზარეს აღდგომის შემდეგ (მანამდე ისინი ნაწილობრივ არიან ზიარებული მოძღვართან) ფეხთაბანის და სერობის გზით. ლაზარეს აღდგომამ ჭეშმარიტი რწმენა მისცა მათ. ეს ცხადად ჩანს სახარებიდან: ლაზარეს სიკვდილის გამხელის შემდეგ მოძღვარი ეუბნება მოწაფეებს: „და მე მიხარის თქუენთჳს, რაჲთა გრწმენეს ჩემი, რამეთუ არა ვიყავ მუნ, არამედ მიგუალეთ, მივიდეთ მისა" (იოანე, II, 15). მეოთხე დღემდე ქრისტესთან ჭეშმარიტად ზიარებული იყო მხოლოდ ლაზარე. ამ დღის შემდეგ ლაზარეს გზით სხვა მოციქულებსაც მიეცათ ჭეშმარიტი რწმენა, ისინიც იწოდნენ ქრისტეს მეგობრებად!

„ქებადს" სიმბოლიზმის მიხედვით (1) ლაზარე ქართული ენაა, (2) ოთხი დღე — მთელი სააქაო ცხოვრება (3), სხვა მოციქულები — სხვა ენები; (4) მეორედ მოსვლამდე „ყოველი საიდუმლო" მხოლოდ ქართულ ენაშია დამარხული, ისე როგორც მეოთხე დღემდე მხოლოდ ლაზარე ფლობდა „ყოველ საიდუმლოს". (5) მეორედ მოსვლამდე სხვა ენებისთვის უცნობია ეს „საიდუმლო", ისევე როგორც უცნობი იყო სხვა მოწაფეებისთვის მეოთხე დღემდე ლაზარეში დამარხული „საიდუმლო". (6) მეორედ მოსვლისას ქართული ენის გზით სხვა ენებს გაემხილებათ ეს „საიდუმლო" (ამ დღემდე ისინი უმხილებელნი და ქრისტესთან ჭეშმარიტი ზიარების უქონლები არიან), ისევე როგორც ლაზარეს გზით მიეცათ სხვა მოციქულებს ჭეშმარიტი რწმენა.

ამგვარად, ლაზარეს სხვა მოციქულებისგან განმასხვავებელი ნიშანი სამია: (1) იგი ყველაზე ადრე ეზიარება „საიდუმლოს"; (2) საიდუმლოსთან ზიარებით ლაზარე დაეფლობა ოთხი დღე; (3) მეოთხე დღეს თავისი აღდგომით იგი გაუხსნის გზას სხვა მოციქულებს ჭეშმარიტი რწმენისაკენ.

ქართულ ენასთან დაკავშირებით „ქებადს" ავტორი სწორედ ამ ნიშნებს გამოყოფს. დავიწყოთ უკანასკნელით (3): „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა"; (2) ქართული ენა არის „ოთხისა დღისა მკუდარი" ანუ „დამარხულ არს მეორედ მოსლვამდე", რადგან იგი საიდუმლოსთანაა ზიარებული: „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს". რაც შეეხება პირველ ნიშანს, რომელიც გულისხმობს ლაზარეს ყველაზე ადრე ნათელღებულად (ანუ საიდუმლოსთან ზიარებულად), რაც, თავისთავად ცხადია, ქართულის ენის სხვა ენებზე ადრე ნათელღებულად ანუ საიდუმლოსთან ზიარებულად გაცხადებას ნიშნავს, მას ქვემოთ შევეხებით. ამჯერად კი განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს „ყოველი საიდუმლო".

როგორც ვნახეთ, ძეგლის ავტორი მიიჩნევს, რომ მეორედ მოსვლამდე „ყოველი საიდუმლო" მხოლოდ ქართულ ენაში არსებობს. იგი პრეტენზიას აცხადებს „ყოველი საიდუმლოს" ფლობაზე. ამ ფრაზის შინაარსის გარკვევის ერთადერთი გზაა შესწავლა იმისა, თუ როგორი იყო „საიდუმლოს" ფლობის შესახებ პრეტენზიები ანუ რა „საიდუმლოზე" აცხადებდნენ საერთოდ პრეტენზიებს ქრისტიანული აზროვნების სხვადასხვა განშტოებები.

1958 წელს მარ საბას მონასტერში მ. სმითმა აღმოაჩინა კლიმენტ ალექსანდრიელის (II-III სს.) ეპისტოლის ფრაგმენტი, რომელშიც ციტირებულია მარკოზის საიდუმლო სახარებიდან ადგილები და აღნიშნულია, რომ ეს სახარება დიდი საიდუმლოებით იყო დაცული ალექსანდრიის ეკლესიაში. აღმოჩენის ფონზე, აგრეთვე სხვა წყაროებზე დაყრდნობით, გაირკვა, რომ იესოს მოძღვრება თავდაპირველი სახით ყოფილა მაგიური ინიციაცია საიდუმლო მოძღვრებასთან, რომელიც გულისხმობდა ნათლისღებას. პირველ საუკუნეში ნათლისღების სპეციალური თეოლოგიური ტერმინი იყო „საიდუმლო" mysterion. იგი უდრიდა საიდუმლო მოძღვრებას[2]. ესაა ის საიდუმლო მოძღვრება, რომელიც (ა) გამჟღავნებულია პავლეს ეპისტოლეებში, (ბ), რომლის მემკვიდრეობას იჩემებდნენ II-III სს. გნოსტიკური სექტები, (გ) რომლის მემკვიდრედ აცხადებს თავს კლიმენტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრიელი, (დ) რომელსაც III-IV სს. ორთოდოქსია მთლიანად სპობს. გამოკვლევების[3] ფონზე გაირკვა, რომ ქრისტეს ნათლისღების საიდუმლო არის ცათა სასუფევლის შესახებ მოძღვრება („ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღმრთისასა" მარკ. 1, 14), რომელთან ზიარებაც დაუკავშირებიათ განღმრთობას, ქრისტეს სულით შებურვას და ცათა სასუფეველში შესვლას მოასწავებდა და რომელიც მხოლოდ „რჩეულთათვის" იყო განკუთვნილი. ეს საიდუმლო მოძღვრება, როგორც ახლად აღმოჩენილი ეპისტოლიდან გაირკვა, წერილობითი ხასიათის იყო. წერილობით გამოვლინდა იგი გნოსტიკურ სექტებშიც, რომლებიც II-IV სს. მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის მხარეში იყვნენ გაფანტულნი (გნოსტიკური თხზულებები მრავლად აღმოჩნდა IV-V სს. კოპტურ ხელნაწერებში). პავლეს ეპისტოლეებში გამჟღავნებული საიდუმლო მოძღვრება ანუ ნათლისღება, რომელიც უარყო IIს. ორთოდოქსიამ, ატაცებულ იქნა სწორედ გნოსტიკური სექტების მიერ. „საიდუმლოს" ფლობის შესახებ პრეტენზიები ერთი არსებითი ნიშანია მათთვის. მაგალითად, II ს. ცნობილი გნოსტიკოსი ბასილიდე აცხადებდა, რომ მისი მოძღვრება მომდინარეობს მოციქულ მათიასისგან, რომელმაც შეცვალა იუდა და რომელსაც ეს მოძღვრება „საიდუმლოდ" გადაეცა უშუალოდ ქრისტესგან.[4] ამავე საუკუნის სექტა, რომელიც კარპოკრატელთა სახელს ატარებს, პრეტენზიას აცხადებდა მარკოზის საიდუმლო სახარების ფლობაზე. თითოეულ სექტას ჰქონდა თავისი „სახარება", თავისი „ყოველი საიდუმლოს" შემცველი თხზულება. მაგალითად სიმონიანელთათვის უპირველესი მნიშვნელობის იყო წიგნი „დიადი გაცხადება", რომლის ავტორადაც იხსენი I ს. გნოსტიკოსს სიმონ მაგუსს მიიჩნევდნენ, ვალენტინელები ფლობდნენ „ჭეშმარიტების სახარებას", ნიკოლაიტები — „სრულყოფის სახარებას", კაინიტები — „იუდას სახარებას", ბარბელოგნოსტიკოსები — „იოანეს საიდუმლო წიგნებს", სეთიანელები — „შვიდ გამოცხადებას" და სხვა.[5] გნოსტიციზმის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს 1785 წელს გამოვლენილ გნოსტიკურ ძეგლს „პისტის სოფია", რომელიც სწორედ ქრისტესმიერი საიდუმლოს „გაცხადებაა". მასში მოძღვარი ასე მიმართავს მოწაფეებს: საიდუმლოსთან ზიარებული „არის კაცი ამ სამყაროში, მაგრამ არის მეუფე სინათლეში... და ჭეშმარიტად გეტყვით მე თქვენ: ის კაცი ვარ მე (ე. ი. ქრისტე) და მე ვარ ის კაცი... მოგენიჭებათ ჩემგან გამოუთქმელი ერთის საიდუმლო. და ეს საიდუმლო ვარ მე და მე ვარ ეს საიდუმლო".[6] საიდუმლოს დამარხულობა ასეა გამჟღავნებული ერთ გნოსტიკურ თხზულებაში „ტრაქტატი საიდუმლოს შესახებ": „ეს საიდუმლოებები, რომლებიც გაგიცხადებათ თქვენ, დამარხეთ და არ აუწყოთ არავის უღირსს".[7]

ადამიანში, გნოსტიკოსთა აზრით, სამშვინველი და ხორცი მატერიისკენ მიისწრაფვის, ხოლო სული ღვთიური ნოსტალგიითაა გამსჭვალული. ამიტომ განსაზღვრა ჟ. ქვისპელმა გნოსტიციზმი, ვითარცა „ტრაგიკული ქრისტიანობა". ამგვარ შეფასებას მ. სპანემ excellente უწოდა.[8] გნოსტიკოსები, მათი მოძღვრების თანახმად, არიან ის რჩეული ადამიანები, რომლებიც ფლობენ მხსნელის მიერ მხოლოდ მათთვის გაცხადებულ საიდუმლო სიბრძნეს ანუ „გნოზს", რომელთან ზიარებაც, მაგიური საკრამენტალიზმით (მისი I საფეხური ნათლისღებაა, უკანასკნელი კი — სპირიტუალური ცნება) ხორციელდება.[9]

„გნოზთან" ზიარებული ზიარებულია ქრისტესთან, ანუ თვით ხდება ქრისტე-მხსნელი. მისთვის ყოველი საიდუმლო გაცხადებულია, ანუ როგორც ქრისტეში, ისევე მასში, დამარხულია ყოველი საიდუმლო — საიდუმლო ცათა სასუფევლის შესახებ. ამგვარი განბრძნობა, განღმრთობა დაუყოვნებლივ ენიჭება „გნოზის" მაძიებელს.[10]

„გნოზი", როგორც საიდუმლო მოძღვრება ანუ ეზოტერიზმი, ქრისტიანულ ეკლესიაში შემოდის სწორედ გნოსტიციზმის აღმავლობის დროს II-III სს. მიჯნაზე კლიმენტ ალექსანდრიელის და ორიგენეს მოძღვრების სახით. საიდუმლო სიბრძნის მფლობელი, კლიმენტის სიტყვებით, „უკვე აღარ შეიცავს მეცნიერებას და გნოზს, არამედ თვით ხდება მეცნიერება და გნოზი" (IV, სტრომატა. 40, 1).

საიდუმლო სიბრძნესთან ჭეშმარიტი ზიარება, კლიმენტის აზრით, საქაოში მხოლოდ რჩეულს ხელეწიფება. რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი მეორედ მოსვლისას განიწმინდებიან ღვთიური ცეცხლით ანუ ცეცხლისმიერი ნათლისღებით, რითაც ყველაფერი აღდგება თავდაპირველი სახით. ესაა საყოველთაო აღდგომა, ანუ აპოკატასტაზი, რომელიც უფრო გამოიკვეთება ორიგენესთან, როგორც ორთოდოქსიასთან დაპირისპირებული ესქატოლოგიური მოძღვრება და შემდგომინდელ აზროვნებაში, კერძოდ გრიგოლ ნოსელთან, იჩენს თავს. „გნოზი" ანუ საიდუმლო სიბრძნე და „ხსნა", კლიმენტის სიტყვებით, განუყოფელია, „ერთი და იგივეა". მას ესქატოლოგიური შინაარსი აქვს, სიმბოლოები და ალეგორიები გაცხადებულია „გნოზის" მფლობელისთვის. იგი წვდება იმ უხილავ ერთიანობას, რომელსაც ეს სიმბოლოები ემოწმებიან.[11] აი, კლიმენტის სიტყვები: „ჭეშმარიტ „გნოსტიკოსისთვის" (იგულისხმება სრული ქრისტიანი) გამჟღავნებულია ყველაფერი. იგი ყველაფერს მოიცავს" (სტრომატა VI, 68).

ქრისტიანული „საიდუმლოთმეტყველების" საფუძველია ორიგენეს აზროვნება. მისი მოძღვრების მიხედვით „საიდუმლოს" მაძიებელი ადა-

მიანი თავისუფლებას ისწავლს მარადიული წინსვლით და გამოდის რა საკუთარი თავიდან, ამავე დროს მიემართება საკუთარი თავისაკენ. ხიბლის ღრმა აზრის ამოცნობა საკუთარ თავში მარადიულ წვდომას გულისხმობს. ესაა „შინაგანი სამოთხე, სადაც ღმერთი ხეირნობს".[12] „ღმერთად ქცევის" დაუსრულებელი გზა, რომელსაც ეპექტაზი ეწოდება, მისტიკური მოძღვრების სახით ჩამოყალიბდება შემდეგში გრიგოლ ნოსელთან. ორიგენესთან „ყოველი საიდუმლოს" ფლობის შესახებ პრეტენზია არა გვაქვს, რამდენადაც ეს „საიდუმლო" ამოუწურავია, განსხვავება „სრულ" და მარტივ ქრისტიანებს შორის მიანიშნებს საიდუმლოს წვდომის სხვადასხვა შესაძლებლობაზე. ორიგენემ შექმნა ქრისტიანობის ფილოსოფიური სიმბოლიზმი, რომელიც თუმცა ეფუძნება, მაგრამ დიდად განსხვავდება როგორც II ს. ორთოდოქსიისგან, ასევე გნოსტიკური აზროვნებისგან.[13] რაც შეეხება ნათლისღების საკითხს ორიგენესთან, უნდა მივუთითოთ, რომ II ს. ორთოდოქსიის მსგავსად (და განსხვავებით მოციქულებრივი პერიოდის ნათლისღებისგან) აქაც მაგიურის ნაცვლად წინ წამოწეულია საკრამენტის სიმბოლური მხარე, თუმცა როგორც ვთქვით, ესაა ქრისტიანობის ფილოსოფიური სიმბოლიზმი, რომელიც უფრო დასრულებული სახით გვხვდება გრიგოლ ნოსელთან. ჟ. დანიელუს თქმით, ნოსელისათვის „საკრამენტული, ცხოვრება არის ჭეშმარიტი მისტაგოგია, თანდათანობითი ინიციაცია, რომელსაც სული აჰყავს მისტიკური ცხოვრების მწვერვალებამდე, „ფიზიკურ სიმთვრალემდე".[14] გრიგოლის, მთელი მოძღვრება კონცენტრირებულია სიტყვებში: — „მარადის საკუთარ თავზე მაღლა".

საკრამენტული ზიარების ფილოსოფიზირებული სახე გამოკვეთილია ფსევდოდიონისესთან.[15] ნათლისღება მომდევნო საუკუნეში ერთის მხრივ შენარჩუნებულია, როგორც ლიტურგიკული სიმბოლიკა, მეორეს მხრივ კი (მაქსიმე აღმსარებელთან),[16] როგორც ფილოსოფიურად სიმბოლიზირებული რიტუალი.

აწით ჩვენ ვამთავრებთ „ყოველი საიდუმლოს" ანუ საიდუმლო სიბრძნის და ნათლისღების შესახებ საუბარს. მოციქულებრივ ხანაში „საიდუმლო სიბრძნე" იყო ნათლისღება. მას მაგიური ზემოქმედება ჰქონდა. მეორე საუკუნეში „საიდუმლო სიბრძნე", რომელიც იესოდან მომდინარეობს, შეფარული სახით გამოვლინდა გნოსტიკურ სექტებში. ქრისტიანულმა ნათლისღებამ მიიღო სიმბოლური მნიშვნელობა. ორთოდოქსიამ უარყო „საიდუმლო მოძღვრება" ანუ მხოლოდ რჩეულთათვის არსებული სიბრძნე. II ს. დასასრულს კლიმენტის და ორიგენეს მიერ ლიტურგიკულმა სიმბოლიკამ ფილოსოფიური სიმბოლიზმის სახე მიიღო. საკუთრივ სიტყვა „საიდუმლომ" შეიძინა მრავალი განსხვავებული შინაარსი.

ქრისტიანული აზრის თანახმად „საიდუმლოს" მფლობელი არის ღმერთი, რომელიც მხოლოდ რჩეულებს გამოუცხადებს მას. „ყოველი საიდუმლო" არის ქრისტე, „ყოველ საიდუმლოს" ფლობს მხოლოდ იგი. საიდუმლოსთან ზიარება ქრისტესთან ზიარებაა. ესაა განღმრთობა ანუ დეიფიკაცია. დღეისათვის უკვე გარკვეულია, რომ ქრისტეს მიერ დაწესებული ნათლისღება იყო საიდუმლო მოძღვრება, რომელიც გადაეცემოდა რჩეულს, განკუთვნილი იყო მხოლოდ ვიწრო წრისათვის, ჰქონდა სექტანტური ხასიათი. მიჩნეულია, რომ პავლეს ეპისტოლეები მხოლოდ ვიწრო წრეში საკითხავი წიგნი იყო, რამდენადაც იგი ეზოტერულ მოძღვრებას შეიცავდა. მეორე საუკუნიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ნათლისღება გადაიქცა ყველასათვის ხელმისაწვდომ რიტუალად, მან დაკარგა საიდუმლო სიბრძნის, მხოლოდ რჩეულთათვის განკუთვნილი მოძღვრების შინაარსი. ორთოდოქსიაში ვერსად შევხვდებით აზრს იმის შესახებ, რომ ესა თუ ის პირი „ყოველი საიდუმლოს" მფლობელია. ვ. იეგერმა ცხადყო, რომ ქრისტიანობის თანდათანობითმა გავრცელებამ გამოიწვია ქრისტიანული „პაიდეიას" ანუ ქრისტიანული ცხოვრების წესის გამომუშავება[17]. საბოლოოდ დამკვიდრდა აზრი ადამიანის „საზომისაებრი მიმღებლობის" შესახებ". არავის ხელეწიფება „ყოველი საიდუმლოს" მიღება. „საიდუმლოსთან" ზიარების გზა თანდათანობითი ზეაღსვლაა, რომელიც არასოდეს დასრულდება. ნოსელის სიტყვებით, სათნოების გზაზე დამდგარი ადამიანი ემსგავსება მწვერვალიდან დაგორებულ ლოდს. ვინც ქრისტიანული ცხოვრების წესს არაა ზიარებული, ღვთიურს ვერ შეიცნობს, ანუ სულიერი განწმენდის გარეშე შეუძლებელია ღმერთთან მიახლება. რაც შეეხება ნათლისღებას, საზოგადოდ, ქრისტიანულ რიტუალებს, ისინი დაუყოვნებლივ კი არ ანიჭებენ განღმრთობის ნათელღებულს, არამედ სიმბოლურად განასახიერებენ მის შემდეგდროინდელ ცხოვრებას ღვთიურისკენ მის თანდათანობით აღმასვლას.

„ქებადს" მიხედვით სრულიად ცხადია, რომ ქართულმა ენამ „ყოველი საიდუმლო" მიიღო დაუყოვნებლივ, ნათლისღებისთანავე. როგორც ვხედავთ, ნათლისღებას „ქებადს" ავტორისთვის მაგიური (და არა სიმბოლური) ზემოქმედება ჰქონია. ამგვარი რამ ორთოდოქსიისთვის უცხოა. საიდუმლო სიბრძნესთან ზიარებით დაუყოვნებელი განღმრთობა ანუ „ყოველი საიდუმლოს" მიღება გამჟღავნებულია იოანეს სახარებაში, პავლეს ეპისტოლეებში, შემდეგ კი მთელი სისავსით ვლინდება მხოლოდ გნოსტიკურ სექტებში.

გნოსტიკოსმა „იცის", მაგრამ იცის არა სწავლის ან ცოდნის თანდათანობითი შეძენის გზით, არამედ (დავუკვირდეთ) „იცის რადგანაც გამოცხადება მიეცა მას".[18] ვინც „იცის", ვინც გამოცხადება მიიღო, ის უკვე ხსნილია. გამოცხა-

დება, თავის მხრივ, საიდუმლო მოძღვრების გადაცემაა. „გნოზი“ არის იგივე „საიდუმლო“. ეს ორი სიტყვა განუყრელია, ერთი და იგივეა. „გნოზის“ მიღებისთანავე დაუყოვნებელი განღმრთობა ნიშნავს ყოველივეს გაცხადებას. გნოსტიკოსმა იცის, როგორც თავისი წარსული, ისე მომავალი. იგი ამიერიდან მატერიალურ სამყაროს სულიერად მთლიანად განუდგება, ემსგავსება მკვდარს. ხილული ქვეყნის მთლიანი უარყოფა გნოსტიკოსთა ერთი არსებითი ნიშანია. სწორედ ამ საკითხის გამო ებრძოდა მათ პლოტინი. რაც შეეხება ქრისტიანულ ორთოდოქსიას, მისთვის მიუღებელი იყო „ყოველი საიდუმლოს“ ფლობის შესახებ გნოსტიკოსთა პრეტენზიები. სწორედ გნოსტიკურ „გნოზთან“ დასაპირისპირებლად ქმნის კლიმენტი და შემდეგში ორიგენე საკუთრივ ქრისტიანულ „გნოზს“. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ საკუთრივ ქრისტიანული „გნოზი“ ანუ „ყოველი საიდუმლო“ ემყარება არა რიცხვთა და სახელთა სიმბოლიკას (ამგვარი რამ ნიშანდობლივია მხოლოდ გნოსტიკური „გნოზისთვის“), არამედ ბერძნულ ფილოსოფიას. ვ. იეგერი შენიშნავს: „აღმოსავლურ „გნოზს“ (იგულისხმება გნოსტიციზმი, ე. ქ.) და მის უხეშ სიმბოლიზმს მათ (კლიმენტიმ და ორიგენემ, ე. ქ.) დაუპირისპირეს საკუთარი „გნოზი“, რომელიც ძირითადად ბერძნული ფილოსოფიიდან მომდინარეობს“ (იეგერი, გვ. 54).

თუ რომელ „გნოზთან“ ამყარებს კავშირს „ქებაჲ“, ეს ერთი შეხედვითვე ნათელია. სახელთა და რიცხვთა სიმბოლიკა მას გნოსტიციზმის რკალში აქცევს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ყოველი საიდუმლო“, ამგვარი შესიტყვება, სწორედ გნოსტიკურ-ჰერმეტიკულ ტექსტებში გვხვდება და საეკლესიო მწერლობისათვის არცთუ ნიშანდობლივია.[19]

ჩვენ აღარ განვაგრძობთ მსჯელობას გნოსტიციზმის შესახებ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დღეისათვის ყველა მკვლევარი აღიარებს ამ მიმდინარეობის გათვალისწინების აუცილებლობას ადრეული ქრისტიანობის შესწავლასთან დაკავშირებით. გამოთქმულია აზრი ქრისტიანობის ისტორიის ახლებურად დაწერის შესახებ. გნოსტიციზმი უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო მოდებული. იცნობდნენ მას მეხუთე საუკუნის სომხეთშიც. ცხადია, იგი საქართველოშიც შემოაღწევდა.

„ქებაჲს“ გნოსტიციზმთან კავშირის შესახებ, ვფიქრობთ, კიდევ ერთი გარემოება მეტყველებს.

ტექსტში ვკითხულობთ: „თქუა დავით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღჱ“.

ა. ბაქრაძემ გაარკვია, რომ აღნიშნული სიტყვები მოტანილია არა ფსალმუნიდან, არამედ „კათოლიკე ეპისტოლეთა“-დან. „ათასი წელი, ვითარცა ერთი დღჱ“, ამბობს პეტრე მოციქული (2 პეტრე, 3, 8).

ამგვარ უზუსტობას ა. ბაქრაძე ხსნის იმით, რომ „ქებაჲს“ ავტორს სურს, პეტრე მოციქულის მსგავსად, დაარწმუნოს ქართველები მოსალოდნელი აღდგომის (ამ შემთხვევაში, ქართული ენის აღდგომის) ჭეშმარიტებაში.

როგორი ახსნაც არ უნდა მივცეთ პეტრე მოციქულის სიტყვებს, მაინც გაურკვეველი რჩება, თუ რატომ არ იმოწმებს „ქებაჲ“ უშუალოდ პეტრე მოციქულს („თქუა პეტრე მოციქულმან, რამეთუ წელი ათასი, ვითარცა ერთი დღჱ“)? ავტორის მიზანი ცხადია: მათეს სახარების დასაწყისი ასო „წ“, რომელიც 4 000-ს აღნიშნავს, 4-თან გააიგივოს და ამით ქართული ენისა და ლაზარეს იგივეობა ცხადყოს. სწორედ ამიტომ იშველიებს იგი აზრს იმის შესახებ, რომ ათასი წელი ერთ დღეს უდრის. მაგრამ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღჱ“ პეტრე მოციქულის სიტყვებია და არა ფსალმუნის. სიტყვების ნამდვილი ავტორის მოუხსენიებლობა, ჩვენი ფიქრით, უნდა აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ქართული ენის აპოლოგეტი არ მიიჩნევს „კათოლიკე ეპისტოლეებს“ ჭეშმარიტების ნიშნით აღბეჭდილ ძეგლად. ამგვარი რამ სწორედ გნოსტიკურ წრეშია მოსალოდნელი, სადაც „კათოლიკე ეპისტოლენი“ უარყოფილი იყო, როგორც არაავტორიტეტული ძეგლი. მეორეს მხრივ, გნოსტიკოსები დიდად აფასებენ ფსალმუნებს და ძველი აღთქმის კანონიკური წიგნებიდან მას ციტირების ღირსად ცნობდნენ.

„ქებაჲს“ ავტორი გრძნობს, რომ ფსალმუნის სიტყვებს არცთუ ზუსტად იშველიებს, ამიტომ ნაცვლად კავშირისა „ვითარმედ“, რომელიც ისმარება, საზოგადოდ, ციტირების წინ, ხმარობს კავშირს „რამეთუ“, რომელიც ათავისუფლებს მას ზუსტად ციტირების მოვალეობისაგან. ცხადია, მისთვის ცნობილი იქნებოდა, რომ აღნიშნული სიტყვები იმ სახით, რა სახითაც მას ესაჭიროებოდა, არსებობდა „კათოლიკე ეპისტოლეებ“-ში, მაგრამ რამდენადაც „ეპისტოლეთა“ ჭეშმარიტება მისთვის საეჭვო იყო, პეტრე მოციქულს გვერდი აუარა და ფსალმუნს მიმართა.

ქართულმა ენამ მიიღო „ყოველი საიდუმლო“. მისთვის გაცხადებულია საკუთარი მომავალი, იცის თავისი უზენაესი დანიშნულება, შეცნობილი აქვს თავისი თავი. იგი აღემატა ყოველაფერს, განშორდა ხილულ სამყაროს, დაიმარხა. თომას გნოსტიკური სახარება გვაუწყებს: „ვინც იცნო თავი თვისი, სამყარო უვარგისია მისთვის“ (თომას სახარება, 115).

ამგვარად, პრეტენზია „საიდუმლოს“ ფლობის შესახებ, ნიშანდობლივი იყო გნოსტიკური სექტებისათვის და უშუალოდ მხსნელისგან მომდინარე საიდუმლო, ეზოტერულ სიბრძნეს გულისხმობდა (რომელსაც ჰქონდა წერილობითი სახე). ამ სიბრძნესთან ზიარება უკავშირდებოდა გარკვეულ საკრამენტულ კულტს. ზიარების შედეგად ზიარებული დაუყოვნებლივ შედიოდა ცათა სასუფეველში, ამქვეყნად კი სულიერად

დამარხულად განაგრძობდა ცხოვრებას. ემსგავსებოდა მკვდარს მისი ნამდვილი „მე", ის თვითონ სხვათაგან დაფარული იყო.

„ქებაჲ" პრეტენზიას უნდა აცხადებდეს სწორედ მხსნელისგან ანუ ქრისტესგან მომდინარე საიდუმლო სიბრძნის ფლობაზე. ამ სიბრძნესთან ზიარებით, რაც ქრისტესმიერი ნათლისღებითაა შესაძლებელი, ქართულ ენას გაეცხადა „ყოველი საიდუმლო", იგი სულიერად ცათა სასუფეველში შევიდა, და დაიმარხა, როგორც საიდუმლოს საცავი, როგორც თვით საიდუმლო. ქართული ენით მეორედ მოსვლისას სხვა ენათა „მხილების" შესახებ აზრი თავისთავად არ არის თხზულების მიზანდასახულობის გამომხატველი. იგი ლოგიკური შედეგია ზემოციტირებული სიტყვებისა, რომელიც ქართულ ენაში „ყოველი საიდუმლოს" არსებობას უსვამს ხაზს.

ლაზარე „ყოველ საიდუმლოს" ეზიარა უშუალოდ ქრისტესგან, სხვა მოციქულები კი ეზიარნენ ამ საიდუმლოს მხოლოდ ლაზარეს გზით.

„ქებაჲს" მიხედვით ქართული ენა უშუალოდ ქრისტესგანაა ნათელღებული, ანუ „ყოველ საიდუმლოსთან" ზიარებული: „მის (ქრისტეს) თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა (ე. ი. ქრისტესითა) (ძეგლში დამოწმებულია ნათლისღებითი „ფორმულა" მისგან, (ქრისტესგან) ნათლისღება, რომელიც გავრცელებული იყო უშუალოდ ქრისტესგან ნათელღებული მოწაფეების წრეში, შემდეგ კი — ზოგ ერეტიკულ-გნოსტიკურ სექტაში, რომლებიც უშუალოდ ქრისტესგან მომდინარე სიბრძნის ფლობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. „პავლენში" დადასტურებული „ქრისტეს მიერ ნათელვიღეთ" ნიშნავს მხოლოდ „ქრისტეს მიმართ ნათელვიღეთ" და არა „ქრისტესგან ნათელვიღეთ". ეს უკანასკნელი ნათლისღებითი ფორმულაა, პირველი კი (ქრისტეს მიერ — ეის ხრისტუ) — ნათლისღების შინაარსს ცხადყოფს. ქართული „ქრისტეს მიერ" ჯველა ენაზე თარგმნილია, როგორც „ქრისტეს მიმართ". რაც შეეხება სხვა ენებს, ისინი ქართული ენის გზით ეზიარებიან ქრისტეს: „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".

ამგვარად, ქართული ენის ლაზარესთან გაიგივებით „ქებაჲ"-ს ავტორი პრეტენზიას აცხადებს უშუალოდ ქრისტესგან მომდინარე საიდუმლო ცოდნის ანუ ეზოტერიზმის ფლობის შესახებ, რომელთან ზიარებაც ქრისტესმიერი ნათლისღებით არის შესაძლებელი და რომელსაც გნოსტიკოსებში წერილობითი სახე ჰქონდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაზარე არ უნდა იყოს მხატვრული სახე. საერთოდ, ქრისტიანობაში მხატვრული სახის თემა მეტად პრობლემატურია და ჩვენ ამ საკითხზე არ შევჩერდებით. ერთი რამ სრულიად ცხადია. „ქებაჲს" ავტორს სწამს და უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია ყოველივე ის, რასაც გვაუწყებს. ლაზარე, ისევე როგორც სახარებისეული სხვა პირები, სიმბოლოებს წარმოადგენენ: მარიამი ნინოს სიმბოლოა, მართა — ელენესი, ლაზარე — ქართული ენის. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ წყვილთა პირველი წევრები უშუალოდ ქრისტეს თანადროული, მოციქულებრივი პერიოდის ადამიანები არიან. რატომ მიმართავს ავტორი ამგვარ გაიგივებას? ძარნაკის ავტორიტეტული აზრით, ადრინდელ ქრისტიანებს „ესმოდათ სიმბოლოდ საგანი, რომელიც იყო, გარკვეულწილად ჭეშმარიტად ის, რასაც აღნიშნავდა".[20] ქრისტიანობაში მომრავლებული ფსევდო-თხზულებები სწორედ ამგვარი გაიგივებიდან იღებენ სათავეს. ფსევდო-დიონისე, ცნობილია, რომ დიონისე არეოპაგელთან გაიგივებით მიანიშნებდა ამ უკანასკნელთან ჭეშმარიტ და არა პირობით იგივეობას. არეოპაგიტული თხზულებების ავტორი თავის თავს მოციქულებრივი პერიოდის მწერლად აღიარებდა. ეს იყო მისი რწმენა. ნინოს მარიამთან, ელენეს მართასთან და ქართული ენის ლაზარესთან გაიგივებით „ქებაჲს" ავტორი მიანიშნებს მათ ჭეშმარიტ (და არა პირობით) იგივეობას. რა სურს ამგვარი გაიგივებით უცნობ ქართველ ქრისტიანს? ამ კითხვაზე ერთი პასუხი არსებობს: თხზულების ავტორს სურს, ქართული ქრისტიანობა დაუკავშიროს მოციქულებრივ პერიოდს. იგი უშუალოდ ქრისტესგან მომდინარე საიდუმლო ცოდნის ფლობაზე აცხადებს პრეტენზიას; ამგვარი პრეტენზია კი მოციქულებრივ პერიოდთან კავშირის გარეშე შეუძლებელია.

ამრიგად, ქართული ენა „ქებაჲს" ავტორისთვის ნამდვილად არის ლაზარე, რომელმაც ნათლისღების გზით საიდუმლო სიბრძნე მიიღო და დაეფლო, დაიმარხა. მაგრამ ქრისტესმიერი ნათლისღების სამი ნიშანი (დაფლვა, აღდგომა და ცათა სასუფეველში შესვლა) მყისიერად ხდება, თანადროულია. დაფლული უკვე მისტიკურად (მაგრამ არა რეალურად) აღმდგარს და ცათა სასუფეველში დამკვიდრებულს გულისხმობს. დაფლული ლაზარე, პავლეს თეოლოგიის თანახმად, მისტიკურად აღმდგარია. ესაა სულიერი აღდგომა. რაც შეეხება მეოთხე დღეს, იგი გულისხმობს მეორედ მოსვლისას ხორციელ აღდგინებას.

თუ ნათლისღებით დაფლული ლაზარე სინამდვილეში სულიერად აღმდგარია, ასეთივე უნდა იყოს ქართული ენაც. ძეგლში ვკითხულობთ: „მის თანავე (1) დაფლული... (2) შემკული და (8) კურთხეული".

აღნიშნული სამი მომენტიდან პირველი განმარტების გარეშეც ცხადია. იგი ქრისტესთან ერთად დაფლვას მოასწავებს. რას ნიშნავს შემკული? მოვუსმინოთ ფსევდო-დიონისეს: როცა ემბაზში ჩაშვების შემდეგ (რაც, საზოგადოთ აზრით, დაფლვას გულისხმობს) მოსანათლს წყლიდან ამოიყვანენ, „მიერითგან უკუე ნათლის სახეთა სამოსელთა შემმოსენ სრულ-ყოფადსა მას, რამეთუ... ღმრთის სახითა... უშუერი შეიმკვების"

(პეტრე იბერი, შრომები, გვ. 168). „შემკობა" ნათლისღებისას სპეტაკი სამოსელით შემოსვას ნიშნავს, რაც საერთო ქრისტიანული აზრის თანახმად, აღდგომის განსახიერებაა.

რაც შეეხება „კურთხეულს", ვფიქრობთ, რომ იგი „კონფირმირებულს" ანუ „მირონცხებულს" ნიშნავს. რამდენადაც ნათლისღების შემდეგ, ჩვეულებრივი აზრით, არავითარი „კურთხევა" ანუ დალოცვა არ ხდება, ცხადია „შემკულის" შემდეგ ქართული ენისთვის „კურთხეულის" წოდება „დალოცვილს" არ შეესაბამება. ნათლისღებას, საზოგადოდ, კონფირმაცია ანუ მირონცხება მოსდევს. იგი უძველეს პერიოდში ნათლისღებისგან არ განირჩეოდა და მიჩნეული იყო, „როგორც მისი ლოგიკური გაგრძელება, როგორც ქრისტიანული ინიციაციის სრულმყოფილი ელემენტი".[21] ადრეულ ქრისტიანობაში კონფირმაცია (ეს სიტყვა V ს.-დან ბატონდება) აღინიშნებოდა ორი სინონიმური ტერმინით: „ჴელთ დასხმა" (manuum impositio) და „კურთხევა" (benedictio). პიუნიეს მითითებით, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა კონფირმაციის ისტორია, ჯერ კიდევ ელვირის კრებაზე (805-806 წწ.) „კურთხევა" იხმარებოდა „კონფირმაციის" ნაცვლად. „მირონცხების" და „კურთხევის" სინონიმურობას ცხადყოფს V ს. რომაელი დიაკონი იოანე, ასევე, ერთი უცნობი არიოზიანელი (V ს.).[22]

ჩვენს ძეგლში „კურთხეული" მოსდევს ნათლისღებით „დაფლვას" და შემკობას. მას ახლავს ფორმულა „სახელითა უფლისაჲთა". ცხადია, საქმე გვაქვს ქრისტიანულ საკრამენტთან, რომელიც ნათლისღებასთან ერთად მოიაზრება, ნათლისღების სრულმყოფელია. ამგვარი საკრამენტი არის „კონფირმაცია". „ქებაჲ" წარმოადგენს ქართული ქრისტიანობის უძველესი დროის ნაშთს, როცა კონფირმაცია აღინიშნებოდა ტერმინით „ბენედიქცია" ანუ „კურთხევა".

ამრიგად, „ყოველ საიდუმლოსთან" ზიარებით ქართული ენა სულიერად ცათა სასუფეველში მკვიდრობს. ეს საიდუმლო ანუ საიდუმლო სიბრძნე გულისხმობს ნათლისღებას. ქართული ენის ნათლისმცემელი მისი მხსნელია.

ვფიქრობთ, საჭიროა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იმის გათვალისწინება, რომ ახალი აღთქმა, კერძოდ კი სახარება არ არის მოწოდებული დასრულებული და სისტემური თეოლოგიის სახით. მასში ბევრი მომენტი ერთმანეთს არ ესადაგება. მაგ., იოანეს სახარებაში ერთგან აღნიშნულია, რომ ქრისტე ნათელსცემდა, სხვაგან კი — ქრისტე არა-ნათელსცემდა. არათუ ახალი აღთქმა, არამედ შემდეგდროინდელი თეოლოგებიც არ იყვნენ სისტემატიკოსები. ცნობილია, რომ უდიდესი მოაზროვნის ორიგენეს თეოლოგიის ერთი არსებითი ნიშანი მისი არასისტემურობა და დაუსრულებლობაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია ამათუ იმ საკითხთან დაკავშირებით ახალი აღთქმის ყველა მომენტის წარმოჩენა და მათი გზით რაიმეს დამტკიცება. „ქებაჲ" ავტორი ცდილობს, სისტემური სახე მისცეს მხოლოდ ლაზარეს ეპიზოდს და მისი მეშვეობით ახსნას ქართული ენის მდგომარეობა. ამიტომ, ძეგლის გაშიფვრისას ჩვენ სწორედ ავტორისეულ მითითებებს ვეყრდნობით და შემდეგ ვუმოწმებთ მას სახარებისეულ ადგილებს. ლაზარეს ეპიზოდი რომ ნათლისღებას გულისხმობს, ეს დღეისათვის უმცირეს დეტალებამდეა გარკვეული (სმითი, გვ. 174: „ლაზარეს ეპიზოდი... დაკავშირებულია ნათლისღებით აღდგომასთან"). სუდარა, რომელშიც ლაზარეა გახვეული, წარმოადგენს ნათლისღების სიმბოლოს (იქვე. გვ. 176). სმითის შენიშვნით, „ლაზარეს აღდგინების ეპიზოდი II საუკუნიდან დაკავშირებულია ნათლისღებასთან" (იქვე, გვ. 187). ქართული თხზულების ავტორიც ლაზარე — ქართული ენის დაფლვას და სულიერ აღდგომას მიიჩნევს, როგორც ნათლისღების გზით ყოველ საიდუმლოსთან ანუ საიდუმლო სიბრძნესთან ზიარების შედეგს. დღემდე არ არსებობს საბოლოო აზრი იმის შესახებ, თუ როდის ეზიარნენ სხვა მოციქულები მოძღვარს, ფეხთაბანის და სერობის დროს თუ ქრისტეს აღდგომის შემდეგ. ნათელია მხოლოდ ის, რომ ლაზარეს აღდგინების შემდეგ ფეხთაბანის და სერობის დაწესება უნდა ყოფილიყო მოწაფეებისათვის საიდუმლო სიბრძნის გადაცემა. სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ მიმართავს მოძღვარი მოწაფეებს: „არღარა გეტყჳ თქუენ მონად... თქუენ გარქუ მეგობარ, რამეთუ ყოველი, რაოდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქუენ" (იოანე, 15, 15). ქრისტე მამისაგან სმენილს „საიდუმლოს" უწოდებს. სერობის ღამეს მან „ყოველი საიდუმლო" ანუ საიდუმლო სიბრძნე აუწყა მოწაფეებს ფეხთაბანის ანუ, ჩვეულებრივი ქრისტიანული აზრის მიხედვით, ნათლისღების გზით. ამ საიდუმლოსთან, ასევე ნათლისღების გზით, ადრე ზიარებული იყო მხოლოდ ლაზარე. ქართული ენისთვის ამგვარი ნათლისღება, ლაზარეს ეპიზოდიდან გამომდინარე, სხვა ენების ნათლისღებაზე ადრე აღსრულებულა. ჩავთვალოთ, რომ ნათლისღებით ქრისტეს ქართულ ენაზე ადრე ეზიარა რომელიმე სხვა ენა, მაგ. ბერძნული. შეიძლებოდა კი ასეთ შემთხვევაში ქართული ენის და ლაზარეს გაიგივება? რა თქმა უნდა, არა. ლაზარეს სხვებისგან განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ იგი ყველაზე ადრე ეზიარა ნათლისღებით საიდუმლო მოძღვრებას. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს სხვა მოწაფეებიც ჰყავდა; აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ყველა ნათელღებული არ ფლობს „გნოზს". კლიმენტის სიტყვებით, ნათლისღება მთელი სისავსით მხოლოდ „გნოზთან" ზიარებულზე ვლინდება. ნათლისღება „გნოზის" მიღებით საიდუმლო. ეზოტერულ ქრისტიანობას შეესატყვისება, ნათლისღება „გნოზის" გარეშე კი მოქცევის ანუ მარტივი რწმენის სიმბოლოა.

ამგვარი გაყოფა „სრულისა" („ღმერთთან" ზიარებულისა) და „მარტივისა" მთელი სისავსით გვხვდება გნოსტიკოსებში, ასევე ქრისტიანული აზროვნების არცთუ მთლიანად კანონიზებულ წარმომადგენლებში (კლიმენტი, ორიგენე, გრიგოლ ნოსელი, ფსევდო-დიონისე, მაქსიმე აღმსარებელი, გრიგოლ პალამა).

ამგვარად, ლაზარეს ნიშანი, მისი სასწაული არის ის, რომ იგი ყველაზე ადრე ეზიარა ნათლისღებით ქრისტეს და მიიღო „გნოზი". თეოლოგებთან „სასწაულის", sêmeion; signum-ის გვერდით იხმარება მეორე საღვთისმეტყველო ტერმინიც: „ბეჭედი" sphragis; signaculum „სასწაული" და „ბეჭედი" ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, თუმცა მათი შინაარსი განსხვავებულია. „ბეჭედი" დროის რომელიმე მონაკვეთში დაესმება საგანს. მისი საშუალებით ეს საგანი დაცულია, დამარხულია და ვერავინ ვერ მოშლის მას იმ პირის გარდა, ვინც დაბეჭდა. ამასთან, ამ პირის მიერ ბეჭედი მოიშლება მხოლოდ მეორედ მოსვლისას.[25] აი, ორიგენეს სიტყვები: „ნიშანი მოასწავებს რაიმე უხილავ საგანს ხილული სინამდვილის გზით, ხოლო ბეჭედი ფარავს ამ საგანს" (კომენტ. რომ. ეპისტ.-ზე IV, 2) კრუზელის გამოკვლევით, „ბეჭედი გაუქმდება ჟამთა დასასრულს... საიდუმლოებანი დაბეჭდილია ბეჭდებით, რომლებიც ხელს უშლიან მათ გაცხადებას, მაგრამ ამ საიდუმლოებებს მიანიშნებენ „სასწაულები" (მ. კრუზელი, გვ. 24).

როგორც ვხედავთ, საიდუმლოს აუცილებლად უნდა ახლდეს „ბეჭედი", რომელიც მარხავს მას და „სასწაული", რომელიც მიანიშნებს მასზე. რამდენადაც ქართული ენა დამარხულია, ანუ დაბეჭდულია, იგი საიდუმლო უნდა იყოს. ზ. კიკნაძის მიერ შენიშნულია, რომ ქართული ენა, რომელიც „ყოველ საიდუმლოს" ფლობს, თვით არის საიდუმლო. ამ მართებულ შენიშვნას უნდა დავუმატოთ, რომ თუ ქართული ენა „საიდუმლოა", მას აუცილებლად უნდა მოეპოვებოდეს „სასწაულიც" და „ბეჭედიც". „ქებაჲს" ავტორი გვაუწყებს: „და სასწაულად ესე აქუს: 94 წელი უმეტჱს...". ამგვარად, ქართული ენის „სასწაული" ყოფილა 94 წელი უმეტჱს... აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლაზარე — საიდუმლოს „სასწაული" არის მისი სხვა მოციქულებზე ადრინდელი ნათლისღება, ხოლო ბეჭედი, რითაც დამარხულია იგი, არის 4 დღე.

ქართული ენისთვის „ოთხ დღეს" (რომელიც ლაზარე — საიდუმლოს ბეჭედია) აღნიშნავს მათეს სახარების დასაწყისი ასო „წ": „რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხათასსა მარაგსა და ესე არს ოთხი დღე". ამგვარად, ქართული ენის „ბეჭედი" ყოფილა ასო „წ", რომელიც საიდუმლოს ანუ ქართული ენის მეორედ მოსვლამდე დამარხვას აღნიშნავს. როგორც საზოგადოდ ყველა, ასევე ქართული ენის „ბეჭედიც", ასო „წ", სწორედ მეორედ მოსვლისას გაუქმდება. ვფიქრობთ, ჩვენს ძეგლში „ბეჭდის" ნაცვლად იხმარება „წერილი": „თავსა ბოლოთ მათჱსსა წერილი ზის, რომელ ასოჲ არს". ასო „წ" ყოფილა „წერილი". ეს სიტყვა ორივე ხელნაწერში უცვლელად იკითხება. პ. ინგოროყვამ ტექსტის გამოცემისას იგი შეცვალა „წილით", რასაც შემდეგში შედეგად მოჰყვა თხზულების ბოლო წინადადების („ასი ესე წილი ანბანისაჲ") გადაკეთება, როგორც „ასოჲ ესე წილი ანბანისაჲ". „ᲬᲘᲚᲘ" ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲐ. აზრი „წილის" შესახებ შეიქმნა ხელნაწერებისადმი უნდობლობის ნიადაგზე. ძეგლის ზემოციტირებულ ადგილას რომ „წილი" გვქონოდა (და არა „წერილი"), მაშინ არავითარი დაზუსტება არ იქნებოდა საჭირო, რომ ეს „წილი" არის „ასოჲ". საერთოდ, „ზის" ყოველთვის ბეჭედი. მისი შესატყვისი ჩვენს ძეგლში „წერილი" უნდა იყოს: „თავსა ბოლოთ მათჱსსა წერილი ზის, რომელ ასოჲ არს". ასო „წ", როგორც აღვნიშნეთ, შეესაბამება ოთხ დღეს. იგი ქართული ენის „ბეჭედია". ამდენად, მათეს თავის დასაწყისში ზის ბეჭედი ანუ წერილი, რომელიც არის ასო „წ". „წერილი" და „ბეჭედი" სინონიმურია გამოთქმებში: ჯვარი დაიბეჭდა, ჯვარი დაიწერა. ასევე საბა განმარტავს: „წერილი ეწოდების ყოველსა კალმითგან აღწერილსა, გინა ბეჭდისა ტჳფართა". „ქებაჲ" იმ უძველესი პერიოდის ნაშთია, როცა ჩვეულებრივი იყო „წერილის" ბეჭდის მნიშვნელობით ხმარება. (ნოსელის „კაცისა შესაქმის" უძველეს თარგმანში „წერილი" დაბეჭდულს ნიშნავს).

ამგვარად, ქართულ ენა-საიდუმლოს აქვს „ბეჭედი" ანუ „წერილი" და „სასწაული". ბეჭდის მნიშვნელობა გაირკვა: იგი არის ასო „წ", რომელიც ლაზარეს დაფლვის ოთხ დღეს შეესატყვისება და ქართული ენის მეორედ მოსვლამდე დამარხულობას აღნიშნავს.

რაც შეეხება „სასწაულს", ძეგლში ვკითხულობთ: „და სასწაულად ესე აქუს: 94 წელი, უმეტჱს სხუათა ენათა, ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე".

სანამ ამ „სასწაულის" შინაარსს შევეხებოდეთ, გავიხსენოთ, რომ თხზულება უკლებლივ ყველა ნიშნით ქართული ქრისტიანობის უადრეს ხანას მიეკუთვნება. ამგვარი დათარიღება შემაგრებულია ძეგლის ერთი სტრიქონით: „და ახალმან ნინო მოაქცია". რას ნიშნავს „ახალმან ნინო?"

„ახლის" ბერძნული ექვივალენტია neos იშვიათად kainos. ისინი ქრისტიანობაში შემოდიან I საუკუნიდანვე. ეგნატე ანტიოქელი ქრისტეს უწოდებს „ახალ კაცს". ქრისტიანობა იწოდება, როგორც „ახალი სჯული". 555 წლის მახლობლად დაწერილ „ცხოვრებაში" კირილე სკვითოპოლელი საბა განწმენდილს უწოდებს „ახალ მოციქულს" „ესე ახალი მოციქული სარწმუნოებითა განძლიერდა" („მამათა „ცხოვრე-

ბანი", გვ. 73). იქვე საბა წოდებულია „ახალ მოსწავლედ" („ესენი აქუნდეს ჩუენ შორის ამას ახალსა მოსეს"). აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევებში „ახალი" ახლანდელს გულისხმობს. ეს საკითხი გარკვეულია კ. კეკელიძის მიერ, რომელიც ტიმოთე ანტიოქელის „ცხოვრების" დაწერის დროის დადგენისას შენიშნავს: „თუ მხედველობაში გვექნება, რომ პატრიარქი ტიმოთეს „ახალ საკჳრთველმოქმედს" უწოდებს, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ „ცხოვრება" დაწერილია ტიმოთეს გარდაცვალების უმალ" (ეტიუდები, VI, გვ. 288). ქართული წყაროებით ცნობილი გახდა VIII ს. II ნახევრის ახალმოწამე რომანოზი, რომელიც ყოფილა სტეფანე ახლის თანამედროვე. მათთან დაკავშირებით კ. კეკელიძე ამბობს: „ორივე ეს კაცი... წოდებულია, როგორც „ახალი", სტეფანე — განსხვავებით სტეფანე არქიდიაკონ-პირველწამებულისგან, ხოლო რომანოზი, ჩვენი აზრით, სხვა მიზეზის გამო. იგი არ იწოდება ახალ რომანოზად უფრო ადრე გამოჩენილი რომელიმე რომანოზისგან განსხვავებით, არამედ სახელ-ედება მას რომანოზი, ახალი მოწამე, — ახალი იმ დროისათვის, როცა ცხოვრობდა მისი ცხოვრების აღმწერელი" (ეტიუდები, VII, გვ. 81). აბო თბილელი იწოდება „ახალ მოწამედ" იოანე საბანისძის მიერ, რამდენადაც აბო „ახალია" მისთვის, აბოს წამებას ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში. ამგვარად, „ახალი", ერთის მხრივ, პიროვნების სახელს უკავშირდება (ახალი სტეფანე ძველი სტეფანე; ახალი ბუასრო — ძველი ბუასრო; ახალი თეოდოსი — ძველი თეოდოსი), მეორეს მხრივ კი მის საქმიანობას (ახალმოწამე რომანოზი — ძველი მოწამე, მაგალითად, ევგენია; ახალმოწამე აბო — ძველი მოწამე შუშანიკი). ფრაზა „ახალმოწამე აბო" გადავაკეთოთ „ქებაჲს" მიხედვით: „ახალმან აბო იმარტჳლა". იგი ორ მომენტს გულისხმობს: (I) აბო „ახლანდელია" იოანე საბანისძისთვის და (II) — აბო, „ახალია" ძველთან მიმართებით (მაგ. შუშანიკთან), ვინც ასევე იმარტჳლა (ე. ი. ზემოაღნიშნულს ეფარდება „ძუელმან შუშანიკ იმარტჳლა").

ამრიგად, „ახალმან ნინო მოაქცია" — ჩვენი აზრით აღნიშნავს შემდეგს: (I) ნინო ანუ ნინოს მიერ „მოქცევა" ახალია „ქებაჲს" ავტორისთვის, ახლო წარსულში მომხდარი ამბავია; (II) ნინო „ახალია", „ძველთან" მიმართებით, ვინც მასზე ადრე „მოაქცია". „ახალმომაქცეველი" ნინო ვიდაც „ძველმომაქცეველზე" მიანიშნებს. „ახალი ნინო" ძეგლის მიხედვით მარიამს შეეფარდება. ჩვენ ვიცით, რომ ლაზარეს ნათელსცა არა მარიამმა, არამედ იესომ. ლაზარეს „საიდუმლოსთან" ზიარება მარიამის მიერ არ აღსრულებულა, რამდენადაც ამ „საიდუმლოსთან" თვით მარიამიც არ იყო ზიარებული. ნინომ და ელენემ (მარიამმა და მართამ) მოაქციეს ქართული ენა, მაგრამ ესაა ხალხში მარტივი რწმენის გავრცელება, რომელიც ქრისტესთან ნაწილობრივ ზიარებას შეესატყვისება. ისევე, როგორც უცნობია მარიამისთვის და მართასთვის „საიდუმლო" დამარხული ლაზარეში, ასევე უცნობია ნინო — ელენესთვის „საიდუმლო", დამარხული ქართულ ენაში. რამდენადაც ლაზარეს ნათელსცა თვით იესომ, ამდენად ქართული ენის ნათლისმცემელი არ შეიძლება იყოს ნინო. ძეგლის მიხედვით ნინო მარიამის შესატყვისია. გავრცელებული აზრით, ქალი საერთოდ არ შეიძლება ნათელსცემდეს ვინმეს.

ზემოთქმულის შემდეგ დავუბრუნდეთ 94 წელს, რომელიც ადრე გაგებული იყო ქართული წელთაღრიცხვის სხვა წელთაღრიცხვებზე უპირატესობის ნიშნად. ა. ბაქრაძის წერილის შემდეგ („ქებაჲ და დიდებაჲ") ეს ვარაუდი მოიხსნა. 94 წელი არ მიანიშნებს წელთაღრიცხვაზე: (1) ქართული წელთაღრიცხვა არცერთ წელთაღრიცხვას არ აღემატება 94 წლით; (2) ძეგლში წლები ათვლილია „ქრისტეს მოსლვითგან" და არა დასაბამიდან; (3) ქართული წელთაღრიცხვა სხვადასხვა წელთაღრიცხვას სხვადასხვა წლით აღემატება; ამ სამ მომენტს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ „94 წელი, უმეტჱს სხუათა ენათა" არ ნიშნავს, თითქოს ქართული წელთაღრიცხვა დანარჩენებს 94 წლით აღემატება. მაშინ წინადადებას ასეთი სახე ექნებოდა: „94-ითა წლითა უმეტჱს სხუათა ენათა". ამგვარად, 94 წელი არ მიანიშნებს წელთაღრიცხვაზე. მეორის მხრივ, 94 არ არის საკრალური რიცხვი. იგი არ არის დადასტურებული ქრისტიანობაში, გნოსტიციზმში, ნეოპლატონიზმში. ზემოთ მოყვანილ ციტატაში სიტყვები „უმეტჱს სხუათა ენათა" სინტაქსურად არის ჩართული. დროებით მოვაცილოთ იგი წინადადებას და დავუკვირდეთ დარჩენილ ნაწილს: „94 წელი... ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე".

ცხადია, საქმე გვაქვს ძეგლის თარიღთან. „ქრისტეს მოსლვითგან" ძეგლის შექმნამდე გასულა 94 წელი. შესიტყვება „ქრისტეს მოსლვითგან" არ შეიძლება გულისხმობდეს ანგარიშს „ქრისტესით", რადგან ამგვარი ათვლით ძეგლის შექმნა I-II სს-ში უწევს, ნინო და ელენე კი IV ს. მოღვაწეები არიან. ამასთან, ცნობილია, რომ ანგარიში ქრისტესით მხოლოდ VI ს. შუა წლებში ჩნდება[24] (დიონისე მცირის მიერ). გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ქებაჲს" ავტორი ყველაფერს ქართული ენით ხსნის. თავისთავად „ქრისტეს მოსვლის" თარიღი მისთვის მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს. ავტორისთვის არსებითია მხოლოდ ქართული ენისთვის ქრისტეს მოსვლა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ქრისტეს მოსვლა" ქრისტიანობასთან ქართული ენის ზიარებას გულისხმობს. ძეგლის ავტორი მიუთითებს, რომ ქართული ენის „ქრისტესთან ზიარებიდან" ანუ მისთვის ქრისტეს პირველი მოსვლიდან დღემდე გასულა 94 წელი. ეს დრო მეტია სხვა ენების „ქრისტესთან ზიარებიდან"

დღემდე გასული წლებისა. ცხადია, რომ სხვადასხვა ენა სხვადასხვა დროს ეზიარა ქრისტეს. ქართული ენა, რამდენადაც იგი ლაზარეა, სხვებზე ადრე უნდა იყოს ნათელღებული. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლაზარეს სასწაული: ქრისტესმიერი ნათლისღების სხვა მოწაფეებზე ადრე მიღება. რომელმა ენამაც ყველაზე ადრე მიიღო ნათელი ქრისტესგან, ის ენა ფლობს „გნოზს" და ლაზარეს განასახიერებს. რამდენადაც ლაზარეს ავტორი მხოლოდ ქართულ ენას უწოდებს, სრულიად აშკარაა, რომ იგი ამით მიუთითებს ქართული ენის ნათლისღების უადრესობაზე. ლაზარეს „სასწაული" ქართული ენის „სასწაულია". თუ ქრისტესმიერი ნათლისღებიდან დღემდე ქართული ენისთვის გასულია 94 წელი, რომელიც მეტია მონათლვიდან დღემდე სხვა ენებისთვის გასული დროისა, ეს შებრუნებით მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქართული ენისთვის ყველა ენაზე ადრე მოსულა ქრისტე. როცა თხზულება მისტიკური სამყაროდან ისტორიულ ვითარებაში გადადის, მისთვის „ქრისტეს მოსვლა", ვფიქრობთ, უნდა გულისხმობდეს არა ზოგადად ქრისტიანული რწმენის გავრცელებას, არამედ მეფის ანდა სამეფო კარის ნათლისღებას. სომხეთი 801 წელს გაქრისტიანდა, საბერძნეთი — 825 წელს; როცა „ქებაჲ" ქართულ ენას სხვა ენებს უპირისპირებს, ქრისტიანულ ენებს გულისხმობს, ძირითადად ბერძნულს და სომხურს. ცნობილია, რომ ოფიციალურად ქართლი და ქართული ენა მათზე გვიან გაქრისტიანდა, ეს კი უპირატესობას სწორედ ბერძნულსა და სომხურს ანიჭებდა. გავიხსენოთ, თუ როგორ ცდილობს გიორგი მთაწმინდელი, თავიდან აიცილოს ანტიოქიის პატრიარქის შემოტევა: „შუენის ესრეთ, რაჲთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რაჲთა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას, და რაჲთა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ".[25]

როგორც ვხედავთ, წოდებული მწოდებელს უნდა დაემორჩილოს. ქართული ქრისტიანობის მწოდებელი, იქნებოდა იგი ანტიოქია, საბერძნეთი თუ სომხეთი, ერთნაირ საშიშროებას შეუქმნიდა ქართულ ენას და ქართლს. გიორგი მთაწმინდელის მსგავსად „ქებაჲს" ავტორიც შორეულ გამაქრისტიანებელს ეძიებს და მიუთითებს, რომ ქართულმა ენამ ნათელ-იღო ყველაზე ადრე, 94 წლის წინათ. ამგვარად, „ქებაჲს" მიხედვით ქართული ენისთვის „ქრისტეს მოსვლა" 801-825 წლებზე ადრეა საძიებელი.

რამდენადაც „ქებაჲ" ყველა ნიშნით უძველეს ძეგლად, კერძოდ კი ქართლის მოქცევის ახლოს მდგომად გამოჩნდა, თავისთავად ცხადი გახდა მ-ზეზი მისი შექმნისა. იგი დაიწერა ქართლის გაქრისტიანებით გამოწვეული განწყობილების და შთაბეჭდილების ფონზე. ამგვარი პრეტენზიული თხზულება ვერ შეიქმნებოდა ქართული ქრისტიანობის სხვა მონაკვეთში. ცხადია, მისი მიზანდასახულობაც: თავიდან აიცილოს საშიშროება, რომელსაც ბიზანტია-სომხეთი უქმნის საქართველოს და არსებობის უფლება (უზენაესი დანიშნულება) მიანიჭოს ქართულ ენას.

ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ბოლოდროინდელ შრომებში დაზუსტდა თარიღობრივადაც და შინაარსობრივად. ამდენად, რამდენიმე სიტყვით, შეგვიძლია გამოვყოთ ის, რაც დღეისათვის სინამდვილედაა მიჩნეული: (1) გაქრისტიანებას ადგილი ჰქონდა 337 წლის ახლო პერიოდში; (2) გამაქრისტიანებელი ნინო დაკავშირებული იყო ბიზანტიასთან, კერძოდ, ელენე დედოფალთან; (3) ქართლის გაქრისტიანებას არ უკავშირდება გრიგოლ პართელი. ცნობები ქართლის მის მიერ გაქრისტიანებაზე არის ტენდენციური, გვიანდელი ჩანართი. ეს მომენტები შეჯამებულია კ. სალიას მიერ.[26]

იმის გამო, რომ ზუსტი თარიღი დღეისათვის უცნობია, ქართლის მოქცევა ზოგადად დავდოთ 335-345 წწ. ძეგლი, ვფიქრობთ, უნდა შექმნილიყო ამ წლების მიწურულს, 340-345 წწ. „ქებაჲს" ავტორის მითითებით, ქრისტეს მოსვლიდან ძეგლის დაწერამდე გასულა 94 წელი. თუ 840—845 წწ. 94-ს გამოვაკლებთ, მივიღებთ 246-251 წწ.

თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, გამოდის, რომ სომხური ენისთვის „ქრისტეს მოსვლიდან", მისი ნათლისღებიდან (301 წ.) „დღესამომდე ანუ „ქებაჲს" დაწერამდე (340-345 წწ.) გასულა 39-44 წწ., ბერძნული ენის ნათლისღებიდან (325 წ.) — 15-20 წწ., ხოლო ქართული ენის ნათლისღებიდან (246-251 წწ.) — 94 წელი, რომელიც ყველაზე ხანგრძლივია, ყველაზე მეტია, ანუ უმეტესია. 94 წელი არ არის მუდმივი სიდიდე. ძეგლის ავტორისათვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა რაოდენობის იქნება ქართული ენის ქრისტესთან ზიარებიდან „დღესამომდე" გასული წლები, არამედ ის, რომ წელთა ეს რაოდენობა უმეტესი, უფრო ხანგრძლივი იყოს სხვა რომელიმე ქრისტიანული ენის ქრისტესთან ზიარებიდან „დღესამომდე" გასულ წელთა რაოდენობაზე. ცხადია, ქართული ენა რომ ქრისტესთან ზიარებული იყოს 301-325 წლებზე გვიან, მაგალითად 337 წელს, მაშინ რა დროსაც არ უნდა დაწერილიყო „ქებაჲ", ქართული ენის ქრისტესთან ზიარებიდან ძეგლის დაწერამდე ანუ „დღესამომდე" გასული დრო ყოველთვის ნაკლები იქნებოდა ბერძნულ-სომხური ენების ქრისტესთან ზიარებიდან ნაანგარიშევ წლებზე. ამიტომაა, რომ „ქებაჲს" ავტორი 94 წელს იქვე ურთავს „უმეტეს სხუათა ენათა", ე. ი. ქართული ენისთვის „ქრისტეს მოსვლიდან" (246-251 წწ.) ძეგლის დაწერამდე (340-345) გასულია წელთა უფრო მეტი რაოდენობა (94 წელი), ვინემ მაგალითად, სომხური ენისთვის „ქრისტეს მოსვლიდან" (301 წ.) ძეგლის დაწერამდე (340—345 წწ.) გასული დრო

(39-44 წლები). ძეგლის ავტორს მხოლოდ იმის დამტკიცება სურს, რომ ქართულმა ენამ ყველაზე ადრე მიიღო ნათელი, ქართული ენისთვის ყველაზე ადრე მოვიდა ქრისტე. 94 წელი ამ შემთხვევაში არის მხოლოდ ფაქტის, ორ მოვლენას („ქრისტეს მოსვლა“ და ძეგლის დაწერა) შორის გასული დროის ამსახველი. „ქებაჲ“, რომ 15 წლით გვიან დაწერილიყო, მაშინ ეს ციფრი იქნებოდა 109 (94+15). ამგვარად, მნიშვნელობა ენიჭება არა ციფრს (იგი ფაქტის ამსახველია), არამედ „მეტობას“ და, აქედან უადრესობას, რაც თავის მხრივ ლაზარეს „სასწაულია“. „ქებაჲს“ ავტორი სწორედ იმიტომ იშველიებს ლაზარეს ეპიზოდს, რომ ამით ცხადყოს ქართული ენის ნათლისღების უადრესობა სხვა ენების ნათლისღებასთან შედარებით. მისთვის მნიშვნელოვანია **არა ის, თუ რამდენითაა მეტი ქართული ენის ნათლისღებიდან „დღესამომდე“ გასულ წელთა რაოდენობა სხვა რომელიმე ენის ნათლისღებიდან „დღესამომდე“ გასულ წელთა რაოდენობაზე, არამედ მხოლოდ ის, რომ ქართული ენის ნათლისღებიდან „დღესამომდე“ გასულ წელთა რაოდენობა, საზოგადოდ, მეტი იყოს ყველა სხვა ენის ნათლისღებიდან „დღესამომდე“ გასულ წელთა რაოდენობაზე.** ეს, როგორც ვთქვით, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქართული ენის ნათლისღება და საიდუმლოსთან ზიარება უადრესია სხვა ენების ნათლისღებაზე.

რამდენადაც ძეგლის ავტორი, ჩვენი აზრით, ქართული ენის ნათლისღებას მისთვის „ქრისტეს მოსვლას“ 246-251 წწ. მიიჩნევს, საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ იმაზე, გვაქვს თუ არა რაიმე ცნობა ამ წლების ქართლში ქრისტიანობის არსებობის შესახებ.

არ შევუდგებით აღნიშნული პერიოდის ისტორიულ შესწავლას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ III ს. 40-იან წლებში ამაზასპის მოკვლის შემდეგ ტახტზე ადის რევ მართალი. 246-251 წწ.-ში ყველა ნიშნით, ქართლის მეფე სწორედ რევ მართალია (იხ. ჩვენი წერილი „დაღაცათუ იყო წარმართი“). მის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს: „ესე რევ მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა, რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტეს.ი“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 58).

მთელი კატეგორიულობით უნდა განვაცხადოთ, რომ ამგვარი რამ არ თქმულა არცერთ წარმართ ქართველ (და არამარტო ქართველ) მეფეზე. ესაა ერთადერთი შემთხვევა, რომელიც წარმართი მეფის ქრისტიანობასთან კავშირს დოკუმენტურად ადასტურებს. რაც შეეხება ზედწოდება „მართალს“, იგი, ჩვეულებრივ, არ არის წარმართული კულტებისათვის ნიშანდობლივი, არამედ საკუთრივ ქრისტიანული. განსაკუთრებით კი, გნოსტიკური რელიგიის ფენომენია. გნოსტიციზმში „მართალი“ ეწოდება ჭეშმარიტების მაძიებელ პირს.

რევ მართალი, რომელიც მეფობს 40-იანი წწ.-დან ქრისტიანობის, უფრო ზუსტად, ქრისტიანული გნოსტიციზმის რომელიმე ნაკადის ქართლში შემომტანად მიგვაჩნია. თუ უფრო დავაზუსტებთ, ქრისტიანობის შემოსვლას ადგილი უნდა ჰქონოდა 249-250 წწ. ესაა წლები, როცა იმპერატორ დეკიუსის ედიქტით ოფიციალურად იკრძალება ქრისტიანობა და იწყება ქრისტიანთა აქამდე არ ნახული ჟლეტა. ერთი ცნობით, ყოველი დღე ათასობით ქრისტიანს იწირავდა. დეკიუსის ედიქტი იყო ქრისტიანობაზე მთელი ფრონტით პირველი შეტევა. დღეისათვის გარკვეულია ამ შეტევის გრანდიოზულობა. დევნილი ქრისტიანები თავშესაფარს ეძებდნენ ყველგან. ამ დროისათვის ერთ ყველაზე მშვიდობიან ადგილად სწორედ საქართველო მოჩანს. რევ მართლის სამეფო კარის ქვეშ ბევრი შეაფარებდა თავს, რამდენადაც ამ მეფეს „აქუნდა სიყუარული ქრისტესი“.

ახლა გავიხსენოთ იოანე საბანისძის სიტყვები: „ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარეს და სჯულ-ყოფილ წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა“ („ძეგლები“, I, გვ. 50). ამ სიტყვებიდან გამომდინარე ი. ჯავახიშვილი შენიშნავს: „VIII ს. II ნახევარში იმ ამბის გარდა, რომელიც გელასი კესარიელს აქვს ჩაწერილი და IV ს. მესამე-მეოთხე ათეულებს ეხება, კიდევ სხვა ცნობაც ყოფილა, რომელიც თითქმის ერთი საუკუნით უფრო ადრინდელ ამბებს შეიცავდა“ (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 228).

რევ მართლის ქრისტიანობაზე ბუნდოვანი, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა „ქართლის ცხოვრებამ“. რამდენადაც, ჩვენი აზრით, „ქებაჲ“ მის დროს აკუთვნებს ნათლისღებით ქართულ ენაში „ყოველი საიდუმლოს“ დაფლვას (რაც თავისთავად გნოსტიკური აზრია), ცხადია რევის მიერ ქართლში „საიდუმლო ქრისტიანობა“, ეზოტერიზმი ანუ გნოსტიკური ხასიათის მოძღვრება შემოსულა, რომელსაც სასტიკად ებრძოდა ქართლში IV ს. ბოლოს დამყარებული ოფიციალური ქრისტიანობა. ამიტომაა, რომ მის შესახებ არაფერია თქმული „ქართლის მოქცევის“ ჩვენთვის ცნობილ ვერსიაში, რომელიც ქართული ორთოდოქსიის საფუძველია.

თხზულება მიანიშნებს, რომ „ყოველი საიდუმლო“ ქართულ ენაში ნინოს მოქცევამდე გაცილებით ადრე დაიმარხა. ესაა ქართული ენის „სასწაული“, ლაზარესთან მისი გაიგივების ნიშანი.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რევ მართლის მეფობას ემთხვევა XI ქრონიკონის დასასრული (248 წ.); თუკი IV ს. ქართლში უკვე ცნობილი იყო ქრონიკონული ანგარიში, შესაძლებელია

„ქებაჲს“ ავტორი სწორედ 248 წლიდან ითვლიდეს წლებს. ეს აზრი შემაგრებულია იმით, რომ ქართველი ქრისტიანისთვის XI ქრონიკონის დასასრული შესაძლოა სიმბოლურად განასახიერებდეს XI ჟამის დასასრულს, როცა მოივლინა ქრისტე („ქრისტეს მოსლვა“). ამასთან, ათვლითი წერტილი „ქრისტეს მოსლვითგან“, რომელიც ჩვენ, მაგალითად, დავადასტურეთ სინ. 84-ის დამატებაში, სწორედ ქრონიკონს გულისხმობს: „და ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღევანდელად დღემდე... ქართულად რჟბ, რპზ“. ცოტა ზემოთ ასეთი თარიღია: „ქრონიკონი იყო რპზ“. აქედან ცხადია, რომ „ქრისტეს მოსლვითგან“ შეიძლება გულისხმობდეს ქრონიკონსაც.

წარმოდგენილი აზრი ქრონიკონის შესახებ მხოლოდ ჰიპოტეზაა და ჩვენ მას ამჟამად რაიმე მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ქრონიკონული ათვლით 94 წელი და ძეგლის დაწერის თარიღი 342 წელში მოვიდოდა.

ამრიგად, ქრისტეშობიერი ნათლისღებით ქართულმა ენამ მიიღო საიდუმლო მოძღვრება; იგია ქრისტეს რჩეული, ლაზარე. ძეგლის ავტორი პრეტენზიას აცხადებს საიდუმლო მოძღვრების ფლობაზე, რომელმაც თავის დროზე ლიბერტინიზმი გამოიწვია, რომლის ფლობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ II-III სს. გნოსტიკური სექტები, რომელიც III ს.-მდე საიდუმლოდ იყო დაცული იერუსალიმის და ალექსანდრიის ეკლესიებში, რომელიც მხოლოდ რჩეულს გაეცხადებოდა ნათლისღებით, რომელიც III ს.-დან თანდათან ისპობა და ქრება.

საბოლოოდ, შემოგვრჩა ერთი ბუნდოვანი წინადადება, რომელიც ძეგლის დამამთავრებელია: „ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ასი ესე წილი ანბანისაჲ“.

ციტირებული სიტყვები უაღრესად საყურადღებოა. ძეგლის ავტორი მიუთითებს, რომ მან მხოლოდ „მოწამედ“ აუწყა უცნობ ადრესატს „ესე ყოველი“, რომელსაც წერილობითი სახე ჰქონია. მაგრამ სად შეიძლებოდა „წერილ ყოფილიყო“ აზრი იმის შესახებ, რომ „ყოველი საიდუმლო“ მხოლოდ ქართულ ენაშია, რომ მეორედ მოსვლამდე სხვა ენებისთვის უცნობია იგი და მხოლოდ შემდეგ გაეცხადებათ ქართული ენის გზით? ამ კითხვაზე ერთი, სრულიად გარკვეული პასუხი არსებობს: ყოველივე ის, რაც „ქებაჲს“ ავტორმა წარმოგვითხრა, შეიძლებოდა არსებულიყო მხოლოდ გნოსტიკური ხასიათის ძეგლში. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თითოეულ გნოსტიკურ სექტას ჰქონდა თავისი „ყოველი საიდუმლოს“ შემცველი სახარება. ამგვარი თხზულება უნდა იყოს „ქებაჲს“ წყარო. ჩვენ მას პირობითად „ქართულ საიდუმლო („მისტიკურ“ და არა „აპოკრიფულ“) სახარებას“ ვუწოდებთ. ვფიქრობთ, თუ პირდაპირ ციტირებას არა, პერიფრაზირებას მაინც უნდა წარმოადგენდეს ამ „საიდუმლო სახარების“ აზრებისას „ქებაჲს“ ორი სტრიქონი:

„ყოველსა ენასა ღმრთმან ამხილოს ამით ენითა“

„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადაც გნოსტიკურ ტექსტებში ქრისტე, ჩვეულებრივ, პირველი პირით ლაპარაკობს, ამდენად ვფიქრობთ, რომ პირველ წინადადებას „საიდუმლო სახარებაში“ ასეთი სახე ექნებოდა: „ყოველსა ენასა ვამხილო ამით ენითა“.

ქართული ენის შესახებ ამ ძეგლში თქმული არ შეიძლებოდა შეეთხზა მის ავტორს თვითონ. იგი უნდა დაყრდნობოდა ისეთ ძეგლს, რომლის ჭეშმარიტება და ღვთივ შთაგონებული ხასიათი უცილობელი იქნებოდა მკითხველისათვის.

რაც შეეხება ბოლო სიტყვებს „ასი ესე წილი ანბანისაჲ“, ამ წინადადებამ არსებულ გამოცემებში ყველაზე მეტი შესწორება განიცადა. საბოლოოდ სტრიქონი გადაკეთდა ასე: „ასოჲ ესე წილი ანბანისაჲ“.

სამ უძველეს ხელნაწერში ეს სიტყვები უცვლელად იკითხება: „ასი ესე წელი ანბანისაჲ“. მეორეს, გვიანდელ ნუსხაში სტრიქონი დამახინჯებულია ასე: „წარმოგითხრას ესე წილი ანბანისაჲ“. თუ გავითვალისწინებთ, რომ „წარმოგითხრას“ ფაქტიურად „წარმოგითხარ ასი“-ს სახით აღდგება (პ. ინგოროყვა), რომ ნუსხური „ე“-ს და „ი“-ს გარჩევა ძალიან ხშირად შეუძლებელია და ამდენად, „წილი“-ს მაგივრად აქაც „წელი“ უნდა გვქონდეს, ცხადი გახდება, რომ ეს გვიანდელი ნუსხაც სამი ადრინდელი ხელნაწერის წაკითხვას იმეორებს. ასევე, „ასი“-ს ნაცვლად „ასოჲ“-ს წაკითხვა გაუმართლებელია. სხვა რომ არაფერი, თვით ამავე ძეგლში „ასოჲ“ დაქარაგმების გარეშეა წარმოდგენილი. საერთოდ, საეჭვოა „ასოჲ“-ს დაქარაგმებული სახით (ასჲ) არსებობა. ამასთან „ჲ“ და „ი“ ნუსხურში განსხვავებული ნიშნებია და მათი ერთმანეთში აღრევა სავარაუდო არ არის. ხელნაწერებიდან გამომდინარეობს ერთადერთი სწორი წაკითხვა: „ასი ესე წელი ანბანისაჲ“. სტრიქონის ყოველგვარი სახის „შესწორება“ არაზუსტია, არ ითვალისწინებს ხელნაწერთა ტრადიციას და წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისს ემყარება.

გნოსტიკოსებში გავრცელებული იყო ტრადიცია სახელის თუ სახელის ინიციალის მინიშნება რიცხვით, რასაც ჩვეულებრივ, კრიპტოგრაფია ეწოდება.

„ასი ესე წელი ანბანისაჲ“ არის კრიპტოგრაფიის ნიმუში. თუ ცოტა ზემოთ ანბანის ასოთი (ასო „წ“) მინიშნებულია „ოთხი ათასი წელი“, აქ პირიქით, „ასი წელით“ მინიშნებულია ანბანის ასო (რ).

ასი წელი მიანიშნებს იმ ასოზე, რომელსაც იგი ანბანში შეესატყვისება. შეიძლება კი სხვა რამეს ნიშნავდეს „ასი ესე წელი ანბანისაჲ“?

მკვლევართა მიერ ერთხმად აღნიშნულია „ქე-

ბაძს" დამამთავრებელი წინადადების უჩვეულო, შეიძლება ითქვას, არასწორი გრამატიკული წყობა: „ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მო-წამედ წარმოგითხარ, ასი ესე წელი ანბანი-სად". აზრი ლოგიკურად სრულდება სიტყვასთან „წარმოგითხარ". შემდეგი ფრაზა „ასი ესე წე-ლი ანბანისად" მის გაგრძელებად ვერ ჩაითვ-ლება. იგი ახალ სტრიქონზე უნდა იქნეს ჩამო-ტანილი.

„ასი ესე წელი ანბანისად" ძეგლის ბოლოში დაცულ მინაწერს წარმოადგენს. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქებად" (ეს წოდება პირობითია) არის ეპისტოლე. ავტორი მიმართავს ადრესატს: „რო-მელი წერილ არს, წარმოგითხარ". იგი ვილაცას ცნობებს აწვდის, შეიძლება ითქვას, ამხნევებს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ წერილი გაგზავნილია საქართველოდან საქართველოს გარეთ მყოფი პი-რისადმი.

მაგრამ რით შეიძლება დასრულდეს, ჩვეუ-ლებრივ, ეპისტოლე? იმ პირის ხელმოწერით, იმ პირის სახელით ან სახელის ინიციალით, ვინც ეპისტოლის ავტორია.

„ასი ესე წელი ანბანისად", იმგვარივე მინა-წერია ეპისტოლის ბოლოში, როგორიც იქნე-ბოდა არაალეგორიულ, არამისტიკურ წერილში წერილის ავტორის სახელი, მაგ. „ბაგრატ", „და-ვით" და სხვა.

ზემოთ გარკვეული იყო, რომ ანბანის ასი წე-ლის გემატრიული შესატყვისია ასო „რ". მისი დანიშნულება ეპისტოლის ავტორის ინიციალის აღნიშვნა უნდა იყოს.

„ასე ესე წელი ანბანისად" არის ქებადს" ავ-ტორის კრიპტოგრაფიული ხელმოწერა. მის სრულ სახელს მირიანის სამეფო კარი ფარავს.*

ამით ჩვენ ვამთავრებთ ძეგლის გაშიფვრაზე საუბარს. აქვე გვინდა გამოვთქვათ რამდენიმე დამატებითი აზრი, რომელიც ჩვენი ფიქრით, გამორიცხავს ამ ძეგლის ავტორად იოანე-ზოსი-მეს მიჩნევას: (1) ქრისტიანულ მწერლობაში არსად დადასტურებული არ არის ის, რომ ამა-თუ იმ თხზულების (მით უმეტეს ეპისტოლის) ავტორმა გავრცელების მიზნით თვითონვე გა-დაწეროს რამდენჯერმე თავისი ნაწარმოები. (2) ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, მას შემდეგ-რაც შეიქმნა ქართლის მოქცევის შესახებ ძალ-ზე ვრცელი და დეტალური აღწერა (IX ს.). შექმნილიყო ამავე მოქცევის შესახებ სრული-ად განსხვავებული ვერსია. „ქართლის მოქცევა-ში" მინიშნებულიც კი არ არის, რომ ქართული ენა „ყოველი საიდუმლოს" მფლობელია, რომ იგი უფლის ენაა, რომ სხვა ენები მეორედ მოს-ვლამდე ქრისტესთან ჭეშმარიტი ზიარების უქო-ნლები არიან, რომ მეორედ მოსვლისას მათ მხოლოდ ქართული ენით გაეცხადებათ ეს საი-დუმლო. „მოქცევაში" არსად არ ფიგურირებს ლაზარეს სიმბოლო, მისი ოთხდღიანი დაფლვა. მეორეს მხრივ, ჩვენი აზრით, „ქებადს" ავტორი უთუოდ გამოიყენებდა ქრისტეს კვართის მცხე-თაში არსებობის მითს, მას რომ ამის შესახებ რამე ცოდნოდა. ამასთან, „ქებად" ქართლში ქრისტიანობის შემოსვლის შესახებ საუბრისას რაღაც ავტორიტეტულ წერილობით ძეგლს ეყ-რდნობა („ყოველი წერილ არს"). შეიძლებოდა კი X ს.-ში ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით ქრისტიანი მწერალი დაყრდნობოდა რომელიმე სხვა ძეგლს, თუ არა „მოქცევას"?

ძეგლი არ შეიძლებოდა შექმნილიყო არაბთა ბატონობის ჟამს, რადგანაც „ქებადს" ავტორი ქართულ ენას ქრისტიანული ქვეყნების ენებს უპირისპირებს, სწორედ მათზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობს. ეს უნდა იყოს ეპოქა, როცა სომხურ-ბიზანტიური სამყარო მასზე წა-მ[illegible] [illegible] ბოლოს ის [illegible] მომენტი „ქებადსადმი" მიძღვნილ წერილებში გარკვეულია).

ძეგლში წლები (94 წელი) ათვლილია „ქრის-ტეს მოსლვითგან". „ქრისტეს მოსლვა" ჩვეუ-ლებრივ „ნათლისღებას" გულისხმობს. ნათლ-ისღებით ხდება მორწმუნეზე ქრისტეს მოსვლა.[27] სხვათაშორის, ეს აზრი დამოწმებულია „მოქ-ცევაში": „ნათლისღებითა მოსლვად ქრისტესი" („მოქცევა", გვ. 98). ქართული ენის ნათლის-ღებიდან ანუ მასზე ქრისტეს მოსვლიდან ათვ-ლილი 94 წელი ქართული ქრისტიანობის უად-რეს პერიოდში (IV ს.) მოდის. „ქებაის" ნებ-ისმიერ სხვა საუკუნეში გადატანით 94 წლის, ვითარცა მეტობის, ანდა დამოუკიდებლად 94-ის, ვითარცა საკრალური რიცხვის ახსნის რაიმე მცდელობა, ჩვენი აზრით, ამაოდ ჩაივლის.

ასე წარმოგვიდგება „ქებაი"-ს მიზანდასახუ-ლობა და შინაარსი. იგი ესქატოლოგიური მის-ტიკის ნიმუშია. მისი ავტორი, ვფიქრობთ, ეყ-რდნობა გნოსტიკური ხასიათის თხზულებას, (ამდენად, მასაც გნოსტიკური სახე აქვს), რომ-ელსაც პირობითად ვუწოდებთ „ქართულ საი-დუმლო სახარებას". სავარაუდოა, რომ დაწე-რილია იგი 835-845 წლებში, ქრონიკონული ათ-ვლით 842 წელს.

საბოლოოდ, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც რ. პატარიძის ბოლო წერილშია აღძრული. საქმე ეხება ქართული ენ-ის „დამარხულობას". რა იგულისხმება მასში? ძეგლი იწყება ასე: „დამარხულ არს ენად ქარ-თული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა, საწ-ამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამ-ხილოს ამით ენითა". რ. პატარიძე, წინადადე-ბაში გრამატიკულ ნონსენსს ხედავს („მისისა საწამებლად" — მათ შორის არ სვამს მძიმეს) და „მესიის" აღდგენით წინადადებას ასე იაზ-რებს: „საიდუმლოდაა შენახული ქართული ენა მეორედ მოსვლის დღემდე, მესიის[28] დახადას-ტურებლად, რათა ყოველი ერი ქრისტე ღმე-

* შეიძლება კრიპტოგრამას „ასი ესე წელი ან-ბანისად" შემდეგში უფრო ცხადი გაშიფვრა მო-ეძებნოს.

რომა ქართული ენით განიკითხოს“ (იხ. „მნათობი“, 1988, 7, გვ. 148).

ვფიქრობთ, წინადადების ხელნაწერებისეულ ვარიანტში არავითარი ნონსენსი არაა და არც ღრმა ფილოლოგიური ძიებაა საჭირო ციტირებული სტრიქონების გასააზრებლად. მძიმე უნდა დაისვას სიტყვასთან „მიხისა“: „დამარხულია ქართული ენა მის (ქრისტეს) მეორედ მოსვლამდე“. წინადადების ამ ნაწილს მომდევნო სიტყვა „საწამებელად“ არ მიეკუთვნება. იგი არც „ჰაერში ობლად გამოკიდებული“ (იხ. იქვე, გვ. 148) დაგვრჩება, რამდენადაც ეს სიტყვა სრულიად კანონზომიერად უკავშირდება წინადადების მომდევნო ნაწილს: „დამარხულ არს... საწამებელად, რაჲთა... ამხილოს...“, რაც დღევანდელი ქართულით ნიშნავს: „დამარხულია... იმის დასადასტურებლად რომ... ამხილებს“, ანუ „ქართული ენა დამარხულია მის (ქრისტეს) მეორედ მოსვლამდე იმის დასადასტურებლად, საჩვენებლად, რომ ყველა ენას ღმერთი ამ ენით ამხილებს“. ქართული ენის „დამარხულობა“ არის სწორედ ამ ენის სხვათაგან განმასხვავებელი ნიშანი; ანუ შებრუნებით, რომელი ენაც „დამარხულია“, ღმერთი იმ ენით ამხილებს სხვებს. „დამარხულ არს... საწამებლად, რაჲთა“ სრულიად ძალდაუტანებლად მხოლოდ შემდეგს ნიშნავს: „დამარხულია... იმის დასამოწმებლად რომ;“ ძველქართული „რაჲთა“ სწორედ დღევანდელი მიზნობრივი კავშირის „რომ“-ის ფარდია (ეს უკანასკნელი ძველ ქართულში არ არსებობდა). მისათითებელი სიტყვა „იმის“ (იმის საჩვენებლად, რომ), ძველ ტექსტებში ხშირადაა გამოტოვებული. დღევანდელი წინადადება, „წავიდა იმის სათქმელად, რომ გაიქცეს“, ძველი სახით ასეთი იქნებოდა „წარვიდა საუწყებელად, რაითა ივლტოდის“.

რ. პატარიძე მიუთითებს: „ქართული ენა და ქართული დამწერლობა თხზულების პირველსავე წინადადებაში გაიგივებულია, თორემ როგორ შეიძლება ენა მეორედ მოსვლამდე იყოს შენახული დამწერლობის გარეშე?... „ენაჲ ქართული“ თხზულებისა, ქართულ წიგნს, ქართულ დამწერლობას, ქართულ ანბანს უნდა გულისხმობდეს (იქვე, გვ. 149)... რით დაუპირისპირდა ქართული ენა ბერძნულს, — ამ უბადლო ფენომენს? ქართული მწიგნობრობის სვებედითა და ქართული დამწერლობით“... (ქრისტიანობის შემოსვლით) „მდაბალი და დაწუნებული“ ქართული ენა მკვდრეთით აღსდგა... დაიწყო ქართული მწიგნობრობის აღორძინება“ (იხ. იქვე, გვ. 153).

აღნიშნულ თვალსაზრისს ბოლომდე იზიარებს ა. ბაქრაძე: „ქართული ენა (ცხადია, მასთან ერთად ქართული ანბანი), საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე დაკნინებული, დაჩაგრული, დაწუნებული იყო (ანუ, ფიგურალურად, ლაზარესავით მკვდარი იყო). ქრისტიანობის მიღებამ, გავრცელებამ ქართული ენა (ქართული ანბანი მასთან ერთად) აღადგინა და შეამკო (ანუ, ფიგურალურად ლაზარესავით გააცოცხლა). (იქვე, გვ. 152).

განსახილველი ძეგლი პატივცემულ მკვლევართა შეხედულებების საპირისპირო აზრებს გვთავაზობს: ქართული ენა კი არ „იყო“ მდაბალი და დაწუნებული“, არამედ „არის“ („ესე ენაჲ მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას“), ქართული ლაზარესავით მკვდარი კი არ იყო, რომელიც ქრისტიანობის მიღებამ გააცოცხლა, არამედ ქრისტიანობის მიღებით ქართული ენა „მოკვდა“, ვითარცა ლაზარე, რომელიც მხოლოდ მეორედ მოსვლისას ანუ ოთხი დღის შემდეგ აღსდგება.[29]

ვფიქრობთ, ძეგლისეულ „ქართულ ენას“ არავითარი კავშირი არა აქვს ანბანთან, ზ ო გ ა დ ა დ მწიგნობრობასთან. საინტერესოა, როგორ დაუპირისპირდა და აღემატა ბერძნულს ქართული თავისი ანბანითა და მწიგნობრობით (როგორც ფიქრობს რ. პატარიძე), როცა პირველ მათგანს ანბანის მხრივაც და მწიგნობრობითაც თუ უფრო ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია არა აქვს, ყოველ შემთხვევაში, ქართული ანბანისა და მწიგნობრობის ისტორიას არ ჩამოუვარდება?

„ქართული ენა“ პიროვნებასთან, ლაზარესთან არის გაიგივებული. პიროვნება გნოსტიკოსთა აზრით სამნაწილოვანია და სამგვარი; ნაწილებია: ხორცი, სამშმინველი, სული (=პნეუმა, სპირიტუს). თუ ადამიანში პირველი ნაწილი ჭარბობს, იგი „ხორციელია“ (სარკიკოი, ანუ ნივთიერი — ჰვლიკოი) თუ მეორე ნაწილი ჭარბობს — მშვინვიერი (ფსიხიკოი), თუ მესამე — სულიერი (პნეუმატიკოს, სპირიტუალის), (ეს შეხედულება საზოგადოა მისტიკოსთა და ფილოსოფოსთა შორის). „ქებაჲს“ ავტორი ხაზს უსვამს, რომ ქართული ენა პნევმატურია, სულიერია, რამდენადაც ქრისტესგან გამოცხადება, საიდუმლო სიბრძნე (რომელიც ენასთან დაკავშირებით წერილობით სახეს გულისხმობს) მიიღო. გნოსტიკოსთა შორის არსებობდა ასეთი წესი: „ყოველი საიდუმლოს“ მფლობელი მკაცრად ინახავს, იმარხავს გამოცხადებით მიღებულ სიბრძნეს და სხვათა წინაშე არაფრით ამჟღავნებს მას. იგი ჩვეულებრივ ადამიანად მიიჩნევა. არავინ იცის, თუ რა არის მასში დამარხული, ანუ სხვათათვის უცნობია გნოსტიკოსის „პნევმა“, სული. რამდენადაც გნოსტიკოსი და სულიერება (პნევმატურობა) ერთია, ამდენადაც სხვათათვის უცნობია გაბრძნობილი ადამიანის ნამდვილი მე, მისი სული, ის თვითონ. გნოსტიკოსს ვერავინ ცნობს. იგი მკვდარია სხვათა წინაშე, რაც შეეხება გნოსტიკოსის ხორცსა და სამშვინველს, ამ მხრივ იგი არაფრით განირჩევა სხვათაგან: სხვათათვის ცოცხალია ხორცით და სამშვინველით, მკვდარია — სულით, თავისი ნამდვილი „მე“-თი. ამგვარად,

ქართული ენა სხვათა წინაშე „ხორციელად“ კი არ არის მკვდარი, არამედ სულიერად. არავინ არ იცის, რას იმარხავს იგი, არავინ არ იცის მისი „სპირიტუსი“, ის თვითონ, მისი ნამდვილი „მე“. გნოსტიკოსები „თვით-მცნობი“ მისტიკოსებია. ქართულმა ენამ გამოცხადებით (საიდუმლო, მისტიკური წერილობითი სიბრძნით) იცნო საკუთარი თავი, სულიერი გახდა და თავისთავში დაიმარხა ეს სიბრძნე, სხვათა წინაშე დაფარა ანუ სიკვდილით დაფლა წიაღში („ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“); თავისი ნამდვილი მე ანუ თავისი თავი დამარხა, დაიმარხა თვით („დამარხულ არს ენაჲ ქარათული“). ხორციელი და მშვენიერი სახით ქართული ენა სხვათა ტოლია, მაგრამ სხვებს არ გაღვიძებიათ სული[30], არ უცვნიათ საკუთარი თავი, არ მიუღიათ გამოცხადება, საიდუმლო სიბრძნე, „ყოველი საიდუმლო“ (წერილობითი სახის), რომელიც ქართული ენის, ქართული მწერლობის „სულს“ შეადგენს, ანუ ის და ნამდვილი ქართული ენა ერთია. მეორედ მოსვლისას ამ სიბრძნეს ქართული ენის სულს, ნამდვილ ქართულ ენას ღმერთი სხვათა წინაშეც გააცხადებს. „ამხილოს ამით ენითა“ ნიშნავს . იმას, რომ ქართული ენის საიდუმლო სიბრძნეს ანუ გნოზს ეზიარებიან სხვა ენებიც, ისინიც მიიღებენ გამოცხადებას, გაიღვიძებენ თავიანთ თავში „სულს“, რომელიც ყველა ენისთვის საერთოა. გამოცხადება, პნევმა მთლიანი სიბრძნეა, — ამდენად, ყველა ენის „სული“, „გნოზი“ ერთი და იგივეა. ენები განირჩევიან მხოლოდ „ხორცით“ და „სამშვენველით“, მაგრამ არა სულით. ეს უკანასკნელი მათ ერთ მთელში აქცევს, რაც მეორედ მოსვლისას აღსრულდება, ქართული ენისთვის კი ამჟამადაც აღსრულებულია. მის მიერ მეორედ მოსვლა უკვე განჭვრეტილია მაგიური ნათლისღების ანუ ყოველი საიდუმლოს ძალით.

ვფიქრობთ, ამგვარად უნდა გაიშიფროს „ქებაის“ ცალკეული ფრაზების შინაარსი. იგი ჩვენი აზრით, ქართული ქრისტიანიზებული გნოსტიციზმის (III-IV სს. გნოსტიციზმი გამოხატვის საშუალებებით, მაგრამ არა შინაარსით, ძალზე დაუახლოვდა საკუთრივ ქრისტიანულ მეტყველებას. იხ. თომას და ფილიპეს გნოსტიკური სახარებები), ორთოდოქსიამდელი ქართული ქრისტიანობის (გნოსტიციზმი ეკლესიის მამათა მიერ ქრისტიანობის „ერესადაა“ მიჩნეული, ქრისტიანულ წრეში აქცევენ მას; თვით გნოსტიკოსები თავიანთ თავს ნამდვილ ქრისტიანებს უწოდებდნენ) ნაშთს წარმოადგენს.

## შენიშვნები

1. Н. Марр, Описание грузинских рукописей синайского монастыря, М.-Л., 1940 г., стр. 26.

2. მ. სმითი, კლიმენტ ალექსანდრიელი და მარკოზის საიდუმლო სახარება, კემბრიჯი, 1973, გვ. 178-179.

3. მ. სმითი, დასახ. ნაშრომი; იხ. აგრეთვე. ჟ. კროსი, ქრისტიანის დივინიზაცია ბერძენ მამათა მიხედვით, პარიზი, 1938; კ. პიპენბრინგი, ბიბლიური ქრისტოლოგია და მისი წყაროები, ჟურნ. რელიგიათა ისტორიის მიმომხილველი, ტ. 79, პარიზი, 1919, გვ. 121-174; 255-318.

4. ფ. ლეგი, ქრისტიანობის წინამორბედები და მოწინააღმდეგეები, ტ. 11, 1964, გვ. 90.

5. ჟ. დორესი, ეგვიპტის გნოსტიკოსთა საიდუმლო წიგნები, პარიზი, 1958, გვ. 37-50; რ. გრანტი, გნოსტიციზმი და ადრეული ქრისტიანობა, ნიუიორკი, 1959, გვ. 97-151; ფ. ლეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1-170.

6. ფ. ლეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

7. ჟ. დორესი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

8. მ. სპანე, ეკლესიის მამათა სტოიციზმი, კლიმენტ რომაელიდან კლიმენტ ალექსანდრიელამდე, პარიზი, 1957, გვ. 45.

9. ე. კორნელი, გნოსტიციზმი, სპირიტუალიზმის ლექსიკონი, ტ. 6, პარიზი, 1965, გვ. 523-541.

10. მ. სპანე, გვ. 42-46; ა. მეა, ნარკვევი კლიმენტ ალექსანდრიელის „სტრომატა“-ზე, პარიზი, 1966, გვ. 398-406.

11. ე. ოსბორნი, კლიმენტ ალექსანდრიელის ფილოსოფია, კემბრიჯი, 1957, გვ. 172.

12. ჰ. ფონ ბალთაზარი, ორიგენეს „მისტერიონი“, რელიგიური ცოდნის ნარკვევები, XXVI (1936), გვ. 522.

13. ჟ. დანიელუ, ორიგენე, პარიზი, 1948, გვ. 145-175; მ. არლი, განსხეულებული სიტყვის გამოცხადებითი დანიშნულება ორიგენესთან, პარიზი, 1958, გვ. 373-404; ხლ. ბალა, პარტიციპაციის იდეა ორიგენეს აზროვნების სტრუქტურაში, წიგნიდან, ორიგენიანა, გამოსცა ჰ. კრუზელმა გ. ლომიენტომ და სხვ. ბარი, 1975, გვ. 260;

14. ჟ. დანიელუ, პლატონიზმი და მისტიკური თეოლოგია, პარიზი, 1944, გვ. 28.

15. რ. როკი, დიონისეს სამყარო, სამყაროს იერარქიული სტრუქტურა ფსევდო-დიონისეს თანახმად, პარიზი, 1954, გვ. 246-256; ვ. ფელკერი, კონტემპლაცია და ექსტაზი ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან, ვისბადენი, 1958, გვ. 31.34.

16. ჟ. გარიგუე, მაქსიმე კონფესორი, პარიზი, 1976, გვ. 116-119.

17. ვ. იეგერი, ადრეული ქრისტიანობა და ბერძნული „პაიდეია“, კემბრიჯი, 1961, გვ. 11-12.

18. რ. გრანტი, გვ. 7.

19. „ყოველი საიდუმლო“ მხოლოდ ერთხელ არის დადასტურებული პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ 1 ეპისტოლეში, როგორც რიტორიკული ფრაზა, რომელსაც რაიმე მისტიკური გააზრება არ მოეპოვება (კორ. 1, 13,2). ბერძნულში მას შეესატყვისება „ტა მისტერია პანტა“. ამდენად, „ყოველი“ უნდა გულისხმობდეს აქაც და „ქებაჲშიც“ „ყველას“. მრავალს (ასევე ფიქრობს რ. პატარიძეც) და არა „მთელს“, როგორც ფიქრობს ზ. კიკნაძე; თუმცა ისიც ცხადია, რომ „ქებაჲს“ „ყველა“ და „მთელი“ საიდუმლო (ისევე, როგორც გნოსტიკურ ტექსტებში) ერთიმეორის ტოლფასია, ერთი და იგივეა.

20. ბალთაზარი ჰ. დასახ. ნაშრომი, გვ. 518.

21. პიუნიე დე პ. კონფირმაცია, ქრისტიანული არქეოლოგიისა და ლიტურგიკის ლექსიკონი. ტ. 3, 11 ნაწ. 1914, გვ. 2515.

22. იქვე, გვ. 2519.

23. ჰ. კრუზელი, ორიგენე და „მისტიკური ცნობა“, პარიზი, 1961, გვ. 23.

24. ჰ. ლეკლერკი, ერა, ქრისტიანული არქეოლოგიისა და ლიტურგიკის ლექსიკონი, ტ. 5, 1 ნაწ. გვ. 350–384.

25. კ. სალია, ქართველი ერის ისტორია, პარიზი, 1980, გვ. 79.

26. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. აბულაძის რედაქციით, 11, თბ. 1967, გვ. 154.

27. მ. სმითი, გვ. 220–237; პიპენბრინგი, გვ. 269.

28. ა. ბაქრაძე, „ქებაის“ პრეტენზიულობას მესიანიზმით ხსნის (იხ. ისევ „ქებაის“ გამო, „მნათობი“, 1983, № 1, გვ. 159). ეს სიტყვა დღესათვის ძეგლის ჩვეულებრივ ატრიბუტადაა ქცეული. ვფიქრობთ, მათი ასე მჭიდრო დაკავშირება მიზანშეუწონელია. ქართული თხზულება განეკუთვნება ქრისტიანულ მწერლობაში, განსაკუთრებით მის „ერეტიკულ“ (გნოსტიკურ) განშტოებაში კარგად ცნობილ აპოკრიფულ ჟანრს, ესქატოლოგიურ მისტიკას ანუ მეორედ მოსვლის მისტიკური თვალით განჭვრეტას გამოცხადების, საიდუმლო სიბრძნის ანუ ყოველი საიდუმლოს მიღების გზით. გნოსტიკური ტექსტების უმეტესი ნაწილი სწორედ ესქატოლოგიური მისტიკის ჟანრს ეკუთვნის.

29. ა. ბაქრაძე კატეგორიულად აცხადებს: „როცა ქებაის გამო ვმსჯელობთ, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი მხატვრული ნაწარმოებია“ (იქვე, გვ. [illegible] ...ლი მკვლევარის ამგვარი [illegible] მოების დღევანდელი თვალით წაკითხვაა და არა მისი თავდაპირველი ბუნების წარმოჩენა. „ქებაჲ“ მიეკუთვნება ქრისტიანული სიმბოლიზმის ნიმუშებს. ცალკეულ გნოსტიკურ (ქრისტიანულ გნოსტიკურ) სექტას ჰქონდა თავისი „მითი“, რომლის ყოველ დეტალს სექტის წევრები სიმბოლურ-მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ (და არა მხატვრულს). ამ „მითით“ ისინი ხსნიდნენ ყველაფერს. რ. გრანტი მიუთითებს: mythology is a significant feature of all Gnostic systems. It is significant first because it represents an attempt by the Gnostic to explain how his situation arose and how he can get out of it (გრანტი, გვ. 10). ქართული ქრისტიანული გნოსტიციზმის მითი „ქებაჲს“ მიხედვით ლაზარეს ეპიზოდია, რომელსაც ავტორი იყენებს არა როგორც მხატვრულ სახეს, არამედ როგორც მისტიკური მინიშნებებით სავსე ხრობას. ქრისტიანული გნოსტიციზმის მითები არავის მიუჩნევია მხატვრულ ნაწარმოებად. ეს აზრი კომენტარს არ საჭიროებს და მისი გაზიარება თუ არ გაზიარება საქმის ვითარებას არ ცვლის.

30. აღნიშნული წერილი წარმოადგენს შეჯამებას ვრცელი შრომისა, რომელიც მოხსენების სახით წაკითხულ იქნა 1983 წლის 15 თებერვალს თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე, ხოლო 4 მარტს — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. მოხსენებაში დიდი ნაწილი (80 გვ.) დავუთმეთ ლაზარე-ნათლისღება — ყოველი სიბრძნის საკითხს. აქ მხოლოდ უმთავრესი მომენტები წარმოვადგინეთ. გამოცხადებით „სპირიტუსის“ გალვიძება ლაზარე — ქართული ენის არსებითი ნიშანია. ამავე დასკვნამდე მისულა თ. ჩხენკელიც. იხ. მისი „ლაზარე, ახალმან ნინო“, ლიტერატურული საქართველო, 1983, № 17, გვ. 10, თუმცა მკვლევარი არ აზუსტებს, თუ რას გულისხმობს საკუთრივ „ეზოტერული ტრადიცია“ და „გამოცხადებითი სიბრძნე“. ასევე, ჩვენთვის გაუგებარია ფრაზა: „იესო ქრისტე ცოცხალი ლოგოსია“ (იქვე). საერთოდ, აღნიშნული წერილი, ჩვენი აზრით, ახლოს დგას ლაზარეს, ვითარცა სიმბოლოს და არა ვითარცა მხატვრული სახის გააზრებასთან. ვფიქრობთ, თ. ჩხენკელი, ისევე, როგორც ჩვენ, ლაზარეში მხატვრულ სახეს არ უნდა ხედავდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

# წლები და წიგნები

სერგო კლდიაშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო

ეს წერილი ერთი საგულისხმო ამბის გახსენებით მინდა დავიწყო. ეს იყო კარგა ხნის წინ. მატარებელი „მოსკოვ-თბილისი" გუგუნით მოჰქროდა რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებზე. ის იყო შებინდდა, მგზავრები საძილედ გაემზადნენ, მაგრამ ერთ კუპეში დაუცხრომელი დავა და კამათი იყო გაჩაღებული. ეს კუპე ქართველ მწერლებს ეჭირათ, ისინი მწერალთა რომელიღაც ყრილობიდან თუ პლენუმიდან ბრუნდებოდნენ — იხსენებდნენ ორატორთა გამოსვლებს; ამ საუბრის დროს გიორგი ლეონიძემ გულისტკივილით თქვა:

— მოხსენება კარგი იყო, მაგრამ ის კი არ მომეწონა, რომ ორატორმა პასტერნაკი ჩრდილში მოაქცია. არ მესმის, რას ერჩიან ამ უზარმაზარი ტალანტის პოეტს— მას ხომ მშვენიერი ლექსები აქვს ოქტომბერზე, პოემები — ცხრაას ხუთის რევოლუციაზე, ლეიტენანტ შმიდტზე...

გიორგის დაეთანხმნენ იქვე მყოფი პაოლო იაშვილიც, ილო მოსაშვილიც, სერგო კლდიაშვილიც, მარტო ერთი პოეტი გაჯიუტდა — არაფერი მწერალი ეგ არ არისო; შეედავნენ, მაგრამ ვერა და ვერ გადაათქმევინეს. თურმე იმ პოეტმა თქვა:

— კარგი პოეტი ის არის, ვისი ლექსებიც ხალხმა ზეპირად იცის. აბა, პასტერნაკის ერთი ლექსი მაინც მითხარით ზეპირად... თუ ბიჭები ხართ, მითხარით, და თქვენი ხმალი იყოს და ჩემი კისერი.

— ერთს კი არა, თუ გინდა ათს გეტყვი ზეპირად, — შეეპასუხა სერგო.

— ათი არ მინდა, ერთი მაინც მითხარი...

— მაშ მომისმინე, — უთხრა სერგომ და დაიწყო:

Я помню чудное мгновенье:
Передо мной явилась ты,
Как мимолетное виденье,
Как гений чистой красоты.

და ასე, ბოლომდე ჩაიკითხა ეს მართლაც გენიალური ლექსი.

პირველი სტრიქონის წარმოთქმისთანავე კუპეში მყოფთა სახეებზე ღიმილი აღიბეჭდა. რა თქმა უნდა, მიხვდნენ, რაოდენ მაცდური ხარმა გამოსდო სერგომ იმ გაჯიუტებულ თანამგზავრს. სერგომ ლექსის კითხვა რომ დაამთავრა, იმ კაცმა უთხრა:

— აბა, ეგ ლექსია? წმინდა სილამაზის გენიოსი გამომეცხადაო! დიდი ამბავი!!

ახლა კი ატყდა ხარხარი, სიცილით გული რომ იჯერეს, იმ პოეტს ჰკითხეს:

— მართლა არ იცი, სერგომ ვისი ლექსი წაიკითხა?

და უთხრეს ვისიც იყო.

— იმასაც თავგზა დაბნევია! — უპასუხა ჯიუტმა კაცმა ისე რომ წარბიც არ შეხრევია.,

რა იყო ეს? ლიტერატურული მისტიფიკაცია, თუ უბრალო ხუმრობა, მორიგი გასართობი მოშქანცველი მგზავრობის დროს? არა, ეს იყო სასჯელი ლიტერატურული უგემოვნებისა და უმეცრების მიმართ, ეს იყო ერთი მცირე ეპიზოდი მაღალი ლიტერატურისათვის ბრძოლისა, როცა ამ ბრძოლაში უნდა გამოიყენო არა მარტო პოლემიკის ჩვეული ხერხები, ლოგიკის კანონები, არამედ მძაფრი ირონიაც და ხუმრობაც.

მაგონდება კიდევ ერთი ეპიზოდი სერგო კლდიაშვილის ბიოგრაფიიდან: მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის ბაღში ნებივრად ჩამომსხდარან და საუბრობენ სამი თუ ოთხი მწერალი და, მათ შორის, თვითონ სერგოც. საუბრის თემაა — ვინ რაზე მუშაობს. სერგო გულმოსულია ერთ თანამოსაუბრეზე, რომელმაც ლიტერატურული წლის შეჯამებისადმი მი-

ძლვნილ დისკუსიაზე უსამართლოდ გაკენწლა მისი ნოველების კრებული — ავტორი არააქტუალურ თემებზე წერსო. და აი, ახლა, ცხადია, აინტერესებთ იქ შეკრებილთ, რაზე მუშაობს თვითონ სერგო კლდიაშვილი, რა აქტუალური თემა აირჩია მან ამჯერად.

— ჩემი ახალი ნოველის სათაურია „იუდეველთა პროკურატორი", — დაიწყო სერგომ და ზუსტად მოჰყვა შინაარსი ანატოლ ფრანსის ამავე სახელწოდების გენიალური ნოველისა, რომელიც სწორედ იმ ხანებში ითარგმნა ქართულ ენაზე, ისე რომ, მის გაცნობასა და გადაკითხვას არაფერი ედგა წინ. ჰყვება ნოველის შინაარსს სერგო და ლაპარაკობს რომის იმპერატორ ტიბერიოსზე და პონტოელ პილატეზე, იესო ნაზარეველსა და მარია მაგდალინელზე, ერთი სიტყვით, ანატოლ ფრანსის ნაწარმოების ერთი დეტალიც კი არ გამოუტოვებია. მსმენელები, იმ ერთი კაცის გარდა, ილიმებიან, იციან, რომ სერგო ახლა კისრულით გადაიტანს და მიწაზე დაანარცხებს მოპირისპირეს, და მოუთმენლად მოელიან საპასუხო რეაქციას; და მართლაც, ანკესზე მარჯვედ წამოგებული მოპირისპირეც არ აყოვნებს:

— გესმით რაებს ჰყვება? — მიმართავს იგი დამსწრეებს, — მოდი და გაუჩუმდი... რა არის, სერგო, მაგ სისულელეს როგორ წერ. არც აზრი, არც სიუჟეტი, არც არავითარი იდეა მაგ შენს ახალ ნოველას არა აქვს! არა, ამხანაგებო, ამ უკულმართ კაცს არაფერი არ ეშველება, მთლად დაკარგული აქვს ყოველგვარი ალღო!

დამსწრენი იცინიან და გაცხარებულ მოპაექრეს ვერ გაუგია, რა ხდება, რა უბედურება ტრიალებს მის თავს.

გარეგნულად ეს ყველაფერი თითქოს სასაცილოდ ჩანდა, ამ სიცილს და ხუმრობას თავისი შინაგანი აზრი ჰქონდა. იგი ბუნებრივად და უშუალოდ ეხმაურებოდა მწერლის ბრძოლას მაღალი ლიტერატურისათვის და ესთეტიკური მრწამსის სიწმინდისათვის, იმ მრწამსის დაცვისათვის, რომელიც ვერ ურიგდება კონსერვატული აზროვნების შაბლონებში ჩაჭედილ ფორმულებს. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ რაოდენ ხშირად გაიხმაურებს ამ ბრძოლის გამოძახილი სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში, სადაც ბუნებრივად ერწყმიან ერთი-მეორეს უნაზესი ლირიზმი და მძაფრი ირონია, სადაც სატირული ფერები უშურველად და უხვად არის ჩაქსოვილი მწერლის იმ ეპიკურ ტილოებში, რომელზეც ქვეყნის აწმყო და წარსულია გამოხატული.

სერგო კლდიაშვილის სიყრმისა და სიჭაბუკის წლები დაემთხვა ჩვენი ქვეყნის ისტორიის მეტად შფოთიან და მღელვარე ეპოქას. მის თვალწინ ჩაიარა პირველმა რევოლუციამ, შემდეგ რეაქციის მძიმე წლებმა; ბათუმში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, ის იყო თვითმხილველი და მოწმე, თუ როგორ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეტაკნენ ერთმანეთს ხალხისა და რეაქციის ძალები; პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლებში, უკვე ჭაბუკი სერგო კლდიაშვილი თან ახლდა მამას თურქეთის ფრონტზე (როგორც ცნობილია, დავით კლდიაშვილი სამხედრო პირი იყო, პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა); იმ წლების შთაბეჭდილებათაგან სერგო კლდიაშვილმა ბევრი რამ აღადგინა შემდგომში თავისი რომანის „ფერფლის" პირველ წიგნში და ცალკეულ მოთხრობებშიც.

პირველი ომის მომდევნო წლებში სერგო კლდიაშვილი რუსეთშია, სწავლობს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; აქ მოუსწრო მას თებერვლის რევოლუციამ. მომდევნო თვეების მანძილზე, როცა მოსკოვი დუღდა და ბობოქრობდა, ქართველი სტუდენტი ამ მოვლენათა შუაგულში იყო. იმ დაუვიწყარ დღეებს მწერალმა მიუძღვნა დოკუმენტური მოთხრობები, რომელთა წინათქმაში ავტორი აღნიშნავდა, რომ „აქ არაფერია გამოგონილი, ან შელამაზებული, ფანტაზიის დაძაბვაც არ დამჭირდა, ვინაიდან მოსკოვის იმ დღეების სინამდვილე ყოველგვარ ფანტასტიურზე ბევრად უფრო ფანტასტიური იყო". ამ მოთხრობებში („პრივატ-დოცენტი", „პუშკინის ძეგლთან", „ყვინჩილა და ჭოტი") მეტად ხელშესახებად და თვალსანახავად იგრძნობა, როგორ ახლოვდება ოქტომბრის ქარიშხალის გუგუნი; ვხედავთ იმ დღეების მღელვარე მოსკოვს, ვხედავთ ქუჩაში საბრძოლველად გამოსულ ხალხსაც და რეაქციის ძალებსაც; ძუნწი შტრიხებით, კალმის ორიოდე მოსმით არიან დახატულნი მებრძოლი მუშები, ფრონტიდან ჩამოსული ჯარისკაცები, ომის დამთავრება რომ ენატრებათ, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, ბარიკადებზე რომ კვდება, შეიარაღებული სტუდენტები, კერენსკი და კორნილოვი — ყვინჩილა და ჭოტი, ხელიხელ გაყრილნი რომ შედიან ყოფილ გენერალ-გუბერნატორის სამმართველოს შენობაში, სადაც შემდეგში მოსკოვის საბჭომ დაიდო ბინა. ახალგაზრდა მწერალი საქართველოში ბრუნდება უკვე იმ წლებში, როცა მთელ რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის პირველივე წლები აღინიშნა უაღრესად საინტერესო, თვითმყოფი ტალანტების გამოჩენით. გამოხატავდნენ რა ეპოქის საერთო ვითარებას, ყოველ მათგანს თავისებური მხატვრული ხილვა ჰქონდა, თავისებური ხედვა სამყაროსი. სერგო კლდიაშვილმაც ამ მხრივ თავიდანვე მიიქცია როგორც ლიტერატურული საზოგადოებრიობის, ისე მკითხველთა ფართო მასების ყურადღება. პირველი მოთხრობებიდანვე იგი წარმოსდგება ჩვენს წინაშე როგორც ნოველის შესანიშნავი ოსტატი, რომელსაც შეუძლია სადად, ნათელი და მკაფიო სახეებით გადმოსცეს დიდი სათქმელი, დაინახოს ღრმა შინაარსი ერ-

თი შეხედვით უბრალო ამბავში. როგორც ყვე-ლა ჟანრმა, ნოველამაც თავისი ბუნებრივი ევოლუცია განიცადა; მას რაღაც მიუმატა მე-20 საუკუნემ, ახალმა ეპოქამ, მიუმატა მარტო მისთვის დამახასიათებელი, ახალი, თავისებური, და, იმავე დროს, მეტად მნიშვნელოვანი. რა იყო ეს ახალი? რა თქმა უნდა, არა მხატვრული ხერხების სფეროში მომხდარი რადიკალური გარდატეხა, არა მთლიანი დარღვევა ოდითგან განმტკიცებული ფორმებისა. საერთოდ, ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმები იოლად არ იცვლებიან, ვინაიდან წინა ეპოქების ოსტატებმა მეტად ჭკვიანურად, ბრძნულად გამოუძებნეს ფორმა მწერლის სათქმელს. ეს ფორმა ძირითადად შემორჩა რომანსაც და ნოველასაც, მაგრამ ცხადია, ლიტერატურას, პირველ რიგში, მხატვრულ პროზას, არ შეეძლო არ გამოეხატა დიდი მსოფლიო გარდაქმნანი, რომლებიც რევოლუციამ მოიტანა და რომლებიც მარტო სოციალ-პოლიტიკურ სფეროს კი არ შეეხნენ, არამედ ადამიანის სულიერ სამყაროსაც. მოვიდნენ ახალი გმირები, ახალი ფორმაციის ადამიანები, რომელთაც სულ სხვაგვარად შეჰხედეს სამყაროს. სერგო კლდიაშვილი ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც ეს ადამიანები დაინახა, იგრძნო მათი შინაგანი სიმართლე. სინამდვილის მხატვრული გადმოცემის დიდ ძალასთან ერთად, ამ ცხოვრებისეულმა აქტუალურობამ, ამ ახლის გრძნობამ დაუმკვიდრა სერგო კლდიაშვილს სახელი ნოველის დიდი ოსტატისა, ასე იქცნენ მისი ნოველები ახალი ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშებად.

ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია სრულიად ბუნებრივი გაგრძელება და განვითარებაა კლასიკური რეალიზმისა, ერთგულია მისი მაღალი ჰუმანიზმისა, მისი წმინდა სინდისის, მისი იდეალების დაცვა და განვითარებაა. ცხადია, ეს ასეც უნდა იყოს, აქ არ შეიძლება მოწყდე ფესვებს; წარსულის ამ ტრადიციებთან განუყრელად არის დაკავშირებული სერგო კლდიაშვილის შემოქმედების ნოვატორული პათოსი. აქ მინდა აღვნიშნო, რომ მწერლის გამჭრიახი თვალი მუდამ პირველი ამჩნევდა იმ ახალს, რაც სოფლად ან ქალაქად ჩნდებოდა, პირველი ეხმაურებოდა კარგსაც და ცუდსაც, ნათელსაც და ჩრდილოვანსაც. დიდად საინტერესოა ის ამბავი და ეს აქამდე არავის არ აღუნიშნავს, რომ პირველი ქართველი მწერალი, ვინც განგაში ასტეხა ახალგაზრდობის მიგრაციის გამო სოფლიდან ქალაქისაკენ — იყო სერგო კლდიაშვილი. სამოციანი წლების დასაწყისში ჟურნალ „დროშის" ფურცლებზე დაიბეჭდა მისი პუბლიცისტური ნარკვევი „გადახედვა მომავლისაკენ". აქ იგი სოფელ სიმონეთის კოლმეურნეობაზე მოგვითხრობდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო მოთხრობა ჩვენი სოფლის ხვალინდელ დღეზე, ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე, იმაზე თუ კოლმეურნეობის გამოცდილმა და ჭკვიანმა თავმჯდომარემ, თავის მასშტაბებში, თავის პატარა უბანზე როგორ შეაჩერა სოფლის ახალგაზრდობის მიგრაცია ქალაქისაკენ, და ბოლოს, ეს იყო მწერლისა და თავმჯდომარის მეტად გულწრფელი დიალოგი, ფიქრი იმაზე, თუ რა გააკეთონ ხვალ, რომ უფრო წინ წავიდეს ქვეყანა, უფრო ლამაზი, უფრო ღრმაშინაარსიანი გახდეს სოფლის ცხოვრება, რომ ახალგაზრდას თვალი აღარ მიურბოდეს ქალაქისაკენ. სხვა ამბებთან ერთად, აქ ერთი საინტერესო ამბავია მოთხრობილი: ესაა კონფლიქტი თავმჯდომარესა და ერთ-ერთ კოლმეურნეს შორის. საქმე შემდეგშია: საქართველოს ტყეებში შემორჩენილია უმშვენიერესი რელიქტური ხე — ძელქვა. იგი აქა-იქლა გვხვდება. ამ ხის გამო ლეონიდ ლეონოვი წერდა, რომ „ძელქვა რიონის ველიდან გადასახლდა ხალხურ მთქმელთა სიმღერებში", ე. ი. ის აღარ არსებობსო. არა, თურმე ჯერ მთლად არ გადასახლებულა ძელქვა თქმულებებში, ჯერ კიდევ დგას ის რიონის ტყეებშიც და იქაურ სოფლებშიც. და აი, სოფელ სიმონეთში ერთმა კოლმეურნემ გადაწყვიტა თავის ეზოში მოეჭრა ძელქვა. თავმჯდომარემ აუკრძალა კოლმეურნეს ამ ხის მოჭრა. კოლმეურნემ მას ჯერ რაიონში უჩივლა, მერე თბილისში, და როცა აქაც არაფერი გაუვიდა, მოსკოვში გაგზავნა განცხადება; თავმჯდომარემაც თავისი გულისტკივილი მწერალს გაუზიარა: „მართალია, ავუკრძალე. ჯერ ერთი, კანონით აკრძალულია ძელქვის მოჭრა, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ეს ცხოვრება ჩვენით თავდება თუ როგორაა? ეზოს პატრონის შემდეგ, დაე მომავალმა თაობებმა შეავლონ თვალი ბუნების ამ მადლს. ხომ გაახარებთ მისი დანახვა? სანამ ცოცხალი ვარ, ნაჯახს არ მივაკარებინებ. მიჩივლოს მისმა პატრონმა, სადაც უნდა".

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ იგი ბევრ რამეს ხსნის მწერლის შემოქმედებითს სამყაროშიც; ვიტყოდი მეტსაც, სერგო კლდიაშვილის შემოქმედების გაგებისათვის მას ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობაც კი აქვს — წარსულს, მემკვიდრეობითს თუ არ გაუფრთხილდი, მომავალზე ზრუნვა ამაო იქნება; ძველი ძელქვა უეჭველად უნდა იდგეს მიწაზე, როგორც დგას გელათი და სვეტიცხოველი; პირველი — ბუნების ქმნილებაა, მეორე და მესამე — ადამიანის გენიისა. და ყველაფერი ეს — უბრალო პეიზაჟი კი არ არის, უფრო მეტია. მათში ხალხის სულია უხილავად გადასული.

მწერლის ყურადღების ცენტრში დგას ადამიანი-შემოქმედი, ადამიანი პატრონი ქვეყნისა, პატრიოტი სამშობლოსი, ადამიანი, რომელსაც ესმის აზრი ისტორიისა, იცის, რისთვის არის მოსული ამ მიწაზე. ასეთი შემოქმედი იყო ზემოხსენებული ნარკვევის მთავარი გმირი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულამანიძე.

მწერალი თავის მოთხრობებში არაერთგზის უბრუნდება ამ სახეს, გვიჩვენებს მას სულ სხვადასხვა უბანზე, სულ სხვადასხვა ახაკსა თუ ვითარებაში, სხვადასხვა ასპექტში. ამ ახალ ხასიათებს განეკუთვნება ინჟინერი ქალიშვილი მედეა მოთხრობიდან „გორგასალის თასი“. აქაც, როგორც ზემოხსენებულ ნარკვევში, აღძრულია საკითხი ახალგაზრდობის მიგრაციისა სოფლიდან ქალაქად; მედეა სოფლად წასულა სამუშაოდ, ელსადგურს აშენებს, მას უკვე მოუძებნია თავისი ადგილი ცხოვრებაში, უკვე შინაური და ყველასათვის საყვარელი გამხდარა სოფლად; და აი, ერთ დღეს სოფელში ჩამოდის მედეას დეიდა ოლიმპიადა, რომელიც ფიქრობს, რომ ასეთი ჭკვიანი და ლამაზი ქალიშვილი არ შეიძლება ამ დათვის ბუნაგში დატოვო. მაგრამ მედეასთვის ეს დათვის ბუნაგი კი არ არის, ეს სამშობლოა, ეს საქართველოა, რომელსაც შენი ხელით აშენებ და ალამაზებ. ეგოიზმის სულით გამსჭვალული დეიდას თვალსაზრისით მედეა კარიერას იფუჭებს; მწერლის და მისი გმირის თვალსაზრისით კი, არ არის უფრო მაღალი თანამდებობა, უფრო დიდი კარიერა, ვიდრე ხვედრი შემოქმედისა და ქვეყნის პატრიოტისა, ვიდრე ხვედრი ამ ლამაზი ქალიშვილისა, რომელიც თითქოს განუყრელია პეიზაჟისაგანაც კი, ისე ორგანულად არის შერწყმული მთელ სინამდვილეს. დეიდას კი ყველაფერი უკვე მოუჭახრაკებია, მედეას ქალაქად გადაყვანა ოფიციალურადაც გაუფორმებია, მაგრამ მთელი მისი ამ მცდელობიდან არაფერი არ გამოდის.

აქ კიდევ ერთი რამ არის საინტერესო სერგო კლდიაშვილის მხატვრული სტილის თავისებურებათა ამოცნობის თვალსაზრისით: როგორც კი სიუჟეტში ეს საფრთხობელა, დეიდა ოლიმპიადა გამოჩნდება, მწერალი, აქამდე ლირიკულად რომ იყო განწყობილი, უცებ სატირიკოსად იქცევა, თხრობის მშვიდი ტონი ირღვევა და მწერლის ხმაში ისმის სარკასტული ინტონაცია. ოლიმპიადა კი არ ლაპარაკობს, ჭრიჭინებს, როგორც კარის დაჟანგული ანჯამა, ანდა ლურსმანი, რომელსაც ძველი ფიცრიდან გაზით აძრობენ; საერთოდ, მთელი მისი ფიგურა ნაფტალინიდან ამოღებულს ჰგავს.

ახლის შემოქმედთა ცხოვრების ასახვის თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა სერგო კლდიაშვილის მოთხრობა დიალოგებად „მარტოობა“. აქ ქალაქის მშენებლების ძიებასა და სულიერ სამყაროზე მოგვითხრობს მწერალი, მოგვითხრობს იმაზე, თუ რაოდენ მაღალ მორალურ სიწმინდეს მოითხოვს შემოქმედება ადამიანისაგან, და როგორ მარცხდება ის, ვინც ამას უგულვებელყოფს.

ომის შემდგომ წლებში სერგო კლდიაშვილმა გამოაქვეყნა სულ პატარა მოთხრობა, რომელსაც „ჭინკა ბიჭები“ უწოდა. მეტად უბრალოა ეს მოთხრობა, უშუალო და მართალი. ალბათ, ამიტომ არის, რომ აქ უმალ, პირველივე სტრიქონებიდანვე იგრძნობა ცოცხალი ცხოვრების მაჯისცემა, ადამიანის ცოცხალი გულის ფეთქვა, მისი სულის სინაზეც და სიფაქიზეც და, იმავე დროს სიმტკიცე და გაუტეხლობაც; აქ ყველაფერი უბრალოა, როგორც ცხოვრება და, იმავე დროს, ცხოვრებასავით რთულია, მძაფრი და დრამატიზმით აღსავსე; აქ ბევრი რამ სატირალია, მძიმე ფიქრისა და დარდის აღმძვრელი. ეს პატარა მოთხრობაა, და აქ არ შეიძლებოდა დახატულიყო სოციალურ და პოლიტიკურ ძალთა ის ისტორიული შეჯახებანი, მსოფლიოს რომ აზანზარებდნენ, მაგრამ აქ არის გამოძახილი, საოცრად ზუსტად მიგნებული შტრიხებით გადმოცემული გამოძახილი იმ ბრძოლისა, რომელიც კეთილსა და ბოროტ საწყისებს შორის წარმოებს ქვეყანაზე. აქ ჩანს, როგორ მღვრიე ტალღასავით გადაუვლია უამრავ უბედურებას პატარა სოფლის თავზე, მაგრამ ადამიანის ძალას მაინც ვერ მორევია. აქ არის დიდი რწმენა ადამიანისადმი, მისი ძლიერი და კეთილი გულისადმი, აქ არის დიდი მშვენიერებით აღსავსე ცხოვრება ხალხისა, აქ, უხილავად, სტრიქონებს შორის, ყოველგვარი ფერადოვანი ფრაზების გარეშე, იგრძნობა ღონიერი მდინარება ხალხის ცხოვრებისა, ის იდუმალი დვრიტა, რაც უბრალო თვალით არ დაინახება, მაგრამ უიმისოდ კაცთა მოდგმა, დიდი ხანია, აღარ იქნებოდა ქვეყანაზე. ვუწოდოთ მას თუნდ ბიოლოგიური, თუნდაც ქართული ეროვნული საწყისი ძნელია აქ ზუსტი ტერმინის გამოძებნა, მაგრამ ის კი ნათელია, რომ სწორედ ეს საწყისი აძლევს ძალას ადამიანთა თაობებს მოაწყონ დიდი საზოგადოებრივი გარდაქმნები, ააშენონ ქალაქები, იგრძნონ თავიანთი თავი ამ ცისა და მიწის პატრონებად.

ხალხი უკვდავია და ძლიერი, ის შეუყვარებული შემოქმედია სიცოცხლისა, მთელი ცხოვრებისა. ასეთია დედააზრი მწერლის ამ პატარა მოთხრობისა; მისი გმირები არიან პატარა ბიჭუნები, წყაროზე რომ ჰყუმპალაობენ და კიდევ — მთელი საქართველო. ეს ბიჭუნები, მივარდნილი ქართული სოფლის გზაზე რომ დაუნახავს მწერალს, ჩანან როგორც საქართველოს უკვდავების მაუწყებელნი, როგორც ახლად ამოყრილი ქორფა ტოტები ნამეხარი და ნახანძრალი ხის ვეება სხეულზე. ქვესათაურად ამ მოთხრობას აწერია „ერთი უბნის მატიანე“, მაგრამ ეს საქართველოს ცხოვრების მატიანეა და მას თავისი ფილოსოფიური აზრიც აქვს— ვერასოდეს ვერ მოერევა სიკვდილი სიცოცხლეს; სამმილიონნახევრიანმა საქართველომ სამშობლოს დასაცავად ნახევარ მილიონზე მეტი ჯარისკაცი გაგზავნა სამამულო ომის ფრონტზე. ეს ოფიციალური ცნობაა, არაერთგზის გამოქვეყნებული გაზეთებში; აქედან ნახევარზე მეტი ველარ მობრუნდა შინ. ახლა, საქართველოს

ტერიტორიაზე ,სოფლების გვერდით, ხშირად წააწყდებით ახლა გაშენებულ ტყეებს, სადაც ხეებს პატარა ფირფიტები აქვთ მიკრული და ზედ კაცის სახელი და გვარი აწერია. ეს ტყეები — ომში დაღუპულთა ძეგლებია. ეს ტყეები ის ბატალიონებია, საქართველომ ბრძოლის ველზე რომ გაგზავნა. ხშირად ამ ტყეებში ერთი-მეორის გვერდით დგანან ხეები, რომლებსაც მამის სახელი და გვარი ერთი აქვთ; ძნელი მისახვედრი არ არის, რას ნიშნავს ეს: ორი, სამი, ხშირად ოთხი და უფრო მეტი ძმაც ერთად წავიდნენ ფრონტზე.

ასე მოხდა აბესაძეების უბანშიც, გვაუწყებს მწერალი თავის მოთხრობაში.

და აი, ომი ახალი დამთავრებულია. სოფლის გზაზე მგზავრი გამოჩნდება, მიდის და ათვალიერებს იქაურობას. მას ადრეც უნახავს აბესაძეების უბანი. ეზოებში სიჩუმეა, ირგვლივ კი ბროწეულის ყვავილების ცეცხლი მოსდებია გარემოს, ჭახჭახებს შაშვი და ისმის ჭრიჭინების დაუცხრომელი საგალობელი, მზე დაღვრილა მთელ გარემოზე და სიცოცხლე ზეიმობს თავის მარადიულობას. ეს ძველი ჭრიჭინობლები არიან და ბროწეულის ყვავილებიც ძველია, თუმცა დღეს დილით გაიფურჩქნენ, ასეული წლების წინ ჰყვაოდნენ და ისევ ჰყვავიან; აგერ პატარა ბიჭუნებიც, დოქები რომ აუვსიათ სოფლის წყაროზე და შინისაკენ მიაქვთ. ეს ისინი არიან, ოდესღაც რომ დასახლდნენ აქ, მრავალი ომი რომ გადაიხადეს, სულ ბოლოს კი, აგერ ხუთიოდე წლის წინ, ყველაზე დიდ ომში წავიდნენ. ვინა სთქვა, ვეღარ მობრუნდნენო! ძველია სამყარო, და თან ნორჩია, ქორფაა ამ ბროწეულის ყვავილებივით და ამ ბიჭებივით; და უცებ ალტაცების ყიჟინა აღმოხდება გზად მიმავალ მგზავრს:

„— ეჰეი, ჭინკა-ბიჭებო, ეჰეი!“

ამ მოფერების წამოძახილში, ამ ალერსში ისეთი ტრფიალია ცხოვრებისადმი, სიცოცხლისადმი, სამშობლოსადმი, რომ არ შეიძლება მან მკითხველის სული ძლიერად არ შეარხიოს.

ამ პატარა მოთხრობაშივე ძველი ომებიც არის ნახსენები, ამ პატარა ბიჭებში — მათი წინაპრებიც ჩანან. გავა დრო და ეს პატარები თითონ იქცევიან წინაპრებად; და მერე ისევ მოვლენ კვლავ პატარა ბიჭები, როგორც ეს ბროწეულის ყვავილები გაშლილან. ეს არის განჭვრეტა და გამოსახვა ხალხის ცხოვრებისა, მისი წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა. ცალ-ცალკე, გამოყოფილად, დამოუკიდებლად არც ერთი მათგანი არ არსებობს. კაცობრიობის ისტორია — ეს არის მთლიანი პროცესი განვითარებისა და წინსვლითი მოძრაობისა დაბალ ფორმებიდან მაღალი და სრულყოფილი ფორმებისკენ. ეს ზოგადად. ცხადია, ასეა კერძოდ, ქართველი ერის ისტორიაც. ამიტომ მწერალი, რომელიც ცდილობს სისავსით გადმოსცეს თავისი სათქმელი, წარსულს აწმყოსაგან ვეღარასოდეს ვერ მოსწყვეტს, ვერ დააშორებს; სერგო კლდიაშვილი წერს თავისი ხალხის წარსულზეც და აწმყოზეც. და ეს წარსული არასოდეს მისთვის მკვდარი არ არის, ეს არ არის მიცვალებულის რაღაც ნაძალადევად გალვინიზებული მოძრაობანი, არამედ ცოცხალი სიცოცხლის სუნთქვაა. მის მოთხრობაში წარსულიც ცოცხალია და თანამედროვეობაც. უამისოდ წარსული — საინტერესო არ არის; ეს არის ის ახლებური გაგება წარსულისა, რომელიც ქართული საბჭოთა პროზის თავისებურებას წარმოადგენს. ეს ნიშნები ახლებურად გაგებული ისტორიზმისა მკაფიოდ გამოჩნდა სერგო კლდიაშვილის მოთხრობაში „სერაფიტა“.

ომისშემდგომ წლებში ქართველი არქეოლოგები მცხეთაში, გათხრების დროს, წააწყდნენ უძველეს, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი თუ მეორე საუკუნისდროინდელ საფლავს, რომლის სტელაზე წარწერილი იყო:

„მე ვარ სერაფიტი, ასული ფარსმან მეფის მცირე პიტიახშის ზევახისა, ცოლი იოდმანგან— ძლევამოსილის მხედართუფროსისა... ვაი, ვაი შენ, რომელიც იყავ ახალგაზრდა. და იმდენად კარგი და მშვენიერი იყო, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზითა და გარდაიცვალა სიცოცხლის ოცდამეერთე წელსა“.

ყველაზე ადრე, რა თქმა უნდა. პოეტებმა აიტაცეს სერაფიტას სახელი; რატომღაც ყველას გულზე მოხვდა ეს ამბავი, თითქოს პიტიახშის ასული და ძველი საქართველოს სახელოვანი მხედართმთავრის ცოლი, ოცდაერთი წლის სერაფიტა ორი ათასი წლის წინ კი არა, ამ დილით მომკვდარიყოს, როცა თბილისის გაზეთებმა მკითხველს ეს ამბავი აუწყეს. რატომ მოხდა ეს, რატომ შეძრა ადამიანის გული ამ ცნობამ ათასეული წლების მერე? იმიტომ, რომ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ახლა ვინ მოსთვლის რამდენი სერაფიტა დადის და ქვეყნის სილამაზე, ქვეყნის სიცოცხლე, მისი აწმყო და მომავალი მათშია განსახიერებული. სერაფიტა — ახალგაზრდა ქალიშვილია, ახალგაზრდა დედა, დაუშრეტელი წყარო სიცოცხლისა.

ამ თემას მიუძღვნა სერგო კლდიაშვილმა თავისი მოთხრობა „სერაფიტა“, დიდად საყურადღებო და პრინციპული მნიშვნელობის მქონე ნაწარმოები ახალი რეალიზმის ლიტერატურისათვის, ვინაიდან აქ შორეული წარსულის ამბავი იქცა თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ თემად.

რაიონის საავადმყოფოს მთავარ ექიმს ქალაქიდან დიდი ხნის უნახავი მეგობარი ეწვია; ეს შეხვედრა მით უფრო სასიამოვნო გამოდგა, რომ სტუმარი არქეოლოგი იყო. და ძველ მეგობარს მან თავისი პრაქტიკიდან მრავალი რამ უამბო ისეთი, რამაც ექიმი — ცნობისმოყვარე და რომანტიკული ბუნების ადამიანი, გა-

ნცვიფრებაში მოიყვანა. იმ საღამოს ექიმმა ძლივს დაიძინა — ფიქრში სულ სერაფიტას ამბავი უელავდა, ამ ახალგაზრდა ქალის სილამაზე უთვალავ საუკუნეთა მანძილზე შეენახა სამარხში ნაპოვნ სტელას; ოცნების თვალით ექიმი ხედავდა იმ უცხო ქალს და ხიბლავდა მისი გამქრალი, მაგრამ მაინც უჭკნობი მშვენიერება.

შემოგარენი იმ სოფლისა, სადაც ექიმი ცხოვრობს, სავსეა ძველი ციხე-კოშკებისა და ტაძრების ნანგრევებით. ექიმი წინასწარ ოცნებობს, რომ მისმა მეგობარმა არქეოლოგმა, ვინ იცის, აქაც იპოვნოს მეორე სერაფიტა... ერთბაშად გახმიანდება რაიონის სახელი... ამ ფიქრში ჩაეძინება. მეორე დილით, საავადმყოფოში, მას შორეული სოფლიდან ჩამოსული, კუშტი შესახედაობის ვაჟკაცი დაადგება თავს; ერთი წლის წინ დაბრუნებულა ფრონტიდან, სიკვდილის წინაშე არაერთხელ პირისპირ მდგარა, ახლა კი, ეს მამაცი კაცი, ბავშვივით შემკრთალი და თავზარდაცემულია; ცოლი ჰყავს მძიმედ ავად, წუხანდელს აქეთ ცნობაზე აღარ არის და უკანასკნელი იმედი ახლა ეს ექიმია. „ვიღუპები და მიშველე", ევედრება გლეხკაცი ექიმს; ექიმი მიდის შორეული სოფლისაკენ და თან თავისი სტუმარიც მიჰყავს; გზაში ჩაუვლიან დიდებულ ტაძარს, წარსულის ძეგლს, და ექიმიც და არქეოლოგიც გატაცებით საუბრობენ გარდასულ დროზე, აწმყოზე, ერის გენიაზე, ამ ძეგლებში რომ აღბეჭდილა. მაგრამ აი, მოვიდნენ სოფელში, ხუთი დღის წინ ახალგაზრდა ქალს მშობიარობა გადაუტანია, ბებიაობა სოფლელ ექიმბაშ-დედაბერს გაუწევია და, აი, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ქალი უკვე სიკვდილის პირას არის. „ვინ იფიქრებდა ამ უბედურებას, — მოსთქვამს დედამთილი, — აქამდე ფრჩხილი არ ასტკივნია ჩემ რძალს. მაგ რომ გაიცინებდა, სოფლის გაღმა ისმოდა მისი ხმა"... ზის შეწუხებული ექიმი, სინანულით დასცქერის მომაკვდავის უკვე მიმკრთალებულ მშვენიერ სახეს, მის უკვე სხივჩამქრალ დიდრონ თვალებს და უნებურად თითქოს ვიღაც ჩასძახებს სახელს — „სერაფიტა". მეზობელი ოთახიდან ახლადდაბადებულის ტირილი ისმის, მეზობლის დედაკაცი მას ძუძუს აძლევს, აქ კი, ამ ოთახში, სიკვდილი თავის საქმეს ამთავრებს.

ექიმი და არქეოლოგი შინ ბრუნდებიან, ამჯერადაც იმ ძველი ტაძრის გვერდით უნდა გამოიარონ; „რა მაღალი ფიქრი, რა ფაქიზი ოსტატობა! და ისიც ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში!" — აღტაცებით გაიძახის არქეოლოგი. მაგრამ ექიმის თვალში იმ ტაძარს თავისი მუდმივი მომხიბვლელობა დაუკარგავს. „რა ძუნწადაა ქვაზე ხვეულები, მაგრამ რა სინატიფე, რა დახვეწილი გემოვნებაა!", არ ცხრება არქეოლოგი; „რამდენს უბედობს", უკმაყოფილოდ გაიფიქრებს გულამღვრეული ექიმი. „უკვდავია ხალხი", მღელვარედ განაგრძობს არქეოლოგი, ექიმს კი ისევ მომაკვდავი ქალი უდგას თვალწინ, სიკვდილი უდგას თვალწინ, რომელსაც ის ვერ მოერია. ამიტომ უცებ სერაფიტამაც დაკარგა ფასი მის თვალში, ცოცხალი იყო და ახლა აღარ არის, შენს ხელთ იყო მისი სიცოცხლე და ვერ მოუარე, მაშასადამე, დაჰკარგე უფლება აღტაცებისა ამ დიდებული ტაძრით და იმ ქალის მშვენიერებით, რომლის მადლი და შუქი ჰფენია ამ ქვეყანას.

აქაც, ამ მოთხრობაშიც და, საერთოდ, მწერლის მთელ შემოქმედებაში საოცარი ძალით არის შეწონასწორებული პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის გრძნობები. სამშობლო — ეს განყენებული ცნება არ არის, სამშობლო ეს ცოცხალი ქვეყანაა, და მისდამი სიყვარულიც განიზომება იმ მონაწილეობით, რომელსაც ადამიანი მასში ღებულობს. ასეთი აქტიური საწყისი, ცხოვრების დამამკვიდრებელი პათოსი აქვს იმ ჰუმანიზმს, რომელსაც ჩვენი ლიტერატურა ემსახურება.

ასე მუდამ ცოცხალია წარსული სერგო კლდიაშვილის მოთხრობებში; არაერთგზის უბრუნდება მწერალი ჩვენი ხალხის ისტორიას და მუდამ ამ ასპექტში იღებს იგი ამ თემას.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ წარსულიდან მწერალი იღებს იმას, რაც მარადიული იყო მასში და ცოცხალი დარჩა დღემდე. მინიატურულ მოთხრობაში — „როცა ზედაზენიდან გავცქერი" სრულად არის გადმოცემული ასეთი თავისებური განჭვრეტა ისტორიისა. ზედაზენი არც ისე მაღალი მთაა საქართველოს ძველსა და ახალ დედაქალაქებს — მცხეთასა და თბილისს შორის, აქედან მართლაც შეიძლება გადახედო საქართველოს, არა იმდენად სივრცის, რამდენადაც დროის თვალსაზრისით, ე. ი. თვალი გამოადევნო წარსულიდან დღევანდლისაკენ; აქედან ჩანს ის გზა, საიდანაც საქართველოს დედაქალაქს პომპეუსის ლეგიონები მოაწყდნენ, მაგრამ მათი სახსენებელიც აღარსად დარჩენილა, ქარსა და წვიმას წაურეცხავს მათი ნაკვალევი... ასევე მტვრად ქცეულან მათს შემდეგ მოსული დამპყრობელნი — არაბები თუ ირანელები, სელჯუკები თუ მონღოლები... ხოლო ათჯერ თუ მეტჯერ დამწვარი სვეტიცხოველი ისევ დგას, ისევ ჰყვავიან ქართლის ბაღები, მიწის წიაღში უმშვენიერეს სერაფიტებს სძინავთ, ხოლო ცოცხალი სერაფიტები დადიან გახარებულ მიწაზე და ახალი ხურონი ფოლადის ქალაქებს აშენებენ. „ზედაზენის ამ სიმაღლიდან სული უკვდავებას ეზიარება და თვალი მარადისობას გასცქერის".

აქ შემთხვევით როდია ერთ პეიზაჟში ჩაქსოვილი, ერთი მხრით, სვეტიცხოველი და, მეორე მხრით, ფოლადის ქალაქები, რომელთაც ახალი ხურონი, ახალი საქართველოს ოსტატები აშენებენ. ეს გადაძახება ეპოქათა შორის —ძალზე დამახასიათებელი თავისებურებაა სერგო კლდიაშვილის შემოქმედებისათვის, და ამის

გარეშე მის მსოფლშეგრძნებაზე სრული წარმოდგენა არ გვექნება.

„დირბელი მოყმის ამბავს“ მე-14 საუკუნის საქართველოში გადავაყავართ; თვით უკიდურესად ფრთხილი და პედანტი ისტორიკოსიც ვერ იტყვის, რომ მწერალი აქ არ იცავდეს ეპოქის კოლორიტს, არ გადმოგვცემს იმ დროის ყოფისა თუ პოლიტიკური ვითარების ატმოსფეროს, მაგრამ, იმავე დროს, ეს ხომ ჰიმნია ადამიანის სულის სილამაზისადმი. მთელი გატაცებით უყვარდათ ერთმანეთი ახალგაზრდა ქალვაჟს — რუსუდანსა და გოჩას, და ასეთივე სიყვარული გაიღვიძებს მათს შთამომავალთა გულში ათასი წლის შემდეგაც; შინაყმა გოჩა „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერია და როგორც სიყვარულის ალსარებას, როგორც სატრფიალო წერილს, ისე უგზავნის ცეცხლისაგან გადარჩენილ „ვეფხისტყაოსანს“ ბატონის ულამაზეს ასულს — რუსუდანს. ყველაფერს, რითაც სულდგმულობს ადამიანი — სიყვარული, გმირობა, მეგობრობა — რაც ამაღლებს მის სულს და გონებას — შეყვარებული ქალი ამ წიგნში ჰპოვებდა. „ლექსის თვითეული სიტყვა ცოცხლობდა ადამიანისადმი და ქვეყნისადამი სიყვარულით. ყოველი სიტყვა თვით იყო მზე, მიწის ყვავილობა, კვირტების საიდუმლო გაცოცხლება, ნაყოფის ტკბილი წვენი. ეს წიგნი ადამიანმა თითქოს თან მოიტანა გაჩენის პირველი დღიდან და მის მარად თანამგზავრად უნდა დარჩენილიყო!...“

ჩვენ მოვიყვანეთ ეს ამონაწერი კიდევ იმიტომ, რომ აქ დასახელებულია სერგო კლდიაშვილის შემოქმედების ყველა ძირითადი მოტივი, ყველა თემა, მისი ყველა მისწრაფება, მისი ესთეტიკური და მორალური მრწამსი, ყველაფერი, რითაც სულდგმულობს ადამიანი და რაც ამაღლებს მის სულს: აი რაზე წერს მწერალი, რა გრძნობას აღვივებს ის მკითხველში, რა ინტერესებს მას წარსულშიც და აწმყოშიც. მწერალი კარგად იცნობს ხალხის სულს, შეჰხარის და შესტრფის მის რაინდობას, მის კეთილშობილურ იდეალებს, მის სილამაზეს.

სერგო კლდიაშვილის, როგორც მწერლის, კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ მის ნაწარმოებებში ადამიანის სულის რომანტიკული მღელვარების გადმოცემა ესოდენ ოსტატურად არის შერწყმული მძაფრ სატირულ ფერებთან. ლიტერატურის ისტორიისათვის ეს უცხო არ არის; გავიხსენოთ, რომ არც ისე იშვიათად, ყველაზე დიდი ლირიკოსები, იმავე დროს, უმძაფრესი სატირის გრძნობით იყვნენ აღჭურვილნი. მკაფიო სატირული სახეა კლდიაშვილის პერსონაჟი — კოლეგიის ასესორი გერმან შტუბე, ჩინისა და წარჩინების საშოვნელად კავკასიაში ჩამოხეტებული ავანტურისტი, რომელიც ოცნებობს პეტერბურგის სამეფო კარზე აღზევებასა და დაწინაურებაზე და უკვე ზმანებით წარმოიდგენს როგორ მიიპატიჟებს მას იმპერატორი ფინჯან ყავაზე და მადლობას მიუძღვნის ჯანყისა და კრამოლას სულისკვეთების აღმოფხვრისათვის. შტუბე — ნამდვილი არარაობაა, გამოფიტული სულის ხეპრე არსება. მოთხრობას მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულში გადავყავართ, შესანიშნავად არის აქ დახატული იმ დროის ქუთაისი, მოხელეთა წრე, მაიორ ბელოუსოვის მეუღლე ევგენევიევა, მთელი ხროვა გუბერნატორის ირგვლივ თავმოყრილი მოხელეებისა, რომელთაც სხვა არაფერი აინტერესებთ, გარდა იმისა, რომ თითო საფეხურით წაიწიონ წინ იერარქიულ კიბეზე. სასაცილოა თვითონ მთავარი გმირი — ასესორი შტუბე. მაგრამ ამ მოთხრობას მარტო ისტორიის შემეცნების მნიშვნელობა როდი აქვს, არა, მას უფრო ღრმა და ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება; აქ ავტორი მწარე, გამანადგურებელი სატირით დასცინის მათ, ვინც ადამიანთა უთანასწორობას არა სოციალურ, არამედ ბიოლოგიურ კატეგორიად მიიჩნევს. მწერალი ვრცლად მოგვითხრობს ასესორ შტუბეს პროექტზე, რომლის მიხედვით ყოველ ახალშობილს, დაბადებისთანავე, სპეციალურად შერჩეულ ყალიბში მოუთავსებენ თავს, რათა მის ტვინში არ შეაღწიოს არავითარმა აზრმა, არავითარმა იდეამ, გარდა იმპერატორის ერთგულებისა; ამისათვის შტუბეს სპეციალური ყალიბები შეუქმნია.

ეს შერწყმა და შეთავსება გულის უდიდესი სითბოსი სატირის მწარე სამსალასთან, ეს შეთავსება ლირიზმისა მძაფრ ირონიასა და დაცინვასთან, როგორც უკვე ვთქვით, ლიტერატურის ისტორიაში ახალი არ არის. ყველა ერის ლიტერატურაში მას ჰყავდა თავისი დიდი ოსტატები, ასევე ითქმის ქართულ ლიტერატურაზეც. აქ დავასახელებთ თუნდაც მარტო აკაკი წერეთელს — ის იყო მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის პირველი წლების ყველაზე უნაზესი ლირიკოსი და, იმავე დროს, ყველაზე მძაფრი სატირიკოსი, ყველაზე დიდი მამხილებელი.

როგორც ჟანრის, ისე იდეური ჩანაფიქრის მიხედვით მეტად დამახასიათებელია „დევის კუნძული“. შორეულ ქვეყანაში, რომელსაც დევის კუნძული ეწოდება და რომელიც ოთხივე მხრიდან ოკეანეთია შემოსალტული, ცხოვრობს ერთი ბეჩავი კაცი, ღარიბთა სკოლის მასწავლებელი პიტერ პრაისი — მუდამ სევდიანი და მწუხარე, სახე მუდამ ჩამოსტირის; სიტყვის სათქმელად რომ პირს გააღებს, ჩვეულებრივი ხმის ნაცვლად ოხვრა აღმოხდება. რა აწუხებს პიტერს, რამ დაუკარგა მოსვენება? მისი უბედურების მიზეზი ის არის, რომ მგრძნობიარე გული აქვს, ადამიანი უყვარს — ირგვლივ კი ადამიანის ჩაგვრის მეტს არაფერს ხედავს; ის მზად არის ყველა უბედურის ტანჯვა თავის თავზე მიიღოს, მას მასხარად იგდებენ, ქვეყნის

პირისუფალს ეძახიან, დასცინიან, ბოლოს, იქამდე მიდის საქმე, რომ ბოროტ ცილს დასწამებენ და ყველა ზურგს შეაქცევს, მისი სიკეთე არა სჯერათ, არა სწამთ. ამიტომ იძულებულია წავიდეს თავისი მშობლიური ქალაქიდან. და, აი, უცებ ისევ ბრუნდება. პიტერი ახლა დიდი კაცია, ქალაქის მთავარ მოედანს სახელს უცვლიან, მის სახელს არქმევენ. რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი რადიკალური გარდატეხა? ქალაქგარეთ, ხის ძირში წამოწოლილს, ძილის დროს სატანამ მას ოპერაცია გაუკეთა და გული ამოაცალა; ამის შემდეგ ის ქვასავით უგრძნობელი გახდა, მან აღარ იცოდა, რა იყო სინდისი. ამიერიდან პრაისი ლაპარაკობს „წითელ აჩრდილებზე“, ომის აუცილებლობაზე, ატომურ ბომბებზე: მწერალმა აქ შესანიშნავად დახატა ის მორალური დაცემა და დაქვეითება, მხეცური ინსტინქტების ის მოზღვავება, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია იმპერიალიზმის სამყაროსათვის.

ამავე თვალსაზრისით, ბევრი საინტერესო მინიშნებაა „ლაბუნდარელის თავგადასავალშიც“, „გამოუცნობ საიდუმლოშიც“... აქ ყველგან მწერალი იბრძვის ჰუმანიზმის, ადამიანის სიყვარულის დამკვიდრებისათვის მთელ მსოფლიოში; მაგრამ რა მიზნით ირჩევს ამ ხერხს დიდი იდეური მიზანსწრაფვის გადმოსაცემად? საქმე ისაა, რომ გროტესკი უკეთ წამოსწევს წინ და პუბლიცისტურად ამახვილებს იმ მხარეს, იმ ბნელ ჩრდილებს, რაც ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ ხელს უშლის ადამიანს; ამაშია ამ მოთხრობების წარმატების საიდუმლოც.

სერგო კლდიაშვილის სვანურ მოთხრობებს შორეულ წარსულში გადავყავართ. აქ, პირველ რიგში, აღსანიშნავია „ლაშხეთის ბატონი“. ჯერ თოფის წამლის ეპოქაც არ დამდგარა. ქართველი მთიელები — სვანები ჯერ ისევ ისრებითა და შუბებით არიან შეიარაღებული. ჯერ შუა საუკუნეებია, მრისხანე და შემზარავი; და ყველაზე შემზარავია ლაშხეთის ბატონი დევლეთ ყიფიანი. ის თითქმის ხორცშესხმულ ბოროტებად ქცეულა, ისე გაუტარებია თავისი სიცოცხლე მუდამ წარბშეკრულ დევლეთს, რომ ჯერ არ გაუცინია. პირვანდელი პატრიარქალობის ბეჭედი აზის აქ ყველაფერს. პირველი ცოლისაგან მესამე გოგონა რომ ეყოლა ბატონს — ბავშვი, მისივე ბრძანებით დაახრჩეს — მას ხომ მეომრები სჭირდება და არა ქალიშვილები, ხოლო ცოლი უკანვე მიჰგვარეს მშობლებს; ბატონის მეორე ცოლი, რომელსაც სამ წელს შვილი არ ეყოლა, კვდება უცნაურ ვითარებაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც დევლეთის მხეცური ინსტინქტის მსხვერპლია.

მაგრამ ხალხის გული სუფთაა და კეთილი, მას არ შეუძლია შეურიგდეს მხეცს, რომელიც ადამიანის ნიღაბს ატარებს. და, აი, ყმები აუჯანყდებიან მრისხანე ბატონს, მთებში მირბის დევლეთი, უკანასკნელ ციხეს შეაფარებს თავს. ხალხი ირგვლივ ეხვევა ამ ციხეს. გმირობი და მრისხანე მებატონე სიკვდილსაც უცნაურს ირჩევს — ციხე-კოშკიდან დაბლა გადმოხტება და მაღლა აწვდილ შუბებზე წამოეგება.

მწერალმა იცის ძლიერი ვნებების ძალზე მართლად და უბრალოდ გადმოცემა, ამის გამო მისი სიტყვა თუ სახე კიდევ უფრო დამაჯერებელია. ეს ითქმის კერძოდ მოთხრობაზე „უშგული“, სადაც ტრაგიზმი უკიდურეს მწვერვალს აღწევს. მოთხრობა საინტერესოა როგორც ჩანაფიქრით, ისე მხატვრული გადაწყვეტითაც. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ხალხი — ეს ერთი მთლიანი არსებაა, მთლიანი ორგანიზმია; ასეთად გამოხატავს მას ჩვენი მწერლობა, მაგრამ აქ სერგო კლდიაშვილი ძველ თქმულებებსა და ლეგენდებში თუ წააწყდა პირდაპირ ბედნიერად მიგნებულ ფაბულას, სადაც არა მარტო გადატანითი, არამედ კინაღამ პირდაპირი მნიშვნელობით მთელი ხალხი ერთ კაცად იქცევა, ერთი სული ჩაედგმის. თემა აქ ძველია — დაჩაგრულთა ბრძოლა მჩაგვრელის წინააღმდეგ. სოფელ ბეჩოს მფლობელი ფუთა დაჩქელანი სოფელ უშგულის მკვიდრთა თავისუფლებას ემუქრება, მან ბევრჯერ აიკლო ეს სოფელი, მრავალი დედა აატირა აქ, ბევრს ჩააცვა შავები, და, აი, უშგულელები შურისძიებისათვის ემზადებიან. საოცარ სიკვდილს უმზადებენ ისინი მტარვალს — მის მოსაკლავ ტყვიას ისე ჩამოასხამენ, თითო მცირე ჩამონათალი თავისი ტყვიიდან ყველა უშგულელს მოაქვს, შეადუღებენ ერთად ამ ნამცეცებს, ჩასდებენ თოფში და სასხლეტს ისეთ გრძელ ბაწარს მოაბამენ, რომელსაც მთელი თემის ხალხმა შეიძლება მოჰკიდოს ხელი, რათა ერთად გამოსწიონ .ასეც იქცევიან — ასე სრულდება ღვთაებრივი ნება და განაჩენი მთელი ხალხისა. ეს არის საოცარი მისჯა და მიზღვევა სამაგიეროსი, ასეთი ლეგენდა მართლაც არის დარჩენილი საქართველოს მთიანეთში, და მწერალმა იგი მარჯვედ გამოიყენა საუცხოო რეალისტური ნოველის შესაქმნელად.

მოთხრობების მთელ ამ ციკლში ჩანს ძლიერი ხალხური ხასიათები, კლდისაგან გამოძერწილი რომ გეგონება; აქ ჩანს ხალხის თავისუფლებისმოყვარეობა, მისი სულის მთელი სირთულე და სილამაზე. მწერალი საქართველოს მთიანეთში ეგზოტიკური ფერების ძებნამ როდი წაიყვანა; არა, აქ ცოცხალი სინამდვილეა გადმოშლილი, დანახული რეალისტის თვალით, ძალიან ფხიზელი რეალისტისა, რომელიც არასოდეს, თვით უმძაფრესი ეპიზოდის გადმოცემის დროს, ხმას არ აუმაღლებს, ფერს არ ჩაამუქებს; დაე, სურათმა, სინამდვილემ თითონ იმეტყველოს. ბევრ ნაწარმოებში დასცინა მწერალმა იმ გაპრანჭულ სტილს, იმ ყალბ პათოსს, რომელსაც ბევრი რომანტიკული სტილის ნიშნად მიიჩნევს. სერგო კლდიაშვილი, ამავე დროს, დიდი რომანტიკოსია, მაგრამ ეს რომა-

ნტიკული სულის ლტოლვაც მის მოთხრობაში მუდამ ადამიანურია, შინაგანად ძლიერი და არა გარეგნული ფერადოვნებით შემკული.

დავუბრუნდეთ ისევ სვანური მოთხრობების ციკლს. თავისი იდეური ჩანაფიქრით აქ გამოირჩევა „ხალდე“, სადაც ავტორს უკვე მე-19 საუკუნეში გადმოვყავართ. აქ ერთი — მეორეს უპირისპირდებიან ცივილიზებული პოდპორუჩიკი და „ველური მთიელი“, მაგრამ სინამდვილეში, როგორც ამას კარგად ამჩნევს გამოცდილი და ჭკვიანი რუსი მაიორი შაბუროვი, ველურივით იქცევა სწორედ პოდპორუჩიკი, ხოლო მთიელი თამბი რატიანი — რაინდული კეთილშობილების განსახიერებაა. აქ არ არის დაპირისპირება ცივილიზაციისა და პირველყოფილი პატრიარქალობისა; აქ ისევ მწერლის ძველი თემაა, ძველი კონფლიქტია ხალხსა და მის მჩაგვრელებს შორის, ნათელსა და ბნელს შორის, კეთილსა და ბოროტს შორის.

ზემოთ ჩვენ უკვე ვახსენეთ მოთხრობა „ასეხორ შტუბეს ვნებანი“. მაგრამ არაფერი გვითქვამს მის მთავარ გმირ ქალზე — გვაშაყანზე. იგი მთების ასულია და საინტერესო ხალხური ხასიათი. მოქმედება აქაც მე-19 საუკუნეში იშლება. მოთხრობაში ერთიმეორეს უპირისპირდებიან ბუნების ეს ალალი შვილი, თავისუფლების მოტრფიალე ქალიშვილი და, მეორე მხრივ, მთელი ეს ხროვა, რომელიც გუბერნატორის სასახლეში ტრიალებს; მათ შორის ნამდვილი უფსკრულია. აქაც ისევ ხალხის ზნეობრივი სიფაქიზე უპირისპირდება მაღალი ფენების, ბატონთა სამყაროს გადაგვარებასა და ზნეობრივ გახრწნილებას.

ამ ალალ-მართალ ადამიანებს, ბუნების ლალ შვილებს, ამ მხედრებს, ამ რაინდებს ჰყავთ თავიანთი ფილოსოფოსიც, თავიანთი მხატვარიც. ამ მხრივ ძლიერ საინტერესოა მოთხრობა „წარმართი“. აქაც ადამიანის სულის პირვანდელი, ხელშეუხებელი სიწრფელე და სილამაზეა გადმოცემული.

მწერალმა სვანეთის ისტორიას თვალი გამოადევნა შორეული წარსულიდან დღევანდელ დღემდე. „უფსკრულში“ უკვე სვანი პარტიზანები ჩანან, ხალხის თავისუფლებისათვის რომ იბრძვიან სამოქალაქო ომის წლებში. ამ მოთხრობაში უკვე იმ დიდი გარიჟრაჟის დასაწყისი ჩანს, რომელმაც სამუდამოდ მოუღო ბოლო მჩაგვრელთა თარეშს და ხალხის სიმართლეს ისტორიის დიდი გზა გაუხსნა.

ნამდვილი რეალიზმი არ არსებობს წმინდა და ნათელი ოცნების გარეშე. ამიტომ არის, რომ სერგო კლდიაშვილის რომანებისა და მოთხრობების პერსონაჟთა შორის ესოდენ ხშირად გვხვდებიან მეოცნებე ადამიანები, რომლებიც ნატრობენ ისე არ წავიდნენ ამ წუთისოფლიდან, რომ ერთხელ მაინც არ განიცადონ რაღაც ლამაზი რამ, რასაც ხშირად კაცი სახელსაც ვერ დაარქმევს და მხოლოდ ოცნებით მოინატრებს. კლდიაშვილის გმირები უდიდესი მეოცნებენი და უდიდესი ჰუმანისტები არიან — მის მოთხრობებში ჰუმანიზმის პრობლემა ფილოსოფიურ ასპექტშია გააზრებული — ამ მხრივ, უაღრესად საინტერესო და დამახასიათებელია მოთხრობა „შემოდგომის წვიმა“. აქ წარსულის გახსენებაა, ავტორს ეს სურათი ბავშვობის წლებში უნახავს და სამუდამოდ ჩარჩენია მეხსიერებაში. შემოდგომის დღეა, ქარიანი, წვიმიანი; ჯოჯოხეთური ამინდია, ხალხში რომ იტყვიან — ძაღლს შეიცოდებს კაცი და ასეთ ამინდში გარეთ არ გააგდებს. მოდის ამ ქარში, გაუთავებელ გზაზე მოხუცი მათხოვარი. „მისთვის ეს ქვეყანა, ცხადია, მხოლოდ ერთი დაუსრულებელი სიცარიელეში გაჭიმული გზა იყო და მეტი არაფერი“. არც ქვეყანა არსებობდა მისთვის, არც ის ქვეყნისთვის. მოხუცი მიჩვეული იყო ჭირს, უბედურებას, ვაივაგლახს ის ბეჩავი კაცი იყო. უცებ შეიცოდა იგი მოხუცმა დიდედამ, შეიფარა, შეიყვანა თავის სახლში, გაათბო, მოეფერა, საჭმელი მოუტანა, ორი ღამე ამ თავსხმაში თბილ კერასთან გაათევინა, მაგრამ სამუდამოდ ხომ ვერ ჩაისახლებდა შინ? წავიდა მათხოვარი და მადლობაც არ უთქვამს, პირიქით, საყვედურიც უთხრა მოხუც დეიდას: „შენი კარგა ყოფნით, ნეტავი მართლაც არ გაგეთბეო“, უსაყვედურა — რათ გამახსენე, რომ ქვეყანაზე სითბო არსებობს, მე ხომ გადავიწყებული მქონდაო. აქ ადამიანისადმი დიდი და უსაზღვრო სიყვარულია. და ნატვრაა იმისა ,რომ კაცს, ადამიანს, არ აკლდეს კერის სითბო, რომ დაითრგუნოს ყველაფერი, რაც ადამიანს აწუხებს და ავიწროებს ამ ქვეყნად. მოთხრობის აზრი ზოგადდება და უფრო შორს მიდის — ეს გზა, წვიმიანი, ქარიშხლიანი — საერთოდ ცხოვრების, წუთისოფლის გზაა და ის მოხუციც საერთოდ ადამიანია; მაშ რის თქმა უნდოდა მწერალს? იმისა, რომ ადამიანები ძმები და დები არიან — გაუწოდე ხელი, ვინც უნდა იყოს — მოხუცი, ხახედალარული მათხოვარი, თუ ულამაზესი ქალიშვილი. ეს წუთისოფელი არ არის ვარდებით მოფენილი გზა, ის ძნელია და ეკლიანი და ამიტომ ადამიანებს ურთმანეთოდ გაძლება არ შეუძლიათ.

აი, მეორე მოთხრობა — „შორეული ციალი“. სამოქალაქო ომის წლებში, ჩრდილო კავკასიის ველებზე, იმ ვითარებაში, როცა ქალაქები და სადგურები ხელიდან ხელში გადადიან, ასეთ ძნელ ვითარებაში პეტროგრადიდან სამშობლოსაკენ ორი სტუდენტი მოემგზავრება. მატარებელი მიჰქრის, როგორც რაღაც გადარეული რამ არსება, გზადაკარგული, და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მას მემანქანეც არა ჰყავს და სადღაც უსაზღვრო და უცნობ სივრცეში მიჰქრის. სტუდენტთაგან ერთს პარტახტიანი ტიფი სჭირს, სიკვდილის აგონიაშია; და ამ ჯოჯოხეთში, როგორც მზის შუქმა გამო-

არღვიოს მძიმე ღრუბლები, ისე გამოჩნდება ახალგაზრდა ქალიშვილი, ლურჯად გამოანათებენ მისი თვალები. იგი ტომით ყარაიმია, უმწეო ქალიშვილი, რომელიც შეეკედლება სტუდენტებს, რათა თავი დაიხსნას თეთრების მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მოხეტიალე ყაჩაღებისგან. უმწეოა კირა, მაგრამ, იმავე დროს, ძლიერი — ეს სიკეთის, სიცოცხლის, სილამაზის უკვდავი შუქია, უცებ რომ გაკრთება და დაიკარგება სამუდამოდ და თან წაიღებს მოგონებას ყველაზე საინტერესო წუთებზე. ჰუმანიზმს აქაც ღრმა ფილოსოფიური ფესვები აქვს.

ავტორი წერს: „ახლა კირა ცოცხლობს მხოლოდ ჩემს მოგონებაში, სრულიად უცვლელი, მარად ახალგაზრდად დარჩენილი, ვგრძნობ მის თბილ სუნთქვას ჩემს სახეზე და ოცნებით ვხედავ მის თვალებს, ლურჯად, მინდორზე გაშლილ ღიღილოდ რომ შემომცქერიან" — ეს არის მოთხრობის ბოლო სტრიქონები. ეს ძალზე რეალისტური მოთხრობაა, რომელსაც ასეთი რომანტიკული ფინალი აქვს, ცხოვრებისეული და თანაც რომანტიკული; აქ არის მარადქალური საწყისის, იმ დიდი სინაზისა და სიყვარულის უცვლელი ალსარება, რომელიც გასდევს ადამიანის სიცოცხლეს მთელ მანძილზე და არასოდეს მოკვდება, ვინაიდან ის მარადიული მშვენებაა ადამიანის სულისა.

ეს სამოქალაქო ომის წლებია. ნახეთ ახლა მშვიდობიანი დღეები, აღწერილი „მინდვრის ყვავილში". აქ მთავარი გმირი ტელეგრაფისტია, სანდრო მინდიაშვილი; ეს არის ზოგადი სახე ადამიანისა, რომელიც მონატრებულია სიცოცხლეს, ხმაურს, სიყვარულს, სილამაზეს. აქ კი, სადგურ არგვეთაზე საშინელი მოწყენილობაა, გულსაკლავად ზუზუნებს ქარი მავთულებში; აქ მარტო ერთი სიხარულია, მინდვრის ულამაზესი ყვავილი ჟუჟუნა, ფერდობებში რომ იზრდება. და, აი, სანდრო მეზობელი სადგურის უფროსს — აგრაფინას, სახელს გამოუცვლის, ჟუჟუნას ეძახის.

და მაინც მოსაწყენია ცხოვრება, ტელეგრაფისტი აქედან გაქცევაზე ოცნებობს.

ერთხელ ტელეგრაფისტს სტუმრები ეწვივნენ. მის ღარიბულ ვაგონში ღამეს გაათევენ ინჟინრები — ერთი კაცი და მეორე ახალგაზრდა ქალი — ელენე. ელსადგურის მშენებლობა უნდა დაიწყონ და ამ დღიდან ეს ახალგაზრდა ქალი ნათელი შუქივით ჩაიჭრება ჭაბუკი ტელეგრაფისტის გულში, ნათდება მთელი ქვეყანა, ახლა საოცრად ლამაზია არგვეთა, ივსება ხმაურით, სიცოცხლით. ნუთუ ეს კაცი აპირებდა აქედან გაქცევას? არავითარ შემთხვევაში; აქ არის შეგრძნობა იმ დიდი მადლისა, რომელიც სიკეთეს და სილამაზეს შეაქვთ ადამიანის სულში და აყვარებენ მას ცხოვრებას, აძლევენ ძალას, სულის სიმხნევეს, ფრთას ასხამენ. სადღაც, მიკარგულში მცხოვრები ტელეგრაფისტი უცებ ექცევა მშფოთვარე ცხოვრების შუაგულში; ფერდობში მინდვრის ყვავილი, რომ მოსჩანდა, გაიფურჩქნა და ავსებს აზრით ცხოვრებას, დიდი ცხოვრების მონაწილედ ხდის მანამდე მარტოდ მყოფ ადამიანს. რა არის მისთვის ეს ახალგაზრდა ქალიშვილი? არც დაა, არც სატრფო, არც ახლობელი. მაგრამ, იმავე დროს, მისი სულის გამნათებელია, აზრის მიმცემი ცხოვრებისათვის; აქ არის ცხოვრების სილამაზე, გადმოცემული მთელი თავისი განუმეორებელი ძალითა და მომხიბვლელობით.

ადამიანებს სჭირდებათ დიდი სითბო გულისა, უამისოდ ისინი ვერც ბნელთან ბრძოლაში გაიმარჯვებენ და ვერც ქვეყანას ააშენებენ. ეს ლეიტმოტივი გადადის მოთხრობიდან მოთხრობაში.

სერგო კლდიაშვილი, თვით იმ მოთხრობებშიც, რომლებსაც ლირიკული პათოსი აქვთ, მუდამ მებრძოლის პოზიციას იჭერს, ეს არის მწერალი, რომელსაც ერთი დიდი თემა აქვს — ბნელისა და ნათელის ბრძოლა; არ შეიძლება შეურიგდე ბნელს, ჩამორჩენილს, იმას, რაც დაგვიტოვა კაპიტალიზმმა, რომელმაც საშინლად დაამახინჯა ადამიანის სული ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის ბინძური მორალით („უჩინარა", „მორევი" და სხვ.).

ჭეშმარიტად, მთელი ეს მოთხრობები — დაუცხრომელი ფიქრია, ზრუნვაა ადამიანის სულის ამაღლებისა და გაკეთილშობილებისათვის, მისი განწმენდისათვის იმ ჭუჭყიდან, რაც საუკუნეების მანძილზე დაილექა მის სულში.

უაღრესად ფართო გამოხმაურება ჰპოვა მწერლის შემოქმედებაში სამამულო ომმა. ამ თემას მან მიუძღვნა მოთხრობები „დაბრუნება", „ბნელ ღამეში", „სადღეგრძელო" და სხვ. აქ კვლავ მთელი ძალით გაიბრწყინა მისი კეთილი გულის შუქმა. დაუვიწყარია, კერძოდ, ომის დამთავრების სურათი, აღწერილი მოთხრობაში „სადღეგრძელო". თითქოს ხელშესახებად გრძნობ იმ უდიდეს მყუდროებას, სოფლის ორღობეში რომ ჩამოდგა, გრძნობ მშვიდობის დიდ მადლსა და სიკეთეს, მთელ სიდიადეს იმ გამარჯვებისა, შუა საუკუნეების ბნელეთთან ბრძოლაში რომ მოიპოვა ჩვენმა ხალხმა და მისმა სახელოვანმა არმიამ.

სერგო კლდიაშვილი ავტორია ორი რომანისა — „მყუდრო სავანე" და „ფერფლი", რომლებშიც ასახავა ჰპოვა იმ დიდმა პროცესებმა, იმ სოციალ-პოლიტიკურმა ძვრებმა, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე.

პირველ მათგანს, „მყუდრო სავანეს" შეიძლება ეწოდოს მოთხრობა იმაზე, თუ როგორ დაიბადა ახალი საბჭოთა საქართველო. ეს იყო დიდი გარდატეხა, და არ დარჩენილა არც ერთი სოციალური ფენა, რომლის ბედზეც მას თავისი ზეგავლენა არ მოეხდინა. ავტორს თა-

ვის გმირთა მოქმედების ასპარეზად — პროვინციული ქალაქი პატარხევი აულია, მაგრამ ამ პატარა ქალაქში დიდი სოციალური და ფსიქოლოგიური ვნებები ბობოქრობენ. რა ბევრისმეტყველია რომანის მთავარი გმირი ქალის — ირინე თუხარელის ბედი; ცხრამეტი წლის ქალიშვილს ისევ ძველი სამყაროს ფეტიშისა და სალოცველი კერპის — ოქროს თაყვანისმცემლებმა — მექარხნე ხიმონმა და ქარაფშუტა ქაბუკმა გივიმ აურიეს ცხოვრების გზა; მაგრამ როგორ ნელ-ნელა ნათდება ჰორიზონტი, ნათელი ხდება, რომ ძველ ფეტიშს თავისი ძალა დაუკარგავს, რომ წასულა დრო, როცა სიხარბეს, ანგარებას, მოხვეჭის დაუძლეველ წყურვილს შეეძლოთ თავიანთ ნებაზე აებრუნებინათ ცხოვრების ჩარხი; ირგვლივ ახლის ნერგები იწყებენ ზრდას, და ჩვენ ვხედავთ, როგორ მყარდება ადამიანთა შორის კეთილი, ადამიანური ურთიერთობა, ვხედავთ სოციალისტური საქართველოს პირველ მშენებლებს, მათს ახლად ჩაყრილ ვენახებს, პირველ ქარხნებს პირველ ენთუზიასტ აგრონომებსა და ხუროთმოძღვრებს. ირინეს დრამატულ ბედშიც ჩნდება ხსნის გზა, ის ხალხის წიაღს უნდა დაუბრუნდეს, როგორც მისი ნაცნობები, ნათესავები, მეგობრები, ქართველი ინტელიგენცია, რომელიც თავიდანვე მხარში ამოუდგა თავის ხალხს.

მეორე რომანი — „ფერფლი“ ქრონოლოგიურად უფრო ვრცელ ეპოქას მოიცავს; ეს არის წიგნი ხალხის ბედზე, დაწყებული პირველი მსოფლიო ომის დღეებით და დამთავრებული იმ გარდატეხებით, რომელიც საკოლმეურნეო წყობილებამ გამოიწვია ქართული სოფლის სინამდვილეში. საერთოდ, „ფერფლი“ ქართული საბჭოთა კლასიკის ყველაზე საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს ეკუთვნის და ის დიდი ხანია აღიარებულია, როგორც მართალი ასახვა და გადმოცემა იმისა, რაც ქართველმა გლეხკაცმა განიცადა განვლილი ათეული წლების მანძილზე. აქ ძნელია ამ რომანის დაწვრილებით განხილვა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ავტორი არ წასულა იოლი გზით, მან გვიჩვენა ახლის გამარჯვება, გლეხკაცის სულში ძველი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის დაძლევა, მაგრამ ისიც დახატა, თუ რაოდენ რთული იყო ეს გზა. პროცესები ,ამბები, მთელი ვითარება, რომელიც აწერილია ამ რომანში, დღეს უკვე ისტორიას წარმოადგენს, უკვე წარსულს ეკუთვნის; ეს გარდატეხა სოფლის ცხოვრებაში, ცხადია, მწერალს იმავე ისტორიულ პერსპექტივაში, იმავე ასპექტში აქვს მოცემული, როგორც ეს, საერთოდ, მთელ საბჭოთა ლიტერატურაში აისახა, მაგრამ აქ თავისებურია კოლორიტი ქართული სოფლისა და მწერალიც მთელი სიზუსტით გადმოსცემს მას.

1969 წლის შემოდგომაზე სერგო კლდიაშვილი ქობულეთის სანატორიუმში ისვენებდა. 18 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელიც მან იმ ხანებში ქობულეთიდან გამომიგზავნა, შემდეგი იერემიასებური გოდებით თავდებოდა:

„დღეს ჩემი დაბადების დღეა. სამოცდათექვსმეტი წლისა გავხდი. მიტირეთ, მიტირეთ! წავიდა მთელი ცხოვრება!“

წავიდაო?! თურმე ჯერ სადა ხარ, 76 რა სათქმელია, აგერ 90-ს გადააბიჯა ბერიკაცმა, მეათე ათწლეულში გადავიდა და ჯერ ისევ მხნედ არის! ბოლო წლებში მაგრად დააკლდა თვალის სინათლე, მაგრამ ამან როდი შეაკრთო; მოინდომა და, სტოპერებსა და სტაიერებს „მეორე სუნთქვა“ რომ აქვთ, ისე ჩართო სერგომაც „მეორე ხედვა“ და აგერ სულ ახლახანს, რუსული ლიტერატურის დეკადის დღეებში, „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან, ვრცელი წერილით, საქართველოს მწერლებიდან პირველი მიესალმა მოსკოველ მეგობრებს!

და ეს მოხდა იმ დღეებში, როცა მან რესპუბლიკურ საავადმყოფოში უაღრესად მძიმე ოპერაცია გადაიტანა. შეწუხებული მივედი სანახავად, ის კი ისევ ძველებურად ხუმრობდა. მან განმიცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს მოხსნას გრიგოლ ხანძთელის რეკორდი, რომელმაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში მარტო იმით როდი ისახელა თავი, რომ დასწერა „სულისა მიერ წმიდისა საწელიწადო იადგარი, რომლის სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“, არამედ იმითაც, რომ ქართველ მწერალთა შორის ყველაზე დიდხანს დარჩა ამ ტიალ წუთისოფელში, ყველაზე მეტ ხანს იცოცხლა.

ვუსურვოთ ჩვენ საყვარელ მწერალს — სერგო კლდიაშვილს—დიდხანს და დიდხანს შერჩენოდეს სულის დიდი ძალა, დაუცხრომელი ტრფიალი სიკეთისა და სილამაზისადმი, ვუსურვოთ მას დღეგრძელობა ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იან პეტერი

# ჩემი ქართველი მეგობარი

როცა მთის კალთები ტაიმენის სხეულივით ნაზი ვარდისფერი გახდება, იცოდე, იმ შორეულ ქვეყანაში ნუში აყვავდა უკვე. ჩემს კალენდარზე ჯერ ისევ მარტია და ცაშიც პირველი გედები დაფრინავენ, არემარე კი ალისფერი ხდება. ეს მე წარმოვიდგინე, ეს ჩემს მოგონებათა სარკეში ნუშის ყვავილების ანაშუქი გახლავთ. მე ახლა ჩემს ძმებზე ვფიქრობ, იმ ქვეყანაში რომ ცხოვრობენ კავკასიის გადაღმა, იმ ქვეყანაში, საქართველო რომ ჰქვია. მე ვფიქრობ ქვეყანაზე, რომელიც ერთობ მჭირდება, რათა გონების თვალით შევიცნო სამყაროს მთლიანობაც და ლატვიასაც ჩავწვდე მტკიცედ, ცხოვრების აზრისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის ინსტინქტით.

საქართველოა ჩემი პირველი, პირველი შორეული, პირველი ეგზოტიკური. ამისი მსგავსი ალარაფერი მიგრძვნია არც მაშინ, კენედის აეროპორტზე რომ დავფრინავდი ნიუ-იორკში, არც პარიზში შარლ დე გოლის აეროდრომზე და არც გერმანიაში, როცა ტრავემიდის ნავსადგურის ჯებირებს მიადგა გემი. რადგან აქ ჩამოთვლილ ქვეყნებსა და ქალაქებში საქართველოს სილამაზით მოხიბლული, არაჩვეულებრიობით გაოცებული, სტუმართმოყვარეობით მოჯადოებული, კულტურის მასშტაბებით დაკმაყოფილებული ჩავედი. და თუ მკითხავენ, რომელი ქვეყანაა შენთვის სილამაზის, არაჩვეულებრიობის, სტუმართმოყვარეობისა და კულტურის მეტროპოლია, ვუპასუხებ, ის ქვეყანა, სადაც ახალგაზრდა მოვხვდი და შევიყვარე, ჯიბეში ორიოდე გროში რომ მქონდა და ერთადერთი უბრალო კოსტუმი... იმ ქვეყანაში მთის კალთები ტაიმენის სხეულივით ჰყვავიან და ქუჩებში სიყვარულის სურნელი ტრიალებს.

ეს იყო სამოციანი წლების ლამაზ დასასრულს, უფრო ზუსტად — 1968 წელს. წარმოიდგინეთ ახალგაზრდა პოეტი, რომლის პირველი წიგნი ჯერ მხოლოდ კორექტურას გადის, პოეტი, რომელსაც რიგაში საკუთარი ოთახიც არ გააჩნია, წიშეზერთან, რომელიღაც მეურნეობის შენობაში ერთი პატარა კუნჭული აქვს დაქირავებული.... და უცებ, იგი აპრილის ერთ მშვენიერ საღამოს თვითმფრინავიდან გადმოდის თურქეთის საზღვრის მახლობლად, თბილისის აეროპორტში, რათა შეასრულოს თავისი პირველი დიდი დავალება, შეკრიბოს მასალა ქართული პოეზიის რჩეულისათვის ლატვიურ ენაზე სათარგმნელად.

თბილისმა თავბრუ დამახვია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გამაბრუა ჰაერმა და მთათა ლურჯმა კონტურებმა, რომელიც ლატვიელთათვის დაუჯერებლად უჩვეულოა. დამათრო ტემპერამენტიანმა საუბარმა ავტობუსში, ქალიშვილების ცერად გამოხედვამ და მუქი წამწამების საიდუმლოებამ... გამაბრუა უჩვეულო „ლიტერატურულმა" თავგადასავალმა სასტუმრო „ივერიაში". მე, რალა თქმა უნდა, არავითარი ნომერი არ მქონდა. და არც იმედი იყო, რომ ვიშოვიდი, მაგრამ, როცა ადმინისტრატორს გულუბრყვილოდ მოვუყევი, რისთვისაც ჩამოვედი თბილისში, ე. ი. უნდა შევადგინო ქართული პოეზიის ბწკარედი ლატვიურ ენაზე გამოსაცემად-მეთქი — ნომერი აღმოჩნდა. არა, მაშინვე არა, რამდენიმე საათის შემდეგ, მაგრამ აღმოჩნდა. და არც ზედმეტი უთხოვიათ, არც ბალზამი დამჭირებია.

იმ საღამოს დიდხანს ვიჯექი მეოცე სართულზე და გავყურებდი მძივებად აწყობილ ნათურებს თბილისის თავზე — მთის კალთებზე, ფერდობებზე, ტერასებზე რომ ეკიდა... ვთვრებოდი.

მეორე დღეს ტელეფონით დავრეკე. ნომერი მეგობრებმა მომცეს, რომლებმაც, ასე თუ ისე, რაღაც მაინც იცოდნენ საქართველოზე.

— ჭილაძე ბრძანდებით?

— დიახ, — მიპასუხა ქართული აქცენტით, რომელიც ჩვენთვის კარგადაა ცნობილი კინოფილმებიდან, ტელევიზიიდან...

ასე დაიწყო წეროს თოვლი. სხვა სიტყვებით

რომ ვთქვათ — ამ სახელწოდების ქართული პოეზიის რჩეული ლატვიურ ენაზე. ოთარს სასტუმროში შევხვდი. ბევრი ვისაუბრეთ. ის ქართულ ლიტერატურაზე მიამბობდა, მე — ლატვიურზე. „წეროს თოვლი“ — ეს გამოჩენილი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის ლექსი გახლავთ. წეროს თოვლი — რა უჩვეულო სახეა ლატვიურ პოეტურ აზროვნებაში და თანაც რა ლატვიურად ჟღერს.

ოთარმა შემიყვანა იმ ქვეყანაში, რომელსაც ჰქვია ქართული კულტურა, ქართველი ინტელიგენცია. მან მთელი თავისი არსებით — მშვიდი ხმით, გულისხმიერებით, სტუმრისათვის ქართული გასტრონომიის შემოთავაზებისას ზომიერებით — მაიძულა მაშინვე გადამესინჯა სხვა ხალხის ფსიქო-ეთნიკურ ალქმაში ჩემი ზოგიერთი ლატვიური ზერელე სტერეოტიპი.

ოთარ ჭილაძე მაშინვე უკვე ცნობილი პოეტი იყო. პოეტი ლექსების რამდენიმე კრებულით, თარგმანებით. პოეტი, რომელმაც ქართულად თარგმნა რუსები, ფრანგები, უკრაინელები. პოეტი, რომლის გულიც ევროპისა და აზიის მიჯნაზე ფეთქავს. პოეტი, ვისთვისაც მახლობელია ფრანგული კულტურა. პოეტი, რომელიც სისხლითა და ხორცით, მთელი თავისი აზროვნებით ცხოვრების გულში ტრიალებს... სწორედ ეს გახლავთ კულტურის კაცის პატრიოტიზმი. და როცა ვფიქრობ ოთარ ჭილაძეზე, ვფიქრობ იმაზეც, რომ კულტურის კაცის ეროვნული თვითშეგნება არსებითად განსხვავდება მომხმარებლისაგან, სულიერი სპეკულანტის ამ ღირებულებით ვაჭრობისაგან, თუ პირველი კაცობრიობას ეკუთვნის, ამდიდრებს მას თავისი განუმეორებლობითა და განსაკუთრებულობით, მეორე კაცობრიობას ანგარიშს არ უწევს — ცდილობს თავისი ერის თავისებურება კი არ ჩააქსოვოს ზოგადში, არამედ სხვებზე მაღლა დააყენოს, დაჩრდილოს სხვები. ასეთი გახლავთ დამპყრობელი, ბიზნესმენი, ეგოისტი. ეს, რასაც ვამბობ, სულაც არ არის ახალი რამ. ეს ჭეშმარიტებაა, რომელიც შემაცნობინეს ოთარ ჭილაძემ და საქართველომ — კულტურის ქვეყანამ ნათლად გამოხატული ეროვნული თვითშეგნებითა და ამავე დროს სხვათა მიმართ გულისხმიერებით. პოეზიაზე რომ ვლაპარაკობ, უნდა აღვნიშნო, თუ რა შესაშურია ქართული და რუსული პოეზიის ურთიერთობა, ტრადიციული ურთიერთზეგავლენა. საქართველო და პუშკინი, საქართველო და ლერმონტოვი, მაიაკოვსკი, ესენინი, საქართველო და ბელა ახმადულინა, საქართველო და ევგენი ევტუშენკო. ეს არ ნიშნავს მხოლოდ ამ პოეტების სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეულ ყოფნას ამ სამხრეთის ქვეყანაში, არა, ეს ნიშნავს თარგმანებს, წიგნებს, გამოსვლებს პოეზიის მოყვარულთა აუდიტორიებში, ტელევიზიასა და რადიოში. ეს ნიშნავს არა მარტო რუსული პოეზიის გავლენას ქართულ ლიტერატურაზე, არამედ ქართველების გავლენას რუსი პოეტების შემოქმედებაზე...

...მე და ოთარი არც რეგულარულად ვწერთ წერილებს და არც ტელეფონზე ვკიდივართ. ერთმანეთს იქა ვხვდებით, სადაც ჩვენი გზები შეიყრება. ეს კი ხან თბილისში ხდება, ხან — რიგაში, ხანაც მოსკოვში ლიტერატურულ შეკრებებზე.

ახლა ოთარ ჭილაძე ცნობილი პროზაიკოსიცაა. დიახ, იგი ცნობილია მთელი კავშირის მასშტაბით, რადგან მისი რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ რუსულად თარგმნილი (მოსკოვის გამოცემა) გვამდიდრებს ჩვენ ყველას — ლატვიელებს, ესტონელებს, უკრაინელებს, ლიტველებს.. .ეს არის რომანი ჩვენზე, ადამიანებზე, რომელთა სახლიცა და პირველი კერაც ეს დედამიწაა, ეს პლანეტაა. ესაა რომანი, რომელშიც ათასი წლების წინანდელ ამბებს ეცლება მტვერი და ფერფლი, როცა კოლხეთში პირველი ბერძენი გამოჩნდა. მაგრამ ეს მარტო მათზე დაწერილი რომანი არაა. და თუმცა ჩვენ ოთარ ჭილაძის ნაწარმოებში ვხვდებით ჩვენთვის კარგად ცნობილ მედეასა და იასონს, რომელიც აქ ოქროს საწმისისათვის ჩამოსულა, და უცხოელ ფრიქსეს, ეს არის მარად აქტუალური და თანამედროვე რომანი ერის მომავლის რწმენის, ერის მარად დაუმთავრებელი საქმისა — იყოს, იარსებოს. და იყოს არამარტო არსებობის, არამედ განვითარების მნიშვნელობით. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქართველოლოგებს ეს რომანი ჯერ კიდევ არ უთარგმნიათ ლატვიურად. სამწუხაროა, რომ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის მესვეურნი ხელს არ უწყობენ, რათა, რაც შეიძლება, მალე გამოვიდეს იგი.

...როცა გაზაფხულზე სარკმლიდან ვიცქირებოდი, ცა რუხი ფერის იყო, ისეთი მშვენიერი, რომ ლამის ავტირებულიყავი. მაგრამ ტელეფონის ზარმა ნუშისფრად შეღება იგი — ტელეფონთან ოთარი იყო, აქვე რიგაში, სასტუმროდან მირეკავდა, ისე უბრალოდ... სამი დღის შემდეგ ვბრუნდებით უკან. ასე უბრალოდ, რა ტყუილია, ვიფიქრე, ასე უბრალოდ არცერთ პოეტს არ შეუძლია ყოფნა.

და ჩვენც „ისე უბრალოდ“ წავედით ძმათა სასაფლაოზე, მოვინახულეთ ნაცნობები და უცნობები, მდუმარედ ვიდექით რაინისის საფლავთან, მწვანე რტო დავადეთ ალექსანდრე ჩაკის არარსებულ, მაგრამ სწორედ ამიტომაც მისთვის შეუფერებელ ძეგლს. შემოვიარეთ რიგა, სულ პაწაწკინტელებად ვიქეცით მისი კოშკებისა და გუმბათების ჩრდილში, ბაბიტეში მოვუსმინეთ ასე ვთქვათ, მომღერალ ლატვიელ ტყისკაცებსა და ტყისქალებს, სატყეო მეურნეობის თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ვიყავით. ოთარმა სადღეგრძელო თქვა, რა თქმა უნდა, როცა სიტყვა მის-

ცეს, იგი ხომ საპატიო სტუმარი იყო, ქართველი. მაგრამ მან კლასიკური, ღრმა შინაარსიანი სადღეგრძელო თქვა, ისეთი კი არა, ლატვიელებს რომ ზერელე წარმოდგენა აქვთ ქართულ სადღეგრძელოებზე. ოთარმა მეტყველებს სიმღერა უდღეგრძელა და ჩვენ მივხვდით, ეს არა მარტო ლატვიის, მთელი მსოფლიო ხალხების საერთო სადღეგრძელო იყო. ჩემმა ბიჭუნამ შემდეგში მითხრა: „მე არც ქართული მესმოდა და არც რუსული, მაგრამ ჩვენ მაინც ვსაუბრობდით. ოთარ ჭილაძე მე თმებზე მკოცნიდა".

...ოთარი კვლავ საქართველოშია და თავის შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. საშუალო სიმაღლის მამაკაცია, ქართული ცხვირით. თვალები ღრმა აქვს, გული — თანაგრძნობით სავსე. მშვიდი საუბარი უყვარს. თუმცა, რაღა თქმა უნდა, არც ისეთი ცხვარი გახლავთ. ასეთი რომ იყოს, ვერც შესძლებდა თავისი მხრებით ამდენის ზიდვას. ტვირთი კი, რომელსაც ოთარი ეწევა, მძიმეა. ეს არის კულტურის კაცის ტვირთი — ტკივილამდე გიყვარდეს შენი ერი, აფასებდე მას და ამავე დროს აკავშირებდე მას მსოფლიოს კულტურასთან, აკეთებდე ამას ყოველდღიურად, სერიოზულად და განუხრელად. ოთარის ერთ-ერთი მეგობართაგანი ევგენი ევტუშენკო გახლავთ, სულ საპირისპირო ხელოვანი. რამდენადაც ოთარი მორიდებულია ჟესტ-მიმიკაში, ლაპარაკში, მანერებში, იმდენად ევტუშენკო, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, — არტისტულად გამომხატველია, ეგოცენტრულად აქცენტირებული, მუდამ ეპიცენტრში რომ ხვდება. შეიძლება სწორედ ეს აკავშირებს მათ, ეს რაღაც საერთო გრძნობა, რაღაც საპირისპირო მსგავსება, მიზიდულობის აუცილებლობა.

მე სულაც არ მჭირდება, რომ მას — ოთარს, ხშირად ვხვდებოდე. და არც ეს ხშირ-ხშირი შეხვედრებია ნამდვილი მეგობრობა. საკმარისია გადავფურცლო „წეროს თოვლი", გადავფურცლო „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", რომ ძალა მოვიკრიბო. მაშინ გავმხიარულდები, არა, გავმხიარულდები კი არა, გავმხნევდები ხოლმე, რადგან ვიცი, რომ იქ, იმ შორეულ ქვეყანაში, რომელსაც საქართველო ჰქვია, ცხოვრობს ნიჭიერი, ბრძენი და მეტად კეთილი კაცი — ოთარ ჭილაძე. ასეთი ადამიანი თუ გყავს გვერდით, ხალხთა მეგობრობაზე ფიცი ზედმეტია, რადგან თავად იგია ხალხთა მეგობრობა. ის სხვის ბავშვებს თმაზე ჰკოცნის. და თუ თქვენ ჟურნალის ფურცლებზე მის სახელს მოჰკრათ თვალი, გვერდს ნუ აუვლით, წაიკითხეთ. ვერ გეტყვით, რომ ლატვიაში იგი ძალიან ცნობილი იყოს. არა, ყველა არ იცნობს. ღირს კი მისი გაცნობა. რადგან ყველაფერს, რასაც ოთარ ჭილაძე წერს ქართველებზე, ჩვენც გვეხება. ღრმა გრძნობებზე, დიდ ვნებებზე, ბრძნული აზრებით გაჯღენთილი ფურცლები...

მაგრამ ეს არ გახლავთ სარეკლამო წერილი. ესაა წერილი მწერალზე, ვისთვისაც რიგა არაა „ისე უბრალო", სადღაც მის ნაწერებში იგი ცოცხლობს...

ასე ამდიდრებენ ერთმანეთს კულტურები და ადამიანები. და მეც უფრო ნათლად ვგრძნობ, რომ უფრო მეტი უნდა გავაკეთო, რადგან მაქვს, რაც უნდა გავცე.

ლატვიურიდან თარგმნა ᲣᲨᲐᲜᲒ ᲡᲐᲮᲚᲝᲗᲣᲮᲣᲪᲔᲡᲛᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბრეგაძე

# თანამედროვე ომები — კაცობრიობის უბოროტესი მტერი

ომი კლასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, რომლის მთავარი შინაარსია შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს, სახელმწიფოთა ჯგუფებსა და დაპირისპირებულ საზოგადოებრივ კლასებს შორის განსაზღვრული პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად.

მეცნიერთა გამოანგარიშებით კაცობრიობის ისტორიის თვალმისაწვდომ მანძილზე, რომელიც დაახლოებით 5500 წელს უდრის, 14500 დიდი და პატარა ომი მოხდა. ამ ომებმა სამ მილიარდ ნახევარზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. განსაკუთრებით დიდი ზიანი მოიტანა ჩვენს საუკუნეში მომხდარმა ომებმა. თუ წინა სამი XVII-XIX საუკუნის მანძილზე ომებში დაიღუპა 15 მილიონამდე კაცი, მარტო XX საუკუნის პირველ ნახევარში დედამიწაზე გაჩაღდა ორი მსოფლიო ომი, რომელმაც 60 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა. მეორე მსოფლიო ომმა დააქვრივა 20 მილიონი ქალი, დააობლა 40 მილიონი ბავშვი, მილიონობით დედას ჩააცვა ძაძა.

ომები დიდ ზიანს აყენებენ მატერიალურ კულტურას. ჩანაგდება ქალაქები და სოფლები, ფაბრიკა-ქარხნები, სკოლები, საავადმყოფოები, ისტორიული ძეგლები. პირველ მსოფლიო ომში ნგრევით მიყენებულმა ზარალმა ფულად გამოსახულებაში 80 მილიარდი დოლარი შეადგინა. მეორე მსოფლიო ომში მარტო ევროპამ 260 მილიარდი დოლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობა დაკარგა, მათ შორის 128 მილიარდი დოლარი სსრ კავშირზე მოდის.

უკანასკნელი წლების მიღწევებმა მეცნიერებასა და ტექნიკაში ძირეული ცვლილებები შეიტანეს სამხედრო შეიარაღებაში, საბრძოლო მოქმედებათა ხასიათში, ომის წარმოების მეთოდებში. განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწიეს ამ საქმეში ეკონომიკურად მეტად განვითარებულმა ქვეყნებმა, პირველ რიგში საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. საწარმოო ძალების მძლავრმა განვითარებამ აქ არნახულ სიმაღლეზე აიყვანა სამხედრო ტექნიკა, მოახდინა სამხედრო-ტექნიკური რევოლუცია.

სამხედრო-ტექნიკური რევოლუციის საფუძველს წარმოადგენს ენერგიის ისეთი მძლავრი წყაროების გამოყენება სამხედრო საქმეში, როგორიცაა ატომური და წყალბადის ენერგია, ატომური და წყალბადის ბომბების შექმნა, მათი ადგილზე მიტანის საშუალებების — რაკეტების გამოგონება, რადიოელექტრონიკის, კიბერნეტიკის გამოყენება სამხედრო-ტექნიკის მართვაში. ამჟამად მსოფლიოს ხუთი დიდი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის და ჩინეთის არმიების განკარგულებაშია მეტნაკლები რაოდენობით სხვადასხვა სიმძლავრის ატომური და წყალბადის ბომბები. უფრო ნათელი წარმოდგენა რომ გვექნეს მათ სიმძლავრეზე, მივმართოთ ასეთ შედარებას: ატომური ბომბი, რომელიც აშშ-მა იაპონიის ქალაქ ხიროსიმაში ჩამოაგდეს 1945 წლის 6 აგვისტოს, სიმძლავრით ექვივალენტური იყო 20 ათასი ტონა ტროტილის აფეთქებისა, ე. ი. 20 კილოტონის სიმძლავრისა. ამ ბომბმა 200 ათასზე მეტი კაცი იმსხვერპლა. ნაგასაკაში ატომური ბომბარდირების შედეგად დაიღუპა 78000 კაცი, 75000 კი დაიჭრა. ამჟამად სახელმწიფოთა შეიარაღებაში მქონე წყალბადის ბომბის სიმძლავრე 100 მეგატონას და უფრო მეტს უდრის, ე. ი. რამდენიმე ათასჯერ მეტია ხიროსიმაში ჩამოგდებულ ატომურ ბომბზე.

წყალბადის ერთ ბომბს შეუძლია მილიონობით ადამიანი იმსხვერპლოს. საკმარისია ითქვას, რომ 10 მეგატონის ერთი წყალბადის ბომბის აფეთქებით გამოიყოფა იმაზე მეტი ენერგია, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს აფეთქებული ყველა ბომბისა ერთად აღებული. ატომური იარაღის მთავარ დამაზიანებელ ელემენტებს შეადგენს დარტყმითი ძალა, სინათლური გამოსხივება და რადიაცია. პირველი ორი ადამიანის სწრაფ სიკვდილს იწვევს გარკვეული მოქმედების რადიუსში. რადიაცია კი თავის მსხვერპლს წამებით სიკვდილს უმზადებს. ინტერესსმოკლებული არ იქნება ამასთან დაკავშირებით აქ მოვიყვანოთ ცნობილი მეცნიერის ვეისკოფის პასუხი, რომელიც მან გასცა შეკითხვაზე, თუ რა აზრისაა იგი იმ მეცნიერთა გაანგარიშებაზე, რომ თანამედროვე მსოფლიო ატომურ-რაკეტულ ომში დაიღუპება დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი და გადარჩება ერთი მესამედი. ვეისკოფმა სრულიად სერიოზულად უპასუხა: მე ვარჩევდი ყოფნას იმ ორ მესამედს შორის. და, მართლაც, განა შეიძლება გადარჩენილები ეწოდოს მათ, ვინც ატომური ბომბარდირების შემდეგ ცოცხლები დარჩებიან?

დაზიანების საშუალებათა — ატომისა და წყალბადის ბომბების შემდგომი სრულყოფის პარალელურად დიდი ნახტომი გაკეთდა მათი სამიზნეზე მიტანის საშუალებების სრულყოფაშიც. ეს ფუნქცია რაკეტულ ტექნიკას დაეკისრა. თანამედროვე რაკეტების მოქმედების სიშორე პრაქტიკულად განუსაზღვრელია, ხოლო ელექტრონული ტექნიკის მეოხებით მისი მიზანში მოხვედრის სიზუსტე ათეულობით მეტრის განსხვავებასაც არ იძლევა. უდიდესი სიმძლავრის დამაზიანებელი საშუალების შეერთებამ რაკეტასთან წარმოშვა სამხედრო იარაღის პრინციპულად ახალი სისტემა-რაკეტულ ატომური იარაღი, რომელმაც გამოიწვია ნამდვილი რევოლუცია სამხედრო საქმეში.

რაკეტულ-ატომურმა იარაღმა ძირეული ცვლილებები შეიტანა ომის წარმოების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში. ახლებურად დაისვა ომის მომზადებისა და დაწყების პრობლემა, საზღვრების დაცვისა და გამაგრების, აგრეთვე ომის შედეგების წინასწარ გამოცნობის, მისი სოციალური შედეგების განსაზღვრის პრობლემები.

სახელმწიფოთა სამხედრო მზადყოფნის სისტემამ ახალი იარაღის ხმარების პირობებში საფუძვლიანი ცვლილებები განიცადა. თავი იჩინა მთელმა რიგმა თავისებურებებმა. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ დაზიანების საშუალებებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბეს თავდაცვის საშუალებებს. ახალი იარაღისათვის ადვილი მისაწვდომი გახდა ხმელეთზე მყოფი სამხედრო თუ სამოქალაქო დანიშნულების ყველა ობიექტი დედამიწის რომელ ნაწილშიდაც არ უნდა იყოს იგი. უახლესი ოპტიკური ხელსაწყოებით აღჭურვილი დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს შეუძლიათ დედამიწაზე თვალი მოკრან და აღრიცხონ ხივთები, რომელთა სიდიდე მეტრებით იზომება. მთლიანად ან თითქმის ნულამდე იქნა დაყვანილი ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებათა მნიშვნელობა.

სხვაგვარად დაისვა საზღვრებისა და სასაზღვრო რაიონის პრობლემა. ახალმა იარაღმა საზღვარი გაათავისუფლა პირველი დარტყმის ობიექტის როლისაგან. ატომურ-რაკეტულ ომში პირველად დაირღვევა ტრადიცია ომების წარმოების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და პირველი დარტყმა მოხდება არა საზღვარზე, არამედ პირველხარისხოვან სამხედრო ობიექტებზე, სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრებზე, ქვეყნის სასიცოცხლო არტერიებზე. ესენი კი, ჩვეულებრივ, როგორც წესი, თუ ქვეყნის შუაგულში არა, ყოველ შემთხვევაში, საზღვრიდან დაშორებით არიან განლაგებული.

რაკეტულ-ატომური იარაღის კიდევ ერთი დიდი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დიდად გაზარდა ომის უეცრად ან შემთხვევით წარმოშობის შესაძლებლობა, რამაც დიდ საფრთხესა და საგონებელში ჩააყენა კაცობრიობა. დღემდე წამოწყებულ ყველა ომს წინასწარ უსწრებდა თავდამსხმელი მხარის მობილიზაცია, ჯარების დიდი კონტინგენტის საზღვრისკენ გადაადგილება, რაც შეუმჩნეველი არ რჩებოდა მეორე მხარეს. ახლანდელ პირობებში სტრატეგიული დანიშნულების რაკეტულ-ატომური ძალები, რომელთაც ეკისრებათ ძირითადი დამანგრეველი ფუნქცია, ყოველთვის მზადყოფნაში არიან. უფრო მეტიც, იმპერიალისტური ქვეყნების და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ-რაკეტული იარაღის მართვის სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია ომის შემთხვევით, უნებურად გაჩაღება.

ტექნიკური ხასიათის შემთხვევითობა მოსალოდნელია იმიტომ, რომ ატომური იარაღი და ავიაცია უაღრესად რთული მექანიზმებისაგან შედგება. რომელიმე მექანიზმის უწესივრობამ შეიძლება გამოიწვიოს ავარია და ამ უკანასკნელის ნიადაგზე კი ატომური იარაღის აფეთქება. 1961 წლის იანვრიდან აშშ-მა შემოიღეს ატომური იარაღის მქონე სტრატეგიული ავიაციის სადღეღამისო მორიგეობა ოთხ ტრასაზე. თითოეული მათგანი იმ 75 ბომბდამშენიდან, რომლებიც მორიგეობას ეწევიან, ჩვეულებრივ, ატარებს ოთხ წყალბადის ბომბს. ამ უკანასკნელ წლებში არაერთი ავარია განიცადეს ამ ატომმზიდებმა და კაცობრიობა საშინელი კატასტროფის წინაშე დააყენეს. 1961 წელს თვითმფრინავს წყალბადის ბომბი ჩამოუვარდა ჩრდილოეთ კაროლინის შტატში. 1966 წელს ბომბდამშენმა ბომბი „დაკარგა“ პუერტო-რიკოს ტერი-

ტორიაზე. კაცობრიობა დიდად შეაშფოთა ესპანეთის სოფელ პალომარესის ტრაგედიამ. 1966 წლის 17 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ბომბდამშენმა სოფლის თავზე ავარია განიცადა და ოთხი წყალბადის ბომბი მის მიდამოებში მიმოფანტა. ანალოგიური შემთხვევა განმეორდა ზუსტად ორი წლის შემდეგ გრენლანდიის ხაპირებთან — ბომბდამშენი „B-52" 4 წყალბადის ბომბთან ერთად ყინულოვან უღაბნოში ჩამოვარდა. საბედნიეროდ, ამ შემთხვევებს არ მოყვა ატომური კატასტროფა. ერთ შემთხვევაში წყალბადის ბომბი ახაფეთქებელი მექანიზმის გარეშე ჩამოვარდა. პალომარესთან კი მფრინავმა იმარჯვა და ალმოდებულ თვითმფრინავში სულ უკანასკნელ მომენტში შესძლო ჩაერთო მოწყობილობა, რომელმაც გამორთო ასაფეთქებელი მექანიზმი.

1980 წლის სექტემბერში არკანზასის შტატის ერთ-ერთ შახტში დაზიანდა „ტიტან-2" სტრატეგიული რაკეტა. ჰაერში აიჭრა ბირთვული ბომბი, მოხაზა რკალი და მიწაზე დაენარცხა. საბედნიეროდ არ აფეთქდა. მისი სიმძლავრე 750-ჯერ აღემატებოდა ხიროსიმაში ჩამოგდებული ბომბის სიმძლავრეს.

ლონდონის ყოველკვირეულ „ნიუ სტეიტსმენის" მონაცემებით უკანასკნელი 35 წლის მანძილზე 32 სერიოზული ავარია განიცადა ამერიკის ბირთვულმა იარაღმა.

არანაკლებ საშიშია ფსიქოლოგიური შემთხვევითობა. მფრინავი, რომელსაც ატომური იარალი მიაქვს, შეიძლება ჭკუიდან შეიშალოს და ბომბები ჩამოყაროს. ამას კი საპასუხო ატომური დარტყმა მოყვება. ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში ცოტა როდია ფსიქიკურად დაავადების შემთხვევები შეერთებული შტატების ყოველ 1000 სამხედრო მოსამსახურეთა შორის 2-3 კაცი ყოველწლიურად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხვდება. ფსიქიკური დაავადებისაგან დაზღვეული არ არიან უმაღლესი ჩინისა და თანამდებობის სამხედრო პირები, რომელთა განკარგულებაშია მასობრივი მოსპობის იარაღი.

1965 წლის ივლისში სამხრეთ ვიეტნამის დანანგის ავიობაზაში საზღვაო ქვეითი პოლკის ორი მთვრალი ჯარისკაცი ჩაჯდა ბომბდამშენში და სცადა აფრენილიყო, რათა ჰანოი დაებომბათ. საბედნიეროდ, ისინი ალკოჰოლის უფრო კარგი სპეციალისტები აღმოჩნდნენ, ვიდრე თვითმფრინავისა და წადილიც შეუსრულებელი დარჩათ. პენტაგონის სამხედრო წრეები აცხადებენ, რომ ატომურ იარაღთან საქმის მქონენი ყოველ 6 თვეში ფსიქიატრიულ შემოწმებას გადიან. როგორც თვით ამერიკელი სპეციალისტები აღიარებენ, ასეთ შემოწმებას შეუძლია შეამციროს ფსიქიატრიულ ნიადაგზე ატომური ომის შემთხვევით წარმოშობის შესაძლებლობა, მაგრამ არ ძალუძს მისი მთლიანად აცილება.

ომის შემთხვევით გაჩაღების ფსიქოლოგიური ფაქტორი განსაკუთრებით საშიშია დაძაბული საერთაშორისო ვითარების პირობებში, როცა ომის ფსიქოზი ლანდივით დასდევს ადამიანებს. შეერთებულ შტატებში საკმაო რაოდენობით მოიპოვებიან საქმოსნები, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც დაინტერესებული არიან ომით. შემთხვევითი ომის პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა მდგომარეობს პოლიტიკაში, ერთადერთი და მტკიცე გარანტია ატომური ომის თავიდან აცილებისა არის საყოველთაო და სრული განიარაღება მტკიცე საერთაშორისო კონტროლით.

ომისათვის მზადება, რაც უპირველეს ყოვლისა, გამალებულ შეიარაღებაში გამოიხატება, მძიმე ტვირთად აწევს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ მოსახლეობას. მაგალითისათვის ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატები. 1981 წელს სამხედრო ხარჯებმა შეადგინა ასტრონომიული ციფრი — 200 მილიარდი დოლარი. 1984 წელს იგი 278 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება.

სად მიდის ეს მილიარდები?

აშშ-ს თავის ტერიტორიაზე 500 დიდი და 600 საშუალო და პატარა სამხედრო ბაზა აქვს, სხვის ტერიტორიებზე კი მხოლოდ 32 ქვეყანაში — 1500-ზე მეტი სამხედრო ობიექტი. ბაზების მშენებლობა უზარმაზარ თანხებს მოითხოვს. მარტო ერთი — ტულეს სამხედრო ბაზის მშენებლობა გრენლანდიაში 500 მილიონი დოლარი დაჯდა. იარაღქვეშ იმყოფება 3,5 მლნ ჯარისკაცი, რომელთაგან თითქმის ნახევარი თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არის. მარტო საზღვარგარეთ განლაგებული ჯარების შენახვას ყოველწლიურად 8,5 მილიარდი დოლარი მიაქვს.

ერთი ამერიკული ბომბდამშენის — „B-52" ღირებულება უდრის 8 მილიონ დოლარს. ამ ფულით შეიძლება აშენდეს 20 სკოლა ან 900-ბინიანი სახლი. ერთი რაკეტა პოლარისი, რომლითაც აღჭურვილია ამერიკის წყალქვეშა ნავები, 120 მილიონი დოლარი ჯდება. ამ თანხით 300 სკოლა აშენდებოდა ან აიგებოდა საცხოვრებელი სახლები, სადაც 13700 ოჯახი მიიღებდა კეთილმოწყობილ ბინას. ერთი თვითმფრინავი F/A-18 „ჰორნეტის" ღირებულება 42,3 მლნ. დოლარია, ატომური ავიამზიდი „ნიმიცი" 1,5 მლრდ. დოლარი დაჯდა. ხოლო 1982 წელს აშენებული მეოთხე ატომური ავიამზიდი — 4 მლრდ დოლარი. უკანასკნელ ხუთ წელიწადში აშშ-მა სამხედრო სფეროში წარმოებულ სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ სამუშაოებს 60 მლრდ დოლარი მოახმარეს.

უკანასკნელ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში უზარმაზარი მასშტაბი მიიღო გამალებულმა შეიარაღებამ, ყველა სახეობის ჯარების ახალი სამხედრო იარაღით აღჭურვამ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკაში შემუშავდა 30-მდე ახალი სისტემის მძლავრი იარაღი. პენტაგონი დიდ იმედებს ამყარებს MX-მართულ-ექსპერიმენტულ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტაზე, ახალ სტრატეგიულ ბომბდამშენზე B—1B.

სტრატეგიული ბომბდამშენი B—1B ნავარაუდევია აღიჭურვოს ზუსტი ფრთიანი რაკეტებით, რომელთაც საშუალება ექნებათ ისე მიაყენონ დარტყმა მოწინააღმდეგის ობიექტებს, რომ არ შევიდნენ მისი საჰაერო თავდაცვის ზონაში.

პროგრესულ კაცობრიობას დიდად აფიქრებს ის მდგომარეობა, რომ ომებს თანამედროვე ტექნიკის პირობებში ატომური იარაღის გამოყენების გარეშეც შეუძლია უდიდესი ნგრევა მიაყენოს სახელმწიფოთა სამხედრო და სამრეწველო პოტენციალს, დიდი რაოდენობით გამოიყვანოს მწყობრიდან არა მარტო სამხედრო ცოცხალი ძალა, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობაც. უკანასკნელი ომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, რაც მეტად ვითარდება სამხედრო ტექნიკა, მით უფრო მეტად იზრდება სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლთა რიცხვის წილი დაღუპულთა შორის. ასე, მაგალითად, პირველ მსოფლიო ომში 10 მილიონი მოკლულიდან მხოლოდ 500 ათასი ანუ 5% მოდიოდა სამოქალაქო მოსახლეობაზე. მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 50 მილიონი კაციდან სამოქალაქო მოსახლეობის წილზე მოდის 25 მილიონი ანუ 50%. ზოგიერთ ქვეყანაში ეს პროცენტი კიდევ უფრო დიდია. სამხედრო მოსამსახურეებთან შედარებით სამოქალაქო მოსახლეობის დიდი რაოდენობა დაკარგა ომში პოლონეთმა. მისი სამხედრო მოსამსახურეთა დანაკარგი შეადგენს 100 ათას კაცს, სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლი კი 4200 ათასს. თითქმის 5-ჯერ მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპა ომის დროს იუგოსლავიაში, ვიდრე სამხედრო მოსამსახურე. კორეის ომში დაღუპულთა 84 პროცენტი მშვიდობიან მცხოვრებლებზე მოდის. ვიეტნამის ომში დაღუპული ყოველი 10 კაციდან 9 არასამხედრო მოსამსახურე იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების არმია ვიეტნამის წინააღმდეგ სისხლიან ომთან ერთად ფართოდ ეწეოდა ეგრეთწოდებულ „უსისხლო ომს“. 1961-1971 წლებში ამერიკის საჰაერო ძალების სპეციალურმა ქვედანაყოფებმა დეფოლიანტები და ჰერბიციდები დააყარეს 2,5 მილიონ ჰექტარ ტყეს და 1,8 მილიონ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ამწვანებული ტყე გამხმარ ხეთა უდაბნოს დაემსგავსა. ფლორისა და ფაუნის განადგურებამ გამოიწვია არასასურველი ეკოლოგიური ცვლილებები, ადამიანის საარსებო ბუნებრივი პირობების მკვეთრი დაქვეითება. სპეციალისტთა გამოანგარიშებით 100-150 წელიწადია საჭირო ამ ტერიტორიაზე ახალი მცენარეული საფარველი რომ აღდგეს.

ამჟამად ვიეტნამში ძალიან ხშირია უნაყოფობისა და ანომალური ორსულობის, მკვდარი და მახინჯი ბავშვების დაბადების შემთხვევები. იზრდება სიმსივნებიან და ლეიკემიით დაავადებულთა რაოდენობა. ამის მიზეზი არის მომწამვლელი ნივთიერებანი, რომელიც იქ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიყენეს.

ფაშიზმის სისხლიანი ბატონობის პერიოდში მარტო ჩამოხრჩობით, დახვრეტით, გაზის კამერებში მოგუდვით და სხვა მხეცური საშუალებებით მოსპობილ იქნა 11 მილიონი კაცი, ე. ი. იმაზე მეტი, რაც პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა სულ.

ომის წარმოების მხოლოდ პირდაპირი დანახარჯებიდან თუ ვიანგარიშებთ, ერთი კაცის მოკვლა პირველ მსოფლიო ომში 20 ათასი დოლარი დაჯდა, მეორე მსოფლიო ომში კი — 27 ათასი. როგორც ვიეტნამის ომმა დაგვანახა, ამერიკელ იმპერიალისტებს ადამიანთა მოსპობა კიდევ უფრო ძვირი დაუჯდათ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. თვით ამერიკელი სპეციალისტების გამოანგარიშებით, ერთი ვიეტნამელი პატრიოტის მოკვლაზე 400 ათასზე მეტი დოლარი დაიხარჯა. ასეთია სიკვდილის „ღირებულების“ დინამიკა XX საუკუნის ომების ანალიზის მიხედვით.

ახლა მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი ნედლეულის 10 პროცენტი ხმარდება სამხედრო მიზნებს. სამხედრო ფორმა აცვია 26 მილიონ კაცს, 100 მილიონი კაცი სამხედრო წარმოებას ემსახურება. ასეულ ათასობით უნიჭიერესი მეცნიერი დაკავებულია ადამიანის მოსასპობი ახალ-ახალი იარაღის შექმნაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველი მე-5 ინჟინერი და მეოთხე მეცნიერ-ფიზიკოსი სამხედრო უწყების სამსახურშია. რაზე არ მუშაობენ იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო უწყებათა ლაბორატორიები! მეცნიერები იგონებენ ახალ ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს. ამერიკელ სტრატეგებს ფრიად პერსპექტიულად მიაჩნიათ ომის დროს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ხელოვნური ქარიშხალის გამოწვევა, კლიმატის შეცვლა და სხვა. ლაბორატორიიდან საცდელ პოლიგონზე გამოიტანეს და ადამიანებზე გამოსცადეს ფსიქოქიმიური ნივთიერება. ეს ნივთიერება ადამიანებში იწვევს ჰალუცინაციებს. ამერიკელმა ჯარისკაცებმა, რომლებზეც ის გამოსცადეს, დროებით დაკარგეს ორიენტაციის უნარი, მეხსიერება, დაიწყეს ისტერიკული ტირილი, სიცილი, მიწაზე კოტრიალი და ხეებზე ცოცვა. გავიდა გარკვეული დრო და მათ ნორმალური ქცევა დაუბრუნდათ, მაგრამ არაფერი აღარ ახსოვდათ თავიანთი მოქმედების შესახებ.

იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო სპეციალისტთა მნიშვნელოვან ნაწილში დღემდე ინარჩუნებს თავის პოპულარობას დოქტრინა,

რომლის მიხედვითაც ომში გამარჯვება უზრუნველყოფილი აქვს ქვეყანას, რომელიც პირველი მოასწრებს ატომური ბომბარდირების დაწყებას. ამ დოქტრინის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ პირველ ატომურ დარტყმას შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს მოწინააღმდეგის სამრეწველო და სამხედრო პოტენციალი, რაც შესაძლებლობას მოუსპობს მას საპასუხო ატომური დარტყმა მიაყენოს თავდამსხმელს.

ეჭვს გარეშეა, პირველი დარტყმა ატომური იარაღის გამოყენების პირობებში ადამიანთა ურიცხვ მსხვერპლს და ფაბრიკა-ქარხნების, ელექტროსადგურების და სხვა სამრეწველო საწარმოთა და კომუნიკაციების დიდ ნგრევას გამოიწვევს, მაგრამ ის მწყობრიდან ვერ გამოიყვანს თავდამცველი მხარის სამხედრო პოტენციალს ისე, რომ თავდამსხმელმა საპასუხო გამანადგურებელი დარტყმა ვერ მიიღოს.

მასობრივი მოსპობის თანამედროვე იარაღის პირობებში ორ ურთიერთმეომარ სახელმწიფოს შორის ომის სამხედრო-ეკონომიკური შედეგების მიხედვით ძნელი იქნება გამარჯვებული მხარის დამარცხებულისაგან გარჩევა, და პირიქით. ორივე მეომარი მხარის მოსახლეობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მატერიალური კულტურა ნახავს ენით აუწერელ ზარალს. ომი არა მარტო მოსპობს მილიონობით ადამიანს, არამედ უდიდეს საფრთხეს შეუქმნის მომავალ თაობებსაც იმ გაგებით, რომ ჯერ ერთი, გადარჩენილთა დიდი ნაწილი დაავადებული იქნება რადიოაქტიულ ნივთიერებათა ზემოქმედების შედეგად განუკურნებელი სენით, რომელიც მნიშვნელოვნად შეაფერხებს მომავალ თაობათა გაჩენას, დიდად გაზრდის დაბადებულთა შორის არანორმალურ ბავშვთა რიცხვს. მეორეც, ატომური დაბომბვით უზარმაზარ ტერიტორიებზე დიდი ხნით დარჩება მოწამლული ნიადაგის საფარი, ფლორა და ფაუნა, რასაც ვერ გამოიყენებს თავის სასარგებლოდ ადამიანთა რამდენიმე თაობა.

რაკეტულ-ატომური ომი არ შეიძლება შემოიფარგლოს ორი მეომარი სახელმწიფოს ტერიტორიით, იმიტომ, რომ ომის გამჩაღებელი იმპერიალისტური სახელმწიფო საპასუხო დარტყმას მიიღებს არა მარტო საკუთარ ტერიტორიაზე, არამედ იმ სახელმწიფოთა ტერიტორიებზეც, სადაც მისი საზღვარგარეთული სამხედრო ბაზებია განლაგებული. და კიდევ იმიტომაც, რომ თანამედროვე წყალბადის ბომბების მოქმედების რადიუსი, მისი დამაზიანებელი მოქმედება გავრცელდება მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზეც და უნებლიედ ომის მსხვერპლი შეიძლება გახდეს სახელმწიფო, რომელიც ფაქტიურად ომში ჩაბმული არ იყო.

აქედან დასკვნა: რაკეტულ-ატომური ომი არ შეიძლება მხოლოდ ორი მეომარი სახელმწიფოს ეროვნული საზღვრებით შემოიფარგლოს — იგი იქნება მსოფლიო მასშტაბის ომი, რომელიც გამანადგურებელ შედეგს მოუტანს მთელ კაცობრიობას, მის ახლანდელ და მომავალ თაობებს.

ომი თანამედროვე იარაღის გამოყენების პირობებში რომ საშინელ ნგრევას და უბედურებას მოუტანს მთელ კაცობრიობას, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ფაქტს ანგარიშს არ უწევდეს ომის თეორეტიკოსები და სამხედრო სპეციალისტები დასავლეთის ბანაკიდან. სოციალიტური ბანაკის ქვეყნების, და პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის მზარდი სამხედრო სიმძლავრე აიძულებს მათ თავი აარიდონ საბჭოთა კავშირთან პირდაპირ სამხედრო კონფლიქტს, მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ საერთაშორისო პოლიტიკის ისეთ საკითხებში, რომლებიც ომის რისკთან არის დაკავშირებული. საფუძვლიანად გადასინჯონ ძველი და შეიმუშაონ ახალი, თანამედროვე ვითარების შესაბამისი სამხედრო კონცეფციები. თანამედროვე ომების საკმაოდ დამუშავებულ და აღიარებულ დოქტრინას ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოადგენს ე. წ. „შეზღუდული" ანუ „ლოკალური" ომები.

ლოკალური ომების მომხრე გენერალ მაქსუელ ტეილორის აზრით, ასეთი ომები შეიძლება გააჩაღონ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სოციალიზმის წინსვლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესაჩერებლად მსოფლიოს ყველა ნაწილში საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან მოშორებით და იმის გათვალისწინებით, თუ ამით ეროვნული არსებობის უშუალო საფრთხე არ დაემუქრება შეერთებულ შტატებს. ერთ-ერთმა ასეთმა ლოკალურმა ომმა, რომელიც სამხრეთვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ გააჩაღეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა, სასურველი შედეგები ვერ მისცა მის წამომწყებთ. მაშინ ამერიკელმა თეორეტიკოსებმა ლოკალურ ომს „ესკალაციის" დოქტრინა დაუმატეს, ვიეტნამის ლოკალური ომის გაფართოების ეს იდეა, რომელიც პრაქტიკაში ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმით განხორციელდა, კიდევ უფრო სავალალო აღმოჩნდა მათი გამჩაღებლებისათვის. ბოლოს და ბოლოს, აშშ იძულებული გახდა ხელი აეღო ომის ესკალაციაზე და საერთოდ შეეწყვიტა ვიეტნამის ომი. ომმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ვერავითარი სამხედრო უპირატესობა ვერ მისცა. ეს ყველაზე ხანგრძლივი ომი იყო იმათ შორის, რომელიც შეერთებულ შტატებს უწარმოებიათ თავიანთი არსებობის მანძილზე. იგი 2 მილიარდი დოლარი უჯდებოდა ყოველთვიურად ამერიკელ გადასახადის გადამხდელთ. ომმა შეიწირა 46 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და მათ შორის რამდენიმე გენერალი; დაიჭრა 300 ათასზე მეტი კაცი. თითოეული ვიეტნამელის

მოკვლისათვის ამერიკელ ჯარისკაცს სამი დღე შვებულება ეძლეოდა. როგორ ჰგავს ეს მე-17 საუკუნის ამერიკას! მაშინ ყოველ მოკლულ ინდიელზე 15 გირვანქა სტერლინგს იძლეოდნენ. სტერლინგის ნაცვლად სამდღიანი შვებულება — აი, „პროგრესი", რასაც ამერიკამ მიაღწია სამასი წლის მანძილზე კაცთმკვლელობის მატერიალური დაინტერესების საქმეში. აგრესიამ ინდოჩინეთში დიდად დასცა ავტორიტეტი ამერიკის სამხედრო და სახელმწიფო ადმინისტრაციისა მთელს მსოფლიოში და საკუთარ ქვეყანაში.

ლოკალური ომი მსოფლიოს ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფისა და სამხედრო ბლოკებად დაჯგუფებათა პირობებში ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ იგი მსოფლიო ხანძრად არ გადაიქცევა. ომი, რომელსაც აწარმოებს ატომური იარაღის მქონე ქვეყანა ან რომელიც ეხება პირდაპირ თუ არაპირდაპირ ასეთივე იარაღის მქონე მეორე ქვეყნის ინტერესებს, არ შეიძლება ლოკალური დარჩეს. იგი აუცილებლად შეიცავს მსოფლიო ომად გადაზრდის შესაძლებლობას.

ლოკალური ომების წამქეზებლური პოლიტიკა, გამალებული შეიარაღება და დასავლეთ ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი სახეობის რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგება რეალურ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. „...საერთაშორისო პოლიტიკაში არ არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, — აღნიშნა ი. ვ. ანდროპოვმა თავის პასუხში კინგსბერი სმიტის მიერ დასმულ კითხვაზე, — ვიდრე თავიდან ავიცილოთ ბირთვული ომის მზარდი საფრთხე, კონტროლს დავუქვემდებაროთ და შევწყვიტოთ გამალებული ბირთვული შესაძლებლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას, ყველა სადავო საკითხი გადაიჭრას მოლაპარაკების გზით. სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობა არის პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ წიწვაძე

# შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა...

„ამის შესახებ მე ერთხელ დავწერე. „მეტაფორიზაციის მარტივი ხერხის“ მექანიკაც, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, მე აღმოვაჩინე“. გურამ პეტრიაშვილი ამ სიტყვებით თავს არ იქებს, მან ზუსტად მიუთითა ფაქტზე. მაგრამ საკუთარი დამსახურების ხაზგასმა, ეტყობა, ეჩოთირა და ამიტომ იბოდიშებს.

საქმე ასე იყო:

ახალგაზრდულ პოეზიაზე რომ საუბრობდა და ერთ უსიამოვნო ტენდენციას იკვლევდა, მავანმა კრიტიკოსმა საჭიროდ არ ჩათვალა მკითხველისათვის შეეხსენებინა, რომ ამ მოვლენის მექანიზმი თავდაპირველად გურამ პეტრიაშვილმა ახსნა.

ქვეყანა არ დაქცეულა, მაგრამ ელემენტარული ეთიკის ნორმა დაირღვა. გულნატკენმა პოეტმა ეს სხვათა გასაგონად დაწერა. მე კი ჩემი წერილისთვის გამოვიყენე.

და აი, რატომ:

ჟურნალ „ცისკრის“ წლევანდელ მე-11 ნომერში დაიბეჭდა ჯანსულ ღვინჯილიას წერილი „ჩვენი დუმილის პასუხად...“ სადაც კრიტიკოსი მკაცრად ამხელს ამ ბოლო დროს ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში გაბატონებულ ქებადიდების ავადმყოფურ წესს.

„ეს ქება დიდების სიტყვები კი, ეს გაზვიადებული ეპითეტები, ეს მაღალფარდოვანი და პათეტიკური შეძახილები, ეს საოცარი შედარებები და პარალელები, სამწუხაროდ, იმაზე მეტყველებენ, რომ ჩვენ პროვინციალური ლიტერატურული ცხოვრებისაკენ მივექანებით“.

ეიდრე პროვინციალიზმის უფსკრულისკენ დაქანებულ ქართულ მწერლობას გადაველობებოდეთ, იქამდე, გურამ პეტრიაშვილის თქმის არ იყოს, თუ ტრაბახში არ ჩამომერთმევა, მინდა მკითხველს შევახსენო, რომ ამ აგორებული მანქანის შესაჩერებლად ერთი ნაფოტი მეც დამიდვია.

ასე რომ, ჯანსულ ღვინჯილია ამ უსიამოვნო ტენდენციის პირველაღმომჩენად ვერ ჩაითვლება, რადგან ეს მოვლენა ჩვენამდეც შეუმჩნევიათ.

ახლა ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი წერილი აქ თავმოსაწონებლად არ გამიხსენებია. უბრალოდ მაინტერესებდა — წაკითხული აქვს იგი კრიტიკოსს თუ არა.

ჯერ ერთი. რაკი ერთიდაიმავე ტენდენციაზე მოგვიხდა საუბარი, თუ წაკითხული ჰქონდა, ეს მკითხველისათვის არ უნდა დაემალა.

მეორე. თუ წაკითხული არა აქვს, უარესიცაა, რადგან იმ წერილის დაწერა ჩემთვის „საშინაო დავალებად“ არავის მოუცია. საკუთარ წიგნში შეტანამდე, ჯერ ჟურნალ „ცისკარში“ გამოვაქვეყნე.

ასე რომ, წერილში დასმული პრობლემა ჯანსულ ღვინჯილიას არ აღმოუჩენია. ტენდენცია ადრე იყო შემჩნეული და ამის გამო მეტნაკლებად ყველანი ვწუხდით.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ გაირკვა, რომ ჯანსულ ღვინჯილიასა და მე ერთი სატკივარი გვქონია და საერთო ჭირით ვყოფილვართ სნეული. ამიტომ ახლა გული მწყდება, ეს მშვენიერი შემთხვევა ხელიდან რომ გავუშვი და ამ წერილს ვაჟა-ფშაველას სტრიქონები არ წარვუმძღვარე!

მშობელი ქვეყნის მოზარევ,
უნდა გიმღერო მთურადა.
იმავ ჭირით ვარ სნეული,
რაც შენ გატყვია წყლულადა..

ასე ორივენი უფრო კარგები გამოვჩნდებოდით. რასაკვირველია, ეს არ ვქენი და

11. „მნათობი“, № 12.

გურამ პეტრიაშვილის სიტყვები გავიმეორე. ამით ხაზი გავუსვი, როცა ჯანსულ ღვინჯილია და მე ერთმანეთს ვეკამათებით, ჩვენი დონე უნდა ვიცოდეთ, რათა შესაფერ წრეში ვიტრიალოთ. უკვდავების დაფნების გაცემა კი ჯერჯერობით, ჩვენი საქმე არაა.

* * *

წერილში „ჩვენი დუმილის პასუხად"... ჯანსულ ღვინჯილიას კეთილი სურვილი ამოძრავებდა. ჩვენს ლიტერატურაში რაკი ყოველგვარ ზომას გადაცილებული ხოტბის უამრავი ფაქტი დაგროვდა, სურდა გაეფრთხილებინა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რომ ეს ტენდენცია უარსაყოფია და დასაგმობი.

ეს კეთილი, ადამიანური სურვილია და ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს.

რა თქმა უნდა, საისტორიო საზოგადოების მიერ მოწყობილ შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვების, სათანადო რედაქტირების გარეშე, ცალკე წიგნად გამოცემამ, ირაკლი აბაშიძეს ცუდი სამსახური გაუწია, რადგან ეს კრებული მართლაც ვერ სტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას. აქ ჭეშმარიტად არ არის დაცული ზომიერება და მისი ტონი, იქნებ ზეპირ მეტყველებაში ისე არ გეხამუშოთ, მაგრამ დაბეჭდილი უკვე სულ სხვაა. რიგ შემთხვევაში, მართლაც, პანეგირიკის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ჯანსულ ღვინჯილიას მიერ წერილში მოტანილ ზოგ ციტატასაც დაკვირვებით უნდა წაკითხვა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

აქ ერთ გარემოებაზე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ. ჯ. ღვინჯილიას წერილი გამიზნულია საერთოდ პანეგირიკის წინააღმდეგ. აქ სადაო არაფერია, ვიმეორებ, ამის თაობაზე ადრეც ითქვა (სხვისი მისამართითა და სხვა კონტექსტში) და კვლავაც ითქმება. საქმე ისაა — წერილი დაწერილია იმ ინტონაციით (ჩემი აზრით, მცდარი ინტონაციით), რომ მკითხველთა უმეტესობა დაიბნა და იგი აღიქვა, როგორც ირაკლი აბაშიძის წინააღმდეგ მიმართული აქტი. ეს მცდარი შთაბეჭდილებაა, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს, საკმაოდ სერიოზული და ღამაფიქრებელი მიზეზი და იგი თვით სტატიაშია საძიებელი.

ჯ. ღვინჯილიამ მიზნის მისაღწევი გზა რომ აირჩია, სწორედ აქ გაექცა ხელი და ამის გამო ძნელი გასაგები შეიქნა, რისი თქმა სურდა კრიტიკოსს, მთელ ქართველ ხალხს სდებდა ბრალს, მხოლოდ პოეტს თუ მის მეხოტბეთ. ხომ არ დაარღვია კრიტიკოსმა ლიტერატურული ეთიკის საზღვრები იმდენად, რომ გაურკვეველი გახდა — ვის ებრძოდა და ვის ედგა ჰზარში, ვისთვის გამოქონდა განაჩენი, საერთოდ ეროვნული კულტურისთვის (ამ უფლების მოპოვებას ბევრზე ბევრი რამ ჭირდება) თუ კონკრეტულ ფაქტს ამხელდა.

ნათქვამია, ხვნაში გარიგება სჯობს მკაში გარიგებასო, ამიტომ მინდა მკითხველმა ამთავითვე იცოდეს, რომ კალამი ხელში მხოლოდ ირაკლი აბაშიძის სიყვარულმა კი არ ამაღებინა, არამედ იმანაც, რომ ჯანსულ ღვინჯილიას წერილს, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, უფრო დიდი მიზანი აქვს! ყოველ შემთხვევაში, იგი იმ სფეროსა და პრობლემებს გადაწვდა (ნებსით თუ უნებლიეთ), რომ დაგვაეჭვა ქართული მწერლობის, საზოგადოებრივი აზრის, ეროვნული კულტურის ღირსებებშიც კი.

მე ვიცი, დიდ ცოდვას ვდებ ბრალად კრიტიკოსს და არავინ მაპატიებს, მიკერძოებით თუ რაიმე განვსაჯე, ამიტომ ვაცხადებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც სრულ სიმართლედ მიმაჩნია.

* * *

„საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ (თავმჯდომარე აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია) 1980 წლის 31 ოქტომბერს შეხვედრა მოუწყო პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს. აქ გამოცხადდა მისი საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის შესახებ. ი. აბაშიძემ შეასრულა საპატიო წევრის რიტუალი ღია ცის ქვეშ მუზეუმის ერთ-ერთ კუთხეში დარგო მუხა.

წინამდებარე კრებულში დაბეჭდილია ქართველ მეცნიერთა მისალმებები ძვირფასი სტუმრისადმი".

კრიტიკოსის აზრით, ანოტაცია საჩოთიროს არაფერს შეიცავს, თავად კრებულში კი „სიტყვების უდიდესი ნაწილი გაჟღენთილია დაუოკებელი, ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული ხოტბის სულისკვეთებით".

და მართლაც, კრებულში არის იმის მაგალითი, როცა გადაჭარბებული და მოუზომავი სიტყვა უხერხულ დღეში აყენებს არამარტო მის ავტორებს, არამედ ირაკლი აბაშიძესაც და კრებულის მკითხველსაც:

„თქვენ მიეცით დასაბამი და აწვითარებთ ქართულ ფილოსოფიურ აზრს".

„ხალხმა ქართული პოეზიის სამეფო გვირგვინით შეგამკოთ, საქართველოს უგვირგვინო მეფე გიწოდათ".

„თქვენი შემოქმედება ქართველი ჰომეროსის — სულმნათი აკაკის დონეზე დააყენა".

„როგორც ამ საუკუნის ყველაზე დიდმა კაცმა".

ეს რამდენიმე ფრაზა სუფრაზე წარმოთქმულ სადღეგრძელოს უფრო ჰგავს და მისი წაკითხვა, დარწმუნებული ვარ, უხერხულ დღემდე მოჰგვრიდა პატივცემულ პოეტს — „ფხიზელი ბუნებისა და იუმორის პატრონს" — როგორც ამას მართებულად მიანიშნებდა კრიტიკოსი.

ჯანსულ ღვინჯილია სრულიად სამართლიანად

მიუთითებს ამის თაობაზე, იმის მიუხედავად, რომ მისთვის „ირაკლი აბაშიძე ნამდვილად არის ის პიროვნება და ის პოეტი, ვისზედაც შეიძლება ითქვას თბილი სიტყვა, ვისი დამსახურებაც უნდა აღინიშნოს".

კარგი იქნებოდა, კრიტიკოსს ეს ტონი ბოლომდე შეენარჩუნებინა და მეტი გულისტკივილი არ მიეყენებინა პოეტისათვის, მით უფრო, როცა თავად პოეტი არაფერ შუაშია.

კრიტიკოსს უფლება აქვს, გვითხრას, ირაკლი აბაშიძის მიმართ, სიყვარულის გარდა, არაფერი გამომიხატავსო.

ერთი შეხედვით სწორი იქნება, რადგან კრიტიკოსი საყვედურობს არა პოეტს, არამედ ქართველ მეცნიერებს, ხოტბას რომ აღავლენენ.

დიახ, სწორი იქნება... მხოლოდ ერთი შეხედვით.

ალარ მინდა კიდევ ერთხელ მივაყენო გულისტკივილი პოეტს და ყველა იმ უხერხულ სიტყვასა და წინადადებას არ გადმოვწერ, ერთს კი ვიტყვი:

სამოცდაათ წელს გადაცილებულ შემოქმედს, ვისაც თავისი ხალხის საყოველთაო სიყვარული დაუმსახურებია, ასე არ ელაპარაკებიან:

„სწორედ წვლილი, ირაკლი აბაშიძის, როგორც პოეტისა და მოქალაქის, წვლილი გაისრისა...."

„ჩვენ ამ უზარმაზარ ტიტულებში დავმარხეთ ირაკლი აბაშიძის ნამდვილი დამსახურება..."

არა მგონია, მკითხველი არ შეაცბუნოს ამ მოუზომავმა სიტყვებმა, იმდენად უმისამართოდ და უზუსტოდ არიან ისინი მოხმობილი.

მინდა შევახსენოთ, რომ ეს სიტყვები ჯანსულ ღვინჯილიას მიერ ქართველ მეცნიერთა მისამართით იყო ნათქვამი, ახლა მას ბუმერანგივით უკან რომ მოუბრუნდა. რაც შეეხება ირაკლი აბაშიძის „პოეტისა და მოქალაქის წვლილის გასრესასა და მისი დამსახურების დამარხვას", ეს ასე იოლად არ წყდება და იმაზე არაა დამოკიდებული, შეაქებს თუ არა მას ჯანსულ ღვინჯილია.

კრიტიკოსის მოუზომავად ნათქვამ სიტყვებს კი, გარდა წამიერი გულისტკივილისა, სხვა ზიანის მოტანა აღარ შეუძლია, რადგან ირაკლი აბაშიძესთან ყოველი შეხვედრა ქართველ კაცს უფრო სასიამოვნო ასოციაციას აღუძრავს:

„სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის".

* * *

კრიტიკოსი ერთგან წერს: „სავსებით ბუნებრივი და მისაღები მეჩვენება ირაკლი აბაშიძის მისამართით თქმული ასეთი შეფასებანი". მერე მოაქვს ამონაწერები ქართველ მეცნიერთა წერილებიდან, სადაც კადაკრული სიტყვაც არაა ნათქვამი რაიმე შეფასებაზე. ამის შემოწმება ადვილია, იქამდე კი მინდა მკითხველი გავაფრთხილო, რომ ჯანსულ ღვინჯილია არაა ის კრიტიკოსი, [illegible] ილეთებით რომ მოქმედებდეს. ეს შეცდომა უფრო იმის მიზეზია, რომ სწორად არ შევარჩიეთ და თავის ადგილზე არ დავსვით სიტყვა.

„ნება მიბოძეთ საქართველოს საისტორიო საზოგადოების 9000 წევრიანი კოლექტივისა და ლიაცისქვეშა მუზეუმის თანამშრომელთა სახელით მოგილოცოთ თქვენი დაბადების 70 წლისთავი და გისურვოთ ყოველგვარი სიკეთე, ბედნიერება, მრავალჟამიერი სიცოცხლე, ახალი და ახალი შემოქმედებითი მიღწევები" (გიორგი ჩიტაია).

კიდევ გადაიკითხეთ ეს ციტატა, იქნებ აქ მართლაცაა ლაპარაკი შეფასებაზე და მე ვერ ვხვდები. ამასობაში მეორე ამონაწერსაც მოვამზადებ:

„შემთხვევით როდია, რომ თქვენთან შეხვედრა მოეწყო აქ, ამ სავანეში, სადაც თავმოყრილია ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის, მისი ყოფის ბევრის მომსწრე და ბევრის მთქმელი ძეგლები. ქართული ხუროთმოძღვრული ხელოვნება ხომ პოეტურ შემოქმედებასთან ერთად იმ დარგს წარმოადგენს, რომელშიც უხვადაა გამოვლენილი ჩვენი ხალხის გენია" (ლონგინოზ სუმბაძე).

ამ ციტატების გაცნობის შემდეგ, ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ჯანსულ ღვინჯილიას „სავსებით ბუნებრივი და მისაღები ეჩვენება", როცა ირაკლი აბაშიძეს არ აფასებენ! უფრო სწორად, როცა პოეტის შეფასებაზე არაფერია თქმული.

სიმართლის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსის მიერ მოტანილ ციტატებში არის ერთადერთი შემთხვევა, სადაც ირაკლი აბაშიძის ღვაწლი, ასე თუ ისე, აღნიშნულია: მარიამ ლორთქიფანიძე წერს: „ბ-ნი ირაკლი ბრძანდება საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მომენტებისადმი მიძღვნილი არაერთი ბრწყინვალე ლირიკული ლექსისა და თბილისის შესახებ შესანიშნავი პოემის „რას გადაურჩა თბილისი" ავტორი".

* * *

ჯანსულ ღვინჯილია წერს: „ეს იმ რანგის შეცდომაა, დუმილის უფლებას რომ არ გიტოვებს. საგანგაშო მოვლენის არსში დროზე უნდა გავერკვეთ. არა გვაქვს უფლება დუმილისა, რადგან იმავე კრებულში კიდევ ვკითხულობთ მსგავს სიტყვებს"...

თავდაპირველად კრიტიკოსის შეშფოთება მეც გადმომედო. მაგრამ სანამ მის მხარეს დავდგებოდე, მანამდე მინდა გავერკვე იმ „საგანგაშო

მოვლენის არსში, დუმილის უფლებას რომ არ გვიტოვებს“.

„ლონგინოზ სუმბაძე: „ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ და მთელი ეპოპეა „რუსთაველის ნაკვალევზე“ თავისი ფილოსოფიური სიღრმითა და პოეტური ზეშთაგონებით მსოფლიო პოეზიის შედევრებს უტოლდება და მეტყველებს არა მარტო თქვენს დიდ პოეტურ ნიჭზე, არამედ ქართველი ერის, რომლის ღირსეული შვილიც თქვენ ბრძანდებით — დიდ შემოქმედებითს გენიაზე“.

პატივცემული მეცნიერის ზემოთ მოტანილ ამონაწერს რომ გავეცანი, შეშფოთების ნაცვლად, ამ სტრიქონების ავტორისადმი სიმპათიით განვეწყვე.

მთელს ამ საგანგაშო მოვლენის არსში, ე. ი. პოეტისადმი მიძღვნილ საქებარ სტრიქონებში, კონკრეტულად ირაკლი აბაშიძის „წილი“ ასე გამოიყურება:

1. ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ და „რუსთაველის ნაკვალევზე“ მსოფლიო პოეზიის შედევრებს უტოლდება.

2. რომ ეს ლექსები მეტყველებენ ირაკლი აბაშიძის დიდ პოეტურ ნიჭიერებაზე.

3. რომ ირაკლი აბაშიძე ქართველი ერის ღირსეული შვილია.

ბოლო ორ პუნქტზე მკითხველის შეწუხება აღარ დამჭირდება, ჯანსუღ ღვინჯილიაც დამემოწმება, რომ ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ და „რუსთაველის ნაკვალევზე“ მართლაც მოწმობს მისი ავტორის „დიდ პოეტურ ნიჭიერებას“.

არც იმას გახდის კრიტიკოსი საეჭვოს, რომ ირაკლი აბაშიძე „ქართველი ერის ღირსეული შვილია“.

დაგვრჩა მთავარი: ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ და „რუსთაველის ნაკვალევზე“ მსოფლიო პოეზიის შედევრებს რომ უტოლდება.

პოეტის პოეტთან შედარება და პოეტის პოეტთან გაჯიბრება უფრო სუბიექტური ფაქტორია და ბევრ პირობითობას მოიცავს. თუ მაინცდამაინც აუცილებელია ერთ სასწორზე „მოიწონონ“, მაშინ პირველი პირობა იქნება, ისინი დედანში წავიკითხოთ.

უცხო ენების უცოდინარობის გამო, ჯანსუღ ღვინჯილიას და მე ამის გაკეთება არ შეგვიძლია, ჩვენ უფლება არა გვაქვს თარგმანების მიხედვით ვიმსჯელოთ, რადგან ქართულ თარგმანში, გოეთე რომ გოეთეა, ისიც ისე გამოიყურება, რომ მასთან ნებისმიერი საშუალო ნიჭის ქართველი პოეტის შედარებაც ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დამთავრდება.

პატივცემულ მეცნიერს, ლონგინოზ სუმბაძეს, უფლება ჰქონდა ირაკლი აბაშიძის უბრწყინვალესი პოეტური ნაწარმოებები მსოფლიო შედევრებისთვის შეედარებინა.

მე ამ აზრს არ გავუკვირვებივარ. მით უფრო, არ უნდა გაკვირვებოდა ჯანსუღ ღვინჯილიას, რომელიც ერთ თავის სტატიაში წერს, რომ გიორგი ქაპანაძის თაობის „უპირველეს ნიშნად უნდა ჩაითვალოს ძიების დაუშრეტელი წყურვილი... მსოფლიო პოეზიის „ალუაზის“ ახალი საყრდენი წერტილების მოსინჯვა...“ (ალმანახი „კრიტიკა“, № 5, 1973 წ. გვ. 52).

ასე რომ, ახალი გადანაწილების შემდეგ, როცა გადამეტებული შექებიდან ირაკლი აბაშიძის „წილი“ ცალკე გამოვყავით, ციტატაში დარჩა ერთადერთი თეზა, სადაც ლაპარაკია ქართველი ხალხის შემოქმედებით გენიაზე...

ეს კი, დიდი გადაჭარბებაც რომ იყოს, ძალიან მინდა, ჯანსუღ ღვინჯილიასთან შეთანხმების გარეშე, უცვლელად დავტოვო.

მამია დუმბაძე: „მეზღვაურებთან ერთი შეხვედრისას ბეთჰოვენმა ჰკითხა მისი მუსიკით მოჯადოებულ მსმენელებს — რა მოგწონთ ჩემს შემოქმედებაში? პასუხი ასეთი ყოფილა — არ ვიცი რა მოგვწონს, მაგრამ როცა თქვენს მუსიკას ვისმენთ, გმირული საქმისათვის ბრძოლის სურვილი გვეუფლება... ასეთივე ძალა და მნიშვნელობა აქვს ირაკლი აბაშიძის პატრიოტულ ლირიკასაც“.

სამწუხაროდ, არ ვიცით, ნამდვილად შეხვდა ბეთჰოვენი იმ მეზღვაურებს და მართლა ჰკითხა თუ არა აზრი თავის შემოქმედებაზე, ან კონკრეტულად, რა საგმირო საქმეზე წაადგათ მათ კომპოზიტორის ჯადოსნური მუსიკა.

ქართველი კაცისთვის კი ცნობილია, რომ ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“ ფრონტზე იმღერებოდა. ამ უდიდესი პატრიოტული გრძნობით აღვსილი სტრიქონებით აღფრთოვანებული მებრძოლები თავგანწირვის საოცარ მაგალითს იძლეოდნენ:

> ...და ვუბარებ ყოველ ქართველს:
> მისი წმინდა ვალი არის —
> მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას
> დერბენდი და დარიალი...

ქართველი კაცისთვის უკვდავი სტრიქონებია — ვიდრე სურვილი ექნება, პოეტის მიერ ხაზგასმულ გეოგრაფიულ განედზე იარსებოს.

ვიდრე სურვილი ექნება — მამულიც ქართული ჰქონდეს და თავადაც ქართველი იყოს.

საერთოდ კი, პოეტის უკვდავების განჭვრეტა ცოტა უცნაურ ფაქტორზეც არის დამოკიდებული და ამ თემაზე საუბრისას მეტისმეტი სიფრთხილე გვმართებს.

დიმიტრი ბაგრატიონი, როცა თავის პაწია ნანაზე ლექსს გამოთქვამდა:

> ვეტყვი ახოს ნანასა, მისხა შესაგვანასა.
> ტკბილად რასმე ძილისა ადრე მოსაყვანასა...

ან კიდევ:

დავით ბატონიშვილი როცა წერდა:

გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა...

ძნელი დასაჯერებელია, მათ ეფიქროთ, საუკუნეების მერე ამ სტრიქონებს ჩვენი შორეული მემკვიდრენი გაიხსენებენო. არადა, სულ ახლახანს, ერთი ლექსის კრებულის — „ვით მარგალიტი ობოლი“ — შემდგენლებმა გვერდი ვერ აუარეს მათ ლექსებს და უყოყმანოდ მიაწოდეს მკითხველს.

ვერც ᲥᲝᲑᲐᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ საფლავის ქვის წარწერის ანონიმი ავტორი იწინასწარმეტყველებდა ამგვარ ბედს:

(წა) მოედით სოფლისაგან ცოდვაქმნილნი და
გამკრთალნი,
გულსა ცეცხლი მომედების, ამომდიან პირით
ალნი,
დიდთა მათთა შეებათაგან დამრჩეს ჩონჩხნი
ნაფერთალნი,
კურთხეულ ხარ, ქრისტე ღმერთო, შენ და
შენი სამართალი.

თავად პოეზიაც იდუმალია და ღვთიური, დაილოცა მისი სამართალი — უბრალოდ „სტოლენაჩალნიკს“ უკვდავების ბინადარს რომ გახდის...

მე „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“, სათქმელს დავშორდი. ახლა მივბრუნდეთ და ნათქვამი შევაჯამოთ.

ომში ქართველი მებრძოლები ირაკლი აბაშიძის ლექსს მღეროდნენ. მშვიდობიანობის დროსაც ისევ საყვარელი პოეტის სტრიქონებს იმეორებენ.

ტიციანის თქმისა არ იყოს:

ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი.
სინდისით აღარ მოეთხოვება...

ჩანს, პატივცემულ მეცნიერს, მამია დუმბაძეს, მშვენივრად სცოდნია ირაკლი აბაშიძის პატრიოტული ლირიკის ხიბლი, მომაჯადოებლად რომ მოქმედებს მკითხველზე.

სხვათაშორის, ჯანსუღ ღვინჯილიაც, თუ ახლა არ გადათქვა, ადრე გამოქვეყნებულ წერილში მეცნიერის მხარეზე იდგა.

მოვუსმინოთ კრიტიკოსს:

„ჩემი აზრით, ეს მოტივი (პატრიოტული მოტივი, თ. წ.) ყველაზე უმძაფრესია დღევანდელ ქართულ პოეზიაში, ერთადერთი მოტივი, რომლის მხატვრული დონე აკმაყოფილებს თანამედროვე მსოფლიო პოეზიის მოთხოვნებს...“

პატივცემული მეცნიერი მამია დუმბაძე და კრიტიკოსი ჯანსუღ ღვინჯილია, სხვადასხვა დროს, ერთ საერთო დასკვნამდე მისულან, რომ თანამედროვე ქართული პატრიოტული ლირიკა მსოფლიო პოეზიის დონეზეა.

აქამდე არაფერი მითქვამს და არც არავინ მაძალებდა, რაიმე კავშირი მეძებნა მუსიკასა და ირაკლი აბაშიძის ლექსებს შორის, მაგრამ, ეტყობა, ეს საქმეც აქვე უნდა გაირკვეს, მერე რომ არ მისაყვედურონ, მით უფრო, როცა ირაკლი აბაშიძის პატრიოტული ლირიკის ზეგავლენა, შორეულად, ბეთჰოვენის მუსიკასთან არის შედარებული.

სამწუხაროდ, ასეთ პარალელს სხვა ავტორთან ვერ მივაგენი, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ საყურადღებო აზრს მაინც გაგაცნობთ:

ᲧᲐᲘᲡᲘᲜ ᲧᲣᲚᲘᲔᲕᲘ:

„მთელი წიგნი („პალესტინა, პალესტინა“. თ. წ.) ჟღერს როგორც შესანიშნავი ოსტატების საორღანო მუსიკა, სიძლიერითა და სიდიადით მოგვაგონებს ᲑᲐᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲐᲚᲡ“.

შესაძლოა, ზოგს ბახი არც მიაჩნდეს ბეთჰოვენის ტოლ კომპოზიტორად, მაგრამ, ჩემის აზრით, ალბათ, მთლად ხელწამოსაკრავი მუსიკოსიც არ უნდა იყოს!

რაც შეეხება ყაისინ ყულიევის წერილს, იგი „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე დაიბეჭდა და საკავშირო პრესის მკითხველებს არ გაკვირვებიათ ირაკლი აბაშიძის პოეზიის მიმართ გამოთქმული ეს შეფასება.

თუ სხვა რამ არ გვაინტერესებს, წინ წავიწიოთ.

„ᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲞᲐᲠᲐᲕᲐ: ...ხოლო მისი ავტორი ირაკლი აბაშიძე, — ამაზე მეტი რომ არაფერი შეექმნა (ლაპარაკია დედა ენაზე შექმნილ ლექსზე „ხმა კატამონთან“), მაინც დაიმკვიდრებდა წმიდათაწმიდა ადგილს საქართველოს ეროვნულ გმირთა გალერეაში“.

„ყოველი პოეტი, თუ იგი რამედ ღირს (ნოდარ ჩხეიძის სიტყვებია. თ. წ.), მკვიდრია ეროვნულ გმირთა წმიდათაწმიდა ადგილისა... ირაკლი აბაშიძეს კი იმის გარდა, რომ ის ბრწყინვალე ქართველი პოეტია, მთავრობამ გმირის წოდება ოფიციალურად მიანიჭა.

ამიტომაც ქართველ მეცნიერს თავის საყვარელ პოეტისათვის სრულიად სამართლიანად მიუჩენია მისთვის კუთვნილი წმიდათაწმიდა ადგილი...

ᲓᲔᲕᲘ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ: „ირაკლი აბაშიძე დიდოსტატია მონუმენტური პოეტური სიურპრიზებისა. მისი ლექსების რკალი რუსთაველის შესახებ უდიდესი მოვლენაა მთელს თანამედროვე ლიტერატურაში“.

ამოწერილი ციტატის ავტორს, პატივცემულ დევი სტურუას, მონუმენტურ პოეტურ სიურპრიზად, ალბათ, ირაკლი აბაშიძის „მიახლოება ნახევარ საუკუნესთან“, „პალესტინა. პალესტინა“ და „რუსთაველის ნაკვალევზე“ მიაჩნია. ეს ციკლები რომ დიდი მოვლენაა თანამედროვე ლიტერატურაში, ამის თაობაზე იმთავითვე შეთანხმდნენ და ახლა სადაოდ აღარავის მიაჩნია.

თავი მოვუყაროთ ნათქვამს.

ჯერ იყო და კრიტიკოსი წერდა: სავსებით ბუნებრივი და მისაღები მეჩვენება ირაკლი აბაშიძის მისამართით თქმული ასეთი შეფასებანი. როცა ავდექით და შევამოწმეთ, გაირკვა, რომ იქ პოეტის შეფასებაზე საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი. უბრალოდ, ქართველი მეცნიერები ესალმებოდნენ ძვირფას სტუმარს.

მერე იყო და, კრიტიკოსმა ქვეყანა შეყარა, „საგანგაშო მოვლენის არსში დროზე უნდა გავერკვეთ. არა გვაქვს უფლება დუმილისა“. მაგრამ როცა ვნახეთ საქმე ასე არ აღმოჩნდა.

* * *

ჯანსუღ ღვინჯილიას მიაჩნია, რომ „ზემოთ ჩამოთვლილ ტიტანთა (რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი. თ. წ.) უნიკალურ მემკვიდრეობასთან ირაკლი აბაშიძის პოეზიის გათანაბრება არ შეიძლება“.

გაირკვა, რომ დიდ ქართველ პოეტთა შორის ირაკლი აბაშიძის პოეზიისთვის ადგილი არ აღმოჩნდა, მაგრამ მთლად მშრალზე ხომ ვერ დავტოვებთ?

ეტყობა, ამაზეც უფიქრია ჯანსუღ ღვინჯილიას და საკუთარ ფორმულირებას გვაწვდის ასეთი რედაქციით:

„ირაკლი აბაშიძე არის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) საინტერესო წარმომადგენელი დღევანდელ ქართული პოეზიისა...“

კეთილი და პატიოსანი.

ახლა მე დავინტერესდი, კრიტიკოსის აზრით, დღევანდელ ქართულ პოეზიას კიდევ ჰყავს თუ არა მეორე საინტერესო პოეტი?

კვლევის შედეგს აქვე გაგაცნობთ.

„დღემდე გრძელდება გაუმართლებელი დუმილი ისეთი საინტერესო პოეტის მიმართ, როგორიც გიორგი კაპანაძეა“ (ალმანახი „კრიტიკა“, № 5, 1978 წ. გვ. 50).

ახლა გადმოვწეროთ საქართველოს საინტერესო პოეტების სია, იგი ასე გამოიყურება.

ირაკლი აბაშიძე,

გიორგი კაპანაძე.

მე გიორგი კაპანაძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, არც არასოდეს მქონია, მაგრამ თუ ის უხერხულ დღეში ჩავაყენე, ბოდიშს ვიხდი. თუმცა იგი რა შუაშია, ან უხერხულ დღეში რატომ იქნება. უკეთესი რა უნდა ენატრა?...

ალბათ ბოდიში უნდა მოვუხადო ირაკლი აბაშიძეს...

ანდა... ჯანსუღ ღვინჯილიას...

ანდა... მკითხველებს...

ანდა...

ერთი სიტყვით, ველარ გავარკვიე, ვის რა ერგება ჩემგან და ვისგან რა მერგება მე.

ამ დღეში კი, პატივცემულმა კრიტიკოსმა არ უნდა ჩამაგდოს.

ხოლო რაც შეეხება ჯანსუღ ღვინჯილიასეული კლასიფიკაციით შედგენილ „საქართველოს საინტერესო პოეტების“ სიას, მე ჩემს აზრს, ალბათ ასევე „საინტერესო პოეტის“ მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით გამოვთქვამ:

კი მაგრამ, ღმერთი ალარაა, ბნელა?!

* * *

კრიტიკოსი კრებულის ერთ-ერთი ავტორის, პროფესორ აკაკი სურგულაძის საყურადღებოდ ამბობს:

„ხალხი ჩვენი სათაყვანებელი კერპია, უდიდესი ცნებაა იგი და ამდენად ულამაზოდ ჟღერს ფრაზა „ჩვენს ხალხს ჰქონდა ბედნიერება აღენიშნა თქვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე“.

ასე თქმა არ შეიძლება და აი, რატომ:

„ხალხს კი არა აქვს ბედნიერება ჩვენი იუბილეების აღნიშვნისა, ჩვენ გვხვდება წილად ბედნიერება, ხალხმა აღნიშნოს ჩვენი იუბილე და ყოველი პოეტი ლოცულობს თავის ხალხზე და ოცნებობს თავისი კალმით ემსახუროს თავის ერს — დიადს, ამაღლებულს, მარადიულს!“

კრიტიკოსი ალარ ელოდება, იზიარებს თუ არა პატივცემული პროფესორი ამ აზრს;

„როგორ? ამ დიადს, ამაღლებულს, მარადიულ ხალხს, რომლის ნამტვრევები ვართ ჩვენ, აქვს ბედნიერება ჩვენი იუბილეების აღნიშვნისა? ასეთი პატარა ცნება გვგონია ჩვენ ხალხი?“

იქნებ არც აკაკი სურგულაძეს მიაჩნია ხალხი პატარა ცნებად და, გამორიცხული არაა, კარგი წარმოდგენაც ჰქონდეს ხალხზე, მაგრამ ხმის ამოღება თუ არ ვაცადეთ, არაფერი ვაირკვევა.

მე კი, ოპონენტის უფლებით, ვაცხადებ, რომ კრიტიკოსის მიერ ამ ამონაწერში გატარებულ აზრიდან, ზოგი რამ სწორია, კერძოდ:

ა) ხალხი ჩვენი სათაყვანებელი კერპია, უდიდესი ცნებაა.

ბ) ყოველი პოეტი ლოცულობს თავის ხალხზე, ოცნებობს თავისი კალმით ემსახუროს თავის ერს.

სხვა დანარჩენი ან საეჭვოა, ან აშკარად მცდარი.

დავიწყოთ აქედან: „ულამაზოდ ჟღერს ფრაზა „ჩვენს ხალხს ჰქონდა ბედნიერება, აღენიშნა თქვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე“. ხალხს კი არა აქვს ბედნიერება ჩვენი იუბილეების აღნიშვნისა. ჩვენ გვხვდება წილად ბედნიერება ხალხმა აღნიშნოს ჩვენი იუბილე“.

ასე მკვეთრი დაპირისპირება, ალბათ, არ ივარგებს. რადგან, დადგენილი და მიღებული

ტრადიციის მიხედვით იუბილეს უხდიან არა იმას, ვისაც დაბადების მრგვალი თარიღი შეუსრულდა, არამედ ხალხის უველაზე თვალსაჩინო და ღირსეულ შვილს.

სწორედ ეს თვალსაჩინო და ღირსეული შვილები ხდიან თავის ხალხს — დიადს, ამაღლებულს, მარადიულს. ამათ გარეშე ე. ი. დიდი პიროვნებების გარეშე, ხალხი ყოვლად ჩვეულებრივი ადამიანების საკრებულოა.

ამიტომ ხალხსაც აქვს ბედნიერება თავისი დიდი შვილის იუბილეს აღნიშვნისა. მაგალითად, მე მგონია, ბედნიერებად მიაჩნია ინგლისელ ხალხს, როცა თავის უკვდავი შვილის — შექსპირის იუბილეს აღნიშნავს, ალბათ ასევე ესპანელებს, როცა სერვანტესის იუბილეს აღნიშნავენ, და, ქართველებსაც — რუსთაველის იუბილეს რომ ზეიმობენ.

რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერებაა ჩვენთვისაც ხალხის მიერ აღნიშნული იუბილე.

რაც, სხვათაშორის, ერთი და იგივეა.

განსხვავება იმ შემთხვევაშია, როცა უღირსი ახერხებს, ხალხს დაუმსახურებელი იუბილე გადაახდევინოს. ამას კი დიადი, ამაღლებული და მარადიული ერი არ უნდა აკეთებდეს!

მე აღვნიშნე, რომ მართალია კრიტიკოსის მოსაზრება: „ყოველი პოეტი ლოცულობს თავის ხალხზე და ოცნებობს თავის კალმით ემსახუროს თავის ერს".

ასევე ლოცულობს ხალხი თავის იმ დიდ შვილზე — საქვეყნოდ რომ გამოაჩენს და სახელს მოუხვეჭს. ლიტერატურის სფეროდან ვიცით რამდენიმე მაგალითი, როცა კონკრეტულ ქვეყანას მხოლოდ იმით იცნობენ, რომ იქ დიდი მწერალი დაიბადა.

ამ მცირე განმარტების შემდეგ კრიტიკოსის ნათქვამი ცოტა ხმამაღალ განმარტებად მომეჩვენა: „როგორ? ამ დიადს, ამაღლებულს, მარადიულ ხალხს, რომლის ნამტვრევები ვართ ჩვენ, აქვს ბედნიერება ჩვენი იუბილეების აღნიშვნისა? ასეთი პატარა ცნება გვგონია ჩვენ ხალხი?"

წინადადება ხელახლა რომ გადმოვწერე, რიტმზე და ტონზე დაკვირვებით ვატყობ, რომ კი არ მომჩვენებია, აშკარად გვიყვირის კრიტიკოსი.

* * *

ჯანსუღ ღვინჯილიას წერილების მკითხველს შემჩნეული ექნება, რომ კრიტიკოსი აზრის მოკლედ და ნათლად ჩამოყალიბებას ხშირად ამჯობინებს, რაც შეიძლება გაზარდოს დაწერილის მოცულობა.

ეტყობა, ჯანსუღ ღვინჯილიასთვის უფრო მთავარია აზრის გავრცობილად თქმა და არა ის, რომ ეცადოს და უკეთ ჩამოაყალიბოს სათქმელი.

ისიც უნდა ვთქვა, რომ დაზოგილ წუთებს კრიტიკოსი თავისუფალი დროის გასახანგრძლივებლად არ იყენებს, იგი ეხარჯება ლიტერატურული ტრანსპარანტების შესაქმნელად.

„ჩვენ, ყველანი, პასუხისმგებელნი ვართ ჩვენი ლიტერატურის აწმყოსა და მომავლის წინაშე!"

„იმ ფაქტს უნდა ჩავუფიქრდეთ, რამაც დაგვირგვინა ჩვენი არასწორი ცხოვრების წესი".

„თუ სერიოზულად არ ვიფიქრეთ ამ მოვლენაზე, ძალიან გაგვიჭირდება ხვალ".

„შინაგანად არ ვართ მზად სერიოზულად ვუდგებოდეთ ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას".

„საგანგაშო მოვლენების არსში დროზე უნდა გავერკვეთ, არა გვაქვს უფლება დუმილისა..."

„ქართული ლიტერატურა არასდროს ყოფილა პროვინციალური ლიტერატურა და დღესაც არა გვაქვს არავითარი სურვილი პროვინციული ლიტერატურული ცხოვრებით ვიცხოვროთ".

„სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი აშკარად ცუდს ამბობს ჩვენს შინაგან კულტურაზე".

„დიდი ქართული ლიტერატურითა და დიდი მეცნიერებით აღზრდილი ჩვენი სული ვერ შეურიგდება ამგვარ ცხოვრებას".

„რა გვემართება! ასეთი ფაქტები ხომ ჩვენი შინაგანი სულიერი სიმტკიცის, მყარი პოზიციის და პრინციპული დამოკიდებულების საბუთად არ გამოდგება".

„ქართული ლიტერატურა და ქართული მეცნიერება დიდი საქმეებისთვის არის მოწოდებული".

„ხვალ, შესაძლოა, დაისვას კითხვა: ვართ თუ არა ჩვენ კულტურული ერი?"

ნუთუ მართლა ასე ძნელია ამ ლიტერატურულ ტრანსპარანტების შეთხზვაზე უარის თქმა?

სხვათაშორის, ეს ერთადერთი უბანი იყო, სადაც ქართულ კრიტიკას არასოდეს უჭირდა.

ამ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, როგორც ადრე დავპირდით, შევეცდები ვაჩვენო „ჩვენი დუმილის პასუხად" და წაყრუებით წახალისებულმა კრიტიკოსმა როგორ დააყენა ეჭვქვეშ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი, ქართული მწერლობა და ეროვნული კულტურა.

* * *

ჯანსუღ ღვინჯილია დარწმუნებულია: „იმ შემთხვევაში თუ ცნობილ პოეტსა და მეცნიერებს ამ უხერხულობის ტვირთს არ მოვხსნით, მართლაც დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ საზოგადოებრივი აზრის არსებობა".

უნდა გამოვუტყდეთ ერთმანეთს, რომ არავინ ვაპირებდით ირაკლი აბაშიძის შექების გამო საყვედური გვეთქვა ცნობილი მეცნიერებისათვის.

თუ მე მართალს ვამბობ და ყველანი ასე ვფიქრობდით, ბეწვზე ვართ გადარჩენილი!

მაგრამ ყველაფერი აქ არ მთავრდება. როგორც ჩანს, მე ვიჩქარე, იმედიანი დასკვნა რომ

გავაკეთე, ბეწვზე ვართ გადარჩენილი-მეთქი!

„საიდან მოვიდა ეს სენი, როგორ მოედო ჩვენს ცხოვრებას, სენი, რომელმაც აღნიშნული კრებული დაბადა"... აღშფოთებას ვერ მალავს კრიტიკოსი.

მართლაც, რა ქნა ამ კრებულმა ისეთი, რომ საზოგადოებრივი აზრის ეჭვქვეშ დაყენება არ გვაკმარა, ქვეყანა დაუქცევია და ჩვენ არაფერი გაგვიგია!

„რა გვემართება! ასეთი ფაქტები ხომ ჩვენი შინაგანი სულიერი სიმტკიცის, მყარი პოზიციის და პრინციპული დამოკიდებულების საბუთად არ გამოდგება. ისინი ხომ პირიქით მეტყველებენ სულიერი სიმტკიცის გაბზარვაზე, მეტყველებენ, რომ დავკარგეთ კრიტერიუმი, საზომი, ზომიერების გრძნობა და ხვალ, შესაძლოა, იმეტყველონ უფრო საშინელ რამეზე".

კრიტიკოსის შეშფოთება მეც ნელ-ნელა გადამედო და გულწრფელად შევწუხდი, კიდევ რაღა უბედურება უნდა დაატრიალოს ამ კრებულმა?

იმის გარდა, რომ:

„ჩვენი ცხოვრების წესის პროდუქტია იგი".

„დააგვირგვინა ჩვენი არასწორი ცხოვრების წესი..."

„თუ სერიოზულად არ ვიფიქრეთ ამ მოვლენაზე, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება ხვალ".

„ეს იმეტყველებს უკვე ჩვენს არასრულფასოვნებაზე, ეს იქნება იმის დასტური, რომ შინაგანად არა ვართ მზად სათანადოდ ვაფასებდეთ ჩვენი სულიერი ცხოვრების ამა თუ იმ ფაქტს..."

„ჩვენ ღირსნი ვყოფილვართ ამ საზომების, დაკარგული კრიტერიუმების, მაშინ ჩვენ უნდა ველოდეთ უფრო უარეს ფაქტებს".

„ეს იმ რანგის შეცდომაა, დუმილის უფლებას რომ არ გვიტოვებს. საგანგაშო მოვლენის არსში დროზე უნდა გავერკვეთ. არა გვაქვს უფლება დუმილისა..."

მე დავზოგავ მკითხველის მოთმინებას და ვიტყვი, კრიტიკოსის ეს აზრები, ჩვენს ზადაგვარებულ ლიტერატურულ ცხოვრებაზე რომ მეტყველებენ, უნდა გაერთიანებულიყო ერთი რუბრიკის ქვეშ:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი..."

მაგრამ ის, რაც ღვთაებრივ ილიას შეეძლო ეთქვა თავის ერზე, არ დაშვენდება ახალგაზრდა კრიტიკოსს, რომელსაც თავისი შემოქმედებით საამისო ჯერ არაფერი გაუკეთებია.

ლვინჯილია წერს: „როგორადაც არ უნდა ავხსნა მე ჩემი გამოსვლის აუცილებლობა, ვიცი, არც პოეტ ირაკლი აბაშიძისა და არც ცნობილი მეცნიერების მოყვრობად და კეთილმოსურნეობად არავინ ჩამითვლის მას" (ხაზი ჩემია, თ. წ.).

რატომ ვფიქრობთ და რატომ გვგონია ასე?

ნუთუ საქართველოში ერთი კაციც არ არის ისეთი, ჯანსულ ლვინჯილიას გულისტკივილი რომ გაიგოს?

ალბათ სწორი არაა, ჩვენს მშობელ ხალხს, „ამ დიადს, ამაღლებულს, მარადიულ ხალხს, რომლის ნამტვრევებიც ვართ ჩვენც"... ასეთი რამ ვაკადროთ.

ეს ხომ იმავ დიდი ილიას საყვედურის ტოლი საყვედურია!

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

ამ აზრმა ილიას თანამედროვეებსაც გული ატკინა და ამის თაობაზე უსაყვედურეს კიდეც ავტორს.

როგორც ჩანს, ჯანსულ ლვინჯილიამ ეს საყვედური იმის იმედით გამოთქვა, რომ დღეს საქართველოში, მისი ფიქრით: „არ არსებობს არა მარტო კრიტიკული აზროვნება, არამედ საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზრი"...

რადგან ასე მიგვაჩნია, მაშინ ყველაფრის თქმა შეიძლება.

ალბათ გული დაგვწყდებოდა, საქართველოში თუ ერთი კაციც არ აღმოჩნდებოდა, ჯანსულ ლვინჯილიას გულისტკივილი რომ გაეგო.

— ეგ ღმერთმა ნუ ქნას!
— ეგ ღმერთმა ნუ ქნას!

იტყვის ამაზე მუხრან მაჭავარიანი.

* * *

„საიდან მოვიდა ეს სენი, როგორ მოედო ჩვენს ცხოვრებას, სენი, რომელმაც აღნიშნული კრებული დაბადა. რა გვემართება! ასეთი ფაქტები ხომ ჩვენი შინაგანი სულიერი სიმტკიცის, მყარი პოზიციის და პრინციპული დამოკიდებულების საბუთად არ გამოდგება. ისინი ხომ პირიქით მეტყველებენ! მეტყველებენ, რომ დავკარგეთ კრიტერიუმი, საზომი, ზომიერების გრძნობა და ხვალ, შესაძლოა, დაისვას კითხვა: ვართ თუ არა ჩვენ კულტურული ერი? თუ ვართ, რას ნიშნავს ყოველივე ეს, თუ არ ვართ, ეს დიდი ლიტერატურა და დიდი მეცნიერება საიდან?"

უბირი და გაუნათლებელი მკითხველისათვის ეს კითხვა დამზაფვრელია.

ჭკვიანი და კულტურული კაცისთვის — ღიმილის მომგვრელი.

მაგრამ მალე ეს ჭკვიანი კაცი მიხვდება, რომ საქმე სასაცილოდ არაა. რადგან ადრე ჟანსულ ღვინჯილიამ ასევე უბრალოდ დასვა საკითხი:

**„არის თუ არა ქუთაისი რესპუბლიკის მეორე კულტურული ცენტრი?"**

და იქვე ბეჭედდასმული პასუხი გასცა:

**„ქუთაისი არ არის რესპუბლიკის მეორე კულტურული ცენტრი!"**

არადა მართლა მეწყინა, როცა მითხრეს:

„ხვალ შეიძლება დაისვას კითხვა: ვართ თუ არა ჩვენ კულტურული ერი?"

მიაქციეთ ყურადღება, ისე უბრალოდ გვეკითხებიან, თითქოს ტაქსის რიგში ვიდგეთ და აინტერესებდეთ, ვინ არის ბოლო!

„ვართ თუ არა ჩვენ კულტურული ერი? თუ ვართ, რას ნიშნავს ყოველივე ეს, თუ არ ვართ, ეს დიდი ლიტერატურა საიდან?"

ასე აგდებულად მშობლიურ ლიტერატურაზე და მეცნიერებაზე, მშობლიურ კულტურაზე არ ლაპარაკობენ!

ახლა მე მინდა წყნარად ვიკითხო: ცოტა ხომ არ გადააჭარბა პატივცემულმა კრიტიკოსმა, ცოტა დაუმსახურებელი საყვედური ხომ არ აკადრა ქართულ მწერლობას, ცოტა უპიდიშოდ ხომ არ მოეპყრა ქართულ კულტურასა და ქართულ საზოგადოებრივ აზრს?

ანდა, ასეთს რას გვემართლებოდა კრიტიკოსი. კედელთან რომ მიგვაყენა და უკადრისი სიტყვებით გვლანძღავს?

„ეს მაღალფარდოვანი და პათეტიკური შეძახილები, ეს საოცარი შედარებები და პარალელები სამწუხაროდ იმაზე მეტყველებენ, რომ ჩვენ პროვინციალური ლიტერატურული ცხოვრებისკენ მივექანებით".

„ეს სიტყვები, ეს წრეგადასული ქება-დიდების ვნებათღელვა სხვას მეტყველებენ. სწორედ პროვინციალიზმის ნიშნებზე გაჰკივიან"...

„...შეუთავსებელი გახდა ერთმანეთთან ჩვენი ლიტერატურა და ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება. სამწუხაროდ ეს უკანასკნელი აშკარად ცუდს ამბობს ჩვენს შინაგან კულტურაზე"...

„თუ ჩვენ ასეთ ფაქტებზე ვავდუმდით იმის რიდით, ცნობილი მწერლებისა და მეცნიერების მტრობად არ ჩაგვითვალონ ხმის ამოღებაო, მაშინ ეს მარტო დუმილს არ ნიშნავს, ეს მოწმობს, რომ არ არსებობს არამარტო კრიტიკული აზროვნება, არამედ საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზრი".

„იმ შემთხვევაში თუ ცნობილ პოეტსა და მეცნიერებს ამ უხერხულობის მძიმე ტვირთს არ მოვხსნით, მართლაც დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ საზოგადოებრივი აზრის არსებობა".

ვიდრე კრიტიკოსი საუკუნოდ შევპარვენებდეს, ღირსების გრძნობა თუ კიდევ შეგვრჩა, დამარცხება უნდა ვაღიაროთ და ქართული საზოგადოებრივი აზრის ქონგურებიდან დანებების თეთრი დროშა გადმოვფინოთ...

* * *

წყალწაღებული რომ ხავსს ეჭიდება, ისე მომდის, მაგრამ ჩემთვის მაინც ვფიქრობ, იქნებ ეს კრებულია გამონაკლისი, და „სენი, რომელმაც აღნიშნული კრებული დაბადა" ქართული ლიტერატურის ჟანსაღ სხეულს ჯერ არ შეხებია?

იმედის რაღაც ნატამალი გაჩნდა, მაგრამ... კრიტიკოსს თითქოს ჩემი ხმა გაეგონოს, ისე ნპასუხობს:

**„...აქ განხილული კრებული გამონაკლისი კი არ არის, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების წესის პროდუქტია".**

ცხადი გახდა, რომ ლიტერატურულ ატმოსფეროს ალარაფერი ეშველება, მაგრამ ერის ცხოვრება მარტო ლიტერატურა ხომ არაა, იქნებ იქ შედარებით უკეთესად არის საქმე?

ამას რომ ვფიქრობ, ისიც მაქვს მხედველობაში, დღეს ხომ ბევრს წერენ საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღებაზე და არ შეიძლება, კრიტიკოსს ეს არ სმენოდეს.

**„ეს ფაქტი იმ საერთო სტილიდან ამოიზარდა, ჩვენი ცხოვრების წესის პროდუქტია იგი".**

ჩემს მბჟუტავ იმედს ისევ ცივი წყალი გადაასხა კრიტიკოსმა.

ერთსაც ვცდი:

კი, ბატონო, მძიმე სენი შეგვყრია, მაგრამ ვიდრე ამ ავადმყოფობას თავისი საქმე ბოლომდე არ გაუკეთებია, ხომ შეიძლება ერთობლივი ძალით უკუვაგდოთ?

**„...სწორედ იმ ფაქტს უნდა დავუფიქრდეთ, რამაც დაამგვირგვინა ჩვენი არასწორი ცხოვრების წესი".** დავაგვიანეთ. ამ კრებულს ჩვენი არასწორი ცხოვრების წესის დაგვირგვინება უკვე მოუსწრია. კვლავ თავისას იმეორებს კრიტიკოსი!

ბოლოს და ბოლოს, აი რა მოხდა. გამოიცა წიგნი, რომელიც არ უნდა გამოცემულიყო, ყოველ შემთხვევაში, ამ სახით მაინც. სწორედ ამიტომ, ზემოთაც ითქვა და ახლაც ვიმეორებ, მან ცუდი სამსახური გაუწია არა მარტო პოეტსა და მეცნიერებს, არამედ კრიტიკოსსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაზე

მეცნიერი ირანისტისა და მთარგმნელის თენგიზ კეშელავას წიგნი „წერილები თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაზე“, მართალია, ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიების კრებულია, მაგრამ ერთიანი ჩანაფიქრითაა შთაგონებული: აჩვენოს მკითხველს თანამედროვე სპარსული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები, გააცნოს იმ პოეტთა და პროზაიკოსთა შემოქმედება, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი აღმოსავლელი მეზობელი ქვეყნის თანამედროვე მწერლობის სახეს.

პირველივე წერილში „ლენინი და ირანი“ ნაჩვენებია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის განმსაზღვრელი როლი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის შექმნაში. წერილში მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავადაა მოთხრობილი, თუ როგორი გულისყურით ადევნებდა თვალს ვ. ი. ლენინი აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებას და, კერძოდ, ირანის 1905-1911 წწ. რევოლუციას, ლენინი წერდა სტატიებს, რომლებშიც, როგორც წიგნშია ნათქვამი, სამარცხვინო ბოძზე იყო გაკრული მეფის რუსეთისა და ინგლისის საქმიანობა რევოლუციური ირანის მიმართ. ბოლშევიკური პარტია ლენინის მითითებით ირანში აგზავნიდა იარაღს, მოხალისეებს, ლიტერატურას. იქ იმყოფებოდა სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც ცხოველი მიმოწერა ჰქონდა ლენინთან. წერილში მოყვანილია ირანის უდიდესი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მალიქ ამ შოარა ბაჰარის სიტყვები, რომელიც მას წარმოუთქვამს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე თეირანში: „იმ კაცის სახელი, რომელმაც ჩვენი კისერი სახრჩობელის ყულფისაგან იხსნა, არის ლენინი...“ ავტორი ხაზს უსვამს ვ. ი. ლენინის განსაკუთრებულ ღვაწლს აღმოსავლეთმცოდნეობის შექმნაში. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის მითითებით შეიქმნა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და ლენინგრადის ცოცხალ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი. ასევე, ლენინისავე მითითებით ჩამოყალიბდა საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო ასოციაცია. წიგნში ციტირებულია ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის მ. პ. პავლოვიჩის სიტყვები: „პირველ დიდ აღმოსავლეთმცოდნედ ჩვენ მიგვაჩნია ამხანაგი ლენინი...“

წერილში მოხმობილია საკმაო მასალა, რომლითაც ჩანს, რომ ლენინმა და ოქტომბრის რევოლუციამ ფართო ასახვა ჰპოვა ირანის ლიტერატურაში, განსაკუთრებით 20-იან წლებში. ასეთია: არეფ ყაზვინის, ჰაბიბ იალმაის, მირზადე ეშყის, მოჰსენ დასთგარდის პოემები, ყაჰრამანის, ჰაბიბ იალმაის, ვაჰიდ დასთგარდის, ალი-ასღარ მოინიანის, პოეტი ქალის ჟალეს ლექსები. გაკეთებულია დასკვნა: „ირანელი საზოგადო მოღვაწეების, პოეტების, მწერლების გულითად სტრიქონებში გამოხატულია ფიქრები და გრძნობები არა მარტო ირანელი ხალხისა, არამედ კაპიტალისტური აღმოსავლეთის ყველა უუფლებო ხალხისაც, რომელთათვისაც ლენინი წარმოადგენს „სიდიადის მთელ სამყაროს“.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ დასაბამი მისცა აზიის ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც, კერძოდ, 1905-11 წლების ირანის რევოლუციას. რევოლუციამ ღრმა კვალი დააჩნია ირანის არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ გამოაცოცხლა პრესა, ახალი შინაარსით აღავსო მრავალსაუკუნოვანი სპარსული პოეზია. წერილში „რევოლუციური პოეზიის გარიერაჟზე“ მოტანილია მდიდარი მასალა სპარსული ლიტერატურული ცხოვრების შესახებ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. „რევოლუციური ხანის ლიტერატურაში — წერს ავტორი — შეინიშნება ცდები სინამდვილის რეალისტური ასახვისა, ფეხს იკიდებს სოციალური თემატიკა, ფილოსოფიურ-მორალისტური და საკარო პანეგირიკული მოტივების გვერდით... გაისმის სამოქალაქო მოტივებიც. სპარსული პოეზია ახალ ასპარეზზე გამოვიდა, უფრო დაუახლოვდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ხალხს“.

---

თ. კეშელავა, „წერილები თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაზე“.

წიგნში განხილულია ახალი სპარსული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების — ადიბ ოლ მამალექ ამირის, ფაროხი იეზდის, მოჰამად თაყი ბაჰარის, ირეჯ მირზას, აშრაფ გილანის, არეფ ყაზვინის შემოქმედება. ავტორი ვრცლად ჩერდება დიდი პოეტების — ადიბ ოლ მამალექის და მოჰამედ თაყი ბაჰარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე, მათ „პატრიოტული, ანტიიმპერიალისტური, ჰუმანისტური პათოსითა და ლირიზმით გამთბარ" პოეზიაზე.

რევოლუციურ პერიოდში სპარსული პოეზია არა მარტო დემოკრატიული იდეებით გამდიდრებულა, არამედ ახალი შინაარსით შევსებულა მისი ტრადიციული სალექსო ფორმებიც. აქ ავტორი საინტერესოდ მსჯელობს თასნიფის შესახებ (სატრფიალო-ლირიკული ხალხური სიმღერა), რომელიც სპარსულ ლიტერატურაში რევოლუციური ეპოქის პოეტებს — სეიდ აშრაფ ედ-დინ გილანის და მირზა ყასემ არეფ ყაზვინის შემოუტანიათ. ამ პოეტებს თასნიფისათვის პოლიტიკური ჟღერადობა მიუნიჭებიათ.

წერილებში „ოქტომბერი და სპარსული მწერლობა", „დემოკრატიული მიმდინარეობა თანამედროვე სპარსულ პოეზიაში", „მშვიდობისა და გაზაფხულის მომღერალი" (ბაჰარი) ახალი სპარსული პოეზიის თითქმის ყველა თვალსაჩინო ოსტატის შემოქმედებაა მიმოხილული, ნაჩვენებია ის ცხოველმყოფელი გავლენა, რომელიც სპარსულ პოეზიაზე მოუხდენია საბჭოთა მწერლობას, ოქტომბრის იდეებს (პროლეტარული მწერლობის წარმოშობა, კრიტიკული რეალიზმის ზრდა, პროგრესული ლიტერატურის ბანაკის გაფართოება).

ყველა ეს წერილი ერთ თემატურ რკალს ჰქმნის და ნათელ წარმოდგენას იძლევა ახალი სპარსული პოეზიის ძირითად შინაარსზე.

ქართველი მკითხველისათვის, ვფქირობ, განსაკუთრებით საყურადღებო იქნება ავტორის მსჯელობა თანამედროვე სპარსული პოეზიის თვალსაჩინო ოსტატის ნიმა იუშიჯის (წარმოშობით ქართველის) ვერსიფიკატორული ძიებების შესახებ. მას განათლება თეირანის ფრანგულ კოლეჯში მიუღია და საფუძვლიანად გასცნობია ევროპული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

ნიმა იუშიჯს სპარსულ ლიტერატურაში დაუმკვიდრებია ახალი ფორმა — ეგრეთ წოდებული, „შერე ნოუ" (ახალი ლექსი). ავტორი შენიშნავს, რომ, მართალია, ნიმა იუშიჯის შემოქმედებაზე და ესთეტიკურ შეხედულებებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ევროპულმა თავისუფალმა ლექსმა, მაგრამ ნიმას „შერე ნოუს" და ვერლიბრს შორის ტოლობის ნიშნის დასმა შეცდომა იქნებაო. თვითონ ნიმა იუშიჯს განუცხადებია, რომ „შერე ნოუ", როგორც ლექსითი ზომა, ტრადიციულ არუზის პრინციპებზეა დაფუძნებული, მაგრამ მას სურს, რომ არუზის მეტრიკა კი არ ხელმწიფობდეს ჩვენზე, არამედ ჩვენ — ჩვენი განწყობისა და გრძნობების შესაბამისად ვბატონობდეთ მასზეო. „შერე ნოუს" უდიდესი გავლენა მოუხდენია უახლესი სპარსული პოეზიის ფორმასა და შინაარსზე. მას მიმდევრებიც ჰყოლია და მოწინააღმდეგენიც. ავტორი გვთავაზობს თავის უშუალო შთაბეჭდილებებს და ამტკიცებს, რომ მრავალმა ირანელმა პოეტმა, რომლებიც „შერე ნოუს" სტილში წერენ, აღიარება მოიპოვეს როგორც ირანში, ასევე მის ფარგლებს გარეთაცო. თანამედროვე ირანში დასტამბულა წიგნები და სტატიები, რომლებშიც მეცნიერულადაა განხილული სპარსული პოეზიის ეს ახალი მიმართულება.

ავტორი კვალიფიციურად მსჯელობს თანამედროვე სპარსული პოეზიის სხვა მიმართულებებზეც — „შერე აზადი" („თავისუფალი ლექსი"), „მოუჯე ნოუ", („ახალი ტალღა") და მოაქვს მრავალი საინტერესო ცნობა თანამედროვე ირანის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ.

ნარკვევი „სპარსული პროზის სათავეებთან" საინტერესოა არა მხოლოდ ირანული ლიტერატურისმცოდნეებისათვის. იგი შეიცავს მრავალ საყურადღებო დებულებას, რომელთაგან, გასაგები მიზეზების გამო, შევჩერდებით რამდენიმეზე.

ავტორის მტკიცებით, დღევანდელ ირანში სიტყვაკაზმული მწერლობის მაღალგანვითარებულ სახეობად მხატვრული პროზა გვევლინება და არა პოეზია, მაშინ როდესაც ირანს „პოეზიის საუფლოს" უწოდებენ. „ძალთა თანაფარდობა" პროზის სასარგებლოდ მეორე საუკუნის ოციანი წლებიდან შეცვლილა, ხოლო ორმოციანი წლებიდან ირანს უკვე გამოსჩენია სახელგანთქმული რომანისტები, მოთხრობისა და ნოველის ოსტატები.

ისევე როგორც ქართულ ლიტერატურაში, სპარსული პროზის სათავეებიც, როგორც ავტორი ამტიცებს, ირანის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაშია საძიებელი. აქ ავტორი, უპირისპირდება რა სახელგანთქმულ ირანელ სწავლულს აჰმად ქასრავ თაბრიზის, განმარტავს ტრადიციისა და მემკვიდრეობის მნიშვნელობას ლიტერატურულ პროცესში და იკვლევს სპარსული პროზის ძირებს. მრავალი მასალის საფუძველზე ავტორი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ სპარსული პროზის საფუძვლები იქმნებოდა იმ მითების, ლეგენდების, ყოფითი ხასიათის მოთხრობებისა და ანეკდოტების მასალაზე, რომელთა მასაზრდოებელი წყარო იყო ზეპირი ტრადიციები და ადრეული წერილობითი ძეგლები. მნიშვნელოვანი როლი უთამაშნია სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებსაც. ამ თვალსაზრისით ავტორი განიხილავს უძველეს სპარსულ და ფალაურ ზეპირსიტყვიერ-

ების ნიმუშებს, ზოროასტრულ სასულიერო თხზულებებს, შუა საუკუნეების ირანული საერო ხასიათის ნაწარმოებებს, რომლებიც შეიცავენ მითოლოგიურ და ისტორიულ სიუჟეტებს. დასკვნები, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, დამაჯერებელია და გამომდინარეობს მასალის მეცნიერული ანალიზისაგან.

განსაკუთრებული ეტაპი ირანული პროზის განვითარებაში დაწყებულა მე-19 ს. მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც ირანში მოგვარებულა წიგნის ბეჭდვის საქმე და შექმნილა ეროვნული პრესა. აქაც, ისევე როგორც ჩვენში, საქართველოში, დაწყებულა მწერლობისა და სამწერლო ენის დემოკრატიზაცია: „ამ დროს ლიტერატურაში, კერძოდ, მხატვრულ პროზაში ყალიბდება მამხილებელი მიმართულება, რომელიც ხელს უწყობდა კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებას სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში“. ამ პერიოდს წიგნის ავტორი ირანში განმანათლებლობის ეპოქად მიიჩნევს. ირანულ განმანათლებლობაზე დიდი გავლენა მოუხდენია გამოჩენილ აზერბაიჯანელ მწერალსა და მოაზროვნეს მირზა ფათალი ახუნდოვს.

ავტორის დაკვირვებით, თანამედროვე ირანში ყველაზე უფრო პოპულარულია ნოველა, მოკლე მოთხრობა. ეს ჟანრი განსაკუთრებით ფართოდ ყოფილა წარმოდგენილი როგორც თეირანის, ასევე პროვინციული ქალაქების მრავალრიცხოვან ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

სპარსულ მწერლობას ჰყავს ნოველისტთა მთელი პლეადა, რომელთა სახელი აღიარებულია როგორც მათ სამშობლოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. მათ შორის უპირველესი ადგილი ეჭირა სადეყ ჰედაიათს (1903-1951 წ.) ამ მრავალმხრივი შემოქმედის ცხოვრებასა და მხატვრულ პროზას ეძღვნება წერილი „სპარსული პროზის დიდოსტატი“. ამ ნარკვევზე აღარ შევჩერდებით, რადგან დაინტერესებული მკითხველისათვის ცნობილია თ. კეშელავას მონოგრაფია „სადეყ ჰედაიათის მხატვრული პროზა“, რომელიც თბილისში დაისტამბა 1958 წელს, ხოლო შემდეგ სპარსულად ითარგმნა და გამოიცა ირანში.

წიგნში შესული წერილები „თეირანის ლიტერატურული შთაბეჭდილებანი“ და „ირანის კულტურულ-სამეცნიერო ცენტრები“ შეიცავს მრავალ საყურადღებო ინფორმაციას თანამედროვე ირანის კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების შესახებ. ეს მასალა მით უფრო ფასეულია, რომ იგი ავტორს მოუპოვებია თავისი ხანგრძლივი დიპლომატიური სამსახურისას ირანში.

თ. კეშელავას „წერილები სპარსული ლიტერატურის შესახებ“ მიმოხილვითი ხასიათისაა, მაგრამ, წიგნში ვხვდებით მეცნიერულ კვლევის შედეგად მოპოვებულ დასკვნებსა და დებულებებს, საინტერესო დაკვირვებებს.

მართალია, წიგნი ძირითადად თანამედროვე სპარსულ პოეზიასა და პროზას შეეხება, მაგრამ ყველაფერი ეს განხილულია ირანის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე, რაც წიგნის შემეცნებით ღირებულებას კიდევ უფრო ზრდის

**ბექან ბარდაველიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „მნათობის" 1983 წლის ნომრების შინაარსი

## მოთხრობები, რომანები

**არსენაშვილი კარლო** — ნადირობის წინ. მოთხრობა. № 12

**ბატიაშვილი ნელი** — დინება. რომანი. № 11, 12.

**ბაზენი ერვე** — შხამი. მოთხრობა. თარგ. გიორგი ეკიზაშვილმა. № 9.

**ბელიაშვილი აკაკი** — სხვადასხვა დროის ჩანაწერები. № 9, 10.

**ბუნინი ივანე** — ველგა. მოთხრობა. თარგ. ლილი მქედლიშვილმა. № 1.

**გელაშვილი ნაირა** — სერსო. მოთხრობა. № 1; გაზაფხულის ერთი ამბავი ანუ როგორ გაბრაზდა მთვარე. ზღაპარი. № 4.

**გეწაძე აკაკი** — ხმაწართმეული ზარი. მოთხრობა. № 6. ორი ბორცვი. მოთხრობა. № 12

**გოგოლაძე თენგიზი** — მასწავლებელი. დოკუმენტური მოთხრობა. № 10.

**დოჩანაშვილი გურამი** — მიწა და ვანო და წიფელი, ხე. მოთხრობა. № 7.

**ინანიშვილი რევაზი** — ძალიან უბრალო სიმღერა. მოთხრობა. № 5.

**იოსელიანი ოტია** — ავტობიოგრაფიული ნოველები. № 4, 6, 8.

**კაპანაძე გურამი** — გრძელი საიდუმლო ბარათი. მოთხრობა. № 10.

**კვიცარიძე დავითი** — როგორ უხმობდა სიკეთე სიკეთეს! მოთხრობა. № 7.

**კობიძე რამაზი** — ძველი ამბავი. მოთხრობა. № 2.

**მათევოსიანი ჰრანტი** — კამეჩი. მოთხრობა. თარგ. ზეზვა მედულაშვილმა. № 3.

**მიშველაძე რევაზი** — ნოველები. № 4, 7.

**პლატონი** — სოკრატე, მენექსენე. დიალოგი. თარგმ. და წინათქმა ბაჩანა ბრეგვაძისა. № 6.

**რობ-გრიე ალენ** — სცენა. მოთხრობა. თარგ. გიორგი ეკიზაშვილმა. № 12

**რჩეულიშვილი გურამი** — მარინე. პიესა. № 11

**სკლიუტაუსკასი იოკუბასი** — ფრთოსანი მხედარი. მოთხრობა. № 9

**ხულაბერიძე ლადო** — ზღვისკენ მიმავალი გზები. რომანი. № 3, 4, 5

**ფანჯიკიძე გურამი** — რექვიემი. მოთხრობა. № 3

**ფოლკნერი უილიამი** — მოზვრიკუდას სურნელი. მოთხრობა. თარგ. ზაზა ჭილაძემ. № 2

**ქარჩხაძე ჭემალი** — გუბე. მოთხრობა. № 5

**ხნალაძე თამაზი** — რიკულებიან აივანზე. მოთხრობა. № 9

**ჩორდელი ვაჟა** — ნალბანდი. მოთხრობა. № 12.

**ჩხეიძე ოთარი** — მოთხრობები. № 2.

**ჩხიკვიშვილი დავითი** — „მფრინავთა სახლი". მოთხრობები. № 5.

**ჯგუბურია მურმანი** — ორი თვალი. რომანი. № 6, 7, 8.

## ლექსები, პოემები

**აბაშიძე ირაკლი** — ლექსები. № 1; ამ ერთ აპრილსაც. ლექსი. № 6; ლექსები. № 7, 11.

**ამაშუკელი რეზო** — ლექსები. № 2.

**ალხაზიშვილი გივი** — ლექსები. № 3.

**ალიმონაკი ლერი** — ქამთაცვალობა. ლექსი. № 4.

**ახაევი რევაზი** — ლექსები. თარგმ. გივი ციცქიშვილმა. № 7.

**ბალარჯიშვილი ბაადური** — ლექსები. № 2, 12.

**ბაძალუა თამაზი** — ლექსები. № 3.

**ბლოკი ალექსანდრე** — ლექსები. თარგმ. გივი ალხაზიშვილმა. № 5.

**გაგუა ბუტა** — ლექსები. № 5.

**გორგანელი ვახტანგი.** — ლექსები. № 5.

**დანელია რევაზი.** — ლექსები. № 8.

**გულისაშვილი სიდონია** — ლექსები. № 3.

**დუდინი მიხეილი** — ლექსები. თარგმ. თედო ბექიშვილმა. № 4.

**ერისთავი თამარი** — ლექსები. № 5.

**თოთაძე ლალი** — ლექსები. № 9.

**იუმასი ძულა** — ლექსები. თარგმ. მანანა სალარიძემ. № 7.

**კაკაბაძე ზურაბი** — ლექსები. № 5.

**კალანდია რენე** — ლექსები. № 12.

**კახიძე მედეა** — ლექსები. № 3.

**კილასონია ნაზი** — ლექსები. № 10.

**კობერიძე ნუგზარი** — ლექსები. № 8.

**კვიტაიშვილი ემზარი** — ლექსები. № 2, 9.

**ლებანიძე მურმანი** — ლექსები. № 8.

**ლორთქიფანიძე ზურაბი** — ლექსები. № 4.

**მარგიანი რევაზი** — ლექსები. № 9.

**მაჭავარიანი მუხრანი** — ლექსები. № 1.
**მეზურიშვილი ტიტე** — ლექსები. № 5.
**მჭედლური დავითი** — ლექსები. № 8.
**ნიჟარაძე ენვერი** — გაზაფხულის მოახლოება. ლექსი. № 10.
**სამადაშვილი ნიკო** — ლექსები. № 12.
**სულაბერიძე ლადო** — ლექსები. № 11.
**სულაკაური არჩილი** — შარშანდელი რვეულიდან. ლექსები. № 6.
**სტურუა ლია** — ლექსები. № 7.
**ფორჩხიძე შალვა** — ლექსები. № 8.
**ფოცხიშვილი მორისი** — ლექსები. № 3.
**ფხოველი ჯარჯი** — ლექსები. № 1.
**ქემერტელიძე იორამი** — მეუღლე. ნოველი. № 11.
**ქვლივიძე მიხეილი** — ლექსები. № 1.
**შალვაშვილი ბელა** — ლექსები. № 6.
**შერაზადიშვილი ზაქარია** — ლექსები. № 11.
**ჩარკვიანი ჯანსუღი** — ლექსები. № 7; 12
**ჩხენკელი თამაზი** — ლექსები. № 9.
**ჭანტურია ტარიელი** — ლექსები. № 4, 9.
**ჭიჭინაძე გივი** — როგორ ასწავლა ჭიანჭველამ სამამდე დათვლა ჭიანჭველაჭამიას. ლექსი. № 6.
**ხარანაული ბესიკი** — ლექსები. № 1.
**ხორნაული ვაჟა** — ლექსები. № 8.
**ჯაბუშანური გაბრიელი** — ლექსები. № 2.
**ჯავახაძე ვახტანგი** — ლექსები. № 6.
**ჯანგულაშვილი თეიმურაზი** — ლექსები. № 7.
**ჯანელიძე ჯანო** — ლექსები. № 12
**ჯაჭვლიანი ბორენა** — ლექსები. № 4.
**ჯულუხიძე გრიგოლი** — ლექსები. № 6.

## ჩვენი მივლინებით

**ხერგიანი მირონი** — გარდაბანი — ფაქტების პრიზმაში; № 1, 2, 3; წეროების პოლიგონი, № 8, 9, 10, 11.

## 1783 — გეორგიევსკის ტრაქტატი — 1983

**ანდრონიკაშვილი ბორისი** — წარსულის ძეგლები. № 3; ვახტანგ მეექვსის შთამომავლები რუსეთში. № 5.
**ანტოკოლსკი პავლე** — თამარ აბაკელიას. ლექსი. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**ახმადულინა ბელა** — სიმონ ჩიქოვანს. ლექსი. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**გაბაშვილი ვალერიანი** — ვახუშტი ბატონიშვილი. № 7.
**დუდინი მიხეილი** — ძმადნაფიცობის ათინათები. ლექსი. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**ესენინი სერგეი** — საქართველოს პოეტებს. ლექსი. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**ზაბოლოცკი ნიკოლოზი** — ღამე ცხასანაურისა. ლექსი. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**ითონიშვილი ვალერიანი** — დარიალის ხეობა. № 8; დარიალის გზა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. № 9.
**ლუკონინი მიხეილი** — ქართველ მგოსნებს. ლექსი. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**მაიაკოვსკი ვლადიმერი** — ვლადიკავკაზი. ლექსი. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**მანდელშტამი ოსიპი** — მახსოვს თბილისი, თბილისს ვახსოვარ. ლექსი, თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**მეჟიროვი ალექსანდრე** — ქართული ცეკვა ხმლებით. ლექსი. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**პასტერნაკი ბორისი** — ტალღები. ლექსი. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**სალუქვაძე ანზორი** — წიგნი ფიცისა. კინორომანი. № 1, 2.
**ტიხონოვი ნიკოლოზი** — ლექსები. თარგმ. გია მარგველაშვილმა. № 10.
**ტულუში კლარა** — საქართველო გრიბოედოვის შემოქმედებაში. № 10.
**შადური ვანო** — მშვიდობის და წინსვლის საწინდარი. № 6.

## რსდმპ მეორე ყრილობა — 80

**მაჩაიძე იროდიონი** — ბრძოლისა და სახელოვანი გამარჯვების გზა. № 7.

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

**აგიაშვილი ნიკა** — „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“. № 9.
**ავალიანი ლალი** — სანდრო ცირეკიძე — ცისფერყანწელთა ბენიამინი. № 10.
**ალიევა დილარა** — ქალი — მთავარი მოქმედი გმირი. № 9.
**არველაძე ბონდო** — საიათნოვას ლექსების ახალი გამოცემა. № 9.
**ასათიანი გურამი** — უკანასკნელი საუბარი. № 1; ლიტერატურა და ახალი თაობა. № 6.
**ბააკაშვილი ვახტანგი** — მთარგმნელის ღვაწლი. № 10.
**ბრეგაძე აკაკი** — თანამედროვე ომები — კაცობრიობის უბოროტესი მტერი. № 12.
**ბრეგაძე გრიგოლი** — ლენინური ეროვნული პოლიტიკის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. № 4.
**ბრეგაძე ლევანი** — მხატვრული ნაწარმოები და კრიტიკოსის პოზიცია. № 1
**გაწერელია აკაკი** — მებრძოლი შემოქმედი ((რევაზ ჯაფარიძის დაბადების 60 წლისთავის გამო). № 8
**გაჩეჩილაძე გიორგი** — და არა აქვს მას დასასრული. № 8

**გელაშვილი ნაირა** — ერთი ლექსის სამყაროში. № 8

**გვერდწითელი გურამი** — შუადღის სიმაღლე (გურამ ფანჯიკიძის დაბადების 50 წლისთავის გამო). № 4

**დრაჩი ივანე** — ღია ბარათი ოთარ ჭილაძეს. № 5.

**დურმიშიძე სერგი** — კონსტანტინე გამსახურდიას ზოგიერთი გამოსვლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. № 5

**ეკიზაშვილი გიორგი** — მიახლოება ანტირომანთან. № 12.

**თურნავა სერგო** — ქართული მწერლობის დიდი მოამაგე. № 8

**კვიტაიშვილი ემზარი** — ქართულად ამეტყველებული რაბლე. № 7.

**მინდიაშვილი აკაკი** — უხილავი კედელი (რეზო ჭეიშვილის დაბადების 50 წლისთავის გამო). № 8

**ნატროშვილი გიორგი** — პოეტის გზა (ალიო მირცხულავას დაბადების 80 წლისთავის გამო). № 4; მუდამ ფიქრებში, მუდამ ძიებაში (ლავროსი კალანდაძის დაბადების 80 წლისთავის გამო). № 8; წლები და წიგნები (სერგო კლდიაშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო). № 12.

**ობოლაძე უშანგი** — „იავნანამ რა ჰქმნა?". № 6

**ოგნევი ვლადიმერი** — ცრუ მაკაბელთა საგა. № 1

**პაპკორია ოტია** — „დეპარ". № 6

**პეტერსონი პეტერი** — სამი შეხვედრა ოტია იოსელიანთან ანუ თარგმანის ერთი ახალი მეთოდი. № 9

**პეტერი იანი** — ჩემი ქართველი მეგობარი. № 12

**რურუა ილია** — პუბლიცისტიკა და მხატვრული ნარკვევი. № 7

**ჟორდანია სულხანი** — „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი". № 3

**ღლონტი ალექსანდრე** — გრძნობა სიტყვისა № 2

**წივწივაძე თამაზი** — მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა... № 12.

**ხიდაშელი შალვა** — გახსენება (ვლ. მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავის გამო). № 7

**ხუხაშვილი გიორგი** — დროისა და ცხოვრების პირისპირ. № 9

**ჯაველიძე ელიზბარი** — ნუ განიკითხავთ... № 4

**ჯიბლაძე გიორგი** — ექვთიმე თაყაიშვილი (დაბადების 120 წლისთავის გამო). № 5

## პუბლიკაცია

**შარაძე გურამი** — წერილები უორდროპისადმი. № 1, 2, 3.

**ჯანაშია ნიკოლოზ (ლაშა)** — ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მიმოწერებიდან. № 4; „შუშანიკის წამების". ვერსიონები. № 8, 9.

## მეცნიერება

**ბაქრაძე აკაკი** — ისევ „ქებაჲს" გამო. № 1.

**გოილაძე ვახტანგი** — ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. № 11.

**დუმბაძე მანანა** — სატირისა და იუმორის სოციალური ფუნქცია. № 5.

**კიკნაძე ვაჟა** — საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები. № 4.

**კიკნაძე ზურაბი** — „აუცილებელი განმარტების" განმარტება. № 6.

**მელიქიშვილი დამანა** — ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები. № 2.

**პატარიძე რამაზი** — ქებაჲ ქართულისა ენისაჲ. № 7.

**რაფავა მაია** — ამონიოს ერმისისა და დავით უძლეველის მიმართებისათვის. № 7.

**ხირაძე რევაზი** — გიორგი მერჩულის ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვანი. № 9.

**ჩხეიძე როსტომი** — უმცროსი ძმის მოტივი იოსების ბიბლიურ მოთხრობაში. № 3.

**ცანავა აპოლონი** — აუცილებელი განმარტება. № 5.

**ჯავახიშვილი ნათელა** — ქართული ლექსიკოლოგიური მუშაობის ისტორიიდან. № 8.

**ჭელიძე ედიშერი** — გნოსტიკური ხასიათის ძეგლი. № 12

## რუსთველოლოგია

**ჭილაძე თამაზი** — ვარდის ფურცლობის ნიშანი. № 10, 11.

## საზღვარგარეთის ლიტერატურა

**ლორენსი დევიდი** — მობი დიკი. ინგლისურიდან თარგმნა გ ი გ ი ს უ ლ ა კ ა უ რ მ ა. № 1.

**მაღულარია გივი** — ფრანც კაფკა. № 11.

## ხელოვნება

**არველაძე ნათელა** — დავით კლდიაშვილის თეატრის თანამედროვე სახეობა. № 7.

## საერთაშორისო თემაზე

**როზენტალი ედუარდი** — კონგოს ნაპირებზე. № 5, 6.

## რეპლიკა

**ჭავჭავაძე ნიკო** — ეს არ არის კრიტიკა. № 7.

### წიგნების მიმოხილვა

**არველაძე ნათელა** — საყურადღებო ნაშრომი. № 4.

**ბარდაველიძე ბეჟან** — წიგნი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაზე. № 12

**გოცირიძე გ.** — წიგნი ადიღეელთა ყოფისა და კულტურის შესახებ. № 4.

**თავდიშვილი მურმანი** — ლიტერატურულ ჭეშმარიტებათა ძიებაში. № 1.

**ითონიშვილი ვალერიანი** — ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი. № 7.

**იობაშვილი გულივერი, ცინცაძე დურმიშხანი** — საყურადღებო ნაშრომი გარსევან ჭავჭავაძეზე. № 8.

**კაციტაძე დავითი** — ქართველი დიპლომატი პოლონეთსა და ირანში. № 11

**კილაძე ზაური** — ესთეტიკურ კანონზომიერებებთან მიახლოება. № 4; გალაკტიონი, გალაკტიონი. № 7.

**სარჯველაძე ზურაბი** — ჯავახური დიალექტის ლექსიკონის შედგენის ცდა. № 11.

**ფხოველი ჯარჯი** — ჟან კოკტოს ქართული თარგმანი. № 9.

**ჩხარტიშვილი რევაზი** — ალმართი იწყება გზაჯვარედინთან. № 3; პოეტის თვალსაწიერი. № 11.

**ჯაგოდნიშვილი თ.** — საინტერესო გამოკვლევა ვაჟა-ფშაველას შესახებ. № 2.



**რედაქციის მისამართი:**
**თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.**

**ტელეფონები:** **რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1983.

გადაეცა ასაწყობად 29. 09. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 11. 83 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 07295. ტირაჟი 32.000. შეკვ. 2296. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.